114
1931/3

114/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა

91

3

1 9 3 1

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ყოველთვიური
საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ორგანო

№ 3

მარტი

7905

წელიწადი მეორე

სახელმწიფო გამომცემლობა

ტფილისი 1931 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პოლიგრაფტრესტის 1-ლი
სტამბა
შეკ. № 810. ტირ. № 1500.
მთავლ. № 603.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბელის ქ. № 13
ხელოვნების სასახლე. ტელ. № 1—65
კანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის გამ. № 22, პერიოდსექტორი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15=10

შუაღამეა...
და საამქროში
დიდ მანქანების
უბერავს ქარი.
თითქოს ქვესკნელი
გაპობილა:
მზე ღუმელიდან
მოდულს ძარღვები
ენტუზიასტთა
რკინად დამდნარი,
შრომა საამქროს
ჩაფრენია
როგორც აფთარი,
და ზღვა თვალებში
გატეხილ ლამის
ნამტვრევთა იწვის
მწვანე ლაშქარი.
ცხელ საამქროში
ჰკიავის სიტყვები
გადმოფრენილნი
გრძელ პლაკატიდან:
— შორს გამცდენები!
— მუქთახორები!
— ვინც სიძნელის წინ
შედრკა, ატირდა.

იწვის სიტყვები
ბრიალა ალად
ამოვარდნილი
კოლექტივიდან:
— გადავაჭარბოთ
ჩვენს ამოცანას!
— გეგმა დაზგასთან
უნდა მივიდეს!

შუაღამეა...
და მანქანების
ღღვრება ირგვლივ
სქლად საუბარი.
აქ ძარღვებია
და მკაცრ ბრძოლისთვის
სისხლი ძარღვებში
მუდამ მზათ არის.

შუაღამეა...
ცხელ საამქროში
ისმის გიჟური
ცეკვა ღვედების.
აქ სიცოცხლეა
და გული გულობს,
გულში კი ბრწყინავს
შემოქმედება.

ღუმელი მერვე
მეოთხე ღუმელს
გაწვეული ჰყავს
შეჯიბრებაში.
მერვე ღუმელი
დამარცხდა ერთხელ,
და მყარი სევდა
გადაწოლია
როგორც ღრუბელი.
უელავს ელვად
დაუცხრომელი
აზრი რევანშის.
მერვე ღუმელის
დამკვრელი ფიქრობს:
— წინ გადამისწრო,
და დავალებას
გადააჭარბა.—

ეროვნული ბიბლიოთეკა

სქელ მაზუთიდან
დაჩითულ შუბლზე
მიეპარება ნაღველი
ხარბად.
ისმის ბღავილი
რკინის მუცელის
დამკვრელი ფიქრში
განთიადს ელის.

ღამე ფიქრების
საბუდარია:
ერთი გაჩენის
ხალისით იბრძვის,
მეორე ლპება
ფარჩის სივრცეში
დამცხრალი, მკვდარი.

— უნდა მიმეცა
ექვსასი ტონი
და ვალი დამრჩა
დაუფარავი.
რა მოგონება ჩავიწყო თავში
ჩემს ძმობილს ღუმელს
რომ დავეტოლო,
ჩავიქრო დარდი
გულის მღარავი.—
რატომ ჩამორჩა
უნდა გაიგოს,
თავისი აზრი
სხვა დამკვრელებსაც
გაუზიაროს.
უნდა ამოსწვას,
უნდა ამოსჭრას
მის ბრიგადაში
შემოპარული
რაღაც იარა.

ფიქრებს ამოჭყავს
მზე დამწიფებულ
აღფრთოვანებით—
და მოასკდება
ფხიზელ საამქროს
რევოლუციის
დიდი ბრძანებით:
ქვეყანას უნდა
ლითონი, თუჯი;
ქვეყანას შია
ფოლადი მეტი,
რომ ინდუსტრიას
მივცეთ ტემპები,
შევქმნათ მომავლის
მტკიცე ბერკეტი.

ისევ ღვედების
ისმის სიმღერა,
შრიალი ცხელი
დამდნარ ლითონის:
ციფრი-მიზანი
ამ ბრიგადაში
პატიოსნებას,
ნამუსს და სახელს
ერთად იწონის,
იწონის
იწონის.

საყვირის ხმები
დილის სიცილში
კრიალით მირბის
საამქროსაკენ
და ცხელ ღუმელის
მუცელში ჰქრება.
შემცვლელთა მოდის
ახალი რაზმი
და იმართება
მერვე ღუმელის
მფრინავი კრება.

—ამხანაგებო!
ვიდრე მანქანებს
ყელს დაუსველებთ
ოქროს ფერ ზეთით,
ვიდრე წამოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამდნარ ლითონის
ცხელი მდინარე—
მოდი მოვნახოთ
ჩვენი დაცემის,
ჩვენი სირცხვილის
და ჩამორჩენის
მიზეზი მწარე.—

ამბობს ლევანი
მერვე ღუმელის
ჭირისუფალი
და ბრიგადირი.
რა ღამის თევა,
და რა მოწყენა,
და რა ნაღველი
მას გულს უტორავს
როგორც ნადირი.

—სიტყვა ჩემია—
აცხადებს ერთი,
ჩვენ თუ დავმარცხდით,
თუ ჩვენს ქვეყანას
ვერ ჩავაბარეთ
ლითონი ხვედრი,
ამის მიზეზი
ერთია მხოლოდ:
არ გვაქვს მადანის
ბლომად მარაგი,
რაც მთავარია
არ გაგვაჩნია
გეგმა შემხვედრი.—

—ნუ თუ არ გესმით
ჩვენი კავშირის
ამბოხებული
კუნთების ცემა?
რამდენი სხვერპლი,
რამდენი ტანჯვა
კიდევ რამდენი
იღვრება ცრემლად:
რომ
გადატეხოს
ჩვენი წარსულის
შეურაცყოფის
ხმიანი ძვალი,
და რომ გამოსჭრას
სხვა სიყვარული,
სხვა სამართალი.

—რატომ გვაჯობა
მეოთხე ბრძმედმა?
ჩვენს ბრიგადაში
კიდევ მრავალი
მოიძებნება
ბოლო ქანქალა,
რამდენი არის
კიდევ მფრინავი,
და ბანს რამდენი
ცხელ სიზარმაცეს
აძლევს უგნური
უაზროდ მთვრალი.

—რამდენი კვდება
სახარბიელო
ჩვენი მუშების
წინადადება,
ინიციატივა.
როცა უყურებ
უნიათობას,
ენტუზიაზმის
უქმად გაფლანგვას
განა სულყველას
გული შეგვტკივა?

—გვინდა ვაჯობოთ
მეოთხე ღუმელს?
გვინდა ქვეყანას
გადაუხადოთ
ლითონის ვალი?
დე მტკიცე იყოს
შრომის ნაყოფი
და დისციპლინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიხარულის
გვცელავდეს მედგრად
ყველას ნამგალი.

—აჰა ბურთი,
ეს მოედანი.
ასი ტონა
ლითონი ცვლაში
ჩვენი პასუხი
მეოთხე ღუმელს.
კოლექტიური
დავდვათ პირობა!
ეს საქმე არის
ჩვენი სახელის,
პატიოსნების,
ჩვენი გმირობის.

ისევ ღვედების
ისმის სიმღერა
ისევ ბღავილი
ისმის ღუმელის.
იზრდება ციფრი
როგორც
ლაქვარდში
გამოჩენილი
ციცქნა ღრუბელი.

მთელი საამქრო
დამკვრელად
ცხადდება ერთხმად.
იდება ფიცი
პროლეტარული:
—შენ გევალება
დროზე მადანის
მომარაგების მოწესრიგება!
—შენ შტაბში გირჩევთ
დაიცვა შრომა
და დისციპლინა!
შენ დარაჯი ხარ,
რომ მავნებელმა
თავისი გეგმა
არ გაატაროს.
—შენ...

და ყველამ
კიდევ შეტევა
ბარაქიანი,
უკან ცრემლები მოგვსდევს
მდინარედ
წინ კი მოთმენა
გვმართებს პატარა.
შრომა!
შრომა!
შრომა!
რომ უნახავი
დაიდგას ძეგლი.
ლითონად ღელავს
მთელს ბრიგადაში
ახალი სული,
ახალი ძალა,
და ენერგია.
იზრდება ციფრიც
ამღერებული
მძაფრი ხალისით
და გამარჯვებით.
ციფრი შორეულ
ლეგენდის მსგავსი.
დაჰკარ.
გულო იფეთქე,
რომ დიდ მწვერვალზე
ჩვენ ავასწარით.
რომ გადაიდნო
ტონა ასი.
ასი.
მთელი ასი.
ახლა ზეიმობს
მერვე ღუმელი.
დროშა მიიღო
გარდამავალი.
გაირღვა ფრონტი.
ამაყათ სუნთქავს
მთელი ბრიგადა
რომ შეასრულა
მთელი ქვეყანა
რასაც ავალებს.
მაგრამ სხვა გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყებს ცემას
მეოთხე ღუმელს
და მის ბრიგადას
ხალისით სავსეს
სხვა ენერგია
დააფრინდება.
— უცხოელნი ვართ
მაგრამ გვეძახის
სისხლი, გონებაც:
პროლეტარნი ხართ
და თქვენი ბედი
საბჭოთა ქარხნის
ლითონში წყდება.
ნუ გავიწყდებათ,
რომ ბარიკადი
მთელს დედამიწას
შემოკრული აქვს
მერიდიანათ.
და როცა იბრძვის
ორი სამყარო:
მზე მწუხრისაკენ
დაქანებული
და მზე ცინცხალი
დილის, ჯანსაღი,
ისმოდეს უნდა
თქვენი ლითონის
სტვენა ცვრიანი,
მონურ წარსულის
რომ არ ბჟუტავდეს
არსად ნასახი.
— გერმანელნი ვართ,
მაგრამ ვამაყობთ
სოციალიზმისკენ
გაწვდილი ხელით,
რომ დრო ხავსნარი,
შრომა უქმური
გადავაფურთხეთ
როგორც ნახველი.
— ჩვენ მუშები ვართ!
დიახ, გვახარებს
სასახლეებზე
გაბრდღიალებული
დაისის ალი.
გვაცხუნებს რწმენა,
რომ ამ ხანძარში
დაიბადება
ყოფა ახალი.
— ჩვენ მუშები ვართ!
გული თქვენ გულთან
სცემს თანაბარად,
თანახმიერად
და თქვენთან ერთად
ახალი ქვეყნის
გვიბერავს ქარი.
ადუღებს რკინად
დაძაბრულ ძარღვებს
შრომის გრიგალი
უზარმაზარი.
— დიახ, გვახარებს!
რომ ჩვენში გასკდა
წინაპრებიდან დალექილი
მრისხანე რისხვა
და რისხვა მკვახე;
რომ დაკარგული
საუკუნეთა
გაფანტულ მტვერში
ჩვენი ნამდვილი,
თავისუფალი
სამშობლო ვნახეთ.

—რკინა ჩვენი ხელის!
რკინა ჩვენი გულის!
რკინა ჩვენი ნების
ახალ ქვეყანას!
რომ წინ გაუსწროს
მტრის ინდუსტრიას
და მეექვსედი დედამიწისა
ახალი ორბიტრში
გადაიყვანოს.

რა ცხოველია
სუნთქვა ღუმელის!
როგორ მშვილდივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაჭიმულა
ძარღვი ბრიგადის!
შეტევა კიდევ
მძლე გოლიათის,
შეტევა კიდევ,
რომ არ გვაჯობოს
მერვე ღუმელმა.
კიდევ!
კიდევ!
კიდევ!

აჰა ასი და ესეც ათი!
ას ათი ტონი
ცვლაში მივიღეთ
დროშაც ჩვენია,
ისევ წავართვით.

საამქრო იბრძვის!
ორი ღუმელი
თავ განწირულად
ებრძვის ერთმანეთს.
მათ ალფროოვანებს
შემოქმედება
ხალისიანი,
რომ უნდა მისცენ
ქვეყანას რკინა,

ფოლადი უხვად,
რაზმი ტრაქტორთა
და მზე დღიანი.
საამქრო იბრძვის
და დავალება
თუთხმეტი დღისა
ათ დღეში მორჩა,
მორჩა გმირულად.
ეს ტემპი არის
ახალი სულის
და არითმეტიკა
ბოლშევიკური.

და მოჭედილი
ახალ ქარხნებით
ჩვენი ქვეყანა
დაგეგმილ მანძილს
ინდუსტრიის გრიგალით
გარბის

წინ!
წინ!
კომუნიზმისკენ,
შეუსვენებლად
მკაცრი ბრძოლებით
და გახსნილ წარბით.

ანატოლ გიდაშ *)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალამი მსოფლიოს რევოლიუციონურ მწერლებს **)

1

შენ პიონერო,
ეგ პატარა ხელი ასწიე.
და მოგვანათე
თვალების შუქნი!
ჩვენც დაგვამშვენე
საპატიო, თბილ ყელსახვევით!
  კომკავშირელო!
მებრძოლთა რიგში ჩადექი მედგრად!
ამაყ სიმღერამ
შეაერთოს ჩვენი ბაგენი.
  სანამ შრომის დღეს,
შენ, დამკვრელო, დაამთავრებდე,
დაჰკარი კიდევ, დაჰკარი მარჯვედ,
რომ შევასრულოთ ხუთწლედის გეგმა
ოთხ დამკვრელ წელში.
  წითელარმიელნო!
მოგვეცით სამხედრო სალამი:
სდგას თქვენს წინაშე ჩვენი ყრილობა.
პატივისცემით
ჩვენ სალამს გაძლევთ.
  ჩვენ, ფრონტელები
ტყვიის სიტყვების,
ჩვენ, დამკვრელები
მუშის სიმღერის,
ჩვენ, მომღერალნი,
და მსოფლიო რევოლიუციის
მახარობელნი!
  თანამებრძოლნო, ჩვენო ძმებო, გადაგვეხვიეთ!

2

  საიდანა ვართ ჩვენ მოსულები?
იქიდან, სადაც რევოლვერი
ჩვენ საფეთქელთან
ხშირად ეჭირათ ნადირ-ჯალათებს,

---

*) ა. გ ი დ ა შ ი არის უნგრელი პროლეტარული პოეტი.

**) ეს ლექსი ა. გიდაშმა დასწერა მსოფლიო პროლეტარულ მწერალთა მეორე კონფერენციის აღსანიშნავად, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად შესდგა ხარკოვში.

  რ ე დ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქიდან, სადაც სულს გვიხუთავდა
სიკვდილის სუნით ხუცების ხროვა!
იქიდან, სადაც ტალახში ყრია
უმუშევართა მილიონები,
სადაც უამრავ ხორბლის მეზობლად,
სადაც უზღვავი ნახშირის გვერდით
მწარედ სტირიან დამშეული
ნორჩი ბავშვები.
იქიდან, სადაც მიაბიჯებენ
წითელი ფრონტელები,
იქიდან, სადაც მიაბიჯებენ,
ჩინეთის საბჭოთა ჯარები,
იქიდან, სადაც ინდოეთისა
მიაბიჯებენ მეამბოხენი,
იქიდან, სადაც მიაბიჯებენ,
ვანცეტისა და საკკოს შვილები!
იქიდან, სადაც ბარაბანები
ხშირი ხმაურით ომს ქადაგებენ,
ომს წინააღმდეგ საბჭოებისა.
იქიდან, სადაც სიკვდილით სჯიან,
ჩვენს ძმებს ღირსეულს, საუკეთესოს,
სადაც ცდილობენ ჩვენს დახრჩობას
მხრჩოლავ გაზებით.
იქიდან, სადაც მით უფრო ვძულვართ,
რაც უფრო მწყობრად ჩვენი სიმღერა
ისმის, ვით ცეცხლი აჯანყებისა.
იქიდან, სადაც დანგრეული
კიდევ არ არის
გახრწნილი სკოლა,
ეკლესია, კაბარეები.
იქიდან, სადაც უსულო ლექსი
მაინც თვალმაქცობს ამაოებით:
„ო, ქალბატონო, ჩემ ოცნებისა,
ვეამბორები თქვენ სათუთ თითებს!“
ამ თითებს შრომა არ განუცდიათ!
ეს არის ბაგე, უკვე დამპალი!
ეს—თითებია, ტაშს რომ უკრავდენ,
როცა დაკოცნილ ტუჩის ბრძანებით
ჯარისკაცები ტყვიებით სხლავდენ
პროლეტარების გაფიცულ რიგებს.
ეს თითებია იმ ქალბატონის,
რომელიც მრუშობს ძალლთან და ცხენთან,
მისი სხეული ვინაიდან
მეტად გასუქდა
ძვირფას და მსუქან საჭმელებისგან.
და მაინც...
ყველგან და ყველგან
არღვევს სიმღერა გაუვალ გუბეს,
თავალერილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სჩქეფს აღტაცებით!
აქ თითქოს თუჯი
დაიღვარა ცხელ ნიაღვარად,
თითქოს კლდეები ეცემიან
ბარში მთებიდან—
ისე გაისმის მოწოდება ახალ სიმღერის,—
გრგვინავს მსოფლიოს ღია ქუჩებში:
„წითელო ვეფდინგ!
გესალმება, შენ, პროლეტარი“
„ყველა ბურჟუებს ჩვენ გავაკრავთ
ქუჩის ფარანზე“.
„მუშათა დროშა—სისხლის ფერია„.
„ხალხო, წინ გასწი—აჯანყებისაკენ.“
„თოფი თქვენს ხელში გადიქცევა
ულმობელ რისხვად!“
თქვენ, როგორც ზევენი,
გაეშურეთ ომში მტრისაკენ,
ქარიშხლიანი სიმღერების მოწოდებანო,
და შეებრძოლეთ წარსულ სიმღერას—
მრუშსა და გახრწნილს.
გაატიალეთ ყველა ისინი,
ვინც დაგიხვდებათ გზაზე თავხედი!
ვინღა გაბედავს მის უარყოფას,
რომ ახლა სიტყვა—ჩვენია მხოლოდ,
რომ დავეუფლეთ ახალ სიმღერას,
რომ დედამიწას ხანძრები შემოესია,
რომ ჩვენ გვიწოდებს,
რომ ჩვენკენ ილტვის
სათუთ ქალალდის წაბილწული
თითო ფურცელი?!
ჩვენ ვართ მოსულნი იქიდან, სადაც
ბარაბანები ქადაგებენ ხშირი ხმაურით
ომს წინააღმდეგ საბჭოებისა.
იქიდან, სადაც
სიმღერები ქარიშხლიანი
და მქუხარე მოწოდებანი
მსოფლიოს ქუჩებს ედებიან
შეუპოვარად,
სადაც გვდალავან ჩვენ ცხელი რკინით,
თუ მწყობრად ვამბობთ
აჯანყების ალურ სიმღერას.

3

შენ, პიონერო,
ეგ პატარა ხელი ასწიე,
და მოგვანათე
თვალების შუქნი!
ჩვენც დაგვამშვენე
საპატიო თბილ ყელსახვევით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კომკავშირელო!
მებრძოლთა რიგში ჩადექი მედგრად!
ამაყ სიმღერამ
შეაერთოს ჩვენი ბაგენი.
სანამ შრომის დღეს,
შენ დამკვრელო დაამთავრებდე,
დაჰკარი კიდევ, დაჰკარი მედგრად,
რომ შევასრულოთ ხუთწლედის გეგმა
ოთხ დამკვრელ წელში!
წითელ არმიელნო!
მრგვეკით სამხედრო სალამი.
სდგას თქვენს წინაშე ჩვენი ყრილობა.
პატივისცემით ჩვენ სალამს გაძლევთ.
ჩვენ, ფრონტელები
ტყვიის სიტყვების,
ჩვენ, დამკვრელები
მუშის სიმღერის,
ჩვენ—მომღერალნი—
და მსოფლიო რევოლიუციის
— მახარობელნი!
თანამებრძოლნო, ჩვენო ძმებო, გადაგვეხვიეთ!

4

აი —
გერმანელნი.
მათ არა ერთხელ განუცდიათ
„ესსენის შტურმი“,
და კიდევ ბევრჯერ შეტევაზე
წავლენ ისინი.
თოფის ლულების წინაამღდეგ
იდგნენ ისინი ანთებულ სახით:
მათ შეაჩერებს საგუშაგოზე
„ცეცხლით მოსილი რური“ უთუოდ.
იმათ არ უნდათ--„ლუიზიტმა“ რომ ამოახრჩოს
საუკეთესო თანამოძმენი,
სამშობლო ყველა პროლეტარების.
არის ცნობილი მათთვის „ომი“
სისხლით, ტალახით,
და თუ ბნელ ღამით აელვარდება
იმათ ხელებში კვლავ იარაღი—
„სხვაფრივ იქნება ყოველიფე!
— სულ სხვანაირად!“
ეს ხმა გაისმის მთელ მსოფლიოში
და მოუწოდებს კავშირისკენ
პროლეტარიატს!
აი —
ფრანგები,
ვინც ძმური ხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ პირველად გამოგვიწოდა
კვამლსა და ცეცხლში,
და ვინც პირველად დაიძახა
საშინელ „ცეცხლში“:
„კმარა ამდენი ვაება ომის!
კმარა ამდენი ჟლეტა ძმებისა“.
დიდი კომუნის შთამომავლობამ,
ეჟენ პოტიეს და კლემანის შვილიშვილებმა
სანგრების ზევით დაინახეს
ყველაზე ადრე,
შრაპნელის თქეშში, რომ წალეკა
მთელი ევროპა,
გაზების ბოროტ და ცბიერ ნისლში—
ლიბკნეხტის სახე,
მთელი ქვეყნისა მუშათა ძმობა.
პირველად დროშა აჯანყებისა
ააფრიალეს შავ ზღვაზე
ფრანგებმა.
მისცეს ფრანგებმა ქვეყნიერებას
ქარიშხლიანი, მკვეთრი სიმღერა:
„ინტერნაციონალი“.
როგორც ნამდვილ ძმებს—
მიესალმეთ ფრანგებს ნამდვილად!
რევოლიუციის ახალ გრგვინვის დროს
ჩამოაცმევენ ჭაღარა პარიზს
ისინი ახალ ფრიგიულ ქუდსა.
ამერიკელნი!
მრისხანე ძმები ცეცხლის, ფოლადის,
და მომავალი ბატონები
მთელ პიტსბურგისა,
ისინი წლობით იტანჯებოდენ,
ვით ჯიმი ხიგგინს!
ხოტბა შეასხეს „ას ოც მილიონს“.
მათი ძმა არის დჟონ რიდი, რომლის
„10 დღემ“ მსოფლიო სულ შეარყია
წყევლა—კრულვამდე,
და კიდევ შესძრავს ძირ-ფესვიანად!
მრისხანე ძმები ცეცხლის, ფოლადის...
პოლონელები!
გვერდით, მეზობლად
მედგრად იბრძვიან.
მათი კერაა დღეს ვარშავის
საპყრობილენი.
„მე პარიზსა ვწვავ“—გაიძახიან,
მაგრამ ვარშავას
სწვავენ აგრეთვე.
იმათ პირველად გარეკავენ
სასაკლაოზე,
როცა იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინააღმდეგ საბჭოთა ომი,
მაგრამ პირველნი დაიყვირებენ:
ო, კმარა! უკან! ესროლე პანებს!
ჩინეთი!
სადაც ჯარები საბჭოების
მიაბიჯებენ,
სადაც ბრწყინავენ
ბრინჯის მარცვალნი
ამომავალ მზის და ამბოხების
ბაირაღის ქვეშ!
სადაც ყვითელი მდინარეები,
მიდიან, როგორც დიდი ხანძარნი,
სადაც კანტონი კბილების ღრჭენით
მრისხანედ გმინავს,
როცა იგონებს ჩამოგდებულ ხელისუფლებას.
ინდოეთი!
უძველეს განგში—ახალი ენება!
უცხო ფრინველნი
აფურთხებენ ცეცხლის ყუმბარებს,
და ნიადაგი ბომბეისა არის აღვსილი
ყუმბარებითა და მდუმარებით.
ინგლისელები!
ლონდონის ირგვლივ ელვარებენ
ცეცხლის თვალები,
და მოციმციმე თავის სხივებით
კოლონიებსა აძლევენ ნიშანს:
ერთად ასწევენ აჯანყების
დროშას ისინი—
მილიონები შავკანიან, თეთრ ხელებისა—
ქვეყნიერება იფეთქებს ცეცხლით.
მადიარები!
სადაც იწოდა და „იწვის ტისსა“,
სადაც სექტემბრის ბარიკადებზე
დამარცხებული საბჭოების
ქებას მღეროდენ,
ახალ საბჭოთა ძლიერებით ანთებულები!
სად წინააღმდეგ იარაღისა
ჩაგრულთ სიმღერა გაისმოდა
თვით ტყვეობაში.
სადაც წინდაწინ დაანახეს
ევროპას ნათლად,
როგორ იქნება დასჯილი იგი,
თუ კი გაბედავს
ომის დაწყებას,
ომის დაწყებას ჩვენს წინააღმდეგ.
ჩეხები!
ტაბორიტების ქედმაღალნი შთამომავალნი!
ვლადნო, ოსტროვი იცინიან
გრიგალისამებრ,
და აშენებენ ამბოხის ქურას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით შავი ქარი
ხტის და ქრის ალი,
მისთვის, რომ დასწვას, გაანიავოს
ალამი „ჩვენი რესპუბლიკისა“.
ისლანდიური გამეფვირვალე ყინულებიდან
და არაბეთის ცხელ ქვეყნებიდან,
ამერიკის ტრამალებიდან,
რომელიც არის ჩაჭერილი
ციხის სარტყელში—
ჩვენ გადმოვფრინდით!
უკანასკნელად—
უპირველესნი ჩვენს არმიაში!
იმათ ვიგონებთ ყველაზე გვიან,
ალბად იმიტომ,
რომ გვსურს ისინი გულზე მივიკრათ,
და არ დავშორდეთ
მათ არასოდეს.
თუ თვალს დახუჭავ—
ელვარებენ ცეცხლის წყვდიადში
ურალის დიდი ღუმელები,
და სტალინგრადის ტრაქტორომშენი,
ველში გაშლილი „გიგანტისა“
სხივთა კოცონი,
და დნეპრომშენის ელექტრო-თვალნი.
ჩვენს წინაშედაც აინთებიან,
თუ თვალს დავხუჭავთ—სიმღერები
რევოლიუციის,—
საბჭოთა მგოსანთ ხმა ცეცხლიანი.
„მთავარი ქუჩის“ სწრაფი გაფრენა,
სამოქალაქო ომებისა დიდი დუღილი;
ის, ვინც გრგვინავდა ცეცხლთვალება
„მთელი ხმით“,
და აჯანყების ხანძარით გვწვავდა;
ისიც, პირველად სტრიქონებში
რომ გამოსჭედა
„რკინის ნიაღვარი“ აჯანყებისა;
ისიც, ვინც მოგვცა რობეიკის
ახალი სახე,
და ვინც გვიჩვენა
მთრთოლვარე „კვირა“
ისიც, ჩაპაევს
ვინც ხელს ართმევდა,
თვითონ მებრძოლი
და მეხოტბე „ამბოხებისა.“
ო, მეგობარო, მაროზკა, გხედავთ,
როგორ დასტირი დაღუპულ მერანს,—
შენ სიკვდილის წინ იცქირები
დენთისა კვამლში,
სადაც ციმციმებს სიზმარივით
ნათელ წერტილად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სოფელი.
ჩვენ ვხედავთ „ძ ე ლ ე ბ ს“,
სადაც გუგუნებს ეს სოფელი,—
—იზრდება,—ქალაქს რომ შეუერთდეს
ხელთა მოხვევით,
რკინის და ხორბლის მარად ხვევნაში.
“გუგუნებს ლიანდაგი“,—
ვიღაც უჩვენებს ხელის გულზე
„ცემენტის“ ერთ პეშვს
ყველას, ვინც კვნსის
ფულის უღელქვეშ
აღმოსავლეთსა და დასავლეთში.
რეფლეკტორის ქვეშ—მძლავრ სინათლეში
ბრწყინავს, ელვარებს
„დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა“.
ფოლადის სიტყვა თქვენ დასწერეთ
ლიტერატურის ახალ დროშაზე:
„ლიტერატურულ სადარაჯოზე“.
მაშ თქვენ ეს დროშა
მაღლა გეჭიროთ,
თქვენ, პირმშოებო პერეკოპის
და ხუთწლედისა!
ჩვენ გესალმებით
მებრძოლ ლექსებით—
სამოქალაქო და მსოფლიო
ომის მებრძოლნო!
ჩვენ ვხედავთ— რა რიგ
მძლავრად ბრწყინავენ
წითელი ფრთები მთელი ქვეყნის
საბჭოებისა
სინათლისა და ცეცხლის ნამქერში.

. . . . . .

უკანასკნელად თქვენ მოგესალმეთ,
უკანასკნელად, ალბად, იმიტომ,
რომ სამუდამოთ გულში ჩაგიკრათ.

5

შენ, პიონერო,
ეგ პატარა ხელი ასწიე,
კომკავშირელო,
რიგებში ჩადექ...
დამკვრელო, დაჰკარ
მეტ გატაცებით!
ხარკოვი!
სოციალისტურ მშენებლობის
დიდო ქალაქო!
გახსენ ხელები, გულში ჩაგვიკარ
მსოფლიო ჯანყის მომღერალები.

თარგმანი ვ. გაფრინდაშვილის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7905

განთიადის წინ *)

XXII

ალექსანდრეს ბალი

პარტიათა შორის იყო გამართული კამათი, ჩხუბი და ბრძოლა. არბევდენ კლუბებს და რედაქციებს. მენშევიკების დემაგოგიით მოწამლული ხალხი სხვა პარტიათა ორატორების წინააღმდეგ მოდიოდა მუშტით, ტყვიით და კეტით. ასე სდევნიდენ მაშინ კეტით სწორსა და ჯანსაღ აზრს. აზრი მაინც იკაფავდა გზას. ბოლშევიკების საოლქო კომიტეტი გაცხოველებულ მუშაობას ეწეოდა. პრესაში გამართულ კამპანიასთან ერთად ეწყობოდა მიტინგები ალექსანდრეს ბაღში, რომელსაც მთავრობა უწოდებდა „ბუდეს ბოლშევიკური სენისა".

ასეთ პირობებში სწარმოებდა ამიერკავკასიის კომისარიატის დაშლა და სეიმის მოწვევა. სეიმი უნდა გახსნილიყო 1918 წ. თებერვლის 10.

ამ დღეს ბოლშევიკების საოლქო კომიტეტის მიერ დანიშნული იყო საპროტესტო მიტინგი ალექსანდრეს ბაღში შამქორში მომხდარ ამბებისა, გაზეთების დახურვისა, ბოლშევიკების დატუსაღებისა და სეიმის გახსნის წინააღმდეგ.

* * *

დილის 10 საათი იქნებოდა.

ალექსანდრეს ბაღში შევიდა შავგვრემანი კაცი. ხეივანში გაისეირნა. შეჩერდა და ირგვლივ მიიხედ-მოიხედა. მას ეცვა შავი პალტო და თავზე ნაცრისფერი კეპი ეხურა.

ბაღში არავინ იყო. მიტინგისათვის ამართული ტრიბუნა სდუმდა. ზედ დახეული გაზეთი და ირგვლივ ჯარისკაცების მიერ ნაჩიჩქნი სემიჩქის ნაჭუჭები ეყარა. უფოთლო ხეთა მწვერვალებს ესეოდნენ ყვავები და თავს დასჩხაოდნენ ალექსანდრეს ბაღს, მუშათა სასახლეს, მადათოვის კუნძულს, მტკვარის ტივებიან ნაპირს და მახათას მთებს.

გლოვიარე ჭირისუფლებივით ასუდრული გუნდისა და კვიპاროზის ხეები შიშით ცახცახებდნენ.

შავგვრემანმა კაცმა ჩაუარა ნაძვის ხესთან აღმართულ პუშკინის ძეგლს. მგოსნის მადლიანსა და მაღალ შუბლს დააცქერდა, ნაცრისფერი კეპი მოიხადა:

„Товарищ, верь: взойдет она,
Заря пленительнаго счастья"...

---

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაგონდა მას და გაიფიქრა: „აღსრულდა, უკვე ამოვიდა ბოლშევიკების მზე. საჭიროა მხოლოდ ამიერკავკასიაშიც შემოანათოს მან!“ შუბლზე ხელი გადისვა. მისი ჭკვიანი, შავი და დიდრონი თვალები მძაფრად ანათებდნენ.

გამზირზე ამოვიდა. ქუჩა გადასჭრა და საპირფარეშოში შევიდა. კეპი და პალტო გაიძრო, კუთხეში მდგარ კაჩხაზე ჩამოჰკიდა. შემდეგ მაგიდასთან დაჯდა და ჟურნალ-გაზეთებს გადახედა. „ერთობა“ სავსე იყო ბოლშევიკების ლანძღვა-გინებით. „ამ ვაჟბატონებს დღის ლოზუნგათ მხოლოდღა ბოლშევიკების ლანძღვა-თრევა და მათი დამცირება განუზრახავთ!“—გაიფიქრა მან. სარკეში თავისი მსუქანი, მგვრალი და მრისხანე სახე დაინახა. მის გულში საშინელი აღშფოთება და მღელვარება იყო, მაგრამ ცდილობდა არავის წაეკითხა ეს მის სახეზედ. დიდრონი, შავი თვალები დამშვიდებით იცქირებოდნენ. წვერიანმა დალაქმა თვალი მოჰკრა, გაიღიმა, თეთრი კბილები უჩვენა და სალამი შისცა. შავგვრემანმა კაცმა იცნო თავისი პარტიული ამხანაგი, დალაქი ბენო ნაბიჭვრიშვილი. სარკესთან მჯდარი პატარა, ქერა კაცი შემოტრიალდა და დაიძახა:

— აა, გამარჯობა კაცო, ვერ გიცანი!

— ვახლავართ!—უპასუხა შავგვრემანმა.

პატარა კაცი მორჩა წვერის ჰარსვას. ჰალსტუკი გაიკეთა. შავგვრემანისკენ წამოვიდა და ხელი ჩამოართვა: იგი იყო სოც. რევოლუციონერი, სამხედრო საქმეთა კომისარი.

— როგორ ბრძანდები?—შეეკითხა უცნობს კომისარი.

— არა გვიშავს, ვცხოვრობთ გვარიანად თქვენის ლოცვა-კურთხევით!

— ჩვენი ლოცვა კურთხევა თქვენ მაინცადამაინც ვერას გიშველით!—უპასუხა კომისარმა. ისინი იდგნენ ფეხზედ და ასე საუბრობდნენ. წვერიანმა დალაქმა გაიღიმა. მაგიდა გასწმინდა. ხელსაწყო დაალაგა. წინსაფარი დაბერტყა. სკამი გაასწორა და დაიძახა:

— გთხოვთ... თქვენი რიგია!

შავგვრემანმა კაცმა ანიშნა: ცოტა ხანს მოეცადა.

— თავისუფალი სიტყვის აღკვეთა, რედაქციების დარბევა და პოლიტიკური ამხანაგების დატუსაღება დემოკრატიზმის ვერაფერი-შვილი გამარჯვებაა?!—შენიშნა გესლიანათ შავგვრემანმა. მეორე სარკესთან მჯდარი მუშტარი თოფნაკრავივით შემოტრიალდა. უცნობს ბრაზით დააცქერდა. მოხუცმა დალაქმა თავი დაჰხარა და მუშტარს წასჩურჩულა:

— ეს კაცი ცნობილი ბოლშევიკია, ბესო ალავიძე!

ბესო ალავიძე არ დაერიდა განრისხებულ მუშტარს და ისევ გაუმეორა სამხედრო საქმეთა კომისარს თავისი აღშფოთება მთავრობის მიერ ჩადენილ რეპრესიების გამო.

— მართალი გითხრათ, მე პირადათ არა ვარ მომხრე ასეთი რეპრესიებისა,—უპასუხა კომისარმა და განაგრძო—მაგრამ თქვენც ძალზედ გადაამლაშეთ და მაინცადამაინც ეხლა: სეიმის გახსნის დროს!? რა გინდათ, ძმაო? სეიმი ხომ პირდაპირი, თანასწორი, საიდუმლო და პროპორციული ხმის მიცემის საფუძველზეა არჩეული?!

— ვიცით, ვიცით მაგ თქვენი ოთხფორმულიანი არჩევნების [illegible] შედეგი მივიღეთ? არც ერთი მუშა და არც ერთი გლეხი! სამაგიეროთ [illegible] ბურჟუაზიისა და მემამულეების წარმომადგენელნი ხომ ბლომად შეჰყარეთ შიგ?! სხვა რალა გინდათ?

— კარგია ერთი თუ ძმა ხარ, მაინცადამაინც არც მაგის თქმა შეიძლება! ცხადია რომ ჩვენ ვიცავთ ამიერკავკასიის დემოკრატიის სიმტკიცეს და ერთსულოვნებას და არა მის გათიშვას და მისი ძალების დაქსაქსვას! მაინცადამაინც კი არ უნდა გადააჭარბოთ!

— ამიერკავკასიის დემოკრატიის სოლიდარობა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საჭოების გარეშე თავის მოტყუილებაა! მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები განა ერთად მოსძოვენ?

კიდევ რამდენიმე წუთს იკამათეს კომისარმა და ალავიძემ, მაგრამ მათი შეთანხმება შეუძლებელი საქმე იყო. თითეულ მათგანს თავისი საკუთარი გზა ჰქონდა: ერთს სეიმისკენ, ხოლო მეორეს სეიმის წინააღმდეგ დანიშნულ მიტინგისკენ, ალექსანდრეს ბაღისკენ მიდიოდა.

როდესაც სამხედრო საქმეთა კომისარი წავიდა, დალაქმა ბენო ნაბიჭვრიშვილმა ალავიძეს განუცხადა, რომ მიტინგი დანიშნულია თერთმეტი საათისთვისო. მიტინგის დაწყებამდე ჯერ კიდევ ერთი საათი რჩებოდა.

საპირფარეშოდან ალავიძე ნელის ნაბიჯით გაუდგა გზას. როდესაც სოგბოროს მიუახლოვდა, სწორედ ამ დროს სასახლიდან გამოვიდა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე, მენშევიკების ბელადი. მოხუცი მიეჩქარებოდა საოპერო თეატრში დანიშნულ სეიმის გახსნაზე. მას დაეწია საშუალო ტანის ოფიცერი იმნაძე. საბჭოს თავმჯდომარე და ალავიძე მიესალმენ ერთმანეთს, მაგრამ იმნაძემ ტუჩზედ იკბინა, შეგნებულათ დაარიდა თვალი ალავიძეს და განზე გაიხედა. ეს გარემოება არ ესიამოვნა და ძალზედაც გაუკვირდა ალავიძეს. იმნაძე კარგად იცნობს მას და აი, ეხლა ათასი ფიქრი და იეჭვი დაებადა: „როგორ აეხსნა ოფიცერი იმნაძის საქციელი? რათ გასწია მან თავი განზე? ჩვენი შეხვედრა ყოველთვის მეგობრული იყო. მე გავიცანი ის 1915 წელს, სოფელ ლანჩხუთში. მაშინ იმნაძე ბოლშევიკთა რიგებში ითვლებოდა. იგი გვშველოდა ჩვენ მიტინგების მოწყობაში მე-218-ე ლეგიონის ათასეულში, საპირის ქუჩაზე. მაგრამ ათასეულის განიარაღებისა და რუსეთში წასვლის შემდეგ, იმნაძე შემხვდა და განიცხადა, რომ ლენინელთა სასტიკ, შეურიგებელ პროგრამას არ ვიზიარებ და ამიერიდან მემარჯვენე ბოლშევიკი ვარო.. მაშინ მე ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. მაგრამ ეხლა? შესაძლოა ის მოწინააღმდეგეთა ბანაკში გადავიდა და ამიტომ დაირცხვინა და ამარიდა თვალი?! რა ვიცი? იმნაძე ყოველთვის კეთილსინდისიერი და მკვირცხლი ახალგაზრდის შთაბეჭდილებას სტოვებდა!“— ჰფიქრობდა ალავიძე და უკან მოიხედა: იქნებ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მორიგი პრავაკაციის მოწყობა და იმნაძემ საიდუმლო გამიმხილოსო, მაგრამ იგი განაგრძობდა სვლას და უკან აღარ მოუხედნია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ბესო ალავიძე შევიდა ალექსანდრეს ბაღში.

სამუსიკო ესტრადასთან, რომელიც ეხლა ტრიბუნის როლს ასრულებდა უკვე მოსულან ორასამდე მუშა და კერძო მოქალაქენიც. ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, აღელვებულის ხმით ლაპარაკობდნენ მთავრობის შავრაზმულ რეპრესიების შესახებ და შამქორის ამბებს იგონებდნენ. ხეზე მიყუდებული იყო წითელი დროშები.

ალავიძემ დაინახა, ფარნაოზ საღარაძე, ვანო მახათაძე და ბევრი სხვა, ამ ჟამად ცოცხალი, დამსახურებული და საპასუხისმგებლო ადგილებზე მომუშავე ამხანაგები. ისინი მიესალმნენ ერთმანეთს. ვანო მახათაძე ძალზე გამხდარი მოეჩვენა ალავიძეს:

— შენ, კაცო, ავად ხომ არა ხარ?

— ცოტა. ისე. გვერდები მტკივა..—უპასუხა მახათაძემ, გამხდარი მხრები აიჩეჩა და მაზარა ისე ჩამოეკიდა მხრების ძვლებს, როგორც კაჩხაზე.

— მერე? თავს გაუფრთხილდი და მოუარე!

— რა დროს ეგაა?—უპასუხა წყენით მახათაძემ და ტრიბუნასთან შეგროვილ მუშებს და წითელ დროშებს გაჰხედა. სოციალურ უკუღმართობასთან ბრძოლაში გამობრძმედილ მახათაძის წყენა გასაგები იყო. მას სწამდა მთელის თავის არსებით და გატაცებით მხოლოდ ერთი იდეალი და ეს იდეალი იყო რევოლუციისა და მუშათა კლასის საქმე. ამ დიადი საქმის სამსახურში მას არ ახსოვდა თავისი პირადი მე. რევოლუციურ ბრძოლაში ჩამოყალიბდა მისი ხასიათი: მტკიცე, ურყევი, დაუნდობელი მტრისადმი და მეორეს მხრივ: უანგარო და თბილი გრძნობებით აღსავსე მეგობრისადმი.

მუშები მოდიოდნენ ალექსანდრეს ბაღში მადათოვის ქუჩით. ვანო ჰხედავდა დროშებს და ისმენდა რევოლუციურ სიმღერებს, ლოზუნგების ძახილს. მისი მოთეთრო თვალები აენთნენ. გამხდარ და გრძელ კისერზედ კომშის ხის წნელივით დაგრეხილი ძარღვი გაიბერა, სისხლით აღივსო, გაშავდა და გამალებით ბგერდა.

დღეს გაიფიცა ტფილისის მუშების დიდი ნაწილი. მუშები მოდიოდნენ ალექსანდრეს ბაღისკენ სათითაოდ და ჯგუფ-ჯგუფადაც. რკინისგზელების პროცესია ჯერ კიდევ არ მოსულა. იგი გზადაგზა აწყობდა მფრინავ მიტინგებს, ისმოდა ძახილი: „ძირს ამიერკავკასიის სეიმი". მიტინგზე დამსწრენი აღტაცებით შეეგებნენ რკინისგზის მუშების მოსვლას. ეხლა მიტინგზე იქნებოდა 2 ათასზე მეტი კაცი. აქ იყვნენ მუშები, ქალები და ბავშვები.

ტრიბუნის წინ მრავალრიცხოვანი ხალხი შეგროვდა. მუშებმა მოითხოვეს მიტინგის გახსნა. მიტინგის ხელმძღვანელნი და ორატორები ტრიბუნაზე ავიდნენ. მიტინგის თავმჯდომარის კანდიდატურა მიღებულ იქნა და თავმჯდომარემ გახსნა მიტინგი შემდეგის სიტყვებით:

— ამხანაგებო, დღევანდელი მიტინგი მოწვეულია პროტესტის გამოსაცხადებლად იმ უმსგავსო რეპრესიების გამო, რომელსაც მენშევიკების მთავრობა

შიმართავს ბოლშევიკების მიმართ. მენშევიკების და ესერების [illegible] ანუ-
კითხავათ ატუსაღებენ ბოლშევიკებს ტფილისში და ტფილისის გარეშეც — პრო-
ვინციაში. გუშინ მათ გაჩხრიკეს, დაარბიეს და დაკეტეს ბოლშევიკების გაზე-
თები: „კავკასკი რაბოჩი“, „ბრძოლა“ და „ბანვორი კრიე“; რედაქციაში მყოფი
თანამშრომლები დაატუსაღეს. აი, ყველა ამ კონტრრევოლუციონურ მოქმედე-
ბათა წინააღმდეგ მოწვეული იქმნა ეს მიტინგი. მოგიწოდებთ: დაიცავთ სიმშვიდე
და წესრიგი. არ წამოეგოთ პრავაკაციის ანკესზე. სიაში ჩაწერილია ორატორთა
მთელი რიგი. სიტყვა ეძლევა ამხ. ოვანესიანცს“.

ოვანესიანცი და შემდეგი ორატორი სტეპანიანციც აცხადებდნენ პრო-
ტესტს ზემოაღნიშნულ რეპრესიებისა და მთავრობის მიერ ჩადენილ უმსგავსოე-
ბათა წინააღმდეგ და მოითხოვდნენ ბოლშევიკ ტუსაღების განთავისუფლებას
მეტეხიდან. ორატორები თავს ესხმოდნენ ამიერკავკასიის სეიმს და იძახდნენ:
„ძირს ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონური სეიმი!“

მიტინგზე გამოვიდნენ ესერებიც. ისინი ჰგმობდნენ მთავრობის მიერ სო-
ციალისტური გაზეთების დახურვას, რეპრესიებს, მაგრამ თავის სიტყვას ორეო-
ფულ და შემთანხმებელ სამოსელში ჰხვევდნენ. ერთის მხრივ ისინი იწონებდნენ
ბოლშევიკ ორატორთა სიტყვას, ხოლო მეორეს მხრივ მოუწოდებდნენ ხალხს
დაჰრიდებოდნენ სამოქალაქო ომსა და სისხლის ღვრას. ასეთ მათ გამოსვლას
მუშები და ჯარასკაცები ეგებებოდნენ სტვენით და ძახილით: „ძირს შემთანხმე-
ბელნი. გაიხსენეთ შამქორის სისხლი! შამქორი, შამქორი!“

მიტინგი მოითხოვდა დატუსაღებულ ამხანაგების ეხლავ განთავისუფლებას
და დახურული გაზეთების გახსნას.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე მე-303 ვერსიდან ჩამოსული ჯარისკაცები:
დრაჩენკო, დუბენკო და სხვანი. ფრონტიდან შინ მიმავალი ეშელონების წარ-
მომადგენელი დრაჩენკო ამბობდა:

— ამხანაგებო, მე-303 ვერსზე დღეს დგანან ეშელონები. ისინი სრულია-
დაც არ ემუქრებიან ტფილისის მშვიდობიან მოსახლეობას. ეშელონების სურ-
ვილია სამშობლოში დაბრუნება. ისინი ღებულობენ ყოველგვარ ზომებს, რომ
სათანადოთ მომზადებული გაეშურონ შინისკენ და გაიარონ უხიფათოდ მეტად
საშიში მუსულმანური რაიონები—აღსტაფა, შამქორი, განჯა... მაგრამ თუ ამიერ-
კავკასიის მთავრობა მუხანათურად თავს დაგვესხა და დაჰღვარა ჩვენი სისხლი,
ისე როგორც ეს მან შამქორში და სხვაგანაც ჩაიდინა,—მაშინ მე-303 ვერსი
იტყვის თავის სიტყვას!

ხალხში ტაშისცემა და ჩოჩქოლი ატყდა. აქა-იქ გაჩხერილმა მთავრობის
ჯაშუშებმა და აგენტებმა ჩურჩული დაიწყეს:

— ესენი პირდაპირ გვემუქრებიან!

— ჩვენ კი არავითარ ზომებს არ ვიღებთ!?

— წადი და იმსახურე ასეთი მთავრობის დროს საიდუმლო განყოფილებაში?

— აქ „ინტელიჯენ სერვიზისა“ და „სკოტლანდ იარდის“ მუშაობაც უნა-
ყოფოდ ჩაივლის!—სთქვა აგენტმა; გაცვეთილი კეპი და ყალბი ულვაშები გაის-
წორა; ჯიბეში ხელი მოუჭირა ბრაუნინგის კონდახს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსადრეს ბაღის კარებთან და ირგვლივ იდგნენ თოფიანი მილიციელნი. ისინი ბაღში უშვებდნენ ხალხს, ხოლო იქედან გამოსვლის ნებას აღარავის აძლევდნენ. ამრიგად მიტინგი ჩაკეტილი ალმოჩნდა.

ბოლშევიკ ორატორების სიტყვებით გაბრაზებულმა აგენტმა წინადადება მისცა მილიციელს დაეშალა მიტინგი, მილიციელი უხეშად მიიჭრა ტრიბუნასთან და ორატორებს შეაგინა. აღელვებულმა მუშებმა და ჯარისკაცებმა წაართვეს მას თოფი, მიტინგის თავმჯდომარის თხოვნის თანახმად თოფი ტრიბუნაზე აიტანეს და განიარაღებული მილიციელი ორი ამხანაგის თანხლებით გაისტუმრეს კომისარიატში.

დრაჩენკოს შემდეგ გამოვიდა სარაყამიშის სამხედრო რევოლუციურ კომიტეტის წარმომადგენელი დუბენკო. ისიც მე-303 ვერსის შესახებ ლაპარაკობდა. აი, სწორედ ამ დროს ჩამოვიდნენ ბაღში კორნელი და სანდრო ხოტივარი. ამათ დაინახეს მახათაძე. კორნელიმ გაუღიმა და სალამის მიცემა გააპირა, მაგრამ მახათაძემ ზიზღით განზე გაიხედა.

სანდროს ეწყინა და კორნელის უსაყვედურა:

— თავი გაანებე. რას ეტენები?

— სრულიად ვერ წარმოვიდგენდი თუ ასეთი იყო!

— ეხლა მაგონდება მაგის სიტყვები შამქორში. მახათაძე ზურისძიებისთვის არის მოსული ამ ქვეყნად. თუ მოახერხა საკუთარის ხელით გაგვათავებს!

— ხედავ ამ მამაძაღლს, პატივისცემა კი ვერ შეიშნო?!

კორნელის და მახათაძის თვალები შეხვდნენ ერთმანეთს ბრაზით.

— მიკვირს რატომ აძლევენ ამ ხალხს ლაყბობის უფლებას? რად არ გარეკავენ აქედან?—სთქვა სანდრომ. ჯარისკაცებმა და მუშებმა აჰხედ-დაჰხედეს ოფიცერივით გამოპრანჭულ არტილერისტებს და აღრენით შენიშნეს:

— სად მიძვრებით?

— შენ თითონ მიძვრები!—შეუტია კორნელიმ და ერთ მათგანს მკერდზე იდაყვი მიაბჯინა. სანდრომ თვალები რისხვით მიაპყრო და დატუქსა:

— მე შენ გაჩვენებ გაძვრენა როგორ უნდა, ტუტუცო!

— აბა, შეაჩერეთ „ტროიკა“!—დაუძახეს ჯარისკაცებმა მათ.

კორნელის მოაგონდა რევოლუციის შემდეგ ტფილისის გარეუბანში მოწვეული პირველი მიტინგი. ის მაშინ უკანასკნელი კლასის მოწაფე იყო და ამდენ ხალხში გაჩხერილი თავს უხერხულად და ობლად გრძნობდა. ეხლა თავისთავს ამ ათას კაცთა თავებზე მეტად აფასებდა და თავი ნამდვილ გმირად მიაჩნდა. ასეთი ცვლილება მოხდა მასში ამ ორი წლის განმავლობაში. ასეთი ცვლილების მოხდენას ხელს უწყობდა ის წრე, რომელშიაც კორნელი ტრიალებდა—ესტატე მაჩაბელის ბინა, გრიგოლ მეგრელიშვილი, პლატონ ცრუავა და უკიდურესი ინდივიდუალიზმით გატაცება. კორნელიმ ირონიული ღიმილით გადახედა მუშათა და ჯარისკაცთა ათას თავებს. ისინი გულდასმით უსმენდნენ ორატორს. დუბენკომ ბუხრის ქუდი მოიხადა, მაზარა გაისწორა და გოლიათის ხმით სჭექა:

— მე-303 ვერსზე დგას რვა ლეგიონი. ლეგიონებს დიდი სურვილი აქვთ წამოვიდნენ ტფილისზე და დაამხონ ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონური მთავრობა. სამხედრო რევოლუციონური კომიტეტი და პარტიული ამხანაგები აკავებენ ეშელონებს და წინ ელობებიან მათ ასეთ სურვილს. მაგრამ—დაასრულა სიტყვა მუქარით დუბენკომ—თუ ამიერკავკასიის მთავრობამ კვლავ გაიმეორა თავდასხმა და დაჰლვარა ჯარისკაცთა სისხლი, ისე როგორც ეს მან შამქორში ჩაიდინა, თუ ეშელონებზე მოახდინეს ძალადობა და გაგრძელებულ იქნა რეპრესიები მუშათა პრესის და პარტიულ ამხანაგების მიმართ,—მაშინ შესაძლებელია ვერც ჩვენ დავაკავოთ ეშელონები და მე-303 ვერსზე მდგარი ჯარისკაცები შემოუტევენ ტფილისს!—სთქვა დუბენკომ და ძლიერი მუშტი ჰაერში გაიქნია.

დუბენკოს სიტყვას მიტინგი შეეგება ტაშისცემით და ყვირილით: „გაუმარჯოს საბჭოებს!“

კორნელიმ ხელი ჰკრა სანდროს:

— ვინ არის ის ოფიცერი?

ტრიბუნის კიბეზე ადიოდა ექსელბანტებით მორთული ოფიცერი.

— ქალაქის კომენდანტის ადიუტანტი!—უპასუხა სანდრომ. ადიუტანტმა მიჰმართა მიტინგის თავმჯდომარეს:

— თანახმად ქალაქის მცველი შტაბის უფროსის განკარგულებისა, მიტინგი ქალაქსა და მის მიდამოებში აკრძალულია! გთხოვთ ეხლავე დაშალოთ მიტინგი.

— ადიუტანტო, ასეთის ბრძანებით და კილოთი თქვენ შეგიძლიათ ვისაც გნებავდეთ იმას მიჰმართოდ. მე კი არა ვარ ჩვეული ბატონთა ბრძანების შესრულებას.—ხალხში ჩოჩქოლი შეიქნა. მრავალი მიაწყდა ტრიბუნას. კორნელი და სანდროც გაიქცნენ წინ, რომ მოესმინათ მიტინგის თავმჯდომარის და ადიუტანტის შორის გამართული დიალოგი. თავმჯდომარე ეუბნებოდა ადიუტანტს:

— მართალია, თქვენ მე ვერ მიცნობთ, მაგრამ ისინი ვინც თქვენ ჩემთან გამოგგზავნათ, ძალიან კარგადაც მიცნობენ. მაშ, წადით, ადიუტანტო, და მოახსენეთ მათ, რომ მიტინგის თავმჯდომარე არის..—და თავმჯდომარემ უთხრა მას თავისი ვინაობა.

— მე შევასრულე ჩემი მოვალეობა! აწ კი, როგორც გნებავდეთ!—უპასუხა ადიუტანტმა და წასვლა დააპირა... ალავიძემ მიაძახა:

— აქ თავშეყრილი არიან მშვიდობიანი მოქალაქენი. გარანტია მოგვეცით მხოლოდ, რომ პრავაკაცია არავინ მოგვიწყოს!

— მესმის!—უპასუხა ისევ ცივად ადიუტანტმა და ტრიბუნის კიბე ჩამოირბინა. ის იყო მხარბეჭიანი და ზორბა ვაჟკაცი. ადიუტანტმა გააპო ხალხი და ის იყო ბაღის კარებიდან უნდა გასულიყო, როდესაც მას დაეწია სანდრო და კორნელი.

— ბატონო, ადიუტანტო, რასა ჰგავს ეს?—შეეკითხა სანდრო.

— თქვენ აქ რა გინდათ?—გაუკვირდა ადიუტანტს, მაგრამ არ შეჩერებულა. კორნელი და სანდრო ფინიებივით მისდევდნენ მას.

— ჩვენ შემთხვევით ჩავედით ბაღში. ალმაშფოთებელი ამბავია. საკართველოს დედაქალაქის შუაგულში გამოდიან ვიღაც დეზერტირები და შეხვეს ვერსით გვემუქრებიან!—დაასმინა მიტინგი სანდრომ.

— ვიცი..—მოუჭრა ადიუტანტმა — მოშორდით აქაურობას. მაგათ ჩვენ დედას ვუტირებთ!—სთქვა მან და თითქმის სირბილით გაეშურა საკომენდატოსკენ.

* * *

კორნელი და სანდრო ამოვიდნენ გამზირზე. სასახლისა და საოპერო თეატრის შორის განუწყვეტლივ დაქროდნენ ავტომობილები, რომელშიაც ისხდნენ ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატები. კორნელიმ და სანდრომ თვალი მოჰკრეს ერთერთ ცნობილ მენშევიკს. არტილერისტებმა მხედრული სალამი მისცეს. მან უპასუხა თავის ოდნავი შერხევით და ალექსანდრეს ბაღში გამართულ მიტინგისკენ გაიხედა. შოფერმა ისარივით გაუშვა მანქანა. კორნელიმ და სანდრომ თვალი გააყოლეს მგზავრის გამხდარ კისერსა და შეხუნებულ შლიაპას. სასტუმრო ორიანტთან ავტომობილში მსხდომს გაეჭიმა და სალამი მისცა ადიუტანტმაც. შემდეგ ადიუტანტი კომენდანტის სამმართველოში შევარდა და ქალაქის მცველი შტაბის უფროსს ვერეშჩაკს მოახსენა, რომ მიტინგი დაშლაზე უარს აცხადებსო.

— მე მათ ვაჩვენებ სეირას!—წამოიძახა ვერეშჩაკმა და ალმასრულებელ ბიუროში გასწია.

ბიუროში იყვნენ: ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე, ისარივით გასროლილ მანქანაში მსხდომი პირი, და მთავრობის ზოგიერთი წევრები..

კარები შემოანგრია ულვაშებგადაგრეხილმა, ჩასუქებულმა გვარდიელმა ამბროსი ძნელაძემ და დაფეთებული თვალებით მორთო ქაქანი:

— ამხანაგებო, რას გაეს აი, ერთი მითხარით? ახლავე დაშალეთ მიტინგი, თვარა მერე რაღა დროის იქნება!? ხალხი მატულობს. რუსი სალდათები ჩივიენ: ეშელონებს წამოვიყვანთ და ქვას-ქვაზე არ დავტიებთ ამ არე-მარეზეო!..

— ვერაფერსაც ვერ დაგვაკლებენ! — დაამშვიდა გვარდიელი მთავრობის თავმჯდომარემ.

— რა ვიცი, კას აფერს იზმენ ბოლშევიკები, ნუ გეშინია?!

გვარდიელის ამბროსი ძნელაძის შემდეგ შემოვარდა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი და დაიძახა:

— მიტინგმა ვაანიარაღა ჩემს მიერ გაგზავნილი მილიციელი. მიტინგი აპირებს მეტეხზე გალაშქრებას, ტუსაღების განთავისუფლებას.—ეს კაცი იყო საიდუმლო განყოფილების აგენტი.

განუწყვეტლივ შემორბოდენ აქელებული გვარდიელები, სხვადასხვა თანამდებობის პირნი და შეშინებული მოქალაქენი ბიუროში. საშინელი ჭორები მოჰქონდათ მათ ალექსანდრეს ბაღიდან. ოთახში იდგა ყაყანი. ყველა თავის მოსაზრებას გამოსთქვამდა, თუ რა ზომები უნდა მიეღო მთავრობას მიტინგის წინააღმდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შესწყვიტეთ ეს ბაზარი!—დაიძახა მრისხანე კომისარმა და ხუთმეტი ხალხი ოთახიდან გარეკა.

ამ დროს შემოვარდა ვერეშჩაკიც. მაღალი ტანის და გამხდარი კომისარი მიიჭრა ქალაქის მცველ შტაბის უფროსთან და ხმა მაღლა მიჰმართა:

— მიტინგი არ უნდა გამოვიდეს ალექსანდრეს ბაღიდან სადემონსტრაციოთ! ჩვენ ამას ვერ დაუშვებთ ამიერკავკასიის სეიმის გახსნის დღეს! ეს იქნება უდიდესი სკანდალი! ყოველივე ამას მოჰყვება სამწუხარო შედეგები. რა ზომები მიიღეთ თქვენ ამისთვის?—კომისარი აღიმართა ვერეშჩაკის წინაშე მთელის თავისი ნებისყოფით, სისასტიკით, როგორც მბრძანებელი.

ქალაქის აღმასკომის რწმუნებულმა რებრუხმა შეხედა მის მრისხანე სახეს, ზედ ურყევი გადაწყვეტილება წაიკითხა, შეშინდა და წაილულლულა:

— მე ვფიქრობ მიტინგის ძალით გარეკა არ არის საჭირო!

— მე საჭიროდ მიმაჩნია და გთხოვთ ჩემს მოვალეობაში ნუ ჩაერევით!—არც კი დაუმთავრებია ბატონის ერდგულ მონას, ვერეშჩაკს თავისი სიტყვა და ოთახში ადიუტანტი ყიფიანი, შტაბს-კაპიტანი ავაკიანი და რამდენიმე საშხედრო პირი შემოსცვივდნენ.

— მიტინგზე ყოფილა შაუმიანი და კუზნეცოვი..

— მიტინგის შემდეგ ბოლშევიკები აპირებენ ქალაქში გამოსვლას..

— სეიმის გარეკას..

იძახდნენ ოფიცრები.

— მოქალაქენო, პანიკას ნუ შეეგმნით!—სთქვა აუღელვებელის ხმით და სრულიად მშვიდი სახით მთავრობის თავმჯდომარემ.

— მოითმინეთ!—დაიძახა ისევ მრისხანე კომისარმა—როგორ შეიძლება ამის მოთმენა? მაშ, მოდით ჩვენ თითონ მივატოვოთ აქაურობა და ჩავაბაროთ იმათ ძალა-უფლება! რასა ჰგავს ეს?—სიჩუმე ჩამოვარდა. კომისარმა პალტოს ჯიბეში ჩაიწყო ხელები და ჩქარის ნაბიჯით გაიარა რამდენჯერმე ოთახში. შემდეგ ისევ დაიწყო:

— ცილისმწამებელნი ავრცელებენ ხალხში ათასგვარ სიცრუეს! შხამსა და გესლს ანთხევენ, აგინებენ და ათრევენ ამიერკავკასიის „რევოლუციონურ დემოკრატიის“ (?) მიერ არჩეულ მთავრობას! ვიგინდარები მოუწოდებენ მიტინგს „რევოლუციონურ დემოკრატიის“ (?) ორგანოების დამხობისაკენ! ემუქრებიან „რევოლუციონურ დემოკრატიას“ (?) ანარქიით, ეშელონებით, სისხლით და ტყვიით. ჩვენ კი ამ დროს არავითარი ზომების მიღებას არ ვაპირებთ!.—ცხარობდა კომისარი, ამხანაგებს მრისხანედ გადაჰხედა და კიდევ უფრო აუწია ხმას და უყვირა ვერეშჩაკს:

— ეხლავე უნდა გარეკოთ მიტინგი, ყოველ მიზეზის გარეშე!

— მესმის!—უპასუხა ვერეშჩაკმა.

ხანმოკლე თათბირის შემდეგ ქალაქის მცველი შტაბის უფროსი დაქალნებით გავიდა ბიუროს ოთახიდან. ხოლო მთავრობის წევრნი კვლავ სეიმისკენ გაეშურნენ.

შტაბის უფროსმა ვერეშჩაკმა გამოიძახა სამი ოფიცერი: რეზაძე, ფილიანი და ნაკოლაძე. ვერეშჩაკის განკარგულების თანახმად ოფიცრებმა გამოიყვანეს 75 გვარდიელი და ტყვიაფრქვეველიც მოიმარაგეს. ამ რაზმს გაჰყვა ალექსანდრეს ბაღში აგრეთვე ქალაქის საბჭოს აღმასკომის წევრი, შტაბს-კაპიტანი ავაკიანი.

ამ ავაკიანს დაევალა შაუმიანის და კუზნეცოვის გამონახვა და მათი დატუსაღება.

როდესაც კორნელი და სანდრო სასტუმრო „ორიანტს" გაუსწორდნენ, კორნელიმ დაიძახა:

— შეხედე!

— ???

* * *

შტაბიდან და სასახლიდან გამორბოდნენ ზორბა, მსუქანი და აქელებული გვარდიელები. ზოგ მათგანს ღიპიანს მუცელზე ეკიდა ხანჯალი ყასბის დანასავით. წელზე ფალასკები შამოეკრათ და ვაზნებით სტენიდნენ შაშხანა თოფს. ბევრ მათგანს ვერც კი მოესწროთ მწვანე წვივსახვევის გაკეთება და ყვითელი ფეხსაცმელის ზონარის შებნევა. ზოგ მათგანს არც კი ეცვა მაზარა და ასე მოუმზადებლათ და აჩქარებით მიძუნძულებდნენ მიტინგის გასარეკად დანიშნულ რაზმის რიგებში ჩასადგომად..

ცა იყო მოღრუბლული.

სასახლის წინ და გამზირზე მოსეირნე ხალხი შეჩერდა. აქა-იქ შეჯგუფდნენ და ასე უცქერდნენ გვარდიელების ფუსფუსსა და სამზადისს.

რაზმი მიდიოდა „წითელი" დროშით. როდესაც ბარიატინსკის ქუჩას მიუახლოვდნენ, გვარდიელებმა ნაბიჯი შეანელეს; რიგებში მდუმარება ჩამოვარდა და გულმა უფრო ჩქარა იწყო ძგერა.

— რა ამბავია?

— არ ვიცი!

— საით მიდიან?

— ეშმაკმა იცის.

— მიტინგის გასარეკად!—სთქვა გარკვევით მოქალაქემ.

რაზმი მიდიოდა ეხლა ნელა და მდუმარეთ; მიდიოდა ფეხაკრეფით, თითქოს მიპარვით და შეუმჩნევლად უნდა გაიაროს მეტად საშიში, თვალით ხილული გზა, რომელსაც მტერი ზვერავს, ხელის გულივით ხედავს, მიზანზე იღებს და ესეც არის ყუმბარები უნდა დააყაროსო!

რაზმმა გამზირიდან ბარიატინსკის ქუჩაზე გადაუხვია და ალექსანდრეს ბაღის კარებს მიადგა.

ამ დროს მიტინგზე სიტყვას ამბობდა მოხუცი ბოლშევიკი და ძველი რევოლუციონერი. მოხუცი ჰგავდა მარქსს: ჭალარა, ხშირი და გრძელი თმა, წვერულვაში, ლურჯი, გამსჭირვალე მოლიმარი თვალები. მისი სიტყვა სავსე იყო ენამახვილობით, საღმთოწერილიდან მოტანილი შედარებით. მუშები და ჯარისკაცები ხარხარებდნენ.

მიტინგზე მოსულა, მრეცხავი ქალი მარინე ნატროშვილიც, მარინეს აგონდება შამქორში დაღუპული შვილი პეტო, წყევლა-კრულვას უთვლის მის მკვლელთ. მოსწონს ორატორების სიტყვები. მიუხედავათ უდიდესი გლოვისა, მოხუცი ორატორის სიტყვებზე, მარინემაც კი ოდნავი ღიმილით შესტეხა ბაგე. პეტოს საყვარელ ამხანაგს ვანო მახათაძეს გადახედა. ვანომ შენიშნა ხალხში მარინე, თავი დაუკრა და გაუცინა. მარინეს ისევ მოაგონდა პეტო და ამოიოხრა. „ვაი, შენს დედას, შვილო!"

მუშები და ჯარისკაცები ტაშის ცემით ეგებებოდნენ მოხუც ორატორს. მოხუცი ორატორი ამბობდა:

— ამხანაგებო, ამიერკავკასიის მთავრობამ გაკლიტა ბოლშევიკურად განწყობილი ეშელონები შამქორში! ამიერკავკასიის მთავრობამ მოახდინა ძალადობა ჩვენს პარტიულ ამხანაგებზე, დაატუსაღა ბოლშევიკები, დაარბია და დაკეტა ჩვენი გაზეთები „კავკასკი რაბოჩი", „ბრძოლა" და „ბანვორი კრივ", რევოლუციის მტრები გვდევნიან, გვატუსაღებენ, გვასახლებენ და გვანადგურებენ ჩვენ! ამხანაგებო, მენშევიკებმა კარგა ხანია რაც ულალატეს რევოლუციას! ისინი გამოეთიშენ რევოლუციონურ რუსეთს და ებრძვიან ბოლშევიკებს. მენშევიკური პარტიის ბელადის ყოველ სიტყვას ტაშისცემით და ოვაციებით ეგებებიან კაცისჭამია ნაციონალისტები, შოვინისტები, მემამულეები და ყოველი ჯურის კონტრრევოლუციონერები.. ამხანაგებო, მენშევიკების ბელადის ასეთი სახეცვლა არ არის გასაკვირი! თუ თითონ ღმერთიც კი სამსახოვანია: მამა, ძე და სული წმინდა, რატომ ადამიანს, ამ შემთხვევაში მენშევიკების პარტიის ბელადს და მოხუც პატრიარქს არ შეუძლია იყოს სამსახოვანი და ასე გამოეცხადოს საქართველოში არსებულ სამ კონტრრევოლუციონურ პარტიას? მენშევიკებს: მათ მიერ მოტყუებულ მუშებსა და გლეხებს? ნაციონალ-დემოკრატებს: კაპიტალისტებს, ვაჭრებს და მემამულეებს? ფედერალისტებს: ამ უჯარო გენერლებს, თავად-აზნაურებს, მღვდლებს და შოვინისტურ-მეშჩანურ ინტელიგენციას? ამრიგათ, ამხანაგებო, საღმთოსჯულის სიტყვები—ღმერთი ერთია და სამსახოვანია—მენშევიკების ბელადმა საქმედ აქცია!

გაისმა სიცილ-ხარხარი. ხალხი მხიარულ განწყობილებას მიეცა. ყვიროდნენ:

— სწორია!

— შეხედე შენ, დიდებული სიტყვა სთქვა!

* * *

მაგრამ ეს რაა?

ბალის კარებთან გამოჩნდა, დროშით, შეიარაღებული რაზმი!

გვარდიელები ბალში შემოვიდნენ და მიტინგიდან მოშორებით შეჩერდნენ. წინ დროშა ფრიალებდა, მაგრამ ვინც გვარდიელების სახე ახლოს იხილა, ავი განზრახვა ამოიკითხა და შეშინდა.

ეს იყო წუთი, და ვით უეცრად მოვარდნილი ქარიშხალისგან ატოკებული ტყე, მიტინგიც ასე შეირხა. მრავალი გაიქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტინგის თავმჯდომარემ იცნო ოფიცერი, შტაბს-კაპიტანი ინმნაძე და ტრიბუნიდან შეეკითხა:

— რა ამბავია?—ინმნაძემ გაიღიმა და ხალხს დაუძახა:

— არაფერია.. განაგრძეთ.. ნუ გეშინიათ.. ნუ გარბიხართ!—

თავმჯდომარე დარწმუნდა, რომ რაზმი არ მოსულა ბოროტი განზრახვით, რომ ინმნაძე ისევ ჩვენი ამხანაგი ყოფილაო და ხალხს მიჰმართა:

— ამხანაგებო, ნუ გეშინიათ, ესენი ქართული პოლკის ჯარისკაცებია, მოვიდნენ წითელი დროშით, სურთ შამოგვიერთდნენ ჩვენ და მოუსმინონ ჩვენს ორატორებს..

— მამა გიცხონდა!—ჩაილაპარაკა გვარდიელმა ბრაზით.

გაქცეული ხალხი ისევ დაბრუნდა; მუშები და ჯარისკაცები იძახდნენ: „ვაშა, ჩვენები მოვიდნენ! გაუმარჯოს!"

ქარიშხალმა გადიარა. ტრიბუნის წინ ისევ ზღვა ხალხი ტრიალებდა. მუშათა და ჯარისკაცთა თავებზე ფრიალებდნენ წითელი დროშები, როგორც ზღაპრულ ფრინველთა ფრთები. დროშებზე იყო მუშათა კლასის ბელადების სურათები.. წარწერები—„Заря Новой Свободы!."

ქარიშხალმა გადიარა. მაგრამ ბაღის კარებთან შეჯგუფული რაზმი გველის მურგვივით გაიშალა, გალავნისა და ხეივნის გასწვრივ გაცოცდა ნელინელ.

ხალხი ისევ შეკრთა და საშინელი პანიკა შეიქნა. მიტინგი კვლავ შეტორტმანდა, ამოძრავდა, ახმაურდა და ზღვის ტალღასავით გმინავდა.

გვარდიელებმა გადმოიღეს სასროლად მომზადებული თოფები. სათითაოდ გადაირბინეს და მიტინგს ალყა შემოარტყეს.

ასეთივე ალყა შემოარტყა მიტინგს მადათოვის, ვორონცოვის ხიდისკენ გაღებულ კარებში შემოსულმა რაზმმაც. ეს ორი რაზმი თითქმის ერთდროულად შემოვიდა ბაღში.

ბესო ალავიძის ყურში ვანო მახათაძემ საშინელი სიტყვა ჩაჰღვარა: „ლალატია!" ალავიძე შეტრიალდა, უნდოდა ჯარისკაცებისათვის მეგობრული სიტყვის თქმა, მაგრამ მხოლოდ ერთი სიტყვის თქმალა მოასწრო: „ამხანაგებო!" და მყისვე შტაბს-კაპიტანმა ინმნაძემ მისცა ნიშანი. გვარდიელების თოფებმა დაიჭექეს. ინმნაძეს ეცვა შავი ჩოხა. მარცხენა ხელი მაღლა აწვდილი დარჩენოდა, ხოლო მარჯვენა ფრინველის მოტეხილ ფრთასავით დაბლა დაჰკიდნია და ნაგანის ლულის ტუჩი, საიდანაც წეხან ერთი ტყვია გამოვარდა, ცისფერ კვამლს აბოლებდა. ინმნაძის სახე იყო გაფითრებული; თვალები: შიშისგან დაფეთებულნი. გვარდიელები ისროდნენ. პირველი დაშენა იყო მაღლა, უენებელი. მიტინგზე დამსწრეთაგანი ზოგი მიწაზე დაწვა და ზოგიც პუშკინის წიგნთსაცავისკენ გაიქცა. ეს უმთავრესად მიტინგზე შემთხვევით მოსული ხალხი იყო. მუშები და ჯარისკაცები კი ჯერ კიდევ ფეხზედ იდგნენ. მეორე დაშენა იყო ხალხისკენ უფრო ახლოს: ესტრადაზე მდგარ ხალხთა ყურებთან ტყვიებმა გაიზუზუნეს. ორატორი და სხვანი პირქვე დაემხვენ. მესამე დაშენა იყო გამყიდველი. მან იმსხვერპლა ერთი, ორი და სამიც... ხალხში წივილ-კივილი გაისმა. ტრიბუნა დაცარიელდა. მახათაძემ იყვირა:

— ნუთუ უიარაღო ხალხს ესვრიან?—ისიც ტრიბუნიდან გადმოხტა.

ტრიბუნაზე, რომელზედაც ეხლა აღარავინ იყო, იდგა მარტოოა ბესო ალავიძე. მისი თვალები ჩირაღდნებივით ანათებდნენ; სახის კუნთები ტკივილით თამაშობდნენ, თრთოდნენ და იკლაკნებოდნენ, თითქოს პირისახეზე სამართებელი დაუსვესო. იგი გაჰკიოდა:

— ნუ გეშინიათ.. გაჩერდით.. ნელა დაიშალეთ.. არა აქვთ უფლება ხალხს ესროლონ!. რასა შვრებით?!

„უფლებაზე" ლაპარაკი აქ ზედმეტი იყო, მაგრამ თავზარდაცემულმა ალავიძემ თითონაც არ იცოდა თუ რას სჩადიოდა.

პატარა სახლის კუთხესთან, ყუთზე გვარდიელმა ტყვიაფრქვეველი შესდგა. მაზარაში გახვეულმა ჯარის კაცმა მალე დაიწყო მუშაობა ორთავე ხელით. ალავიძემ მოჰკრა მას თვალი და მიწაზე დაწოლილ გვარდიელებსაც. ისინი ესროდნენ ხალხს. ეს იყო წამი. ალავიძემ ჩამორბინა ტრიბუნის კიბე და ისიც დაწვა ამხანაგებთან ერთად. ჩამორბენის დროს გაუხვრიტეს კეპი.

ტყვიაფრქვეველი კოდალის ნისკარტივით უკაკუნებდა ადუღებულ ტყვიებს ნელი ხის ტანსა და ტოტებს. მიტინგზე ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებს მოაგონდათ ბრძოლა ტყეში.

პოლკოვნიკი ნეველროვი იყო ხაზინაში. ფულის აღების შემდეგ ბაღით წამოვიდა. აქ მიტინგი დაუხვდა. სიტყვის მოსასმენად შეჩერდა და როდესაც შეიარაღებული რაზმი დაინახა, ხეივანი გადასჭრა და ბარიატინსკის ქუჩაზე გასვლა გააპირა. გვარდიელებმა შეაჩერეს იგი გადმოღებული თოფებით. ნეველროვისა და გვარდიელთა შორის ხანმოკლე გასაუბრება სწარმოებდა:

— მე თქვენი ვარ, საქმეზე მივდივარ, გამიშვით! — ეხვეწებოდა პოლკოვნიკი.

— შეჩერდით! — დაუძახეს გვარდიელებმა და ნეველროვს მხარში ტყვია დაეჯახა. პოლკოვნიკი მიწაზე დაწვა და კუსავით მიხოხავდა.

ტრიბუნასთან იწვა: ფარნაოზ საღარაძე, მახათაძე, ალავიძე და სხვანი. მახათაძის წინ მკლავში დაჭრილ დრაჩენკოს სისხლი სდიოდა. ბოლშევიკი ექიმის ახლოს მუშამ იყვირა და ფეხზედ ხელი იტაცა.. ტყვიამ ეაუხვრიტა მას მუხლი. გაფითრდა და საშინლად ჰკვნესოდა. ექიმმა შალვარის ტოტი აუწია. ჭრილობაზე დაჰხედა და იყვირა:

— მსკდომ ტყვიას ისვრიან!

ისმოდა ბავშვებისა და ქალების წივილ-კივილი; ამოძახილი:

— შესწყვიტეთ სროლა! უშველეთ დაჭრილებს!

აქა-იქ მოქალაქენი აფრიალებდნენ თეთრ ცხვირსახოცს.

იმნაძემ სასტვენი დაუკრა და სროლა შესწყდა. იმნაძე ძალზედ ჰლელავდა, მაგრამ ავაკიანი დარბოდა მაუზერით ხელში და მხეცივით ღრიალებდა:

— არ წამოდგეთ.. არავინ გაბედოს სროლა, თორემ ძალლივით გავათავებ. ყველას დავხოცავთ!—იგი მიიჭრებოდა ხან ერთთან, ხან მეორესთან, და სახეზედ აკვირდებოდა: შაუმიანს ეძებდა. ექიმმა სთხოვა მას დაერთო მისთვის ნება აღმოეჩინა დაჭრილთათვის დახმარება.

— დაეხმარებიან.. თქვენი საქმე არ არის!—დაიძახა შტაბს-კაპიტანმა ავაკიანმა და ტალახიანი ფეხი დააბიჯა დროშას, რომელზედაც „Заря Новой Свободы“.. მახათაძემ წამოავლო ხელი ფეხქვეშ გათელილ დროშას, ასწია, პირქვე დამხობილ მოქალაქეთა შორის გაიარა და გვარდიელთა რაზმისკენ წავიდა:

— სირცხვილი და შეჩვენება ჯალათებს! ვის ესვრით ტყვიას? მუშებს და ჯარისკაცებს?. ამ წითელ დროშას?—ჰყვიროდა თავშიშველი მახათაძე.

მას ეცვა მაზარა; მისი თვალები ქარით აფრიალებულ წითელ დროშასავით კიაფობდნენ.. მარინემ დაინახა გვარდიელების წინაშე პირისპირ წამდგარი ვანო. „ამასაც მოჰკლავენ ეგ ურწმუნოები!“—გაიფიქრა მან. ადგა და მისკენ წავიდა. ვანოს მქუხარე ყიჟინაზე წამოდგნენ მუშები და ჯარისკაცებიც. ბოლმისგა ნშუბლმოღუშულნი, დადუმებულნი და ფერმკრთალნი.

ქალთა კივილი, ბავშთა ტირილი და დაჭრილთა კვნესა დაჰფარა ვანო მახათაძის ყიჟინამ; გვარდიელები ფეხზედ წამოდგნენ, წინ იწევდნენ და ბრაზიანის თვალებით სჭამდნენ მახათაძეს. მუშათა წინა რიგები იხევდნენ უკან. მიტინგს ერტყმოდა თანდათან გვარდიელების რკალი. ყოველის მხრიდან ახლოვდებოდა ფათერაკი! ხალხი შეჯგუფდა, შეიკუმშა: მიტინგი შეიკრა და შეიკონა. მუშები და ჯარისკაცები, ბავშები და ქალები პერის ათასი თაველივით ჰღელავდნენ, თრთოლდნენ და შიშით ჰკანკალებდნენ; ნაუყმურევიანივით შფოთავდნენ, ხელებს იმტვრევდნენ და საკუთარის კბილებით ჰკბენდნენ საკუთარსვე დაკრუნჩხულ თითებს; ისმოდა ხალხის უმწეო ღმუილი სასაკლაოზე მიყვანილ საქონელივით:

— შეგვიბრალეთ!. რა გინდათ ჩვენგან?. გაგვიშვით აქედან!.—ეს იყო საშინელი წუთი: უიარაღო ხალხი და ჯალათები პირის-პირ იდგნენ! მახათაძე მაღლა აწეულ დროშით გაჰკიოდა მქუხარე სიტყვას. ჰქოლავდა მუშათა კლასის ჯალათებს..

ავაკიანი მივიდა გვარდიელთა რაზმის მედროშესთან. ვანო მახათაძეს შეაგინა და რევოლვერი ესროლა. ტყვია მოხვდა მახათაძეს მხარში; დროშამ მთვრალივით დაიწყო ბარბაცი და ვანო დაეცა მარინეს კალთაზე. თბილი სისხლით განოყილი პერანგი მიეწეპა მხარსა და ბეჭზე.

სროლა ისევ განახლდა. ხალხი კვლავ მიწაზე განერთხო. ზოგი ისევ გაიქცა. ალავიძემ იფიქრა: „იმნაძე და ავაკიანი პირადათ მიცნობენ და ალბათ გამათავებენ!“ წამოდგა, წელში მოიხარა და გაიქცა. მის ირგვლივ ტყვიები ხნავდნენ მიწას და ხეივანზე მტვერს აყენებდნენ. ალავიძე გადახტა გალავანზე და მახლობელ ეზოში შეავარდა.

— ამხანაგო, დამითმეთ თქვენი ქუდი!—მიჰმართა მან შეშინებულ სტუდენტს. სტუდენტმა იმავ წამს მოიხადა ქუდი და გადასცა. ალავიძემ გაირბინა „სალდათის ბაზარი“. ნაბიჯით წავიდა, სული მოითქვა და გაიფიქრა: „აი, რისთვის ამარიდა მე თვალი ამ დილით შტაბს-კაპიტანმა იმნაძემ?..“

ალექსანდრეს ბალიდან ისმოდა სროლა.

წვრილ-მესაკუთრე და ვაჭრუკანა გვარდიელებმა მიზანზე აიღეს მშიერი, გაძვალტყავებული მუშები და ჯარისკაცები. გასროლის გამო უკან-დახეულ თო-

ფის კონდახებს კიდევ უფრო აუწითლებიათ გვარდიელთა მსუქანი და—ბურა-
შაულ ვაშლივით ხაშხაშა ლოყები.

თხრილში გაწოლილნი ფურაქობდნენ.

ტყვიაფრქვეველი და თოფები გველჩიტისა და ურწმუნო კოდალის ნისკარ-
ტივით უკაკუნებდნენ ადულებულ ტყვიებს ნედლი ხის ტოტებსა და ტანზე. სცვი-
ვოდნენ ნაძვისა და ფიჭვის ნემსა ფოთლები, წიწვი, ტოტები, ქერქი და ხავსი.
სცვივოდნენ ცოცხალთა, დაჭრილთა და მკვდართა თავებზე..

მოხუც მუშას მოხვედრია ტყვია ყელში: სისხლი თუხთუხით წამოვიდა და
მიწაზე ტბორი დააყენა. ამხანაგს სურს მიცოცდეს, მაგრამ მის გვერდით წამო-
წეულ ყაბალახიან მეგრელს ტყვიამ თავი გაუხვრიტა.. ადგომა არ შეიძლება.
ყველა განართხული წევს დედამიწაზე. აგერ იყვირა ქალმა. დაჭრილი ჯარის-
კაცი წაიქცა; მისი ხელი დაეცა სისხლის გუბეში.

იმნაძემ ისევ დაუკრა სასტვენი და სროლა შენელდა; კანტი-კუნტად ის-
როდნენ. შემდეგ ესეც შეაჩერეს.

ნაზარეტიანმა და ციბაძემ ააყენეს დაჭრილი ჯარისკაცი და სცადეს
მისი ბალიდან გაყვანა.

— გაჩერდით, სად მიდიხართ ამ დაჭრილი ჯარისკაცით? თქვენც—დაუ-
ძახა ავაკიანმა ციბაძეს.—წამოდით ჩემთან!

ავაკიანმა ჩააბარა ისინი გვარდიელებს.

ამ დროს ნაზარეტიანთან მივიდა ქალაქის თავის მოადგილე ესერი მერ-
ხელევი.

— რა საშინელება ჩაიდინეს? რა უბედურებაა!? წამოდით, გავიდეთ ბა-
ღიდან! ვერავინ გაბედავს ჩემთან თქვენ დატუსაღებას!

ნაზარეტიანი გაჰყვა მას მადათოვის ქუჩისკენ. როდესაც ისინი პატარა
ეკლესიას მიუახლოვდნენ ავაკიანმა დაუძახა მერხელევს:

— სად მიგყავთ თქვენ ნაზარეტიანი?

— რა გინდათ ამ კაცთან? მე მას ერთი ნაბიჯითაც არ მოვშორდები.
გაქვთ თუ არა თქვენ ბრძანება მისი დატუსაღების შესახებ?—განრისხდა მერ-
ხელევი.

— ეს თქვენი საქმე არ არის!

— ვინ არის თქვენი კომანდირი?

— დაბრუნდით!—ავაკიანმა წამოიყვანა ისინი უკანვე. მათ შეუერთდა
ციბაძეც.

ბალიდან ხალხი გაიქცა., მიჰქონდათ მკვდრები და დაჭრილები.. მერხე-
ლევმა განუცხადა ავაკიანს:

— მე ამათ დაუდგები თავდებათ! თუ დასატუსაღებელი არიან, თითონვე
გამოცხადდებიან!..—შემდეგ ნაზარეტიანს მიჰმართა:—მომეცით სიტყვა!

— სიტყვას გაძლევთ!—უპასუხა მან.

— წადით, წადით, მხოლოდ აი, იმ კარებიდან!—მიათითა ავაკიანმა ბა-
რიატინსკის ქუჩისკენ.

მერხელევი გამოემშვიდობა გამზირზე ბოლშევიკებს და ეს-ეს-თეატრისკენ წავიდა. სეიმზე ის შეხვდა ამხანაგებს და აღშფოთება გამოსთქვა მიტინგის დახვრეტის გამო. ამ დროს მოვიდა ქალაქის მცველი შტაბის უფროსი ვერეშჩაკი და მერხელევს უყვირა:

— რისთვის ერევით თქვენ სხვის საქმეში, როდესაც ამას არავინ არ გთხოვთ?! რათ გაუშვით თქვენ, ნაზარეტიანი?

— დიახ. მე გაუშვი ის. თუ გნებავთ დამატუსაღეთ!

— კიდევაც დაგატუსაღებთ. თავი უნდა გაეტეხათ თქვენთვის იქ ბაღში..

ვერეშჩაკი განრისხებული იყო იმ გარემოებით, რომ მისი გეგმა ბოლშევიკების ხელმძღვანელთა დატუსაღების შესახებ ვერ განხორციელდა.

* * *

ასე დასრულდა ბოლშევიკების მიტინგის დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში.

ბაღის გვერდით ჩაიქროლა მათრახებით, თოფებით და თქარათქურით ცხენოსანმა რაზმმა.

დღე იყო ღრუბლიანი.

დაჰლამდა.

მუშათა და ჯარისკაცთა სისხლით შელებილი ბაღი დაცარიელდა. შიგ არავინ იყო. სდუმდა მიტინგისათვის ამართული ტრიბუნა. მიწაზე ეყარა: ფეხქვეშ გათელილი, გატალახიანებული და დახეული წითელი დროშები სოციალიზმის მოციქულთა სურათებით, მახათაძის ხელითგან გავარდნილი „Заря Новой Свободы", ტრიბუნასთან—დახეული გაზეთები და ჯარისკაცების მიერ ნაჩიჩქნი სემიჩკის ნაჭუჭები...

უფოთლო ხეთა მწვერვალებს ესეოდნენ ყვავ-ყორნები და თავსდასჩხაოდნენ ალექსანდრეს ბაღს, მუშათა სასახლეს, მადათოვის კუნძულს, მტკვარის ტივებიან ნაპირს და მახათას მთებს.

გლოვიარე ჭირისუფლებივით ასუდრული გუნდისა და კვიპაროზის ხეები შიშით ცახცახებდნენ.

პუშკინის ძეგლი შემალულა ნაძვის ხის ტოტების ქვეშ. აღარ მოსჩანდა მგოსნის მაღალი, მადლიანი შუბლი და წარწერა:

„Товарищ, верь: взойдет она.
Заря пленительнаго счастья.."

მტარვალი ზეიმობდა გამარჯვებას და არ უწყიდა, რომ მუშათა დანთხეული სისხლი, ადრე თუ გვიან, უნდა გაშლილიყო როგორც ყაყაჩო და ჩვენი ქვეყნის მთებსა და მიდამოზეც დაიწერებოდა წამიერ დახეული და ფეხქვეშ გათელილი დროშის სიტყვები!

XXIII

ოგის მოლოდინში

ამიერკავკასიის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული უკმაყოფილება და მღელვარება დღითიდღე იზრდებოდა, რასაც ხელს უწყობდა ბოლშევიკების აგიტაცია პრესაში და მიტინგებზე.

ეშელონების შიშით შექმნილი მთავრობის გასაჭირი, შაქრიანი შეკრწუნებელი ამბები, მიტინგის დახვრეტა ალექსანდრეს ბაღში და ბოლოს ბოლოს: ქალაქსა და სოფლად გამეფებული მღელვარება მენშევიკურ პრესაში იშვიათად თუ ჰპოებდა გამოხმაურებას. თითქოს ყველაფერი თავის რიგზედ ყოფილიყოს?! მთავარი ყურადღება გადატანილი იყო საგარეო პოლიტიკაზე: ოსმალეთის შემოტევაზე.

ყაზარმაში კვლავ განაგრძობდა სვლას მოსწავლე ახალგაზრდობა, მაგრამ ეს იყო წვეთი ზღვაში და თავის მოტყუილება: სახელდახელოდ შემდგარი ჯარი ოსმალეთის არმიას ვერ გაუმკლავდებოდა!

ხელოვანი დიპლომატიისა და ამ საქმით ადრევე სახელგანთქმული და ცნობილი ოსმალეთი გრძნობდა ამ გარემოებას და ამიერკავკასიის მთავრობის არც ერთი სისუსტე არ გაპარვია ზხედველობის არედან. დაწყებული 1917 წლის ნოემბრიდან, დღიდან კავკასიის არმიის სარდლობასთან საზავო მოლაპარაკების წარმოებისა,—ოსმალეთი ურყევის ნებისყოფით ანხორციელებდა თავის მიზანდასახულებას: სამი სიმაგრისა და საჯანყის დაკავების საქმეს—ბათომისა, ყარსისა და არდაგანისა.

* * *

1917 წლის ნოემბრის 19-ს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა გენერალმა პრჟევალსკიმ ოსმალეთის არმიის უფროსის ვექიბ-ფაშისგან დეპეშა მიიღო ზავის ჩამოგდების შესახებ. ამიერკავკასიის კომისარიატმა სხდომა მოიწვია. გულნატკენი გენერალი პრჟევალსკი გამოცხადდა სხდომაზე თავისი შტაბის უფროსის გენერალ-მაიორ ლებედინსკის თანხლებით. პრჟევალსკი გულნატკენი იყო იმის გამო, რომ ასეთი დიდი საკითხის გადაწყვეტას უთანხმებდა არა მეფის ნაცვალს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს და სრულიად რუსეთის უმაღლეს მთავარსარდლობას, არამედ მისთვის სრულიად უცნობ პირთაგან შემდგარ ამიერკავკასიის კომისარიატს. პრჟევალსკის გულისტკენა ამაო იყო; ისტორია თავის გზით ვითარდებოდა: ბოლშევიკების მიერ დროებითი მთავრობის დამხობისა, დატუსაღებისა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ რუსეთთან კავშირი გაწყვეტილი იყო..

მწვანე ფერით შეღებილი სამხედრო ავტომობილი გაჩერდა სასახლის წინ. იქედან გამოვიდა მოხუცი, მსუქანი და თეთრ წვერულვაშიანი მთავარსარდალი პრჟევალსკი. მას ახლდა შედარებით ახალგაზრდა და ტანმოქნილი გენერალი ლებედინსკი.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვის ტფილისიდან გაქცევის შემდეგ პრჟევალსკი პირველად შედიოდა სასახლეში, ვინაიდან ის ჩვეული იყო, რომ ამიერკავკასიის მთავრობის წევრები იქეთ—სამხედრო შტაბში ჰხლებოდნენ მას და არა პირიქით. პრჟევალსკის მოაგონდა მეფისნაცვალი, დიდიმთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი, სასახლეში გამართული დარბაზობა, საშინელი წუთები: როდესაც მეფისნაცვალმა რუსეთში მომხდარი რევოლუცია და თვით-

პყრობელობის დამხობა გაიგო. „თუ ხალხის მღელვარება ...ამდე მივიდა და მემარჯვენე—ზომიერ სოციალისტებმა არ შეანელეს ... ხალხის აჯანყება (ბუნტი) ნორმალურ კალაპოტში არ ჩავარდა, რუსეთი უთუოდ დაიღუპება.“—უთხრა მეფისნაცვალმა პრეევალსკის და მაშინდელ ხელისუფლების წარმომადგენელთ. ძველი მთავრობის პირები შეეცადნენ რუსეთში მემარჯვენე—ზომიერ სოციალისტებთან საერთო ენის გამონახვას და დროებით მიზანსაც მიაღწიეს. მეფისნაცვალმა მიჰმართა ამ ხერხს ამიერკავკასიაშიც. რევოლუციის შემდეგ მან მიიპატიჟა სასახლეში სოც. დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელნი და დიპლომატიურად განუცხადა მათ:

— მეფე, მისი ჟანდარმერია გადაყენებულია. ძველი ადმინისტრაციის მრავალი წევრი დაცვლილია. მე მივიღე იუსტიციის მინისტრის კერენსკისგან განკარგულება გავანთავისუფლო პოლიტიკური ტუსაღები. პირადათ მე დანიშნული ვარ ახალი მთავრობის მიერ მთავარსარდლათ, მაგრამ, ამ ორ-სამ დღეს ჯერ კიდევ აქ დავრჩები: მინდა მოწესრიგებულ იქნას ადგილობრივი მთავრობა. მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, ვინაიდან აქ არავითარი არეულობა არ სუფევს. ბაქოში და ტფილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს, ჩემის აზრით, აიხსნება იმით, რომ სოც. დემოკრატია, რომელსაც აქ კავკასიაში დიდი გავლენა აქვს, მომხრეა წესიერების. მე იმედი მაქვს, რომ ეს მომავალშიაც ასე დარჩება.

წესიერება, რომელზედაც მეფისნაცვალი ლაპარაკობდა და რომელსაც თავგამოდებით იცავდნენ ნიკოლოზის წინაშე წამდგარი „სოციალისტები“, არსებითად რევოლუციისა და მუშათა კლასის ღალატს ნიშნავდა. დიდიმთავარის სიტყვებით მოხიბლული მაშინდელი ქვეყნის მესვეურნი გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა ბრძოლას უწესოებას და ანარქიას უწოდებდნენ; სწორედ ამის გამო მოხდა ის გარემოება, რომ ისინი არავითარ ზომებს არ იღებდნენ მეფის ნაცვალისა და მისი ოჯახობის დატუსაღების საქმეში.

გენერალ პრეევალსკის მოაგონდა მეფისნაცვალის გაქცევა ტფილისიდან. შემოდგომის ცივი საღამო იყო. სასახლის წინ იდგა ათასი ჯარისკაცი. ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვს კარებთან უცდიდა მანქანა. ერთ საკენზე უფრო მაღალი, აყლაყუდა და გამხდარი მოხუცი გამოვიდა სასახლიდან, ყელზე წითელი ყაბალახი ჰქონდა მოხვეული. იგი მანქანაზე ავიდა. ნაცრისფერი ბუხრის ქუდი მოიხადა და უიარაღოთ მოსულ ჯარისკაცებს და ხალხს მიჰმართა ძველებურად, ოფიცრულად, თავადურად:

— ჯარისკაცებო, გახსოვდეთ—სამშობლო კვლავ განსაცდელშია. რევოლუციის შემდეგ ჩვენ კიდევ უფრო მეტად უნდა ვიყოთ დაინტერესებული ომით და მტრის დამარცხებით. მტერი, რომელსაც სურს ჩვენი ქვეყნის განადგურება, მოსპობა და დამონება უნდა დავამარცხოთ! მხოლოდ ეს უნდა ასულდგმულებდეს ყველა ჩვენთაგანს დღეს! დაიცავით სიმშვიდე და წესრიგი! რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, სადაც მეც, როგორც ერთ მოქალაქეს და ჯარისკაცს ადგილი

მექნება. ეხლა კი მტერი უნდა დავამარცხოთ, მტერი უნდა დავამარცხოთ! — ჰყვიროდა ისტერიულად მეფისნაცვალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი და ჭარხალივით სისხლმოსხმულ, გაწითლებულ სახეზე ელავდნენ შიშით აღსავსე, თეთრი და გამოციებული თვალები.

ჯარისკაცები სდუმდნენ. ისმოდა სტვენა და გოთგოთი. სასახლის ბაღში, მაღალი ხის მწვერვალზე აყივლებულნი ჭილ-ყვავნი დაფთხნენ და ათასობით გადაფრინდნენ მამა-დავითისკენ. მეფისნაცვალმა იგრძნო, რომ მისი ყვირილი და მოწოდება იყო ეხლა „ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“, რომ ყველაფერი დაკარგულია და ფეხქვეშ გამოცლილი. დაინახა: მანქანასთან და-მასთან ახლოს მისულ ჯარისკაცთა ნრისხანე სახეები. გაიგონა მუქარა, ტლანქი გინება, ყვირილი:

— Ишь ты, индейский петух! Чего надулся! Будет тебе горланить! Довольно мы из за вас кровь нашу проливали! Долой палачей народа!

ჯარისკაცები იწევდნენ. მეფისნაცვალი უმალვე დავარდა მანქანის საჯდომზე. შოფერმა გააპო ჯარისკაცთა გუნდი. ნიკოლოზი საშინელის სტვენით და გინებით გააცილეს ჯარისკაცებმა;

— Эх, ты жердь осиновая! Дубина стоеросовая! Бежит.. боится.. трус.. Мать твою... — ჯარისკაცებმა თავსლაფი გადაასხეს მას და ასე გაისტუმრეს.

როგორი აბრუნდი გააკეთა ისტორიამ?! როგორი განსხვავებაა ნიკოლოზ რომანოვის ტფილისში ჩამოსვლისა და მისი აქედან წასვლის შორის? რევოლუციამდე ერთი წლით ადრე იგი დანიშნული იყო კავკასიის მეფისნაცვლად. ღუბერნატორმა, ქალაქის თავმა, სამოსწავლო ოლქისა და გარნიზონის უფროსებმა მთელი ქალაქი ფეხზედ დააყენეს. სახლები და აივნები მორთული იყო გვირილებით და ხალიჩებით, მოედნები და ქუჩები თაღებით. სასახლიდან სადგურამდე იდგნენ შპალერივით ქუჩაზე გაკრული ჯარები, მოწაფეები, მოხელენი, მოქალაქენი. გრიალებდნენ სასულე ორკესტრები. გამზირზე იდგა კორნელი და მისი მასწავლებელი შიმანსკიც. დირექტორს და მასწავლებელთ ეცვათ მუნდირი შპაგით, ჩინით და ორდენებით. თეთრი ხელთათმანით ისწორებდნენ თავზე ოქროს ვარაყებით შემკობილ შავი ხავერდის სამკუთხიან ქუდს...

გაისმა ძახილი. მწკრივები გასწორდნენ. ორკესტრები უკრავდნენ: „Боже, царя храни“-ს. გამოჩნდა ყაზახ-რუსთა ესკადრონი წითელი, ჩასირმული ჩოხებით.. შემდეგ თითონ მეფისნაცვალი, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე რომანოვი. უკან მოჰყვებოდა ამალა. ყბის ძვლები სკდებოდა „ურა“-ს ძახილით.

ნიკოლოზი იჯდა არაბული ჯიშის პატარა, კოხტა და ნაცრისფერ ცხენზე. გამოცდილ ცხენოსანის ქვეშ კვიცი ვიდოდა ვიწრო, თხაფეხა და შავი ჩლიქების ბაკუნით, ცეკვით. კვიცის ვარდისფერი, დაბერილი ნესტოები თრთოდნენ და ჭკანკალებდნენ. დიდ ბარაბანთა გუგუნით, საყვირთა და „ურას“-ს ძახილით დაფეთებულ თვალებს ატრიალებდა; შავსა და ისარივით მოზიდულ ყურებს ცისაკენ წამდაუწუმ ისროდა; გრძელ ფაფარსა და კუდს იფოფრიდა. გაქაფული ცხენის ვასვასა მკერდსა და გავაზე იყო მითოვილი მოშავო რგოლები, ბურთულები და გუნდები თაიგულებივით, თითქოს გულში დანთებული ცეცხლი კკამლი და ალმური ასვლოდეს შეთამაშებულ ღრუბლების მსგავსად. ერთ საკენზე უფრო მაღალ

და გოლიათ ცხენოსანს გამართული ფეხები მიწამდე წვდებოდნენ. [illegible] სანა-ხაობა იყო: თითქოს პატარა ჩოჩორზე გადამსხდარა წყნეთის [illegible]. კორნელიმ სიცილი ვერ შეიკავა. გამგე შემოტრიალდა და ბრაზიანი თვალებით შეჰმას უპირებდა. ნიკოლოზი სასახლის აივანზე გამოვიდა. გვერდით იდგნენ თაიგულებით ცოლშვილი, ნათესაეები, ცილინდროსანი ქალაქის თავი ხატისოვი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი პოლკოვნიკი აფხაზი, სხვა თავადები და გენერლები. სასახლის აივანის წინ უკრავდა ზურნა. ტფილისის ძველ მოქალაქეთ თაბახზე კიტრი, წიწმატი, მოთალი და ღვინო გაუწყვიათ. პურმარილით მიეგებნენ მეფისნაცვალს, მისი სადღეგრძელო შესვეს და ჯიხვის რქა შესთავაზეს. მეფისნაცვალი კიბეზე ჩამოვიდა და მოქალაქეს ჯიხვის რქა გამოართვა. სმაში დახელოვნებულმა გენერალმა ერთბაშად დასცალა ის და დაიძახა: „გაუმარჯოს საკარტველოს!“ დასცხეს ტაში და „ურა!“ შემდეგ სასახლის დარბაზში მოაწყვეს ნადიმი. ხატისოვი და ქართველი თავადები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ მეფისნაცვალის ქებაში, მლიქვნელობაში, მუხლდრეკაში და ლამაზ სიტყვებში. გაისმა „მრავალჟამიერი“.. დამით სამოსწავლო ოლქის უფროსმა რუდოლფმა გამართა მოწაფეთა სვლა ჩირაღდნებით. ვარდებოდნენ შუშხუნები და მაშხალები. გრიალებდა ორკესტრი.. როგორ ჩაბარდა ყოველივე ეს ისტორიას?! ეხლა შეშინებული ნიკოლოზი გარბის სადგურისკენ და უკან მოესმის ჯარისკაცთა გინება, სტვენა..

აღშფოთებულმა ჯარისკაცებმა არ იცოდნენ, რომ მეფისნაცვალის მანქანა მიჰქროდა სადგურისკენ, სადაც მას უცდიდა განსაკუთრებული მატარებელი. მატარებელი დატვირთული იყო სიმდიდრით, თვალმარგალიტებით, ოქროვერცხლითა, საგანძურებით და საიდუმლო საბუთებით. მეფისნაცვალი უვნებლად გაიქცა ტფილისიდან. ამიერკავკასიის მთავრობას ხელში ჰყავდა ხალხის ჯალათი და მან გზა გაუხსნა, არ დაატუსაღა და პასუხისგებაში არ მისცა იგი.

გენერალ პრჟევალსკის მოაგონდა მეფისნაცვალი. სასახლეში შევიდა. კარებთან არ იდგნენ ქანდაკად ქცეულნი და ხმალამოწვდილი ყაზახ-რუსები. კიბეზე გარბოდნენ უცნობი პირები, რომელთაც „ქალაქის ნაძირალები“ უწოდა პრჟევალსკიმ. სასახლის ერთერთს დარბაზში მოწვეული იყო სხდომა. გენერალმა ირონიულის ღიმილით გადახედა მეფისნაცვალის სავარძელში მსხდომ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს და დამსწრე საზოგადოებას. უკანასკნელნი არ წამოდგნენ ფეხზედ და სათანადო ცერემონიით არ შეეგებნენ კავკასიის არმიის უფროს- გენერალ პრჟევალსკის. თავმჯდომარემ წაიკითხა მის სახეზე აღრენა; ადგა, თავაზიანად ჩამოართვა ხელი და ტკბილი საუბარი გააბა. გენერალი სავარძელზე დაეშვა. ყველანი მოხუცს და ღიპიან გენერალს მისჩერებოდნენ. უჯარო გენერალმა თვალი შემოავლო ახალი მთავრობის შემადგენლობას, უიმედოთ და ღრმათ ამოისუნთქა. სხდომა გახსნეს. ჩამოვარდა სიჩუმე. პრჟევალსკიმ ამოიღო ოსმალეთის არმიის უფროსის ვექიბ-ფაშის დეპეშა. სათვალეები ცხვირსახოცით გასწმინდა და კითხვა დაიწყო.

სხდომამ დაადგინა: ვინაიდან რუსეთში აღარ არის ცენტრალური ხელისუფლება და უმაღლესი სარდლობა, რომელიც მოსპობილ იქნა სამოქალაქო ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამო, კომისარიატი მიზანშეწონილად სთვლის გამოეხმაუროს ოსმალეთის სარდლობის წინადადებას ზავის შესახებო.

იმავე საღამოს შესდგა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომა, რომელზედაც ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარის მიერ წინასწარ შედგენილი და მოხერხებული მოხსენების შემდეგ, მთავრობის მოქმედება მოწონებულ იქნა.

სწორედ ამ დღიდან იწყება ვაი-უბედურება. ამიერკავკასიის კომისარიატი ვერ ბედავდა დიდი რუსეთის გარეშე ოსმალეთთან დამოუკიდებელი მოლაპარაკების წარმოებას და საქმეს აჭიანურებდა, ოსმალეთს კი არ სურდა ცდა. ოსმალეთმა მოიმიზეზა სომხეთის ჯარის ნაწილების მიერ ჩადენილი სიმხეცე ზოგიერთ მუსულმანურ სოფლებში და წინ იწევდა; თითქოს ერთმორწმუნე მოსახლეობის და მისი ქონების უზრუნველყოფისათვის.

ამ გარემოებას თან დაერთო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ოსმალეთს ეთმობოდა ბათუმი. ამიერკავკასიის მთავრობამ არ სცნო სამართლიანად ეს ხელშეკრულება და პროტესტი განაცხადა..

გადიოდა დრო. ამიერკავკასიის კომისარიატი დაიშალა და ნაცვლად ამისა მოწვეული სეიმიც ვერ აღწევდა თავს ქვეყნის შიგნით და გარეთ გართულებულ მდგომარეობას. შიგნით—მუშათა და გლეხთა ინტერესების დაუკმაყოფილებლობის გამო, გარეთ—ოსმალთა შემოტევის წყალობით.

* * *

წელს ნაადრევად გამოზაფხულდა. მარტის მზიანი და თბილი დღეები იდგა. არტილერისტებმა გამოამზეურეს მოედანზე ქვემაგებელი. ლეიბზე გაიშოლტნენ. მზის სხივებით გახურებული ახალგაზრდები უწმაწურ ანეკდოტებს ამბობდნენ, ხარხარებდნენ; აქა-იქ ჭიდაობდნენ (ძალა ერჩოდათ), და ართურმას გადადიოდნენ. კორნელი გასცქეროდა ვერის ბაღებს: ჭერამისა და ატმის აყვავებული ხეები თაიგულივით იყვნენ გაშლილნი ამწვანებულ მთის კალთაზე. ხევში იდგა მზის სხივებით გაისრული იისფერი ბურუსი. კორნელი ოცნებობდა ნინო მაჩაბელზე. საღამო ჟამი იყო. კორნელის ნეტარი, ტკბილი ოცნება და ბუნდოვანი ფიქრი ჰგავდა მთის კალთაზე და ხევში რძის ორთქლივით დაღვარულ ბურუსს. მოწმენდილს ცაზე მისცურავდნენ ვარდისფრად განათებული, ძუძუსავით ავსილი, გედის მკერდივით სუფთა და შეგუნდული ღრუბლები. შეთამაშებული ღრუბლები იღებდნენ ათასგვარ სახეს, კორნელის ოცნება-ფიქრივით ძნელად გასარჩევს და ბუნდოვანს. მთის კალთებს ნორჩ ბალახისგან ეხლა შესამჩნევი სიმწვანე დასტყობიათ. წვიმით გამაძღარს, შავსა და პოხიერ დედამიწიდან ხეთა ძირები ათასი ტუჩით სწოვდნენ სინოყიერეს. ხეები ვეღარ იტევდნენ შეხვრეპილ ნოყიერ წვენსა, სიმსუქნეს და სკდებოდნენ ათას კვირტებად, ყლორტებად და ნორჩ ფოთლებად.. ჩიტები ცხოველმყოფელ ჟივილით ეხვევოდნენ ტოტებს და მოჭარბებულის ნდომით დასდევდნენ ერთმანეთს. მოსჩანდა აჟივლებულ ჩიტთა მარაოსავით გადაშლილი და მზის სხივებით გაისრული კუდები, ფრთები. თავლასთან ულაყმა გენერალის ნიჟარაძის ლამაზი და ოქროსფერი ფაშატი დაინახა. წელში

გაიზნიქა, სისხლისფერი ნესტოები დაჰბერა, ჭროლა თვალები ჩიროდანივით აანთო, ფაფარი გაიფოფრა და ხმამაღალის ჭიხვინით ჰგლეჯდა ალვირსა და ავშარას..

ბუნება და მაზედ არსებული ყოველი არსი იღვიძებდა ახალ ცხოვრებისათვის, ივსებოდა და იფურჩქნებოდა.. ამ გაზაფხულის მზიანსა და თბილ დღეებს სრულიად არ შეეფერებოდა ყაზარმაში მოსწავლე ახალგაზრდობის წურთნა, ოსმალეთთან ომის მოლოდინი და სისხლის ღვრა.

* * *

კორნელი და სანდრო ისევ თავგამოდებით ასრულებდნენ სამსახურს. ოფიცრებს უსიტყვოთ ემორჩილებოდნენ. ეპოლეტებით და დეზებით დადიოდნენ, დისციპლინას იცავდნენ და სხვათაც იძულებულს ხდიდნენ დაეცვათ იგი, რაიც არ მოსწონდათ გიგა ნახუცრიშვილს, მიტოს, ყუკური ზარანდიას და საშა მიქელაძეს. მათ შორის ცუდი განწყობილება დამკვიდრდა. მიტო და საშა ხშირად მიიპარებოდნენ ქალაქში, გუშაგობას, სამსახურს გაურბოდნენ და ნაცვლად ამისა უნივერსიტეტში დაიარებოდნენ. ერთხელ გიგა ნახუცრიშვილმა კორნელის და სანდროს ხულიგანი და ოფიცრების მიერ მოსყიდული უწოდა, რაზედაც სანდრო უპასუხებდა:

— რა დროს უნივერსიტეტია და პირად საქმეებზე ფიქრი, როდესაც სამშობლო იღუპება?!

კაპიტანი ალექსიძე დაესწრო ასეთ კამათს და ამ დღიდან კორნელი და სანდრო ამხანაგად გაიხადა, შტაბში მიჰყავდა. სამსახურის შესახებ ერთად ბჭობდნენ და სახლშიც პატიჟებდა. ამ დღიდან კორნელისა, სანდროს და ოფიცერთა შორის ხიდი გაიდვა. მათ მიემატა ბატარეიაში ახლად მოსული კოსტა გარსევანიძე და დათა საგანიძე. კოსტა გარსევანიძე ყოფილი იუნკერი იყო და ალექსიძემ ფეიერვერკერად დანიშნა. ამრიგად ალექსიძის ბატარეიის ფეიერვერკერები იყვნენ: კოსტა გარსევანიძე, გაქართველებული რუსი სტეფანე ბელიაევი, სანდრო და კორნელი. ზემდეგი კი ონოფრე ფერაძე იმპერიალისტურ ომში ნამსახური ჯარისკაცი. ჯარში ფეხს იკიდებდა ძველი რეჟიმი და დისციპლინა. ყაზარმა მოწყვეტილი იყო ქვეყანას. არც ჟურნალი და არც ერთი გაზეთი არ მოდიოდა. ჯარი ძველ საფუძველზე ეწყობოდა. მშრალ დისციპლინას უნდა მოესპო ჯარისკაცში ყოველგვარი დამოუკიდებლობა, საკუთარი აზრი, გრძნობა და დაექვემდებარებინა იგი ერთი კაცის, კომანდირის ნება-სურვილისათვის. ადამიანი უსიტყვო მანქანა! სულ სხვაა ეხლანდელი ჯარი, წითელი არმია. იგი ჩვენი საზოგადოებრიობის პირმშოშვილია, მუშათა კლასის და ღარიბ გლეხობის იდეალების განმახორციელებელი. თანამედროვე ყაზარმა ამავე დროს სკოლაც არის; თავის კლუბით, სამკითხველო და სხვადასხვა კუთხეებით.

ურჩ ჯარისკაცებს კაპიტანი ალექსიძე აძევებდა ან და სასტიკად სჯიდა: აგზავნიდა რიგსგარეშე საგუშაგოზე, ატუსაღებდა და სხვა. სამაგიეროთ კორნელი და სანდრო ხშირად ქეიფობდნენ ოფიცრებთან და მათი ცხენებით დასეირნობდნენ ქალაქში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

კორნელი და სანდრო თავლაში მორიგეობდნენ. ბაგეები გაასუფთავეს, იატაკი ცოცხით გამოჰგავეს და ნეხვი გარეთ გაიტანეს. ცხენებს თივა და ქერი მისცეს. შემდეგ კუთხეში დაყრილ თივის ზვინზე გაიშოლტნენ. კორნელიმ წიგნის კითხვა დაიწყო. წიგნი იყო ფლობერის „სალამბო". უკანასკნელ თავს— „მატო"-ს ჰკითხულობდა. იქვე მოგროვდნენ გრიგოლ მეგრელიშვილი, პეტრე ცხომელიძე და სხვანი. კორნელი ხმამაღლა ჰკითხულობდა. არტილერისტები უსმენდნენ. მძაფრად განიცდიდნენ კართაგენის მცხოვრებთა მიერ მატოს წამებას გახურებულ შანთებით და მძიმე ჯაჭვების ცემით. როდესაც ცოცხალმკვდარი მატო სალამბოს ფერხთ ქვეშ დაეცა, მოგვმა შაგაბარიმმა გაუპო მას მკერდი. გული ამოჰგლიჯა და ჩამავალ მზის სხივებს უჩვენა. გრიგოლ მეგრელიშვილის ცრემლიანი თვალები ცალგვერდა ცქერით სადღაც შორს იყურებოდნენ. კორნელიმ დაასრულა კითხვა. დაიწყეს აღფრთოვანებით აზრთა გაცვლა-გამოცვლა, მაგრამ გრიგოლი ისევ ცალგვერდა ცქერით გაჰყურებდა რაღაცას, თუ ვიღაცას; თითქოს მიცემული ამოცანა უნდა გამოეცნო, ან დავიწყებულს იგონებსო. ყველანი მას შესცქეროდნენ. ის დაბალის ხმით ბუტბუტებდა სიტყვებს, ლექსს, რომელიც აქავე ჩასწერია უბის წიგნში პატარა და დალეულ ფანქარით. ცოტა ხნის შემდეგ არტილერისტები აღტაცებით უსმენდნენ ახირებულ და ბუნდოვან ლექსის კითხვას. გრიგოლ მეგრელიშვილმა გადახედა მეგობრებს. სახეზედ გაფითრდა. აკანკალებული ხელი გადისვა გრძელსა და უწესრიგოდ მიმობნეულს გიშრისფერ თმაზე. ქვედა ტუჩი დაიჭირა, თითები მაგრად მოუჭირა, ღრმად ამოისუნთქა და დაიწყო:

„ვისროლე თვალნი, ვით საფირონნი.
აწ ბედისწერას წინასწარ ვხედავ.
წარეშალე შუბლის ჯილა, მირონი.
გადამავიწყდა სამშობლო, დედა.

მოკვდეს ღმერთები: იშტარ, ტანიტი...
დაინგრეს სვეტი, კერპები... მარტო,
მიცდიან წლები ხელში დანითა,
ვით კართაგენი მეც შენებრ, მატო!

ყველა ღმერთები ჩემთვის ფუჭია:
(ის ეჩვენება მჭლე არტერიას!)
არც მინდა დავრჩე მატლი და ბია.
ჩემში ათასგვარ ჰანგს უმღერია.

წარსული ჟამი, ცხოვრება, ომი—
მესროლის გვამებს ბინძურს, მუნიანს.
საუკუნენი უკან ღმუიან,
ვით ფფრიკაში დაპრილი ლომი.

ვიგონებ მე ჩემს დაშლუპველ ამბორს,
უდაბნოს მზეზე უფრო მხურვალეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბორში გადნა გმირობა, ვალი
და ძალა მაცდურ ოცნების გამო.

ო, ჰამილკარის ქალო, სალამბო,
შენს ფერხთ ქვეშ ვკვდები მე ბარბაროსი.
გულს შამომედო, როგორც მალამო
გველი პიფონის შხამი, ზაოსი..

სისხლი ძარღვების გაპობას ლამობს,
თვალებს მიბრმავებს ღამე უკუნი.
მიყვარდა წუთზე უფრო საამო
აფრიკის ველთა ცხელი გუგუნი."

პეტრე ცხომელიძემ გადაკოცნა ქანცმილეული და ათრთოლებული ყრმა, გრიგოლ მეგრელიშვილი. გრიგოლის წყალობით კორნელი გაიტაცა უკიდურესმა ინდივიდუალიზმმა და სკეპტიციზმმა. იგი უპირისპირებდა თავის თავს საზოგადოებას და მთელ სამყაროს. ნიცშე, დოსტოევსკი და პშიბიშევსკი იწვევდნენ მასში პესიმიზმს. ნიცშე ქალებისადმი ზიზღსა და ყალბ შეხედულებასაც აწვდიდა, რასაც უდასტურებდა გრიგოლ მეგრელიშვილი და დიონისოს სიბრძნით აღფურვილი პლატონ ცრუავაც: „ქალი პასიურია, სიმბოლო უინტერესო ბუნებისა, ხოლო მამაკაცი აქტიური, ინდივიდუალური სწრაფვისა, გონების და გმირობის სათავე. კულტურა შექმნილია მამაკაცთა მიერ. ეროტის შხამიანი ისარით დაიღუპნენ ყველა გმირები: მატო სალამბოს მიერ, აქილეს იპსიპილეს მიერ, ზიგფრიდი კრიმგილდას და სხვა... ჰამლეტის სიტყვები:

„და სასაზღლო ძლიერ საქმეთ, დიდათ განზრახულთ
წინ ეღობება, ოფელია—"

მე სწორედ ასე მესმის. ჩვენი ვაჟას მინდიაც მზიას გამო გახდა „უგერგილოდ და ყროლადა" „დაცარიელდა ცოდნითა"—„დაიღუპა."—ამბობდა პლატონ ცრუავა.

ასეთი გაგების და „სიბრძნის" წყალობით კორნელი, თუმცაღა მოჯადოებული იყო ნინოს სილამაზით, მაგრამ ამ მოჯადოებას სინჯავდა და თანაც ეშინოდა მისი.. „სიყვარული ნთქავს მთელს ჩემს გულისყურს, ძვირფას დროს, რომელიც უმჯობესია მოვახმარო გამოჩენილ პირთა ნააზრევის და ნაგრძნობის შესწავლას; ყველაზედ უფრო კი—საკუთარი თავის აღზრდას, თითეულ ჩემს საქციელის აწონ-დაწონას.. მართალია გენიოსებსაც ეი უყვარდათ.. მაგრამ მათ უფრო უყვარდათ აშიკობა, აშიკობა და ოხუნჯობა და არა სიყვარულის მონად ქცევა. ნეტავ ვიცოდე თუ ღირს მართლადაც სიყვარული? განა ქალი გაიგებს ოდესმე ჩემს გულისთქმასა და მისწრაფებას? როდესაც ნინოსთან ვიწყებ საუბარს მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე, მისი გონება იღლება, ნინო მოწყენილი ზის ჩემს წინ, როგორც გვალვისგან დამჭღნარი შროშანი. კოსტას ფუქსავატი ანეგდოტები და ოხუნჯობა კი მოსწონს, იცინის და ხალისობს. კოსტა მოქმედებს ჩემს შემდეგ ნინოზედ, ვით წვიმა: გვალვით დამჭღნარი შროშანი კვლავ თავაღერილია და ცხოველმყოფელი."—ჰფიქრობდა კორნელი. ასეთი მსჯელობა აფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხებდა კორნელის უზადო გრძნობას ნინოსადმი, ვინაიდან სიყვარული ბრმაა, რომელშიაც გონება ნაკლებ უნდა ჩაერიოს.

თავლაში კუკური ზარანდია შემოვარდა:

— კორნელი, დედა შენი, ესტატე, ვარდო და ნინო მაჩაბლები მოვიდნენ..

— როგორ, დედა?!

— მალე.. კაპიტანი ალექსიძე გეძახის!

კორნელის გული საგულედან ამოვარდა და ბარტყივით აფართქალდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კონსტანტინე ლოკრთაძიფანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძირს სიმინდის რესპუბლიკა *)

პირველი თოვლი მოულოდნელათ მოვიდა.

წუხელ, სათემო პარტკონფერენციის დახურვის შემდეგ, ტარასი და ბაჭუამ დაიზარეს სოფელში დაბრუნება.

ცა ისე მოწმენდილი იყო—ფიქრადაც არ მოუვიდოდათ დაბაში დარჩენა თუ სანანებლათ გაუხდებოდათ.

დილით ერთი წყდა თოვლი იდო მიწაზე.

სუსხიანი ქარი ჭინჭარივით იკბინებოდა.

შილიფათ ჩაცმულ ბაჭუას მკლავები ღრმათ გაეყარა უბეში და მოკრუნჩხულიყო. ფეხის თითები დაცვენაზე ქონდა. პირდაფჩენილ წაღებში შედის წუმპე და ყოველ ნაბიჯზე უკვეთავს ფეხებს.

დროგამოშვებით, როცა ჩაკეცილ საქუსლეს ამოსაღებათ მოიხრება, კისერზე აცვივა წყლიანი ფიფქები. გადნება, ჩასრიალდება ხერხემალზე და გამწარებული ბაჭუა ერთ ადგილზე შეხტება მაშინ.

ქარი გამაგრდა.

არეულ ფიფქებს სახეში ახლის და თვალებს უხუჭავს.

ქუდი ჩამოიფხატა და კონფერენციაზე მიღებულ შთაბეჭდილებით გაერთო.

— ნეტავი ისეთი ლაპარაკი მასწავლა!—გაიფიქრა მან და წარმოუდგა ქუთაისელი ამხანაგი, რომელმაც სასოფლო საბჭოების ამოცანებზე გააკეთა მოხსენება.

მოიგონა მოხსენებაში გამოთქმული ზოგიერთი აზრები და როგორც წუხელ, ახლაც იგრძნო—ყველაფერში არ ეთანხმებოდა მომხსენებელს.

— ჩვენი სოფლის ვითარება არ ამართლებს მის შეხედულებას!—ბაჭუას უკვირდა, კამათში გამოსულმა ამხანაგებმა რატომ ვერ შეამჩნიეს ქუთაისელ ამხანაგის შეცდომა—ან ტარასის როგორ გამოეპარა?!

ბაჭუამ ვერ გაბედა გამოსვლა. ჯერ კიდევ იჭვიანობდა. წუხელ კი დიდხანს იფიქრა და დარწმუნდა—მომხსენებელმა მეცდომა დაუშვა.

ამის შესახებ წუხელსავე გაესაუბრა ჩათვლემილ ტარასის, მაგრამ უფროსმა ამხანაგმა თავი ვერ აართვა ძილს და თითონაც ჩაჩუმდა.

— ახლა ვეტყვი,—და აჩქარდა რომ დაწეოდა დაწინაურებულ ამხანაგს.

დაგლეჯილ ნაბადში ჩამძვრალი ტარასი მოურიდებლათ მიაბოტებდა თოვლნარევ ტლაპოში.

---

*) გაგრძელება იხ. „მნათობი" № 1—2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან გაიგონა ბაჭუას პირდაფჩენილ წაღების ჩქარი ტყლაშუნი. მოტრიალდა. მარჯვენა მხრით ნაბადი გაშალა და აჩქარებით წაილაპარაკა:

— მოდი, მოდი, ორივეს გაგვწვდება. როგორ კანკალებ!

მკლავი მოხვია და ნაბადში შემოაგდო.

მკლვგადაჭდობილი თანამგზავრები არათანაბრათ ხტებიან წუმპეზე და მთვრალებივით ქანაობენ. ფეხი უცურდებათ.

— მე და შენ ცუდი ბოლშევიკები ვყოფილვართ; —მოულოდნელათ გაიგონა ბაჭუამ და სახეზე ტარასის ცხელი სუნთქვა მოხვდა.

— გახსოვს ქუთაისელ ამხანაგის სიტყვები?—სადაც კულაკი სდუმს, იქ სუსტია ბოლშევიკური ხელმძღვანელობა. კულაკის სიმშვიდე იმის მაჩვენებელია, რომ იგი თავს არხეინათ გრძნობს; უვარგის კომუნისტების ცხვირწინ გვერდს უხვევს საბჭოთა კანონებს და ნებივრობს—დაგავიწყდა?

ტარასის ხმაში წყენა ისმოდა.

ბაჭუა პირველ სიტყვისთანავე მიხვდა რომ ახლა მისი და ტარასის ფიქრები ერთიდაიმავე კითხვის გარშემო ტრიალებდენ. სწორეთ ამავე საკითხზე აპირებდა მასთან საუბარს.

იგი ცდებოდა როცა ფიქრობდა, რომ ტარასის შეუმჩნევლათ გაეპარა მოხსენების ის ნაწილი, სადაც მისი აზრით მომხსენებელი არ იძლეოდა სწორ განმარტებას.

პირიქით. იგი ყველაზე ღრმათ შეიჭრა ტარასის გონებაში. მოხსენების ამ ნაწილმა დაუნდობლათ უკბინა მის ბოლშევიკურ თავმოყვარეობას, მის გამოცდილ მებრძოლის სახელს.

— სადაც კულაკი სდუმს, იქ სუსტია ბოლშევიკური ხელმძღვანელობა; — იმეორებდა ტარასი და ყოველგვარი გულისხმიერება ეკარგებოდა.

მისმა უაღრესათ პრქტიკულმა ჭკუამ ეს დებულება თავის სოფლის სინამდვილეს შეუფარდა და შეშფოთდა.

ტარასი კონფერენციის მოწვევამდე ამჩნევდა რომ წელს, ბარში, კულაკებმა შეანელეს გააფრთებული ბრძოლა, რომელსაც აწარმოებდენ გასაბჭოების პირველ წლებში.

მას არ დავიწყებია ბარნაბა საგანელიძის პროვოკაცია, რომელმაც ჩაშალა თვითდაბეგვრის ჩატარება. ახსოვს მისი ბრძოლა კოოპერატივის წინააღმდეგ. არამც თუ სიტყვით და მოქმედებით, უბრალო გამოხედვითაც კი არ მალავდა თავის მტრობას სოფლის ახალ პატრონების მიმართ.

წელს კი მშვიდობიანობის გზას დაადგა.

გესლიანი სიტყვა საქმიანმა კილომ შეუცვალა. პირქუში სახე ალერსიანობამ გაუხსნა და მუდამდღე სოფლის მოკეთის სახელის დამსახურებას ცდილობდა. კლუბის მოსაწყობათ ხუთი თუმანი გაიღო. ქოხსამკითხველოს გაზეთები გამოუწერა. გადასახადების გაწერის დროს ერთი საყვედურიც არ წამოცდენია უსამართლო კანონების შესახებ და მაშინვე შეიტანა აღმასკომში.

მისი კეთილგანწყობილების ნიშნები თვალში სცემდა გლეხებს და სიამოვნებით მეზობლობდენ მასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინათ საოჯახეთ არ ეკარებოდა ალმასკომს. ახლა შინაურივერ დადიოდა იქ და თითეული მისი სიტყვა გამთბარი იყო სოფელზე მზრუნველობით და გულშემატკივრობით.

მის ჩასუქებულ სახეზე კმაყოფილების მხიარული ფერები თამაშობდა.

ოდნავ დაღლილი თვალები ისე სანდომიანათ უცინოდა ყველას, რომ ძალაუნებურათ იფიქრებდით:

ამ თვალების პატრონს, არამც თუ მტრობა, საწყენი სიტყვის მობრუნებაც არ შეეძლო ენით.

— დავაშინეთ, ფარხმალი დავაყრევინეთ! ამიტომ გველაქუცება ახლა;— ფიქრობდა ტარასი და დღემდე ამით ხსნიდა ბარნაბაში მომხდარ ცვლილებას.

დღეს კი პარტკონფერენციაზე მოსმენილმა მოხსენებამ ეს აზრი შეურყია.

— კულაკი სდუმს. ფულიც კი შემოსწირა ჩვენ აღმშენებლობას! მაშასადამე რამე დაუთმეთ, დავიხიეთ... მაშასადამე...—დამარცვლა მან—ცუდი ბოლშევიკი—ეს მე ვყოფილვარ! ასე გამოდის.

იმის ფიქრმა, რომ მან ალღო ვერ აუღო კლასიურ მტრების ბანაკში მომხდარ ცვლილებას და პოლიტიკური სიმახვილე ვერ გამოიჩინა მის შეფასებაში, ტარასი უზომოთ შეაწუხა და მოსვენება წაართვა.

— ნუ თუ შევცდით? ნუ თუ ჩვენდაუნებურათ ზავი ჩამოვაგდეთ კულაკებთან?!—ეკითხებოდა თავის თავს და ფრთხილათ იგონებდა გასულ წლის მუშაობას, თითქო ეშინოდა ისეთი ფაქტი არ მოხვედროდა ხელში, რომელიც დაამოწმებდა მის იჭვებს.

ამ ყოფაში იყო აძიგძიგებული ბაჭუა რომ წამოეწია.

— დამასწარი! მეც ამის შესახებ მინდოდა მეთქვა.—მიუგო გაკვირვებულმა ბაჭუამ.

მას არ გაკვირვებია მათი ფიქრების ერთნაირობა.

მისთვის მოულოდნელი იყო ის დასკვნა, რომელიც ტარასიმ ქუთაისელ ამხანაგის მოხსენებიდან გამოიტანა.

— არ გეთანხმები—განაგრძო მან.—ჩემი აზრით მომხსენებელი შეცდა.— წინათ ჩვენი დამარცხების იმედი ქონდათ და მიტომ გვებრძოდენ გააფთრებით; ახლა კი როცა მასების გული მოვიგეთ და მოვლონიერდით, კულაკები და ყოფილი ხალხი ვერ ბედავენ ჩვენს წინააღმდეგ აქტიურათ გამოსვლას. იციან რომ მოვერევით და სოროებში მიძვრებიან, ბრძოლაზე ხელს იღებენ. კულაკები იქ არიან წყნარათ და მშვიდობიანათ, სადაც მაგარი ხელისუფლებაა—და არა იქ როგორც მომხსენებელმა აღნიშნა.

— აბა გათავებულა კლასიური ბრძოლა და სამოთხეში ვყოფილვართ!—ჩაიცინა ტარასიმ.

— არ გათავებულა, მაგრამ არც ისეა, როგორც ძველათ იყო. ჩვენი სოფელი აიღე,—და ბოჭუამ ჩვენთვის უკვე ცნობილი მაგალითები მოიყვანა თავის აზრის დასამტკიცებლათ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩვენში ასეა და სხვისი რა მოგახსენო,—დააბოლოვა ნაბადი გაისწორა.

—უბედურებაც იმაშია რომ ჩვენ სოფელში სიწყნარეა,—მიუგო ტარასიმ ჩაფიქრების შემდეგ. გაახსენა ბაჭუას საყულიაში მომხდარი თავდასხმა. ორი კვირის წინათ კულაკები დაუხვდენ საბჭოს წევრს და ცემით სიკვდილის პირზე მიაყენეს.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქო გენანება რომ ჩვენ სოფელში არავის ლახავენ!—წამოიძახა ბაჭუამ:—საყულიაში კულაკებს მაგრათ ვერ კიდებენ ხელს. გაათამამეს. ჩვენში ვერ გაბედავენ ამას.

— ვითომ?! გველი რომ გველია, ისიც კი შეეწყობა ადამიანს; მაგრამ ერთი სინჯე და ფეხი დაკარი?! იმ წუთშივე გიკბენს. კულაკიც ასეა. როცა ფეხს დააჭერ, გესლიან კბილებს მაშინ გამოაჩენს.

როგორ ვცდებოდი, ეხ!—სინანულით ჩაილაპარაკა მან და გაჩუმდა.

ბაჭუა მხურვალეთ იცავდა თავის აზრს, მაგრამ ტარასი არ პასუხობდა. მხოლოდ დროგამოშვებით გაურკვეველი ბგერებით ეხმაურებოდა მის შეკითხვებს. მთელი გზა სდუმდა, უსმენდა ბაჭუას და ნანობდა რომ ერთ დროს თითონაც მასავით მსჯელობდა.

იგი ერთი წამითაც არ უშვებდა იმ აზრს, რომ ქუთაისელი ამხანაგი ცდებოდა. რაც უფრო ღრმათ უკვირდებოდა მოხსენების შინაარს, თანდათან რწმუნდებოდა, რომ მათ სოფელში ადგილი ქონდა პარტიის ხაზიდან გადახვევას. წუხდა, რცხვენოდა რომ მისი სოფლის სინამდვილე მასზე უკეთ ესმოდა 'მორიდან მოსულ ამხანაგს, რომელსაც ერთი დღეც არ გაუტარებია ბარში.

— კულაკი არ იბრძვის?! მაშასადამე ხელს ვაფარებთ, ვწყალობთ;

უმძიმდა ამის დაჯერება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო.

...კულაკი ყველგან კულაკია. სიკვდილამდე ჩვენი მტერია. ვისაც რევოლიუციამ რამე წაართვა და დაჩაგრა, ის თავის დღეში ვერ შეიყვარებს ჩვენ ცხოვრებას.

წრფელი გულით არასდროს არ შეიგუებს იმ წესწყობილებას, რომელმაც მიზნათ დაისახა მისი მოსპობა, ცხოვრებიდან ამოგდება.

ასეთია ცხოვრების კანონი.

მაშ რა მოხდა! ახლა რამ დაარღვია ეს კანონი?! საყულიაში კულაკები სასიკვდილოთ დასდევენ აქტიურ გლეხებს, ჩვენ სოფელში კი ცხვარივით დაბაჩუნობენ და მოყვარესავით გვიცინიან.

ბარნაბამ ქველმოქმედებაც დაიწყო. ნუ თუ მართლა იწამა ჩვენი ცხოვრება და მიზნები! შეუძლებელია. აქ რაღაც სხვა ამბავია. რატომ გვიცინის! რით გავახარეთ?! რა დაუთმეთ!

ტარასი აჩქარდა.

უნდოდა მალე მისულიყო შინ და გულდასმით ჩაფიქრებოდა მწვავე და საიდუმლოებით მოცულ საკითხს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* *
*

დახუნდარას ფიცრულში მხიარულათ ტკრიალებს ცეცხლი.

მექი დაბალ, სამფეხა სკამზე ზის და ხელით აუთოვებს დაჭმუჭვნილ მანეთიანებს.

თვალები საკაიდღეოთ უბრწყინავს. დახუნდარა ვერცხლსა და სპილენძს ითვლის.

მექი დაფიცებული იყო—ტომსიკა მხოლოთ მაშინ გაეხსნა, როცა ფულს მოიტანდა ჩასამატებლათ.

ფიცის დროს დაავიწყდა რომ მისი ქალამნები და შარვალი იმავე მასალიდან იყო გაკეთებული როგორც სხვების და საერთო ბედს ვერც ისინი გაექცეოდენ.

ამიტომ პირველ თვეებში მტკიცეთ ასრულებდა თავის სიტყვას.

მაგრამ როცა ქალამნებს ძირი გავარდა და შარვალიდან მუხლები გადმოყარა, იძულებული გახდა ფიცი დაერღვია და ისე გაეხსნა ტომსიკა რომ არაფერი ჩაემატებია შიგ.

მერე პირის პარსვაც დაიწყო.

დროგამოშვებით დაბიდან ჩამოდიოდენ სცენისმოყვარენი და ფასიან წარმოდგენებს მართავდენ. რამდენჯერმე მექიც დაესწრო და ერთხელ მეგობარიც დაპატიჟა.

იყო კიდევ სხვა წვრილი ხარჯები, რომლებსაც ვერ გაექცეოდა ცოცხალი ადამიანი.

მექი ნანობდა ყოველ დახარჯულ კაპეიკს. და სული მისდიოდა, ვიდრე არ შეავსებდა დანაკლისს.

შემოსავალსა და გასავალს შორის პროპორცია არ ირღვეოდა. სამაგიეროთ არც არაფერი ემატებოდა პირველ თვეებში თავმოძულებულ მომჭირნეობით გამობერილ ტომსიკას.

მექიმ შეამჩნია ეს და მოუსვენრობა დაეტყო.

როცა ტომსიკიდან ფულს იღებდა, პირობას დებდა, რომ ეს უკანასკნელი ხარჯი იყო და მოზვრების ყიდვამდე შაურს არ მოაკლებდა თანხას, მაგრამ მოულოდნელად გამოუჩნდებოდა რამე მოთხოვნილება და ისევ მოადგებოდა ფიცრულს. ისევ დასდებდა პირობას და დროულათ დამშვიდდებოდა.

ბოლოს თავის მოტყუებაც დაიწყო.

წინათ ყოველთვის ზუსტათ იცოდა დაგროვილ თანხის რაოდენობა.

ახლა კი, როცა სახარჯავათ წაიღებდა ფულს, დარჩენილ თანხას არ ითვლიდა.

საწყალმა ბიჭმა ანგარიში განგებ დაიავიწყა—არ შეეტყო რომ ფული მართლა მცირდებოდა ტომსიკაში.

მექის სრულყოფილ ბედნიერებათ ესახებოდა თავის მომავალი და გადაწყვეტილი ქონდა ყველაფერი დაეთმო მისთვის, მაგრამ ერთი წლის წვალების შემდეგ დარწმუნდა, რომ ეს არც ისე ადვილი იყო, როგორც პირველათ ფიქრობდა.

გაუძნელდა დღევანდელი დღის მთლიანათ დათმობა და დავიწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასაც ხიბლავდა ხუთმანეთიანი დაბალი ბოხოხი გვერდზე, საათით გამომწვევად დახეხურა და ისე წასულიყო წარმოდგენაზე.

გულჯიბეში მასაც ედო ძვლის მოსაკეცი სავარცხელი. საგანგებოთ შეუკერა ბუდე, რომ არ დაჭკარგოდა, ფოლაქზე საათივით გამოიბა თასმით.

— ხრიკუნია რომელი საათია? ულიმოდენ ბიჭები.

— რომელი და ძვლის, — ღიმილით მიუგებდა მექი.

სავარცხელს გაშლიდა, თავმომწონეთ გადაისობდა თავზე; მერე დაკეცავდა, მზრუნველობით შეინახავდა ბუდეში და ღიმილი ხელმეორედ გაუხევდა ტუჩებს.

ბოლო ხანს რატომღაც აიმედებდა თავს, რომ ტომსიკასურთბაშად აუნაზღაურებდა დანაკლისს.

საიდან იშოვიდა, ვინ მისცემდა, გარკვეული არა ქონდა. არც შეიძლებოდა გაერკვია, რადგან მის ერთად ერთ შემოსავლის წყაროს მცირე ჯამაგირი შეადგენდა.

ეს იმედი ალბათ მისთვის სჭიროდა, რომ უფრო გულდამშვიდებით ეხარჯა ფული—თავის მცირე მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ.

ზუსტი ანგარიშის უქონლობის გამო, გადაჭარბებული წარმოდგენა ქონდა ტომსიკის მოცულობაზე. ამიტომ დღეს, წლინახევრის წვალების შემდეგ რომ დათვალა, ხელები მოწყდა, დაიბნა.

ტომსიკაში მხოლოთ 83 მანეთი და რაღაც გროშები აღმოჩნდა.

— რა წყალში ჩავარდე, რა დამემართა ეს!—ძლივს ამოთქვა გარეტებულმა ბიჭმა.

დახუნდარამ მუგუზალი შეასწორა.

ის თანაუგრძნობდა მეგობარს, მაგრამ რა ეთქვა, რით გაემხნევებია?!

საკუთარი მწარე გამოცდილებით იცოდა რომ მექის არჩეული გზა ჩიხით დაბოლოვდებოდა.

და თუ მაინც იწონებდა მის განზრახვას,—ეს მხოლოდ იმ საერთო მოსაზრებით, რომ მომჭირნეობა კეთილი საქმე იყო და კარგი იქნებოდა შავი დღისთვის ორიოდე გროში შემოენახა სასთუმლის ქვეშ.

— ნათქვამია, ღარიბი შავ ვარსკვლავზე გაჩნდაო; ჩვენ კი მთლათ უვარსკვლავოთ გავჩენილვართ და რას იზამ!?—ამოიოხრა მან, თუმცა მისი შეხედულებით მექის თავზე ახლა ყველაზე კრიალა ვარსკვლავი კაშკაშებდა. სახუმრო 83 მანეთის ქონება?!

— ჩემ დღეში ვერ მიყიდია მოზვრები და ის არის!—მთვრალივით ლულლულებდა მექი. მის ამღვრეულ მზერას სახეს ვერ უსწორებდა მეგობარი.

— ვაჟო, დასახლება რომ ასე ადვილი იყოს, ჩვენ სოფელში ერთი მოჯამაგირეც არ იქნებოდა! შეხედე;—კარი გამოაღო და გიორგი ჯიშკარიანის ფანჯარაზე ანიშნა. მექიმ დაინახა ჩარჩოში გამობურთული წითელი ბალიში.

— სამი წელიწადია შუშების ჩასმა უნდა და მისი ფული ვერ გადაირჩინა;

გაზაფხულდება გამოაძრობს. დაზამთრდება და ისევ გაურჭობს. სადაც გიორგიმ იმის ჩასმა ვერ მოახერხა, ჩვენ ისიც უნდა გვიკვირდეს, ცოცხალი რომ ვართ. პატიოსანი შრომით ღატაკი ვერ დასახლდება.

ხუთმანეთიან მოჯამაგირეს რომ მოზვრების ყიდვა შეეძლოს, ან ეს რევოლუცია და ხალხის ჟლეტა არ დაიწყებოდა: ვერც რევოლუციამ გვიშველა. ჯერ იყო და მეშევიკები გვპირდებოდენ: — ხმა მოგვეცით და მდიდრების ქონებას მოგცემთო. მივეცით ვაჟო და მოგვატყუეს, ქონება კი არა, სოფელში გვარდიელების ეგზეკუცია ჩამოგვიყენეს. ტყავი გაგვაძვრეს. მერე იყო და ბოლშევიკები მოვიდენ. მიწები ქე დაარიგეს, მარა ცარიელ მიწას რა თავში ვიხლი. ძაან იქნებოდა ხარებიც რომ გაენაწილებიათ. არა უშავს, ცხოვრება თანდათან წინ მიდის.

დახუნდარას ვრცელმა სიტყვამ ვერ ანუგეშა მექი.

იგი ისე დაცარიელებულად გრძნობდა თავს, როგორც ხუთი წლის წინათ, როცა ხაჟომიამ მხარზე უკბინა და დასცა.

საშინელ დაღლილობას გრძნობდა.

წამოდგა და მისი უშველებელი სხეული მძიმეთ, მოწყვეტილათ ჩამოინგრა ტახტზე — თითქო ბარჯგი გამოაცალეს წამოფერდილ კედელს.

— დაიმსხვრა, განადგურდა მისი იმედები! ვერც მოზვრებს იყიდის, ვერც...

მას ეშინოდა უფრო ღრმათ ჩაეხედა თავის ფიქრებში და ცხადათ ეგრძნო თავის იმედის დაღუპვა, თავის გამოუსავალ მდგომარეობის მთელი სიმკაცრე.

ძალას ატანდა თავს და იშორებდა ბნელ ფიქრებს. ცდილობდა დაძინებას რომ დავიწყებოდა ყველაფერი და არ ეფიქრა, მაგრამ ორი წლის ნაოცნებარი გული ასე უბრძოლველად, უსიტყვოთ არ ურიგდებოდა თავის ბედს და ივსებოდა ბოღმით და სიავით.

— თქვენი სისხლი კი დალია ძალლებმა...

მექიმ უკეთურათ დაკრიჭა კბილები. წამოდგა. ფული მოხვეტა. ჯიბეში ჩაიყარა.

სად მიგაქვს? შემოგეჭმება. სახარჯო დაიტოვე და დანარჩენი გავასესხოთ;

— წავიდეს... გულიანად შეიგინა და კარი მიარახუნა.

დახუნდარა გაოცდა.

პირველად ესმოდა როზ მექი იგინებოდა.

დუქანში მილიციონერი დაუხვდა.

— ხვალ აღმასკომში მოჯამაგირეების კრება შედგება. შენც გიბარებენ, უსიკვდილოთ უნდა გამოცხადდე; — უთხრა მექის და ზანტათ მოშორდა თბილ ბუხარს.

მექიმ ხმაამოუღებლივ გაიარა დუქანი და სამზარეულოში გავიდა.

. . . . . .

ნაფეტვარიძის საქმეზე დაწყებულმა ძიებამ გამოარკვია, რომ აღმასკომს აღრიცხულიც არ ყავდა ყველა მოჯამაგირე. მათი ინტერესების დაცვას გულგრილათ ეკიდებოდენ. დამქირავებელსა და მოჯამაგირეს შორის დადებულ ხელშეკრულებას არავინ ამოწმებდა. ტუჩა გრძნობდა: ნაფეტვარიძის საქმის გახმაურება ავნებდა მას და თვალის ასახვევათ თითონაც დაფაცურდა. ნაფეტვარიძეს ურჩია: შინაურულათ მორიგებოდა ბარნაბას. შუამავლობა თითონ იკისრა: ტარასიმ შეაჩერა.

— კულაკთან ბოდიში და კამათი ნაფეტვარიძის გაჭირვებას ვერ მობანს. საქმე სასამართლომ გადასწყვიტოს. ჩვენ კი ახლავე, უუდგეთ ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების გამაგრებას. მუშაობა გავშალოთ. ჩვენ პოლიტიკას - რომ შეიგნებენ, მერე უჩვენოთაც გაიკვლევენ გზას. თავზე არავის დაისვამენ.

— ვინაა კაცო ჩვენ სოფელში მდიდარი!—ყველა ღარიბია. რა საჭიროა ცალკე ჯგუფი?! —უთხრა დაშნიანმა. ტარასიმ საშუალო გლეხობა შეახსენა. სამკომის ცირკულიარებზე მიუთითა; ტუჩამ მოუჭრა რომ ღარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფის ჩამოყალიბება სწორეთ ამ საშუალო გლეხობის უკმაყოფილებას გამოიწვევდა.

... ეროხელ მოჯამაგირეთა კრებაზე ჯიბუტი მარგველაძე მოვიდა. არ შემოუშვეს! მეორე დღეს მთელი სოფელი ლაპარაკობდა: აღმასკომში მოჯამაგირეები შეყარეს, რაღაც რაღაცეებს ფუჩუნობენ, და ჩვენ კი ახლოც არ გვიკარებენო!—საშუალო გლეხი ჯერ ისედაც იქვის თვალით გვიყურებს. ახლა კიდევ განსაკუთრებულათ რომ მოჯამაგირეთა პარტია დავაარსოთ, მთლათ დაფრთხება და გაგვექცევა.—ტუჩა ისე დაბეჯითებით იცავდა თავის აზრს, რომ ტარასიმ გადასწყვიტა საკითხი კომუჯრედზე დაესვა. ტუჩა მაგრათ შეახურეს მოჯამაგირეთა და ღარიბთა ჯგუფების პოლიტიკური მნიშვნელობის დაუფასებლობისათვის და უკანასკნელი გაფთხილება მისცეს.

ტარასიმ მისთვის ჩვეულ გულმოდგინეობით შეუდგა მოჯამაგირეთა ჯგუფის მუშაობის გადახალისებას.

მოჯამაგირეების ხელმეორეთ აღრიცხვამ მივიწყებული მექიც გამონახა. პირველი შემთხვევა იყო—მექის კრებაზე უძახოდენ.

ხანდახან, როცა ღამით ჩაუვლიდა აღმასკომს, განათებულ ფანჯრიდან ამჩნევდა მამაკაცების ლანდებს და ესმოდა არეული ხმები. ხშირათ ქონია სურვილი, გაეგო რას ლაპარაკობდენ, რას არჩევდენ იმ განათებულ ოთახში. შესვლას ვერ ბედავდა. თავის ცნობისმოყვარეობას ფანჯარასთან ყურყუტით იკმაყოფილებდა...

და ახლა, როცა დიდიხნის წადილი შეუსრულდა და ხვალ მასაც იბარებდენ, იგი ისე გულგრილათ შეხვდა ამ ცნობას, თითქო თავი ჰქონდა მობეზრებული კრებებზე სიარულით.

— რა მეკრებება.—გაიფიქრა მან და ცოცხი დაასველა. ერთი-ორხელ უხასიათოდ გამოუსვა იატაკს და გააგდო. არაფრის კეთების ძალა არა ქონდა. უნდოდა მხოლოთ თბილათ გახვეულიყო საბანში და ყველაფერი დაევიწყა.

ვინ დაგაძინებს?! შუადღით კი არა, ერემო! იმასაც წუხს, რომ მექის ღამე ძინავს.

ჩამოჯდა. ყური მიუგდო დუქანში საუბარს.

— რაზე უძახიან თუ იცი?—ეკითხებოდა ერემო მილიციონერს.

მე არ დამიბარებია, სხვის გულში მე არ ვზივარ და რა ვიცი!

ახლა ამ ლენჩსაც დაუკარგავთ უფროსის პატივისცემას! მთლათ გაასულელებთ.

შე კაი კაცო, კრებებზე მეც დავდივარ, მაგრამ ჯერ არ [illegible] ბის სროლა. ჭკუას გვასწავლიან ერემო, ჭკუას.

ვიცი, ვიცი, იქ რასაც ასწავლიან... ერემოს უკანასკნელ სიტყვებში მექიმ გაჯავრება შენიშნა და ცოცხს წამუსვა ხელი. დილით პატრონის დაუკითხავათ წავიდა. ახლაც რომ უსაქმო დაინახოს, ღმერთს ააცლის... მაგრამ ეს ზიში სწრაფად გაჰქრა და ცოცხი ისევ მიაგდო.

... რაც უნდა, ის მიქნას?! მეტი რა მომივა!

მის გულში რაღაც უცნაური ხდებოდა. უბედურებამ ისე გააბოროტა მექი, რომ უნდოდა ურჩობა, არ გაგონება არ გაკეთება ყველაფერ იმის, რასაც მას ეუბნებოდენ და ავალებდენ. და ახლა არც გალახვის ეშინოდა, არც დათხოვის.

— მექი—დაუძახა პატრონმა ერემოს კილოზე. სახეზე, ყველაფერზე ეტყობოდა რომ საჩხუბრათ არ იყო მოწყობილი.

— ბიჭო დაჯექი, მეგობრულათ დაიწყო მან—მოჯამაგირის კრებაზე რომ გიბარებენ, მერე და შენ სადაური მოჯამაგირე ხარ?! ჩემ შვილებში ვერ გარჩევ; შვილივით გამიზრდიხარ!

მისმა ალერსიანმა კილომ იარაღი აჰყარა მექის. არ მოელოდა ასე თბილ შეხვედრას, არც უნდოდა.

პატრონი ისე კეთილათ უყურებდა, რომ გაუჭირდა სიტყვის შებრუნება.

ეწყინა, თავის გულს შეასკდა რომ ერემო, რომელიც მუდამდღე აგინებდა და აწვალებდა მას, ადამიანურათ მოეპყრო სწორეთ ახლა, როცა მექის ყველაფერს ერჩია ჩხუბი და უსიამოვნება.

გადასწყვიტა უკან არ დაეხია.

კრებაზე წასვლას არც თითონ აპირებდა, მაგრამ რადგან პატრონიც ამასვე ურჩევდა, გამომწვევათ მიჰუტა მარცხენა თვალი და ყინიანათ წამოიძახა:

— მიბარებენ და წავალ!

— სად წახვალ ბიჭო? დაგავიწყდა რომ ხვალ ბაზრობის დღეა გალმა?! ტევა არ იქნება, საღამოს იმდენი ხალხი მოაწყდება დუქანს. მე მარტო რას გავწვდები მუშტრებს! რაცხა ვაჭრობაა, ხვალ იქნება და ხვალ გინდა დამალალატიანო?! არ ვარგა ასე.

— თუ მიბარებენ?!

— უთხარი, ვერ მოვიცალეთქო.

— ის მე ვიცი, ეეტყვი რომ შენ არ გამიშვი, ძალით გამაჩერე დუქანში.— სწრაფად, თითქო ეშინოდა რომ მერე არ გადაეფიქრა, მიახალა და წამოდგა.

ელოდა ერემოს აფეთქებას. მისმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

პატრონმა მხარზე მეგობრულათ დაადო ხელი და უფრო გატკბილდა.

— მომისმინე შვილო, ნუ ჩქარობ, დაჯექი. მე არ გიშლი კრებაზე წასვლას. მე ის მაწუხებს, ჩემი შვილობილი რომ მოჯამაგირეთ ჩარიცხეს, რა გინდა იმ წუნკლებთან?! რატომ იმისთანა შეკრებულობაში არ გიძახიან, სადაც ჭკვიანი და პატიოსანი ხალხი იყრის თავს! თავმოყვარეობა მაინც არ გაქვს! მოჯამაგირის დაძახება არც უნდა გაბედინო ვისმეს. თუ იმას უყურებენ რომ

ქალამნებით დადიხარ, ხვალვე ქალაქში ვიქნები და ყურიან წალეტს ჩამოგიტან. გაიქეცი სახლში. ქალბატონს უთხარი, ჩემი ბუშლატი დაკეროს და ჩაგაცვას. წადი.

მექი გრძნობდა: პატრონი ტკბილი სიტყვით იმორჩილებდა მას და უნელებდა გახურებულ გულს. ამ გრძნობამ უფრო გააძლიერა მასში ჯიუტობის და შევუპოვრობის სურვილი.

რამდენჯერმე კიდევ შეუბრუნა სიტყა, მაგრამ ერემოს თითქო არც ესმოდა. ვერ გამოიწვია.

მექის უკმეხობას იგი მით ხსნიდა რომ კრებაზე წასვლას უშლიდა. იცოდა რა ნაყოფი მოქონდა კრებაზე მოჯამაგირის სიარულს და თაფლივით ადნებოდა თავზე ყაილის გუნებაზე დამდგარ ბიჭს.

აღელვებამ, თავზე ძალდატანებამ, ლოდინმა, იმ რამდენიმე სიტყვამ, რომლებსაც მთელი ძალღონე დაახარჯა მექიმ, ეს ახმახი ბიჭი დაღალა და მოტეხა. ულონოთ დაეშვა სკამზე. ამ წუთში მას მთელი ქვეყანა ეზიზღებოდა. ძაგდა ყველა და ყველაზე უფრო ერემო, რომელიც არხეინათ მიუჯდა ბუხარს და კვლავ აქაქანდა, რომ თავის შვილობილს არასგზით არ გაუშვებდა გასარყვნელათ უჯიშო მოჯამაგირეების კრებაზე.

ეს უკვე მეტის-მეტი იყო:

— ნუ, მეფერები, ნუ მეფერები, შე ცფიერო!—იყვირა ბიჭმა და თოფნაკრავივით წამოიჭრა ზეზე.

ერემომ ერთი კი შეავლო შიშნაჭამი თვალები და მაშინვე გაჩუმდა.

— პირფერო, ახლა მიძახი შვილობილს?!—

ერემო სდუმდა, თითქო ვერც ამჩნევდა მისი დუმილით განრისხებულ ბიჭს, რომელიც თანდათან მომძლავრდა და კოხივით დაუშინა უშვერი სიტყვები.

— შე ხარბო, ქვეშ-ქვეშა! ავიღებ ამ სკამს და მთლათ დავლეწავ აქაურობას!—ღრიალებდა, გიჟივით ბორგავდა. ელოდა შემოდავებას, მაგრამ ერემო მშვიდათ იჯდა და ცეცხლზე აშრობდა სოველ წაღებს.

— დავლეწო, დავლეწო?—და მექიმ სკამს წამოუსვა ხელი.

ერემო სდუმდა.

— ხმა ამოიღე, თქვი რამე ან შემაგინე შე ურჯულო! რას გაჩუმებულხარ?! რატომ....

სიმწრის ცრემლებმა დაახრჩო.

უმწეოდ დახედა სკამს.

ძირს დაანარცხა და გარეთ გავარდა. ბონდთან შედგა. მიმოიხედა.

ციოდა, ბინდდებოდა. ჭყაპი ესხმოდა ზურგზე და უკვეთავდა სხეულს. სად წავიდეს? სანამდე ივლის ასე უაზროთ ამ საძაგელ ავდარში! დღე მაინც იყოს. არ ჯობია დაბრუნდეს დუქანში და გათბეს?! მერე რა მხიარულათ გუგუნებდა ბუხარი. რათ წავეჩხუბე, რატომ გავაჯავრე! რომ არ შემიშვას? სად წავიდე ამ სიცივეში, რა ვქნა!

უცბათ მოაგონდა რომ ჯიბე სავსე ქონდა ფულით, გაუხარდა. ბონდზე გავიდა და წითელ სასადილოს კარებთან გაჩნდა. ერთხანს ფანჯრიდან იჭვრიტა, შიგ მყოფნი ათვალიერა. მერე მოკრძალებით შეაღო კარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახუნდარა ტარანს ხვევდა ღადარში და გულდაწყვეტილ ცარიელ ჩარექიანებს.

არც ფული, არც ნდობა. ერთი მათგანი ყოველთვის ეგულებოდა თავის განკარგულებაში. რასაკვირველია, უფრო ხშირათ მეორე.

დღეს კი ორივე ერთად შემოელია და უგუნებოთ იყო. პირველმა თოვლმა და მხიარულმა ცეცხლმა მთლათ აუშალა საღერღელი.

მწარე ფიქრებში იყო რომ კარები გაიღო და მექი გამოჩნდა. დახუნდარას თვალები კინაღამ გადმოუცვივდა, როცა მის ხელში მოხრდილი დოქი დაინახა.

— ჩვენი საშველი მაინც არაა; ბარემ დავლიოთ, ვიქეიფოთ.—თქვა მექიმ და უხერხულათ გაუცინა დაფეთებულ მეგობარს. უბიდან ძეხვი, ყველი და პურის ნაჭრები ამოალაგა.

— ამისთანა ამბავი, ვაჟო, ზღაპარში გამიგონია! კეთილი სული რომ მოეევლინებოდა ოჯახს, სწორეთ ისე მომევლინე ახლა!

ჭიხვინებდა დახუნდარა და ცეცხლის პირთან ჭილოფს შლიდა.

იმ ღამით მექი პირველათ დათვრა თავის სიცოცხლეში.

პირველი ნაწილის დასასრული.

დევნა შეიგელაია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გათა ქექია *)

10

ცოლი რომ შევირთე, ვინ ჰყავდა მერე ბასკან უჩარდიას ხელის შემშლელი? მე ბაწარი მქონდა კისერში ჩაბმული და ახლა, როცა არც მე ვიყავ საცოლო და არც ის სულწაწყმედილი მახაჯირი ოსმან ყაიტამბა იყო ამ ქვეყანაზე, ვისთვის უნდა მიეთხოვებინა თამშულ დანელიას თავისი უმცროსი ქალიშვილი, თუ არ უჩარდიასათვის? სად იშოვიდა ის მასზე სულძაღლსა და გალლეტილ სიძეს? მაგრამ არც ჩემს სიმამრს დასცალდა დიდხანს თავისუფლად თარეში. არავის ქვეყანაზე არ შერჩენია არამი ცხოვრება და არც მას შერჩა,—წამწარდა სიბერის დღეები. ის ჩემი ცოდვით სავსე, რამდენი ბერდებოდა, იმდენი უფრო და უფრო წუწკდებოდა. ბოლოს მთლად გამწარდა და არ იქნა მისი ხარბი გულის გაძღომა. არია მთელი ქვეყანა, ააწრიალა. დიდი და პატარა, ღარიბი და მდიდარი, გლეხი და თავადი, ყველა თავის დაკარგულ ცხენს ეძებდა და ყველა კვლები თამშულ დანელიას ეზოში იყრიდა თავს. მაშინ ფეხზე დადგა მთელი მაზრა, აყაყანდა, ატყდა საჩივრები, რომ თამაზულ დანელიას და მისი ამფსონების შიშით კაცს ცხენი ვერ გაუშვია საბალახოზე და ხვადაგი. პრისტავიც მისი ხელის შეწყობია და ან თამაშულ დანელია უნდა გადაასახლონ ამ არე-მარიდან ანდა მთელი მაზრა აიყაროს და სხვაგან დასახლდეს. მთავრობაც იძულებული შეიქნა ყურადღება მიექცია ამ ამბისათვის და ზომები მიეღო. დანელიას მწყალობელი პრისტავი გადააყენეს და მის მაგიერ ვიღაც ახალი დანიშნეს. ახალმა პრისტავმა ერთხელ გააფრთხილა იგი, ორჯერ და, როცა მისი მორჯულების საშველი მაინც არ იქნა, ნაქურდალით სახლში მიიმწყვდია, ოქმი შეუდგინა და თავი ნაობახში აკვრევინა. არც მისი ამხანაგები დაივიწყეს და ისინიც საიმედოდ ჩაკეტეს მასთან ერთად ქვის ხურჯინში და მერე, საქმის გამოძიების შემდეგ, ზოგს ციმბირში უკრეს თავი, ზოგს ისევ ნაობახში და ზოგმა მოასწრო და თათარში გადავარდა.

თამშულ დანელიას ოქრო ბლომად ჰქონდა და, მოგეხსენებათ, ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებს. იმანაც გამოიყენა ეს ოქრო და ჯოჯოხეთი გაინათა. მხო-

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი" № 1-2.

ლოდ ექვსი თვის ციხე და მთელი ქონების ხაზინის სასარგებლოდ ჩამორთმევა მიუსაჯეს.

ბიბლიოთეკა

ექვსი თვის შემდეგ გამოუშვეს იგი და, გარეთ რომ გამოვიდა, დარჩა გალოკილ თითივით. არაფერი ქვეყანაზე არ გააჩნდა, არც სახლი, არც ეზო. ჩემთან პირშავად იყო და რას გამეკარებოდა? სად უნდა წასულიყო ის, თუ არა თავის მეორე სიძესთან?

ნაობახიდან ხველა გამოჰყვა, დასნეულდა. მალე ლოგინად ჩავარდა და ექვს კვირაში სულიც გავარდა.

ჩვენც ვიტირეთ იგი, როგორც ამას წესი და ადათი მოითხოვდა. მართალია, გული დიდათ არ გვეწოდა, მაგრამ წესსა და ადათს სად გავექცეოდით? მოგეცათ ლხენა, ჩვენ ის დავიტირეთ რჯულზე! ვიტირეთ ისე, რომ, მგონი, მეორედ მოსვლის დროსაც ველარ ადგეს. მაწვიერები, ალაპი, მოინალეები, მეზარეები, ძაძა და ფლასი, მატირლების გულისდამთუთქავი მოთქმა და თვალუა, ერთი სიტყვით, არაფერი დავაკელით, რომ კუთხე-მეზობლებში არ გამოვწყვეტილიყავით. საიდან არ მოაწყდა ხალხი მის სატირალს! ჯიქეთიდან, ოსეთიდან, აფხაზეთიდან, აჭარიდან, ერთი ლეკიც მოვიდა შორეულ დაღისტნიდან. კაცმა არ იცის საიდან გაეგო ან საიდან მოაგნო. ყველა ერთი მეორეზე უკეთესი ვაჟკაცები და ერთი მეორეზე საშინელი შესახედაობისანი, ყველა აბრაგები და საეჭვო ხალხი. ჯიქეთიდან ქალებიც იყვნენ და, მათ რომ თავისი გაზრდილი დაიტირეს, ჩვენ არ გვესმოდა მათი ენა, მაგრამ იმათი საცოდაობით ხე და მიწა დულდა.

როცა მიცვალებული მიწას საიმედოდ მივაბარეთ, მერე გაჩნდა დოლი და მარულა, ალაპი და სამძიმარი. შვიდი დღე იხსენიებდენ მის სულს ჩამოსული ძმობილები და ჭირის მოზიარენი, შვიდი დღე დასტიროდენ ისინი უკანასკნელ ჯიგიტსა და ვაჟკაცს, მერე, წასვლის დრო რომ მოვიდა, ყველამ სათითაოდ გვანუგეშა რომ ჭირისთვის გაგვეძლო, უმამობა მოგვეთმინა (რას იზამ, ყველა სიკვდილის არჩევი ვართ), გამოგვეთხოვენ და წავიდ-წამოვიდენ, ყველა თავის გზას ეწია და, წავიდენ თუ არა, მეორე დღეს გაჩნდა სოფელში მოთქმა-ტირილი და ერთი უბედურება. ზოგს ცხენი დაეკარგა, ზოგს ხარი და ზოგს ძროხა,

სალომე და სიდუ თავს აკლავდენ მამის საფლავს და სიდუს ასე ატირებულს რომ უცქეროდა, გულში. ბრაზით მჯიღს ვიცემდი, რომ ის ბასკან უჩარდიასი იყო და არა ჩემი.

დებს ერთი მეორე დასანახავათ სძულდათ და მე მეშინოდა მამის საფლავზე არ წაკიდებულიყვნენ და აკი შიში გამიმართლდა! კუბოს თავზე ერთი მეორეს შეხვდენ და, იცოცხლეთ, ისინი წაიკიდენ. კიკინა დააპუტეს ერთი მეორეს. ხალხს შეებრალა ისინი, ეგონათ მამის დარდმა გადარიაო და მათის საცოდაობით არ იყვნენ.

როცა სიმამრი დავმარხე, მე ჩემი ძვირფასი მეუღლით სახლისაკენ გამოვეშურე. გამოთხოვების დროს ისევ წაიკიდენ დები, ლანძღეს, ათრიეს და თათხეს ჯერ ერთი მეორე და მერე ქმრები. სიდუ საყვედურობდა დას, რომ ის გაუტანელია და პირის მტეხელი, იმიტომ რომ მან, საკუთარმა დამ, მას საქმრო

წაართვა. სალომე ამ სიტყვაზე მთლად გადირია, გაკაპასდა, ბრაზით მოსარეულ ქათმის კუპივით გალურჯდა და მოსდგა, როგორც შეეძლო. რა არ უძახა მან საკუთარ დაიას?—რომ ის კახპაა, გავარდნილი და... შარაზე აქვს გადადებული. რომ გაუტანელია არც ნათესაობა იცის, არც დობა და არც მოყვრობა, რომ ისეა ნამუსზე ხელეღებული რომ საკუთარი დის ქმარი უყვარს და რა ვიცი კიდევ რა. და აი ცხრა წელიწადი გავიდა მას მერე და ამ ცხრა წლის განმავლობაში მათ ერთი მეორის ლანძღვა-გინების მეტი არაფერი უკეთებიათ. არც ქმრებს ინდობდენ, უგონებდენ სიძეებს ათასნაირ ჭორებს. ჩემი ცოლი მის ქმარს ამტყუვნებდა, რომ ის კრიჟანგია, ყოვლად უმაქნისი, გლახაკი და ცვედანი. რომ ის დედაკაცია, ქალაჩუნა და ქუდი რა მისი საქმეა, მას მანდილი უნდა ეხუროს თავზე და ისე დადიოდეს. ცხრა წელიწადია ცოლი ჰყავს და ერთი ბაღანა ძლივს გააკეთა, ისიც ქორწინების მეოთხე წელიწადს და საკითხია, ვინ იცის, იქნებ, არც მისია ეს ბაღანა? არც სიდუ რჩებოდა დას ვალში. დალუპულმა სიყვარულმა გაამწარა იგი, გააკაპასა და ისიც აგინებდა ჩემ ცოლს, როგორც მოეხერხებოდა და გაუვიდოდა. ამ გინებაში არც მე ვავიწყდებოდი მის მადლიან ენას, ხელს მეც გადმომიწვდენდა და ნიშნს უგებდა ჩემ ცოლს, რომ მე ზარმაცი ვარ, ყბედი, ცრუ, უჭკუო და ყოვლად უკულმართად გაჭედილი კაცი. მე რომ კაცი ვყოფილიყავი და ჭკუა მქონოდა, არც ასე სულელურად მოვტყუვდებოდი, მას არ დავტოვებდი და მის მაგიერ ჯოჯოხეთის მუგუზალს (მის დას) არ შეავგდებდი სახლში და კერიას არ წავებილწავდი. მაგრამ რა უნდა ჰქნას ახლა, როცა მე, თურმე, უტვინო ვყოფილვარ, ჩერჩეტი, უჭკუო და ვინ იცის კიდევ რა.

მაგრამ მე მართლა უჭკუო ხომ არ ვიყავი, დედაკაცების ჩხუბში ჩავრეულიყავ და ყველაფერი დამეჯერებინა? მათი ენის საბრუნავს რომ ავყოლოდი სად წავიდოდა? მე ვიცოდი, რომ ორივე ჩემი სიყვარულით აგინებდენ ერთი მეორეს და საბოლოოდ დავრწმუნდი რომ სიყვარული არც თუ ისეთი კეთილი მოვლენაა, ჭკვიანი კაცები რომ ამბობენ. სიყვარული დედაა სიძულვილისა, სიყვარული ის ძირია და ფესვი, რომელიც ასაზრდოებს და წვენს აწვდის სიძულვილს.

ამ ლანძღვა-თრევაში, ჩხუბში და აყალ-მაყალში გავიდა ეს ცხრა წელიწადი ცხრა დღესავით. მე ოთხი შვილის პატრონი ვიყავ, მაგრამ ეს ოხერი სული მაინც რომ არ მისვენებდა! გული მაინც გულუხეთს მიმიწევდა სიდუსკენ და ბრაზით სულ დედამამის სულს ვაგინებდი მის წუნკალ ქმარს, მე რომ ამ დღეში ჩამაგდო და ასე უცეცხლოდ დამანელა. მაგრამ მე საყვარელი ცოლის დის ნახვა კი არა, მისი სახელის ხსენებისაც გატენილ დამბაჩასავით მეშინოდა ოჯახში. ამ ცხრა წელიწადში არ იყო ოდიშში, სააფხაზოში და იმერეთ-გურიაში სოფელი, მე რომ ვერ წავსულიყავ, მაგრამ სოფელ გულუხეთში, ცოლის შიშით, ფეხი ვერ ჩამედგა. სულ მუდამ ახალ შეყვარებულივით ვიყავი, ვდნებოდი ჩემთვის, ვიწოდი და დამფრთხალ ნადირივით მეშინოდა მისი შეხვედრის. ეს რჯულძალი ბავშობის სიყვარული გულში აბედივით მეკიდა, ვიწოდი ნელა, გულდაგულ.

არ იყო ქვეყანაზე კუთხე, მე რომ ისე მყვარებოდა, როგორც გულუხეთი, არაფერი ჩემ გულს ისე არ იზიდავდა, როგორც ეს სოფელი. ყველაფერი იქაური ჩემთვის ძვირფასი იყო, საყვარელი და, რომ ეთქვათ, ჯანდაბაში წავიდოდი

და. გულუხეთში ფეხს მაინც ვერ შევდგამდი. მე ჩვიდმეტი წლის შეყვარებულ ყმაწვილივით ვიყავ და არ იყო ქვეყანაზე სოფელი, რომ ისე ახლობელი ყოფილიყოს ჩემთვის, როგორც გულუხეთი, და ამასთანავე ისე შორეული, რომ არაფრით ხელი არ მიმიწვდებოდა.

გულუხეთი ხევდა ჩემ გულს და მშველელი არავინ იყო. ოღონდ მას ეთქვა და მე დავყრიდი ცოლს, შვილებს, ოჯახს ქარს გავატანდი, ბორანს წყალს, ყველაფერს გავანიავებდი და ცეცხლს წაუკიდებდი, მაგრამ რომ არ იქნა ჩემი საშველი და მის ნახვას ვერ ვეღირსე!

მე ისე მეშინოდა მისი შეხვედრის რომ, როცა გზა მის სოფელზე მქონდა, ასი ქცევის სიშორეზე უვლიდი ირგვლივ, იმიტომ რომ სიდუ იქ იყო და სიყვარული კაცს კი არა დათვს აბლავლებს და მეც შეშინებულ დათვივით მეშინოდა ამ ძველი კბილის ტკივილივით მწვავედ განვლილი სიყვარულის გახსენებისა.

ჩვიდმეტი წელიწადი ვატარე მე ეს სიყვარულით სავსე გული სავსე ბათმანივით და ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა, ცოტად თუ ბევრად, თვალადი ქალი, მე რომ კადნიერებით არ მივსულიყავ და ჩემი არ ყოფილიყო, მაგრამ სიდუ!.. დასწყევლა ეშმაკმა და ქაჯმა, რათ არის ეს ქვეყანა ისე მოწყობილი, რომ რაც გინდა, ის არასოდეს შენი არ იქნება! ალბათ, ამ დაუკმაყოფილებელ სიყვარულის ბრალია, რომ ყველა მოწყურებულია და უკმაყოფილო ამ ცხოვრებაში. ყველა ამ წყურვილის მოკვლის ძიებაშია და ეს ძიება გვაცხოვრებს ჩვენ და გვასულდგმულებს.

ხომ ასეთ დღეში ჩამაგდო მე ბასკან უჩარდიამ? არც იმას დაადგა კაი დღე. სიმამრის სიკვდილს შემდეგ აბრაგობა არ იქნებოდა და ყაჩაღობა, მუშაობა მან არ იცოდა და ხელის გარჯა, რა უნდა ექნა? დაგლახაკდა, დაჩიავდა და გაუწყრა ჩემი გამჩენი. მასზე ღარიბი და საწყალი მთელ გულუხეთში არავინ იყო და, სიდუ რომ ამ დღეში გამახსენდებოდა, გულს ცეცხლი მედებოდა, მაგრამ რას ვიზამდი? მე დაბმული დათვივით ვიყავ ჩემი ცოლის ხელში, ებურდღუნებდი, ვლმუოდი, ვცდილობდი ამეწყვიტა, კისრიდან რამენაირად მომეცილებინა ეს მძიმე უღელი, მაგრამ ისე მაგრა მედგა რომ ვერაფრით მოვიცილე. ცოლი, თურმე არც ისე სახუმრო საქმე ყოფილა, მე რომ მეგონა. ეს დალოცვილიც, რომ მომჯდა ზურგზე მორგებულ კურტანივით; ვერაფრით მოვიშორე. მე ვყვიროდი, ბლავილით ქვეყანას ვაქცევდი, რომ ზურგზე ტყავი გადამძვრა, მეტი მისი თრევის თავი არა მაქვს და საცაა წავიქცევი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, მაინც მაჯდა ზურგზე არხეინად და მერეკებოდა ამ ცხოვრების თემშარაზე. მეც, რას ვიზამდი, უნდა მიმეტანა დანიშნულ ადგილამდე და, რომ მივიტანდი, მერე რას ვივარგებდი? მერე მე სიდუსთვის კი არა, მიწისთვინაც არამი ვიქნებოდი. ამას ახლა მივხვდი, სიბერით წელში რომ გავტყდი და არაფრის თავი არა მაქვს. მაშინ, ახალგაზდობისას, ეს ასე არ მეგონა. თურმე ის დალოცვილი შოლტს ისე მცემდა რომ ვერ ვხვდებოდი, მეგონა ჩემ ნებაზე, ჩემ ქეიფზე მივდიოდი, ნამდვილად კი ის მერეკობოდა თავის ქეიფზე და თან ყოველ შემთხვევისათვის მეჩხუბებოდა, მეკაპასებოდა, რომ მე იქით არ მივდივარ, საითაც მას უნდა, მეც მიხაროდა, რომ მისი სურვილების წინააღმდეგ მივდიოდი და თურმე (ახლა მივ-

ხვდი), მას სწორედ ეს უნდოდა და მთელი ჩემი სიცოცხლე მის ხელზე მოვლია. ის ჭკვიანი ქალი იყო, თავის სურვილს აშკარად არ ამჟღავნებდა, ეს იმიტომ რომ ტყეობა არ მეგრძნო და არ დავჩაგრულიყავ. მეც, მე სულელს, მჯეროდა და მიხაროდა... და ახლა, უკან რომ ვიხედები და ცხოვრების განვლილ გზას გავცქერ, ვხედავ, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე თურმე მის ქეიფზე მივლია.

ბოლოს მეც მომწყინდა ბრძოლა, დავიღალე და ბედს შეურიგდი. მე რას გავაწყობდი, თუ ასეთი ბედი და იღბალი მეწერა? მაგრამ მისი დის სიყვარული გულიდან მაინც რომ ვერ ამოვიღე! რომ გამახსენდებოდა, გულზე მდუღარე მეღლებოდა და ხორცზე ცეცხლი მეკიდებოდა.

ყველაფერს საზღვარი აქვს ამ ქვეყანაზე და ჩემს მოთმინებასაც საზღვარი დაედო. ცხრა ცინცხალი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც მე ცოლი ვითხოვე და დავოჯახდი. ცხრა დაცოლშვილებული წელიწადი ცხრა თხილის კაკალივით დამატყდა თავის კოჟორზე და, თუ მართალია, რომ ცხრა ძმამ ერთი თხილის გული გაიყო, მე ამ ცხრა თხილის კაკალს სიამოვნებით ჩამოურიგებდი მათ სათითაოდ, ისინიც კმაყოფილი დარჩებოდენ და მეც. მერე გავშლიდი ფრთებს (არა მაქვს, მაგრამ მაშინ გამომესხმებოდა) და, ჰეიდაჰაა, გავფრინდებოდი! და რადგან ეს ცხრა ძმა მხოლოდ ანდაზაშია და არა ცხოვრებაში, ამიტომ მე მაინც უნდა ავიწყვიტო ერთი და, გავფრინდე შემოდგომაზე გაშვებულ კაპუტივით. ერთხელ მაინც უნდა გავშალო ფრთები თამამად, დავიწყვიტო ფეხებზე ეს სახამლავები, ეს ხიზა და ეჟვნები. რა უყოთ რომ ტკბილად წკრიალებენ და ეჟვნები ჰქვია? ისინი მაინც ბორკილებია და მათ ჟღარუნს ისევ სიდულიას ვნებიანი კრიახი მირჩევნია ჩემ კლაჭებში. ამიტომ, როცა მე ერთი მოყვრის ქორწილში დამპატიჟეს სოფელ გულუხეთში, მოგეცათ ლხენა, მე ავიწყვიტე.

ამ ამბის გაგონებაზე ჩემმა ცოლმა ქნა ააგდო და თავი შეუშვირა, მაგრამ მე რომ კუდი ყავარზე გავედე და გავჯიუტდი, არ იქნა მერე მისი ძირს ჩამოღება. არც ცრემლებმა, არც მუდარამ, არც კაპასმა და არც წყევა-კრულვამ არ გასჭრა. მივდივარ, მივდივარ გადაწყვეტილი საქმეა! ჯანდაბას იქით წასულა ის სამარგელი ყანები, თუ ჩემი გულის ჭიას ერთი რჯულზე ვერ გავახარებ, წყალს წაულია ის ბორანიც, ცეცხლი წაკიდებია ამ ჩემ ფაცხასაც, თუ მე საშველს არ მომცემს და სიცოცხლეს გამიმწარებს.

ეს მაისში მოხდა. კაცები ყანებს აკვდებოდენ და ქალები ყაჯს. ის ჩემი ცოდვით სავსე სასიძო ქალაქელი იყო და არ იცოდა რომ სოფლის ამ გაგანია მუშაობაში ქორწილი მოუხერხებელი იყო. აუცილებლად ახლა უნდოდა ცოლის თხოვა. მე მის ცოლს რა თავში ვიხლიდი, მე სხვისი ცოლი მიღადრავდა გულს და ის ცოლი გულუხეთს იყოდა რა მენაღვლება, რომ დამაბან, მაინც ავიწყვეტ და გადავარდები. მე ჯიუტი ვარ, მე კებერი ვარ და, ერთი თუ რამე ამოვიჩემე მერე, შვიდობით, ვერაფრით გადამათქმევინებ, რაც არ უნდა დამიჯდეს, ჩემი მაინც უნდა ვქნა.

— გულუხეთი! გულუხეთი! გულუხეთი!—რეკდა გული ზარივით და ისე ვიყავ გულაჩქროლებული, როგორც იმ ღამეს, როცა სიდუს მოსატაცებლად მი-

ვდიოდი ბანძაში და მის მაგიერ მისმა თავკინტირია მამამ და ჩემმა პატიოსანმა მაჭანკალმა, ბასკან უჩარდიამ, მეორე ქალიშვილი შემომაპარეს.

, მე გაშტერებული ვიდექ რიონის პირას და ეს მაისის მზე ისე ულმერთოდ აჭერდა და ავსებდა ამ ზღვასავით გადალურჯებულ სიმინდს, რომ აღტაცებისაგან მზად ვიყავ დავცემულიყავ მიწაზე და შევვედრებოდი ამ ოქროს რახტივით დაფანჩულ მზეს, ძირს ჩამოსულიყო რამე ნაირად და მიწაზე დაბრძანებულიყო. თუ ჩემი ეშინოდა, აგერ იმ მუხის შტოზე მაინც ჩამომჯდარიყო და თავისი ცეცხლით ამოეწვა ეს თაკარასავით მონთებული საყვარული, მე რომ საშველს არ მაძლევდა. ანდა რა უჭირდა, დალოცვილს, თაბიაზე დაწოლილიყო ჩემთან ერთად და, თუ მართლა ქალია და დაჲ მთვარისა, გავეძღე ცეცხლიანი სიყვარულით, დავეწვი და ის პირველი სიყვარული ამოეთუთქა ამ გულში და დაევიწყებინა? თუ არც ეს მიშველიდა, მაშინ ყაბალახში, ჩავიგდებდი, წაუღებდი სიდუს და ვეტყოდი, რომ ეს ჩემი გულია, ჩემი სიყვარული და სისულელე, იმიტომ რომ კაცს სიყვარული ასულელებს, აშლეგებს და მეც შლეგიანი ვიყავი ახლა. ეს ოხერი სიყვარული ისეთი ყოფილა რომ ადამიანს გრძნობას უმატებს და ჭკუასა და მოსაზრებას უსუსტებს! და ახლაც, სიყვარული იყო, მე რომ ასე მიჯდა თავში სისულელესავით, დასწყეველა ეშმაკმა ჩემი ასე უკულმართად გამჭედი! ალბათ, იმიტომ მეძახის მე ჩემი ცოლი სულელს და ყოვლად ხეტერ ყაძახს. მართალი ყოფილა, მართალი, უცხონდა მამის სული მაგრამ რა ვქნა, ერთი მითხარით, როცა მეც მართალი ვარ ჩემი სიყვარულით?

— გულუხეთი, გულუხეთი, გულუხეთი!—მაჯავრებს ტკბილი ჭახჭახით ის წყეული ფეხყვითელა შაშვი, აგერ იქ, ფალაგეზე რომ შემომჯდარა, და მე გაგულისებული უტევ:

— ჰაიტ, შე ზარმაცო, შე ყოვლად უმაქნისო შავტრუხავ, შენა! შენ რომ კაი ჩიტი იყო, არც ასე ურწყვი შავი იქნებოდი. რა გინდა მერე, კაცმა რომ იკითხოს, რას დაგილია ეგ ნისკარტი და მაჯავრებ? ვითომ ჩემი ჯავრი არ მეყოფა! რას დამცინი? თუ მართლა მონაზონი ხარ ღა წმინდა, რას არცხვენ მაგ შენი ბერის სამოსს, რა გაჭახჭახებს, თუ არ სიყვარული და სიხარული, რომ ცოცხალი ხარ? განა შენც ჩემ დღეში არა ხარ? ახლა მაისია, ჩემო ბიძია, ახლა კვერცხის დებაა და, ვგონია, არ ვიცი რომ შენ ცოლს სიყვარულით საშველს არ აძლევ? ჰაიტ, შე ავხორცო შენა! შენ რა გიჭირს, ბიძია, შენთვის სულერთია რომელი დედალი შეგხვდება წლეულს ცოლად და რომელი გაისად, იმიტომ რომ ისინი ყველა ერთნაირი არიან, კვერცხს ყველა ერთნაირად სდებს და შენც მეტი არაფერი გინდა. აბა ერთი მეც მკითხე! მე რა ვქნა, როცა ჩემ ცოლსა და ჩემი ცოლის დის შუა ისეთივე განსხვავებაა, როგორც ფარშავანგსა და დედალ ინდაურს შორის. შენ ჩიტი ხარ, ერთი მუჭის ოდენა და ასე გიყვარს შენი საყვარელი, მე ხომ კაცი ვარ, ეს ოხრად დასარჩენი? ვიცით, ვიცით, რა შვილიც ბრძანდები. მართალია, ბერის სამოსი ჩაგიცვამს, მაგრამ ბერის ცოდვებიც კარგა ბლომად გაგიხვევია შიგ. აბა, შენ თუ მართლა პატიოსანი ჩიტი ხარ, გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი, ეს ფრჩხილის ოდენა გული რომ გაქვს, ამდენ ცოდვასა და სიყვარულს რით ატევ შიგ? შენც? შენ რაღა გაშრიალებს,

ტირიფო? ან შენ, მაღალო შუადღევ, ან თქვენ, რიონო, მიწავ და ბალახებო? ვიცით, კარგა ვიცით, მე რას გამომაპარებთ! აგერ, ხომ ხედავ, ქორი რომ ირაოდ წავიდა, იმასაც ჭამა უნდა და სჭამს იმიტომ რომ სიყვარული შეეძლოს. მაშ რა ჰქნას? როგორ უყვარდეს, თუ სხვა არ შეჭამა? ყველაფერი სიყვარულია, ძამიებო, ყველაფერი გულის ხევაა და მთელი ეს ქვეყანა გულუხეთია! ეეხ, რას იზამ, რას იზამ კაცი!

— გულუხეთი! გულუხეთი! გულუხეთი!—ნიშნს მიგებს ეს მიწა, ეს ცა, ეს წყალი. მე გული მეხევა მის გახსენებაზე ვდგავარ და თავს სინანულით ვაკანჩურებ.

11

მეორე დღეს მე ქორწილში ვიყავ. ვიქეიფე, დრო ვატარე, ვსვი, ვჭამე და მოვილხინე, როგორც შემეძლო და ვიცოდი.

მერე მექორწილეებს თავი კარგა რომ შეგვიხურდა, ვიყაყანეთ ჩვენ ყანებზე, მამასახლისის ძახთაპირობაზე და ხუცესის უწმინდურობაზე, არაფერი არ დაგვიტოვებია უთქმელი და, როცა სიტყვა რუსეთ-იაპონიის ომზე ჩამოვარდა, ბიჭებმა სიმღერა შემოუკიკინეს.

ასე რომ, ენა წუთით არ შეგვიჩერებია. მეც ვქაქანობდი, ვოხუნჯობდი, ვმღეროდი, ვცეკვავდი, ვსვამდი და თან ცალ თვალს ცბიერ მელასავით სიდუსკენ ვაპარებდი. ის წითლდებოდა და, ასე ალუნჩული, ეშხიანად ნაბავდა თვალებს. მე ისედაც მთვრალი ვიყავ, ჭკუა არ მეკითხებოდა, ეს თვალები კიდევ უფრო მრევდა და რახან ღვინოს მის ქმარს ულევდი, გადავწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა, დამეთრო იგი. ყანწს ყანწზე ვცლიდი და ცარიელ სასმისს რომ ვესროდი გადავძახებდი:

— ალავერდი შენთან, ქვისლო!

ის ჭინჭყლობდა, ღვინოზე უარს ამბობდა, მე მაინც არ ვეშვებოდი, ვაძალებდი და, სმას რომ შეუდგებოდა, ჩვენებურ სუფრულს შემოვძახებდი, სიმღერაზე ამფსონებიც ამყვებოდენ და ვგუგუნებდით:

გეშვია, გეშვია, ახალი დო ჯვეშია!
უჩარდია, უჩა კოჩი, ვა-შუნდი-და, მუშა მორთი?
უჩა კოდი ხარკალე აშო მომიჩაკალე!
ალი კულა რე დო ალი კულა რე!
მითი ღვინსი გეშინსინი, კოჩი თინა რე.
ვარა გეფშვათია-ო-დო, ვარა ოგჭკომათი,
ვარა თოლი რხინია-ო-დო, გეკეიძირუათი.
რხინი ტუმარენსი-ო-დო, თოლი მენძელიში,
მუთი უჯგუში, უჯგუში, მანდილოსანეფიში.

მაგრამ, როცა საქმე შემდეგ ყანწზე მიდგებოდა, ისევ თავიდან იწყებოდა ამბავი, ისევ ჭინჭყლობდა, ღვინის დალევა არ უნდოდა, გამიძაღლა სიცოცხლე და, როცა არაფერი გამდიოდა, გულზე ხელებ დაწყობილი ვეფიცებოდი თარსულად:

— ძალიან სასიხარულოა, ძალიან, ჩემო ქვისლო, შენი [illegible]ბას გეფიცები, მიხარია რომ გიყურებ. ოჯ, მოყვარე ხარ, [illegible]ერი იყოს! რა უყოთ მერე, თუ უწინ რამე უსიამოვნება გვქონდა, ახლა ეს რა გასახსენებელია? დალიე, მე ნუ მოგიკვდე, დალიე! — ვეხვეწებოდი მე და ისიც, ტკბილი სიტყვებით გაბრიყვებული, სვამდა და რამდენი თვრებოდა, იმდენი სულელდებოდა, ბრაზობდა, ეჭვიანობდა, ეშინოდა ღვინოში და ცოლში არ მომეტყუებინა. თვალებს დასაკლავ ხარივით ჰქაჩავდა, მაგრამ მე მაინც არ ვეშვებოდი, ვეძალებოდი და ბოლოს იმდენი ვქენი, რომ მაინც მოვტეხე კისერი, დათვრა, მთლად გადაიბრანძა და სიმთვრალესთან ერთად ძილიც მოეკიდა, თავს კისერზე ძლივს იმაგრებდა. კარგა ხანს ებრძოდა იგი ასე ძილსა და ღვინოს, მაგრამ ბოლოს ირივე მოერია, ვერ გაუძლო და მოსწყდა კისრის ჯინჯიხი. მოწყვეტილი თავი, ცივ ლომში ჩასდო, თმები საცივში ჩაყარა და გალეშილს მკვდარივით მიეძინა,

სიდუ ერთხანს უკმაყოფილოდ მიცქეროდა, არ მოსწონდა რომ ასე სიკვდილივით შეუჩნდი მის ქმარს, რაც არ უნდა იყოს, მეუღლე იყო მისი და ეცოდებოდა რჯულძალლი. ხან თვალს უშვრებოდა, ხან ურჩევდა რომ არ დაელია, მაგრამ სიმთვრალეში შესულ კაცის თავმოყვარეობას ეს კიდევ უფრო აღიზიანებდა და ცოლს ენის მოკიდებით უტევდა:

— ჰაიტ, ჰაიტ, დედაკაცო!.. ეფუუ, დედის მერილე! — და ჩემგან გადალოცილ ღვინით სავსე კათხას ძირამდე სცლიდა.

ბოლოს, რომ არაფერი გაუვიდა, თავი მიანება ამ მთხლად მოქცეულ კაცს და შორიდან უცქეროდა თუ როგორ უწყრებდა ამ ჩემი ცოდვით სავსეს ჩემი გამჩენი თანდათან.

— ჰაიტ, ქვისლო, არ შემარცხვინო, ზეკაცო! — უტევდი მე ძილში წასულ ბასკან უჩარდიას და ისიც შემკრთალი ზლეგიანივით წამოვარდებოდა და მიბლეტილ თვალების აქეთ-იქით ალიცლიცებით წამოიძახებდა:

— ჰაიტ!.. ჰაიტ!... — და ისევ თავის ადგილზე დაეცემოდა და ბურანში წავიდოდა. ბოლოს, მთლად რომ მიეძინა, სიდუმ ერთი ზიზღით გადახედა ქმარს, მერე საყვედურით სავსე თვალებით მეც შემოხედა და, მე რომ მომუდარე თვალები შევაგებე, მოტყდა, სახეზე საყვედურის ჩრდილი წაეშალა და თვალები მახეში გაბმულ ყარანასავით შემომანათა მინაბულად. აქამდე რა მიჭირდა, აქამდე ჩემი ყოფა ქეიფი იყო! მე მხოლოდ ახლა ვიგრძენ რომ არ არის ჩემი საშველი. გახელებული სუფრაზე ავარდი, ხელები ცაში გავიშვირე და ავბღავდი დაჭრილ ნადირივით:

— სტუმრებო, მაინძლებო, მეზობლებო, მიშველეთ, თვარა ვილუპები კაციშვილი! ხომ ხედავთ, რომ ჩემი საშველი არაა და მომეხმარეთ! გავთავდი, დავილიე კაციშვილი და მიშველეთ, მომეხმარეთ, თქვე ურჯულოებო! ღმერთი თუ არა, ხატი მაინც იწამეთ! ხომ ხედავთ, რომ კაცი ვარ და განა კაცი ღვთის გამოხატულება არ არის? მომხედეთ, მომიარეთ, თორემ ვილუპები, ეს საწყალი კაცი თქვენი სიყვარულით, ვილევი! თვალი გაქვთ და როგორ არ ხედავთ, რომ სიყვარულის ზღვაში ნავი გადამბრუნებია და ვირჩვები!

მაგრამ ჩემს განწირულ ბლავილს კაცმა ყურადღება არ მიაქცია, არც შედიოდა ჩემს ანგარიშში. სიდუ მიმიხვდა მაოლოდ, თუ რაც შეუძლებელი ყოფილა, მთლად რომ დავეწვი და დავექვესკნელებინე, შემოსძახა:

წყარისინდი წყარს გენე, კოკობე თექ გოკორდე, ჰოი!..

ამ მოლექსებაზე მას სხვებიც აჰყვნენ და ამით კიდევ უფრო წათამამებულმა, ხმა ცაში გაუყარა და ისე განაგრძო:

ბოში, მუს მიჯინექი, ეგებას გოკორდე?
შურო ბედი ქოგილუნდა, ეგებ ვადი გოკორდე.

მე მთლად დაედნი კაციშვილი, ყუა დარტყმულ ბელტივით დავიშალე, მაგრამ მის სულმყრალ ქმარს, სიდუს სიმღერა ძილში რომ ჩაესმა, იფიქრა, ესაა ვილუპები, ჩემს ხოხობს მელიამ კბილი თუ გაჰკრაო და შლეგიანივით წამოვარდა, ხელები ფიარივით აიქნია დი გადაბრეცილი თვალებით დაიძახა:

— თოიტ, თოიტ, არ გაბედოთ! ავაი, ჯიმა აჯამი!—და ის იყო დაჯდომას აპირებდა, რომ ამ დროს აწეულ ხელში საესე ყანწი შევაჩეჩე. რა ექნა საწყალს, ყანწი არ დაიდგმებოდა და არ გადაიგდებოდა, ან უნდა დაელია, ან სირცხვილი უნდა ეჭამა და გადაელვარა, მაგრამ სირცხვილის ჭამას ისევ დალევა აირჩია; რომ დალია, თვითონაც დაილია, სუფრას გადაჭაჩული თვალებით ერთი მღვრიად გადახედა და ასე მთხლესავით მოქცეული, ისევ ჩაჯდა, ჩაჰყო თავი ცივ ღომში და ჩაეძინა. არ იცოდა, ღვთის გლახამ, რომ ცოლიანი კაცის, ძილი არ იქნება, მით უფრო მაშინ, როცა მას გულის სწორი ახლოს ჰყავს. ასეთ დროს მტერს შეიბრალები, დუშმანი დაგინდობს და ცოლი არაფრის დიდებით არ გაგიტანს. შენ რომ გძინავს, ვინ იცის ამ დროს რანაირი ეშმაკი გაურბენს შენს ცოლს ტანში? მაგრამ რა ექნა, საწყალს? ერთი პირი წყალსაც წაეძინება და კაცი ხომ წყალი არაა, სისხლი აქვს, ხორცი და მძორს მოსვენება სჭირია. მართალია, არც მე ვიყავ უსისხლხორცო, მაგრამ ჩემ მძორს რა ჯანდაბა მოასვენებდა, როცა გვამში გენია მქონდა ჩანთებული და გულში ცხრაფეხა ეშმაკი მიჯდა? ბალნობიდან ქალი მიყვარდა მის სახელს ველოლიავებოდი, ვეტრფოდი. ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ერთი ისე არ მინახავს, რომ მისი ალერსით გული მეძლო და ახლა, როცა ბედმა, როგორც იქნა, გამიღიმა, რა შავი ქვა დამაძინებდა?

ის კიდევ უფრო დაქალებულიყო, დასრულებულიყო, თვალებში ცოდვა მორეოდა და რა სჯობდა ახლა მის უბეში ყოფნას? ეტყობა, ქალს ქმარი მოხდენოდა. იმ ღვთის გლახას ვერაფერი დაეკლო მისთვის. თუ კაცი ვარგხარ, ცოლი უნდა გაახმო და დააძაბუნო. თუ გაგისუქდა, რის ვაჟკაცი ხარ? დედაკაცი რომ მოგერევა, შვიდობით! აგიგდებს ვაჟკაცს,—გასუქდება, გაურავდება და, რომ არ ეყოფი, ენების დასაოკებლად სხვას გაიჩენს და იქ დაადნობს იმ ქონს, შენ რომ დაადე. ჩემი ყოფილიყო, მე ვიცი როგორ ჩამოვადნობდი კელაპტარივით, მაგრამ ახლა რა, როცა ის სხვისია და მე მისი შემყურე ვარ? რა უყოთ რომ ცოლისდა იყო ჩემი? ჯანდაბას იქით ყოფილა მოყვრობა და თავისიანობა, რას ვაქნევ მე მას, თუ ის გზაში ღობედ ჩამედგმება? მე შევდგები ამ ღობეზე, გადავალ და ჩემ გზას მაინც განვაგრძობ.

როცა ბიჭებმა საცეკვაო სიმღერა სჭექეს, მე სუფრის თავზე ფანდაციერ და, მიწაზე რომ დავხტი, ჩამოუარე ჩემებურად. მხარგაშლილი სიდუკენ ირაოდ წაველ, მის წინ ფეხის წვერებზე დავერეკე და საცეკვაოდ გამოვიწვიე. ის ინახება ერთხანს, უარზეა, მორცხვობს. მაშ რა ჰქნას?—უცებ ხომ არ აცეტდება და გამოიცრება თხასავით? მე მაინც არ ვეშვები, ვასარსალებ ფეხებს მის წინ და საცეკვაოდ ვეპატიჟები. ისიც მოტყდა, თავის ტოლ ქალებს მოხედა, ერთი ეშმაკურად გაუღიმა, მერე ქმარს გადახედა, სუფრაზე თავის ნაოხარ სასმელ-საჭმელში ღორივით რომ ჩასძინებოდა, და შუბლზე უკმაყოფილებისა და ბრაზის ჩრდილმა გადურბინა. მე შევატყე რომ რაღაც გადასწყვიტა გუნებაში და ამ გადაწყვეტილებით წამოვიდა ჩემკენ დედალ ხოხობივით, წამოვიდა ისე რომ, მეგონა, კი არ მოდიოდა, მოსრიალებდა ამ მიწაზე. ტანს ოდნავაც არ არხევდა და მხრებზე ღვინით სავსე ბადიები რომ დაგეწყო, ერთი წვეთი არ დაიღვრებოდა. დასწყევლა ეშმაკმა და ჭინკამ ამის გამჭედი, სად შერჩა ასეთი ჩახუნდარა ქმრის ხელში კიდევ ამდენი ეშხი და ლაზათი? ვფიქრობ მე ჩემთვის და ვხედავ როგორ მოდის ის ჩემკენ ამაყად თავაღებული და ასე აღერილს მოაქვს აწეულ გობივით ეს ბარაქიანი ძუძუები, ეს სავსე მკერდი და ზედ დაფენილი ეშხით სავსე ხშირი წამწამებით დაჩრდილული ტკბილი თვალები. მე ვდნები, მწვავს ეს გახურებული მიწა, ვფარფატებ დახუოულ არწივივით და, ფეხის წვერებზე შემდგარი, ვპარპალებ ალივით, ველი როდის მომიახლოვდება იგი, როდის მოვა და ჩამომხედავს თვალებში კაცის დამღუპველ თვალებით, ველი, რომ მოვა, ერთი დავტორო იგი ფოცხვერივით, მაგრამ, მგონი მიმიხვდა, ერთი მიმინოსავით ჩამომიქროლა და გაქანდა მერე, წავიდა, წაიღო ჩემი გაჩეხილი გული და მე სულელი ხომ არ ვიყავ სამაგიეროდ მისი არ დამეტოვებინა? ავდექი და, სიმღერითა და ტაშით იმედმოცემულმა, მკლავები კიდევ უფრო განივრად გავშალე და ასე გაშლილი მკლავებით მოვტორე მისი ნადგომი სივრცე, მოვნახე მისი გამთბარი ჰაერი, მოვსუნთქე იგი, დავითვერ და გავბრუვდი, მაგრამ აზრი ისევ მოვიკრიფე და გამოვენთე კვალდაკვალ გამოცდილ კაპუეტივით. ეს ტაში, ჩემი ძარღვებია რომ ტკაცუნობენ, ეს სიმღერა ჩემი სისხლია, რომ თქრიალებს, მაგრამ ბედმა მიმტყუვნა, ადგილზე რომ მივიჭერ, ისევ ცარიელი სივრცე დამხვდა და ის ჩემი მკვლელი ეგერ ინაბებოდა, ჰე, ჩამოთლილ სანთელივით! ისევ გავქანდი, მაგრამ ისევ მიმუხთლა ბედმა,—ვერ დავიჭირე და გადავირიე კაციშვილი, მეგონა შევიშლებოდი. ის ისე კარგი იყო ამ წუთს, ისე ეშხიანი და კაცის დამწველი, რომ გადავწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა, ერთხელ მაინც შევცურებულიყავ მის უბეში, ისე რათ მინდოდა თავი ცოცხალი?

შუაღამით, როცა სუფრა აირია, მე დრო ვიხელთე, სიდუ გარეთ გავიტყუე და სახლის გვერდით, კონახთან, მივიმწყვდიე. ხელი წელში რომ შემოვხვიე, დავდნა კაციშვილი, დავიშალე, მაგრამ ისევ ავშენდი და ასე მივმართე მუდარით:

— სიდულია!—მეტი ვერაფერი მოვახერხე, ყელში რაღაც გამეხირა და, თუ არ ამოვახველე, დამახრჩობს ოხერი, არა და დახველებაც არ იქნება, ქვეყანაზ ხომ ვერ შევყრი? თან ვბრაზობ, მოთმინება მეკარგება.

ეს ოხერი აქამდე ყველაფერი დალაგებულად მეწყო თავში, ეს-ასლა რა ღმერთი გამიწყრა არ მესმის, სად წავიდა ეს ამოდენა სათქმელი?

— სიდულია!...—წამოვიძახე მე კიდევ ერთხელ მიკნავებული ხმით, მინდა საცოდავად მოვიქცე, იქნებ თავი შევაბრალო. და, მეტი რომ ვერაფერი მოვახერხე, ისევ უსიტყვოდ შემოვეხვიე წელში ხელი და მხოლოდ მაშინ მივხვდი რომ ლაპარაკის დრო აღარ არის, ყველაფერი ნათქვამია და გათავებული. ის ახალ დაწნულ ყალათივით მოიკუმშა ჩემს მკლავებში და, ასე მოწურული, მკერდში რომ მივიკარ და მის პირს რომ დავეწაფე, ეს მისი ტუჩები ყურძნის მწიფე ქაქალივით გაისრისა ჩემს ტუჩებზე. ცხელი მკერდით მკერდზე ამეტმასნა და, საკინძეში ხელი რომ ჩაუყავ, მუხლებმა მიღალატეს, მთლად გამომელია ნიათი და ენებით დაოსებული ღობეს მიეყუდე.

სული რომ მოვიბრუნე, არ ვიცი საიდან, უეცრად მდევის ღონე მომეცა, გავხელდი, გავმძვინვარდი მოხეთქილ ენებისაგან და ასე გაშლეგებულმა, მოვტორე ეგი ელდანაკრავივით. ჯერ სიმინდებში მინდოდა მისი გადატანა, მაგრამ, როცა შევატყე, რომ ღონე არ მეყოფოდა და განზრახვას სისრულეში ვერ მოვიყვანდი (ეს ღვინოც მტერივით მომეკიდა და საშველს არ მაძლევდა!), მაშინ ფეხით მიწა მოვსინჯე და იქვე გაუპირე წაქცევა. სიდუ მიმიხვდა ეშმაკობას, შეკრთა და გასაფრდა. შუბლზე ხელი ისე გადისვა, თითქოს გონება მოიწმინდა. გამოერკვა, თავი ჯიუტად გაიქნია და შემომიტია:

— თოიტ! თოიტ!.. არ გაბედო!.. არაფერი გამიბედო! ვიკივლებ, ქვეყანას შეგიყრი... ახლავე ხელი გამიშვი, თვარა, იცოდე, ვიკივლებ!..

— რაა, სიდულია, რა? აბა რას მაწვალებ, უცებ მაინც მომკალი კაციშვილი და გაათავე! თათარი ხომ არ ხარ, შე ურჯულოვ, სიცოცხლეს რომ მიმწარებ? ცოდვა ვარ, სიდულია, ცოდვა! რაია, ოჯო, ცოდვა-მადლი მაინც არ იცი?—ვეევედრები მე გონება არეული. სხვა რა ძალა მაქვს? ძალაც მის ხელშია და მადლიც. მე რა ჯანდაბა გამაჩნია, გარდა სურვილებისა და მისი უსაზღვრო წყურვილისა? მის ხელში ვარ და, რომ მოინდომოს, ბაწარს ჩამაბამს კისერში და ძაღლივით მაყეფებს.

როცა არც ხვეწნით გამივიდა არაფერი, გადავწყვიტე მთლად მოვისაწყლო თავი, იქნება შეეცოდო:

— გადავირიე, სიდულია, გადავირიე კაციშვილი და ესაა! რას მერჩი, შე ულმერთოვ, რას მაწვალებ? თუ მტერი ხარ, ოჯო, მითხარი და დაგნებედები, მერე რაც გინდა ის მიყავი!.. ხომ ხედავ რომ მთლად წავხდი და კაცად აღარ ვარგივარ?

— სო!.. სო!.. არ თქვა მეორეჯერ!—შემომიტია მან და ამ შემოტევაში მე ერთად ვიგრძენ ყველაფერი: ალერსი, სინანული, საყვედური და უსაზღვრო მორჩილება. მე შემეცოდა ეგი, აკანკალებული ხელები ყურის ძირებში აქეთ-იქედან მოვკიდე, ჩემკენ მოვწიე და მთვარით განათებულ სახეში რომ ჩავხედე, თვალები ცრემლით ჭქონდა სავსე და ამ ცრემლიანი თვალებით რომ შემომხედა, შეშფოთდა, ხელებიდან თავი გაინთავისუფლა, მოწყდა ტანში, მოეშვა, ასე ნიათგამოლეული ღობეს მიეყუდა და თავი სარს მიასვენა.

— რა ვქნა, ბათურია, რა ვქნა?—დაიწყო მან აცრემლებულმა ხმით—მითხარ, მასწავლე, რა ჩავიდინო?

— ჩემი იყავი, სიდულია, ჩემი და, თუ გინდა, აბრაგად გადავარდები!

— არა, ბათურია, არა! ეგ საქმე არაა!.. რავა არ ხედავ, ბათურია, რომ ყველა გზები ჩაქცეულია? ხომ ხედავ, რომ საშველი არაა და მომცილდი, ნუ მიმწარებ ამ ისედაც გამწარებულ სიცოცხლეს!.. მიყვარხარ, შე თათარო, ქვეყანას მირჩევნიხარ და მაინც ჩამომეთხოვე! რაც არ მოხდა, არ მოხდა, რას იზამ? მე ბედს შეურიგდი... ხომ ხედავ რომ აგი ნავარი სიყვარული ბედი ყოფილა და ბედი ჩვენ არ შეგვეწია. ბედს შეურიგდი, ბათურია, ბედის განაჩენს დაყაბულდი და ცხოვრებას ნუ მიწრიალებ, სიცოცხლეს ნუ მიწამლავ! მომცილდი, ჩამომეთხოვე, რაც მოხდა,—მოხდა! კაცი ხარ, შე ურჯულოვ, ხე ხომ არა ხარ?

— კაცი რომ ვარ, იმიტომაც არ შემიძლია, სიდულია, თვარა ხე რომ ვიყო, დავიწვებოდი, დავნაცრდებოდი და მეც მოვისვენებდი და შენც, მარა, ვაი რომ ხე არა ვარ! ვიცი, სიდულია, ვიცი, რომ გიჭირს, რა ვქნა მერე მე? მეც მიჭირს, ოჯო, და გაჭირვება მაიძულებს... ჰაუუ, რა სულელები ვიყავით ჩვენ მაშინ, რა გამოუცდელები! სიყვარულს პატრონობა უნდოდა, ლოლიავი, ჩვენ კი გამოუცდელი ვიყავით, ვერ მოუარეთ და იმ სამოთხის ჩიტივით გაგვიფრინდა, მე რომ ქალაქიდან ჩამოტანას გპირდებოდი! ახლა რა?.. კაი, სიდულია, კაი, რახან ასე გინდა, ჩამოგეთხოვი, მარა ბრიყვი ვარ და მასწავლე, ბრმა ვარ და გზაზე დამაყენე,—სად წავიდე მე ახლა, ვისთან წავიდე, როცა გული არსად არ მიცდის?—ვროტავ შე სასოწარკვეთილი და, რამდენი მეტს ვლაპარაკობ, იმდენი გრძნობები თანდათან მერევა, ბოლოს გავჩუმდი და ლობეს შელონებული მივეყრდნე. სიდუმ თავი სარს მოაშორა, ჩემკენ მოიწია და თვალებში ჩამომხედა.

— სად წახვიდე? სად წახვიდე ხომ, ბათურია?—მეკითხება იგი და თან ლოყაზე ხელს ალერსიანად მისვამს.—ცოლ-შვილში წადი, ბათურია, ცოლ-შვილში. ხომ ხედავ, არაფერი იქნება. ჩვენ გავუბედურდით და ახლა სხვას მაინც ნუ გავაბუდურებთ. ქმარი მყავს, ბათურია, შვილი და გთხოვ, გევედრები, გზას ნუ დამიბნევ! შენც ცოლი გყავს, შე ურჯულოვ, შვილები და რა გინდა, მომცილდი, წადი და შენ გზას ეწიე!

ეს სიტყვა მე ჭკუაში სრულებით არ დამიჯდა, თავი მიზეზიან ბავშვივით გავიქნიე და გაქირზე გავდექ.

— არ წავალ!—ვთქვი მე ამოჩემებულად.—არ მინდა... მე შენთან მინდა... შენს იქით გზა არა მაქვს... შენს იქით წყალსა და მეწყერს წაუღია ყველაფერი, მე ის არ მედარდებოდეს!—სიტყვის დასრულებაც ვერ მოვასწარ (არ ვიცი რა შემოენოო ასე უცებ!), რომ ის, არ ვიცი, სიცივით, თუ გრძნობათა მოჭარბების გამო, აძიგძიგებული ტუჩებზე დამეკონა და მივხვდი, გულმა მიახრა, რომ გალხვა, როგოც იქნა, ეს ყინული, რომ მოდიდებული სისხლი წალეკვით მემუქრება და მარჯვედ უნდა ვიყო. ერთი წუთის დაყოვნება, ერთი წაფორხილება, წუთით შეეჭვება და დაიღუპება ყველაფერი, ისევ გაიყინება და მერე ქვეყნის ოდენა ხანძარიც რომ შეუნთო, ვერ გაალღობ ამ ყინულს. ის მეხვეოდა გახელებული, მეტმასნებოდა, კვნესოდა ჟინით გამწარებული, მკოცნიდა სულმოუთ-

ქმელად ტუჩებში, თვალებში, საფეთქლებში, შუბლში, კისერში და ბოლოს, კაცნით გული რომ იჯერა, მომწყდა და მიცქერის გვერდულად ისე, თითქოს შთანთქმას მიპირებსო, თან მძიმედ სუნთქავს და ეს მისი სუნთქვა მდუღარესავით მხვდება სახეში.

— ფუი, შენ კაცობას, ბათურია, ფუი!—ჩურჩულებს იგი ჟინით ატაცებული.—რა კაცი ყოფილხარ შენ? მე შენ მიყვარდი, შენზე ვლოცულობდი, შენ სახელს ველოლიავებოდი, შენმა სიყვარულმა დამაქალა მე, შენს იქით არავინ მინდოდა და შენ? შენ ადექი და სხვა ითხოვე... აუუ, მუხთალი ყოფილხარ შენ, ბათურია, გაუტანელი!

მე ვერაფერი უპასუხე, შემრცხვა ჩემი სისულელის და თავი დამნაშავესავით ჩავკიდე.

— შენ თუ მართალი ხარ, შენ თუ მართლა ვერაგი არ ხარ, აბა ერთი თავი აიღე და თვალებში პირდაპირ შემომხედე.

მე თავი ვერ ავიღე და ამიტომ არც თვალებში შემიხედავს.

— მართალი ხარ, სიდულია, მართალი!—ვბუტბუტებ მე ჩემთვის თავჩაქინდრული.—მართალი ხარ, მარა, რა ვქნა, რომ ჩემი ბრალი მაინც არაა? მამაშენმა შემაცდინა. მე შენ მინდოდი და მან მეორე შემომაპარა!—მაგრამ მან ყურიც არ მათხოვა, ისე დაიწყო:

— რვა წელიწადი გელოდი მე შენ, რვა წელიწადი დავალამე შენზე ფიქრში და ოცნებაში. დღე შენთვის მითენდებოდა და ღამეს შენი სახელით ვალამებდი. მამაჩემმა, ძიძას რომ მომაცილა და სახლში წამიყვანა, მაშინვე მივხვდი რომ დაიღუპა ჩემი სიყვარული, დავკარგე ჩემი ბათურია და არასოდეს მისი არ ვიქნები. შავი ცრემლით ვტიროდი მე მაშინ, ხესა და მიწას შევჩიოდი ჩემს უბედურებას, მაგრამ ვინ იყო ჩემი გამკითხავი? შენ არ იცი როგორ მიჭირდა მე ბაბასთან ცხოვრება, მარა შენი სახელისთვის ყველაფერს ვითმენდი, შენ რომ გამახსენდებოდი, მიხაროდა რომ ქვეყანაზე იყო ერთი სხვისი შვილი, ქვეყანას რომ მერჩია. მე შენით ვსუნთქავდი, შენი იმედი მქონდა და შენ? შენ შენი სისულელით დამიკრიფე ეს იმედები. არც მე ვიყავი შენზე ჭკვიანი. ჩვენ გამოუცდელი ვიყავით და არ ვიცოდით, რომ მარტო სიყვარული არაფერია, რომ სიყვარულს თუ არ მოუარე, არ ელოლიავე, როგორც თავისთავად მოვა, ისევე თავისთავად წავა, და ასე გამოუცდელობით დავღუპეთ ჩვენი ბალნობიდანვე სასოებასავით შემონახული სიყვარული! გახსოვს, შენ რომ ქალაქს მიდიოდი, მე მაშინ შანა დაგკიდე გულზე? შენ მაკოცე და გაიქეცი, გაიქეცი და იმ შანასთან ერთად წაიღე ჩემი გული. აბა მაჩვენე, თუ კიდო გაქვს?

მე ხელი უბეში ჩავიყავ, მაგრამ ისე ვიყავ აკანკალებული, რომ ახალოხის ღილი ვერაფრით შევიხსენ, მაშინ თვითონ მომეხმარა, კილო შემიხსნა, უბეში ხელი ჩამიყო და, აბრეშუმის ძაფზე დაკიდებული შანა რომ ამოიღო და დახედა, ალმოხდა:

— ნანა, ნანა, ჩემი ქალიშვილობა, ჩემი ბალნობა და უმანკო სიყვარული!—ატირდა იგი და თილისმას გულში სასოებით იკრავდა. მერე უეცრად ისე,

თითქოს რაღაცაზე გული მოუვიდა, ავგაროზი ისევ უბეში ჩამიდო და თქვა:

— გქონდეს!—მეტი არაფერი უთქვამს. მაშინ მე დავიწყე:

— აბა რა ვქნათ ახლა, სიდულია, რა გზას დავადგეთ?

— ახლა? რა ვქნათ ახლა ხომ? არაფერი, ბათურია, არაფერი! რა უნდა ვქნათ ჩვენ ახლა, როცა ჩვენი სიყვარული ჩვენივე ხელით დავმარხეთ და მიწა მივაყარეთ? არაფერი ჩვენ ახლა არ უნდა ვქნათ, არაფერი ახლა არ იქნება! რა გზას დავადგეთ ხომ, ბათურია? ცოლ-შვილში წადი, ბათურია, ცოლ-შვილში და ჭკუით იყავი, თავს მოუარე, თვარა რამე თუ დაგემართა, იცოდე, თავს მოვიკლავ! ამას გაბარებს შენ შენი სიდულია. მეც ჩემ ქმარ-შვილში წავალ. რას იზამ, მოსახდენი თუ ერთხელ არ მოხდა, მერე არასოდეს არ მოხდება და, რომ მოხდეს კიდეც, იქედან კაი არაფერი გამოვა.

— რატომ მაინცდამაინც ასე უნდა მომხდარიყო მერე, სიდულია, რატომ?

— რატომ და კუბოს ფიცრამდე რომ გვყვარებოდა ერთი მეორე, იმიტომ. აბა ცოლ-ქმრის სიყვარული რა სიყვარულია?

— მე კი, სულო ცოდვილო, ასეთ სიყვარულს, ისევ ცოლ-ქმრული მერჩია! —მაგრამ მან პირზე ხელი ამაფარა და ისე გამაჩუმა.

— თოიტ!..თოიტ!.. არ თქვა მეორეჯერ, შე არაწმინდავ, შენ! ოხერი ხარ შენ, ბათურია, დიდი ოხერი! გახსოვს, ბათურია, შენ რომ ბაბასთან მოხველ და კაშინას ამბავი დაიწყე?

— მახსოვს.

— მე კინაღამ ჭკუაზე შევიშალე მაშინ. მე მზად ვიყავი წავსულიყავ ტყეში, მომენახა იგი და ის ოქროს თმები სულ სათითაოდ დამეგლიჯა მისთვის. ეეხ, მე მაშინ ბაღანა ვიყავ და ყველაფერი მჯეროდა! გახსოვს, მერე კონახში რომ მაკოცე?

— მახსოვს.

— შენ რომ წახველ, ერთი კვირა პირი არ დამიბანია. მეგონა, კოცნა გადამივიდოდა.

— სულელი! აბა არც ახლა დაიბან!—გავეხუმრე მე.

— შენ რა გიჭირს!—დაიწყო ისევ სიდულიამ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. —შენ კაცი ხარ, სადმე მაინც გაიქარვებ გულს. მე ვიკითხო, მე საცოდავმა, თვარა! იცი, ახლაც, როცა ქმართან ვარ, დავჭუტავ თვალებს და შენ მგონიხარ, შენ მელანდები. შენ არ იცი, ბათურია, როგორ მიყვარდი მე შენ, ახლაც მიყვარხარ, შე ურჯულოვ! ალბათ, სულელი ვარ და იმიტომ. შენ კი ადექი და სულელი ბზიკივით თაფლში ჩავარდი და შიგ ჩაიხრჩვი, ფუი!

— არა, სიდულია, ღმერთმანი, არა!—უპასუხე მე მწარე სინანულით.—ვინ გითხრა, რომ თაფლში ჩავარდი, ვინ მოგაღორა, ოჯო? თაფლში რომ ჩავვარდნილიყავი, რა მიჭირდა მე უბედურს, მაგრამ, ვაი რომ ფუნაში ჩავვარდი და ჩემი ამოსვლის საშველი არაა! სიზმარი მაინც იყოს, ნავარი, ოქრო იქნებოდა. ამბობენ, სიზმარში ფუნამ ოქრო იცისო, მაგრამ ვაი რომ სიზმარი არაა, თორემ სადგისს გავიყრიდი გვერდში და მაინც გავიღვიძებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰაიტ, შე ენა გატლეკილო, შენ! შენ ისევ ისე ენაგრძელი დარჩენილხარ, როგორც ბაღნობისას იყავი.—შემომიტია მან და თითით დამემუქრა.— მაცა, მაცა, მე შენ გაჩვენებ თვალისეირს.

— სიდულია, სიდულია! რა ვქნა, სიდულია, ახლა მე, რა ვქნა, რომ უშენოთ არ მეცხოვრება? აბა შემომხედე!—და თვალებში რომ ჩამხედა, შევატყე ისევ გავაღვიძე მასში სურვილები და მკლავი მხრებში შემოვხვიე.

— ნუ, ბათურია, ნუ!—მემუდარება იგი და თან მთელის არსებით ჩემკენ მოიწევს. მე ყურადღება არ მივაქციე მის მუდარას და ვნებით გახელებული მის ტუჩებს დავეწაფე. რომ ეკოცნიდი, გადავწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯღოდმოდა, ახლავე დამემორჩილებინა იგი. ვიცოდი, ამაზე მოხერხებულ დროს მეტი ვერ ვიშოვიდი და წაქცევა გაუპირე, მაგრამ მაინც არ დამნებდა.

— მაცა, ცოტაც მაცა, ბათურია, მკლავი გლახათ მაქვს!—შემეხვეწა იგი, შეც, მე ბრიყვმა, დაუჯერე, ხელი წუთით შეუშვი, რომ უფრო მოხერხებულად მომეტორა, მაგრამ, გამორკვევაც ვერ მოვასწარ, რომ ის ჩიტივით გამისხლტა ხელში და გაფრინდა. ასე დავრჩი მე კიდევ ერთხელ მოტყუებული. ვნებით მისუსტებული ღობეს მივეყუდე, რომ ამ დროს ოდის იქიდან ვილაცამ შემომიტია:

— ვინ ხარ, მანდ რომ გაჩერებულხარ? რომელი ხარ?—და ხმაზე ვიცან, ეს ბასკან უჩარდია იყო.

— ვინ უნდა ვიყო? ბათა ვარ!—მივაძახე მე და, ეჭვი რომ არ აეღო, ხვანჯრის შესკვნით სახლის ჩრდილიდან მთვარის სინათლეზე გამოველ.

ალბათ, დაკარგულ ცოლს თუ ეძებდა?

— აა, შენ ხარ? რას შობი მერე აქ, შეკაცო?—შემეკითხა იგი და მთვრალი ბანდალით, ოდის ბოკონს რომ მიადგა, წყლის ტრიშინში განაგრძო:—დევირჩვით ამდენ ღვინოში და პატივისცემაში, დევირჩვით!

— რას იზამ, ჩემო ბასკან.—მიუგე მე.—წვიმამ წყალი იცის, აბა ისე რავა იქნება?—და თან ვფიქრობ:

— რა კაცი ვიქნები მე, თუ შენ ის მწყერივით ჩასუქებული ცოლი არ გაგიბახე. ხომ სიცოცხლე გამიმწარე? აბა კარგი, შენ ახლა ბათას უყურე რა გიქნას. რათაც არ უნდა დამიჯდეს ერთხელ მაინც ჩემი უნდა იყოს ის შენი ცოლი და მერე, მოვკვდე არ ვჩივი!—და ასე, მუქარაში და ფიქრში გართული, შეველ ისევ სეფაში.

ჩემს იქ არ ყოფნაში ქეიფი კიდევ უფრო გახურებულიყო. მეც ურჯულოსავით ვიყავ გახელებული და, სხვა რომ არაფერი შემეძლო, ვსვამდი ხარივით, ვმღეროდი, ვყაყანობდი და ჩემი დათრობის საშველი მაინც არ იქნა.

კარგათ რომ გათენდა, ყველა დათვრა, ყველა დაჭილოფებული დაცვივდა. ზოგი მიწაზე ეგდო, ზოგი სუფრაზე და ზოგი კიდევ იქვე, სუფრის ქვეშ. მხოლოდ მე და თამადა შევრჩით ქეიფს ბოლომდე. ის განთქმული მსმელი იყო, საგანგებოდ მოიყვანეს სანაკიდან ტოლუმბაშად. მას ჩემი დათრობა უნდოდა და მე იმისი. როცა არაფერი გაუვიდა და შემატყო, რომ მე და ეს ღვინო ერთი

დედამამის შვილებივით ვინახავთ ერთი მეორეს, გაბრაზდა და, რაც სუფრაზე ღვინის ჭურჭელი იყო, ყველა ერთად მოითხოვა, წინ დაიწყო, [illegible] ღვინით და დამილია, მაგრამ ვაი იმ დალევას, ცოდვასავით ყველა ყელში ამოაწვა და, სუფრაზე სირცხვილი რომ არ ეჭამა, გარეთ გავარდა. სეფაში აღარავინ იყო და მარტოხელა კაცს ღვინოს რა მასმევდა, ლოთი ხომ არ ვიყავი? ავდექი და მეც გარეთ გამოველ, მერე, კარგა მახსოს, რომ ოდის ყავარზე მიყუდებულ კიბეს მივადექი, აველ ზემოთ და ასე, სახურავზე გადმომჯდარი, ვყიოდი მამალივით და მთვრალ მაყრებს ვაღვიძებდი. ისინი მაინც არ იღვიძებდენ და მე გადავწყვიტე: ან მე არ ვვარგოდი მამლად და ან ისინი იყვნენ დახოცილნი...

გამომელვიძა. შუადღის მზე მაჭერს თავში და ტვინს მიდუღებს. კარგა რომ გამოვიხედე, თავს არ დაუჯერე. რა მინდოდა ამ სიმაღლეზე? თვალები მივიშმუშნე, კიდევ ერთხელ მივიხედ-მოვიხედე, მაინც ისეა,—ოდის თავზე ვარ!

— ფუი, ჩემს გამჩენსა და დამსმელს!—ვილანძღები მე და ნამთვრალევზე დაბნელებული ტვინით ვერაფერი მომისაზრებია როგორ გავჩნდი აქ. მერე უეცრად შემეშინდა, კანკალმა ამიტანა,—ხომ შეიძლებოდა რომ ძირს ჩამოვარდნილიყავი და ბარით ასაფხეკად მოვქცეულიყავ? და ასე, შიშიან ფიქრებში წასული, ვიპურჭყები მიზეზიანად.

— რომელი ვარსკვლავთმრიცხველი მე ვარ, ანდა ბედისმწერელი, ამ ცაში თავი რომ გამიყრია?

და ასე, საკუთარი თავის ლანძღვა-თრევითა და გინებით ერთის ვაივაგლახით, როგორც იქნა, ძირს ჩამოვფორთხდი, და, მიწაზე ფეხი მაგრა რომ ვიგრძენ, მაშინ გავვაქკაცდი, ულური არ გავიტეხე, ნიადაგს მყარად დავებჯინე და გამიხარდა რომ ისევ ჩემს მიწაზე ვარ. რა უყოთ რომ ერთ დროს ზედ მომაყრიან, მაინც ტკბილია დალოცვილი, საიმედოა და ასე, მიწაზე დაბჯენილმა, ცალი ხელი ცაში გაუყარე და ისე დავიძახე:

— ეფუუ, ჩვენს მაინძელს სიკეთე და გამარჯვებაა!..—მაგრამ ირგვლივ არავინ იყო და ყურადღებას ვინ მომაქცევდა? ხელი ჩავიქნიე და, ნელი ნაბიჯით წინ რომ გამოველ, ოდის მხარეზე, გაშლილი შეფა დავინახე. ეზოში სტუმართაგანი არავინაა, თუ მთვრალ მაყრებს არ ჩავაგდებთ სათვალავში. გალეშილები, ღვინით გაბანდალებულნი, სადაც წასწევიან, იქ წაქცეულან და სძინავთ ომგადახდილებს, ზოგს მიწაზე, ზოგს ოდის კიბეზე და ზოგს აივანზე. ერთი მათგანი, სიძის მაყარი, იქვე დაბალი ლეღვის დაგვალულ შტოზე ნაბადივით გადაკიდებულა და მასპინძლებს მხოლოდ ახლა უპოვნიათ. წვალობენ, ეხვეწებიან, უნდათ რამენაირად ძირს ჩამოიღონ ეს მძორად ქცეული კაცი და ადამიანურად მოასვენონ, მაგრამ მას მაინც ქორწილში ჰგონია თავისი თავი, ჭირვეულობს, ძილში ხელებს უნიათოდ იქნევს და ბუტბუტებს:

— ა-ჰაიტ, დედის მერილე! მომეშვით, მომასვენეთ, თქვე სულძაღლებო!.. ეს ღმერთმა გაუმარჯოს!.. ჰაჰაიტ, ჯიმა აჯამი!.. ღვინოში არ მომატყუო, ღვინოში, თვარა, ყა, გაგათავე ადგილზე!..—ემუქრება ვიღაცას იგი, თვითონ გათავებული და მისიკედილებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს ერთის ვაი-ვაგლახით, ხვეწნითა და მუდარით, როგორ-რაც-ეა, ძირს ჩამოიღეს, ნაბადზე დააგდეს და ასე ნაბდით წაიღეს ოდაში.

მე ვიდექ, უცქერ მათ და ვქირქილობ ჩემთვის, მიხარია რომ ისევ ცოცხალი ვარ და ამ ციდან ჩამოხვავებულ მზისთვის თავი შემიშვერია. მზრუნველ მასპინძელს საბანი, ნაბდები და ჭილოფები რომ არ ჰყოფნია, ფარდაგები და ცხენის თოქალთოები წაუფარებია მძინარეთათვის.

მზე უკვე სამი-ოთხი ორგის სიმაღლეზე იყო აწვერილი და ხელზე მოსამსახურე მეზობლები და სუფრის გამრიგეები დარბიან აქეთ-იქით, ტრიალებენ, ფაცურობენ და, მაყრებისა და ნეფე-დედოფლის ადგომის მოლოდინში, ახალ სუფრასა შლიან.

— ე, ბიჭო, მიხედე მაგ გოჭს, არ დეიწვას!.. ქვაბი გამომირეცხეთ მალე, საღომე ქვაბი!.. არიქა, წყალი მომიტანეთ!.. ე, კაცო, მიხედეთ მაგ ხაჭაპურებს, თვარა ყველაფერს მე ხომ ვერ გავსტკები!..—ისმის სამზად სახლიდან მზარეულის განკარგულებები და მოაქვთ, მოაქვთ, არ უჩანს დასასრული შემწვარი გოჭების, ქათმების, ხაჭაპურებისა და ღვინის დენას, თან ფეხქვეშ წამოდებულ წეწკ ძაღლებს პატრონს, რჯულსა და გამომცემელს აგინებენ.

მე რომ დამინახეს, მომცვივდენ, მომიკითხეს როგორ მეძინა და მეც უპასუხებ დიდათ კმაყოფილი:

— დიდებულად, დიდებულად მეძინა, ჩემო საყვარელო მაინძლებო! ცად ვიყავ ასული, ღვთის კალთაში მეძინა და რატომაც არ მოვისვენებდი. ვარსკვლავები ძილისპირს მიგალობდენ და ღვინო ცოლიერით მათბობდა. სხვა რა უნდა ბათას? ანდა რა უნდა ქნას საწყალმა? ცოლი რომ გლახა შემხვდა, ავდექი და ღვინოს მივეძალე. მაგრამ ერთი მაინც მიკვირს, საყვარელო მაინძლებო, ნამეტანი მიკვირს, ისე რავა მეძინა რომ იმ ოდის თავიდან ძირს ბუყნა არ მოვადინე?

— რავა, შეკაცო?—მეკითხებიან ისინი გაკვირვებულნი.

და მეც უამბობ მათ თუ როგორ ტკბილად გავატარეთ მე და ღმერთმა ეს ღამე ცაში და ვოხუნჯობ, ვქირქილობ, ვარ ერთ ამბავში.

— დიდი დავა გვქონდა ჩვენ, მე და იმ ჩემ გამჩენს, დიდი აყალმაყალი!— ვამბობ მე,—მაგრამ ბოლოს მომწყინდა. არც ისე ჭკვიანი ყოფილა, დალოცვილი, როგორც ამბობენ. სოფელი რას არ იტყვის, ეს ოხერი! მეც რაცხა მეგონა. ბევრი ვიდავეთ და ბოლოს, ყაყანით გული კარგა რომ ვიჯერეთ, დაგვეძინა და მართალი გითხრათ, ძალიან კარგათაც მეძინა.

მასპინძლები ჯერ გაოცდენ, მერე შეწუხდენ რომ ყურადღება დროზე ვერ მომაქცეს და ღვთის ანაბარად დამტოვეს, მაგრამ მე მათი მობოდიშება გვერდზე დავიჭირე. ამ დროს დოქით ცივი წყალიც მოიტანეს და დიდის მორიდებითა და პატივისცემით პირი დამაბანინეს. თმა-წვერი რომ დავივარცხნე, იქვე, შუა ეზოში, ხის ძირას დავჯექი და პატარა სუფრით მორთმეულ შემწვარ გოჭსა და ახალ ტყემალს შევექეცი. მთელი ღამის განმავლობაში ნასვამს ღვინისაგან გული მქონდა გადალეული და ამ ახალ ტყემალმა მომინახა ეს გული. ცოტა რომ მოვსულიერდი, ზედ ისევ ღვინო დავაყოლე, ულვაშებზე ხელს თავმომწონედ ეისვამ და ყურს უგდებ ირგვლივ შემოკრებილ ხალხს, ჩემი ქება-დიდების

მეტს რომ არაფერს ამბობენ, თან ძიხარია და ამპარტავნულად ბრძანებენ. ყველა გაკვირვებას არის თუ რაოდენი ღვინის სმა შემძლებია.

— კაცო, სვავი ხომ არ გიჯდა მაგ სტომაქში?—არა აქვს საზღვარი მათ გაოცებას.—სასტაულია, სასტაული!..

რა იციან მათ რომ მთელი ღამე სიდუს გახსენებული სიყვარული მილრღნიდა გულს და, მისგან გამწარებულს, ღვინო კი არა, ცეცხლი რომ დამელია, ვერაფერს შევიტყობდი?

ქება-დიდება სოლომონ ბრძენს გაასულელებს და მე ხომ ერთი საცოდავი მამაკვდავი ვიყავ?—მეც გავსულელდი, გავსულელდი ისე, რომ თავიც ავაღირე. მართლა და მართლა, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, ეს ამოდენა ხალხი ლეშივით დამიყრია და ისევ ცოცხალი ვარ, ფხიზელი და გმირი დღევანდელი დღისა. მაგრამ გმირის სახელი ბოლომდე ვერ შევიშვნე, ულვაშზე ხელი ამპარტავნულად გადავისვი და მამალი ინდოურივით აფხორილი აქეთ-იქით ვიცქირებოდი.

— ეს რაა, შეკაცო!—ავტრაბახდი მე.—იმ ჩვენ სიძეს რომ ის სანაკელი მეღვინე ტოლუმბაშად მოუყვანია, აბა რა ეგონა? ვისაც დიდი მუცელი აქვს, ყველა ღვინის მსმელი ხომ არ იქნება? დიდი მუცელი რა ბედენაა? მიკვირს, მეზობლებო, ნამეტანი მიკვირს! შეკაცო, კაცი რომ ტოლუმბაშად მოგყავს, ერთი მაინც იკითხე, რატომ აქვს ეს ამოდენა ჩუმპუ? იქნება ეს მუცელი ტყლიპითაა გაბიზინებული და ტყუვდები? ეეხ, ჩემო საყვარელო მეზობლებო, ეს რაა, თქვენ ის უნდა გენახათ, მე რომ კახეთში გულბაათ ჭავჭავაძეს კისერი მოვტეხე!—მთლად გავცრუვდი მე. გულბაათ ჭავჭავაძეს ჩემ დროს რა უნდოდა? მაგრამ მე უღურს არ ვიტეხ, მაინც ვტრაბახობ და რამდენი მეტს ვტრაბახობ,—თვალდათვალ ვატყობ,—ამას რა დიდი შეტყობა უნდა?—მსმენელი თანდათან მაკლდება, მაგრამ რახან ერთი გავქანდი, თავს ვერ ვიკავებ და განვაგრძობ. და ასე, ლაპარაკში გართული, ყველაზე დიდ სიცრუეს რომ მივადექი, შევატყე გამიჭირდა, ამიტომ მეტი დამაჯერებლობისათვის გახრული გოჭის ფეხიანი ხელი მაღლა რომ ავწიე და ხელთან ერთად ხმასაც აუწიე, ვხედავ, ჩემს ირგვლივ უკვე აღარავინაა და მარტოდ დარჩენილი ვქაქანებ ჩემთვის. მეწყინა, გულიც მომივიდა, გაგულისებულმა გვერდზე გადავაფურთხე და სიმწრით აღმომხდა:

— ფუი, თქვენს კაციშვილობას, შეგირცხვათ გაზრდილობა!

ერთხანს ასე ვიყავ მარტო და მორთმეულ მჟავე საჭმელებით ნაბახურევზე გულს ვიხალისებდი. კარგა რომ გავძეხი, ავდექი და, ახალი სუფრის მოლოდინში, სანამ მაყრები გაიღვიძებდენ, ბოსტანში გადაველ. დავდივარ ბოსტანში და მორეულ ბარდში შუშა კიტრებს ვეძებ, ხანჯლის შვილით ვთლი და ასე, კიტრის ჭამაში რომ ვარ გართული, წუხანდელი თავგადასავალი გამახსენდა. სიდუ დანელიხე, ბასკან უჩარდია და თან თავს სინანულით ვიქნევ, ვბრაზობ რომ ვერაფერი მოვახერხე. ასე რომ ვარ ფიქრებში შეცურებული, ვნება შემპარავ ღვინოსავით წავიდა ძარღვებში და გადავწყვიტე რათაც არ უნდა დამიჯდეს ერთხელ კიდევ ვნახო იგი, ერთხელ კიდევ ვცადო ბედი. თან ვანგარიშობ ჩემთვის:

— რატომ, მეზობლებო, რათ უნდა ჩამიაროს მე ამ ჩვიდმეტი წლის სიყვარულმა და გულის ლევამ ასე უქმად? მე ხომ ბაღანა არა ვარ, მობეფერონ, დამიყვავონ, მაკოცონ და ისე გამაყუჩონ? მე ვაჟკაცი ვარ და ვაჟკაცს ნამდვილი სიყვარული სწყურია. სიყვარული ისეთი, ხელს რომ მოკიდებ, თორემ მარტო კოცნას და მძიმე სუნთქვას რას ვაქნევ?

ასე ვანგარიშობ მე და, ფიქრებში გართული, ლობიდან ლობეზე გადავდივარ. ყველგან ეს ლორთქო წალიკა და ანწლებია აყრილი. მათი მძაფრი სურნელება მაბრუებს და თავში ჩემი დროის კაცისათვის შეუფერებელი ფიქრები მიტრიალებენ. ირგვლივ ტირიფის ჩრდილებია, თხმელის შვიარები და თხრილში ჩეროში ჩაწოლილი ლორები ოხრავენ ნეტარებით, თხები ანწლებს. შესევია, ეშმაკი თვალებით ანწლით სავსე პირს აცმაცუნებენ და წვერებს სასაცილოდ აცანცარებენ. შუკა რომ გავიარე, სიდუს მოსახლეობაც გამოჩნდა,— მის ეზოს უკანა კარიდან მივდგომოდი. ოლაგეზე რომ გადაველ, სამზად სახლს უკან ლაფაროში ამოვყავ თავი. ეზოში კაცი არავინაა. მოგდულასთან, ბიის ძირას, ოთხი-ხუთი წლის ბიჭუნაა მხოლოდ. ნედლი სიმინდის ღეროებისაგან გამოთლილი ურემს ბაწრით დააგორებს და უტევს წარმოდგენილ ხარებს:

— ასი, ხალო, ჰო!..

უცხო კაცი რომ დამინახა, შეჩერდა. მიცდის როდის მივალ მასთან. მეც მიველ და ვიცან იგი. ამას რა დიდი გამოცნობა უნდოდა?—სახით პირწავარდნილი სიდუ იყო. გაკვირვებული დედის თვალები სახეში ვარსკვლავებივით შემომანათა და ფიქრობს, ალბათ, თავისთვის თუ ვინ უნდა იყოს ეს ბიძია, ან საიდან ჩამოვვარდი აქ? მეც თავზე ხელი ალერსით გადუსვი და შევეკითხე:

— ვისი შვილი ხარ შენ, ბიძიკო?

— ნანასი!—მიპასუხა მან მოკლედ. ცალი თითი პირში ჩარჩენია და მიცქერის ასე მაღლა ირიბულად.

— შენს ნანას შემოვევლე მე! სადაა ახლა ნანა?

— ნანა სახსია.—მომიგო მან დაზეპირებულივით და თან ცნობისმოყვარე ბავშურ დიდ თვალებს არ მაშორებს, მათვალიერებს და, ვატყობ, მოვეწონე.

— მამაშენი?—არ უსვენებ მე კითხვებით.—ბაბა სადაა?

— ბაბა? ბაბა ალ ვიცი... ბაბა, უუჰ, წაუდა!—და მუჭით სადღაც დასაკარგავი მაჩვინა.

— ჯანდაბას იქით გზა ჰქონია!—გავიფიქრე მე და თავში ათასმა კვიმატმა აზრმა გამიელვა. მერე ბავშს ძირს დავხედე და ისე ვეუბნები:

— შემხედე, ბიძია, შემხედე. უუჰ, რამხელა კაცი გაზრდილა! ცხვირიც ამოგსვლია, შეკაცო!—გავიკვირვე მე.

ბავშმა ჯერ დაეჭვებული თვალებით შემხედა, ამზომ-დამზომა და, როცა დარწმუნდა, რომ მე კეთილი ბიძია ვარ, ფოლაქივით პატარა ცხვირზე ხელი თავმომწონედ მოიკიდა, დედის ტკბილი თვალები მადლიერი ნდობით შემომანათა და მერე ისე ამაყად შემომხედა, თითქოს ცხვირი მის მეტს არავის ჰქონდეს ქვეყანაზე.

— მე... მე... —დაიწყო მან ბლუკუნით. ეტყობა, რაღაც გასაკვირვარი უნდა მითხრას და გამაკვირვოს, მაგრამ სათქმელს ენამ წაუსწრო წინ და ახლა ახლა ეძებს. მერე უეცრად გაახსენდა, თვალები გაუბრწყინდა, კიდევ უფრო გაუგანიერდა და ასე სინათლემოფენილი სახით თავი შესაქცევი მუქარით დაიქნია და ისე დამეკადა:

— მე კიდომ ჭიპი მააქვს.—გააგრძელა მან ბოლო სიტყვა ნიშნის მოგებით. მერე მოკლე წარვალიდან ფუნჩულა ხელით პერანგი ამოსწია, ბავშური ლურჯ ნაკვთიანი გაბერილი მუცელი მოიტიტვლა და ღილივით ჭიპი მაჩვინა.

— ჰაუუ რა ჰქონია!..—გავიოცე მე კიდევ უფრო ამ უჩვეულო სანახაობაზე.

ის კიდევ უფრო გაიბღინძა და ასე გაბღენძილი და თავმომწონე დგას ჩემ წინ მოშიშვლებული მუცლით და, მეტის პატივისცემით რომ გავიმსჭვალო ამ ყოვლად საოცარ ქონების პატრონისადმი, ქშინავს დიდის ამბით, ოხრავს და არის ერთ საქმეში.

— კუჰ!.. კუჰ!..—კუთავს იგი.

მე თავი ვერ შევიკავე, გამეღიმა და დოლივით გაბერილ მუცელზე ხელი ალერსით მოუცაცუნე.

— კუჰ... კუჰ... კუჰ...—მაინც არ სცხრება იგი და ოხვრით მეუბნება:

— აბა შენ თუ გაქ, მაჩვენე?

მე გამეცინა და დიდის გაჭირვებით დავარწმუნე რომ მე არც იმდენად ბედნიერი ვარ რომ ჭიპი მქონდეს. ბავშსაც გაეცინა, მერე უეცრად ჩაფიქრდა, პერანგი მუცელზე ჩამოიფარა და ფიქრობს ასე. უეცრად თვალები გაუბრწყინდა და მაჯავრებს:

— იი, უჭიპო!.. უჭიპო!.. უჭიპო!..—თან თითით ნიშნს მიგებს და ხტის ერთ ადგილას.

მე ვერ მოვითმინე, ხელში ავიტაცე და თვალებში ვაკოცე. თან არაფერი მქონდა რომ მეჩუქებინა და ამიტომ, ძირს რომ დავსვი, მიწაზე, ჩვენ ერთხანს კიდევ ვილაპარაკეთ სხვადასხვა საკითხებზე. ის შემომჩიოდა რომ მისი კატა ავი ზნისაა და ყოვლად ბინძური. თაგვებს სჭამს და თაგვები წრიპინებენ. ეხლა ის წაჩხუბებულია თავის კატასთან, ერთი მეორეს ხმას არ სცემენ. და ამ სიტყვებით მან ბურულზე გასული კატა მაჩვინა. მართლაც, კატა ბურულზე გულდაგულ მზეზე გაწოლილიყო და მაძღარ კუჭზე ტკბილად ეძინა. ლაპარაკით გული კარგა რომ ვიჯერეთ და მისი გული საბოლოოდ მოვიგე, მაშინ ლობეზე ლაფაროდან ეზოში გადავსვი და უთხარი:

— აბა გაიქეცი, ბიძია, გაიქეცი და ენახოთ, თუ დაგეწევი! როგორც გატყობ, შენ კაი სირბილი უნდა იცოდე.

ბავში მენდო.

— ვიცი! ლატომ ალ ვიცი!—სთქვა მან და, გაიქცა თუ არა, მე მაშინვე მოგდულას ამოვეფარე და დავიმალე.

ასე მოვიშორე მე ეს აბეზარი ბიჭუნა და ახლა, მე რომ ფაცხისაკენ მივიპარები დედამისთან, ის მეძებს, ალბათ, ეზოში და უკვირს, ეს რა სულელ ბიძიას გადაეყარა, იმდენად სულელს რომ თამაშობაც არ უნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაცხის კარს რომ მივადექი, ვხედავ, სიდუს სხვენამდე ყარეულებად დადგმულ ყაჭით სავსე ჩელტზე კიბე მიუდგამს, თვითონ ზედ გასულა და ყაჭს ბჟოლის ფურცლით აპურებს. ის ისეა ლასტის სიღრმეში მუცლით გადაწოლილი და მუშაობაში გართული, რომ ვერ მამჩნევს. სახლში ბინდებია, ნესტიანი სიგრილე და ყაჭის სუნი. ძირს, კიბესთან, მისი ხის ქოშები და გაჩხოტილი ბჟოლის ფურცლით სავსე გოდორი დგას.

შინ რომ ფეხაკრეფით შეველ და კიბეს ზემოთ ავხედე, თვალთ დამიბნელდა და მომეჩვენა თითქოს რომელიღაც დიდი ძარღვი გაწყდა ტვინში და თვალებს ჩაქცეული სისხლი ბლანდათ გადაეფარა. კაბის ქვეშ კაცის დამღუპავი სიღრმე დავინახე და თავში რომ დამარტყა რაღაცამ, კოჭებამდი გაიარა. ვნება ყელში ბოლმად მომაწვა და ხელი თუ არ ვიტაცე, დამახრჩობს ოხრად დასარჩენი! ეს ერთი წუთით იყო ასე, მერე მთლად დამიბნელდა ტვინი, ყველაფერი გაქრა ირგვლივ და მე ჟინი ვიყავ მხოლოდ, გადარევა. არც ვიცი როგორ მიველ კიბესთან,—იქნებ მივფრინდი, იქნებ მივფორთხდი?—არც ის ვიცი როგორ შევდგი კიბეზე ფეხი. მხოლოდ იმით მივხვდი, რომ ჩელტის ჭრიალი და ზნექა მომესმა სადღაც იქ, ტვინის ბნელ კუნჭულში.

— სა მოხვალ, შე სასიკვდილე, სა? არ გადმოვარდე!—აკაპასდა სიდუ და თან ყაჭს აპურებს. მაგრამ მის კაპასს ყურადღებას რას მივაქცევ, როცა ეს ხმა კიდევ უფრო მრევს და მდულარესავით მევლება ამ ისედაც ცეცხლ შემონთებულ გულზე? ეს მე მისი პატარა ბიჭუნა ვგონივარ და იმიტომ იფოფრება ასე, მაგრამ მუშაობას თავს მაინც არ ანებებს და ფოთოლს გულდაგულ უშლის აბრეშუმს. მე მაინც მივდივარ მაღლა, მივეგოტები ამ კიბეზე და, აველ თუ არა, ბევრი არ დავაყოვნე.—ან სხვა რა უნდა მექნა, როცა ენა მთლად მქონდა წართმეული და აზრი დაბნელებული?—თათები წელში უსიტყვოდ შემოვხვიე და, ჩემკენ რომ მოვწიე, მხოლოდ მაშინ შემომხედა რისხვით გაგოროზებულმა და, რომ მიცნო, შეჭკივლა:

— ბათა, შე სასიკვდილე!—მაგრამ მოვასწარ, ტუჩებზე დავეწებე და ისე ჩაუგდე კნაპი. ხმა რომ ვერ ამოიღო, ისევ გაყუჩება არჩია. წუთით თავდავიწყებაში წავიდა, მაგრამ მალე ისევ გამოერკვა, აბორგდა, გაიწია, უნდოდა თავი გაენთავისუფლებინა, მაგრამ რას გაუშვებდი? კიდევ უფრო ღონივრად მოვტორე და, როცა არაფერი გაუვიდა, დამემუქრა:

— კაი ახლა, ბათურია, კაი, შენ შემოგევლე! გამიშვი ხელი, შეკაცო, თვარა ვიკივლებ იცოდე, ცა და ქვეყანას შიგიყრი!

როცა არც მუქარა გაუვიდა, შემევედრა:

— კაი ახლა, ბათურია, კაი!.. შენი ვარ, ბათურია, შენი, შე თათარო, მარა ცოტა სული მომათქმევიე, ოჯო! წელკავი ხომ არ დაგეტაკა? ძირს ჩავიდეთ, შეკაცო... ასე რამ გადაგრია, ოჯო, კაცი ხარ და კაცის სიტყვა უნდა გაიგონო. აქ არაფერი გამიპირო, თვარა ვიკივლებ იცოდე, ცა და ქვეყანას დავაქცევ კივილით!

მაგრამ მე არც ისე სულელი ვიყავ მისი სიტყვებისათვის ყური მეგდო. ვინ დამიდგებოდა მერე თავდებად,—ძირს რომ ჩავიდოდით, არ მომატყუებდა და პირში ჩალაგამოვლებულს არ დამტოვებდა?

— კარს მაინც გამოვხურავ, შეკაცო, ერთ წამს გამიშვი! — სცადა მან ერთხელ კიდევ ჩემი დათათბირება, მაგრამ მე მაინც არ დავყაბულდი.

— არა, სიდულია, არა!—ვბუტბუტებ მე დარეტიანებული.—ცეცხლი წაკიდებია იმ კარებს, მე ის არ მედარდებოდეს. რა ვქნა, სიდულია, რა ვქნა, რომ მეტი არ შემიძლია! თუ გინდა, დანა გამიყარე კისერში, მაინც ვერ გაგიშვებ!—კი არ ვლაპარაკობ, ვემუდარები ენებით არუტუნებელი და, როცა უბეში ხელი შეუცურე, მხოლოდ მაშინ შეჰკივლა ენებით სულშეტაცებულმა, ჭრუანტელმა ტანში გაურბინა და ტუჩებზე იკბინა. აჭრელებულმა ხელში იღლიები მომიჭირა და ისე გაყუჩდა. მერე მოეშვა და ასე მოსხლეტილი გულზე მძიმე სუხთქვით მომეყრდნო. მე დრო ვიხელთე ფეხებში და წელში მკლავები უტაცე ხელში ბავშვივით ავიყვანე და იმ დროს, როდეს ის ჩელტზე უნდა შემეგდო და მეც თან ავყოლოდი, უეცრად ლასტს კოჭზე თავი მოუცდა, მოსწყდა ზემოდან და ჩვენ, ეს ორი თავდავიწყებაში შესული ადამიანი, წამოველით ძირს თავდაღმა ხრიალით და მთელი ეს სართულებად დაწყობილი ჩელტები, ჩაფარები, ყაჭი და ბობოლი, მიწაზე რომ დავეცით, თავს დაგვახვავდა.

გამოვერკვიე. აღარ იყო არც ის ენება, არც გახელება. ხელი რომ გადაუსვა რამეს, ისე გაქრა ყველაფერი. ლანძღვა-გინებით, თავბედის წყევლითა და ოხვრა-კვნესით წამოვდექი და, ტანისამოსს რომ დავხედე, შენ მტერს, მე რომ გულს შემომახდა,—მოსრესილი ყაჭისაგან ჩოხა მთლად ყვითელ-მწვანედ მქონდა დახიფული და ისეთი მყრალი სუნი ამდიოდა რომ კაცი ერთი ქცევის სიახლოვეზე ვერ გაშეკარებოდა.

— ფუი, ასეთ ბედსა და იღბალს რა უთხარი რა უბედური ვარსკვლავზე დაბადებული მე გავჩნდი!—ვბუზღუნებ მე საყვედურით და თან ჩოხას სიმინდის ნაკორტალით ვიწმენდ.

სიდუს თავში ხელები წაუვლია და ზარდაცემული თვალებით დასცქერის მიწაზე ისე ოხრად დახვავებულ თავისი ერთი თვის ნაწვავ-ნაამაგარს.

— ავმყრალდი კაციშვილი და ესაა!—ფუი, ჩემი შავი დღეზე დაბადებას რა უთხარი!—ვიფურთხები მე და, ჩოხას რომ ვერაფერი მოუხერხე, გავიხადე, სარჩულით უკუღმა გადმოვაბრუნე და იღლიაში ამოვიდე.

— ხედავ, სიდუ?

ის დგას ზარდაცემული და ხმას არ იღებს. რაღა ჩემი თქმა უნდა, ისედაც კარგა ხედავს თავისი თვალის დაბსებას. დამწყევლიდა, მაგრამ დასაწყევლად ვერ მიმეტებს. დგას გაშტერებული თვალებით და, დახერგილ ჩელტებს დასცქერის. ხანდახან თუ წაიშენს თავში ხელს და სულ ერთსა და იმავეს გაიძახის დაზეპირებულივით:

— ჩემი სიკვდილი!.. ჩემი სიკვდილი!.. ჩემი სიკვდილი!...

— ხომ ხედავ, სიდულია?—განვაგრძობ მე ისევ ისე მოღუშული და მიწასთან გასწორებული.—ჩვენი საშველი არ ყოფილა და ესაა,—მინდა კიდევ ვთქვა რაღაც, ასეთ დროს რომ შეეფერება, მაგრამ მოსრესილი ყაჭის სიმყრალე სულს მიხუთავს და გვერდზე მიზეზიანად ვაფურთხებ. ბოლოს, სული რომ მოვიბრუნე, ისევ განვაგრძობ:—შვიდობით, სიდულია... მივდიეარ, სიდულია და მაპატიე! მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივ ყველაფერი, მაპატიე რომ ჩემი არ ხარ! ისიც მაპატიე, რომ ბედის განაჩენს არ დავყაბულდი და მაინც მინდოდი. რა ვქნა, სიდულია, მწყუროდა, სიდულია, უშენობით სული მხდებოდა, სიცოცხლე მიძაღლდებოდა და იმიტომ გაწუხებდი. ჩემი წყურვილის მოკვლა მარტო შენ შეგეძლო, მაგრამ არ მოხერხდა და ბედის განაჩენს ვინ გადააბიჯებს? წავალ, სიდულია, წავალ ისევ ასე მწყურვალე, და, თუ წყურვილით მოვკვდი, ჩემი ცოდვა მოეკითხოს მამაშენსა და ბასკან უჩარდიას. მეტი არ შეგაწუხებ, სიდულია, არა, ცოლ-შვილს გეფიცები! შვიდობით, სიდულია, შვიდობით და აუგად ნუ მოიხსენიებ, ჩემზე ძვირს ნუ იტყვი, მივდივარ და აბა შენ იცი ქმარ-შვილს რავა უპატრონებ. ქმარ-შვილის ღალატი ვინ გაიგონა, ოჯო? ქმრის ღალატი დიდი ცოდვაა, სიდულია. ქალი ქმრის ერთგული და პატივის მცემელი უნდა იყოს. აბა შენ იცი რავა ერთგული და გამგონე იქნები შენი ქმრისა და ოჯახს არ გამოეთიშები. შენ შენს ოჯახს მიხედე და მე ჩემ ცოლ-შვილში წავალ. რაც არ იქნა,—არ იქნა, ბედს სად წაუვალთ? იქნებ ასეც სჯობდეს! მივდივარ და ვინ იცის აწი როდის ვნახავ. ნეტავი არასოდეს არ მენახე!—ვთქვი მე, თავი მოკრძალებით დაუკარი და ასე, იღლიაში ამოდებული ჩოხით, გარეთ რომ გამოველ, წინ სიდუს ბიჭუნა შემომეფეთა და რომ დამინახა, გამოექანა, კისერზე უნდოდა შემოხვევა და ძირს რომ არ დავიხარე, წელზე შემომეხვია. შემოხვევა და ცხვირის აწევა ერთი ქნა. ხელი გამიშვა, უკან დაიწია და შორიდან ეჭვის თვალით ამხედა. ალბათ, თავის მიხედვით, დაასკვნა თუ რათ ამდიოდა მე ეს მყრალი სუნი.

— ფუ, რა ცლახა სუნი გაქვს!—სთქვა მან მიზეზიანად და მერე ისეთი რამ მკითხა, რაც ქაღალდზე არ დაიწერება. მე ისე ვიყავ მოშლილი რომ სად მქონდა ახლა იმასთან ტიტინის თავი? ხმა არ გავეცი, ისე შევბრუნდი და ჩემ გზას დავადექი და, რომ წაველ, ეს ბავში იდგა შუა ეზოში, ცალფეხზე ხტოდა და ისეთი სიტყვებით მაჯავრებდა, რაც თვითონ და მის ტოლებს ემართებათ ხოლმე, შარვალი დროზე თუ არ შეუხსნეს.

პირველი ნაწილის დასასრული.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲠᲡᲔᲜᲐ ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲔᲚᲘ

ᲗᲐᲕᲘ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ*)

ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲜᲐᲓᲘᲛᲘ

ᲕᲐᲟᲘ ᲕᲘᲧᲐᲕ ᲓᲐ ᲕᲕᲐᲟᲝᲑᲓᲘ, ᲭᲝᲠᲣᲚᲐᲓ ᲨᲔᲔᲥᲜᲔᲜ ᲜᲐᲕᲐᲠᲓᲘ,
ᲛᲔᲤᲘᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲔᲡ ᲯᲐᲠᲨᲘᲐ ᲗᲐᲕᲡ ᲕᲔᲪᲘ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲒᲐᲕᲕᲐᲠᲓᲘ,
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲙᲘ ᲑᲝᲚᲝ-ᲯᲐᲛᲡ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲕᲐᲠᲓᲘ!

ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ.

ᲠᲐᲪ ᲠᲐᲛ ᲒᲕᲔᲑᲐᲓᲐ, ᲔᲒᲖᲔᲙᲣᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲮᲘᲨᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲒᲭᲝᲜᲓᲐᲗ, ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲘᲗ ᲒᲕᲮᲝᲪᲐᲕᲓᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲣᲒᲔᲨᲐᲓ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲝᲓᲘᲗ, ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲡᲫᲝᲕᲔᲗᲝ. ᲐᲠᲐ, ᲭᲝᲠᲬᲐ ᲑᲐᲕᲨᲛᲐ ᲑᲐᲚᲐᲮᲘ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲫᲝᲕᲝᲡ, ᲡᲐᲓ ᲒᲐᲒᲝᲜᲘᲚᲐ!

ᲐᲯᲐᲜᲧᲔᲑᲣᲚ ᲙᲐᲮᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲩᲘᲕᲐᲠᲘ.

ᲖᲐᲐᲚᲛᲐ ᲩᲘᲑᲣᲮᲘ ᲓᲐᲣᲨᲕᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲝᲓᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ ᲡᲐᲚᲓᲐᲗᲣᲠᲘ ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲙᲠᲐᲙᲘ ᲒᲐᲘᲡᲛᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲖᲣᲠᲜᲘᲡ ᲭᲧᲕᲘᲢᲘᲜᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲓᲝᲚᲘᲡ ᲑᲐᲒᲣᲜᲘᲪ ᲛᲝᲰᲧᲕᲐ.

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲧᲣᲠᲘ ᲡᲪᲥᲕᲘᲢᲐ. ᲑᲐᲢᲝᲜᲛᲐ ᲘᲧᲣᲩᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲔᲕ ᲛᲐᲛᲐ-ᲨᲕᲘᲚᲡ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ:

— ᲕᲔᲯᲝ, ᲐᲚᲐᲠ ᲒᲐᲛᲔᲪᲚᲔᲑᲘᲗ? ᲪᲮᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲞᲐ-ᲩᲔᲛᲘᲡ ᲖᲐᲐᲚᲘᲡ ᲡᲣᲚᲡ ᲕᲔᲤᲘᲪᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲝᲠᲗᲐᲕ ᲐᲥᲕᲔ ᲒᲐᲒᲐᲬᲕᲔᲜᲗ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲡᲘᲒᲠᲫᲔ ᲒᲐᲥᲕᲗ, ᲘᲛᲓᲔᲜ ᲡᲘᲒᲐᲜᲔᲡ ᲛᲝᲒᲪᲔᲛᲗ. ᲒᲐᲔᲗᲠᲘᲔᲗ ᲛᲔᲗᲥᲘ, ᲗᲥᲕᲔ ᲛᲣᲠᲓᲚᲔᲑᲝ, ᲗᲥᲕᲔᲜᲐ!

ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲡ ᲕᲘᲚᲐᲪ ᲛᲘᲡᲬᲕᲓᲐ ᲛᲙᲚᲐᲕᲨᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲐᲢᲠᲘᲐᲚᲐ:

— ᲬᲐᲛᲝ,—ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲖᲔ ᲣᲗᲮᲠᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲛ ᲯᲝᲠᲯᲘᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲖᲘᲗ ᲐᲜᲐᲗᲠᲗᲝᲚᲘ ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲔᲚᲘ ᲖᲐᲐᲚᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲫᲐᲚᲘᲗ ᲛᲝᲐᲨᲝᲠᲐ.

— ᲬᲐᲛᲝ, ᲬᲐᲕᲘᲓᲔᲗ.—ᲩᲐᲡᲩᲣᲠᲩᲣᲚᲐ ᲪᲐᲚᲗᲕᲐᲚᲐᲡ ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲛᲐᲪ ᲓᲐ ᲘᲡᲘᲪ ᲛᲙᲚᲐᲕᲘᲗ ᲒᲐᲐᲢᲠᲘᲐᲚᲐ.

ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲜᲘᲡ ᲙᲐᲙᲐᲜᲐᲛ ᲔᲖᲝ ᲨᲣᲐᲖᲔ ᲒᲐᲮᲚᲘᲩᲐ. ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲧᲐᲚᲮᲖᲔ ᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲘ ᲘᲡᲔ ᲓᲐᲤᲘᲗᲠᲓᲜᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲘᲨᲐᲚᲜᲔᲜ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲔᲓᲝᲚᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲯᲝᲮᲔᲑᲡ ᲛᲐᲗᲡ ᲒᲣᲚᲖᲔ ᲐᲑᲐᲒᲣᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜᲝ.

— ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲐ ᲛᲝᲓᲘᲡ!—ᲓᲐᲘᲫᲐᲮᲐ ᲠᲝᲡᲢᲝᲛᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲛᲠᲘᲡᲮᲐᲜᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲛ ᲒᲚᲔᲮᲔᲑᲡ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲔᲚᲓᲐᲡᲐᲕᲘᲗ ᲩᲐᲣᲠᲑᲘᲜᲐ.

— ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲐ! ᲖᲔᲙᲣᲪᲘᲐ!—ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲓᲘᲝᲓᲐ ᲞᲘᲠᲘᲗ-ᲞᲘᲠᲨᲘ.

ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐᲛ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ. ᲛᲐᲠᲢᲝ ᲛᲐᲘᲝᲠᲛᲐ, ᲖᲐᲐᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐ ᲘᲪᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲓᲠᲔᲕᲔ, ᲠᲝᲛ „ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲡ“ ᲛᲐᲠᲐᲑᲓᲐᲨᲘ ᲪᲠᲔᲛᲚᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲔᲑᲐ ᲛᲘᲰᲭᲝᲜᲓᲐᲗ.

---

*) ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲘᲮ. „ᲛᲜᲐᲗᲝᲑᲘ“—№ 1-2.

ზაალის რჩევით მაიორმა კიდევაც მისწერა ქალაქში, რომ ბერის მეზ და ფურაჟირები წინდაწინვე არ გამოეგზავნათ, თორემ გლეხები მიჰხვდებოდნენ და გაიხიზნებოდნენ, რადგან თავად ბარათოვის ყმები ერთხელ უკვე დაიფანტნენ და დიდმა ზაალმა რუსის მთავრობის წყალობით ძლივსლა მოაგროვა.

მაგრამ როცა სიტყვამ „ზეკუციამ" ჭანდრის ქვეშაც გაირბინა და აივან-ზედაც ავარდა, სტუმრებიც და კნეინებიც დაიბნენ და აღარ იცოდნენ კარზე მომდგარ ძალას როგორ დახვედროდნენ.

ზურნის ჭყვიტინი და დოლ-ბარაბნების ბაგუნი ნელნელა ახლოვდება და გლეხთა შორის ფორიაქიც მატულობს.

გოგო-ბიჭებმა სიხარულით მოჰკურცხლეს მომავალ ჯარისაკენ და უმალვე დასცალეს ეზო. ზაალი, მაიორი და სტუმრები ჭანდრის ქვეშ შეექუჩდნენ და შესახვედრად შეემზადნენ.

მაიორის ბრძანებით მოურავი და რამოდენიმე ფარეში გლეხებს დაერივნენ, შორს კუთხეში მიაგროვეს და მომავალ ჯარს დიდი ალაგი შეუმზადეს.

მარტო სევასტიღლა დარჩენილა თავის ტაფა-ქვაბებთან.

მისი თვალებიც შავ ნაკვერცხალივით ელავს და ღრძილამდე გამოჩენილი ეშვები ფაიფურის სოლებივით კრიალებს.

კარპიჩას ფეხმა ეზოში ბარვას მოუხმირა. ამირხანაშვილმა ისიც გლეხთა ჯგუფში შეაგდო, მაგრამ უცხვირო ხაბაზმა ვერც იქ მოისვენა: ქერა თხუნელასავით დაძვრება, ყველას რაღაცას ჩასჩურჩულებს, ირგვლივ შფოთს აბნევს და თვითონაც ივსება.

ბარაბანების კაკანი და ზურნის წივილი შესწყდა და მათ ნაცვლად სალდათური სიმღერა გაისმა.

Солдатушки, браво ребятушки,
Где же ваши жены?
Наши жены—ружья заряжены,
Вот и на-а-аши же-ены!

არსენამ მიიხედა. უკან და გვერდით რამდენიმე თავისიანი ამოსდგომოდა: ღვთისავარი, ერეკლე, ზურა, ლაშქარა, ქავთარი და როსტომი. ყველას აქ მოეყარა თავი და ეს ჯგუფი ვეება მუშტივით შეკუმშულიყო.

კარპიჩაც ერთი წუთით დაწყნარებულიყო, უძრავად იდგა არსენასთან და მზეუჭრიტასაც კი აღარ აწკაპუნებდა.

ყველანი ქვის ძეგლებივით იდგნენ და ჭიშკარს გაჰყურებდნენ. იქიდან საცაა ხიშტების ტყე უნდა შემოსულიყო და თან ყრუ ძალადობა, მძიმე ქუსლი და ბრმა თავხედობა უნდა შემოეტანა.

და ოძელაშვილმა ეხლალა შეამჩნია, რომ მას ორასიოდე წყვილი თვალი მისჩერებოდა და ლაცაბიძეც შორიდან თვალებით უბურღავდა სულს. მარაბდელმა ყველას შხამნარევ ღიმილით გაუღიმა, სადაც უძირო სიძულვილი ერია, და ასეთივე ღიმილმა უმალვე სხვებსაც ჩაურბინა. მერე ღრმად ამოიხვნეშა, მამას გადაჰხედა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ ამაჩქარე, მამა?

— აი ამიტომ, შვილო. — და ხელი იქით გაიშვირა, სადაც ხიმტების გრძელი ზღარბი უნდა შემოსულიყო.

— იალღუჯაშიც ამისთვინ მგზავნიდი?

— ამისთვინ გგზავნიდი. — უპასუხა მედროშემ და იგრძნო, თუმცა წელანაც იცოდა, რომ უკვე წყალწაღებული იყო და ჩალასლა ეჭიდებოდა: არსენა მარაბდიდან არსად არ წავიდოდა, და წასულიც რომ ყოფილიყო, უმალვე აქვე დაერჭობოდა.

Солдатушки, браво ребятушки,
Где же ваши тетки?
Наши тетки—полбутылки водки,
Вот и наши те-е-тки.

უკანასკნელი შეძახილი უკვე კარიბჭესთან მოისმა. ეზოში ცხენოსანი აფიცერიც გამოჩნდა და —

„და რუსები შემოვიდნენ დალაბანდის ბრახუნითა".

სიმღერა შესწყდა. ცხენოსანს ასიოდე რუსი სალდათი მოჰყვა. როტას ზურნის ჭყვიტინით ორმოცამდე ქართველი მილიციელი მოსდევდა. შემდეგ დრაგუნთა ნახევარი ესკადრონიც გამოჩნდა.

რუსებს მოკლე ქურქები და მძიმე ჩექმები ეცვათ და ტყავის ქუდები ეხურათ, ქართველებს კი—მოკლე ჩოხები და თუშური ქუდები და გრძელი ფარაჯები.

სალხინოდ მომზადებული ეზო ხიმტებით, თოფებით, ხმლებითა და ხანჯლებით გაივსო და სამხედრო ბანაკად გადაიქცა.

ჯარი მწკრივად დალაგდა. რადგან მაიორი არლოვი როტის კაპიტანზე უფროსი იყო და კიდევაც მასპინძლობდა, ამიტომ გაჭიმული წარსდგა წინ და რიხიანად შესძახა:

— Здорово ребята!

— Здравия желаем ваше . . . родие!—გრიალით უპასუხეს სალდათებმა.

როტის კაპიტანმა და მაიორმა რაღაც წაიჩურჩულეს. შემდეგ ახალმოსულმა შესძახა:

— Слезай с коней!

დრაგუნები ერთბაშად ჩამოხტნენ.

— Ружья в козлы!

სამსამი-თოფი ერთმანეთს მიაყუდეს და კვლავ გაშეშდნენ.

— Вольно! — გაისმა ბოლოს სანატრელი სიტყვა და მაშინვე მწყობრიც დაიშალა. ხოლო ეზო ცხვირთა ხოცვით და ხველა-ჩურჩულით გაივსო.

დავითი თვითონაც დრაგუნთა აფიცერი და მასპინძელი იყო და ამიტომ მეგობარ აფიცრებს აღტაცებით! დაუხვდა. ყველას ცალ-ცალკე ჯერ სამხედრო სალამს აძლევდა, შემდეგ მძლავრად ართმევდა ხელს, ბედნიერად უღიმოდა და დეზებს აჟღარუნებდა.

დავითი და მაიორი აფიცრებს ჭანდრისაკენ გამოუძღვენ და წარჩინებულთა გაცნობას შეუდგნენ.

ზაალი ყველაზე წინა სდგას, პირნათლად იღიმება და სანახევრო ტროს კისერს ოდნავ იხრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ორბელიანი განზე გამდგარა და მედიდური განურჩევლობით ელოდება: ვისაც ჰსურს, ნება აქვს მივიდეს და გაიცნოს. მართალია, თვითონ გუშინ გრენადერთა პოლკის პორტუპეი-იუნკერი იყო, დღესაც მხოლოდ პრაპორშჩიკია, მაგრამ სამაგიეროდ არტილერისტია და ყველაზე მეტად ნასწავლი, და... და უმთავრესი კი ის არის, რომ ის გრიგოლ ორბელიანია და ესეც ხომ საკმარისია!

ყაფლანიც, ზაქარიაც და ალექსანდრეც გვერდით უდგანან და ესენიც ორბელიანობენ.

სალდათები დაღვრემილ გლეხებს მორცხვი ღიმილით შეჰყურებდნენ და ასეთსავე გაღიმებას ან ორიოდე სიტყვას ელოდებოდნენ, რადგან ურთერთისთვის ახლო ნათესავები იყვნენ. მაგრამ ერთმა მეორეს სიტყვაც ვერ შეუბედა, რადგან იმავე დროს ძალიან შორეულებიც აღმოჩნდნენ.

მარტო კარპიჩა მოსხლტა და ტამბოველთა შორის ძვრენა-ჩურჩულს შეუდგა. გიგოლაც დაიძრა და ხაბაზს ლანდივით აედევნა, მაგრამ რუსი უცებ მოტრიალდა და შემოუტია:

— რას დამდევ დზაგლივით, შენი დედა!..

და ხუთსართულიანი მიაჭედა.

გიგოლა შემდეგ ლრეგულივით გამოტრიალდა, კარპიჩამ კი მალე მოსძებნა სულიერ-მიწიერი ნათესავები და იდუმალ ხლართების გაბმას შეუდგა.

მილიციელთა ერთი ჯგუფი გლეხობას მიუახლოვდა, მაგრამ ხუთიოდე ნაბიჯის მანძილზე შესდგა და ველარაფერი ვერ შეუბედა. ყველანი ახოვან არსენას შეჰყურებდნენ და პირველ სიტყვას მისგან მოელოდნენ.

ოძელაშვილმა ძლივს გაიხსნა პირი და ერთ შავგრემან ჭაბუკს ჰკითხა, რომელიც სხვებზე ახლოს იდგა და მას თვალს არ აშორებდა:

— ძმობილო, მარაბდის ასაკლებად მოხვედით?

— აბა რა ვიცი? — ღიმილით უპასუხა ჭაბუკმა და დაუმატა: — მე შენ გიცნობ. არსენა არა ხარ? — და პასუხი რომ ვერ მიიღო, მორცხვად დაურთო: — შარშან ალავერდობას ყველა ბიჭები წაგვიქცია, ჩემი ძმაც, აი ესა...

და გვერდით მდგომ ჭაბუკ მილიციელზე მიუთითა, რომელმაც არსენას მეგობრულად გაუღიმა და ხელი გამოუწოდა.

არსენამ შუბლი არ გაიხსნა და უნდილად ჩამოართვა ხელი.

იცნობს მარაბდელი სულხან ყოჩაშვილს? როგორ არა, ძალიან კარგად იცნობს. რუისპირელი სულხანი გამოჩენილი მოჭიდავეა, მოჯირითე, მოთამაშე, მსმელი და ნამდვილი ვაჟკაცი. მართალია, შარშან ალავერდობას არსენამ ყველაფერში აჯობა, მაგრამ იქვე თავის სუფრაზე მიიწვია, დაათრო, დაუძმობილდა და მეორე დღეს თვითონაც ეწვია რუისპირში და იქ საბოლოოდ შეუდუღდა. მაგრამ მას აქეთ რა მოხდა და რამ ჩააცმევინა სულხანს ეს ტანისამოსი?

— გაჭირვებამ. — მორცხვად უპასუხა სულხანმა.

— ყველა გაჭირვებულია, — განზე სთქვა არსენამ, — მაგრამ...

მაგრამ ალარ დაასრულა, რადგან სათქმელი უკვე ნათქვამი [illegible]

სულხანმა იგრძნო, რომ მილიციელის საბეჭურებმა ალაგ-ალაგ [illegible] ჩამორეცხა და მათი ძმა-ბიჭობა დამარხა. იგრძნო, ბოლმით ალივსო და გატრიალდა.

— ჩვენს ასაკლებად მოხვედით მეთქი? — ჰკითხა არსენამ უნცროს ძმას როსტიას.

როსტია დაღონებული იყო და ისე უპასუხა, თითქოს ეს-არის კაცი შემოჰკდომოდა:

— აბა რა უყოთ, ძმაო. სამსახურში ვართ და... რა ჩვენი ბრალია!

არსენა უმალვე მოლბა. „მართლა და, რა ამათი ბრალია? — გაიფიქრა, — ბრალიანები აგერ იქ ჭანდრის ქვეშ გათიშულან, ესენი კი ისევ ჩვენისთანა ბეჩავები არიან“, ხმა მაღლა კი უპასუხა:

— შეიძლება ეხლა თქვენს ოჯახსაც სხვა სალდათები იკლებენ.

— შაიძლების. — უპასუხა როსტიამ.

— ვაი ჩვენი ბრალი! — ჩუმად ამოიოხრა ჯორჯიაშვილმა, და —

— ვაი ჩვენი ბრალი! — და ეს ოხვრა რამდენიმე ალაგას განმეორდა.

— ერთი ამათ შეეხედეთ, ამათ. — წაილაპარაკა ჯორჯიაშვილმა. — რა წყვილია!

და ყველამ მარცხნივ გაიხედა, სადაც გიგოლა და მაიორის გადამწერი „არსენას სიძე“ ივანიჩა ხელგადახვეულები საუბრობდნენ.

ივანიჩა არლოვის დავალებით ქალაქში იყო და ჯარს მოჰყვა. ზოგი ობობას ეძახდა, არსენამ კი აქლემი დაარქვა. ეს აქლემი „წყეულ კავკასიაში“ მხოლოდ იმიტომ გადმოსულიყო, რომ აქ საერთოდ იქაურზე მეტ ჯამაგირს აძლევდნენ და, გარდა ამისა, ამ უშნო სატენელამ იქ, ქედას გადალმა, უვარგისობის გამო ვერსად ვერ მოიკიდა ფეხი.

აქლემი კოდაში გალეშილიყო, ფეხები ეხლართებოდა, კნეინებს ეპრანჭებოდა და შორიდან მართლა აქლემივით ულიმოდა.

— მორიელი და ობობა. — სთქვა ვილაცამ და იკითხა: — ნეტა რომელი უფრო შხამიანია?

— შავი გველი და ჭრელი გველი ორთავ გველია და დროა ორივეს თავი გაუჭეჭყოთ, — წაიჩურჩულა ერთმა გლეხმა.

არსენამ ისეთი საყვედურით გადახედა იმ გლეხს, თითქოს ეკითხებოდა, მაგაზე უნდა გაისვარო ხელიო, და უცებ გამობრუნდა. იქვე დოსტაქარს ბაჯიაშვილს შეეფეთა და ჰკითხა:

— რას იტყვი, ზაქრო?

— ამას ვიტყვი: წასვლას ვაპირებდი და უნდა დავრჩე. როგორც ვატყობ, აქ ბევრი საქმე გამიჩნდება.

— მეც აგრე მგონია. მუხათში ადი და რაც მალამო და არტაშანი გაქვს, წამოიღე. ურჩია არსენამ — და იმასაც გაშორდა.

* * *

— ვეჟო, მოდი და ჩვენ ხელმწიფეზე ნუ ილოცებ. — მიჰმართა ზაალმა თავისიანებს და კაპიტან ლომოვზე მიუთითა: — ეს კაცი ნამდვილი ბუნტოვჩიკია, დეკემბრელი თუ რაღაც ჯანდაბა იყო. სადაც სამართალია, უნდა ჩამოეხჩოთ.

ხელმწიფემ კი დანაშაულიც აპატია და ეხლა წარჩინებაც მისცა. ბეტანია-გინდა, ვეკო! ვანა ასეთი ამბავი გაგონილა სადმე?

და მორიდებულ ლომოვს მკლავში ხელი გაუყარა და განზე გაიყვანა.

გარსია ახალმოსულ აფიცრებს ფეხებში ებლანდებოდა და ჩექმის მტვერს უწმენდავდა.

ფარეშებმა ტაშტით და ალთაფით ჩამოიარეს და სტუმრებს ხელი დააბანინეს.

წელან კნეინები თავიანთ ოთახებში შეცვივდნენ, თმები და ფერუმარილი შეისწორეს, მერე კი ისევ აივანზე გამოლაგდნენ და მტრედებივით დალაგდნენ.

უკვე სადილი იწყებოდა და ზაალმა მანდილოსნები ჩამოიპატიჟა.

ყველას კნეინა ხორეშანი ჩამოუძღვა. მედიდურად, დინჯად ჩამობრძანდა და წამობლილ სტუმრებს ხუთიოდე ნაბიჯის მანძილზე გაუჩერდა.

დანარჩენი კნეინებიც რიგრიგად მიჰყვნენ — მაიკო, ეფემია, დარო, და ტასო — ერთი მეორეზე უფრო დარბაისელი, ლამაზი და თავაზიანი.

კნეინებს ქართული კაბები ეცვათ, ჩიხტი-კოპი ედგათ და გრძელი ნაწნავები ეკიდათ. ყველაზე ახალგაზრდა დარო და ტასო რუსულად იყვნენ გაზრდილი და ახალნაირად ეცვათ: ორივენი თავდაუხურავი იყვნენ და კრინოლინის განიერი „ხაბარდა“ ეცვათ, ხოლო ტევრი თმა კისერზე ჰქონდათ აკრეფილი და მხრებსა და მკერდზე ფერადი აბრეშუმის ნაქსოვი ჰქონდა შემოვლებული.

ელიზბარისა და სუმბათაშვილის გამოცდილი თვალები კნეინებს ასცდა და ორ მოახლეს — ფიქრიასა და მარინეს მიებჯინა. ორივე თავადმა ერთმანეთს გადახედეს და გაუღიმეს.

— ამათ რომ კარგად ჩააცვა და მოუარო... — ჩასჩურჩულა ელიზბარმა სუმბათოვს.

— ყველას აჯობებდნენ. — დაამთავრა ქვეშხეთის ბატონმა.

სანამ სტუმრები კნეინებს ხელებს უკოცნიდნენ, ზოგნი კი მხოლოდ ართმევდნენ, ეზოს ბოლოში თავადი შალვა და ფილადელფოსი გამოჩნდა.

ბერი შორიდანვე ილიმებოდა და ილუნებოდა და ქარაგმულ-რიტორიკულ სიტყვებს ამზადებდა. კიკნაძე თუ კიკნაველიძე დიდკაცობაში იყო ნავალი და მათთვის შესაფერი ყოფა-ქცევა და სიტყვა-პასუხიც მოეპოებოდა.

ესოდენ წარჩინებულთა გაცნობა ჯერ კიდევაც გაეხარდა, რადგან ეგონა, რომ ოდნავ „აქტსა გონიერსა მიმოაბნევდა“, მაგრამ მაიორისა და სუმბათაშვილის აქ-ყოფნა ეწყინა, ხოლო ჯარის ამოსვლამ სულ დააფრთხო და გზა-კვალი აუბნია. მაინც იმ იმედით მოდიოდა, რომ მცირეს რასმეს დასთესავდა და მრავალს მოსამკალს მოიმკიდა.

ბერი შუა ეზოში ისე უცებ შესდგა, თითქოს კედელ წააწყდაო, და —

— სევასტი! — წამოიძახა.

მზარეული შეჰკრთა. ერთ წამს დაიბნა, მერე ხელი ჩაუბღუჯა და ჩუმად ჩაულაპარაკა:

— გაჩერდი, ხმა არ ამეიღო, თვარა...

— იმალები თუ...

— აწი ზაალის ყმა ვარ. წერეთელი ველარ დამაბრუნებ[illegible]ორის სამართალი მაინც აქ არის და ხომ იცი...

ბერმა, რა თქმა უნდა, იცოდა.

— მაშ კარგი. მერე მოვილაპარაკოთ. — მიუგო ბერმა და თავად ზალვას დაეწია.

ზაალის დედა ყალანჭრის სუფრის თავზე დაბრძანდა. კნეინები გვერდით მოუსხდნენ. დანარჩენებიც დალაგდნენ: ჯერ ხნიერი თავადები დასხდნენ. მათ შორის მაიორი და მორცხვი ლომოვი ჩასხდნენ. შემდეგ ახალგაზრდა ორბელიანები, მერე უდავო აზნაურები და ახალმოსული აფიცრები და ბოლოს — მღვდელი ბარნაველი, ახალმოსული ბერი და აზნაურობის მაძიებელნი.

მამა აბრამი წამოდგა, „მამაო ჩვენო“ წაიბურტყუნა, სუფრას ჯვარი გადასახა და დაჯდა. სხვებიც წამოიშალნენ, პირჯვარი გადაიწერეს, იქვე დასხდნენ და მურასა ლავაშები და გამტკიცული შოთები გადატეხეს.

გლეხების ისედაც გრძელი სუფრა ჯარის მოსვლის შემდეგ უფრო მეტად გაიჭიმა და ორპირად გაიშალა.

ზაალი წელან ოდნავ აიშალა, მაგრამ მერე მოურავს დაუძახა და უთხრა:

— ვეჟო, ამოდენა ხალხის მოსვლას ვინ მოელოდა! ჩემი ბრალი ნუ იქნება, თუ კერძი ყველას არ ეყო. ჯერ ჯარი დააპურე და დანარჩენები მერე დასხი. ღმერთს ყველაფერი მოუცია ჩემთვის. იმყოფინეთ და... მეტი რალა გინდათ, ვეჟო!

უთხრა და დაწყნარდა.

ცალმხრივ იმ სუფრას მშიერი სალდათები მოსდგომოდნენ, მეორე მხრივ კი მასპინძელი გლეხები ჩამწკრიებულიყვნენ, რომელთაც გუშინ საარიფანო გამოიღეს და ეს ძმური სადილი მოამზადეს.

უცებ სალდათებმა ქუდები მოიშვლიპეს და ერთხმად დაიწყეს:

— Отче на-аш, иже еси на небеса-а-ах...

და დაასრულეს თუ არა, იმ სუფრას შემოურბინეს, გადაალაჯეს და შგლებივით მიესივნენ.

გლეხებმა ერთმანეთს გადახედეს. დედაკაცები თავიანთ სუფრას გაექცნენ და ისიც ჩექმებმა დაიუფლეს.

— ფუჰ! — გადააფურთხა კარპიჩამ. მერე ჭანდრისკენ გაიხედა და დაუმატა: — პუგაჩოვი გინდატ მეტკი, პუგაჩოვი! გმერთმაც დაგცკევლოტ და ეშმაკმაც!

და უმალვე სახაბაზოზი შევარდა.

ლაცაბიძე ავი ღიმილით იღიმებოდა და აღარ იცოდა, ქვაბში ჩაეყო ვეება ჩამჩი თუ ცეცხლში ჩაეჩარნა.

მოურავმა სალდათებს სუფრის ბოლოზე ხუთი ალაგი მოსტაცა და თეთრწვერა გლეხთა ჯგუფს მიჰმართა:

— აღსაჭკალებო, დასხედით. იქნება დარჩეს რამე და სხვებიც მერე დანაყრდებიან.

თეთრწვერიანებმა ღვთისავარს გადაჰხედეს. მოურავმაც იცოდა, რომ თავდაპირველად მედროშე უნდა დეპატიჟა, რომელიც ადათით ჯერ უფრო ხნიერებს დასხამდა, მაგრამ მისი მოპატიჟება არ ინდომა, რადგან ღვთისავარი ზა-

ალის მიერ შემწყრალი იყო და მოურავი ამის გამო ბატონის წინაშე ვერ გადაურჩებოდა.

არსენას მამამ ეს სურათი ვერც კი შენიშნა. მისი ცალი თვალი ჭანდრის ქვეშ იყო მიბჯენილი, ფიქრით სხვაგან სადმე იყო გადაკარგული და განიერი მკერდი ბოლმით და შიშით ჰქონდა გატენილი—ისეთი უცნაური შიშით, რომელიც დღემდის ჯერ არ ეგრძნო—არც ნიახურის ველზე, არც ბირთვისის ციხეში და არც ორმოციოდე ბრძოლა-შეტაკებაში, რომელიც მას ლეკებთან, ოსმალებთან, სპარსელებთან და თათრებთან მოეხადნა.

ან იქნება დაბერდა ცალთვალა დევი? იქნება დაჯაბანდა, მოტყდა და ბუხრის ტყირპად გადაიქცა? მაგრამ როდის, რად, რის გამო? განა ერთი თვის წინად არ იყო, რომ ხუთი ბიჭით ათ ყაჩაღს მიუვარდა და ხელჩართულ ბრძოლაში ოთხი მათგანი მოჰკლა და დაჰკოდა?.. გასულ შემოდგომას არ იყო, რომ ასურეთის გზაზე მარტო მან აჰკუწა დათვი? ამას წინათ არ იყო, რომ ქალაქიდან მომავალმა ორი დამხდური შეჰკრა და მდივანბეგს მიჰგვარა?

რამდენჯერ წასწყდომია ღვთისავარი სიკვდილს, რამდენჯერ მოუდრეკია იგი ხანჯალივით მჭრელი და პრიალა თვალით და ჯერ ასეთი რამ არაფერი არ განუცდია—არასოდეს, არსად, არაევისთან! ეხლა კი...

ეხლა კი თვითონაც არ იცის რა ემართება, ან რატომ ემართება. მუხლში თითქო ჟრჟოლა უვლის, მგონი განიერი ნიკაპიც უთრთის და გულიც ავი წინაგრძნობით ევსება.

— ღვთისავარ, დავსხდეთ.—ესმის მედროშეს საბა-დალაქის ხმა და ფხიზლდება.

— დავსხდეთ? აქა? არა. არ მინდა. დაბნევით ბუტბუტებს არსენას მამა და აქეთ-იქით იხედება.

აი ყველანი აქ არიან: საბა დალაქიც, ჭონი პაპუნაც, ფეიქარი ნასყიდაც, მეჩექმე ბერუაც და სხვებიც.

ოდესღაც ესენიც ღვთისავართან ერთად ომობდნენ — ვაჟკაცურად და შეუპოვრად იბრძოდნენ. არც ეხლა ჩამორჩებიან ახალგაზრდებს, მაგრამ შიში მათს თვალებშიც ჩასახლებულა, ერთ საათში ესენიც მოუდრეკია და თითქოს უფრო მეტად გაუთეთრებია.

ღვთისავარმა უკან მოიხედა და ის ერთი თვალი ქავთარს, როსტომს, ერეკლეს, ზურას და მრავალ ჭაბუკსა და შუახნის მარაბდელსა და ახლო-მახლოელს გადაავლო.

— არსენა სად არის?—იკითხა უცებ შემკრთალი ხმით და შიში მოემატა.

აქეთ-იქით მიიხედეს, მაგრამ არსენა აღარსად არ იყო.

უცებ ზემოდან საეკლესიო ზარის ხმა მოისმა—მოკვეთილი, საგანგაშო, გააფთრებული.

და მაშინვე ყველა გლეხი მიხვდა თუ სად იყო ოძელაშვილი.

მიხვდა და იმ ზარივით შინაგან გუგუნით გაიტენა და აფორიაქდა.

პირველივე ჩამოკვრაზე ყველა ისე შეტოკდა, თითქო მიწა შეძრულიყოს. მთელმა ეზომ ყურები სცქვიტა, ლაპარაკი მოისხიპა და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა,

თითქო ყველა და ყოველივე ქვად გადაქცეულიყო. ჭამის ხრამუნიც და შესწყდა და ოთხასიოდე წყვილ თვალში შიში და ფათერაკის მოლოდინი ჩაწვა.

ღვთისავარის ცალი თვალი ერთი-ორად გადიდდა და გაიყინა.

ზურა და ერეკლე უმალვე მოსხლტნენ და ჭიშკარში გაცვივდნენ.

სევასტი ლაცაბიძეს ჩამჩა ქვაბში ჩაუვარდა.

კარპიჩას წითური თავი სათონეს კარებში გამოძვრა.

გიგოლა ნაბიჭვარმა ფეხი ველარ დასძრა, ძარღვებში ყინულის ცრემლი იგრძნო, ნიკაპზე დუჟი ჩამოუშვა და წირპლიანი თვალები მიმქრალ ჭრაქებივით ააბჟუტა.

ყველაზე მეტად კნეინები შეშინდნენ—გარდა ხორეშანისა, რომელმაც საერთო დუმილი გაჰკვეთა:

— ზაალ, მარაბდაში სისხლი დაიღვრება.

ეს სამი სიტყვა სიჩუმეში პანაშვიდივით ჩამოწვა, ხოლო ხორეშანმა ოთხმოცი წლის ცივი თვალები მაიორზე გადაიტანა და დიდხანს აღარ მოაშორა. შემდეგ ისევ ზაალზე გადმოიტანა და ჩამჭკნარ ტუჩებზე ისეთი ღიმილი აისახა, რომელიც უფრო ზიზღს ჰგავდა ვიდრე დედის სალამს, და გაიმეორა:

— სისხლი დაიღვრება მეთქი.

— დაიღვრება და დაიღვაროს, ვეჟო! რა ჩემი ბრალია!—წაიბურტყუნა ზაალმაც—მეტი რაღა გინდა, ვეჟო!

სისხლის გახსენებაზე ყველამ კნეინას შეხედა, თავის თვალები მის თვალებს გააყოლა და მაიორს დააცქერდა, რადგან სისხლი მუდამ ამ კაცს დასდევდა და მისივე ხილიდან გამოდიოდა.

ზარის ხმაზე მაიორი ჯერ ძლიერ შეკრთა, გაფითრდა და ისე გასცქეროდა კაპიტან ლომოვს, თითქო მისგან გამხნევებას მოელოდაო. მერე უცებ გაიბადრა და თითით მოხმობილ ფელდფებელს ჩასჩურჩულა:

— ჭამას მოუჩქარონ.—ხოლო აფიცრებს ღიმილით უთხრა:—თვითონვე შეგროვდებიან. უკეთესიც იქნება.

მშიერი და ბოლმით სავსე გლეხები ფეხაკრეფით გავიდნენ, ეკლესიისკენ გაუტიეს და ბატონის ეზოში ცივი სიჩუმე და მღრღნელი შიში დასტოვეს.

ზარი კი ისევ რეკავდა—ხან კაპასად, ხან შიშით, ზოგჯერ გააფთრებით და ზოგჯერ უფრო დუნედ, საერთოდ კი მუქარით, ბოლმით და ძრწოლით.

და ეს მუქარის კილო ყველამ იგრძნო, მაგრამ მარტო ბებერ ბარნაველის გამოცდილმა ყურმა გაიგო, რომ ზარს რიგრიგად რამდენიმე ხელი რეკავდა.

* * *

უკანასკნელ დროს არსენას უცნაური და იდუმალი ტალღა აწვებოდა.

საქვეყნო საქმეს სოფელი ღვთისავარს აჰკიდებოდა ხომლმე, მაგრამ ერთი ხანია მათ შორის სიტკბომ დაიკლო და სიმწვავე გახშირდა. და სოფელიც ჯერ გაიბზარა, მერე გასკდა, ორად გაიყო და ცალთვალა დევი მუდამ გალმა რჩებოდა, ბოკვერი არსენა კი გამოლმა იდგა და საკუთარ გზას ეძებდა.

ეს გზა თითქო ნაპოვნიც იყო: მამას მამა-პაპები მისდევდნენ, შვილის გარშემო კი შვილები გროვდებოდნენ. ხნიერთა ბანაკი დღითი-დღე დნებოდა, რადგან იგი მიმავალი იყო, ხოლო ჭაბუკებისა მრავლდებოდა, რადგან ისინი მომავლები იყვნენ.

არსენა ოძელაშვილმა არ იცოდა, როდის, ვინ და როგორ დაიწყო ჭაბუკების დაგროვება, და ძალიან გაოცდა როცა თავის-თავი ამ ბანაკის შუაგულში აღმოაჩინა, გაოცდა იმიტომ, რომ არც შუაგულობას ეძებდა და არც მეთაურობას დასდევდა.

როცა სოფელში რღვევა დაიწყებოდა, ან არსენა რაიმე საქვეყნოს იტყოდა, ან კიდევ ვაჟკაცობას გამოიჩენდა ხოლმე, მარაბდელი ჭაბუკებიც და მრავალი შუახნის გლეხებიც უმალვე გარშემოევლებოდნენ და ერთხმად აყვირდებოდნენ ხოლმე:

— არსენა მართალია! სწორედ სჭრის, სწორედ!

ან კიდევ:

— ყოჩაღ, არსენ! ბარაქალა შენს ბიჭობას!

ან უფრო მეტიც:

— ჩვენი ხარ, ჩვენი! გაგვიძეხ და წაგვიყვანე!

როცა ხალხი ბელადს ეძებს, იგი თუნდაც ხის ფუღუროდან გამოვარდება ხოლმე.

და არსენაც ასე გამოვარდა. მან თვითონაც არ იცოდა ნათლად და მკაფიოდ, საით უნდა გასძღოლოდა წაყვანას მოწყურებულ ჭაბუკებს, მაგრამ იმ იდუმალ ტალღის ძალას მაინც მწვავედ ჰგრძნობდა და გაძღოლის საბაბს ელოდებოდა.

დაიძახებდა თუ არა ასიოდე ყანყრატო: „მართალი ხარ, მართალი!“ არსენასაც მაშინვე მოაწვებოდა ის უცნაური ტალღა, და უხილავი ვილაც თუ რალაც გულში ჩაჰკივლებდა: „მოვალე ხარ, მოვალე!“

და როცა ასიოდე წყვილი ბრწყინავი თვალი მიებჯინებოდა, იგივე ვილაც ტვინში ჩაუკაკუნებდა: „ბიჭო არსენ, ქვეყნის ვალი გმართებს, და მოიხადე“.

როცა მას ათასთა მალული გულისხმა მოესმოდა, უმალვე გულის-ბჟე გაეხსნებოდა, ხოლო ვილაც ისევ დაჟინებით ჩასძახოდა ხოლმე: „არსენ, ეს საქმეც შენ გეკისრება და უნდა გააკეთო“.

და უკანასკნელ დროს ამ ტალღამ—„მოვალე ხარ“, „გეკისრება“, „გმართებს და მოიხადე“-მ ოძელაშვილი პირამდე გაავსო.

და ცალთვალას შვილი ზაალის ეზოდან ეხლაც ამავე მწვავე ბულმა გამოიტაცა.

თავაწეული მოდიოდა, თითქმის მორბოდა, რისხვით აზღარბებულ ულვაშებს იგრეხავდა და გულის ჯავრი საბერველსავით ამოუბერავდა.

ზურნამ და ბარაბანმა მთელი მარაბდა გარეშემოსამოიყვანა, ყველა სახლს, ყოველ კარსა და სარკმელს რამდენიმე წყვილი თვალი გამოება და ეს დაჭყეტილი, ცნწეო და შიშნარევი თვალები ყველას შუბლზე ჰქონდა აყრილი. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწრაფად მომავალ არსენასაც მოსდევდა და უსიტყვოდ ეკითხებოდა:

„ვილუპებით? გვიშველი? გადაგვარჩენ“?

არსენამაც იცოდა, რომ მარაბდა ხვალ თუ ზეგ ერთხელ კიდევ დაილუპებოდა, როგორც უწინაც დალუპულიყო მრავალჯერ: იმასაც ჰგრძნობდა, რომ თვითონაც და მისი მეგობრებიც ხმას ამოიღებდენ და ხელსაც გაიქნევდნენ, მაგრამ შველისა და გადარჩენისა ჯერ არაფერიც არ იცოდა, თუმცა მხოლოდ ამაზელა ჰფიქრობდა.

— საით მიდიხარ, არსენ?—მოესმა უცებ მაგდანას ხმა და შესდგა.

გულხელდაკრეფილი ქვრივი თავის კარებზე იყო მიყუდებული და მართვებზე დამჯდარ დედალ არწივივით იცქირებოდა.

არსენას არასდროს არ ენახა უქმად მდგარი მადგანა, ისიც საქვეყნოდ გამოფენილი, და პასუხის მაგიერ თვითონვე ჰკითხა:

— დათუნა სად არის, მადგან?

ქვირვმა ოდნავი ათვალწუნებით გაიღიმა:

— აბა რა ვიცი, ან ვინ იცის. მგონი ალგეთზე წავიდა. ალბათ ისევ თავის ფიქრებს თუ დასდევს.

წელან სოფელს ჩუმმა ბრძანებამ ჩაურბინა:

„იარაღი დამალეთ!.. ყველაფერი დამალეთ“!

და ყველა სახლში ფუსფუსი ატყდა. დაძონძილი და გაფხეკილი გლეხები, ნამეტნავ კი დედაკაცები, ყველაფერს მიწაში ჰფლავდნენ: ვერცხლის ნამცეცებს და სპილენძის ჭურჭელს, ათიოდე საუკუნის ვარგის-უვარგის იარაღსა და თხელ ბეჭდებს, უბრალო მძივებსა და ყველაფერს, რაც კი შერჩენოდათ და რაც ხელში მოხვდებოდათ.

ხნიერ ხალხს ის დრო გაახსენდა, როცა სოფელში მეხივით გავარდებოდა ხოლმე:

„ლეკი მოდის. თავს უშველეთ“!

მთელი სოფელი მაშინვე ურემ-საქონლით აიყრებოდა, ალგეთს აჰყვებოდა და თავს მაგარ ციხე-კოშკებს შეაფარებდა ხოლმე. ეხლა კი ყველა გზა სალდათების მიერ იყო შეკრული. ისინი სოფელშიც დადიოდნენ, ყველაფერს სთვლიდნენ და სწერდნენ თუ რომელ ოჯახს რამდენი „სტუმარი“ უნდა შეენახა.

— საით მიდიხარ მეთქი, არსენ?—ერთხელ კიდევ ჰკითხა მაგდანამ და შენიშნა, რომ არსენას მარჯვენა წარბი უხტოდა.

— ეხლავე გაიგებ.—უპასუხა არსენამ და ისევ გაალაჯა, მაგრამ უმალვე მოტრიალდა და მაგდანას უთხრა:

— ნათლიდედ, ერთი მადლი დამდე, შენ კი გენაცვალოს არსენა. მელანოს შეატყობინე, რომ ლურჯა წყალზე ჩაიყვანოს და იქვე ჭალაში მიაბას სადმე. ვინ იცის როგორ დაფიქრდეს.

— კარგი, ვეტყვი, ოღონდ ქვრივმა,—მაგრამ დაიცა. აქ მოიტა ეგ იარაღი.

— რათა?—გაუკვირდა ,,ძელაშვილს.

— აქ მოიტა მეთქი.—ბრძანა მაგდანამ. მეცდაგიმალავ.—ბღვდლის ოჯახია და იქნება დაინდონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიცა, მაგდან...

— მოიტა მეთქი.

იარაღი თითქმის ძალით წაართვა და შინ შევიდა. არსენა კი მარაბდის ბოლოსკენ გამოეშურა, სადაც უგალავნო, უგუმბათო და თაღიანი შავი ეკლესია სდგას და ეზოში ცხრა ძმა ხერხეულიძე წევს. ოძელაშვილმა ორიოდე საფლავზე გადაალაჯა, კედელზე ჩამოკიდულ ზარს მისწვდა და ჩამოჰკრა. ზარი მტკივნეულად აგმინდა, თითქო ყელსა სჭრიდნენო, და ჰკიოდა.

„მიშველეთ! მომკლეს!"

ზარის პირველივე დაძახებაზე ხერხეულიძეთა ერთ-ერთ ქვიდან დათუნა ბარნაველი წამოიჭრა. წელან რომ შალვას სახლიდან გამოვიდა, მას აქეთ ამ ქვაზე იწვა გულაღმა და ისევ წარსულ ლანდებსა და მომავალ აჩრდილებს ეჭიდებოდა.

დათუნამ მეგობარი ზურგზე იცნო და ყველაფერს მიუხვდა. შემოსული ჯარი წელან თვითონაც დაინახა და უმალვე მიხვდა, რომ მაგდანას ხელით წამოყენებული ოჯახი ხვალ ან ზეგ უნდა ხელახლა დანგრეულიყო, და ღვთისა თუ ეშმაკის განგებას თითქმის უკვე შეურიგდა.

არსენამ ათიოდეჯერ ჩამოჰკრა ზარს და მოიხედა:

— რას დარჭობილხარ ბოძივით, დათუნი!—მიაძახა მეგობარს.—აქ მო, შენც დარეკე.

და ზარის საბელი ხელში ჩასჩარა.

ზარმა ბღავილი შესწყვიტა და ბარნაველის ხელში სამჯერ დაიკნავლა უნდილად: „სულ ერთია"! დათუნა დონდლოდ ჰრეკავდა და ჩუმი ღიმილით ღიმებოდა, არსენა კი დოინჯშემოყრილი იდგა და მჭრელი თვალებით ელოდებოდა მარაბდელების მოსვლას.

და სოფელიც ჯერ გაუბედავად წამოვიდა, შემდეგ კი ნიაღვარივით მოვარდა.

პირველად შავი ქვრივი მაგდანა ამოიჭრა. ძმას ალმოდებულ ალქაჯივით ეცა, საბელი გამოსტაცა და სევდით მომჩივანი ზარი წელანდელივით დააგუგუნა. შემდეგ სხვებიც მოცვივდნენ.

— შენც დაჰკა! დაჰრეკე!—შორიდანვე უძახოდა ოძელაშვილი ყველას და ისიც თავდაპირველად ზარისკენ მირბოდა.

მაგდანას საბელი შვილმა გამოსტაცა, ზურა ერეკლემ შესცვალა და იმავე დროს არსენას ძმადნაფიცი ჯორჯიაშვილიც ერთი წლის ზაქივით ამოიჭრა:

— მეც დამარეკინეთ, მეცა!

— შენც ჩვენი ხარ, შენცა!

და ბოგველი სტუმარი ერეკლეს სცვლის და ზარს ისე აგრიალებს, რომ მისი კივილი ზემო ენაგეთშიც კი გაისმის.

მეშთა მეჯინიბეც მოვარდნილა. ყანყრატოს იწევს და არსენას ეაჯება:

— შენი წირი მე, არსენ, მეც მოგეცი ეგ ზარი, მეცა.

— დაჰკა, მეშთავ, დარეკე!—ეუბნება ოძელაშვილი.—რა ნებართვა გინდა! შენც ჩვენებური ხარ და გერგების.

— თკვენი ჩირი მე, მარაბდელებო, თკვენი!—შორიდანვე ფიქრის ყოველ-სირბილით მომავალი კარპიჩა და მის ხელში სუსტი ზარი გიუდება და ათი-ათას ნაკუწად იკუწება.

ჭაბუკებს ვაჟკაცები მოჰყვნენ, ვაჟკაცებს შუახნისანი და შემდეგ ბებრებიც მოჩანჩალდნენ.

ხელიხელ ჩაკიდებულმა მარინემ და ფიქრიამაც მოირბინეს და ეკლესიას მოეფარნენ, სადაც დედაკაცები მამაკაცებზე უფრო მეტად შფოთავდნენ.

დათუნამ დანისლული თვალები ფიქრიას გააყოლა და ჩუმის ოხვრით ამოიხვნეშა.

არსენამ მარინეს ოდნავ გაჰკრა თვალის ღველფი და ულვაშებში ჩაიღიმა.

ბოლოს ახალგაზრდა ქალებიც გამოჩნდნენ. დედები ჯერ არ უშვებდენ, მაგრამ როცა შვილები ხელიდან გაუსხლტათ, თვითონაც დაიძრნენ და ქალებიც წამოიყვანეს, უწინდელივით შინ ვერ დასტოვებდენ, რადგან სალდათებისა ეშინოდათ, თანაც უკან იხედებოდნენ, ჯარსა და ბატონებს ქოქოლას აყრიდნენ და ათსართულიან წყევლას უგზავნიდნენ.

ზართან უკვე რიგი სდგას და ეს ზარი შეფიცულთა ჯამსა ჰგავს, ძმადნაფიცები კი რძისა და ვერცხლის ნაცვლად მომპალ საბელს ეჭიდებიან და სპილენძის ჟღარუნს რძესავით სვამენ.

მაგდანა ქალებს მიუვარდა და შეუტია:

— თქვენ რა ბოლხისი გაგიწყრათ! რა წითელი კოპები ბრძანდებით! გამოდით და თქვენც დარეკეთ!

— დედი დაჰკა!—შესძახა მელანოს არსენამ.

— აქა ვარ, შვილო! და მის ხელში ზარი გულსაკლავად იფხრიწება.

— ფიქრიავ, შენი მადლიც მოგვიტანე.—ჰპატიჟობს არსენა.

— მეც აქა ვარ, ძმაო.

და მისი ნაკრავი არსენას ნაკრავივით გრიალებს.

— მარინე, შენი ჯერია.

და როცა არსენას ალეწილი საბედო საბელს მისწვდა, მარაბდელმა ჩუმი ხმით დაუმატა:

— შენ კი გენაცვალე მაგ თვალებში, შენა. დაჰკა!

მარინეს უძალო ნაკრავი ქათამივით კაკანებს. არსენა ჰშველის. ზარი ეხლა ისევ გუგუნებს და მარინეს ზარის ჟღარუნში არსენას ჩურჩული ელანდება:

„გოგო, გოგონი!.. გოგო, გოგონი!“

აგერ ასი წლის მახარა ოძელაშვილიც მოფარფატებს და მის გვერდით ათიოდე მისივე მგზავსი თეთრი ლანდი მობარბაცებს.

აჰა ღვთისავარი და ქავთარაც ისე მოდიან, თითქო მორბიანო. მედროშე განიერად მოალაჯებს და ცალი თვალი შორიდანვე შვილზე აქვს მობჯენილი.

— ღვთისავარი მოდის.—იძახიან ჭაბუკები ოდნავის იმედით, რომ ცალთვალა გარღვეულ ბანაკს დღეს მაინც გაამთელებს და მაიორ-ბატონის მიერ მოღერებულ ხანჯალს სოფლის კისერს ააცდენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღვთისავარი მოდის.—ამავე იმედით ამბობენ დინჯად, უფრთხილებლად.

შუბლშეკრული ცალთვალა პირდაპირ ზარს მიადგა და ისე ჩამოჰკრა სამჯერ, რომ ყველას გაუკვირდა, რატომ საბელი არ გაწყდა ან ზარი არ დაიმსხვრაო.

— ჩვენია, ჩვენი!—იგრიალეს ჭაბუკებმა.—ღვთისავარს გაუმარჯოს!

ღვთისავარმა იყუჩა, სანამ ქავთარაც დარეკავდა, და შემდეგ არსენას მიუბრუნდა და ქვის ხმით ჰკითხა:

— გაგიჟდი?!

ირგვლივ ცხრა ძმის სიჩუმე ჩამოწვა.

— გაგიჟდი მეთქი?—უფრო დაუმდაბლა ღვთისავარმა და, პასუხი რომ ვერ მიიღო, მარაბდელებს მიუბრუნდა:—რომელმა ხატმა გაგაგიჟათ, ბოლნისმა თუ თელეთმა?

ყველა სდუმდა.

— ხატმა კი არა,—ამოიღო ხმა არსენამ,—აგერ იმათ გაგვაგიჟეს. —და ხელი ზაალის სასახლისკენ გაიშვირა.

სანამ ზარი ბებრუცანების და მახარას ხელში ჩიფჩიფებდა, ღვთისავარი სდუმდა და ხერხეულიძეთა ერთ საფლავის ქვას დასცქეროდა, სადაც გულხელდაკრეფილი კაცი იარაღი და გუთანი იყო ამოჭრილი. შემდეგ იმავე ქვაზე შესდგა, ხალხს თვალი მოავლო და დაბალი ხმით დაიწყო:

— მარაბდელებო, ყური მიგდეთ და გაიგეთ. ორასი წლის წინად (ასე ანგარიშობს ჩვენი მლვდელი) აგერ იმ მინდვრებზე ჩვენი ბედი გადაწყდა.—და ღვთისავარმა ხელი მარაბდის ველისკენ გაიშვირა.—ჩვენი სარდალი გიორგი მოურავი აგერ იმ მთებზე დაბანაკებულა,—და ხელი კოჯრის ქედისკენ წამოიღო,—დაბანაკებულა და აქ ჩამოსვლა არა სდომებია. ზაფხული ყოფილა და თურმე აქაურ სიცხისა ეშინოდა. წყეული შახაბასი კი ცხელ ბარში მდგარა და ჩვენების ჩამოსვლას ნატრულობდა, ინატრა და კიდევაც შეუსრულდა: ქართველებმა ველარ მოითმინეს, ბარში ჩამოვიდნენ და უწყალოდ დამარცხდნენ, ისე დამარცხდნენ, რომ რაც მას აქეთ მოგვივიდა, თურმე სულ იმ ომის წყალობით მოგვივიდა. აი ეხლაც რომ ზეკუცია გვეწვია, ამის სათავეც იქ მარხია. ამას იმისთვინ გეუბნებით, მარაბდელებო, რომ ფიცხი ხალხი ვართ და მოთმინება არა გვყოფნის. უწინ მარაბდაში თურმე ცხრა-ასი კომლი ცხოვრობდა, ეხლა კი მეათედიც აღარ დარჩა, სულ მტერს შეელია. ფიცხები ვართ მეთქი. თითი რომ დაგვიქნიონ, თოფის წამალივით ვიფეთქებთ, ზედ შევასკდებით და მერე ფათერაკს დავაბრალებთ ხოლმე.

კარპიჩამ ველარ მოითმინა და მიახალა:

— კაცო, ტიტს კი არ გვიკნევენ, კელსა გვჭრიან, კელსა.

— სიტყვამ მოიტანა და გითხარით, თორემ მეც ვიცი, რომ ყელს გამოგვჭრიან.—განაგრძო მედროშემ.—ვინ იცის, იქნება თქვენზე ადრე მე გამომჭრან. მას აქეთ რაც გლეხი გაჩენილა, მუდამ ყელსა სჭრიდნენ და დღემდისაც ვერ გამოსჭრეს.

— აგრეა! მართალია!—დაუბეჭდა რამდენიმე გლეხმა.

— მარაბდლებო, ასეთი სეტყვა ბევრჯელ გვინახავს და მოგვინელებია,

ეხლა კი რა ლაც ეშმაკი შეგვიჯდა და გვაცდუნებს. ჩვენც ბალღებივით ამყოლ ი-ვართ და ლამის დედიან-ბუდიანად ალგეთში გადავცვივდეთ. ბიბლიოთეკა
განა იმისთანა რა მოხდა, რომ ასე აპილპილდით და მზადა ხართ ამოდენა ჯარს თავი შეაკლათ? მუდამ ბატონის სამსახურში ვყოფილვართ და ხელმწიფის ვალიც პირნათლად მოგვიხდია. მართალია, ზოგჯერ გაგვჭირვებია და შფოთიც ჩამოგვიგდია, მაგრამ წაგებაში ისევ ჩვენ დავრჩენილვართ. ნათქვამია, ამყოლს აჭყევ და დამყოლს დაჭყეო.

უცებ სიტყვა შეწყვიტა და გაიფიქრა:

„ის შავწვერა იმერელი დამღუპავს“.

იმერელს ლაცაბიძეს ბატონის ქვაბ-ქაფქირებისთვის თავი დაეღწია, შავი მოზვერივით მოცლაჯებდა და, ეშვ-დამაღული, ზარისკენ მოეშურებოდა. იგი სამჯერ დააზუზუნა და კარპიჩას და არსენას შეუერთდა, ღვთისავარმა კი განაგრძო:

— მარაბდელებო! სამღთო წერილშია ნათქვამი: მიეცი კეისრისა კეისარსა და ღვთისა ღმერთსაო, და ისიც მოგეხსენებათ, რომ ვინც მალე სჭრის, ის დიდ-ხანს ნანობსო. ეხლა რუს ხელმწიფეს ომი აქვს და ბეგარას თხოულობს.

— კაცო, ურემი აგარავის არ შერჩა, ურემი!—დაიძახა კარპიჩამ, რომელ-საც არც ურემი გააჩდა, არც კატა და არც პერანგი.

საქონელიც სულ გაგიწყდა, სულა! —მიაყოლა მეშთამ, რომელსაც კარპი-ჩაზე უფრო ნაკლები ებადა.

— ხვალ რვა გუთანი უნდა შევაბათ. ხარ-კამეჩი კი სამისთვისაც არა გვყოფნის.—ეშვით ჩაილაპარაკა სევასტიმ, რომელიც ზაალის შინაყმა იყო და მას არც ხარს სთხოვდა ვინმე და არც გუთანს.

— აგრეა. მართალია.—დაუდასტურეს სევასტის ხნიერებმაც, ცალთვალამ კი გაიფიქრა „აკი ვამბობ, ეს იმერელი დაგვლუპავს მეთქი. თვითონ ზაალის ხი-ზანია, ერთი ციდა მიწაც არა აქვს, ერთი ლეკვიც არა ჰყავს და“...

და ხმა მაღლა განაგრძო:

— ხელმწიფის ბეგარას ვერავინ ვერ გაექცევა. მშივრებიც რომ დავრჩეთ, ბეგარა მაინც უნდა მოვიხადოთ, ამიტომ სჯობია სამგლე გოჭივით ნუ ავტყდებით თორე...

— ბატონო, ზაალზე მოგვახსენე რამე, ზაალზე.—ისევ გააწყვეტინა სევას-ტიმ და შავი ნიჩბის-ოდენა წვერი ათივე თითით ჩაიფოცხა.

— ზაალზედაც მოგახსენებთ.—მიუგო ღვთისავარმა და მუხლებში სიცივე იგრძნო.—ყმები ვართ და ბატონის ვალიც გვადევს მეთქი.

— რამდენი?—აღარ აცლის კარპიჩა.

— ძალიან ბევრი.—ამბობს მედროშე და ჰგრძნობს, რომ ეს ფონი სწორედ აქ დაახრჩობს.—ძალიან ბევრი. მაგრამ ბატონი მოწყალეა, ზოგს მიიღებს და ზოგსაც დაგვაცლის.

— ბატონო, გაგვაგებინეთ, ზაალს ხომ ჰკითხეთ,—ჩაილაპარაკა ლაცაბი-ძემ,—რა პასუხი მოგახსენათ?—და ფეტალი შახის წვერი ისევ ორივე ხელით ჩაი-ვარცხნა.

ცალთვალას კი მოეჩვენა, თითქო ბნელ ორმოში ვარდებოდა. რადგან ზაალის პასუხი ყველამ ზეპირად იცოდა:

„ვეჟო, პაპა-ჩემის ზაალის სულს გეფიცებით, თუნდ ერთი მარცვალიც რომ დამაკლოთ, მაინც ფეხს არ მოვიცვლი“.

და ისიც ყველამ იცოდა, რომ ბატონი იმ ფეხს მოიტეხავდა და არ კი მოიცვლიდა.

ამას-წინათ ასეთი პასუხის შემდეგ თავი-კაცები შეგროვდნენ, იანგარიშეს და გამოიყვანეს: ყმებს სამ წელიწადს ერთი ლუკმაც რომ არ ჩაედოთ პირში და ცოლშვილიანად გაყიდულიყვნენ, ბარათოვის ვალიდან მაინც ვერ ამოვიდოდნენ.

ღვთისავარი გაჩუმებული იდგა და პასუხს ეძებდა, მაგრამ ვერ იპოვა და გაბზარული ხმით შესძახა:

— მარაბდელებო, არ გაგიჟდეთ, ჭკუა არ წააგოთ, თორემ ამ სოფლის ხსენებაც კი აღარ დარჩება! თავს სინანული სჯობია ბოლო ჟამს დანანებასა. ისეთ დღეს დაგვაყრიან, რომ საფლავშიც კი არ დაგვაეიწყდეს. მიეცით კეისრისა კეისარსა მეთქი, უთქომს ჩვენს მაცხოვარსა და „ვეფხის ტყაოსანშიც“ სწერია:

წესი არის მამათაგან მოჭირვება, ჭირთა თმენა;
არვის ძალუძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“.

ჩვენც ასე მოვიქცეთ და სოფელი გადავარჩინოთ, თორე ლაყბობის დრო აღარ არის. ამ საქმის მოვლაც თავ-კაცებს მივანდოთ და ისევ ჩვენს ქოხებს მივხედოთ. თქმულა: სიწყნარე გმობილი სჯობია სიჩქარეს ქებულსაო. უნდა მოვითმინოთ მეთქი, თორე—კაცი თუ ჭირსა ვერ დასთმობს, ლხინი რა დასათმობია! კარგი იქნებოდა, რომ ეს დღე არ გაგვთენებოდა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, როცა ჯოხი არა გაქვს, ძაღლს ლუკმა მიუგდეო.

— ლუკმა თუ ხალხის ტყავი?—ისევ ჩაურთო ლაცაბიძემ.

— მარაბდელებო,—უკვე უიმედოდ გაიძახის ცალთვალა და ჰგრძნობს, რომ ანდაზებიც ვეღარ უშველის, მაგრამ მაინც ამ ფანდს ეჭიდება:—მარაბდელებო, საკოცნელ ლოყას საფურთხებლად ნუ გავხდით. სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან, და ჩათრევას ჩაყოლა სჯობიაო.

— კაი, შე კაცო,—აღარ ისვენებს სევასტი,—ჯერ ჭირიან ძაღლად გაქცევენ და მერე გინდ ჩაყევი, გინდ ნუ ჩაყევი.

— მარაბდელებო!—სასოწარკვეთით შესძახა უკვე მოტეხილმა ღვთისავარმა.—მარაბდელებო, ხიზანსა და შინაყმას რა ენაღვლება! უხაროა და უსახლო, ჩვენ კი გაგვანიავებენ და საქმეს საბოგანოდ გაგვიხდიან. მამალს უთქომს, მე კი ვიყივლე და თუნდ გათენდეს, თუნდ არაო. მეც ჩემი სათქმელი ვთქვი და გავათავე. ეხლა კი იმან ილაპარაკოს, ვინც დაგვიძახა.

ქვიდან ჩამოვიდა და შიშით და მუდარით სავსე თვალი თავის არსენას მიაბჯინა.

არსენას მამა შეებრალა, მაგრამ სოფლის მომავალი უფრო ებრალებოდა და იმავე ქვაზე შეხტა, თანაც თუშური ქუდი კეფაზე მოიგდო და ხშირი ქოჩორი გადმოუშვა.

ხალხმა მიიწ-მოიწია და ხელახლა დალაგდა. ახალგაზრდობა მარაბდელ ბიჭს მოეხვია, ხნიერები კი ღვთისაფარისკენ გადგნენ.

— ხალხნო და ჯამაათნო!—დაიწყო არსენამ.—მამა-ჩემს ცალთვალა დევი ჰქვიან. ვაქკაცობაში თრიალეთზე და გალმაც ვერავინ ვერ შაედავება.

— აგრეა. მართალია! —გაამხნევა სევასტიმ.

— მარტალია, მარტალი!—შესძახა კარპიჩამაც.

— მაგრამ ჭკუა სხვანაირად უჭრის და სოფელს ქედის მოდრეკას ურჩევს. თვითონ მუდამ ჩვენი მედროშე იყო, ომში დაბერდა და ჩვენ კი ლამის ბატკნებად გადაგვაქციოს. კეისრისა კეისარს მიეცითო. მართალია, წესი არის მამათაგან გაჭირვება, ჭირთა თმენა, მაგრამ ი დალოცვილ რუსთაველს ესეც უთქომს:

„ბოლოს შეჰყარნეს მიწამან ერთად მოყმე და მხცოვანი;
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

მართალია თუ არა, დათუნავ?.

— აგრეა! მართალია!, ვენაცვალეთ ნაგის მთქმელსა. წამოვიდა აქეთ იქიდან.

— ოქრო სიტყვა უთქომს, ოქრო!

— მე კი მამა-ჩემისგან ასე გამიგია: ჩვენს წინაპრებს შახაბასების წინ რომ კისერი მოეხარნათ, ამ ცხრა ძმასაც და ათას ამისთანას რომ სიცოცხლე არ გაეწირნათ, ალარც საქართველო იქნებოდა და ალარც ჩვენ გავჩნდებოდით, ან გავჩნდებოდით, მაგრამ თათრები ვიქნებოდითო. ასე გვასწავლიდა თუ არა ღვთისავარი?.

— მართალია, მართალი!—თითქმის ერთხმად უპასუხა ხალხმა.

— მე ისიც გამიგია, რომ ხერხეულიძეები ჩვენისთანა ტეტია გლეხები ყოფილან, რომ იმათი დედა მარაბდელი ყოფილა და როცა ცხრა შვილი ომში გაუგზავნია, თურმე ასე დაუბარებია: წყეულიმც იყოს ის შვილი, ვისაც ისარი მკერდის მაგივრად ზურგში მოხვდესო. და ცხრასვე ძმას ჭრილობა შიგ გულში მიუღია.

და მოლაპარაკემ მკერდში მიიხალა მუშტი.

— ჰაი დედასა!... ვენაცვალე!.. ვაქკაცებიც, ისინი ყოფილან.... რა დედა ყოფილა!

— იმ ცხრა ძმამ პირნათლად მოიხადა ვალი.—განაგრძო ცალთვალას შვილმა.—მტერს მტრულად დაუხვდნენ და თავი შეაკლეს. ეხლაც ის დრო მოვიდა. მტერი კარზე მოგვადგა და პასუხს თხოულობს. მარაბდელებო!—აუწია ოძელა-შვილმა,—ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ შელონებასა, და ესეც უთქომთ: ბედის მორჩილი მონობაში მოკვდებაო:

— გაგიჟდა?—წამოიძახა ღვთისავარმა.

— გაჩუმდი, ღვთისავარ,—მიაძახა ნასყიდამ და ანუგეშა—გიჟი მოზვერი კაი ხარი დადგებაო.

არსენამ კი უპასუხა:

— მამა-ჩემო, ასწიე ლონესა ჰქვიან, დასწიე კი ულონობასა, და ვაჟკაციც ქუდსა სიცივისთვის კი არ ატარებს, არამედ ნამუსისთვისაო. ეს ქვეყანაც ასე ყოფილა მოწყობილი: ვინც იბრძვის, სიცოცხლის ღირსიც ყოფილა, ვინც არა

და—კაცადაც არ ჩაითვლება. ამბობენ, ბატონ-ყმობა მუდამ ყოფილაო, აბ დათუნაც აქ არის. ნასწავლი კაცია და იცის. ვისაც არა სჯერა, ჰკითხოს და გაიგებს. უწინ ბატონ-ყმობა თურმე სულაც არა ყოფილა. მერე რაო, რომ კიდევაც ყოფილიყო! ჭირიც მუდამ ყოფილა, მაგრამ ვინ გიჟი დაუწვება და შეეჩვევა! აგრეა თუ არა, მარაბდელებო?

გაიცინეს და შესძახეს:

— აგრეა!.. მართალია!... ჰაი, ჰაი, რომ აგრეა!

— ხალხო და ჯამაათნო!—კიდევ აუწია ხმას ოძელაშვილმა.—მეფე და ბატონი ერთად მოგვადგა. წელან ვილაცამ წამოიძახა: ვირი რომ ბატონად დაგიდგეს, „ჰაცე“ არ უნდა შეჰკადროო. ეს ანდაზა მონის ნათქმი იქნება, მე კი „ჰაცესაც“ შევკადრებ და იმდენსაც მივცხებ, რომ სამიც ველარ დათვალოს.

სიცილი რომ შესწყდა, ღვთისავარმა მიაწოდა:

— მიჰყე, მიჰყე სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა.

— აგრეა, მართალია.—უპასუხა შვილმა.—სიმართლის ძებნაში ან მე დამელევა სინათლე, ან უსამართლობას მოსტყდება კისერი. თუ ადამიანი სიმართლის ძებნაში მოკვდება, ისიც ხომ ნათქმია: ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისაო. სიბერე როსტომსაც კი მორევია და მამა-ჩემს რომ მორეოდა, აბა რა საკვირველია. მაგრამ მე მაგის გაზრდილი ვარ და რაც კარგი სიტყვა მოგახსენეთ, ისევ მაგისგან გამიგია. სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო; სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ სიპსა ქვაზედაო; ტირილითა და გლოვითა მტერნი არ შეშინდებისო; უსვინდისოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდებისო. ახლა კი მამა-ჩემს სიბერის ჟამსა საფრთხილო ანდაზები მოუგროვებია და ჭკუას გვასწავლის. ამბობენ, ღვთისავარი ძალიან ჭკვიანი კაციაო, მაგრამ ისიც უთქომთ: ჭკუამ მოსჭამა სოფელი, ვერც ხმალმა ამოღებულმაო. ხემა სთქვა: მე ცული ვერას დამაკლებს, შიგ რომ ჩემი გვარისა არ ეჩაროსო. და მაიორ-ივანიჩებიც ვერას დაგვაკლებდნენ, შიგ რომ ზაალ-დავითები და პაპა-ჩვენები არ ეჩარნენ. მამა-ჩემი გვაშინებს, მოგვერევიანო. მე კი ვიტყვი: ხმალსა არ უშლის სიმოკლე, ფეხი წინ წასდგი, გასწვდება. ჰო და, ერთი პირი და გამბედაობა რომ გვქონოდა, მაიორებს კუდით ქვას ვასროლინებდით და ზაალებსაც მივაყოლებდით.

— შვილი ჩემია, ჭკუა კი თავისი ჰქონია.—წაიბურტყუნა ღვთისავარმა.

— ჰაი, ჰაი, რომ ჩემი მქონია!—მიუგო შვილმა.—კვიცი მამაზე ხტისო, მაგრამ ერთი რაღაც საკუთარი გამოერევაო. მოგახსენეთ, მეფე და ბატონი ერთად მოგვადგა მეთქი. მერე რა ნებავს რუს ხელმწიფესა? თათარს ვეომები და ურემი და პური უნდა მომცეთო. მუდამაც ვაძლევდით. ხუთ წელიწადში მე თითონ ცხრამეტჯერ წავიყვანე ურემი და ორჯელლა დავაბრუნე. დანარჩენი კი იქვე დამეხოცა და იქ დამემტვრა.

— აგრეა! მართალია!—ატყდა ხმაურობა.

— ტყეში ურმის მასალაც კი გამოვლიეთ.

— მარტო მე გამიტყდა ორმოცი ურემი.—ყვირის ხნიერი ბერუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ურემს თქვენი ჭირი წაუღია.—განაგრძო არსენამ.—გზაზე თორნეტი ხარი და რვა კამეჩი დამივარდა და ტყავიც კი ველარ ამოვიტანე.

— საქონელი დაგველია! ალარა გვყავს! ჩვენვე ხომ არ შევებმეთ!—გაიძახიან ჭაბუკები და ხნიერებიც.

— ბავშებს რძე ალარ აქვთ;—წამოიძახა მაგდანანაც.—დედებს შიმშილით თვალ წინ ეხოცებათ.

— ძუძუები დაგვიშრა, ძუძუები!

— მთავრობა და ბატონები კი გვეუბნებიან,—დასძინა ერთმა დედამ,—ბავშებმა ბალახი სძოვონო.

— ქა, სად გაგონილა, რომ ქორფამ ბალახი მოძოვოს!—გულწრფელად გაიკვირვა მეორემ.

— კომლზე ზოგჯერ ორი-სამი კაცი გაჰყავთ,—განაგრძო არსენამ,—მუდამ ბეგარაზე არიან. მათი მიწა მოუხნავ-მოუმკალი რჩება და ცოლ-შვილიც მშიერი იხოცება.

— ჩვენ ოთხი ძმა ვართ,—იძახის საბა დალაქი,—და ორი ეხლაც ბეგარაზეა. ექვსი თვეა ერთმანეთი არ გვინახავს. მე და ჩემი უნცროსი ძმა ათი დღეა დავბრუნდით და ხვალ ზეგ ისევ უნდა გაგვრეკონ?

— არ წავალთ! გვეყო! ალარ გვინდა!

— ჩვენც მაგ დღეში ვართ, ჩვენცა!

— ოჯახი დაგვენგრა!.. დავიღუპენით!—ალარ აცლიან ერთმანეთს მარაბდელები.

— ომი უწინაც გვქონია,—იძახის ქავთარაც,—მაგრამ ასე უღვთოდ გამარჯვებულ თათარსაც კი არ ავუკლივართ.

— მარაბდის ნახევარი ბეგარაზეა გაყვანილი,—გაიძახის ნასყიდა,—და ეხლა მეორე ნახევარსაც თხოულობენ? არ წავალთ! არ გვინდა! არ წავალთ!—გუგუნებს მთელი მარბადაც, გარდა ღვთისავარისა, რომელიც მიწას დასცქერის და იმავე მიწასავით გაჩუმებულა.

— ხალხნო და ჯამანათნო!—ადვილად ჰფარავს არსენა ხალხის ღრიალს.—ურემს რომ ნამეტანს დაუდებენ, ისიც კი ჭრიალს დაიწყებს.

— მერე ქე გატყდება და ავ მეურმეს ქვეშ მოიყოლებს:—აგრძელებს სევასტი.

— მოიკოლებს და კისერზე გადაუვლის.—ამთავრებს კარპიჩა.

— რუსი თათარს ეომება,—აგრძელებს ოძელაშვილი,—ქათამს კი უთქომს: ცხვარი დაკლეს და მე დამაკლეს, ღორი დაკლეს მე დამაკლეს, ძროხა დაკლეს და ისევ მე დამაკლესო. ჰო და, ქათმის ჩივილიც სწორედ გლეხზეა ნათქომი. ყვავი კაჭკაჭსა სტაცებდა, კაჭკაჭი კრუხსა, საწყალი წაწილა კი ყველას მაგიერ ზღვავდაო. მაგრამ ჩვენებურ წიწილას ვეფხის კბილები აქვს და თუ გამწარდა და გამოაჩინა.....

— აგრეა! გამოვაჩენთ!—შეაწყვეტინეს ჭაბუკებმა.

— რუს ხელმწიფეს თათრის სისხლი მოჰშივა,—ამბობს არსენა,—და უნდა ჩვენ გვაზღვევიოს; ბატონს ქალაქში ტლინკაობა მოუნდება და ჩვენ მოგვადგება; უთვალავ ჩინოვნიკს მოჰშივა და ისევ გლეხნა უნდა გააძღოს. გლეხის ავლა-

დიდებას კი, ნათქომია, კურდღელიც კი აიკიდებსო. მარაბდელებმა, ბაბა-ფელიწადია მოსავალი არა გვქონია, მაგრამ ბატონიც ეხლა მოგვადგა და ხელმწიფეცა. დეე ჩვენი ორმოები გასინჯონ, ბეღლებშიც ჩაიხედონ და რაც იპოვონ, ყველაფერი წაიღონ, ოღონდ ჩვენ კი თავი დაგვანებონ. როცა ბალახი ამოვა, ხალხი მინდორში ცხვარივით უნდა გავიდეს, ამათ კი ჯარი ჩაგვისახლეს, ამასაც აჭამეთ და ჩვენც ჩვენი მოგვეცითო.

— პუგაჩოვი უნდატ მეტკი, პუგაჩოვი!

— რუსები ახირებულან, ჯარისთვინ ხორბალი ექვს აბაზად უნდა გვაძლიოთო, — ჩაურთო ჭონმა პაპუნამაც, — ბაზარზე კი ჩვენ თვითონვე ხუთ მანეთად ვყიდულობთ და მთავრობას ექვს აბაზად ვაძლევთ.

— ყაჩაღები ყოფილხართ, შენი წირი მე, ყაჩაღები! — ძამოიძახა ოსმა მეშთამაც, და ეკლესიას ხალხის მხიარული ხარხარი მიასკდა.

— ხალხო, გაიცინეთ, — შესძახა არსენამ, — გაიცინეთ, მაგრამ ესეც იცოდეთ: სიცილს ისეთი ტირილი მოჰყვება, რომ ჩვენი ცრემლით ალგეთის ხევიც კი გაივსება. ჩინოვნიკები წონაში გვატყუებენ, მოტანილ ურემს თითო კვირას აცდეინებენ, ქრთამსაც გვართმევენ და თანაც დაგვცინიან. აკრეფილ ხარჯს თვითონვე იპარავენ და ხელმეორედ და მესამეჯერაც გვახდეინებენ. მამა-ჩემი კი გამომდგმრა და გვეუბნება, კიდევ მოითმინეთო.

— აგარ შეგვიზლიან, არა! — გაჰკივის ხაბაზი კარპიჩა.

— არ გინდა, არა! — იძახის მეშთაც.

— ეხლა ბატონის ღალა და კულუხი გასინჯეთ. — მიერეკება ოძელაშვილი. — ჩვენ ნამდვილი საქონელი ვართ და ზაალის ძალლების ბედიც კი გვენატრება. ჩვენი სიცოცხლე ღვთის წყრომაა და სიკვდილიც კი ღვთის რისხვაა: საფლავის ალაგში ერთი ხარი უნდა გადავიხადოთ და ბატონიც უნდა ქელეხით გავაძღოთ.

— ოღონდ თვითონ გასწყდნენ და ქელეხი ჩვენს კისერზე იყოს. — ჩაიბურტყუნა მეველემ.

— ეს კიდევ არაფერია. — ჩქარობს ოძელაშვილი. — თუ ბატონის ნება არ არის, ვერც ცოლს მოიყვან და ვერც ქალს გაათხოვებ.

დათუნა გაწითლდა, ქალებმა კი მარინეს და ფიქრიას გადახედეს.

— ყმა რომ ცამდე მართალიც იყოს, ბატონს ვერ უჩივლებს, ნება არა აქვს. ღმერთი ხმას არ იღებს, მეფესთან კი ჯერ ერთი გლეხიც არ მისულა.

— პუგაჩოვი მიდიოდა, — წამოიძახა კარპიჩამ, — მაგრამ ვერც ის მიეიდა.

— დრო მოვა და მიეალთ, მივწვდებით. — ისე ჩაილაპარაკა სევასტიმ, რომ მის მიერ მიწვდენილს ხეირი არ დაეყრებოდა.

— მარტო ჰაერი-ღა ვერ დაბეგრეს, თორემ სხვა ყველაფერი დაბეგრილია. — და ოძელაშვილი თითებზე ითვლის: — პურიც და ღვინოც, ქათამიც და მაჟალოც, ერბოც და კუნელიც, რძეც და თევზიც, მარილიც და კვერცხიც. ხელში ლუკმა ვერ აგვიღია, რომ ათი ხელი არ მოგვწდეს: მეფისა და ბატონისა, ბერისა და მოურავისა, ნაცვლისა და გზირისა, ჩაფრისა და ტარტაროზისა. აბა ვის ახსოვს, კიდევ რამდენი ჭირი გვაწვება: ღალა და კულუხიო, გასამყრელო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ძღვენიო, საქვრივო და საჩექმეო, საქორწილო და სამარხიო, ბერიხანავიო, სანადიროო, ჯანდაბა და დოზანაო.

და არსენას ნაცვლად ჯანდაბა-დოზანას სიას სხვები ამთავრებენ:

— საღორე დაგავიწყდა!

— საფუთკრეც მიუმატე!

— ნახირის თავიც ჩასთვალე!

— ეხლა დახვნა, დათესვა, გალეწვა და მოზიდვაო.

— სააღდგომო და საახალწლო?

— სამაყრო და საავაჭრო?

— ჭირი და შავი ქვა!

— ნაცარი ცხელი და პირში გველი!

— საახალწლოდ შაშხი, ხმელი ხილი, ჩურჩხელა და გოზინაყი მიართვი!

— სააღდგომოდ ინდოური, გოჭი და კვერცები მიუტა!

— ფერისცვლობას, მარიამობას და ყველა უქმე დღესაც მიუძღვენი, მიულოცე, ჩაახეთქე!

— ალარ გვინდა! ალარა გვაქვს! ალარ მივცემთ!

— მარაბდელებო,—კიდევ აუწია ოძელაშვილმა.—უწინ როზგი მაინც არ ყოფილა, ეხლა კი ვაჟკაცს ქუდი მოხადეს, საქვეყნოდ სცემენ, სამუდამოდ ასალდათებენ და ციმბირში ალპობენ. დედაკაცსაც კი ალარ ინდობენ, საქვეყნოდ ატიტვლებენ და როზგს ურტყამენ.

ხალხი შეძრწუნდა, შეჩოჩქოლდა, არსენამ კი დაიძახა:

— სირცხვილი ჩვენ და ჩვენს ვაჟკაცებს!

— სირცხვილი!—ისე შესძახეს მარაბდელებმა, რომ მათი ნაკივილი ზაალის სუფრასაც კი მისწვდა. არსენამ კი ახალი ცეცხლი წაიკიდა და წაუკიდა:

— ჩვენს თავს ერთმანეთს მიმინოსავით აჩუქებენ, ნივთსავით მზითევში ატანენ, ცხენსავით გვყიდიან, გვაგირავებენ, ძაღლებში გვცვლიან და ამ ძაღლებზედაც უარესად გვინახავენ.

— ვაი ჩვენ, უბედურებს!

— ვაი ჩვენი ბრალი!

— ესეც არ იკმარეს.—ისვრის არსენა კლდე-სიტყვებს.—მოვიდნენ და კისერზე დაგვასხდნენ, შიგ ჩაგვისახლდნენ. ბალღებს შიმშილით დაგვიხოცავენ, დედაკაცებს ლეჩაქს ახდიან და ჩვენც გაგვჯოხავენ. მაშ რაღა ოხრად მინდა ეს ტიელი ქუდი!—და თუშური ქუდი მიწაზე დაანარცხა.—რა ჯანდაბად მინდა ეს ულვაშიც!—და თაფლისფერი ულვაშიც აიწია.—რა სატიალოდ მინდა ეს ოხერი მარჯვენაც და ეს უბედური თავიც,—და თავში ხელი აიკრა,—თუ კაცი კაცად ალარ ვივარგებ და ტოლ-ამხანაგს თვალს თვალში ველარ გავუსწორებ!

კარპიჩაც იმავე ქვაზე ახტა და შესძახა:

— დაჰკა! დალეცე! დასცვი!

— მარაბდელებო,—დაჰფარა ხაბაზის კივილი არსენამ.—მამაჩემი მართალს ამბობს: ამოდენა ჯარს ვერას დავაკლებთო, მაგრამ სხვა ღონეც მოგვეპოვება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა დიდია და ულრანი ტყეც ბევრია. გაიპარენით, დაიფანტენით, დაიკარგენით!

— წავიდეთ! გავიფანტნეთ! გავიპარნეთ! — იხუულა დიდ-პატარამ და ისე აირია, თითქოს უკვე აყრილიყვნენ და უგზო-უკლოდ იკარგებოდნენო.

* * *

— მოდიან! — დაიძახა ამ დროს ვიღაცამ.

— მოდიან! — შესძახეს სხვებმაც და თვალები ააცეცეს.

დრაგუნები და კუჭატნელის რაზმი ორ მწკრივად გაყოფილიყო და ცხენებს ჭენებით მოაქანებდენ. ხალხი აირია, შეჩოჩქოლდა და აყაყანდა.

— შესდექით! — დასჭყივლა არსენამ. — ფეხიც არ დასძრაოთ!

ფეხის დაძვრა გვიანღა იყო. ორი ლარივით წამოსულმა ცხენოსნებმა ეკლესიას ორივე მხრიდან მოუარეს, მერე რკალი შეჭრეს და ცხენები შეაყენეს. იმავე დროს სოფლიდან ქვეითი ჯარიც გამოვარდა, სირბილით წამოვიდა და ხუთ წუთში მეორე რკალიც შეიკრა.

— არ გატყდეთ!.. ყოჩაღად!.. მედგრად! — დარბის მომწყვდეულთა შორის არსენას, კარპიჩას, როსტომისა და სევასტის ბრძანება და ყველაფერი უმალვე იყენება: ჰაერიც, ჯარიც, ცხენიც და ხალხიც.

სოფლიდან კიდევ ერთი ჯგუფი გამოდის, ცხენები ნაბიჯით მოჰყავთ. წინ მაიორის თაფლა იგრიხება. უკან ზაალი, მელიტონი, დავითი, სუმბათაშვილი, ელიზბარი, მხლებლები და აზნაურები მოსდევენ.

— ჩვენ იქ რაღა გვინდა? — იკითხეს წელან კნეინებმა და სტუმრებმა, როცა არლოვმა ყველანი ეკლესიაზე დაჰპატიჟა.

— დაწყნარდით, თქვენო ბრწყინვალებავ. — დაამშვიდა მაიორმა. — ოდნავ დავაფრთხობ, მეტს არაფერს არ შევკადრებ. — ლომოვს კი ჩასჩურჩულა: — ამათაც დაინახონ რუსის ძალა. მაგათაც არგებს და ჩვენც გამოგვადგება.

დანარჩენი სტუმრები — ორბელიანები, კნეინები, ბერი, შალვა და აზნაურები — ფეხით წამოსულიყვნენ.

მაიორმა თაფლას დეზი ჰკრა და ჩოჩორთით წამოიყვანა. სხვებიც მოჰყვნენ და ეკლესიას მოადგნენ.

არლოვმა ხალხი შეათვალიერა და გაიღიმა. „დიდებულია, საუცხოვოა! ყველანი ერთად მოგროვილან: ეს ცალთვალა მგელიც და მისი ლეკვიც, მეჯინიბეც და ჩუმი მზარეულიც, ყბედი კოჭლი რუსიც და მღვდლის შვილიც. იმ ორმა მოახლემ კი თავის გმირებს უყუროს და დასტკბეს“.

და როცა ფეხით წამოსულები შორიახლოს შესდგნენ, მაიორმა ნიშანი გასცა და ცხენი საფლავის ქვებთან მიაყენა. სალდათებმა და მილიციელებმა ხიშტები მოიმარჯვეს, ცხენოსნებმა ხმლები იშიშვლეს, ერთად დაიძრნენ და რკალი შეკუმშეს.

ხალხი ეკლესიის კედლებს მიასკდა, ზოგმა კი ფეხიც არ მოიცვალა. ღვთისავარი, არსენა, ერეკლე, ზურა, მეშთა და სევასტი, ლაშქარა და კარპიჩა, ქავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარა და როსტომი—სადაც იდგნენ, იქვე დარჩნენ და ხიშტებსა და ხანჯლების ტალღებს გადაეღობნენ.

ფიქრიამ დათუნა გამოათრია, არსენას მოუყენა და თვითონაც იქვე დაერჭო.

მაგდანაც გამოვარდა და ქავთარას და სევასტის შუა ჩადგა.

დავითმა ცხენი არსენაზე მიაგდო და—

— არსენ, გზა მომეცი!—უბრძანა.

ოძელაშვილმა ახედა და ბოლმით ჰკითხა:

— რა გინდათ ჩვენგან, პატარა ბატონო?

— შენც იცი რაც გვინდა. გზა მეთქი!—და მათრახი აღმართა.

არსენამ თვალი თვალში გაუყარა და გააფრთხილა:

— დავით, თავი დამანებე, თორემ დედა-ჩემის ძუძუ გიწოვია და...

— შენი დედაც და იმის ძუძუც!

და მათრახი ბეჭებზე გადაუჭირა.

მარაბდელი ოდნავ შეირხა, მაგრამ არც დაიძრა, არც ხმა დასძრა და არც თვალი მოაშორა ძუძუმძეს, რომელმაც ეს-არის ეხლა დედის რძე მეუბილწა.

არსენას პირველად დაჭკრეს და შშობლის სახელიც პირველად შეუგინეს. მათრახის ნაკრავი მწვავე იყო, მაგრამ სხვა რაღაც ათჯერ უფრო მეტად ემწვავა, და ამ რაღაცამ, უძალო ბოლმამ, მის თვალებში გამოჟონა.

დავითმა ერთხელ კიდევ აღმართა მათრახი, ერთხელ კიდევ გადმოაგდო „შენი“, მაგრამ ოძელაშვილის თვალებს თუ სხვა რაღაცას ვეღარ გაუძლო, მკლავი დადუნებულივით დაუშვა და ყარაბაღული ცხენი, რომელიც დღეს არსენამ მოაგებინა, მაიორისკენ გააბრუნა.

მაიორმა დავითის ერთგულება დაინახა და ახალგაზრდა ბარათაშვილს ამაზე მეტიც არა უნდოდა რა.

არლოვი უკვე ბრძანებლობდა.

ოციოდე სალდათი და მილიციელი კუჭატნელის, გამზათ ლეკის, მოურავის, გიგოლასი და ივანიჩას თაოსნობით ხალხში შეერია, ათიოდე თავი-კაცი გამოარჩია და წინ გამოაყენა, სადაც არსენა და ჭაბუკები იდგნენ. შემდეგ ეს ჯგუფიც ორად გაჭყვეს, გააცალკევეს და ორივეს ხიშტების ხშირი ნესერი შემოარტყეს.

არსენა მეორე ჯგუფში მოექცა, რომელიც ათიოდე ნაბიჯით განზე გააყენეს.

— იმ ჯგუფს ხვალისთვის შევინახავ.—უთხრა რუსულად მაიორმა დავითს.—თუ არ შეგვისრულეს, ხვალვე საჯაროდ გავჯოხავ, და თუ შეგვისრულეს, მაინც გავჯოხავ.

ორივემ გაიღიმა.

ცხრა ძმის ცხრა საფლავზე ცხრა კაცი მოიმწყვდიეს. უკანა რიგიდან სალდათების ერთი გუნდიც გამოვიდა და ცხრა კაცს ეძგერა:

— გაიხადეთ! ჩაიხადეთ!—და ტანისამოსის გლეჯა დაუწყეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს წელან არაფერი არ ესმოდა, ეხლა კი ყველა ჰაერში მამაკაცების ყვირილი და დედაკაცების ჟივილ-წივილი ავარდა.

შემდეგ ეს ჟივილი წელამდე გაშიშვლებულთა და ხერხეულიძის ქვებზე დაყრილთა გმინვამ და ბღავილმა შთანქა.

ბალღებმა წივილით მოჰკურცხლეს, თითქო ქაჯები დაედევნენო.

საძოვარზე გასულ საქონელს თითქო მგელი მოეჩვენაო: ჯერ ყურები სცქვიტეს, მერე კუდები გაფშიკეს და ალგეთის ჭალებისკენ ბღავილით დაეშვნენ.

სოფელში ძაღლებმა ყეფა და ყმუილი ასტეხეს.

— მხეცებო! პირუტყვებო!—დაიძახა კნეინა მაიკომ და თავის ქმარს შალვას მივარდა.—წამიყვანე აქედან!

— გრიგოლ! მელიტონ!—მივარდა თავის ქმარსა და ძმას ეფემიაც.—აქ სად მოგვიყვანეს!

მელიტონმა გაშეშებული ნიკო მოატრიალა და უბრძანა:

— ჩქარა წადი, ჩქარა!—თვითონ-კი მაიორს ამოუდგა გვერდით, რადგან რუსის მოხელე იყო და თავის იქ ყოფნა საეალდებულოდ მიაჩნდა.

ბერის ანაფორა უკვე სოფელში მიჰქრის და ზაალის ზოგი სტუმრები ძრწოლით და კრუნჩვით იფანტებიან.

ჰაერში მრავალი სახრე ზუზუნებს.

კარპიჩა ლეკვივით წკმუტუნებს.

დათუნა ხრიალებს.

ლაცაბიძე ჰგმინავს.

არსენა ჯერ ხიშტების ლობეს აწყდებოდა და მეგობრებს ეაჯებოდა, რომელნიც ტობრებივით ჩამოეკიდნენ და არ უშვებდნენ:

— ძმებო, გამიშვით! ძმებო, მიმიშვით!

და რადგან კედელი ვერ გაარღვია, რადგან მამას და მეგობრებს ვერ მიეშველა, პირქვე დაემხო მიწაზე და ბალღივით ატირდა, თან ხმელ ბალახს ფესვიანად ჰგლეჯდა, სინწარით სახეს იხოკავდა და დაჭრილ მოზვერივით ჰბღაობდა:

— ვაი მეე!.. ვაი მეე!..

ლაშქარა ბალღივით ჰკვნესის.

მეშთა ჯერ კიდევ ჰკივის.

ბერუა, პაპუნა და ნასყიდა უკვე დადუმებულან.

და მხოლოდ ცალთვალას ვერ ამოაღებინეს კრინტი: რათა არ შერცხვენილიყო და არ დაეყვირა, პირში მოკლე სახრე ჩაედო და ნახევარი უკვე დაეღრღნა.

იქვე გვერდით ერეკლე უწევს და მამა შვილს დროგამოშვებით უძახის:

— შვილო, თავი არ მომჭრა!.. არ დაიყვირო!

წკეპლის ცხრა კონა კი ცხრა საფლავზე ისევ ბზუის, ხერხეულიძეთა ქვებს წითლად ჰლებავს და ცხრა კაცის სისხლი იმავე შავს მიწას უბრუნდება, საიდანაც წამოსულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანა ეკლესიის კედელს გაჭკვრია და ისედაც შავი ქვრივი იმ კედელი-ვით გაშავებულა.

ქერივის გვერდით იმავე კედელს უსისხლო ფიქრია და მელანო მიჰყუდე-ბიან და მთრთოლვარე ტუჩები და ცრემლით სავსე თვალები ისე აღუპყრიათ, თითქო შიშველი მამის, ქმრისა და ადამიანთა ნახელავისა სცხვენოდესთ.

მარინე სუსტი ქალია: მელანოს ფეხებთან ჩამჯდარა, ყურებში თითები დაუცვია და ციებიანივით ცახცახებს.

მარტო მაიორი მოსჩანს ფერუცვლელი.

შალვას, ბერს და კოდელ ორბელიახებს იქ ყოფნისა შერცხვათ და უმალვე გაიფინტნენ, ხოლო ზაალს, მელიტონს, დავითსა და სუმბათაშვილს არაფრისა არ შერცხვათ და ბოლომდე დარჩნენ.

ორბელიანები და კნეინები რომ გაიქცნენ, მაიორმა გაიცინა და მელი-ტონს ხმამაღლა შენიშნა:

— ზოგ მამაკაცს რუსული მუნდირის მაგივრად კაბა რომ ჩაეცვა, ძალიან მოუხდებოდა.—და ზიზღით დაასრულა:—სირცხვილია!

ლომოვმაც იგრძნო სირცხვილი და ამიტომ მიიბრუნა გაფითრებული სახე. მას წელანაც გაეხარდა იმის გამო, რომ მარაბდაში სისხლიან საქმეთა დიდი ოსტატი მაიორი არლოვი დაუხვდა და ეს უკმური მას თავიდან ააცილა.

ბლავილ-კივილი შენელდა. სახრე აღარ ზუზუნებს.

საქმნელი დაასრულეს, მიდიან და თხუთმეტი მძევალი, თხუტმეტი სახვა-ლიო ზვარაკიც თან მიჰყავთ.

ცხრა საფლავიდან რვა უგონო კაცი ასწიეს. მეცხრემ კი, ცალთვალამ, თითონვე წამოიწია, ისევ დაეცა, შეფართხალდა, მაგრამ მაინც წამოდგა და მაღალი ხმით დაიხრიალა:

— ხალხო, ახია ჩემზე, ახი!

და ნათელი ბაღარა შუბლი ისევ შავ მიწაში წაჰყო.

ს. თალაქვაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალი აზვირთება

რ ო მ ა ნ ი

1

დამარცხებული რევოლიუციის ფონზე მეფის გამოჩენილ მინისტრის—სტოლიპინის მძაფრი, რეაქციონური რეჟიმი ისევ მძვინვარებს...

საქართველოდან გადასახლებული ცოლქმარი, ტფილისის საპყრობილეს პოლიტიკური პატიმარნი,—პართენი და სოფო არც სამარაში ამყოფეს დიდხანს.

ერთი წელი, თუ ცოტა მეტი, დაჰყვეს მათ იქ.

მონარქიული მთავრობის სათანადო ორგანოებს—ჟანდარმერიას და პოლიციას არ გამოეპარათ პართენის განახლებული რევოლიუციონური მუშაობა.

და პართენს ოჯახობით გადაუნაცვლეს საცხოვრებელი ადგილი გაფრთხილების ნიშნად.

პართენი და სოფო სცხოვრობენ ახლა ქალაქ სარატოვში.

სარატოვიც ისევე გემებ-ჩაშავებულ უდიდეს მდინარის—ვოლგის ნაპირებზეა გაშენებული, როგორც ქალაქი სამარა.

სარატოვში პართენს და სოფოს დაუხვდათ ქართველი გადმოსახლებულნი—ბენო საკუთარი სურვილით წამოყოლილ ცოლით—ვისისით, ეს აგრეთვე სპირიდონი.

სპირიდონი სოფოს ძმა გლეხი არის გურიიდან.

სპირიდონის სარატოვში ყოფნა პართენმა და სოფომ იცოდენ ადრეე. ჰქონდათ მათ მისამართი; მიწერ-მოწერაც მასთან.

ეს კავშირი დაპატიმრება-აცილებულ სოფოს უმცროს ძმის—გოგის საშუალებით გაებათ ერთმანეთთან. ხოლო ბენოს და ვისისის კი ერთხელ, საღამოთი, სპირიდონთან ერთად გასეირნების დროს შემთხვევით შეხვედროდენ ქუჩაში.

შორეულ რუსეთში, უცხო ქალაქში, ნათესავ-ამხანაგებისა და მშობლიური ქვეყნის შვილების ერთად შეხვედრა მეტად სასიამოვნო შეიქნა. თუმცა ამხანაგები და მეგობრები ადგილობრივად, რუსთა შორისაც ჩქარა გაიჩინეს მათ.

გადმოსახლებულებს შეხვდენ ისინი ამიერ-კავკასიის სხვა ერებიდანაც—ბაქო-ტფილისისა და ერევნის ციხეებიდან „ეტაპი"-თ გადაგზავნილ სომხებს და თათრებს.

სარატოვის პოლიტიკურ გადმოსახლებულთა შორის მოხვედრილიყვნენ აგრეთვე ცენტრალურ დიდ სამრეწველო ქალაქებიდანაც პეტერბურგისა, მოს-

კოვისა და ვარშავა-კიევიდან... და თვით ადგილზე—სარატოვში—შემონახულიყო პარტიულ ორგანიზაციის ჩონჩხი; ვერ აელაგმათ [illegible] ეგენტებს იგი სულ მთლად.

სწარმოებდა ფარული პარტიულ-რევოლიუციონური მუშაობა ღრმა იატაკქვეშ ჩამძვრალ ამხანაგებისა.

ახალისებდენ ორგანიზაციას.

შველოდენ გადმოსახლებულებს ნივთიერად; აბამდენ მათ საქირაო შრომაში.

უერთებდენ შემომატებულ ძალებს თავიანთ რიგებს.

ასე, ბევრი პოლიტიკური გადმოსახლებული დაუახლოვდა ადგილობრივ პარტორგანიზაციას. ბევრმა დაუქვემდებარა მას თავი. კვლავ შეუდგენ რევოლიუციონურ მუშაობას!

განაახლა ისევ სამარაში შეწყვეტილი რევოლიუციონური საქმიანობა პარიენმაც.

ეს მუშაობა-საქმიანობა გამოიხატება ახლა არალეგალურ „ვიწრო“ პარტიულ და ლეგალურ „ფართე“ კულტურულ-განმანათლებელ კლასობრივ შემოქმედებაში...

ბრძოლა ამ ფრონტით ლეგალობის მოსაპოებლად, ყოველივე ლეგალური შესაძლებლობის გამოყენებისათვის.

მაგრამ ამ ნიადაგზე, ლეგალობისა და არალეგალურობის ამ მიჯნაზე იბადება სწორედ ახალი მიმდინარეობა პარტიაში, კიდევ ახალი მიმდინარეობა ბოლშევიზმ-მენშევიზმის გვერდით...

ხელმძღვანელობის ერთი ნაწილი სცნობს კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ლეგალურ ფორმების შესაძლებლობას, მისი გამოყენების სიჭიროებას. მაგრამ მეფის რეაქციონული წყობილების პირობებში მებრძოლ მუშათა პარტიის ქვაკუთხედათ, პროლეტარიატის კლასიური სიწმინდის შემონახვისა და მტრებთან შეურიგებელ პოლიტიკურ დამოუკიდებლობის შერჩენისათვის მას მიაჩნია პარტიულ ორგანიზაციის არალეგალური აპარატი; მის დაშლას თუ შეცვლას რომელიმე ლეგალური პროლეტარული ორგანიზაციით შეუძლებლად და დაუშვებლად სთვლის იგი. ხოლო მეორე ნაწილი დაშლილად, გაუქმებულად აცხადებს ორგანიზაციის არალეგალურ აპარატს, არ სცნობს მას. მიზანშეწონილად სთვლის იგი მოუწოდოს ამხანაგებს პარტიაში ლეგალობის ლიანდაგზე გადმოიტანონ თავიანთი საქმიანობა, მას შეუთანხმდენ; დაკმაყოფილდენ მარტოდ და მხოლოდ კულტურულ-განმანათლებელი კლასობრივი მუშაობით; შეეცადონ ამ გზით სტოლიპინის რეჟიმთან შეგუებას, მისთვის მისაღებ სიტყვისა და საქმის პოვნას... იმედოვნებს ხელმძღვანელობის ეს ნაწილი პროლეტარულ ორგანიზაციის ამ სახით ლეგალობას; დასაშვებად მიაჩნია მას დავიწყებას მისცეს პარტიული მუშაობის ძველი, იატაკქვეშური მეთოდი.

პირველი მიმდინარეობის ირგვლივ თავს იყრიან ბოლშევიკები, რომელთაც ემხრობიან პატარა ნაწილი მენშევიკებიდან.

დიდი ნაწილი მენშევიკებისა მეორე მიმდინარეობას ადგია.

აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი პოლიტიკური ფაქტი:

რევოლიუციის დამარცხების ფონზე, პირველ წლებში, ბოლშევიკური ფრაქციის ხელმძღვანელთა შორის საგრძნობი მსხვილი ელემენტების სახით გაჩნდა მიმართულებები: ოტზოვისტები, ულტიმატისტები და „ღვთის მაძიებელი“ პერიოდონცები, რომლებიც ბრძოლის ახალ პირობებს არ სცნობდენ, უკან დახევას და ძალთა გადაჯგუფებას უარყოფდენ; უცვლელი ტაქტიკით თხოულობდენ წინსვლას; უკიდურეს მემარცხენეობას იჩემებდენ; სახელმწიფო სათათბიროში და სხვა მის მაგვარ პოლიტიკურ და კულტურულ ლეგალურ დაწესებულებებში მონაწილეობა მიუღებლად მიეჩნიათ.

ბოლშევიკური ფრაქციის ეს ნაწილი შესდგებოდა მთლიანად ინტელიგენტურ ძალებიდან და უპირისპირდებოდა ლენინს.

მაგრამ ამათ მებრძოლ ბოლშევიკურ მასებში და თვით პარტიაშიაც საგრძნობი გამოძახილი არ უპოვიათ. შეიძლება ითქვას, რომ ეს მიმართულებები არ გასცილებია მიმართულებათა ავტორებს; მათ არ მიუღიათ ნასიური მიმდინარეობის სახელი.

ბოლშევიკური ფრაქციის კადრები და მასსა მთლად ლენინთან დარჩენ, ლენინის პოლიტიკურ ხაზს გაჰყვენ...

პართენი, სოფო და სპირიდონიც პირველ მიმდინარეობას,—ლეგალობისა და არალეგალურობის შეთავსებას იზიარებენ. ბენო ყოყმანობს; გადაჭრით ვერც ერთს ვერ მიმხრობია. ვისისიმ კი მეორე მიმდინარეობისაკენ, მხოლოდ ლეგალობისაკენ მიიბრუნა უკვე პირი.

მაგრამ სარატოვის ორგანიზაციაში ეს სხვადასხვა შეხედულებათა და პოლიტიკური ხაზის მქონე ამხანაგები ჯერ წაუკიდებლად, „უჩხუბრად“ თავსდებიან. ერთნაირად იფარავს თავის კალთებს ქვეშ ყველა წევრს პარტიის რიგებიდან იგი.

სარატოვის რევოლიუციონურ წრეებში ჯერ არ შემოსულა ტერმინები: „ლიკვიდატორები“ და „პარტიიცები“, რომელსაც დიდ სამრეწველო ქალაქებში—პეტერბურგში, მოსკოვში, ვარშავაში და კიევში ხმარობენ...

და ამ ნიადაგზე ხსენებულ ქალაქებში ხომ უკვე დაუპირისპირდენ ერთმანეთს პარტიიცები და ლიკვიდატორები; წარმოიშვა ორი ცენტრალური ბეჭდვითი ორგანო—„ზვეზდა“ და „ლუჩი“...

2

ადგილობრივი ორგანიზაციის ხელის შეწყობით პართენმა, ბენომ, სპირიდონმა და ბევრმა სხვა გადმოსახლებულებმაც იშოვეს საქმე; ჩაებენ საქირაო მუშაობაში; უზრუნველჰყვეს მინიმალურად ცხოვრების ნივთიერი მხარე.

პართენს და სოფოს ხომ ახლა ორი შვილი ჰყავთ,—სამი წლის ლეო და წლინახევრის კარლი; ოთხ სულს შეადგენენ სულ ახლა ისინი ოჯახში.

სპირიდონიც ცოლიანი გაჰხდა. ოჯახს მოეკიდა.

შეეჩვია სოფლელი გლეხი—სპირიდონი რუსულ ლაპარაკს. აღარ უჭირს მას რუსულად აზრის გამოთქმა ახლა... და ცოლიც ხომ რუსი ჰყავს, რუსულად უხდება მასთან მასლაათი.

ბენო და ვისისი შვილების პატრონი ვერ გახდენ, მაგრამ ოჯახი და ოჯახის მძიმე ტვირთი მათაც აწევთ. მით უმეტეს როცა ახლა ვისისი სულ ავადმყოფობს ნერვიულობის ნიადაგზე.

ჩივის ვისისი ჩრდილო რუსეთის ჰავაზე; ვერ ეწყობა მას, საშინლად მიზეზიანობს...

პართენი თავის ძველ ხელობას დაუბრუნდა,—ზეინკლობს; თუჯის ჩამომსხმელ ქარხანაში კვალიფიციურ, ხელმძღვანელ მუშად არის. ბენო, ქალაქის თვითმართველობაში სტატისტიკურ განყოფილებას თანამშრომლობს. სპირიდონი კი საპნის მხარშავ ქარხანაში უბრალო მუშაა.

სპირიდონის ცოლი—ტანიაც სპირიდონთან ერთად მუშაობს საპნის ქარხანაში. იგი სპირიდონზე ძველი მუშაა აქ. საპნის მოხარშვა-მომზადებაში გამოცდილი, დახელოვნებული მუშა ქალი იყო ტანია მაშინ, როცა სპირიდონი მიიღეს ქარხანაში; იცოდა ტანიამ ქარხნის ყველა ის საქმეები, რაც ახლად მიღებულ სპირიდონისათვის საიდუმლოებას შეადგენდა. მაგრამ ტანიამ აუხსნა, გაუადვილა, შეაჩვია ქარხნის ამ უჩვეულო საქმეებს იგი.

ეს გარემოება შეიქნა, სხვათა შორის, ის მიზეზიც, რომ ტანია და სპირიდონი ერთმანეთს დაუახლოვდენ, და შემდეგ ეს დაახლოვება მათ ცოლქმრობად შეეცვალათ,—ოჯახი შეექმნათ.

ტანია სოფლიდან გადმოხვეწილი, ღარიბი გლეხის ქალი იყო,—უსწავლელი, პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებელი.

წარსულ რევოლიუციის დღეებში ტანიას შეგნებულ მონაწილეობის მიღება ვერ მოუხდა, არ იყო ამ დროს მასში რევოლიუციონერის ინტერესი გაღვიძებული; მოკლებული იყო რევოლიუციონურ წვას. თუმცა კრება-მიტინგებს ესწრებოდა კი. აგიტატორების მგზნებარე ცეცხლის სიტყვები მოუსმენია...

არ იცოდა ტანიამ—იყო აუცილებელი მუშათა განთავისუფლების საქმეში მისი, როგორც მუშის, ჩარევა და წვლილის შეტანა? თვითონ ეს აგიტატორ-რევოლიუციონერები არ გააკეთებდენ მის საქმეს? არ იკმარებდენ მარტო ისინი?.

არ იცოდა ტანიამ ეს მაშინ.

მაგრამ ახლა ეს ცოდნა რამდენიმედ მისცეს მას ქარხანაში ჩაბმულმა მოწინავე მუშებმა; აგრეთვე და-ძმამ სოფომ და სპირიდონმა. დღეს კი ტანია პოლიტუკურად უკვე საკმაოდ გათვითცნობიერებულია. აზროვნებს რევოლიუციონურად. ხელს უწყობს რევოლიუციონური საქმის გამო დასჯილ სპირიდონს, ახლა უკვე თავის ქმარს სპირიდონს. ეხმარება მას რევოლიუციონურ წვრილ, ტეხნიკურ საქმეების კეთებაში.

სოფო და ტანია დამეგობრდენ.

ტანიას ანცვიფრებს სოფოს პოლიტიკური ცოდნა და რევოლიუციონური მტკიცე რწმენა.

„რა საუცხოვო და ჭკოლია სპირიდონს... ნუ თუ ასეთები სხვანიც მოიპოვებიან ქართველ ქალებში“?! —ფიქრობს მასზე ტანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე სოფოსაც მოსწონს ტანია. მეტად კმაყოფილია მისი.

— რა მამაცი, ცოცხალი და უბრალო ადამიანია ტანია! სწორედ ასეთი ცოლი სჭიროდა სპირიდონს... — უთხრა სოფომ ერთხელ, საღამოთი პართენს, როცა სპირიდონმა და ტანიამ ინახულეს ისინი და ჩაის დალევისა და ცოტა ხნის მასლაათის შემდეგ უკან გამობრუნდნენ.

— ჰო, კი. კარგი ქალია... რუსის ქალებს საზოგადოთ ახასიათებს მეტი სიცოცხლე, დამოუკიდებლობის მეტი ინტერესი, მეტი მოქალაქეობრივობა, მეტი გაბედულება... — მიუგო პართენმა.

— შეიძლება, მაგრამ მე არ ვიცნობ ასე დაახლოვებით რუსის ქალებს. მაინც რაში აჩენენ ისინი ყოველივე ამას?

— ყველაფერში... აი თუნდ შინა-ოჯახურ ცხოვრებაში. მათ არ სჩვევიათ მორცხვობა, ოჯახური ცხოვრების შიში, მონური შემოფარგვლა თავისა, მარტო მამაკაცზე მიჩერება, ქმრის იმედით ცხოვრება, რაც უმეტესს შემთხვევაში ახასიათებს ქართველ და საერთოდ ჩვენი მხრის ზოგ ეროვნებათა ქალებს.

მათ განაგრძეს ამ თემაზე ლაპარაკი.

—რომელ ეროვნების ქალები გყავს კიდევ მხედველობაში, პართენ?

— ჩვენს გარდა, აი, სომხების და თათრების მაგალითად.

— მაინც როგორ! ნე ვარ მორცხვი, მონურად შემოფარგლული ოჯახში და ქმრის იმედით მცხოვრები?.. და მე ქართველი არ ვარ?!.

პართენმა აქ ფართოდ გააღო თვალები, დინჯი სახე მიიღო და ისე შეაცქერდა სოფოს თვალებში.

— შენ... შენ არა ხარ ისეთი, სოფო... მაგრამ შენისთანა გამონაკლისებზე მე არ ვლაპარაკობ. შენ საზოგადოებაში გამოსული ქალი ხარ. ასეთები თითზე ჩამოსათვლელიც არა გვყავს... შენ არ კმარხარ ქართველი ქალების დასახასიათებლად სოფო.

— მაინც როგორ ხასიათდება ქართველი ქალები, და საინტერესოა, შენ თითონ, პართენ, როგორ ახასიათებ მათ?

—ქართველი ქალები საზოგადოდ მორცხვნი, გაუბედავნი, კარჩაკეტილნი და მორჩილნი არიან. ოჯახში და ოჯახს გარეთ ყოველივე იმედს უმეტესად ისინი მამაკაცებზე ამყარებენ... გავრცელებული „ქალური უძლურება“ მათ თითქო უდაო ჭეშმარიტებად უცვნიათ...

— ... „გაუბედავნი“. მაგალითად რუსებს ვინა ჰყავთ ეს გაბედული ქალები?—იკითხა სოფომ ცნობისმოყვარეობით პატარა პაუზის შემდეგ.

— ვინა ჰყავს რუსებს?.. არ კმარა—ფიგნერი, პეროვსკაია, ვერა ზასულიჩი, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია და სხვა კიდევ რამდენი... ესენი ხომ მსოფლიოში ცნობილი რუსის ქალებია... ჩვენ კი და ჩვენს მეზობელ ერებს იმათი მსგავსი ჯერ არავინ გაგვჩენია, ჩვენმა ისტორიამ ასეთი არაფერი არ იცის...

— თამარი? თამარ მეფე? თამარ მეფეც ხომ საქვეყნოდ ცნობილი ქართველი ქალია?!.

— იხ, აბა რას ამბობ სოფო! თამარი რა მოსახსენებელი საზოგადო მოღვაწე და მებრძოლი გმირია! თამარ მეფით როგორ შეიძლება ქართველი ქა-

ლის დახატვა, მით უფრო ჩარიცხვა მისი რუს გმირ რევოლიუციონერ ქალებში!?

ბიბლიოთეკა

— რევოლიუციონერი არა, რევოლიუციონერების რიცხვში აბა ვინ ჩარიცხავს, მაგრამ ხომ მოექცა სახელმწიფოს სათავეში, ხომ გახდა სახელმწიფოს მმართველი ცნობილი ქალი?? ეს ხომ საქვეყნო ფაქტია?!.

— ... „ფაქტი" კი, მაგრამ როგორი შინაარსის?.. თამარ მეფე უპირველეს ყოვლისა მეფე იყო, მონარქი იყო, რომელიც შემთხვევამ გახადა სახელმწიფოს ბატონ-პატრონად, შთამომავლობის „ბრმა წერამ" წამოასკუპა სამეფო ტახტზე... ისტორიის გადმოცემით რომ „თამარი ხალხს უყვარდა და ხალხი თამარს", ეს სრულებით არ ახასიათებს თამარ მეფის განსაკუთრებულ თვისებებს, თამარ მეფის „ხალხობრივობას"...

— როგორ, პართენ, არ ირჩეოდა აბა თამარი სხვა ქალებში? თამარი სხვა ქალებში კი არა მხოლოდ, თვით ყველა მამაკაც მეფეებშიც კი ირჩეოდა და იშვიათი იყო...

— ეს აიხსნება, სოფო, მისი დროის განსაკუთრებულობით... მაშინ ხანა იყო ისეთი, რომ თამარს სხვანაირად მოქცევა არ შეეძლო, მას გარემოება სხვანაირად მოქცევის ნებას არ აძლევდა; რომ მის ადგილზე და მის დროს ყველა სხვებიც ასე მოიქცეოდა...

— რა გარემოება იყო ასეთი? მარტო თამარის დროს იყო მერე ეს გარემოება? რატომ სხვა მეფეების დროს არ იყო იგი? გავდენ თამარს სხვები?... და ეს არ არის თამარ მეფის, როგორც ქალის, განსაკუთრებული, ქართველი ქალის თვისება?!..

— რა გარემოება იყო ეესთი? ეს გარემოება იყო თამარ მეფისთვის, მუდმივი გარეშე მტრები, საშინელი აზიური მტრები. მათთან ბრძოლები. ქართველი ერის მუდამ თოფ-იარაღში ჩასხმული ყოფნა... ფიზიკური არსებობის შერჩენასთან ერთად, შეტევითი ომის წარმოებაც მტერთან... ამ დროს თამარ მეფეს არაფერი არ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ „შეეყვარა" გარეშე მტრებთან მებრძოლი თავისი ერის ეს ხალხი, „შესისხლხორცოდა" თავისი ტახტის დიდება-გაძლიერებისათვის მებრძოლ ამ ხალხს....

აქ პართენს დაავიწყდა, ან შეგნებულად არ შეჩერდა იმ გარემოებაზე, რომ ქართველი ისტორიკოსების გადმოცემით თამარი არ იყო შეტევითი ომის მომხრე თითქო, რომ თამარის სამეფოს იმ ხანში არც თუ ისე გააფირებით თავს ესხმოდენ გარეშე მტრები... რომ ეს შეტევითი ომი უმეტესად თამარს მოახვიეს ქართველ მხედართ-წინამძღოლებმა...

— მაგრამ ასეთი გარემოება იყო ხომ მის შემდეგაც და მანამდის?!. და რატომ არ გამოჩდნენ მის ფერები?

— კი, ასეთი გარემოება იყო მის შემდეგაც და მანამდის... და გამოჩდენ კიდეც ეს მის ფერი მეფეები: დავით აღმაშენებელი, სოლომონ მეფე და ერეკლე მეფე განა ასე „სიყვარულით" არ იქცეოდენ?!.. მაგრამ თუ თამარი მაინც უფრო შეიყვარა „მაშინდელმა" ხალხმა და მეტი ცნობილი გახდა, ეს უნდა ავხსნათ იმ გარემოებით, რომ თამარს, როგორც ლამაზს და კეკლუც ქალს, და

საზოგადოთ ქალ-მეფეს იმ „რაიდხიულ“ ხანაში, ბევრი ხოტბა, მეხსიერება, მოქათინაურე მგოსნები გაუჩნდა და ამან გაუთქვა მას ხალხში სახელი, გახდა იგი „პოპულიარული“.

— ჰო, ეს კი მართალია.. თამარის მიტოლება რევოლიუციის გმირ ქალებთან აბა ვის მოუვა თავში! და მეც მით უმეტეს ამ აზრით არ შემეძლო მეხსენებია იგი... მე მხოლოდ გავრცელებულ ძველი ამბების მიხედვით იგი მეხატებოდა თავისი დროის გმირ ქართველ ქალად, რომლის სახელი დაეკავშირებიათ ისტორიკოსებს საქართველოს „ოქროს ხანასთან“ და ამ გვარად საქვეყნოდ ცნობილი გაეხადათ იგი... მაგრამ აი, ვისისი? ვისისი რომელ კატეგორიას ეკუთვნის? იგიც ამ „საზოგადოთ აღებულთა“ რიცხვს გინდა მიაკუთვნო?.

— კი, სოფო... ვისისი სწორედ ახასიათებს ამ „ქალურ უძლურების“ მცნობ ქართველ ქალებს; მამაკაცის შემყურე, მამაკაცზე დამოკიდებულ, მამაკაცის იმედით მცხოვრებ და შემომფარგველ ქართველ ქალს...

— რატომ პართენ!.. ხომ ეწეოდა იგი დამოუკიდებელ რევოლიუციონურ ცხოვრებას, ქმრისაგან სრულებით დამოუკიდებელს... განვითარდა, პოლიტიკურად მომწიფდა... და ახლაც, მართალია, ბოლშევიკური რწმენა-მეხედულება გამოიცვალა, მაგრამ რევოლიუციონერობაზე ხომ არ აუღია ხელი. მენშევიკი ხომ არის და მენშევიკები ხომ რევოლიუციონერებად ითვლებიან მაინც კიდევ... აბა რატომ გადმოასახლეს მისი ბენო, ჩვენი სპირიდონი და რამდენი სხვებიც?

— საქმეც იმაშია სოფო, რომ მას შემთხვევამ მოუტანა ქმრისაგან დამოუკიდებლად გარევოლიუციონერებულიყო, მომენტმა მისცა პოლიტიკურად მომწიფებულიყო, საზოგადოებაში გამოსულიყო. შეეძლო მას გამოეყენებია ეს — შემოენახა, დაეცვა რწმენა, საკუთარ თავს დაემყარებოდა, თავისებურობა შეერჩინა და... მან ახლა კიდევ უარესი ჰქნა... შენ იცი, რომ იგი ახლა არა მარტო მენშევიკია, მენშევიკ ლიკვიდატორიც რომაა?!... არალეგალურ პარტიულ ორგანიზაციებს ზედმეტად სცნობს. იგი ფიქრობს და ცდილობს ყველაფერი სტოლიპინის ამ საშინელ რეაქციონურ რეჟიმს შეუფეროს, შეუთავსოს...

— მენშევიკები სუყველა ასე ფიქრობენ მერე? ბენო? ჩვენი სპირიდონიც?... თუ ამ აზრის იყვნენ, რაღათ გადმოასახლებიეს თავი, რატომ ჰქნეს პირი ამ ცივ რუსეთისაკენ?... არაფერი არ მესმის! რა მოსდით ამ ხალხს!...—მწუხარებით სთქვა სოფომ და ჩაფიქრდა, თავი ძირს დახარა.

— არა, მენშევიკებში ყველა არ იზიარებს ამ ლიკვიდატორულ აზრს. მაგალითად, მენშევიკების დიდი ნოე საქართველოში წინააღმდეგ ხაზს ადგია. ჩვენი სპირიდონიც შეურიგებელი პარტიიცია; ბოლშევიკებზე არა ნაკლებად იცავს იგი პარტიის არალეგალურ აპარატს... ბენოც კი აქეთკენ იხრება. ბენო არ იზიარებს ლიკვიდატორულ მიმართულებას, პარტიიცობს. მაგრამ აი აქ ვისისი არ აძლევს თურმე მას „საშუალებას“...

სოფო გაანცვიფრა ამ ამბავმა. ეწყინა მას, ძალზე ეწყინა ვისისის ასე ჩამორჩენა და დავარდნა. რევოლიუციის ფართე და საშიშარ გზიდან თავდასაძვრენ „სამშვიდობო“ პატარა ბილიკზე ფეხის გადმოთრევა და დალმართით დაქანება.

რა მოუვიდა? რა ემართება? სოფო პირიქით იმედოვნებდა, [illegible] რუსეთში, გადასახლებულ რჩეულ რევოლიუციონერებთან, ამ [illegible] ძოლთა შორის, რევოლიუციონური ტემპერამენტი ისევ დაუბრუნდება ვისისის და კვლავ ბოლშევიკების რიგებში მოექცევა იგიო.

ნუ თუ შემთხვევით მოხვდა იგი მართლა რევოლიუციონერებს შორის?!. დაიჯეროს ეს სოფომ?

მეტად ცუდ გუნებაზე აყენებს ეს სოფოს... მაგრამ შემდეგ უცვლის ამ დამძიმებულ გუნებას ის გარემოება, რომ დიდი ნოე არ ყოფილა პარტიის ლიკვიდატორი; ბენოც რომ პარტიიცობს, უახლოვდება ამ ხაზით იგიც ბოლშევიკებს... და რაც მთავარია მისთვის — სპირიდონი რომ მტკიცე პარტიიცია, ბოლშევიკებსავით მტკიცე, უყოყმანო პარტიიცი; ბოლშევიკებსავით რომ სცნობს პირობებს თურმე და ისე უდგება პარტიულ-რევოლიუციონურ მუშაობას; ბოლშევიკური რწმენით და ხალისით რომ ებმის რევოლიუციონურ საქმიანობაში...

სპირიდონი მენშევიკი... რა მენშევიკია სპირიდონი!?.. რევოლიუციის ყველა პრაქტიკული ხა'ხით იგი ბოლშევიკების რიგებში არის ყოველთვის!.. სპირიდონი ყოველთვის ბოლშევიკებთანაა ამ დროს! თეორიაში არ ეზიარება ბოლშევიკებს მხოლოდ, მენშევიკებს ირჩევს. მაგრამ ეს ხომ იმით აიხსნება, რომ იგი არ იცნობს არც ერთს და არც მეორეს როგორც საჭიროა ისე... და არ არის მისი მენშევიკობა გაუგებრობა??

სოფოს უნდა დაადასტუროს ამ ფაქტით თავისი შეხედულება, რომ ჭეშმარიტი მუშა და ღარიბი გლეხი, ყველა ბოლშევიკები უნდა იყვნენ. სხვა ხაზი, სხვა პოლიტიკური მიმართულება მათთვის არ არსებობენ... და არ ამტკიცებს ამას სპირიდონი?! სპირიდონი ბოლშევიკია! ეს მხოლოდ არ უნდა მას იცნოს, რაღაც ტრადიცია და ვიღაცის შეუგნებელი ზეგავლენა აკავებს მას...

ასე ფიქრობს სოფო, ასე ეწყობა აზრები თავში მას ახლა.

ამ ამბების გაგებამ სოფო საერთოდ დააკმაყოფილა, გაახარა. მაგრამ ეს ერთ მომენტში. შემდეგ კი რაღაც ჩრდილი მაინც ჩაწვა სოფოს სულსა და გრძნობაში. რაღაც ეტკინა, არ იამა სოფოს აქ.

ბავშვებმა, ოჯახმა სოფო მოსწყვიტეს რევოლიუციონურ ჩვეულ საქმიანობას, ამხანაგების ფართო წრეს. იგი ახლა უშუალოდ ველარ ეცნობა რევოლიუციონურ ამბებს, პარტიის შინამდგომარეობას, ამხანაგ-მეგობრების შეხედულებათა ცვილებებს. ყველაფერი ეს მას პართენმა უნდა უამბოს, ან სპირიდონმა. მაგრამ ხომ შეიძლება ბევრი რამე იმათ გამორჩეთ, არ მოაგონდეთ.. და ბოლოს შეიძლება საჭიროდაც არ იცნონ ყველაფრის თქმა... არ გაუკეთებენ სრულ მოხსენებას. კონსპირაციის კანონები თხოულობენ ამას. სოფომ ხომ ეს კანონები სხვებზე ნაკლებად არ იცის!.. მაგრამ ვისისის ლიკვიდატორობა და ნოე-ბენოსი და სპირიდონის პარტიიცობა ხომ მაინც არ იყო კონსპირაცია?!.. ეს კარგა ხნის ამბავი იყო და სოფომ არ იცოდა. რატომ არ იცოდა მერე? დაავიწყდა ეთქვა პართენს? ან შეიძლება ეგონა მას—ეტყოდენ უკვე სხვა ამხანაგებიო?—

ამხანაგებს ჰქონდათ მიმოსვლა სოფო-პართენის ოჯახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფო ერთსაც სთვლის მიზეზად და მეორესაც. მაგრამ ნამდვილი მიზეზი ამისა და სხვა ამგვარ გარემოების ისაა, რომ სოფო ჩაკეტილია ოჯახში; დაშორებულია იგი პარტიულ წრეს, ამხანაგების რევოლიუციონურ საქმიანობას.

და ეს სწორედ ჩრდილს აყენებს სოფოს კმაყოფილებას ახლა.

სოფომ იგრძნო, რომ აქ რაღაც აკლია მას. ვერ არის იგი პართენის ტოლი და ამხანაგი ოჯახში და ოჯახს გარეშე.

პართენს არ აწვება პაწია ბავშვების მოვლა ტვირთად, ოჯახის სიმძიმედ. სოფო კი დაობა, დაბორკა მან. აქ ცხოვრებამ მას დააკისრა ყველაფერი, როგორც ქალს; ხოლო პართენი, როგორც ვაჟი, გაანთავისუფლა....

რატომ არის მერე ასე? რა შესცვლის ამას?.. რა გაგვასწორებს?...

ოხ, როგორ რთულია ცხოვრება! როგორ ბევრია კიდევ საჭირო ცოდნა; როგორ ბევრი, ბევრია საბრძოლველი!..

სოფომ დაღონებით დახარა თავი ძირს. მან არ დაინახა საჭიროდ ამის ირგვლივ ლაპარაკი და ახსნა-განმარტება პართენის მიერ.

— რა იყო? გეწყინა?.. სამაგიეროდ დიდი ნოე, ბენო და სპირიდონი ხომ ჩვენს რიგებში დარჩენ?!. ვისისის, შენს მეგობარ ვისისის ასეთი „ევოლიუცია“ არ-ც ისე დიდი უბედურებაა,—უთხრა დაღონებულ სოფოს პართენმა და გაიღიმა.

მან, რა თქმა უნდა, ვერ გაიგო სოფოს წყენის მიზეზი სრულად.

— არა, ისე... მე მაინც ვფიქრობ, რომ ეს რწმენის საქმეა...

— რაა რწმენის საქმე? ვისზე ამბობ სოფო?.

— ვისისის „ევოლიუცია“; ვისისიზე ვამბობ.—ისევ განაგრძო სოფომ ვისისიზე ლაპარაკი—... ასე ხომ ბევრ დიდ და პოლიტიკურ მოღვაწეს ემართება. ეს ახასიათებს არა მარტო ქართველ, ან სხვა ერის უფრო დაწინაურებულ ქალებს, თვით დიდ რევოლიუციონერთ, მაღალი კულტურულ ქვეყნების მამაკაცებსაც... მაგრამ რა არის, რომ სთქვას კაცმა აქ განსაკუთრებული, სხვებისათვის არა ჩვეული?.. მაინც აქ ახლა სრულებით არა სჩანს ვისისის შემოფარგვლა, მამაკაცის „იმედზე“ დაყრდნობა, ამ შემთხვევაში ქმრის გავლენის ქვეშ მოქცევა მისი და პირიქით!...

— არა, სოფო. რწმენის საქმე ეს არ იყო. რწმენის შეცვლა ასე ერთბაშად არ მზადდება ადამიანში. მის დამწიფებას უფრო დიდი დრო და სერიოზული მომენტები უნდება...

— მაშ აბა რა უნდა იყოს მიზეზი? რას უნდა მოეტანა ეს „ამბავი“?..

— ვისისის რწმენის შეცვლა და რევოლიუციაზე გულის გაკეთება მოიტანა ამ შემთხვევაში ოჯახის დარღვევის შიშმა, „მამაკაცის“ დაკარგვის საფრთხემ... „ქმარმა“ გასტეხა იგი! წაართვა მან საკუთარი რწმენა, საკუთარი თავის—ამ შემთხვევაში, როგორც ქალის—იმედი მას,.. და იგი ახლა უბრალო რევოლიუციონერობაზედაც ხომ უარს ამბობს. კიდევ მეტი, სთხოვს, ემუდარება იგი ბენოს—დაადგეს ამ ლეგალობის გზას, გახდეს „ოფიციალური“ და მოიმზადოს პირობები მშობლიურ ქალაქ ტფილისში დასაბრუნებლად... მეც კი ერთხელ მთხოვა ასეთ პოზიციაზე დადგომა, რაზედაც მან ჩემგან სასტიკი პასუხი მიიღო და ახლა მის გამო გაურბის ჩემთან ლაპარაკს კიდეც.

— ხო, და თუ ასეა, ვისისი შემთხვევით გარევოლიუციონერი, შემთხვევით გასოციალისტებული ქალი ყოფილა... და ამ „შემთხვევის" ობიექტი ვყოფილვარ მე; „ბრალი" მიმიძღვის აქ თურმე მე... ვისისი არ ყოფილა მაშ სულით და გულით მოსული ჩვენთან....

— კი, მართალია, შემთხვევით რევოლიუციონერი იყო ვისისი. და ამ „შემთხვევის" ობიექტი შენ გახდი სწორედ. მაგრამ არა მარტო შენ, შენს გარდა კიდევ თითონ ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციაც, ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის აღმავალი და მომტაცი ტალღებიც, რომელიც ყველას ხიბლავდა, თავის ორბიტაში ითრევდა. მაგრამ დამარცხდა ეს რევოლიუცია. ჩადგა კალაპოტში მისი ტალღები. დაჭკარგა მან მიმზიდველობა... და ვისისიც გამოერკვა. იწყო მან შემთხვევით წინ გადადგმულ ნაბიჯების უკან გადმოდგმა; „შეცდომის" გამოსწორება...

— ეეხ... როგორ მიყვარდა... როგორ საუკეთესო ამხანაგად და მეგობრად მეჩვენებოდა... ვისისი ხომ ერთად-ერთი მეგობარი იყო ჩემი ამხანაგ ქალებში...

— ... რა გაეწყობა, სოფო. მაგრამ ვისისი აქ მარტო კი არ ყოფილა. ასე ბევრს დაეგმართა. ძალიან ბევრი მოიქცა ასე.... ეს ყველაფერი ჩვეულებრივი „ამბავია". ამისთანა კურიოზები იცის რევოლიუციის ისტორიამ, მისმა აღმართმა და დაღმართმა... ეს ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს არ გასტეხს მხოლოდ... ისინი ისევ-ისე ივლიან ერთხელ არჩეულ გზით!

სოფო ჩაფიქრდა.

მწარედ ამოიოხრა მან. გააღო პირი, მაგრამ აღარ განაგრძო ლაპარაკი ვისისიზე...

სოფოს აღარ სურს მეტი ვისისიზე, როგორც ყოფილ ამხანაგზე, შეჩერება. ძნელი კია თუნცა ეს მისთვის. ეშძიმება ასე დაშორება ვისისზე...

როგორ უყვარდა!...

პართენი შეიძლება მართალიც იყო... მისი ახსნა მიზეზების,—ვისისის ცხოვრებაში პართენის მიერ დახატული გარემოებები თამაშობდენ მთავარ როლს სწორედ და სტეხდა მას.... ვისისის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობიდანაც უკეთესი არაფერი იყო მოსალოდნელი. შეძლებული, მდიდარი მშობლების შვილი,—მეტი მას რა მოეთხოვებოდა? სხვა რა იმედი უნდა აღეძრა?.. რევოლიუციის აღმართზე აყოლა, ეს ხომ „მოდა", „ხელოვნება" და „ხელოვნებისადმი სიყვარული" იყო მაშინ... გამონაკლისებს ჰქონდა კი ადგილი,—მაღალი ფენებიდან გამოსულები შესისხლორცებია ხალხურ რევოლიუციას, მაგრამ ვისისი რათ უნდა ყოფილიყო ეს გამონაკლისი??..

სოფო ისევ უბრუნდება ტანიასა და სპირიდონის შესახებ ლაპარაკს.

ტანია კი არ იქნება ისეთი. იგი არ ემზგავსება ვისისის... ტანიას სოციალური მდგომარეობაც ხომ თითქმის ისეთივეა, როგორც პართენის, სოფოსა და სპირიდონის...

ძმა, ტანიას ერთად-ერთი ძმა თურმე ტეროორისტი-რევოლიუციონერი ჰყავდა და ჩამოახრჩვეს მეფის ჯალათებმა. ეს იყო 1903 წელში, როცა თითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანია ჯერ კიდევ ნორჩი ბავშვის წლებს ითვლიდა და არაფერი ამ ბავშვის არ გაეგებოდა.

ტანიას დედმამა მოხუცებულები იყვნენ. ისინი ადრეევ ძმის სიკვდილით დასჯის წინა დღეებში დაიხოცენ გადამდები სენით—ტიფით. ობოლი ტანია შემდეგ, ჩამოხრჩობილი ძმის ამხანაგ-მეგობრებმა შეიფარეს; გაუწიეს მას, ახალგაზრდას, უმწეოს, ცხოვრებაში გამოუცდელს მზრუნველობა. იმათი მზრუნველობის შედეგი შეიქნა, რომ ჩქარა მან სარატოვის საპნის სახარშავ ქარხანაში ამოყო თავი და მუშა ქალი გახდა....

და სპირიდონსაც ამ გზით შეეყარა.

— ... სპირიდონსაც იმიტომ ძალიან უყვარს ტანია, რომ ასეთი წრიდან არის იგი!—დაასკვნა სოფომ.

პაუზა.

— მე მაინც, რომ წარმოვიდგენ ახლა სპირიდონის პირველ სიყვარულს და უზომო წვა-ტანჯვას ჩვენი ერთად ყოფნის დროს ციხის კედლებში, მიკვირს—როგორ ასე ადვილად წაშალა მან ის პირველი ძლიერი განცდანი სულისა და გრძნობისა მე ვერ წარმომიდგენია—ასე რომ დამთავრებული იყო ჩვენს შორისაც საქმე—მე ეს დამევიწყა, შენ წამეშალე, სხვა ვინმეს შეეცვალე.—მიუგო პართენმა.

სოფოს თვალები გაუბრწყინდა. სახე აენთო. გულმა ტკბილად ცემა დაუწყო. იამა მას პართენის ეს ტკბილი გამოთქმა თავიანთ ურთიერთობის შესახებ. ურთიერთობის შესახებ, რომლის მოსამზადებელი მომენტები ახლაც, ამდენი ხნის გასვლის შემდეგაც ასე ახსოვს, ასე სიყვარულით და სათნოებით ენახება.

პართენი განაგრძობს სპირიდონის შესახებ ლაპარაკს.

... და ახლა, როცა მოუყვება სოფოს იგი სპირიდონის ალერსს ტანიასთან, იმ განუზომელ გრძნობას და სიხარულს, რომელიც სპირიდონის თვალებიდან და სახიდან გამოსჭვივის ტანიასთან ყოფნის დროს, არ ჰქონია მას—ეს წარსული, გრძნობათა განცდის ეს წარსული სრულებით არა ჰქონია სპირიდონსო...

საკვირველია მაინც, როგორ იცვლება ყველაფერი, ადამიანის გრძნობა-გონებაში როგორ დავიწყებას ეძლევა წარსული, მას მხოლოდ ისტორიის წიგნის ფურცელი თუ ინახავს და ადამიანს მოაგონებს ამა თუ იმ გაკვეთილის დროს, როგორც „მასალას" სახელმძღვანელოდ... და ეს კარგია. ეს აღსანიშნავი თვისებაა ადამიანის გრძნობა-გონებისა. ეს რომ არ ყოფილიყო ადამიანში, კაცობრიობა ფეხს ვერ გადადგამდა წინ. კაცობრიობა დაავადდებოდა, კაცობრიობა დაიღუპებოდა... და ტყვილად საყვედურობენ, ტყვილად გამოსთქვამენ უკმაყოფილებას, იკიცხებიან, ადამიანის უარყოფით მხარეთ აცხადებენ, როცა წარსულს გვერდს უხვევენ, დავიწყებას აძლევენ მას, მძიმე განვლილს არ იცოცხლებენ, მწარე განცდილზე არ ჩერდებიან, მას უკან იტოვებენ და წინ მიდიან, ცხოვრების იალქანს მიზდევენ, მომავალს ელოდებიან. ახალ ტალღებს ეგებებიან. მაგრამ ეს უკანასკნელნი ხომ ადამიანისა და ცხოვრების ის პირობებია თითონ, რომლებმაც ისინი გააჩინეს და აზრი მისცეს მათ არსებობას?!..

კარგია ეს... და სპირიდონიც ამ გარემოებას საღად გამოხატავ[illegible] ეფერა თქმა უნდა, არაფერი აქ სპირიდონში დასაძრახისი და სასაყვედურო [illegible]..

— სპირიდონი ნამდვილი მუშა მებრძოლია. იგი თავისი კლასობრივი გრძნობით სცნობს— სად თავდება „პირადი", „ინდივიდუალური", და სად იწყება „საზოგადო", „კოლექტიური"; რა არის ადამიანში დაცემულობა, რეაქციონური, და რა არის წინ მიმდენი, პროგრესიული...

— სპირიდონი, საწყალი სპირიდონი... მაშ აბა იგი ძალიან იტანჯებოდა ციხეში იმ ქალის გამო?! მე კი არაფერი ამის შესახებ არ ვიცოდი. იგი კი ვიცოდი, რომ მოსწონდა მას ის ქალი. მარა თუ ასე საგრძნობი იქნებოდა სპირიდონისათვის იმისი „დაკარგვა", ეს კი არ წარმომედგინა... მე მეგონა—უბრალოდ მოსწონს, ლამაზია და მოსწონს მხოლოდ მეთქი.—გააწყვეტია სოფომ ლაპარაკი პართენს და სთქვა ჩაფიქრებით, შეწუხებული მეტყველებით.

ახლა კი პართენის ნაამბობიდან როგორც დაინახა სოფომ, სიყვარულის გრძნობაც სწვავდა სპირიდონს თურმე.

დაჩაგრული სპირიდონი... სოფოსადმი მინაწერ ბარათში მას არასოდეს ამ ტანჯვა-ვიშის შესახებ არ გადაუკრავს, არ მოუგონებია იგი მისთვის.

—... და ესეც სპირიდონის დადებით მხარეს შეადგენს. არ აგებიებდა ის თავის პირად მწუხარებას მათ, ვინც მას ვერ ხედავდა, ვისაც იგი არ ეხებოდა.— დაასკვნა პართენმა.

... დიახ, სპირიდონის დარდი ციხეში მძიმე იყო. იგი დიდ შინაგან ბრძოლას სცდიდა იქ, ჩაკეტილ-ბინძურ საკანში. იმ მომენტში მაინც, როცა გაიგო მან მისი შეყვარებულის „ღალატი"—გათხოვება. ძალიან იწურებოდა სპირიდონი სევდაში.

„ოხ, როგორ გამცვალა. მომისპო უკანასკნელი სიხარული! არა, როგორ უნდა შეურიგდე ახლა ამას. ციხეში მაინც არ ვიყო". უთქვია ამოოხვრით, გამწარებით სპირიდონს პართენისათვის. და მოუჩქარებია ხოლმე საკანში, პართენის საზიარო საკანში ბოლთის ცემა.

მაგრა-მაგრა არტყამდა სპირიდონი იატაკზე ფეხებს, თითქო მაზე გადაქონდა ბოლმა-ნაღველი.

სპირიდონს უდგებოდა მომენტები, როცა აუტანელად ეჩვენებოდა მდგომარეობა. და ეს, მისი საკანის ამხანაგს—პართენსაც ზიწს უბადებდა...

„არა, ამას მე ვერ შეურიგდები... ასეთ დროზე... უხ, ეს ციხე მაინც, ეს უტყვი და ყრუ საკანი ასეთ დროს გადამრევს... დაუნდობელი, ბოროტი"—ხმირად ამბობდა ბრაზით სასოწარკვეთილი სპირიდონი.

პართენი ყოველივე ამას ისმენდა, მაგრამ ვერაფერ სანუგეშოს თქმა ვერ მოეხერხებია. ვერ წარმოედგინა პართენს—რით უნდა გათავებულიყო ეს ბოლოს... შეუძახებდა პართენი მაინც ისე, შეუგნებლად: „არაფერია კაცო. ნურც ასე გაიტეხ გულს. ის ქალი შემდეგ ისევ მოგიგონებს და მოგიბრუნდება"-ო... თუმცა გულში კი სხვას ამბობდა: „ან კი რად გინდა ისეთი ადამიანის „სიყვარული", რომელიც ასეთ დროს გაგცვლის და დაგიგიწყებს"-ო. მაგრამ ამის თქმა პართენისათვის, როგორც გარეშე მაყურებლისათვის ამ შემთხვევაში, ადვილი

იყო. ეს არ შეეძლო სპირიდონს გაეგო და მიეღო. და პართენიც ალბათ სწორედ ამიტომ ასე არ მიმართავდა მას.

პართენის და სოფოს მასლაათი აქ შეწყდა.

უკვე ღამის თერთმეტი საათი სრულდებოდა. დაძინების დრო იყო.

პაწია კარლიც სწორედ ამ დროს ლოგინში შეიშმუშნა, გადმოტრიალდა, ჭრაქის ყვითელ სინათლეზე თვალები დააჭყიტა და სახე დაეშალა, ჩუმი ტირილი მორთო.

— ახლავე დედიკო, ჩემო სიცოცხლევ, მეც ვწვები... უთხრა ალერსით, სიყვარულით აქვითინებულ კარლის, და მიაშურა, საჩქაროდ ტანთ გაიხადა, ლოგინში შეუგორდა პაწიას.

კარლს და დედას ერთი საწოლი ტახტი ჰქონდათ.

— ნუ, ნუ იტირებ, კარგო კარლო. სირცხვილი არ არის „ამხელა ყაზახის“ ტირილი...—დაუმატა დედის სიტყვებს მამამ. და ისიც გაჩნდა ატირებულ ბავშვის საწოლთან.

კარლი არ აპირებდა ტირილის შეწყვეტას; ისევ-ისე იბერებოდა და თვალებიდან გადმოგორებული ცრემლები უხაზავდა ფერმკრთალ ლოყებს.

— უიმე, ჩაუფსია! სულ დაუსველებია ზეწარი... საცვალიც... ამიტომ ატირდა თურმე... მომეშველე ჩქარა, პართენ!...

— აქვს გამოსაცვლელი რამე?... სად არის?...

— აი, კაცო, ტახტ ქვეშ, პატარა კალათში... ჩქარა, ოჰ რა მოუხერხებელი ხართ ეს მამაკაცები ამისთანაობაში...

პართენი ძალიანს ფაფხურობდა, მაგრამ მაინც არაფერი არ გამოუვიდა.

ვერ ნახა პართენმა რასაც სოფო სთხოვდა; სოფოს კი პირველად ზეწარი ესაჭიროებოდა. პართენმა მხოლოდ კარლის პერანგი ამოიღო და მიაწოდა.

— მომეცი, კარგი, კალათი. მე თითონ მოვნახავ.— უთხრა სოფომ ცოტა არ იყოს წყენით და გამოართვა კალათი ხელიდან პართენს სწრაფად.

— ტყუილად მიჯავრდები სოფო, მანდ არ არის არავითარი ზეწარი...— მიუგო პართენმა მშვიდათ, მაგრამ გადაჭრით, ხაზგასმით.

—... აბა, რა არის ეს, პართენ!—შესძახა ნიშნის მოგებით სოფომ და კალათიდან ამოათრია პატარა, კარლის სპეციალური საგები და აჩქარებით გაშალა საბან ახდილ დასველებულ ლეიბზე.

—... კი, მაგრამ ეს არის ზეწარი? მაგას თუ ეძებდი გეთქვა უნდა და მეც მაშინვე მოგაწოდებდი. მე კი დიდებისას მეუბნებოდი მეგონა.

— რატომ ვერ მიხვდი პართენ, რომ სწორედ ამას გეუბნებოდი. ბავშის კალათში მარტო ბავშის საცვლებია და არა ჩვენიც.—მიუგო სოფომ პართენს.

ამ ლაპარაკში მან დააგორა მშრალ, სუფთა საგებზე პერანგ გამოცვლილი კარლი. შემდეგ მიიკრა გულზე, შემოიხვია საბანი და კარლის ტირილიც შეწყდა.

აქ უკვე პართენმაც გაიხადა ტანს და თავის პატარა ლეოს საზიარო ლოგინში ჩაწვა.

პართენმა თავი „დამნაშავედ“ იცნო და აღარ გაუცია პასუხი სოფოსთვის.

— ჩემი ლოგინის ამხანაგი ლეო კი ამ პატარეების „ხენა“ გადაჭრია, უკვე „დავაჭაცდა“. აღარ „ირცხვენს“ თავს.—ჩაილაპარაკა ჩუმათ პართენმა.

კარლიმ ამოუშვა ხვრინვა.

შვილებთან ერთად მშობლებიც მიეცენ ძილს.

3

კვირა საღამოა.

გაზაფხულის ჩამავალ მზის სხივებზე ნელად მოდუდუნე ვოლგა თვალის მომჭრელად ლაპალაპობს.

ზამთრის სუსხი უკვე საბოლოოდ დაძლეულია; თბილა გარეულ; საამოა ქუჩაში გავლა-გასეირნება.

და ხალხიც ამიტომ მეტ წილად ბინებიდან გარეულ გამოფენილა; მოდებია ფართე ქუჩებს, ვოლგის ნაპირებს; აქა-იქ ნავებშიც ჩამსხდარან უფრო შეძლებული მცხოვრებლები ქალაქისა და მისრიალებენ მდინარის შუა გულზე.

სოფომ მოამზადა ბავშვები. ჩააცვა საგარეო სუფთა ტანისამოსი, თითონაც ასევე მოეწყო და პართენს მიუბრუნდა:

— არ გავისეირნოთ?... ადექი, დაიხურე ქუდი და წამოდი... მე მარტო ვერ შევძლებ მაინც ბავშვების დევნას.—მიმართა სოფომ პართენს.

პართენი ამ დროს თავის საწერ პატარა მაგიდასთან იჯდა და გამოღებულ უჯრაში რაღაცას ეძებდა.

— კი, მაგრამ მე რომ არ მიხერხდება წამოსვლა... წერილები მინდა დავამზადო ამხანაგებთან. ხვალ კი საქმის დღეა და ამისთვის არ მეცლება.— მიუგო პართენმა და განაგრძო მაგიდის უჯრიდან რაღაც ქაღალდების ამოლაგება.

— ვის სწერ? ვინ ამხანაგებია ეს?—ჰკითხა სოფომ ცნობის მოყვარეობით.

ამ კითხვებზე ერთბაშად პასუხის გაცემა ცოტა არ იყოს ეძნელა პართენს.

დასამზადებელ წერილების მისამართთა შორის მას ნაგულისხმევი ჰქონდა სარატოვში გაცნობილი და დამეგობრებული ერთი ამხანაგი ქალი, რომლის სახელის ხსენება პართენისაგან სასიამოვნო არ იქნებოდა სოფოსთვის.

—სოფო იდუმალ პატარა ეჭვს აეტანა ამ ქალის მიმართ...

პართენის აზრით ნამდვილად ამის საბაბი სოფოს არ ჰქონდა: ეს მხოლოდ ადამიანის უბრალო გაუგებრობის შედეგი იყო; ეჭვი აქ ადამიანის გაუმართლებელი მწუხარება იყო.

თუმცა უნდა ითქვას აქვე ისიც, რომ ეს ეჭვი, ეს განცდა სიტყვით და საქმით სოფოს არასოდეს არ გაუმხელია...

პართენსაც ეს მხოლოდ ეჭვით ამოეკითხა იმის სახეზე, რომლის დაფარვა სოფოს თითქო ვერ მოეხერხებია...

პატარა ღია თბილი ბარათი, რომელიც ამხანაგმა ქალმა ნადეჟდამ მოსწერა პართენს ქალაქ სამარიდან, შეიძლებოდა განა ყოფილიყო ამ „ეჭვის“ საბაბი?! და მათ შორის, ხომ მეტს არაფერს ადგილი არ ჰქონია?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამისთანა ღია, თბილი ბარათებით არ იწყება ბანა დახურული, ცეცხლად ქცეული გრძნობით დაწერილი დიდი ბარათები?!.

და ეს არ ეპარებოდა მხედველობიდან სოფოს იდუმალ წინად-გრძნობას... და ამიტომ იყო, რომ სიმშვიდე ეკარგებოდა, მწუხარების ზეწარში ეხვეოდა სოფო როცა კი პართენი ნადეჟდას ახსენებდა ხოლმე...

სოფოს სახის ხაზები ააშკარავებდა ამ დროს უსიამოვნებას. კი, პართენის ეჭვი აქ სწორი იყო...

არა, რა საჭირო იყო, რომ სოფომ წაიკითხა პართენისადმი მოწერილი ნადეჟდას ბარათი! პართენმა მაინც რატომ წააკითხა. ან თითონ სოფომ რატომ მოისურვა წაკითხვა სხვისი ბარათის? რატომ მისცა თავს ამის ნება?... წაეკითხა და შეენახა მარტო მას, ვის მიმართაც ბარათი იყი დაწერილი!... მაშინ ხომ სოფო ამ ზედმეტ შფოთს და ღელვას გვერდს აუხვევდა?!... და პართენსაც ეს უხერხული და ახირებული მდგომარეობა აღარ შეექნებოდა?!... თავისუფლად შეეძლებოდა პართენს ნადეჟდას ხსენება. და რაც მთავარია მისი პირიდან იგი ასე „ლახვარივით“ აღარ მოხვდებოდა გულზე სოფოს...

მაგრამ, როგორ ეს! სოფოსთვის, თავის ამ უახლოეს ადამიანისათვის, უნდა დაემალა რამე პართენს!? რისთვის მერე?.. ეს რომ არ სჭიროდა პართენს?..

სოფო ცდილობდა კი მაინც ისე, — არ შეეტყინა თითონ ეს.

თავმოყვარეობის გრძნობა და პართენის პატივისცემა უკარნახებდა ამას.

— ... ვის ვწერ? — ელადიმიროვს პეტერბურგში, ჩვენს გოგის გურიაში და კიდევ, თუ არ დავიღალე და შევძელი, მოვიგონებ სხვა ამხანაგებსაც. — მიუგო პატარა პაუზის შემდეგ პართენმა.

— ჰო, მართლა, სულ დამავიწყდა! რამდენი დღეა გოგისაგან მიგიღეთ წერილი!.. ეწყინება, გაგვიჯავრდება, რომ ასე დაუყოვნეთ პასუხი...

გოგი ვრცელ წერილში შლიდა რეაქციის დროის გურიის ვითარებას.

სტოლიპინის რეჟიმის საშინელ პირს ჩაეყლაპა მრავალი მებრძოლი ამხანაგი.

მაზრის უფროსი ერმოლაევი რეაქციის ცეცხლში სწვავდა ცხრაასხუთი წლის რევოლიუციის ყოველივე ნაშთს...

ამ ნიადაგზე კი საზოგადოებაში შექმნილიყო აზრი, მიმართულება — დამშვიდებულიყვნენ, გული დაედვათ, შეთვისებოდენ, შეგუებოდენ დროს, რეჟიმს, თავი გაენებებიათ ყოველგვარი ურჩობისათვის, ერთხანად მაინც...

აქ ამ მიმართულებას ხელს უწყობდენ და ამაგრებდენ არალეგალურად მომუშავე პარტიული ორგანიზაციის მენშევიკი ხელმძღვანელებიც...

რევოლიუციის საქმე ხომ გათავებული იყო?!.. მის შემობრუნებაზე ფიქრიც ხომ ამაო იყო?!.. მაშ საჭირო იყო ამ ხანის, ამ პირობების შეგნება, მასთან საერთო ენის გამონახვა...

ეს საერთო ენა გადაარჩენდა ხომ საზოგადოებრივ ძალებსაც და კიდევ შესაძლებელი იქნებოდა პროგრესისათვის, საზოგადოებრივი წინამსვლელობისათვის სამსახური?!..

გურიის ხალხის უმეტესობაც აქეთკენ იხრება აშკარად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი გადაჭრით ადგებიან ამ გზას...

მაგრამ ამავე დროს დამარცხებულ რევოლიუციას შერჩენიან ელემენტები,—თუმცა ძალიან მცირედია ეს ელემენტები,—რომლებიც ამ მიმდინარეობას არ მიჰყვებიან, რომლებიც პირიქით ამ მიმდინარეობის წინააღმდეგ წასასვლელად ემზადებიან.

რევოლიუცია ხომ დროებით იყო დამარცხებული?!

გადაუწყვეტელია რევოლიუციით წამოყენებული ყველა საკითხები. საჭიროა მაშ ამ მიმართულებით კვლავ ამოძრავება. სამზადისი... რევოლიუცია მოვახელახლა, რევოლიუცია გადასჭრის მის მიერ გადაუწყვეტელ მშრომელი კლასის საკითხებს; რევოლიუცია მოახდენს თავის სასწაულს!..

ამ აზრის გამაგრებაში, ამ მიმართულების განმტკიცებაში მათ ეხმარებიან აქა-იქ გაბნეულნი,—არა მთლიანი ორგანიზაციის სახით, ვიწრო, საიდუმლო ჯგუფის სახით წარმოდგენილი,—ბოლშევიკების მცირე რიცხვი. ამ ნიადაგზე იზრდება რევოლიუციონერთა კადრი; ისახება და მწიფდება რევოლიუციის ფრონტი...

ამ წერილის დასასრულ გოგი ჰკითხულობდა: როგორია საერთაშორისო ჰორიზონტი; როგორია რუსეთის ვითარება; რას ნიშნავს ლიკვიდატორობა-პარტიიცობა, საით მიიმართებიან მათი წარმომადგენლები; რა პოლიტიკურ ხაზს ადგიან თითონ პართენი და სოფო, და რა დირექტივები აქვთ რევოლიუციონური მუშაობის.

„მეტი, სხვა, რა მოგწეროთ. მე თუ მკითხავთ, მე ჩვეულებრივად მარტოხელი, უცოლო, ოჯახ-გამოყრუებული კაცი ვარ... სპირიდონისაგან წერილი მივიღე... გამეხარდა მისი დაცოლიანება. თუმცა რუსის ქალი რომ შეურთავს ვერ არის სასიამოვნო,—მე ვერაფერს ვერ გავაგებიებ... ნეტავი მან ისწავლა რუსული!.. მის გათხოვილ პირველ საცოლეს ქმარს მე გავეცანი შემთხვევით; ვხდები გზაში ხანდახან.—ჩასუქებული, მუცელ გადმოშვებული ოზურგელი ვაჭარია. უშნოა გარეგნულად, სრულებით არ არის ქალის შესაფერი... მაგრამ ეს ჩვენთვის არაა საინტერესო. ბნელი და ვაჭრული ანგარიშის საქმეა ეს „ამბავი“.

„... მართლა ბნელი ძალები აქ საერთოდ გაიზარდენ. მათ შორის არა უკანასკნელი ადგილი უჭერია „ჩვენს“ უფროს ძმას თავისი ფუფუნება-სიმსუყეში აღზრდილი ცოლით. მან აინაზღაურა სრულებით „რევოლიუციის დროინდელი დანაკლისები. კიდევ მეტი, გაიზარდა დოვლათი და მადა... ჩვენთვის მას, ახლა, არა თუ დამხმარე ხელის უბრალო გამოშვერა არ ემეტება, ხსენებაც კი არ უნდა ჩვენი, წარმოდგენაშიაც გაურბის ჩვენს „აჩრდილებს“... და რა თქმა უნდა, არ უკითხია, არ ჰკითხულობს—მე როგორ ვცხოვრობ, თქვენ რა ბედი გეწიათ. ჩვენი რევოლიუციის საქმე მას წარსული წლების დამდნარ თოვლად მიაჩნია. ჩვენი წრის ხალხის მას აღარც შიში აქვს და აღარც რიდი; გაუტიფრდა... მაგრამ სამაგიეროდ იღვიძებენ და მოძრაობაში მოდიან მოპირისპირე ძალებიც, ჩვენი რევოლიუციონური ძალები... ეს ძალები ახლა უფრო სერიოზულად ეკიდებიან საქმეს, ჩვენს საქმეს. და აქ მათ გამოცდილებაც ხომ ახლა მეტი აქვთ“...—ასკვნიდა გოგი წერილს.

რა თქმა უნდა, ეს უბრალო წერილი არ იყო, ასეთ წერილზე პასუხის დაგვიანება არ იყო დასაშვები არა მარტო ფორმალური მხრით, რევოლუციონური საქმიანობის მხრივაც, იდეური ინტერესების მიხედვითაც... და ტყუილა უბრალოდ არ გამოუთქვამს მწუხარება სოფოს თავისი ძმის წერილზე პასუხის დაყოვნების გამო. პართენიც კი უსაფუძვლოდ არ ჩქარობდა ამ საღამოსვე წერილების დამზადებას.

მაგრამ ამხანაგი ვლადიმიროვი ვინღა იყო?

ვლადიმიროვი ძველი რევოლიუციონერია. იგი სამარა-სარატოვში, და საერთოდ ვოლგის სანაპიროების სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელ ლიდერთაგანათ ითვლება. ცხრაას ხუთი წლის რევოლიუციის მომენტში იგი ბოლშევიკ-მენშევიკების შორის მერყეობდა. ახლა კი უკვე მტკიცე ბოლშევიკს წარმოადგენს და ორგანიზაციების ბოლშევიკურ შემადგენლობებს ასულმდგმულებს. პარტიის ცეკას მოთხოვნით ბოლო დროს ვლადიმიროვი ცენტრში—პეტერბურგში—იქნა გადაყვანილი პარტიულ-რევოლიუციონური მუშაობის სახელმძღვანელოდ. მაგრამ ბიწერ-მოწერა სამარა-სარატოვის ორგანიზაციებთან და საქმიანი დამოკიდებულება მათ ხელმძღვანელ ცალკე წევრებთან მას არ გაუწყვეტია... და ეს დამოკიდებულება შეიქნა შედეგი იმისი, რომ სარატოვის ორგანიზაციის როგორც ერთ თვალსაჩინო წევრს—პართენს, გუშინ ვლადიმიროვისაგან მოუვიდა ვრცელი წერილი...

წერილი, პირად ცხოვრებაზე ცოტა შეჩერების შემდეგ (პართენი ვლადიმიროვის ახლო მეგობრადაც ითვლებოდა) შლის მთელი რუსეთისა და კერძოდ პეტერბურგ-მოსკოვის რევოლუციონურ პროლეტარიატის უკანასკნელ ვითარებას.

ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა საგრძნობ არევ-დარევას და სიმწვავეს იჩენს. რაღაც სითბომ მოატანა და რეაქციის ყინვებმა გადნობა იწყეს...

რამდენსაც არ ცდილობენ მეფე და სახელმწიფო სათათბირო ერთმანეთ შორის მორიგდენ, მაგრამ უკანასკნელის დეპუტატები,—ეს ხალხის ნაძალადევი წარმომადგენლები და მეფე მაინც ვერ თავსდებიან ერთმანეთის გვერდით.

მემამულე თავად-აზნაურობაზე დაყრდნობილი მონარქიული მთავრობის კრიზისი იზრდება... ამასთან დაკავშირებით იზრდებიან აგრეთვე სამრეწველო ქალაქების ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმული მუშების წონითი ხვედრი და რევოლუციონური შემოქმედება... საჭიროა ხელის ჩაჭიდება რევოლიუციის ამ ობიექტზე; საჭიროა მისთვის ფართო გზის მიცემა და მეფურ წესწყობილებასთან დაპირისპირებული რევოლუციონურ ფრონტის შექმნა... ვის ხელს შეუძლია მერე ეს?—ცხადია მუშათა კლასის წინამძღოლს, მის ავანგარდს... ეს წინამძღოლი და ავანგარდი არის რუსეთში—უძლიერესი რევოლუციონური ორგანიზაცია—სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. მაგრამ ამ პარტიაში ამის შესახებ არ არის ერთი აზრი და მიმართულება... პარტიის მენშევიკური შემადგენლობა არ ხედავს და არც საჭიროდ სცნობს ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ მუშების ამ აქტიურობას, მათ პოლიტიკურ ზრდას და ხელახალი რევოლუციისათვის მზადებას. პროლე-

ტარიატისთვის მიზანშეუწონლად და სახიფათოდ მიაჩნიათ ხელოვნური რევოლუციონური ამოცანების დასახვა, რევოლუციონური ფრონტის გამოცხადება და მტრის წინააღმდეგ აშკარა დარაზმვა... და აი, ამიტომ პარტიის ბოლშევიკური შემადგენლობა საკუთარი ცენტრალური კომიტეტით, სათავეში უდგება რევოლიუციის ამ ობიექტს ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ, ამოქმედებულ მუშათა კლასს. იგი თავს უყრის დახელოვნებულ რევოლუციონერებს, უხაზავს მათ მოქმედების გზებს, და ასე ჰქმნის ბრძოლის ერას, ამზადებს რევოლუციონურ ფრონტს...

უკანასკნელ დროს, საზღვარგარეთ, ამ ნიადაგზე ბოლშევიკების ცენტრალურ კომიტეტს ჰქონდა პლენარული სხდომები, პარტიული კონფერენცია და თათბირები, რომლებიც შესდგებოდენ უმეტესად გარდახვეწილ ცეკას წევრ ემიგრანტებისა და ნაწილობრივად რუსეთის პროლეტარულ ცენტრებიდან გაპარებულ ბოლშევიკ ორგანიზატორებისაგან. ამ პლენუმებმა და კონფერენცია-თათბირებმა გამოიტანეს პარტიისათვის სადირექტივო დადგენილებები. გადასჭრეს რევოლუციის მრავალი პრაქტიკულ-ორგანიზაციონული საკითხები. ყველაფერი ეს ახლა მოხსენებების სახით ეცნობებიან რუსეთში პარტიულ ორგანიზაციებს...

ვლადიმიროვიც, რუსეთის ცენტრში, ერთი ის ხელმძღვანელთაგანია, რომელსაც დაკისრებული აქვს ამ მომხსენებელ-ინფორმატორების განაწილება და დაგზავნა მათი სხვადასხვა ქალაქებში, სხვადასხვა ორგანიზაციებში.

ერთი ასეთი მომხსენებელი მან გაგზავნა სამარა—სარატოვშიც, მაგრამ იგი ჟანდარმებმა შეიპყრეს გზაში. ამ ამბის მოტანა ვლადიმიროვის ყურებამდე შესძლო თითონ შეპყრობილმა მომხსენებელმა.

ვლადიმიროვმა იცოდა ამ რიგად, რომ სამარა—სარატოვს მომხსენებელი არა ჰყავდა, რომ სამარა—სარატოვის ორგანიზაციებისათვის ჯერ უცნობი იყო ცეკას პლენუმის შუშაობა და მისი შედეგი, რომ მათ ჯერ არა ჰქონდათ რევოლუციონური მომენტების სათანადო ინფორმაციები და აგრეთვე სამოქმედო რევოლუციონური დირექტივები...

საჭირო იყო სხვა მომხსენებელი ამახანაგის გამონახვა. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ეს?

არავინ ვლადიმიროვს ამ ხანად ცენტრში თავისუფალი არა ჰყავდა.

...სხვა გზა არაა... მე თითონ უნდა წამოვიდე და გავაკეთო მოხსენება. მაგრამ ჯერ ყერ წამოვალ, უნდა მოუყარო თავი საქმეებს, დავაწყო იგი, გადავსცე დროებით ჩემი მოვალეობა სხვას, და შემდეგ... მანამდის კი დრო საკმაო იქნება და სასურველია მაცნობო: როგორ პირობებში გიხდებათ პარტიული მუშაობა ამ ბოლო დროს? მოხდა თუ არა შეჯახება ორგანიზაციაში, ლიკვიდატორებსა და პარტიიცებს შორის? გაიმარჯვეთ, გაწმინდეთ ლიკვიდატორ-მენშევიკებისაგან ორგანიზაცია, თუ ისინი პირიქით სჭარბობენ და თქვენ თითონ იძულებული შეიქენით ცალკე ორგანიზაციად ჩამოყალიბებულიყავით?.. ამოცანები, რომლებიც ცეკას პლენუმმა წამოაყენა, არ არის მიმართული ისე საგრძნობლად მენშევიკ პარტიიცების პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ, და ამიტომ ჩვენს მოხსენებაზე ისინი სასურველი სტუმრები—ამხანაგები იქნებიან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაწყვეთ ისე, რომ ამ მოხსენებას იმათ გვერდი არ აუხვიონ, ეროვნულ ... ორმე
რაც შეიძლება ბლომად დაესწრონ იმათგან.

„სხვა აქ ახალი ის არის, რომ პეტერბურგი, მოსკოვი, ივანო-ვოზნესენსკი,— ეს ჩვენი პროლეტარული ცენტრები იწყებენ აბობოქრებას; ნელს, მაგრამ განუწყვეტელი ტალღების გზავნას...

ძალიან იზრდება მოთხოვნილება მუშებში ჩვენს გაზეთებზე; და საერთოდ რევოლუციონურ-პროლეტარულ პრესაზე, ლიტერატურაზე; აგიტატორ-პროპაგანდისტებზეც აგრეთვე.

დიდი ხალისით შემოდიან მუშები ჩვენს ორგანიზაციებში, ჩვენი რიგები ძლიერდებიან.

მაგრამ ეს არ ეპარება მტრებსაც. ათას ყურს იბამენ და ეს ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობასაც, აფხიზლებს მებრძოლ პროლეტარიატსაც...“—ასკვნის ვლადიმიროვი წერილს.

— გოგიც გაგვიჯავრდება, და ვლადიმიროვიც პასუხის დაყოვნების გამო-ორივეს წერილი სერიოზულია და პასუხიც სასწრაფოთ არის საჭირო. და მეც ამიტომ გადავწყვიტე საპასუხო წერილების ამ საღამოთი დამზადება.—მიუგო სოფოს პართენმა, და ქიმიური ფანქარი მოიმარჯვა ხელში საწერად.

— გოგის მეც, მეც მივწერ! მხოლოდ მე ამას ხვალ ვიზამ... მის კონვერტს ნუ დახურავ, პართენ, ზენთან ერთად ჩავდებ შიგ ჩემს წერილსაც!—უთხრა სოფომ და ამ სიტყვებით ბავშვებთან ერთად ოთახიდან გარედ, ქუჩაში გამოვიდა, ვოლგის ნაპირებისაკენ გაემართა.

პართენი წერას შეუდგა.

4

ზამთრის მიწურულია. ქალაქის ღარიბი ნაწილი შუა ზამთარშიც ვერ ათბობდა ბინას საკმაოდ, თორემ მით უმეტეს ახლა, ამ მარტის რიცხვებში, ზამთრისა და გაზაფხულის ამ მიჯნაზე ვინ „შეიწუხდება“ მისთვის თავს...

მარტის სუსხიანი ღამეები კი ისე, თითქო კიდევ უფრო აჭერდენ ადამიანის სისხლსა და ძვლებს. მეტადრე, როცა ცა მოწმენდილი იყო, მთვარით მოკაშკაშე ღამეები იდგა.

ამალამაც ასე მოწმენდილია ცა და მთვარიანი.

სძინავს ქალაქს, ყველაფერი სდუმს. ყრუდ ნოისმის შორიდან მხოლოდ მანევრებზე მყოფ ორთქლმავლების ქმენა და ხანგამოშვებით მოწყვეტილი კივილი. აგრეთვე წამავალ და მომავალ მატარებლების ხრიალი.

ამ დროს სწორედ, იქით, ქალაქის ცენტრზე მოშორებით, ვოლგის ნაპირას, მუშის ბინაზე საიდუმლოდ თავი მოუყრია პარტიიცების ვიწრო ჯგუფს და იხილავს რევოლუციის ამოცანებს. მსჯელობენ შექმნილ მდგომარეობაზე. აფასებენ მომენტს. უფარდებენ რევოლუციის საერთო ხასიათის ამოცანებს სარატოვის ორგანიზაციაში შემავალ ტერიტორიის პირობებს... ცდილობენ გადასჭრან რევოლუციის მოსამზადებელი პრაქტიკული საკითხები ადგილებზე...

მოკაშკაშე მთვარის ცივი შუქი ახლა მათი ოთახის ფანჯრიდან ... ოთახში შედის და ნავთის სუსტ, ყვითელ სინათლეს ანელებს, ნთქავს.

ვოლგის ნაპირებს ისევ ეკიდებიან ყინვები და სისინებს ჩრდილოეთის ცივი ქარი.

— მოვრჩეთ ამხანაგებო, თორემ, გავიყინებით.—სთქვა კრების ერთმა წევრმა ხმადაბლა და ხელი-ხელში შეიდო, თითები მოკუმშა, მოიფშვნიტა, შემდეგ ტუჩებთან მიიტანა და პირიდან ამოშვებულ თბილ ორთქლს მიუშვირა.

— ვითომ კრების შემდეგ გავთბებით?—იკითხა მეორემ სარკასტიული კილოთი.

და შეიქნა ჩუმი, შინაურული ლაპარაკი მჭიდროთ ერთმანეთთან მიმსხდარ ამხანაგებს შორის:

— ...კრების შემდეგ ჩვენ, ჩვენ ბინებზე მოგველის კი გათბობა?

— რა თქმა უნდა მოგველის!.. შინ ლოგინებში მაინც ჩავწვებით და ხელები და ფეხები არ გაგვეყინება...

— ჰო, ეს კი... ეს მართალია...

— ჩემს ფეხებთან ბავშვი წვება და მათბობს..

— მე ბავშვი არა მყავს, მაგრამ ცოლი...

— თქვენ მაშ კარგად გქონიათ საქმე ოჯახში. მე კი შინაც არ მომელის გათბობა, რადგან არც შვილი და არც ცოლი მე არ მყავს, და რაც მთავარია—ქვეშაგებელიც ცუდი მაქვს.

— მეც ამ მდგომარეობაში ვარ თითქმის.

— მეც ამხანაგო...

— ...დამშვიდდით, ნუ ლაპარაკობთ ერთმანეთს შორის ამხანაგებო!.. ცოტა ხანი კიდევ მოითმინეთ და მოვრჩებით სხდომას.—შენიშნა თავმჯდომარემ მათ...

ამ შენიშვნაზე ყველანი გაჩუმდენ და თავმჯდომარისაკენ მიაპყრეს თვალები.

— ამხანაგებო! წინადადება არის შემოსული,—გაფართოებულ კრებაზე, რომელსაც ჩვენ ამ დღეებში გავმართავთ, პირველ კითხვად იქნას დასმული კომიტეტის გადარჩევა.—აცხადებს თავმჯდომარე.

— კი, გადავარჩიოთ უნდა!

— გადავარჩიოთ!

— მისალებია წინადადება!

— უფრო ადრეც უნდა გვექნა!

— კი, უფრო ადრეც იყო საჭირო!

— ...მაინც რა შეიცვლება ამ გადარჩევით?

— ღირს კი ამისათვის „ციებ-ცხელების“ გავლა?..

— ჰო, აბა...

ალაპარაკდენ კრების წევრები. მოიწონეს თავმჯდომარის განცხადება. გაშოჩნდენ აგრეთვე ელემენტები, რომლებიც ცივად, სანახევროდ უარყოფით შეხვდენ მას.

მაგრამ დიდმა უმეტესობამ დაადასტურა წინადადება.

აშკარა წინააღმდეგ გამოსვლა მაინც არავის გაუბედავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხვა საერთოდ კრებამ მომწიფებულად იცნო.

— ...არც ერთი ლიკვიდატორი—პარტიის უარმყოფელი, რევოლუციონური საქმეების გვერდის ამხვევი არ უნდა გაჭაჭანდეს ჩვენს კომიტეტში! ეყოფათ მათ კონსერვატიზმისა და ლიბერალიზმის წისქვილზე წყალის სხმა!—მტკიცედ, სერიოზულად, აწეული კილოთი, მაგრამ დამშვიდებული ასკვნის ერთი ორატორი, რომელსაც თავმჯდომარემ გაუგებრობის გასაფანტავათ და განმარტების მიზნით პატარა სიტყვა მისცა ამ კითხვის ირგვლივ.

— კი, კი. არც ერთი!

— ისინი თითონაც არ მოისურვებენ ამ არალეგალურ კომიტეტში შემოსვლას...

— ჰო, მართლა, ისინი „ოფიციალურობას", „ლეგალურობას" ეტანებიან, და ჩვენ არც „შეგვაწუხებენ"...

შეიქმნა კვლავ უწესრიგო ლაპარაკი ერთმანეთ შორის.

— მართალია, მართალი...

— სცდებით ამხანაგებო! არაა მართალი ეს!

— არაა მართალი ეს ამხანაგო ივანენკო?... ლიკვიდატორები, პარტიისა და რევოლიუციონური მუშაობის უარმყოფლები შეეცდებიან აბა ჩვენს არალეგალურ კომიტეტში შემოსვლას?

განაგრძობენ დავას ამხანაგები ისე, რომ თავმჯდომარისაგან ნებართვის აღება არ სჭირდებათ. უკანასკნელსაც თითქო ავიწყდება ეს როლი.

— კი, თქვენ სცდებით. ამხანაგი ნიკიტა მართალია...

— ჰო, როგორ გულუბრყვილოდ აქვთ თურმე ამხანაგებს წარმოდგენილი საქმე...

— ლიკვიდატორებს პარტიაში და მის ხელმძღვანელ კომიტეტებში უნდათ შემოიტანონ ეს დამბლა დამცემი, ლიბერალური იდეები და პოლიტიკური ხაზი, გადააგვარონ, გახრწნან მებრძოლი პროლეტარული პარტია! და არა, რა თქმა უნდა, პარტიისა და ჩვენი საზოგადოებრივობის გარეშე...

— დიახ, ამხანაგებო... ფასი ლიკვიდატორულ, ანტირევოლიუციონურ იდეებს ლიკვიდატორებისათვის და თვით მეფური მთავრობისათვის პარტიაში აქვს. მნიშვნელობა მას პარტიის ყოველდღიურ შინა-პრაქტიკულ მუშაობაში აქვს და არა მის გარეშე.

— ჰო, ახლა გასაგებია...

— აქ მეც ვეთანხმები პართენს; ისინი,—ლიკვიდატორები, რა თქმა უნდა, შეეცდებიან პარტიის ხელმძღვანელ მწვერვალზე მოქცევას, მის დაპყრობას... და ჩვენ აქ ფხიზლად უნდა ვიყოთ.

— არც იმდენი საფრთხე გველის მართლა იმათგან, რომ ღირდეს ასე „ოოფ-იარალის" ასხმა...

— სწორია ასკანაზის შენიშვნა... და მე ვფიქრობ ამხანაგებო, რომ ამ ნიადაგზე ბრძოლა ლიკვიდატორებთან ჩვენ არ მოგვიხდება. ისინი ჩვენს არალეგალურ ორგანიზაციებში დარჩენას და ჩვენი რევოლუციონურ საქმეებისათვის ცქერას არ მოისურვებენ... მოხდება კი ის, რომ ისინი ჩვენი ორგანიზაციის გვერ-

დით დაარსებენ თავიანთ ლეგალურ-პროლეტარულ ორგანიზაციებს და შეეცდებიან თავიანთი „კულტურულ-განმანათლებელი, უხიფათო“ მუშაობა [illegible]... აქ ჩვენ მათ იდეურად დაუპირისპირდებით. მაგრამ საქმის გამწვავება და დაჯახება არ მოგვიხდება და არცაა საჭირო.

— ეე, ამხანაგო ბენო, შენ მაინც ვერ დაანებე თავი მენშევიკური სათვალეებით ცქერას რევოლუციის საქმეებზე... შენ ფიქრობ, ამ მიმართულებასთან „მამა-შვილური“ დამოკიდებულება დაიჭირო? ისე ებრძოლო ამ მავნე მიმართულებას, რომ მის ავტორებთან არ გაამწვავო საქმე?.. მაგრამ ისინი თითონ ხომ შეეცდებიან პროლეტარიატის, მუშათა მასების დაპყრობას და აქ ჩვენ არ უნდა აღუდგეთ წინ სასტიკად?.. აბა ისე რაში დასჭირდებათ მათ ლეგალური ორგანიზაციები ჩვენს გვერდით!? და ჩვენ ამას ასე „მამა-შვილური“ კეთილი თვალით უნდა უცქიროთ?.. არა! ჩვენ უნდა დაუშალოთ, არ მივსცეთ შესაძლებლობა დაარსონ ეს გამხრწნელი, ლიკვიდატორული ორგანიზაციები!..

...სწორი ხარ, ამხანაგო პართენ, სწორი. მე მხოლოდ მინდა დაგიმატო—ამ ბრძოლასთან დაკავშირებით ისინი შეეცდებიან ჩვენს ორგანიზაციებში თავის შენახვას, ჩვენს კომიტეტებში გაძრომას. და არ უნდა მივსცეთ მათ. ამის შესაძლებლობაც!..

— ყოჩაღ მურადბეკოვ! ჰო, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ... ჩვენ უნდა შეუტიოთ ლიკვიდატორებს, რომ პარტია შევინახოთ, პარტია დავიცვათ... ჩვენ აქ რათ უნდა ვერიდოთ! გამწვავება და დატაკება იმ დღიდან დაიწყო, რა დღესაც გაჩდა ეს მიმართულება. განა ამისაგან დაიფარეს თავი ჩვენებმა პეტერბურგში, მოსკოვში და სხვაგან?! იქ აქვს ხომ უკვე ადგილი შეჯახებებს და ორ მოწინააღმდეგე გაზეთს. ტყუილია! ჩვენ თუ დავიცავთ ჩვენ პოზიციას, გამწვავებებს და შეჯახებებს გვერდს ვერ აუხვევთ. ასეთი მორიდებები, ორჭოფობა და შიში ჩვენ არ გვარგია!

— ...მართლა, თუ ჩვენ გვინდა პარტიიცობა, საქმით წინ აღუდგეთ ლიკვიდატორებს, – უნდა თავი დავანებოთ ბრძოლის მენშევიკურ მეთოდებს, უნდა გამოვეთხოვოთ მენშევიკურ ლიბერალობას და ბოლშევიკურ შეურიგებელ, რევოლიუციონურ-კლასობრივ ხაზზე უნდა შევდგეთ ფეხით მაგრათ და ისე ვისაქმოთ.

— არ მესმის... როგორ, ამხანაგებო!—პარტიიცი რომ იყო, ამისათვის ბოლშევიკიც უნდა გახდე? მენშევიკობას თავი უნდა დაანებო!? განა პარტიიცობა ბოლშევიკობას ნიშნავს? მენშევიკი არ არის პარტიიცი?.. პლეხანოვი პირველი პარტიიცი არ არის?.. თქვენ ხომ არ გგონიათ, მან დაანება თავი მენშევიკობას და ბოლშევიკი გახდა??. და აი, სწორედ ისეთი პარტიიცი ვფიქრობ ვიყო მეც... მე ვარ მენშევიკი პარტიიცი!

— ჰო, კარგი, ნუ ცხარობ ამხანაგო ასკანაზ... რა თქმა უნდა, პარტიიცი, რომ იყოთ, ლიკვიდატორების წინააღმდეგი რომ იყოთ, ამისათვის არავინ არ მოგთხოვთ ბოლშევიკი გახდეთ აუცილებლად. თუმცა...

— არა, მიხეილ, სასურველი და მიზანშეწონილიც უფრო იქნებოდა—პარტიიცობისათვის გაბოლშევიკებაც. ხომ სადაო არ არის ის, რომ ლიკვიდატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული ხე ამოვიდა მენშევიზმით განოყიერებულ მიწაზე; რომ ... და გაზარდა მენშევიზმმა.

— კი, ამხანაგებო... ჩემთვის ახლა ცხადი გახდა, ეს ლიკვიდატორობა იშვა მენშევიზმის ნიადაგზე... მენშევიზმის ლიბერალურმა, „ჭკუის სიმძიმემ" მიიყვანა პარტიის თავები პარტიის ამ უარყოფამდე... აბა, რატომ ბოლშევიკებში არ აღმოჩდნენ ეს ლიკვიდატორები!?. რატომ ბოლშევიკებს არ ჰყავს პარტიის ეს უარმყოფლები?.. და ამხანაგებო—მე მუშა, უბრალო მუშა, აი, ამ კრებაზეც ვაცხადებ როგორც პარტიიცი, ლიკვიდატორების მტერი, ვეთხოვები, ვტოვებ მე ჩემს მენშევიკობას, ეს იქნება დამამტკიცებელი საბუთი იმისა, რომ მე ჭეშმარიტი პარტიიცი ვარ.

— ...ვისაც როგორ გენებოთ, ამხანაგებო, მაგრამ მე კი ვრჩები მენშევიკ პარტიიცათ და ლიკვიდატორების მოწინააღმდეგეთ. მე ვერ მივბაძავ ამხანაგ სპირიდონს. პლეხანოვი აქ ჩემთვის უფრო დიდი ავტორიტეტია, ვიდრე ამხანაგი კოჩუბინსკი და სხვები. მე ვერავინ ვერ გადმომარწმუნებს იმაში, რომ მენშევიკობა შემიშლის ხელს, ვებრძოლო პარტიაში გაჩენილ ამ მავნე მიმართულებას—ლიკვიდატორობას... და ჩემთვის ვერ იქნება დამაჯერებელი ის „თეორია", რომელიც ამბობს, რომ ლიკვიდატორობას „ბაზა" მენშევიზმმა მოუმზადაო...

— კაცია და გუნება, ამხანაგო ბენო... მაგრამ ეს თეორია როდი, თვალებში მცემი, ულმობელი სინამდვილეა...

მთელი ეს ლაპარაკი და დავა ამხანაგებს შორის თავმჯდომარის ნებართვის გარეშე სწარმოებდა. ისე, რომ თავმჯდომარე არა თუ შეეცადა წესრიგის აღდგენას, პირიქით, თითონაც აყვა კრების ამ უწესრიგო სჯა-ბაასს, კიდევ მეტი. მას თითქო დაავიწყდა კიდეც, რომ თავმჯდომარე იყო კრების.

— ...ამხანაგო თავმჯდომარე! ამხანაგო თავ-ჯდო-მარე!!. აამ-ხანაა-გო თავ-მჯ...აა...რეე...რეეე!!.

თხოულობს კარგა ხანია კრების ერთი წევრი თავმჯდომარის ყურადღებას, მაგრამ არ იქნა, ვერ მოიქცია თავისკენ იგი.

დავაში გატაცებულ კრების დანარჩენი წევრებიც თავმჯდომარისადმი მიმართულ ამხანაგის სიტყვებს მხოლოდ ნაწყვეტებათ, დაუსკვნელ ასოებათ ისმენდენ.

— ...აა! მე მეძახით, ამხანაგო?

ბოლოს, რამდენჯერმე კიდევ მიმართვით, როგორც იყო მოახედა თავისაკენ მან თავმჯომარე.

— ...მე სულ დამავიწყდა, რომ თავმჯდომარე ვარ. სიტყვა გსურთ? თქვით, ამხანაგო! განა აქ ახლა თხოულობს ვინმე ნებართვას?!. არის ეს საჭირო?—უთხრა თავმჯდომარემ მომმართველ ამხანაგს ღიმილით და კრებას გადახედა.

აქ ახლა ყველამ შესწყვიტეს ლაპარაკი და თავმჯდომარისაკენ მიაპყრეს ყურთა სმენა. აგრეთვე იმ ამხანაგსაც ესროლეს თვალთა ისრები, რომელიც თავმჯდომარეს მიმართავდა.

— არა, მე სიტყვას არ ვთხოულობ, მე მინდა მოგაგონოთ მხოლოდ კრების წესრიგის დაცვა... ჩვენ ამ გვარ უწესრიგო ლაპარაკით მოვწყდით ჩვენი

მსჯელობის საგანს. რაზედაც ჩვენ ვმსჯელობდით, ჯერ ის არ ამოგვწურავს და სხვაზე გადავხტით... თქვენ ამხანაგებო, მგონი მოგეხსენებათ, [illegible] დგას დღის წესრიგში მეორე კითხვა ამაღამ გადასაწყვეტი... მიუგო მან თავჯდომარეს და ბოლოს შენიშნა კრებასაც.

— რატომ ამხანაგო, რაც ჩვენ ახლა ვთქვით და ვიმსჯელეთ, ეს არ იყო ნაკლებ საინტერესო სხვა კითხვებზე. პირიქით ეს იყო მთავარი.

— მართალია!

— მართალია, მართალია!..

— არა უშავს მაინც... ასე პატარა შინაურულ კრებაზე, არ არის ძალიან აუცილებელი თავმჯდომარეობა და კრების წესრიგის ფორმალური მხარის დაცვა...

— ... კი, ჰო, რა უჭირს მერე, რომ გზადაგზა სხვა კითხვებსაც შევეხოთ და გავარჩიოთ...

— არა ხართ თქვენ, ამხანაგო, სწორი! ამხანაგის შენიშვნა მართალია... აბა, ასე უწესრიგოდ თუ ვილაპარაკეთ, გათენებამდის აქ მოგვიხდება ყოფნა და ვერავითარ გადაწყვეტილებასაც ვერ გამოვიტანთ. ამასთანავე გავცივდებით და ავად გავხდებით ყველანი, თუ ასე დიდხანს დავრჩით ამ ცივ ოთახში.

— ესეც მართალია!..

— მართალია კი!

— მართალია!

ხელახლა შეიქნა უწესრიგო ლაპარაკი კრების წევრებს შორის.

— კარგი! გეყოფათ ამხანაგებო!—მოუწოდა თავმჯდომარემ კრებას.—საჭიროა დავიცვათ მართლა წესრიგი; ანარქისტები ხომ არა ვართ!?. უნებართვოთ მეტს აღარავის აღარ მოგცემთ ლაპარაკის ნებას.

— კი, უნდა დავიცავთ წესრიგი.

— უნდა დავიცვათ, უნდა დავიცვათ...

...ჩვენ ახლა მოვრჩეთ ბარემ პირველ კითხვას და გადავიდეთ შემდეგ კითხვაზე. შემდეგი კითხვა ამხანაგებო არის; ჩვენი პატარა გაზეთის რედაქციის ლიკვიდატორებისაგან გაწბენდა. თუ წესრიგს არ დავიცავთ, ამაღამ ამ კითხვას ვერ გადავჭრით. და ამ კითხვების სასწრაფოდ გადაჭრას კი თხოულობს ცენტრიც.—განაცხადა თავმჯომარემ...

კრება ამ რიგად დაუბრუნდა პირველ კითხვას და შეჩერდა იმ ადგილას, საცა უკანასკნელმა ორატორმა სთქვა, რომ კომიტეტში არც ერთი ლიკვიდატორი არ გავაჭაჭანოთო.

მაგრამ ამ საკითხისთვის მათ დრო არ მოუნდომებიათ. დრო შეიწირა მხოლოდ დადგენილების ფორმაში ჩამოსხმამ და მისი კრების ოქმში შეტანამ.

კრება გადავიდა შემდეგ საკითხზე.

შემდეგი საკითხი ეხება გაზეთის რედაქციის შემადგენლობას.

რედაქციის საკითხიც ისეთივე პრინციპის საქმე და ხასიათისაა, როგორც კომიტეტის იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტის ირგვლივ გამართული კამათი და ამხანაგებს ერთ ერთ დაკავებული პოზიცია საზღვრავდა და აყალიბებდა რედაქციის მიმართ პოზიციასაც.

სადაო და საკამათო ახლა კრებას აღარაფერი ჰქონდა.

მენშევიკ-პარტიიცების ის უმნიშვნელო უმცირესობა, რომელიც არ იზიარებდა მთლად ლიკვიდატორების მიმართ აღებულ პოლიტიკურ ხაზს, უძლურად გრძნობდა თავს და აღარ ცდილობდა კითხვის გამწვავებას, გაჭიანურებას. თანახმათა პოზა მიეღოთ.

მაშ, საჭირო იყო ახლა მხოლოდ პატარა ინფორმაცია და დადგენილების მიღებაც ხელად იქნებოდა.

თავმჯდომარემაც ამიტომ ინფორმაციისთვის სიტყვა მისცა რედაქციის წარმომადგენელს ნადეჟდა გალუბევას.

ეს ის ნადეჟდა არის, რომელსაც ჩვენ ზევით გავეცანით სოფო-პართენის შინა-ოჯახური დამოკიდებულების დახასიათების დროს.

ნადეჟდა რამდენიმე თვეა სამარაში აღარ არის, სარატოვშია გადმოყვანილი და ეწევა მუშაობას რედაქციაში.

იგი ჟურნალისტიკის საქმეში მცოდნე, დახელოვნებული ქალი არის.

ნადეჟდამ გააცნო კრებას გაზეთის გამოცემის ისტორია და რედაქციის მუშაობის პირობები.

... პატარა ფორმატისაა კომიტეტის ეს ბეჭდითი ორგანო. იგი კვირაში ერთხელ გამოდის ნახევრად არალეგალურად.

თანხა მის გამოსაცემათ მოგროვილ იქნა სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრთა და თანამგრძნობთა ღარიბი ჯიბეებიდან.

რედაქციის შემადგენლობის რიცხვი პირველად განისაზღვრებოდა ხუთი წევრით, მაგრამ შემდეგ პრაქტიკამ მოიტანა მისი შემცირება. ამოდენა რიცხვის საჭიროების მიხედვით ხშირად ერთად არალეგარულად თავის შეყრა და კოლექტიური აზრების გამოტანა ვერ ხერხდებოდა არსებული, მძიმე იატაკქვეშურ პირობებში. ერთობ ბრკოლდება საგაზეთო საქმეები... და ხუთი წევრი რედაქციისა, კომიტეტის განსაკუთრებული დადგენილებით, ჩამოყვანილი იქნა სამზე.

— ...ეს სამი წევრი, ამხანაგებო, მიმართულების მიხედვით ასე იყოფიან: ერთი ბოლშევიკია, მეორე მენშევიკი-პარტიიცი, ხოლო მესამე მენშევიკი-ლიკვიდატორია. უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი, უწევს რა ანგარიშს თავის მოპირისპირე უმეტესობის აზრს, ძალიან იჭერს თავს თავის ლიკვიდატორული აზრების წარმოთქმისაგან... თუმცა წამდაუწუმ კი გვაგონებს: მე ზედმეტი ვარ. მე გამომცვალეთ, მომხსენით. მე ვერ შევძლებ თქვენი პოლიტიკური ხაზის გატარებასო... აი, ამხანაგებო, ყველაფერი, რისიც კი ჩვენი გაზეთის გარშემო იყო თქმა საჭირო.—დაასკვნა ნადეჟდამ.

— ...ვინ არის ეს ამხანაგი?—იკითხა კრების ერთმა წევრმა.

— სერაფიმოვია, ჩვენი აქაური ძველი სოციალ-დემოკრატი ჟურნალისტი. —მიუგო ნადეჟდამ.

— როგორ! იგი განა ლიკვიდატორია!..

— ეეჰ, ეს კი სამწუხარო ამბავია...

— აბა, ჰო... მაინც, რომ არ ეტყობა მას ლიკვიდატორული განწყობილება!

— ლაპარაკი და პირადი დამოკიდებულება თურმე არაფერს არ ამქლავნებს ხშირად...

მოისმა გაკვირვებისა და უსიამოვნების გამომხატველი სიტყვები სხვადასხვა სკამებიდან.

— ლიკვიდატორობა, ამხანაგებო მის ლაპარაკში თუ პირად დამოკიდებულებაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მის პრაქტიკაში... არავინ ლიკვიდატორი არ გეტყვის, ლიკვიდატორი ვარო...

— მართალია, პრაქტიკაში უნდა დავინახოთ იგი!

— ...პრაქტიკაშიც რომ არ აჩენს სერაფიმოვი თავის ლიკვიდატორობას?!.

— როგორ არა ამხანაგებო, აჩენს. ყოველთვის გაურბის იგი ფარულ კრებას—თავშეყრას. აკრიტიკებს სტოლიპინის წინააღმდეგ მიმართულ საგიტაციო რევოლიუციონურ მოწოდებას. მხოლოდ პროფკავშირულ პოლიტიკურ მუშაობას და მუშებისათვის საზოგადოებათ-მეცნიერების შემსწავლელ საღამოს კურსებს იწონებს, რომლის ნებას ასე თუ ისე მთავრობა რთავს.

— ...როდის და სად გამოსთქვა მან ასეთი აზრი! ან როდის იყო, რომ უარი სთქვა ფარულ კრების მონაწილეობაზე!.. მე მას ახლო ვიცნობ და რატომ არ ვიცი ეს!..

— ნუ იკვირვებთ ამხანაგებო!.. კი გამოსთქვა; აი მისი სიტყვები: „რევოლიუცია, რევოლიუცია, ოოო, ეს ფრაზები... გათავდა რევოლიუცია, დავანებოთ თავი ამ რევოლიუციას, ახლა სხვა პირობებია; უნდა შევისწავლოთ და გამოვიყენოთ იგი... მოუფრთხილდეთ ჩვენს ფიზიკურ არსებობასაც... ახლა სხვა მეთოდებია საჭირო მუშათა კლასის გასაბატონებლად“-ო.—და რა არის ეს, თუ არა პირწავარდნილი ლიკვიდატორობა!

— მართალს ამბობს ამხანაგი რავიჩი... ჩემთვის თუმცა არავის არ დაუვალებია ეს, მაგრამ მე მაინც ვთხოვე სერაფიმოვს წამომყოლოდა ამ კრებაზე (შემთხვევით შემხვდა გზაში) და უარი მითხრა,—„არა, ძმავ, მე თქვენი დევნის თავი არა მაქვს. თქვენი ეს ნაბიჯი ავანტიურაა და არაფერი მეტი... მაგ კრების ნაცვლად აჯობებდა ბევრად, რომ პატარა მუშათა წრისათვის ლეგალურ საღამოს კურსებზე კულტურის ისტორიის შესახებ ლექციები წაგეკითხათ“— აი რა მიპასუხა...

— მან არ იცის მერე, რომ ჩვენ ასეთი ლექციების წაკითხვაზეც არ ვამბობთ უარს მუშათა ლეგალურ საღამოს კურსებზე და ამ კურსებსაც ვმართავთ?!

— ამხანაგებო! რა ამბავია, კიდევ უწესრიგო ლაპარაკი ნუ დაიწყეთ!— მოუწოდა მოდავე ამხანაგებს თავჯდომარემ კვლავ—...დაასახელეთ მაშ სერაფიმოვის ადგილზე კანდიდატი, და კითხვაც ამოწურული იქნება.

წამოაყენა კრებამ კანდიდატი...

ეს კანდიდატი იყო ბოლშევიკი—პართენი.

პართენმა აქ უხერხულად იგრძნო თავი, დაიმორცხვა. მან აგრეთვე უზიდავ ტვირთად, თავისთვის შეუფერებელ საქმედ იცნო ეს.

— ...კი, მაგრამ, მე ამხანაგებო, მწერალი არა ვარ, ჟურნალისტი არა ვარ; მე არაფერი არ გამეგება გაზეთის საქმის. და როგორი მუშაკი ვიქნები მე რედაქციის... სხვა ვინმე, მცოდნე დაასახელეთ, ამხანახებო...—სთქვა პართენმა გაუბედავათ.

— როგორ არ იცით!..

— კი, თქვენ იცით წერა!

— ჩვენ წაგვიკითხავს, პართენ, თქვენი დაწერილი სტატიები ჩვენს გაზეთში.

— დიახ, ძალიან კარგი მუშაკი იქნებით რედაქციის!..

— სწორედ თქვენისთანა მტკიცე პრინციპის პატრონი და მაგარი ბოლშევიკი უნდა რედაქციას...

ესროლეს სკამებიდან თბილი რეპლიკები პასუხის სახით პართენს.

პართენისათვის მოულოდნელი იყო ეს, გაუკვირდა...

„საიდან შეეძლოთ მათ გაეგოთ, რომ მე ვწერ! სახელსა და გვარს ხომ არ ვაწერ წერილს?!. ფსევდონიმს ვაფარებ მას...“—

ამბობს პართენი თავისთვის განცვიფრებით.

პართენს, მართალია, ჰქონდა რამდენჯერმე პატარა სტატიები მოთავსებული ადგილობრივ მუშათა გაზეთში, მაგრამ მისი ხელმოწერა, როგორც ავტორის არ იყო გამომჟღავნებული, და როგორ მოხდა ახლა, რომ იციან ამხანაგებმა ეს საიდუმლოება!

არც იყო ეს სასურველი ბოლოს და ბოლოს...

მაინც, მართლა, ნუ თუ, ასეთი კარგი იყო ეს წერილი, რომ დაინტერესდა ამხანაგების ფართო წრე?—

კი, მოეწონათ, ერთობ მოეწონათ სტატიები ამხანაგებს, ფსევდონიმით ქვეშ მოწერილი, რომლებიც ეხებოდენ რევოლიუციის ახალ აზვირთების დასაწყისს, პოლიტიკური ბრძოლის ტაქტებს და მუშათა ორგანიზაციის მშენებლობას...

მათ იკითხეს რედაქციაში ავტორის ვინაობა.

ნადეჟდამ იცოდა ეს საიდუმლოება და გაუმხილა მათ...

მაგრამ ამით ხომ დაარღვია რედაქციის ეთიკა მან?!.

ნადეჟდამ ვერ შესძლო დაფარვა სტატიით აღფრთოვანებულ ამხანაგებთან, სტატიის ავტორის ვინაობის... და მან აქ გაბედა ამ „დანაშაულის“ ზიდვა.

მე, ამხანაგებო, რაღაც ისე, შემთხვევით, ორი-სამი უმნიშვნელო სტატია, რომ დამიწერია, ეს არ იძლევა საბუთს გაზეთის მუშაკათ გამოვდგე... როგორც გენებოთ, ამხანაგებო... მე მზად ვარ ყველაფერში და ყველაფრით ვემსახურო ჩვენს პარტიას და რევოლიუციას. მე მხოლოდ მაფიქრებს ის გარემოება, რომ ჩემი მუშაობა, ამ ჩემთვის უცნობ საქმეზე არ იქნება ნაყოფიერი.—მიუგო პართენმა ამხანაგებს რეპლიკებზე მორჩილებით.

— გაზეთისა და რედაქციის ტახნიკურ საქმეებს გაგაცნობენ ამხანაგები, პართენ... აგერ, თითონ ნადეჟდა და სხვები...—უთხრა მას კრების ერთმა წევრმა.

— კი, ჩვენ შევაძლებიებთ ამ საქმეს მას... და ძალიან სასურველი მოშაკიც იქნება ამხანაგი პართენი რედაქციის.—დაუდასტურა ნადეჟდამაც აზრი ამხანაგებს.

ნადეჟდასათვის, განსაკუთრებით, სასურველი კოლეგა იყო პართენი რედაქციაში...

ნადეჟდა ახლა პართენს ხომ ახლობელ მეგობრად სთვლის, საკმაოდ ახლობელ მეგობრად...

— ...მაშ, ამხანაგებო, წინადადება მიღებული არის! ამხანაგი სერაფიმოვი იხსნება და მის ადგილს იჭერს ამხანაგი პართენი!—კითხულობს თავჯდომარე.

— მიღებულია, მიღებულია!..

არის საერთო პასუხი სკამებიდან.

— ამხანაგო თავჯდომარე, სიტყვის ნება!

— ინებეთ, ამხანაგო!..

— ამხანაგებო, მე ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება, თუ ამ გადაწყვეტილებას ახლა სისრულეში არ მოვიყვანთ, და გადავიტანთ მას მომავალ გაფართოებულ კრებაზე ჩვენი ასე კოლექტიური აზრით. და დაუკავშირებთ მას კომიტეტის გადარჩევას.—სთქვა კრების ერთმა მონაწილემ.

— კი, რა თქმა უნდა, ასე მოვიქცევით... აქ ამავე დროს, შესაძლებლობის საზღვრებში დემოკრატიული პრინციპიც იქნება დაცული... არც რამე წახდება ასე პატარა დაგვიანებით.—დაუმატა მეორემ.

— ...ეს კრება ამხანაგებო, საინიციატივო-სათათბიროა. აქედან ცხადია ისედაც, რომ ამ კრებაზე ჩვენ არ ეწყვეტავთ არაფერს, აქ მხოლოდ ვამუშავებთ აზრს წინასწარ ერთი მიმართულების ამხანაგები, რომელიც უნდა გავატაროთ შემდეგ „კანონიერ“ კრებაზე. ეს „კანონიერი“ კრება ჩვენი კომიტეტის უკლებელი შემადგენლობაა და ამიტომ ზედმეტი იყო ამხანაგების სიტყვები ამის შესახებ. უპასუხა პირველ ორს კრების მესამე წევრმა.

თავჯდომარემ აქ აღარ იცნო საჭიროდ შეჩერება.

კრება საერთოდ დაკმაყოფილდა უკანასკნელი ორატორის მიერ განმარტებით.

ამით ამოიწურა კითხვები და კრებაც დაიხურა...

ჩუმად, ცალ-ცალკე, ფეხ-აკრებით გავიდენ ოთახიდან, გარედ, ქუჩაში ყველანი.

ახლა მთვარე უკვე აღარ იყურებოდა ჰორიზონტიდან. მხოლოდ ვარსკვლავები ღა ციმციმებდენ მაღლა, მოწმენდილ შორეულ სივრცეში.

ნაშუაღამევის მეორე საათი იწყებოდა.

ბნელოდა.

ქალაქის სუსტად მბჟუტავი სანათურები ვერ ერეოდენ ღამის წყვდიადს... და მოშორებით მცხოვრები კრების მონაწილენი, მით უმეტეს, ქალაქის არა მკვიდრნი მათ შორის, იბნეოდენ ქუჩებში...

ამიტომ იყო, რომ ზოგიერთი მათგანი გზაში შეაჩერდენ „წესიერების დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცველს“ და ჰკითხეს,—რომელი მიმართულებით წასულიყვენ, რომ თავიანთ ქუ-ჩებზე ამოეყოთ თავი.

ამ გარემოებამ ბოლოს ის მოიტანა, რომ შემთხვევით გზათ გამვლელმა „დამცველთა განყოფილების“ აგენტმა დაბნეულ ამხანაგებს ყურადღება მიაქცია.

აგენტმა იცნო ისინი, როგორც საეჭვონი.

ნაშუალამევს ქუჩაში გამოფენა უდასტურებდა მას ამ ეჭვებს.

აგენტი მიუახლოვდა „წესრიგის დამცველს“, რაღაც უთხრა ხმადაბლა და მისივე თანხლებით საპოლიციო ნაწილში წაასხა ისინი.

ამ რიგად, კრების სამი მონაწილე, ბინებზე დაბრუნების ნაცვლად მოხვდენ აშმორებულ, ამტვერიანებულ საპოლიციო ნაწილში, რომლებიც ახლა მორიგე პოლიციელს „ჩვენებას“ აძლევდენ...

პოლიციამ გამოარკვია მათი ვინაობა.

დაკავებული პირები აღმოჩნდენ პოლიტიკური გადმოსახლებულნი: ერთი კიევიდან,—კოჩუბინსკი, და ორიც ამიერ-კავკასიიდან—ასკანაზი და მურად-ბეკოვი.

ყველაზე სახიფათო აქ ის იყო, რომ გაჩხრეკის დროს კოჩუბინსკის ჯიბიდან ამოუთრიეს პატარა ბლოკნოტი, რაღაც ჩანაწერებით. აგრეთვე კიდევ მოსკოვიდან მიღებული, რომელიღაც ამხანაგის პატარა ბარათი.

მძიმე იყო მათი ბედი ახლა.

მაგრამ არა ნაკლებ მძიმე და გამოუცნობელი იყო ბედი სხვა ამხანაგებისაც ამათი დაკავება-გაჩხრეკასთან დაკავშირებით.

ძნელი იყო თქმა, თუ რას ნახავდენ ამ ჩამორთმეულ „დოკუმენტებში“ პოლიცია-ჟანდარმერია პოლიტიკურად საწინააღმდეგოს, თავიანთთვის საშიშარს და რა ზომებს მიიღებდენ შემდეგ.

ყველაზე უფრო „აღმოჩენილი დოკუმენტები“ აშინებდენ ასკანაზს და მურად-ბეკოვს... „იქ სწერია ალბად ჩატარებულ თათბირის შესახებ ყველაფერი. ამხანაგებს ყველას დაეცემიან თავზე დასაჭერად, და როგორ უნდა გადაირჩინონ თავები მათ, როგორ უნდა იხსნან ორგანიზაცია დარბევისაგან ამხანაგებმა?“. ებადებათ მათ კითხვა.

თუმცა მიმიკით, ჩუმად კოჩუბინსკიმ ამცნო ასკანაზს და მურად-ბეკოვს, რომ არაფერი ნტრებისათვის გამოსაყენებელი მის ბლოკნოტში არ იყო ჩაწერილი; აგრეთვე მოსკოველი ამხანაგის ბარათიც სრულებით უმნიშვნელო და უბრალო რამ იყო...

მაგრამ კოჩუბინსკის თითონ მაინც იპყრობდა რაღაც შიში.

„არ ვიცი, ეგებ სადმე ბლოკნოტში, მართლაც მაქვს ასეთი რამე ჩაწერილი, რაც ხელს შეუწყობს ზოგიერთი ამხანაგების დაპატიმრებას?.. ვიღაცეები მგონი მიწერია“...—ფიქრობს იგი, და მიუხედავათ იმისა, რომ ამხანაგები ანუგეშა, თითონ მაინც საგონებელში ვარდება.

ნადეჟდას ბინაც კარგა მოშორებით იყო კრების ადგილზე. როგორც დედაკაცის და აგრეთვე ქალაქისაც არა მკვიდრის,—ნადეჟდას გაცილება აუცილებელი იყო. და ეს ვალი თავს იდო პართენმა.

თუმცა სხვა ამხანაგებიც იყვენ მზად მის გასაცილებლად, მაგრამ პართენი თითონ ნადეჟდამ ირჩია. ეს მოხდა სრულებით უბრალოდ, შეუმჩნეველად.

ქუჩაში გამოსულ ამხანაგებს შორის იგი პართენს ამოუდგა გვერდით, გაუყარა ხელი მკლავში უსიტყვოთ და მასთან ერთად გაუდგა ქუჩას, გასწია წინ.

სიცივე, ყინვა კბილებს-კბილებზე აცემინებდა მათ და ალბად ეს იყო მიზეზი უფრო მეტად, რომ ერთმანეთს არ ეხმაურებოდენ გზაში.

...ჩრდილოეთის სუსხი რომ გაეტეხათ, დაეძლიათ მისი იერიში, მათ მოუჩქარეს ფეხის ნაბიჯებს...

და ახლა, როცა ბინას დაუახლოვდენ და ჩქარა უნდა გამოემშვიდობონ ერთმანეთს, ამ სიცივეს და სუსხს ალარ გრძნობდენ, ხელ-ფეხში სითბო შეეპარათ, ალარ სცემენ კბილებს-კბილებზე.

გამოხმაურებისა და გამოლაპარაკების სურვილი მიეცათ.

—... ტანიასაც ხომ გააცილებდენ ამხანაგები? ხომ არ გაუშვებდენ მარტო?— ჰკითხა ნადეჟდამ პართენს, როცა უკვე ბინაში შესასვლელ ალაყაფის კარებთან მიაღწიეს და ხელი-ხელში მისცეს ერთმანეთს გამოსათხოვებლად.

როგორც სჩანდა მან არ იცოდა, რომ ტანია გათხოვილი ქალია და მარტო არ იყო კრებაზე წამოსული.

— რა თემა უნდა, თითონ სპირიდონი.., შენ არ იცი, რომ ისინი ცოლ-ქმარი არიან და ერთად ცხოვრობენ ბინაზე?!—მიუგო პართენმა ცოტა არ იყო გაკვირვებით.

— მართლა! არ ვიცოდი... მე ხომ ტანიას მეორეჯერაა ვხედავ კრებაზე?! სთქვა ნადეჟდამ რალაც იდუმალი კმაყოფილებით.

პართენმა უამბო ნადეჟდას, სპირიდონი თავისი ცოლის ძმა რომ არის, ხოლო ამგვარად ტანიაც თავისი მახლობელი შინაური ქალი რომ არის და სხვა.

პართენის ეს „მოთხრობა“ გამოიწვია ნადეჟდას მოცემულმა კითხვის ხასიათმა ზევით.

ნადეჟდას კითხვაში პართენს მოეჩვენა, რომ თავისი და ტანიას ახლო შინაურული დამოკიდებულება ნადეჟდას გაუგებრობას იწვევს. მაგრამ ამ მოთხრობით ახლა ეს გაუგებრობა ნადეჟდასთვის პართენის აზრით წაიშალა.

არც სცდებოდა პართენი...

ნადეჟდას დამოკიდებულება პართენთან არ ხასიათდება მარტოთ და მხოლოდ ამხანაგობით და მეგობრობით... რალაც კიდევ იყო. თუმცა ეს „რალაც“ ნადეჟდას ჯერ არ ჰქონდა შეგნებული.

ასევე შეუგნებლობით ეჩვენებოდა მას, „მოქიშპედ“ ტანიანც, და ძალაუნებურად ეს გარემოება ალაპარაკებდა.

ახლა კი პართენის „მოთხრობის“ შემდეგ ეს „ეჭვი“ მისთვის წაიშალა და ტანიას სახით „მოქიშპეც“ გაქრა.

მაგრამ ნადეჟდამ მაინც არ იცნო თავის არსებაში ეს გარემოება. დაუფარა მან თავის საკუთარ თავს, არა მხოლოდ პართენს, საკუთარ თავსაც, რომ პართენი მისთვის უფრო მეტი იყო, ვიდრე ამხანაგი და მეგობარი.

— ნახვამდის, პართენ! მეგობრულად გმადლობთ გამოცილებისათვის.—უთხრა ნადეჟდამ და პართენის ხელიდან ხელი გაინთავისუფლა.

— ნახვამდის, ნახვამდის, ამხანაგო ნადეჟდა!—მიუგო პართენმა და სწრაფად შემობრუნდა, აჩქარებით გამოჰყვა ქუჩის მეორე შტოს, რომელიც შეისკვნებოდა მესამე შტოით და ამით თავის ქუჩაზედაც დაადგამდა ფეხს, თავისი ბინის ნომერსაც დაინახავდა.

კარგა დაშორებით იყო ნადეჟდას ბინაზე პართენის ბინაც.

გაგრძელება შემდეგ.

ი. ლიბედინსკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გმირის დაგადება

გაგრძელება *).

24

ნაძვნარში უჩინარი ნაჯახი რახუნებს. განსაზღვრული, თანაბარი დროის განმავლობაში მიწყნარდება და მაშინ სხვანაირი ხმებიც გაისმის: კარვებს უკან უეცრად გაისმის ხან ბავშური წკრიალა ლაპარაკი, ხან სიცილი, გაურკვეველ, მინაზებულ ქივილ-ხივილად რომ იცვლება; ხოლო უფრო შორს, ტყეს იქით, დიდ მინდორზე, სადაც პიონერთა ტალახ-ბალახისფერი კარვები გაფანტულა, ყურს გამოძახილისა და ჰაუს ხმა სწვდება.

ბორის შოროხოვის კარავი ზედ ტყის პირსაა; თვითონ მუცელზე დაწოლილა, თვალი მოუხუჭავს, მინდორს გასცქერის და გულმოდგინედ ისმენს მას, რასაც ლოყაწითელა, შავგვრემანი ბიჭი ელაპარაკება; ამ ბიჭის ფართო სახეზე განსაკუთრებით აღინიშნება ცოცხალი, ქინიანი თაფლისფერი თვალები და პაწია, მეტის-მეტად მოკლე ცხვირი, ისეთი ოდნავი, თითქოს არც კი არსებობსო.

— კოლოსოვი ბანაკის მუწუკია. ჩვენ რომ მაგისთანა მუწუკებს შევურიგდეთ...

დახრილი ლაპარაკობს იგი და თვალში ჩასცქერის ბორიას.

— კი, მაგრამ შენი შენიშვნები, მინკა, მაზე როდი მოქმედებს. აი შენ მესამედ სწერ უკვე — და პეტკა აუცილებლად გაგლახავს.

— დე!—რაღაცნაირი აღფრთოვანებითაც კი მიუგო მინკამ.— კულაკებიც ხომ ჰკლავენ მუშკორებს, ან გასწორდეს, ან ბანაკიდან უნდა გაირიცხოს... შენ ერთი სონიასა და ლიზას ჰკითხე, როგორ უპოტინებდა იმათ ხელს...

ჩურჩულით ეუბნება ბავში და კვლავ თვალებში უცქერის ბორიას.

ბორია თვალს აუქცევს და ჰხედავს მის ფუნთუშა, ჯერ კიდევ ბავშურ მუხლს, რომლის ვარდისფრად დამწვარ კანსაც ქვიშა ჩასჩრია.

— მინკა, შენ... გიყვარს შენი დედ-მამა?

უეცრად ეკითხება ბორისი.

მინკამ ხმა არ გასცა. ბორია შოროხოვი დღეს რაღაც გაუგებარია: ის ერთ-ერთი საუკეთესო ბავში ბანაკში, ხულიგან პეტკა კოლოსოვს ექომაგება. ან ეს რა კითხვაა ახლა?

— ჰო, მიყვარს...

უპასუხებ იგი.

---

*) იხ. „მნათობი" № 10 1930 წ.

„შესაძლებელია, პიონერისთვის კარგი არ იყოს, რომ დედ-მამა ...?“.

ეკითხება იგი თავს, რაკი პიონერად თავისი თავი ან სხვა ვინმე რაზმელთაგანი კი არ წარმოუდგენია, არამედ იდეალური ბიჭი, რომელსაც სახე არ აქვს და აქვს მხოლოდ კოსტიუმი ყელსახვევით.

— მე, რა თქმა უნდა, ლენინი დედ-მამაზე უფრო მიყვარს,—ამ სამაგალითო, უსახო ბავშვის მაგიერ დაუმატებს იგი.—მაშ, როგორ იქნება ჩემი შენიშვნა, ბორია.

კვლავ უბრუნდება საუბარს.

— შენიშვნა?—გაიმეორა გაფიქრებულმა ბორისმა.— კი, მაგრამ აი რა გუსკოვო,—შენ სწერ: რაზმის მუწუკიაო. მერე დაფიქრებულხარ, ვინ არის აქ დამნაშავე? შენ, მინკა, არაფერი გიფიქრია და არც გესმის რამე...

მხურვალედ, რწმენიანი და წყნარი ხმით სთქვა ბორისმა.

გუსკოვი თავმოყვარედ წამოწითლდა, წამოდგა, მუხლებიდან ჩარჭობილი ქვიშა დაიფერთხა და ადგომის შემდეგ მოთელილი ბალახი დასტოვა, რომელიც ნელი-ნელა იმართებოდა.

— შენ, ალბად, გგონია, რომ ლაყბობისთვის გკითხე დედ-მამის შესახებ... უთხრა ბორისმა თავისი ღრმა, დამშვიდებული თვალები მიაპყრო ბავშს, რომელიც იქვე იდგა, და მზად იყო ნაწყენი წასულიყო; მხოლოდ ის მცირე ინტერესი აჩერებდა მას, აბა ბორისი რას იტყვისო, მაგრამ ამ ინტერესსაც იოლად დასთმობდა.—და არც ის იცი ხეირიანად, როგორ გიყვარს შენი დედ-მამა...—აღელვებით განაგრძობდა ბორია, და რაღაცნაირად ერთბაშად გამოიცვალა მდგომარეობა, წამოჯდა და თვისი გამხდარი ღონიერი ხელით ქვიშას დაეყრდნო.—აი, შენ გიყვარს ისინი, ორივე გიყვარს, და ვთქვათ, მამაშენმა სხვა შეიყვარა.

— შეიყვარა და დაიწყო ოჯახში საშინელი ხმაურობა და უბედურება. აბა, დაფიქრდი, გუსკოვო: ამის შედეგად—მეორე მამა გეყოლება ან მეორე დედა... და კოლოსოვიც...

— რას ჩამომეკიდე ძველი ყოფის ამ საზიზღარი რამეებით?—დაიყვირა მინკამ.—ჩემი დედ-მამა არამზადა ვინმე კი არაა, რომ ასე მოიქცეს. შენ, ბორია, რაღაც განხრას იწყებ: პეტკასაც ემხრობი და ლენინსაც... შენიშვნას კი მაინც დამიბეჭდავთ.

და იგი ხელების ქნევითა და დიდი ლაჯებით წავიდა,—ალბად ვინმე მოზრდილს ჰბაძავდა,—წავიდა ისე, რომ ბოლომდე აღარ მოუსმენია, რასაც ბორისი ეუბნებოდა; ბორისს უნებური სიცილი აუტყდა, როცა ჰხედავდა, როგორ სასაცილოდ ებერებოდა უკან შარვალი ამ ნალოლიავებ ბავშს. ბორისი ძალიან კარგად იცნობდა გუსკოვს. დედ-მამის სიყვარული და რწმენა, რომ მათი ურთიერთობა უცვლელია, აი ეს იყო მისთვის ნამდვილი, არასათამაშო გრძნობა და სიცოცხლის საფუძველი. ბორისისთვისაც ხომ ასე იყო წინედ...

ბანაკი ცოცხლდებოდა. სამზარეულოდან ფისიანი კვამლის სუნი წამოვიდა. ბორისი ჰხედავდა ბავშებს, რომელთაც ფაფითა და კარტოფილით სავსე კასრები მიჰქონდათ და თან გაცხარებით რაღაცას ჰკამათობდენ. ნაჯახიც ხანდაზ-

ბით რახუნებდა, მაგრამ ახლა მის ხლაფუნს მხიარული, მომეტებული ორისმეული ახშობდა.

ხეებში ნელა მომავალი ბერტა გამოჩნდა. ზანტად იძვროდა, ხანდახან შეჩერდებოდა, და ბორისმაც იმ ადგილს დახედა, სადაც წელან გუსკოვი იჯდა: მისგან მოთელილი ბალახი ახლა ნელი და ნაზი ჯიკავით სწორდებოდა, რაც სწორედ ბერტას სიარულს ჰგავდა. მოთელილი ბალახი სრულიად გაიმართა—ბერტაც შესდგა და გაფიქრებული ღიმილით, გაბრწყინვებული თვალებით დაუწყო ცქერა მზეს, ხეებს, ბანაკში დიდ, მწვანე ჭიახტველებივით მოფუსფუსე ბავშებს.

„უხარია...—გაიფიქრა ბორისმა ისეთის მიხვედრით, თითქოს თვით გოგოს ეთქვას მისთვის გულისნადები, თუმცა ბანაკს მისვლის შემდეგ ბერტა ვითომ გაურბოდა კიდეც მას.—აი ნამდვილად ახლა უხარია და არა მაშინ, როცა სხვებთან ერთად იცინის... თავის თავს დასცინის, რადგან ყველაზე ცუდი მარბენალია. თითქოს ბერტამ რაღაც გაახსენაო, ბორისმა გარშემოიხედა—ბალახებში მზე ბრწყინავდა: შუქითა და ჩრდილით ცახცახებდა იგი და ეს ცახცახი სიცილსა ჰგავდა; ფიჭვებს ზემოდ კი, მტრედისფერ უსაზღვრო სივრცეში ჩიტი მიფრინავდა, და მთელი ბანაკის ბავშთა ცალკეული ხმები სიცოცხლით ჰკანკალებდა და გარემოდებულს მზის ხალისში კვლავ მჭიდროდ ერთდებოდა. და ბედნიერების გამახვილებულმა შეგნებამ—ახალმა შფოთიანმა განწყობილებამ, რაც წინედ არ განეცადა—პირველად შეიპყრო იგი. და რაკი თვისი ხმელი და მხურვალე კუნთების მოცახცახე, საამო დაძაბვა იგრძნო, ერთბაშად წამოხტა.

უეცრად თვალი მოჰკრა, რომ სატრიალოსთან მისკენ ზურგით სდგას პეტკა კოლოსოვი—და ბორისს ერთბაშად ცელქური გეგმა დაებადა: გაექანა, ზურგზე შეახტა პეტკას, რომელიც მოულოდნელობის გამო იქვე წაიქცა, და ხელი სტაცა სატრიალოს ლატანა რკინას. სტაცა და—უცბად მთელი მინდორი, კარვები, ტყე, ცა—ყველაფერი რიტმიულად დატრიალდა მისი კუნთების ჩქარ და საამო გაშლ-შეკუმშვასთან ერთად, და სატრიალოს ლატანა რკინასაც სითბო გაუჩინა მისი ღონიერი მუხლების ხახუნმა.

— აი გადარეული ეშმაკი!—აღფრთოვანებით წამოიძახა პეტკამ, რომელიც წაქცევისას სატრიალოს ქვეშ გაიშხვართა და იქიდან უცქერდა ბორისის ვარჯიშობას.—ზორბად გავარჯიშებულხარ!

დაუმატა მან, როცა ბორისმა მხიარული ენერგია საამო დაღლილობად აქცია, ჩამოხტა, ოფლი მოიწმინდა და იქვე, სატრიალოს ქვეშ წამოწვა.

ასოციაციის ძალით, ბავშებმა საამო ბაასი გააბეს ფუტბოლის უკანასკნელ შეჯიბრებათა შესახებ.

— ბორია, დღეს საღამოს არა გცალია?

ბაასში გართულმა ბავშებმა ბერტას მოსვლა ვერ შეამჩნიეს. ბორისი უცქერდა სუფთა ჰაერს უჩვევს მის ფეხებს, კოლოებს რომ კბენით დაესისხლიანებინათ. ბორისს გაეხარდა, რომ დიდი ხნის უბრობის შემდეგ დაელაპარაკა და ამიტომ კიდეც დაირცხვინა ცოტა.

— კი, თავისუფალი ვარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაშინ იცი, რასა გთხოვდი... წავიდეთ ახლავე დედასთან.

— ახლავე? კარგი.

სთქვა მან და წამოხტა.

— არა, ცოტა მოიცა,—აჩქარდა ბერტა.—წუთით ფეხს ჩავიცვამ.

და ფეხშიშველა სიარულს უჩვეული მოფრთხილებით მიაბიჯებდა ქვიშითა და წიწვით დაფარულ მიწაზე, თანაც უშნოდ ირხეოდა და ხანდახან ხელს იქნევდა.

— ეს რა—შენი ტარლაა?

ჰკითხა პეტკამ და ეშმაკურად უჯიკავა ფერდში, თანაც პაჭუა ცხვირი აიმზუა და მწვანე თვალი მოხუჭა.

ეს სიტყვები, ბინძური და საზიზღარი, თითქოს სავსებით ადასტურებდა იმას, რაც გუსკოვმა კოლოსოვზე სთქვა. მაგრამ ბორისი სდუმდა, გულგრილად ჰკვნეტდა ბალახის ღეროსა და მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ უპასუხა მშვიდად:

— არა. ვმეგობრობ.

— ა-ა...

განაგრძო პეტკამ.

სჩანდა, შესაძლოდ მიაჩნდა სრულიად გოგოსთან მეგობრობა, და ამან გაახარა ბორისი.

— იცი, პეტკა,—დუმილის შემდეგ უთხრა ბორისმა.—შენზე მალე აღძრავენ საკითხს კრებაზე: გოგოებს ეპოტინები...

— ეს გუსკოვმა გითხრა?—ჰკითხა პეტკამ თავაუღებლად.—მე ი წვინტლიან მწერალს სუ ცხვირ-პირს დავამტვრევ.

— ვისიც უნდა ეთქვა, ეს კაი არ არის...

— მერე საიდან იცით, რომ კარგი არაა. განა არა ვხედავ, რომ დიდები... და გოგონებსაც... ლიზკა სჭყივის, და მე კი ვიცი, რომ მოსწონს..

სთქვა პეტკამ, ამოიოხრა და ტუჩები ჩაილოკა...

და ამ სიტყვებით თითქოს მძიმე და მწარე შხამი მოედო ყოველივე ცოცხალს; ბორისის თვალში ყველაფერი ჩამობნელდა და მან ნაღვლითა და სიბრალულით შეავლო თვალი პეტკას სასაცილო პაჭუა პროფილს, ბავშობიდანვე რომ ასე უყვარდა, და მოწითანო ქინქლს, რომელსაც მისი მოსქო ბავშური საულვაშე მოევარაყებინა. „ულვაშებიც ხომ ექნება“...—უეცრად გაიფიქრა და თავის ტუჩზე თითი გაივლო. იგრძნო ნაზი ბეწვების ოდნავი ღუტუნი და შეეშინდა, თან რალაც გაურკვეველი სიამაყე აღეძრა—რალაცნაირი ახალი გრძნობები.

— მე, ბორისკა, მალე უპატრონო ბავშებში გავუტევ,—უეცრად სთქვა პეტკამ. წამო რალა ჩემთან, ა? შენ რიგიანი ბიჭი ხარ, აბა აქ რა უნდა ჰქნა?

— რას ამბობ, პეტია...—განცვიფრებით წამოიძახა ბორისმა,—რაზმიდან იქ?

— რაზმი რაო?..—პეტკა ბოროტად გაიღრიჭა და დაჯდა.—ყოველი ნალოლიავები... აი როგორიც გუსკოვია... კვალდაკვალ დაგდევს და გჯაშუშობს!.. არავითარი მეგობრობა, გარდა მოწყენილობისა!.. იქ კი—ვაი დედასა, რა ბიჭებია. თავზეხელაღებულები, აი...—მან ცერი აბზიკა და მომწონედ ბორისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ დააყენა. მთელ რუსეთს აღმა-ჩაღმა ქსელავენ, ყველაფერს ჭიდავენ, ესაზრდოს თვითონ შოულობენ. ახლა, მეგობრობას აღარ იკითხავ! ყველა ერთისთვის, თითოეული ყველასთვის... აი, ნამდვილი ცხოვრება.

— აბა, როგორ იქნება, პეტია? მერე მამა... დედა?

გაუჭრელად ჰკითხა ბორისმა.

— მამა?.. —პეტკა უშნოდ გაიღრიჭა და მის სახეზე ნაღვლი და ბოროტება აღიბეჭდა...— მამა არც კი ჰფიქრობს ჩემზე. იგი თავისი ახალი ტარლით პიტერს გადასახლდა და შინ ახლა ისეთი მოწყენილობაა!.. დედიკო სტირის... ისიც ადამიანია... აბა როგორ გითხრა?.. გაუნათლებელი, მოხუცი... საბრალოა... რა თქმა უნდა, მეცოდება!

წყნარად დაურთო ძან.

ბალახს ღონივრად ჩაბღაუჭებული, უსმენდა ბორისი. სიტყვები ჯერ კიდევ ვერ ეპოვნა, მაგრამ ის, რასაც პეტკა ამბობდა, მოღუშული ცხოვრება იყო— მრისხანე, ძძიმე, სერიოზული ცხოვრება. სიტყვები ვერ მოენახა, მაგრამ გაახსენდა, როგორ ლაპლაპებდა მტვრიანა ქუჩაში ორკესტრის კრიალა თუთბერი, როგორ მოედენ წითელ მოედანს დაქანცული, გამტვერიანებული, წყურვილით გახელებული პიონერები, რა მწყობრად იძვროდენ მათი აჭრელებული რაზმები აფრიალებული წითელი დროშებით... ჰაეროპლანის გუგუნი მოედნის თავზე, თავდავიწყების გრძნობა, ნაბიჯს რომ განელებინებს და ამხანაგებთან განათანაბრებს, ორატორის ხმაჩახლეჩილი სიტყვები ტრიბუნიდან: „ამჟამად რომშიც, კალკუტაშიც, და მთელი დედამიწის ზურგზე"...—ამ სიტყვებმა ერთბაშად შეიპყრო ყმელა და ყველაფერი; ორკესტრმა მრისხანედ დააგუგუნა „ინტერნაციონალი, წემდეგ აღარაფერი ისმოდა, მაგრამ არც უნდა გაგეგონა: ბორისი „ვაშას" ჰყვიროდა, მის გვერდით ჰყვიროდა „ვაშას" პეტკაც.

და ბორისმა პეტკას გადახედა—ეს კი, მიწყნარებული და ოდნავ თვალმოხუჭული, ჩუნარად უსტვენდა რაღაც ნაღვლიანსა და უდარდელ ჰანგს. და ბორისმა ერთბაშად და მტკიცედ გაიფიქრა, რომ პიონერთა რაზმი სწორედ აი, ასეთებისთვისაა, როგორიცაა პეტია, ასეთი ჩვეულებრივი, ცუდი ცხოვრების ბავშვებისთვის. და ის სიტყვები, რომისა და ვალკუტის შესახებ, კვლავ უნდა გაახსენოს მას, მაგრამ სულ სხვანაირად, ვიდრე მაშინ იყო ნათქვამი.

— აბა წავიდეთ, ბორია!..

ფეხჩაცმული, თმადავარცხნილი ბერტა უკვე მის წინ იდგა.

— ნახვამდე, პეტია!—ალერსით და ნაზად უთხრა ბორისმა.— საღამოთი დავბრუნდები და კვლავ მოვილაპარაკებთ.

ბორისმა და ბერტამ უხმოდ გაიარეს ტყე და ახმაურებულს აგარაკში შევიდენ. გარშემო მრავალი ბავში ღრიალობდა. ერთი თვეთრონა, შვიდი-რვა წლის ფუნთუშა გოგონა, რომელსაც მოზრდილი ქალის კოსტიუმის მზგავსად შეკერილი ტანისამოსი ეცვა, კოხტად ეჯდა მუხლზე ვიღაც ცხვირა ყმაწვილს, კუბოკრული, შოტლანდური წინდები რომ ეცვა. ყმაწვილი ლაპარაკში იყო გართული ახალგაზრდა ქალთან—ალბად ამ გოგონას დედასთან—მუხლებზე აყუნცულებდა ბავშსა და თვისი დიდი, ტლანქი ხელით უსრესდა შიშველს ფუნთუშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარს. ბორისს არ გაუგონია, რაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ იმ დახარბებულ ხმამის ნაშუქი, რაც მოზრდილების სახეს ეჩნეოდა, ბავშის სახეზედაც იხატებოდა. ქვიშის დიდ გროვას გარშემო სკამზე ჩამწკრივებულიყვენ გადიები — დასიებული, საშინელი დედაბრები, სახე რომ კუდიანისას უგავდათ, გულუბრყვილო, ღაღლაჟა, ჩარგვალებული ძიძები, დათქვირებული ძუძუებითა და სუქანი მუცლებით,— მხიარული, პრანჭია გოგონები. ბავშთა აჭრელებული ჯგუფი ქვიშაზე თამაშობდა.

და ეს მთვლემარე, ერთხმოვანად მოდუდუნე ბრბო ძიძებისა და გადიების, რომელიც პატიმართა მთელ რაზმსაც კი ეყოფოდა გამყოლად, სრულიად გამოუსადეგარი ეჩვენა ბორისს ბავშებისათვის, რომლებიც თვითონ თამაშობდენ და ორი-სამი ადამიანი თუ იქნებოდა საჭირო მათთვის ყურის საგდებად. ბორისმა გზა უქცია, ბავშებს გვერდი აუარა, მაგრამ მაინც შეამჩნია, რომ ისინი სხვადასხვა ნაირად იყვენ ჩაცმულნი: ზოგი მდიდრულად, ზოგი ღარიბულად. მოშორებით კი თამაშობდა ერთი შავგვრემანი და წყნარი ბიჭი, რომელსაც ქალის კოფტა ეცვა, მკლავები დაკაპიწებული ჰქონდა, კალთებს კი მიწაზე დაათრევდა. და ბორისს სიბრალულითა და ბრაზით გული შეეკუმშა: ეს შავთვალა ბიჭი ერთობ წყნარი იყო სხვა ბავშებთან შედარებით. მისი საქმე უკვე ცუდათაა, იგი უკვე გარისხულია...

და ბორისმა უეცრად სულ სხვანაირად გაიფიქრა იმაზე, რომ პეტკას უპატრონოებთან უნდა წასვლა: შეიძლება მართალიცაა, რომ იქ ერთგვარად კაი სამყოფია...

ამ მხურვალე ფიქრებში გართულ ბორისს ბერტა ალარც კი გახსენებია. გოგონამ თვითონ იყიდა ბილეთები და როცა რონოდაში ჩასხდენ და ფანჯრის წინ ფიქვის წითელი და მაღალი ხეები ამოძრავდა, ბერტამ მხოლოდ მაშინ უთხრა დარცხვენითა და წუწუნით:

— გამიგონე, ბორია! ხომ არ მიჯავრდები, რომ ხმას არ გცემ?

— ა?

და ბორისმა უაზრო, რალაც თავისაში ჩაღრმავებული თვალი მიაპყრო.

„რა კაი ბიჭია!—გაიფიქრა ბერტამ.—და, რა თქმა უნდა, არც მიჯავრდება. ალბად, ვერც კი ამჩნევს, რომ მასთან არა ვარ ხოლმე“...—წყენით დაუბატა მან.

— ხმას რომ არა მცემ?—შეეკითხა ბორია.—არა, ბერტოჩკა!—ისეთი მხურვალე ალერსით უთხრა ბიჭმა, თითქოს ეს სიტყვები მარტო გოგონას კი არა, არამედ კიდევ სხვა რალაცასაც ეკუთვნოდა...—ბანაკში ხომ კარგადა ხარ?

— ძალიან კარგად!—წყნარად უპასუხა ბერტამ—მაგრამ, იცი, წინედ ასე შეგონა, მხოლოდ მე ვარ ცუდად, სხვა ბავშები კი მხიარულნი არიან-მეთქი...

და ენა შეებორკლა.

— მერე?

ხარბი ინტერესით ჰკითხა ბორიამ.

— იცი, ბორია! ისინი, რასაკვირველია, ჩემზე უფრო მხიარულნი არიან, მაგრამ... ყველას თავისი მწუხარება აქვს.

— და ეს მწუხარება შინაა... ხომ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკითხება ბორია.

— ჰო...—და ოდნავ იყუჩა.—ისე მეჩვენებოდა, როგორც ტყეში: ბორიდან ხედავ, ტყეა—რაღაც მთლიანი; შიგ შეხვალ და—ხეებია, თითოეული თავისებური სანახაობით.

— ა-ა-ა?—განაგრძო ბორისმა, თუმცა კარგად ვერც კი გაიგო, რახე იყო ლაპარაკი.

— კარგია სიცოცხლე!—წყნარად სთქვა ბერტამ.—ძალიან კარგი!...

და უეცრად თვალში შეხედა იმ განსაკუთრებული, განათებული ცქერით, როგორც ბორისს მრავალჯერ შეეჩნია მისთვის. მაგრამ წინედ ამ ცქერას თითქოს გარედან ამჩნევდა ხოლმე და, როცა ვინმე მიუახლოვდებოდა გოგონას, იგი მაშინვე დამალავდა ხოლმე მას დარცხვენილი, ნაღვლიანი იერით. ახლა კი ნება დართო ბორისს ჩაეხედნა მისი თვალების განათებულს მშვიდ სიღრმეში, და ბორისმა პირველმა მოარიდა თვალი—გაეხარდა და კიდეც შეეშინდა.

„ჰო და, ვინ იცის, იქნებ ჩვენ შორის სწორედ ისაა... რასაც პეტკა ამბობდა, და რაც მამასა და ლიუბას შორისაა... თვალი შეავლო ბერტას, რომელსაც თავი თეთრს ხელზე დაეყრდნო და იმავე განათებული თვალით გასცქეროდა ფანჯარას იქით. „არა...—გარკვევით სთქვა მან თავისთვის.—სრულიადაც ის არაა. ეს ისაა, რაც პეტკასაც მოსდის, მაგრამ იქ რაღაც სულ სხვანაირადაა, ეს კარგია... და საზოგადოდ ყველაფერი კარგად და საუცხოოდაა“...

გაიფიქრა მან და თვალი მოავლო მოძრაობით არხეულ სუფთა რონოდასა და პორტფელიან, ბარგიან საგარაკო ხალხს.

— იცი, ბერტა, ცუდად რატომ დარბიხარ?

უეცრად ჰკითხა ბორისმა და ამით იქით გადასდო ის მნიშვნელოვანი რამ, რაც მათ აკავშირებდა, მაგრამ რაზედაც ძნელი იყო ლაპარაკი.

და მათ შორის გაჩაღდა ჩქარი ბაასი, რომელიც სულ არ შეწყვეტილა, სანამ ფეხით არ მივიდენ ცენტრამდე.

— ჩვენ აი, აქ ვცხოვრობთ...—სთქვა ბორისმა და საბჭოთა სახლი უჩვენა.—ბერტა, შევიდეთ წუთით ჩვენსა, შემდეგ კი დედაშენი ვნახოთ, ხოლო იქიდან პირდაპირ ბანაკში...

ისე გაიარეს ბნელი ტალანები და კიბეები, რომ საამო ბაასი არ შეუწყვეტნიათ, და ისეთივე მხიარულნი წარსდგენ ვალკას წინაშე, რომელიც ფანჯარასთან მიმჯდარიყო და მოწყენილი აწვალებდა ქიმიურ ფანქარს.

— რაო, ვალია?

ჰკითხა ბორისმა, რა კი მის ფუნთუშა სახესი რაღაც შეშფოთებული დალვრემილობა შეატყო.

— არაფერი...

და ბავშმა სტეპან გრიგორიჩის ოთახისკენ გაიხედა, საიდანაც ყრუდ მოისმოდა ლაპარაკი და სიცილი.

ბორისი კარისკენ გაემართა.

— ნუ, ნუ წახვალ იქა...—სწრაფად მიაძახა ვალკამ.—იქ ლიუბაა... ვალოდიასთან ერთად...

— ვინ ვალოდიაა?—გაკვირვებით იკითხა ბორისმა.—მამა სადაა?

ვალკამ პასუხიც კი ვეღარ მოასწრო, რომ სტეპან გრიგორიჩის ოთახიდან მხიარული ლაპარაკით და სიცილით გამოვიდენ ლიუბა და ვალოდია. გამოვიდენ და უეცრად გაჩუმდენ. ლიუბამ წარბი შეიკრა, ვალოდია და ბორისი—ესენი ახლა ერთად იყვენ იმ ოთახში, სადაც თითოეულმა ცალკე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში მიახალა მას ის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი სიტყვა, მაგრამ ლიუბას ვალოდია არც კი მოჰგონებია, მთელი თვისი რისხვა ბორისის წინააღმდეგ მიმართა.

ბორისმა კი ზიზღით შეამჩნია, რომ ლიუბა რაღაც დადაბლებულა და გაგანიერებულა, ხოლო ღაჟღაჟა სახეზე უსირცხო-გახევებული რაღაც აღბეჭდია. ის გარემოება, რომ ლიუბა ახლა იმ კაცთან იყო, ვინც პირველმა შეაგინა იგი ამ სიტყვით, ეს გარემოება თითქოს ადასტურებდა ამ სიტყვის სიმართლეს ლიუბას მიმართ. ოდნავშესამჩნევი, მქრალი ღიმილი ათამაშდა ბორისის სახეზე და ლიუბაც ამით მიხვდა, რომ ბორისის თავში აზრთა მთელმა რიგმა გაიელვა, და ამიტომ წარბები კიდევ უფრო შეიკრა.

— სად არის მამა?

მშვიდად იკითხა ბორისმა.

— წავიდა...

გაჯავრებითა და მოწყვეტ მიუგო ლიუბამ და ზურგი შეაქცია.

— სად წავიდა?

უფრო მეტის გულგრილობითა და სიმშვიდით ჰკითხა ბორისმა, თითქოს ამით უნდოდა ეჩვენებინა, რომ ყურადღებასაც არ აქცევდა მის გაჯავრებულ კილოს.

— თავი დამანებე!

ზურგულად და ცალყბად მიაძახა ლიუბამ.

ის, რაზედაც ბორისი ეკითხებოდა, ჯერ კიდევ სკტიოდა და ამდაბლებდა ლიუბას; ასე ეგონა, სწორედ ამიტომაც მეკითხება განგებისადო.

ბორისი უეცრად მთლად-ერთიან დაიძაბა ამ ტლანქი შეძახილით. მას როდი სურდა ანგარიში გაეწია იმისათვის, რაც ლიუბას მამასთან და ვალოდიასთან მოუხდა, თუმცა, ძრწოლითა და ზიზღით აღვსილი ყველა მათ,—„უფროსთა“—მიმართ, კარგად ჰგრძნობდა ყოველივეს. მაგრამ ეს მას როდი ეხებოდა. მას უფლება ჰქონდა გაეგო, სადაა მამა მისი.

— მე გთხოვ მიპასუხო: სადაა მამა?

კვლავ მშვიდად და დაძაბვით ჰკითხვა.

მთელი ბრაზი და წყენა, რაც სტეპან გრიგორიჩის მიმართ ლიუბას გულში დაგროვებულიყო, ახლა უეცრად გადაენთხა ამ აჩხირულს პატარა ბიჭს, რომელსაც იგი მუდამ ისე უცქერდა, როგორც თავის მტერს. ბორისი სტეპან გრიგორიჩსა და ნატაშას აგონებდა მას, ორივეს ერთად ურთიერთობის იმ საძაგელსა და უძლეველ წყობას... და ეს გომბიოც კიდევ...—წყრომით გაიფიქრა ბერტაზე.—იმის თვალწინ უნდა დამამციროს.

— საძაგელი, საზიზღარი ჭინკა!—საშინელის მანჭვითა და ... ხმით მიაძახა ლიუბამ.—მამა? მამა შენი მატყუარაა... აი! მომატყუა და წავიდა, გაიქცა... მხდალი! მაგრამ, მაცალოს!

ბორისი მშვიდად უცქერდა მის ათრთოლებულს, ბრაზით ალეწილ სახეს. რამდენადაც ქალი ყვირილს უმატებდა, იმდენადვე უფრო მაზე მაღლა ჰგრძნობდა ბორისი თავს, იმდენადვე უფრო მშვიდდებოდა. მაგრამ უეცრად ბერტამ სახელო ჩამოსწია და მიუთითა: ყოველივე ამის გარეშე, სავარძელში მორგვივით დახვეული, თითქოს ლიუბას საშინელ სიტყვებს გაუმათრახებიაო, მწარედ სტიროდა ვალკა. და აქამდე მშვიდად და შეუვალად მყოფი ბორისი, ახლა ერთბაშად აფეთქდა: ვალკასთან მივარდა, მოეხვია და ის ჩაიდინა, რის ნებასაც მას არასოდეს აძლევდა ბავშური ქალწულებრივი მოკრძალება—მან აკოცა ძმას...

— ხმა ჩაიწყვიტე!

დაუყვირა მან ლიუბას. და მის წკრიალა ხმას იმდენი მბრძანებლობა ჰქონდა, ისე მოულოდნელი იყო ლიუბასთვის ბორისის მიერ ვალკას ნუგეში, რომ ქალი ერთბაშად დადუმდა და, მღელვარებით სულშეხუთული, იქვე სკამზე დაეშვა.

— კარგი, ლიუბაშა!— ალერსითა და საყვედურით მიმართა ვალოდიამ.— დაწყნარდი, კმარა!...

— მე და ვალკას... სულაც არა გვსურს ვიცოდეთ, რა ამბავი გაქვს... მამასთან და აი ამ ამხანაგთან...—ქოშინით ეუბნებოდა ბორისი და თანაც სცდილობდა დარბაისლური კილო შეენარჩუნებინა. ეს თქვენი, დიდების საქმეა... ნუ სტირი, ვალეკ, ნუ სტირი!..

და ბორისმა იგრძნო როგორ სპაზმატიურად ცახცახებდა პაწია ვალკა.

ლიუბამ რაღაც წაიდუდუნა. იგი ჰგრძნობდა, რომ ამ საძაგელმა ბიჭმა იმით განაიარაღა იგი, რომ ახლა ვალკას ანუგეშებდა. და ეს ორი ბავში, რომელიც ასე უყვარდა, როცა აი ამ ახლა უკვე განიავებულ სამყაროს ცენტრად სთვლიდა თავს, სტეპან გრიგორიჩის უსამართლო საქციელს აგონებდა.

— მომატყუა და ახლა ყველაფერი ფეხებზე ჰკიდია!.. — ღრენითა და ქოშინით ჩაილუღლუღა ქალმა, თითქოს მის წინ ბორისი კი არა, სტეპან გრიგორიჩი იდგა...—წავალ, მოგშორდებით, თქვე გველის წიწილებო! ან აქამდე რას გელოლიავებოდით?..

— ლიუბა!

ცახცახით მიაძახა ვალკამ, მაგრამ ბორისმა ნაზად და ბრძანებით მიიხუტა იგი და მით ჩაახშო მისი ქვითინი.

— გასწი ახლავე!

ცივად და მშვიდად უთხრა ბორისმა.

— მაშ, კარგი; ხვალ შემოვალ შენი ნივთების წასაღებად...—უთხრა იმით გახარებულმა ვალოდიამ, რომ აქამდე მოყოყმანე ქალმა, ახლა საბოლოოდ გადასწყვიტა მასთან გადასვლა.—წამო, გამაცილე—დაწყნარდები... და კიდეც მოვილაპარაკებთ.

იგი ალერსითა და ბრძანებით ლაპარაკობდა, პალტო აიღო და წამოასხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ წავიდენ...

ოთახში წუთით მყუდროება ჩამოვარდა.

— ლიუშენკა!..

ტირილით სლოკინებდა ვალკა.

— მე ვფიქრობდი... მეგონა, შენ იმიტომ ხარ ასე კარგი, ბორია, რომ შენი საკმე სულ სხვანაირადაა, ვიდრე ჩემი ან სხვა ბავშვებისა...— აკანკალებულის ხმით უთხრა ბერტამ.—მაგრამ ეს რაღაა? შენც ცუდად...

—ჩვენ, პატარები, ყველანი ცუდად ვართ.—ცხუნარე მღელვარებით უთხრა ბორიამ.—ყველანი! დიდებმა არ იციან ჩვენი მოპყრობა! ჰო და, ნულარც შენ სტირი, ვალკა!—დაუმატა მან და უეცრად მხნე და მხიარული სიმხნევით აღივსო.—აი, ჩვენ ბანაკებში წაგიყვანთ. იქ ასეთი ძუკნები როდი არიან...

სთქვა მან და მრისხანედ კარისკენ მიიხედა.

ბერტა დაიხარა და ცრემლებით დასველებულს ცივ ლოყაზე აკოცა ვალკას; რა კი ამ კოცნაში ბავშმა ის ნაზი და დედობრივი რაღაც იგრძნო, რაც მას ესაჭიროებოდა, ერთბაშად შეირხა, აცახცახდა, თვალთაგან ჭარბი, სუბუქი ცრემლი დასდინდა და გოგონას მიეხუტა.

— ყველაფერი სხვანაირად უნდა!—დაიწყო ბორისმა.—ჩვენ თვითონ უნდა ვიცხოვროთ—ჩვენ, ბავშებმა!... აი არის იმისთანა კუთხე, დეტსკოე სელოს ეძახიან, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ ბავშებს დაუთმო. იქ მხოლოდ ბავშთა სახლებია...—ხმამაღლა გამოსთქვა მან თავისი ნაფიქრი, რომელიც სიმართლედ მიაჩნდა. -წინედ იქ მეფე სცხოვრობდა, ახლა კი—მარტო ბავშები და ცოტაოდენიც მასწავლებლები და აღმზრდელები.—აღფრთოვანებული ლაპარაკობდა იგი და ნათლად წარმოედგინა მწვანეში ჩაფლული თეთრი სასახლეები, ბრწყინვალე დარბაზები, ჩანჩქერები და შადრევნები და ყველა ამათ შორის—უთვალავი მოთამაშე ბავშვი, უგადიებოდ, ვიღაც ჭკუიანი ადამიანების მეთვალყურეობით რომ ერთობიან, და სრულიად თავისუფალი არიან ყველა ამ დედიკოსა და მამიკოსგან.—უნდა ვეცადოთ, რომ თითოეულს ქალაქთან და ყველგან იქნეს ამისთანა საბავშო სოფლები. და კიდეც მივაღწევთ ამას, ბავშებო!..

ასე ამბობდა ბორისი, რომელსაც თავისი პაწია მუშტი გამოესკვნა, ჰაერში აქნევდა და ნათლად წარმოედგინა როგორ იბრძვის ის, ბორის შოროხოვი, ამ სპეტაკად მოქათქათე მომავლისთვის, იბრძვის და აშენებს, როგორც ის ინჟენერი, რომელიც ოკეანეს ქვეშ გვირაბს აკეთებდა, იბრძვის ისე, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი აშენებისთვის იბრძოდა ლენინი.

და ამ გრძნობაში ისიც იყო—რომისა და კალკუტის შესახებ, დღეს რომ გაახსენდა, და უსაზღვრო ოცნებაც თავის თავზე, როგორც მსოფლიო რევოლიუციის ბელადზე. მაგრამ თუ კი ამ ოცნებას მეტის-მეტი სირცხვილის გამო ვერავის უმხელდა, სამაგიეროდ ეს ფიქრები საბავშო ქალაქების შესახებ სურდა ყველასთვის გაეზიარებინა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავი მეშვიდე

25

მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა. შოროხოვი რონოდის ბაქანზე იდგა და ბრბოში ერთბაშად გამოიცნო ოლგა: იგი კვლავ ისეთი იყო, ერთობ შავგვრემანი, როგორც ყველა, მაგრამ მისი სახე რაღაც ნაძალადევი და უტყვი თავდაჭერილობით განირჩეოდა. იგინი უკვე ერთმანეთს ებვეოდენ, შეხვედრის ჩვეულებრივ სიტყვებს ეუბნებოდენ, და იგი, ოდნავმობუზული, მიუძღვებოდა მამას სადგურისკენ, რომელიც უკრაინულს უშნოდ გაგრძელებულ ქოხსა ჰგავდა თვისი კრამიტის სახურავითა და კირით შეფცთქილი კედლებით. ყველგან დეზინფექციის მწვავე სუნი იდგა: პლაკატები ხოლერისგან აფრთხილებდა ხალხს; ფართო თუ სუბუქი ტანისამოსით გამოწყობილი ხალხი რაღაც უბირად და ნაძალადევად გამოიყურებოდა. ამ ხალხში ოლგა ისე იძვროდა, თითქოს მათ არც კი ამჩნევსო. შოროხოვს ჩემოდანი გამოართვა და თვითონ ჩასდო მანქანაში. შოფერს რამდენიმე სიტყვით უბრძანა და პირველი თვითონ ჩაჯდა, მერე კი მას უჩვენა თავის გვერდით. იგი სრულიადაც არა ჰგავდა იმ გოგონას, როგორის ნახვასაც მოელოდა აქ შოროხოვი, და რომელიც მის შინაგან სამყაროში განხორციელება იყო ჯერ კიდევ განუშორებელის და ამიტომაც ბუნდოვანი და მშვენიერი მომავლისა. ეს ქალი კი უკვე ნამდვილი აწმყო, მისგან განშორებული და დამოუკიდებლად მომქმედი იყო და მხოლოდ მაშინ, როცა ავტო დაიძრა და უკანგადახრილმა ოლგამ მოულოდნელად გაიღიმა სწორედ ისე, როგორც ნატაშამ იცოდა, შოროხოვმა ხელახლად მიიღო იგი, როგორც თავისი ქალიშვილი.

— რად გამხდარხარ ასე, ოლიუშკა? და გაზრდილხარ კიდეც ძალიან...

აღელვებითა და დარცხვენით სთქვა მან და ამ სიტყვებით ის აღნიშნა, რომ ქალს მკაფიოდ დასჩნეოდა ცხვირის კეხი, და ძირსდაშვებულ ტუჩებსაც რაღაც ახალი ნაოჭი დასდებოდა, თავშეკავებული და ვნებიანი, ხოლო უბეების კუნჭულებში კი პირველი, ოდნავშესამჩნევი ხაზები გავლებოდა. ქალი ალერსიანად მიეყრდნო მის მხარს, მაგრამ უეცრად ისევ მალე მოშორდა:

— მაშ, ჩვენთან წესიერების დასამყარებლად მოსულხარ?

ჰკითხა მან.

მანქანა სწრაფად და ურხევლად მიაქანებდა მათ ახალს, ჯერ კიდევ მოუტკეცავ გზაზე, თეთრ-ყვითელ, თვალისმომჭრელ ქვიშათა და მოზარდ მკაფიო მწვანეთა შორის, სადაც სოვლად ლაპლაპებდა სარწყავი არხები.

— ჰო, შევრცხვი, რომ ეს გორლინი გამოგიგზავნეთ...

იმავე კილოთი მიუგო შოროხოვმა, რადგან ოლგას სიტყვები ხუმრობით ნათქვამი ეჩვენა მას.

— მერე რატომ შერცხვი?

ჰკითხა ოლგამ და ავტოს გამოძეძილ საზურგეს ძაფი შეაწვიტა. სტეპან გრიგორიჩმა მის ხმაში ნაძალადევი სიდინჯე შენიშნა. და ამიტომაც ოდნავის აბნევით უპასუხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომაო? აი თუნდ... სელიმის გამორიცხვა.

— მაშ, რა უნდა ექნათ, მამილო?—და ოლგამ მუქი წარბები შეიკრა ისე, როგორც ნატაშამ, როგორც ლიუბამ და ბორისმა.—სადისკუსიო კლუბში იგნაშას მოხსენებაზე სელიმი გამოვიდა და განაცხადა, რომ მას ღმერთი არა სწამს, მაგრამ სულის უკვდავებას კი აღიარებს, რასაც პლეხანოვითაც კი დაამტკიცებს—და სხვა ასეთი ბოდვა. იგნაშამ პარტკომის ბიუროს სხდომაზე მოითხოვა, რომ სელიმმა უარჰყოს ასეთი შეხედულება. სელიმმა კი განათლების მუშაკთა საერთო ყრილობაზე მოხსენება გააკეთა და კვლავ თავის ორიგინალურ თეორიას იცავდა...—ოლგამ მწვავე დაცინვით გამოჰყო უკანასკნელი სიტყვები.—და მაშინ იგნაშამ...

— დაიცა, ეს იგნაშა ვინღაა?

ჰკითხა სტეპან გრიგორიჩმა.

— გორლინია...

ერთბაშად მიუგო ოლგამ.

„აჰა-ა...“—განცვიფრებით გაივლო გულში შოროხოვმა ყოველივე ახალი, რაც კი ოლგას შეამჩნია. ამ საწყენ გაკვირვებასთან ერთად იგი უცნაურსა და გაუგებარ სიმპატიასაც ჰგრძნობდა გორლინისადმი. „და შესაძლებელია სწორიცაა, რომ ესენი ერთმანეთს დაახლოებიან“.

და მან იდაყვში მოჰკიდა ხელი ოლგას.

— რაო, ოლიკ,—ბავშური, ალერსიანი სახელით მიმართა მან.—გამოდის, რომ თქვენ...

— ჰო, მე მისი ცოლი ვარ ახლა... —სთქვა ოლგამ, მკლავი გაინთავისუფლა და სწრაფად შეავლო თვალი სტეპან გრიგორიჩს, რომელმაც მის მშვიდ ცქერაში იგივე ამოიკითხა, რაც ლიუბას მრისხანების გააფთრებულ ხრიალში ისმოდა.—მას შემდეგ, რაც შენ წახველ, მამილო,—მხურვალედ განაგრძო მან,—ერთი ნამდვილი ბოლშევიკიც კი აღარ მინახავს აქ, იგი—პირველია. მარქსიზმი მისთვის ხომ ყველაფერია. და მეც სულ სხვანაირად გავიგე ჩემი სამუშაოვარი...

დაბალი, ნაზი და თითქოს გამაფრთხილებელი ხმით ამბობდა იგი.

„ნატაშაც ასე ამბობდა ჩემზე“...

გაიფიქრა შოროხოვმა და წამსვე თავი ალერსით შეადარა გორლინს. მაგრამ ეს გრძნობა მყის შეაყენა,—რალაც უმართლო ეჩვენა იგი, და ხუმრულად ჰკითხა:

— და ჩემს გამოწვევაზე რომ არ მოვიდა? ეს რალაა მარქსიზმის თვალსაზრისით?

და მის დაცინვაზე ოლგამ ცხარე აღშფოთებით წამოიძახა:

— მას კი უფლება აქვს შენს გამოწვევაზე არ მოვიდეს. იგი ცკ სამდივნოს განკარგულების თანახმად მოვიდა აქა.

— აჰ, ოლგა!—დაცინვით და ნაღვლით სთქვა სტეპან გრიგორიჩმა.—რა საჭირო იყო, რომ ჩემთან ფორმალურს ნიადაგზე დამდგარიყო და მოლაპარაკებას გაქცეოდა. ცკ სამდივნო... ჰო და, აი მე სწორედ ცკ რწმუნებულება მაქვს ახლა, რათა მოსკოვს გავგზავნო იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძალიან კარგია!.. იგნაშა გაიგზავნოს, სელიმი კი აქ დარჩეს ორგანიზაციის ხელმძღვანელად. სელიმი ხომ ბასმაჩებთან გაიქცა. და ჭირივით მეჯავრება ეს ავანტურისტული ვიგინდარები, რომლებიც ჩვენ პარტიაში შეგვყავს პროლეტარების ნაცვლად.

— აბა რას ამბობ? შეეკითხა შოროხოვი და მისი სიტყვების საშიშსა და ავადმყოფურ ვნებიანობას ჩაუკვირდა; თანაც გაახსენდა, როგორ მიჰყავდა იგი ოლგას ავტომობილისკენ და როგორ აძლევდა გზას ეს ბრბო; ყოველივე ამაში რაღაც შესაშფოთებელი და საშიშარი იყო, აგრეთვე მისი მოსვლის მიზანთანაც დაკავშირებული.—ვინ შეგვყავს პარტიაში? კონკრეტულად ილაპარაკე.

— აი სელიმისთანები. ან კიდევ აივაზოვი: ყაჩაღი პროლეტარული რევოლიუციის სამსახურში...

ზიზღითა და დაცინვით მიუგო მან.

„აი თურმე რა ყოფილა!"—გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა და მოიგონა, რომ ამას წინად მოსვლაზე ოლგა ტანჯვითა და თავმოყვარეულ განიცდიდა თავის პირველ ქმართან—აივაზოვთან გაყრას, თუმცა კი ამას ვითომ მხიარული უდარდელობით ჰფარავდა.

და შოროხოვი მთლად ყურადღებად იქცა: ეს იგივე შინაგანი, შეუცნობელი, მაგრამ ნამდვილად ეიდნუნისებური მოტყუილება იყო, რომელსაც ახლა მთელი მისი ცხოვრება შეეჭყრო. და თითქოს ყოველივე ამისი მოშორება სურსო, მან ჰკითხა:

— სად მიგყვარ ახლა, ოლიუშკა?

წინ უკვე მოსჩანდა ქალაქი. მუქად გალურჯებული ცის ქვეშ თვალისმომჭრელად ჰქათქათებდა მისი თეთრი შენობები, და თანდათან გარკვევით ახლოვდებოდა.

—საბჭოთა სახლში...—ყრუდ უპასუხა ოლგამ.—ოთახი იქ არის შენთვის მომზადებული, ჩვენც იქვე ვცხოვრობთ: მე და იგნაშა...

გაუჭრელად დაუმატა მან, თითქოს არ იცის, საჭიროა თუ არა ამისი თქმაო. რა კი გორლინი წინ არ იყო, სტეპან გრიგორიჩმა ჩემოდანი დასტოვა და პირდაპირ პარტიულ კომიტეტში წავიდა. გორლინი თავის განიერ საწერ მაგიდას მოშორდა და მშვიდად მიეგება. გამოძახილზე მიუსვლელობის მიზეზად მოუცლელობა დაასახელა და სცდილობდა მუდამ თვალში ეცქირნა მისთვის, და ცქერაც მშვიდი და დამოუკიდებელი ჰქონდა. გაბედული იყო და არა ეშმაკი.

ხოლო შოროხოვი სრულიად გაელენთილი იყო იმ განსაკუთრებული, სრულიად არაპირადი, დიდი ეშმაკობით, რომელიც მისი დიდიხნის პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში შემუშავდა. და შოროხოვმა სრული გამოსავალი მისცა მისდამი თავის წრფელ სიმპატიას და სრულიადაც არ შეუშინებია ცკ დირექტივებით, რომლებიც მიცემული ჰქონდა: ისე ელაპარაკებოდა, თითქოს იმის გასაგებად მოსულა, როგორ მუშაობს თვით გორლინი და სელიმსაც რა მოუხდაო.

— რევიზიონისტული მიდრეკილების ბიჭია. ტიპიური ლუმპენი...— სთქვა გორლინმა სელიმის შესახებ.—ასეთებს პარტიის წევრებად ვერ ჩავთვლით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად გულუბვარძლოდ სთქვა და შოროხოვსაც ხმა ... ელიმის ასეთი დახასიათება საკმაოდ სწორი იყო, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მთელს ამ მხარესთან დაუკავშირებლად განვსჯიდით. და შოროხოვს კვლავ აუღორძინდა ბუნდოვანი, მაგრამ დამაჯერებელი მიმზგავსება ეიდნუნენისა და გორლინის, და ერთბაშადვე აეშალა შფოთიანი მოუსვენრობა.

პარტიული კომიტეტიდან შინ ერთად დაბრუნდენ. გორლინმა ლაპარაკი ჩამოაგდო ამ მხრის ბუნებრივ სიმდიდრეებზე, მომავალ ელსადგურებზეა ბამბის ნათესების უზარმაზარ სივრცეებზე, და მის ხმაში ძლიერი და გაუტეხელი აღფრთოვანება ისმოდა. ხოლო გარშემო ღატაკი და ათასი წლობით დაბეჩავებული უბნები, ვერაგი ბაზრები და წერწეტა მინარეთები მოსჩანდა... გორლინი და შოროხოვი ხშირად გადადიოდენ ბოგირებს, ჩაქცეულსა და ბალახით გადავლილ სარწყავ არხებზე რომ იყო გადებული, და გორლინი ერთფეროვნად იქნევდა ხელს, თითქოს დედამიწას რაღაც სიმძიმე დასწოლია და იმას უჩვენებსო; რა კი ასეთი მოძრაობა შენიშნა, შოროხოვი უეცრად შეეკითხა სარწყავ არხებზე, კოოპერაციაზე. და გორლინმაც სულ სხვანაირად—წვრილად და გაჯავრებით—მორთო საუბარი და თითქოს რაღაცნაირად მთლად მოიკრუნჩხა.

ყველაფერი ცუდი იყო: პარტიაში—მთლად პროხვოსტები და უკლონისტები, მოსახლობა—მოლების მონობაში, მეურნეობასა და კოოპერაციაში—ბიუროკრატიზმი და მტაცებლობა. შოროხოვმა კი წინედ აქ ყოფნამდე იცოდა: საუკუნოებით ნატყეპი, ნაღატაკევი ხალხი გაღვიძებულია, იგი ბრძად და მოუსვენრად მოძრაობს,—და შოროხოვს ეფიქრებოდა ამ პირველი, შეუცნობელი და უხერხული მოძრაობისა, თითქოს ახლად ფეხადგმული ბავშვი ყოფილიყოს იგი.

და სტეპან გრიგორიჩს კვლავ გაახსენდა როგორ გაიარა ოლგამ იმ ხალხში, თითქოს მაღალ ბალახში მიდისო; როგორ დაბეჩავებულად და უბირად უცქერდენ მას, და როგორი გულამღვრეული ზიზღით მოიხსენია ადგილობრივი კომუნისტები. ყოველივე ამან გორლინში თავის დასრულება ჰპოვა. „მერე როგორ ვერ შევამჩნიე ყოველივე ესა?—შიშით ეკითხებოდა თავს სტეპან გრიგორიჩი და განცვიფრებული იყო იმ გარემოებით, რომ უკვე ნაცადმა უნარმა ადამიანთა გამოცნობისა ასე საწყენად უმტყუნა. სტეპან გრიგორიჩმა ამაში ეიდნუნენის დამამცირებელი და შეუწყნარებელი გავლენა იგრძნო და ამ გავლენის მოსპობის სურვილმა მისცა ცხოველი ძალა მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც იგი ამ მხარეში მუშაობდა; ეს ძალა, უპირველეს ყოვლისა, გორლინის წინააღმდეგ ბრძოლაში ჰპოულობდა გამოხატულებას, თუმცა სტეპან გრიგორიჩი ხედავდა, რომ გორლინი ყველაზე პატიოსანი, თავდადებული და ჭკუიანი იყო იმ პარტიულთა შორის, რომლებიც ამ მხარეში მუშაობდენ. თუმცა გორლინი აძლევდა ტონს მექრთამეობის, თვითმომარაგებისა და კარიერიზმის წინააღმდეგ ულმობელ ბრძოლას, თუმცა გორლინმა დაარსა ამ მხარეში პარტიული სკოლა, სადაც თვითონ კითხულობდა ისტორიული მატერიალიზმის კურსს.

მაგრამ რამდენადაც მეტს მუშაობდა გორლინი, იმდენადვე ძალუმად უჭერდა თავის მმართველობის მარჯვალს,—წმინდასა და მაკვდინებელს; რამდენადაც მეტი მხურვალება შეჰქონდა თავის ლექციებში, რამდენადაც ხედმიწევნით ებრ-

ძოდა გადახრებს, რომლებსაც მისი მიკერძოებული გონება აამკალავებდა, იმ-დენადვე უფროდაუფრო დიდი მანძილი აშორებდა მას და მის მეგობრებს ამ მხრის მრავალმილიონიან, გალატაკებულსა და დაბეჩავებულ ხალხს. ეს იგივე იყო, რაც ეიდნუნენში, მაგრამ გორლინში ეს უკვე მრისხანე საფრთხეს წარმო-ადგენდა.

ქალაქში, მოლების მეთაურობით, ვითომ რელიგიოზური პროცესიები იყო გამართული,—მაგრამ რაც ერთობ მატულობდა უცნაური ყიჟინა, როცა იგინი იმ სასახლეს გაუსწორდებოდენ ხოლმე, სადაც სახკომსაბჭო მუშაობდა, ხალხში მო-არული სხვადასხვა სენი გავრცელებულიყო, შევუპოვარი, ვით ნიაღვარი ან გვა-ლვა; ამის ბრალს უწმინდურ ხელისუფლებას სდებდენ... და ინგლისის აგენტე-ბიც უკვე საზღვარს გადმოდიოდენ.

გორლინი მზად იყო მამაცურად და უბრალოდ დაღუპულიყო რევოლიუ-ციისთვის, მაგრამ სტეპან გრიგორიჩმა როდი უცადა მის დაღუპვას, რაც ამ მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დაღუპვაც იქნებოდა. იგი გორლინის წინააღ-მდეგ გამოვიდა პარტიულ ყრილობაზე,—და გორლინიც როგორღაც ერთობ მალე, თითქმის სრულიად უბრძოლველად, თითქოს შემსუბუქების გრძნობითაც კი დანებდა. იგი ცკ განკარგულებაში უნდა წასულიყო, ხოლო ჯერ-ჯერობით ექვსი კვირის შვებულება მიიღო, და სტეპან გრიგორიჩს ძალაუნებურად მოუხდა მთელი პარტიული პოლიტიკის ხელმძღვანელობა ამ მხარეში, და ერთბაშადვე იგრძნო ის საშიში სიცალიერე, რაც აქაურ კომუნისტებს გარს ერტყა.

და აი ერთი-მეორეს მიჰყვა ზამთრის წვიმიანი თვეები. წასვლა არ შეი-ძლებოდა, და არც სტეპან გრიგორიჩს სურდა წასვლა: შინ მოუსვენარი, უწესო არევდარევა იყო და ეიდნუნისეული ტყუილი ბატონობდა. და ყოველთვის, როცა სტეპან გრიგორიჩი ამაზე ჰფიქრობდა, რაღაც განსაკუთრებული უჯია-თობით იწყებდა მუშაობას: მისთვის ეს იმ ეიდნუნენობის გამომჟღავნებასთან იყო დაკავშირებული, რომლითაც გამსჭვალული იყო გორლინის მთელი მოღვაწეობა და აზროვნება.

ლიუბაზე ფიქრისათვის უბრალოდ არ ეცალა. მაგრამ მაინც ყოველ სა-ღამოს, როცა დასაძინებლად დაწვებოდა და სანთელს ჩააქრობდა, მის ტანში ციების შეტევასავით გაივლიდა ხოლმე ლიუბას ხსოვნა. ახლა უკვე ენატრებოდა იგი, ოცნებით შეუფერადებელი, ენატრებოდა ის მტრულად განყწობილი ქალი, როგორიც ამ უკანასკნელი დღეების განმავლობაში წარმოუდგა მას. ლიუბა განხორციელება იყო ყველა იმ თბილი განცდისა, სახლს, ოჯახს, ნაცნობ ნივ-თებსა და ოთახებს რომ თან სდევს, და რომელთაც იგი ისე შეეჩვია, რომ ვერც კი აჩნევდა.

ეს განცდანი ჩვეულებრივათ სიცხიან ღამეებში სტანჯავდა მას და ხანდახან იგი ადგებოდა, ლამპას აანათებდა, სურდა წერილი მიეწერა მისთვის, მაგრამ მა-შინვე, რა წამსაც ქალალდის სუფთა ფურცელს დაინახავდა და სრული შეგნება ძალაში შევიდოდა,—იმ წამსვე სწორედ იმ ერთი-მეორესაგან გამომდინარე მოქმედებათა ბრჭყალებში იგრძნობდა თავს, რომლებმაც მოსკოვიდან წასვლა

აფიქრებინა,—და მწვანე ლაქაც შპალიერზე—იქ, სადაც ნატეხი [illegible] ეკიდა,—კვლავ აფართქალდებოდა ხოლმე მის წინ. მასთან [illegible] ოთახში? კინოში სიარული და საღამოს ჩაის ერთად სმა. ყოველივე ეს შეუძლებელი იყო...

26

სტეპან გრიგორიჩს არ სჯეროდა, რომ სელიმი ბასმაჩებთან წავიდა, მივიდა თუ არა, მაშინვე დაიბარა ის პირები, რომელთაც არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, სად არის სელიმი, თუმცა იფიცებდენ, არ ვიცითო. შოროხოვმა მაინც უთხრა მათ, სელიმის ნახვა მინდაო. მაგრამ როცა სელიმი ამას შემდეგაც არ დაბრუნდა, ცხადი იყო, შეხვედრა არ სურდა.

თუმცა, ბოლოს, სელიმი მაინც დაბრუნდა.

ეს იყო ლენინის დასაფლავების დღეებში. ამ ხნის განმავლობაში შოროხოვს რაღაც მომქმედი და მოუსვენარი ნაღელი აწუხებდა—საჭირო იყო რისიმე კეთება, უფრო მნიშვნელოვანისა, ვიდრე აქამდე აკეთებდა. სელიმზე ფიქრი არ სურდა. ხოლო სელიმი, მზით დამწვარი და გაველურებული, რომელსაც ლურჯს უშნოდ შეკერილ კოსტიუმზე ჭრელი, დაფლეთილი ხალათი გადაეცვა, იქვე სკამზე იჯდა და თავის ხუჭუჭა, წითურ წვერს აწვალებდა. სტეპან გრიგორიჩი გაჯავრებული სძრახავა.

— სულის უკვდავება:—ეს ხომ ხუცების მიერ მოგონილი ამბავია! და შენ, კომუნისტი, ამით სხვებს ასულელებდი.

სტეპან გრიგორიჩს ასე ეგონა, სელიმის თავში იმ ფიქრთა და ლტოლვათა გარდა არა არის რა, რამაც იგი ამ მცდარ საქციელამდე მიიყვანაო.

— მოიცა, სტეპან!—უეცრად გააწყვეტინა სელიმმა.—სულის უკვდავებაო?.. მე მივწვდი ამის ამაოებასა და წარმავლობას, გავიგე იგი! სულის უკვდავება? მერე რად გინდა ეს უკვდავება? აი ის, ყველაზე უკეთესი ამ ქვეყნად, ყველას უდიდესი მოციქული, უძრავად სწევს, სდუმს, აღარ არის...

სტეპან გრიგორიჩს უეცრად გაუწყდა საუბრის ძარღვი. სელიმის სიტყვებში თავი იჩინა იმავე ახალმა მწუხრულმა ძალამ, რომელსაც შოროხოვი ამ დღეებში თვითონაც განიცდიდა და სხვა კომუნიტებსაც ამჩნევდა.

— კი, მაგრამ განა ის, რასაც იგი გვასწავლიდა, მოკვდა?—სულ სხვანაირად, რბილად და წყნარად ჰკითხა სტეპან გრიგორიჩმა,—ბოლშევიზმი, ლენინის მოძღვრება ხომ ჩვენთანაა...

— ჰო, ვიცი... მაგრამ ერთი მითხარი, სტეპან! აი რამდენი რამ მისცა მან ხალხს და... განა ნაკლები საშინელი წამება განიცადა, ვიდრე რომელიმე მომაკვდავმა... როცა ტვინის ძარღვები უსქდებოდა, როგორც ექიმები სწერდენ? მე კი, მღილი, საკუთარი სულის უკვდავებაზე ვოცნებობდი!

ეს სიტყვები წამების შესახებ, რაც საუკეთესო ადამიანს უნდა გადაეტანა, თითქოს უნაყოფო და უმნიშვნელო იყო იმ სხვა, უფრო ნამდვილ და ღრმა სიტყვებთან შედარებით, რომლებიც ლენინის სიკვდილით იყო გამოწვეული. ამ სიტყვებმა შეჰფერა ყველაფერი, რაც ამ დღეებში ლენინზე ითქვა და დაიწერა,

და ყველაფერს თავის მძიმე ბეჭედი დაასვა, ყოველივე გააერთიანა, გაანადგურა... მაგრამ სტეპან გრიგორიჩმა თვითონაც დაუჯერა საკუთარ შეხედულებას და, თითქოს სელიმის გამოსაცდელად, ჰკითხა:

— მითხრეს, ბასმაჩემთან იყო.

— მე?—და სელიმმა მუშტი დასცა მაგიდას.—მაპატიე, სტეპან!—წამოიძახა მან და მუშტი გაშალა, მერე დაქანებული შუბლი შეისრისა, უმცხრალ მთვარეს რომ თვალი უგავდა.—აი...—და უეცრად ჯიბიდან ამოიღო სხვადასხვა ფერის მუშისაგან ნაკეთები ნიშანი ნამგლისა და ჩაქუჩისა.

— გახსოვს?—ჰკითხა მან და წამოდგა. მერე აღფრთოვანებულის ხმით ალაპარაკდა, თანაც თავისი ჭრელი, დაფლეთილი და მტვრიანი ხალათის სახელოებს იქნევდა.—გახსოვს, შენ რომ მაჩუქე?—ჰკითხა და მაღლა ასწია ბრჭყვიალა ნიშანი.—და მაშინვე შევფიცე ნამგლისა და ჩაქუჩის საქმეს, შევფიცე სიკვდილამდე. და გორლინმა უკანონოდ წამართვა სახალხო კომისრის წოდება, რომელიც მე ყრილობამ მომანიჭა. წამართვეს ჩემი კომუნისტობის წიგნაკიც, მაგრამ აი ამისი წართმევა კი ველარ შესძლეს! და დავიმალე... მაგრამ ბასმაჩებთან კი არა, ინდურ კილოკავებსა ვსწავლობდი, მინდოდა ჰიმალაის მთებს გადაღმა გადავსულიყავ. იქ ჩემი გზის მაჩვენებელი აი ეს იქნებოდა: ნამგალი და ჩაქუჩი. იქ, მუშების საბჭოთა ძმობისათვის საბრძოლველად წიგნაკს როდი მომთხოვდენ. დიახ, ჩაქუჩი და ნამგალი.

სელიმი ამ სიტყვებს იმავე უსაზღვრო და მაღალი პათოსით ამბობდა, როგორითაც მისი წინაპრები ყურანის სიტყვებს წარმოსთქვამდენ ხოლმე; მისთვის ეს მეცნიერული ფორმულაც იყო ცხოვრების ფუძეც და ხალხური სიბრძნეც. სტეპან გრიგორიჩმა კი ხუმრობით აჩუქა ეს ნიშანი და სრულიადაც არ ჰფიქრობდა იმ ღრმა მნიშვნელობაზე, რასაც მას სელიმი აძლევდა. მაგრამ ახლა სტეპან გრიგორიჩმა უეცრად და ხელახლა გაიხსენა საბჭოთა ღერბის ღრმა მნიშვნელობა და თვალ წინ წარმოუდგა თავისი სიყმაწვილე: ისიც სელიმივით განიცდიდა ამჟამად უკვე დავიწყებულს რაღაც ლოზუნგებს პლაკატებზე და რევოლიუციონური სიმღერების სიტყვებს...

ამჟამად ამგვარისავე სიახლით შეეძლო მოპყრობოდა უფრო რთულსა და ღრმა მოვლენებს. ხოლო ეს მისი აწმყო სწორედ იმ წარსულიდან წარმოსდგა, რომელიც ახლა სელიმში ილვიძებდა. გორლინმა კი—ყოველივე ეს ვერ შეამჩნია სელიმს და... ამბობდა.—ბასმაჩებთან წავიდაო... „წავიდე მათთან და ვუთხრა!..“—გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა გორლინსა და ოლგაზე, როცა სელიმი წავიდა. უნდა წასულიყო, მაგრამ ყოყმანებდა, თუმცა მათი ურთიერთობა გარეგნულად კვლავ კარგი იყო: ჩუმი შეთანხმებით იგინი პოლიტიკაზე არ ლაპარაკობდენ: სტეპან გრიგორიჩმა იცოდა, რომ გორლინი და ოლგა ზურგს უკან მაზე ლაპარაკობენ და სძრახავენ. და ის გარემოება, რომ სელიმი ბასმაჩებთან არ წასულა და ახლა დაბრუნდა, მისი, სტეპან გრიგორიჩის, გამარჯვება იყო, ბუნდოვანი გამარჯვება, ეიდნუნენზე; საჭირო იყო ამ გამარჯვების დაგვირგვინება და იგი ოლგას და გორლინის ოთახისაკენ გაემართა.

— ამხანაგებო! სელიმი დაბრუნდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებულის კილოთი მიაძახა კარებიდანვე.

გორლინი და ოლგა დივანზე ისხდენ. ვაჟს ხელი ეჭირა, ქალი მხრებზე მოჰხვეოდა; სახეზე სიმშვიდე და ალერსი აღბეჭდვოდათ: რაღაც თავისას ლაპარაკობდენ. ყოველივე ეს როგორღაც განსაკუთრებულად თავდაჭერილი და წმინდა იყო. ამ ოთახში, ბუხრის თავზე, მალახიტის უცნაურ სტატუეტების გვერდით, რომლებსაც არც გორლინი და არც ოლგა არაოდეს დაუინტერესებია, იდგა გაკრიალებული წითელარმიული კარდალა, საწოლის თავზე ვინტოვკა, ეკიდა, ხოლო კუთხეში საზურგე ტომარი სთვლემდა.

„როგორ ჰგავს ოლგა ნატაშას! და „ყველაფერიც თითქოს უკვე მინახავს, უკვე განმიცდია ნატაშასთან“...—დაამთავრა სტეპან გრიგორიჩმა თავისი წინანდელი, ბუნდოვანი შთაბეჭდილებანი, და თანაც მოაგონდა, რომ ასეთს მყუდროსა და განმარტოებულ ოთახში მათ ცხოვრება როდი დასცალდათ და თითქოს ოცნებობდენ კიდეც ასეთ ცხოვრებაზე...

— დაბრუნდა?

გულგრილად იკითხა გორლინმა, ოლგას ხელი გაათავისუფლა და რაღაც წიგნსა სწვდა, რომელიც ჩვეულებრივ მუდამ იქვე ედო ხოლმე.

— ჰო, დაბრუნდა...

მისივე კილოთი, უკვე ალუფრთოვანებლად სთქვა სტეპან გრიგორიჩმა.

„მაგათ არც სელიმი აინტერესებსთ და არც ის, რაც სელიმთან—მთელს ამ მხარესთანაა დაკავშირებული... წიგნებს ჰკითხულობს!..—გაიფიქრა და მყისვე შეიკავა მტრული განწყობილება. მერე განა ცუდია, რომ ჰკითხულობს!“...

— არ მსურს ძველი დავის განახლება... და არც შეხედულებას შევიცვლი სელიმის შესახებ...

ისე უთხრა გორლინმა, რომ წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია.—და არცა ღირს, მამილო, ახლა, ამაზე ლაპარაკი...

რაღაც განსაკუთრებული სირბილით სთქვა ოლგამ.

„რა მოსდის?“.

შეშფოთებით გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა, როცა ქალის გაბედულსა და მტკიცე სახეზე რაღაც ისეთი გაკრთა, რის გამოც ეს უკანასკნელი უცბად ნაზი და კეთილი გახდა. და ეს კრთომა უეცრადვე ღრმა ოხვრით გახმაურდა.

— ისევ?

ჰკითხა გორლინმა, თვალი გაუსწორა და გაუღიმა.

„ოლგა, ალბად, ავადაა, ეს კი იღიმება“...

გაიკვირვა შოროხოვმა.

— ჰო...

მიუგო ქალმა და დარცხვენით შეხედა სტეპან გრიგორიჩს:

— მალე ბავში გვეყოლება...

წყნარად დაუმატა მან.

— ბავშიო?—სტეპან გრიგორიჩმა მკლავში სტაცა ხელი ოლგას.—ბავშიო? გაიმეორა მან ერთობ გახარებულმა.—მომილოცნია, იგნაშა! მაშ, ვაჟი შვილიშვილი მეყოლება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იცის, იქნებ ქალი!

სიცილით მიუგო გორლინმა.

— მაგას ქალი უნდა, მე კი—ვაჟი... ვლადიმერ ილიჩის სახელს დავარქმევთ.

სთქვა ოლგამ.

— შეიძლება ქალსაც ვლადიმირ ილიჩის სახელი ეწოდოს—ვლადიმირა, მაგალითად.

ალერსიანად დაურთო გორლინმა.

ეს ნაზი, ალერსიანი საუბარი იმისი მაჩვენებელი იყო, რომ ოლგა და გორლინი აღსავსენი არიან ერთმანეთისადმი მეტად ღირსეული, მაღალი და წმინდა გრძნობებით, მაგრამ სწორედ ეს ღირსეული კეთილდღეობა იყო უცნაურად გაუგებარი სტეპან გრიგორიჩისთვის.

„ბავშვისთვის ლენინის სახელის დარქმევა, რასაკვირველია, კარგია. მაგრამ... სელიმი რომ ლენინზე ლაპარაკობდა, შემდეგ ნამგალი და ჩაქუჩი, —ეს ხომ უკეთესია, უფრო მაღალი... ესენი კი სელიმს აზიელს ეძახიან—„ნაციონალიო“, —გაახსენდა მას.—რა საძაგელი სიტყვაა, კაცმა რომ სთქვას! ამათ კი მუდამ ენაზე აკერიათ—თითქოს თვითონ ინტერნაციონალისტები იყონ ბუნებით. და აი სცხოვრობენ თავიანთს კეთილ, იდეალურ ურთიერთობაში. რაო—განა არა მწამს მათი იდეალური ურთიერთობა?—შეეკითხა იგი თავის თავს.—ესენი ხომ ერთად სადილობენ, ერთად ატარებენ დასასვენებელ დროს, ერთად ჰკითხულობენ,—რაც ასე ენატრებოდა ნატაშას... მეც ესევე მენატრებოდა... წინედ. ახლა კი... ნუ თუ ნატაშასთან რომ ვიყო; აღარ მომენატრებოდა?.. და მან შიშითა და გაკვირვებით იგრძნო, რომ ასეთი ურთიერთობა აღარა სურს. „რაო... ნუ თუ უარსა ვყოფ ნატაშასადმი იდეალურ ურთიერთობას?“.

უფრო გაბედულად იკითხა მან და წარმოიდგინა არა ის ურთიერთობა, რაც წარსულში მასა და ნატაშას შორის არსებობდა, როცა არალეგალური მუშაობის პირობების გამო მათ არ შეეძლოთ შეხვედრა მაშინ, როდესაც სურდათ, არამედ ის ურთიერთობა, რომელიც ახლა ოლგასა და გორლინს შორის ნახა.

ოლგა და გორლინი ისე ჩახუტებოდენ ერთმანეთს, თითქოს სტეპან გრიგორიჩი არც კი ყოფილიყოს იქა.

— ჩვენ მას კომუნისტად აღვზრდით... ხომ იგნაშა?

ნაზად უთხრა ოლგამ. გორლინმაც ალერსით გაუღიმა.

„აი მათ სრულიად აღარაფერი ახსოვთ, გარდა საკუთარი თავისა და იმისა, რაც მათგან უნდა იშვას,—აღარ ჰფიქრობენ სელიმზე და ამ უზარმაზარ მხარეზე. ეიდნუნენი კი, იგი კვერს დაუკრავდა ამათ ისე, როგორც იდეალურად სთვლიდა სოლოვიოვისა და მისი ცოლის ურთიერთობას... მაგრამ ის სროლაც ხომ საგნების აი ამ სიმეტრიულ განწყობიდან წარმოსდგა.—ერთხელ კიდევ გაიფიქრა მან და თვალწინ წარმოუდგა სოლოვიოვი, მის საწერ მაგიდაზე რომ ნივთებს ალაგებდა სიმეტრიულად.—დიახ, კვერს დაუკრავდა. მეც ასე მოვიქცეოდი... რა აღტაცებული ვიყავი გორლინით, როცა იგი აქეთ მოდიოდა.

აგრამ ეს სწორი როდი იყო — ეს იყო სწორედ ეიდნუნენით დაბრუნება: მარა, მეს უთუოდ უნდა მოვიშორო თავიდან,—ჰფიქრობდა სტეპან გრიგორიჩი ამ ახალ-ბროდა, რომ გაიმარჯვა ეიდნუნენზე. ხოლო თუ მე და ლიბა ცუდად ვართ, ესენიც ხომ მოწყვეტილნი არიან მთელს ქვეყნიერებას. მე და ნატაშა ვამბობდით ხოლმე: გოგონებს რევოლუციონერებათ აღვზრდითო და... აჰა— ესეც ლიბა! და შეიძლება ამათ ბავშსაც ასე მოუვიდეს..."

ეს კვლავ ეიდნუნისებური მოტყუება იყო. მაგრამ ახლა სტეპან გრიგორიჩმა ძალა იგრძნო ამ მოტყუების წინააღმდეგ საბრძოლველად და პირველად მოენატრა მოსკოვს დაბრუნება.

სელიმის დაბრუნებამ ერთბაშად მოახდინა გარდატეხა ადგილობრივ მუმუშაკთა განწყობილებაში: სელიმის შემდგომ სხვებიც ჩაებენ მუშაობაში.

მაშინ სტეპან გრიგორიჩმა შინ დეპეშა გაგზავნა და მოსკოვს გაემგზავრა.

და, აჰა, რონოდის ფანჯრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში განუწყვეტლად მოსჩანდა უსაზღვრო სივრცე აკმოლინის, თურღაის, ორენბურგისა და სამარის ველებისა. რუხი ცა, გამოთეთრებული მიწა, და განმარტოებული სანთლები სოფლებისა—რამდენიმე ათეული ვერსით ერთმანეთს დაშორებული. კვლავ ისე, როგორც ნეპის წინ, როცა სტეპან გრიგორიჩი ურალის ქარხნებში დაიარებოდა, ეს ქვეყანა თავის უტყვ სახეს აჩენდა, და კვლავ აგონდებოდა ხან ეს, ხან ის სიტყვები ვლადიმირ ილიჩის წიგნებიდან; მხოლოდ ამ სიტყვებს შეეძლო დაეძლია ამ ქვეყნის უტყვი და საშინელი ძალა; მხოლოდ ამ სიტყვებით შეიძლებოდა ადამიანთა მასიების ძალის თავმოყრა და იმ არარსებულის განხორციელება, რისთვისაც პარტია შემჭიდროვდა.

გათავდა სამგლოვიარო გაზეთები და შოროხოვი უკვე გზაში ჰკითხულობდა სატახტო ქალაქების გაზეთების საქმიან ნომრებს; ყურადღებოდა დისკუსია, იზრდებოდა ლენინური წვევა, გამოჩნდა პირველი, ნაადრევი წერილი თესვის მომავალი კამპანიის შესახებ. გაზეთებს თვალს მოაშორებდა, სივრცეს გააცქერდებოდა და ხედავდა განმარტოებულ სოფლებს, ტალახიან საურმე გზებს, ხედავდა ცვალებად თანამგზავრების ჯიუტ ველურობას, უსმენდა გლეხთა ერთგვარი მწუხარების მოთხრობას და—თვისი საქმის მტრის ძალა ასე მნიშვნელოვანი არაოდეს მოსჩვენებია.

და ეს რაღაცნაირად ეხლართებოდა იმას, რაც ოჯახში ელოდებოდა, და ერთბაშად თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე ჯიუტი და განიერი სახე ლიუბასი, და მაშინ იგი ნაზად, თანაც სიძულვილით გასცქეროდა ფანჯარაში უძრავსა და უდაბურ სივრცეებს. ნატაშასთან ცხოვრების იდეალური წარსული, რითაც წინედ თავისი ქორწინების ნაკლიანობას ზომავდა, გორლინისა და ოლგას შეუღლების სახით თითქოს იმიტომ წარმოუდგა თვალ წინ, რომ ეს წარსული აწმყოს გულისთვის უარეყო. „დახე, როგორი სიკარგით სცხოვრებენ ისინი...— ჰფიქრობდა იგი და ამ „ისინი"-ით ვიღაცას ჰგულისხმობდა, რომელიც გორლინსა და ეიდნუნენს აერთებდა.—მე კი, თუმცა ლიუბასთან აშლილი ვარ, სელიმის საკითხში მაინც უფრო მართალი ვარ, ვიდრე ისინი"...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შოროხოვი ერთსა და იმავე დროს კიდეც იჭმუხნებოდა, კიდეც ეღიმებოდა: ის გარემოება, რომ სელიმის საქმეში იგი მართალი იყო, თითქოს ძალას ჰმატებდა იმ გაუგებარ სიცრუის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, რამაც მისი ცხოვრება დახლართა; და ჩვეულებრივი გულღია და მხიარული სტეპან გრიგორიჩი გზაში სულ სდუმდა, ყელში ხიწინი ეძალებოდა და იგიც ნაძალადევი, ხმელი ამოხველებით სცდილობდა მის განქარვებას.

27

მატარებელი ხმაურიანი ძიგძიგით გაჩერდა და ბაქანის მიბნელებულ არე ნესტიანი კვამლით გაავსო. მოფუსფუსე დამხვდურთა შორის უეცრად გაჭკრთა ბორისის სახე.

„ლიუბა სადღაა?“

გაივლო გულში სტეპან გრიგორიჩმა და შეშფოთებითა და იმედიანად დაუწყო ძებნა ქალს ბორისის ახლოს.

როცა ბორისი დაჭკოცნა, უეცრად შეამჩნია, რომ საამისოდ მას უკვე აღარ სჭირია დაჭხრა: ბორისი ერთბაშად, თითქოს ჯიქურ გაზრდილა; ბავში გვერდით მიჭყვება, თანაბრად: მოკლე ბეწვიანი პალტო აცვია და მოკლე შალვარში ტიტველი მუხლები უჩანს, სიცივეს რომ გაულურჯებია.

— რევმატიზმს შეიძენ.

ეუბნება სტეპან გრიგორიჩი.

— არა, ნაწრთობი ვარ... შენ თვითონ შეიხვიე ყელი, თორემ თურქისტანის შემდეგ ერთბაშად გაცივდები.

ბორისი მშვიდი იყო, დინჯი და რაღაცნაირად ალერსიანი და სტეპან გრიგორიჩს ერთბაშად ისეთი შეხედულება გაუჩნდა, რომ ბორისი უკვე დამოუკიდებელი და განცალკევებულია მისგან. ლიუბა არ იყო და სტეპან გრიგორიჩსაც ეხათრებოდა რაიმე ეკითხნა მის შესახებ.

ეტლში ჩასხდენ და შინისკენ გაემართენ. ბორისი უამბობდა, როგორ გაიარა მწუხრული მარშით სვეტოვანი დარბაზი ვლადიმერ ილიჩის ცხედრის წინაშე, როგორ ჰგიზგიზებდა ყინვიანი ბურუსით მოცულს მოედანზე კოცონი და როგორ სტიროდა ძველი მუშა მოგონებათა საღამოზე.

ქალაქს ალმაკერა ქარბუქი დაჰქროდა, წვრილი და მწვავე თოვა სახეში სცემდათ; კარებში ყველგან სამგლოვიარო დროშები ფართქალებდა. ბორისმა თხრობა გაათავა და კარგა ხანს ორივე მდუმარე იჯდა, ქუდჩამოფხატული და პალტოს საყელოში ჩამძვრალი.

და მხოლოდ მაშინ, როცა უკვე სახლს მიუახლოვდენ, ბორისმა სთქვა:

— აი ლენინი,—ის ხომ ერთობ დიდი იყო... მაგრამ, იცი მამილო... მე ერთ შეცდომას ვამჩნევ მას.

— რაო?

გაკვირვებით ჰკითხა შოროხოვმა.

— ისა, რომ ბავშების შესახებ არაფერი აქვს,—მიუგო ბორისმა.—მის

თხზულებებში... ესე იგი, არის, რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან ცოტა. ბორიცა! მიაძახა მან მეეტლეს, ჩამოხტა და მამის ჩემოდანი ჩამოიღო.

ისინი უკვე საბჭოთა სახლის შესავალში იდგენ.

— შენ რაღაც ურევ, ბორის...—სიარულში ეუბნებოდა სტეპან გრიგორიჩი და ბუნდოვანად ჰგრძნობდა თავის დანაშაულს ბორისის ამ უმართლო სიტყვებისთვის —ლენინი კომუნიზმისთვის ბრძოლას გვასწავლიდა. ხოლო კომუნიზმი კი ხომ მომავლისთვის, მომავალი ადამიანებისთვისაა,—თქვენთვის თუ თქვენი შვილებისთვის, ჩვენი შვილიშვილებისთვის...

ისინი უკვე საბჭოთა სახლის ტალანში იყვენ. ვიღაც ამხანაგი სიხარულით მიესალმა სტეპან გრიგორიჩს, ბორისი კი ჩუმად მიდიოდა და იგი, ტანადი და ტანწვრილი, განზე გადაეხარა სტეპან გრიგორიჩის მძიმე ჩემოდანს; შოროხოვმა ყურადღებაც არ მიაქცია სალამს, ისე იყო გატაცებული შვილის მტკივნეულად მწვავე სიტყვებით, ბორისს დაეწია, სახეში ჩააცქერდა და ჰკითხა:

— ხომ ასეა, ბორია?

ბორისი შესდგა, ხელი შეინაცვლა, მამას თვალი გაუსწორა და ასე უპასუხა:

— ჰო და აი! შენ, მამილო, კომუნისტი ხარ და კარგი, ძალიან კარგი კომუნისტიც. მაგრამ განა ბავშებზე ჰფიქრობ? ჩვენზე კი არ ვამბობ,—ჩემსა და ვალკაზე,—დაუმატა მან, როცა შოროხოვის საპროტესტო მოძრაობა შენიშნა,—ჩვენზე ზრუნავ, ოდნავ, სულ ოდნავ...

— და ცქერა მისი თავდაბლურ-ალერსიანი და მწვავედ მოხუჭული იყო,—არა, ყველა ბავშზე... აი, თუნდაც უპატრონოებზე...

ბორიამ ხელი ჩაიქნია, ჩემოდანი აიღო და წინ წავიდა.

სტეპან გრიგორიჩს უეცრად გაახსენდა ვიღაც უპატრონო ბავში, რომელიც ხელების ქნევით ქუჩაში გარბოდა, რატომღაც შეშფოთებით დაირცხვინა და შვილს აედევნა. გაუგებარი იყო ეს სირცხვილი, შეგრძნობა იმისი, რომ ბორისი მართალია: ბავშის სიტყვებში ლენინის შესახებ ხომ რაღაც ზოგადი უმართებულება ისმოდა.

— მამილო, ნუ გგონია, რომ მე პატარა ვიყო... უკვე ბინის კარებთან სთქვა ბორისმა.—მე ყველაფერი მესმის. კარგად ვიცი თუ რა არის კომუნიზმი, იქნებ გგონია, რომ ბანაკში სათამაშოდ დავიარები?

— არა, ბორის, მაგრამ მე...

დაიწყო სტეპან გრიგორიჩმა, მაგრამ ბორიამ უკვე კარი გააღო.

— აი მოვედით კიდეც!...

რაღაც გულღია შინაობით სთქვა ბავშმა.

სტეპან გრიგორიჩი შინ შევიდა, ჯერ კიდევ არ გაეთავებინა ფიქრი იმ ულოდნელ-სერიოზულ საუბარზე, ბორისთან რომ ჰქონდა, მაგრამ უეცრად მოვარდა ვალკა და მანაც ნაფოტივით აიტაცა იგი ხელში. ეს იყო ძველებური ვალკა, რომელსაც თავისი საზამთრო ფუმფულა სათბური ეცვა. ოდნავ დამძიმებულიყო და თბილი, ნათესაური სუნი სცემდა.

— მამილო, მამილო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩუჩულებდა ბავში, პალტოს საყელოს უხსნიდა, თითქოს ეროვნულ ბიბლიოთეკა
უნდაო, მოუძებნა თბილი ყელი, მოეხვია და წყნარად ატირდა.

— უყვარხარ მაგას.

წყნარადვე უთხრა ბორისმა, და სტეპან გრიგორიჩმა შეამჩნია უცნაური კილო, თითქოს ვალკას მამისადმი სიყვარულს უძრახავსო.

— რაო, ვალეკ? რა იყო?

აბნევითა და სიამით ამბობდა სტეპან გრიგორიჩი და აბურძგნულ თავზე უსვამდა ხელს.

ვალკა თითქოს ლიუბას წინამორბედობდა, და სტეპან გრიგორიჩი ერთბაშად შეშფოთებული შეკრთა, კარის ჭრიალზე მიიხედა. მაგრამ კაბინეტის კარებში შავგვრემანი გოგონა იდგა; სტეპან გრიგორიჩს სალამი მისცა და თავის ძალზე გამოზიდულს, თაფლისფერს, დაღვრემილსა და ყურადღებიან თვალებს წამწამები ჩამოაფარა.

— ბორია, გვაგვიანდება...

ენისჩლექით სთქვა გოგონამ.

თან და თანის გაკვირვებით უსმენდა სტეპან გრიგორიჩი ბორისსა და გოგონას, რომლებიც მხურვალედ და გაუგებრად ლაპარაკობდენ ვიღაც ხუროებზე, რომლებიც უხეიროდ აკეთებენ რაღაც თაროებს. ბორისმა სთქვა, მალე დავბრუნდებიო და საჩქაროდ წავიდა გოგონასთან ერთად. და სტეფან გრიგორიჩმა, თითქოს ვისმე რაიმეს ეკითხებაო, მიჩუმებული ოთახი ჩამოათვალიერა. ფანჯრებზე უკვე აღარ იყო ლეჩაქის ნაზი ფარდები; ფართო მინებში ზამთრის წმინდა სინათლე შემოდიოდა; ეგერ—გულმოდგინედ მილაგებული, ბავშის ორი თეთრი ლოგინი; მათ ზემოდ—ნახევარს ფერობის რუკა. ყოველივე ეს ხომ წინადაც ასე იყო, მაგრამ მას მაშინ სხვა რამეც ჩრდილავდა—ლიუბას მწვანე შირმა, მის ხელნაქნართა მოხატულება, გაცვეთილი სახელმძღვანელოები, შირმაზე ჩამოკიდული წითელი თავსაფარი, რბილი, ნახმარი ჩუსტები.

და როგორც იმ კაცის სახე, ვისაც დიდი მწუხარება გადაუტანია, განირჩევა მისი წინანდელი ქუჩუჩა ყმაწვილობის სახისაგან, ისე ეს ბავშური წესიც გულუბრყვილო, სასტიკი, ამაღლებული—გასხვავდებოდა იმისგან, რაც ამავე ოთახში ყვითელს ლინოლეუმზე დაღვრილი საპნიანი წყლის ნაკადებში ბრჭყვიალით ფართქალებდა აპრილის იმ თბილსა და ნაზ დღეს, როცა იგი აქ შემოვიდა...

სტეპან გრიგორიჩმა პალტო გაიხადა და თავისი ოთახის კარი შეაღო. ეს ოთახიც გამოცვლილიყო. სავარძლის თავზე ახლა სიმეტრიულად ეკიდა ვლადიმერ ილიჩისა და ნატაშას პორტრეტები—ორივე სამგლოვიარო ბაფთით მორთული. და სტეპან გრიგორიჩმა უცნაურის გრძნობით დაინახა ნათელი ლაქა შპალიერზე. ეს ლაქა სწორედ პორტრეტებს შუა მოდიოდა, თითქოს აქ კიდევ რაიმე უნდა დაკიდებულიყო.

„ლიუბა წასულა...“

გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა და მყისვე შეაჩერა ეს აზრი, თითქოს არა სურს მისი მოძრაობაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს ბერტოჩკამ დაჰკიდა ასე ლამაზად.

აუხსნა ვალკამ, როცა მამის ცქერა შეამჩნია.

„ბერტოჩკა ის შავგვრემანი გოგონაა, რომელიც ბორისს გაჰყვა—გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა.—ნეტავ, ბორისის „ცოლი ხომ არაა? თუმცა რას ვამბობ? იგი ხომ ჯერ ცამეტის წლისაა“...

თითქოს ასეული წლის განმავლობაში სძინებოდა, ისეთს უჩვეულობას ჰგრძნობდა იგი ამ რამდენიმე თვის ფერნაცვალ გარემოში.

— ბერტოჩკა ვინაა? აქ რომ იყო ისა?

ჰკითხა ვალკას.

— ჰო... ბორიას მეგობარი. ძალიან კეთილი გოგონაა.

— მერე სად წავიდენ ახლა?

— კომუნაში.

მიუგო ვალკამ.

რომელ კომუნაშიო, უნდა ეკითხნა სტეპან გრიგორიჩს, მაგრამ ვალკამ თვით განმარტა:

— იქ პიონერები იცხოვრებენ მარტო. ყოველივე ჩვენმა ბორიამ მოაწყო. განცხადება შეიტანეს და ბერტოჩკა ამბობდა, არაფერი გამოვაო. მაგრამ უკვე გამოდის: მათ ბევრი ფული მისცეს. და აი ახლა ყველაფერს აწოდებენ, მეც მეპატიჟებიან... ვალკას ენა აებორჯლა და დარცხვენით დაუწყო მამის ხელს ალერსი.—მაგრამ არ წავალ: უშენოდ მომეწყინება...

სტეპან გრიგორიჩმა მხურვალედ და მადლიერებით აკოცა თავზე. ეს ბავში ერთად-ერთი იყო, რაც მისი ოჯახის ძველი წესიდან გადარჩენილიყო, და სტეპან გრიგორიჩს ახლა ეხოლოდ მისგან შეეძლო გაეგო იმ უკვე ჩამოყალიბებული და მაზე დამოუკიდებელი ცხოვრების ამბავი, რაც აქ არყოფნის დროს მომხდარიყო.

— მერე რატომ უნდათ ერთად ცხოვრება?

განაგრძობდა იგი ვალკასთან ბაასს.

ისინი ბავშთა ქალაქის აშენებას აპირებენ,—იდუმალი ჩურჩულით ამბობდა ვალკა,—სადაც მხოლოდ ბავშები იქნებიან. ასე ამბობენ: პატარები დიდებისაგან მხოლოდ ცუდს უნდა ელოდენო. აი ბერტოჩკას მამამ ქმარი მოუკლა მის დედას... ესე იგი...

დაიბნა ვალკა.

— ჰო, ჰო. ვიცი. მისი დედა ახლა სამკურნალოშია.

დარცხვენით გააწყვეტინა სტეპან გრიგორიჩმა.

და ახლა ამ უცნაურად სასტიკმა და ამაღლებულმა წესმა ერთბაშად გამოაჩინა თვისი დასაბამი: ამისი ჩანასახი ის იყო, რომ ბორისმა სთხოვა სამკურნალოში მოეთავსებინა ბიბლიოთეკის სულითავადი გამგე-ქალი, ეს კი რალაც გაუგებარ—ბურუსიანი ქსელით იყო გადაბმული ქუჩაში ნახულ უპატრონო ბავშის შთაბეჭდილებასთან. და ეს იგივე იყო, რასაც ბორია ამბობდა დღეს; ყველაფერს მისი უეცრად გამოჩინებული ახალი ნიშანი აჯდა.

— ლიუშა კი .. წავიდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუმატა ვალკამ.

ერთბაშად ენაჩავარდნილი სტეპან გრიგორიჩი ხალიჩის ჭარაგზეს შიაშტერდა. ვალკას სახეს ვერ ჰხედავდა, მაგრამ მისი ხმის კანკალი კი ესმოდა.

— მერე სად წავიდა?

სრულიად დინჯად, აუღელვებლად ჰკითხა სტეპან გრიგორიჩმა.

— სადა? ვალოდიასთან... მე უმისოდ არ შემიძლია... ის ხომ ჩვენი...

ჩურჩულში ოდნავი ქვითინი ისმოდა, და სტეპან გრიგორიჩმა ერთბაშად და მაგრად ჩაიხუტა იგი.

— არაფერია, არაფერია!.. გაივლის...

ანუგეშებდა ბავშს.

მაგრამ იმავე დროს ამ სიტყვებითვე უპასუხებდა იგი იმ შინაგან საკუთარ ცახცახს, რომელსაც ერთბაშად შეეპყრო. „და კელავ აღარ იქნება მოუწყობელი და გაუგებარი უსწორმასწორობა ჩემი ცხოვრებისა“... მაგრამ ამ სიტყვებმა ნუგეში კი არა, ტკივილი აგრძნობინა, შეკრთა და უფრო მაგრად მიიხუტა პატარა ვალკა. „მე მიყვარს იგი“... –ამბობდა იგი და სადღაც, საკუთარ შიგნით ესმოდა მტკივნეულ ამაოების ფუსფუსი, ნაღვლის, ბრაზის, წყენის უტყვი და სწრაფი მოძრაობანი; ყოველივე ამას ითმენდა, კბილს უჭერდა, არ სურდა სიტყვით გამოთქმა, მაგრამ, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ეს გრძნობები მაინც სიტყვებად იქცეოდა და ამ სიტყვების წინააღმდეგ მას სათქმელიც აღარაფერი რჩებოდა. „მე მიყვარს იგი...— ჰფიქრობდა სტეპან გრიგორიჩი. —და მიყვარს ისე, როგორც არავინ მყვარებია—ნატაშაზე მეტად! თუმცა ნატაშა მაზე უკეთესია, და ის, რაც ნატაშასთან განმიცდია,— ახლა აღარ მინდა... მე ლიუბა მინდა, ლიუბა. მაგრამ არა ისეთი, როგორიცაა იგი, არამედ სხვანაირი... და მე ცუდათა ვარ, ცუდათ“...

სურდა ახლოს, გვერდით ეგრძნო მისი სხეული და ფიზიკური ცახცახი აუვარდა იმ სიცალიერის გამო, რაც თავის გვერდით ნახა. და იგი ეალერსებოდა და ჰკოცნიდა მიძინებულივით დაწყნარებულ ვალკას და მისი თბილი ბავშობით ისალბუნებდა. ასე გავიდა რამდენიმე წამი. მწუხარება, მშრალი და ავი, როგორც განაცერივით წვრილი თოვლი, სცვიოდა, და მთელი ეს ფართო მოედანი, ობლად მოლისლისე გამვლელები, ქუჩებსა და სახურავებზე ალმაცერად მოშუშუნე თოვლი, ზამთრული ქალაქის მთელი ეს მრისხანე იერი სახალხო მწუხარების შავი დროშებით,—ყოველივე თანდათანობით ანელებდა მის ნაღველს, მაგრად კი ვერ სპობდა.

და ვალკაც ერთბაშად შეირხა და ამოიოხრა:

— მეგონა, დედასავით იქნებოდა ჩვენთვის...

„ჰო, ლიუბა ჩვენთან არ არის და აღარც იქნება...“—გაიფიქრა სტეპან გრიგორიჩმა თავის თავსა და ვალკაზე ერთად და ბავშს თავზე ხელი გადაუსვა. მას გაახსენდა ის ახალი რამ, რაც ბორისს გამოაჩნდა, და რაშიც იგივე ახალი და საშიში უმართებულება იყო, ეს უკანასკნელი კი ლენინის შესახებ ბორისის მიერ ნათქვამ სიტყვებთან იყო გადაბმული.

„ჰო, იგი აღარ იქნება, სხვასთან—ახალგაზრდასთანაა...—ორმოზელად ჰფიქრობდა და იჭმუჭნებოდა.—კი, მაგრამ რა უნდა ვქნა—ვიტირო?... „ლენინი გარდაიცვალა—და მე რაღაც კარგად ვერა ვარ“... მეხსიერებაში თავის-თავად განუმეორდა ორი დღის წინედ გაგონილი სიტყვები. სტეპან გრიგორიჩი რონოდის ზემო თაროზე იწვა, ქვემოდ კი—ვიღაც ვირის თავი, რომელსაც ეგონა, არავის ესმისო, ვიღაცას ეუბნებოდა: „ლენინი გარდაიცვალა—და მე რაღაც კარგად ვერა ვარ“...

მაშინ იგი სკანდალს მოერიდა, ახლა კი ეს სიტყვები მის წინააღმდეგ არის მწვავედ მიმართული. „ლენინი მოკვდა და მე, სტეპან შოროხოვი, გესმისთ, რაღაც კარგად ვერა ვარ“.—კვლავ გაიფიქრა მან.—„კარგად ვერა ვარ! ახალგაზრდა ცოლი გამექცა, შვილი გამეზარდა, თავისებურად იწყებს ცხოვრებას... ამბობდა იგი და ახლა უკვე საკუთარ თავს დასცინოდა,—მაგრამ თურქისტანში მაინც ჩემებურად და არა შენებურად გამოვიდა საქმე, პატივცემულო ამხანაგო!“

უეცრად და მტრულად გაიფიქრა მან მოჩვენებულ ეიდნუნენზე—გორლინზე და პორტფელიდან ქაღალდები ამოალაგა.

ტელეფონის ზარის წკრიალი გაისმა, სტეპან გრიგორიჩს ეგონა, მოსკოველი ვინმე ამხანაგი მელაპარაკებაო, სიამით გაიღიმა და ელსმენის მილი ყურთან მიიტანა—და უეცრად გაიგონა ტელეფონით ახიწინებული, მაგრამ კვლავ ძველებური, დაბალი და ძლიერი, წინედ ასე ახლობელი, ამჟამად კი ძლიერ განშორებული, მტრული ხმა:

—ჰო, გისმენ...

სთქვა სტეპან გრიგორიჩმა და მილის ტარი მაგრა ჩაბლუჯა.

— შენა ხარ, სტეპან? ვიცოდი, რომ დღეს მოხვიდოდი.

მშვიდად, ძალიან მშვიდად ლაპარაკობდა ლიუბა.

ვაჟი სდუმს, ქალი მის დუმილს ცსმენს და მერე დაუმატებს:

— დაგირეკე, მინდოდა შემეტყობინებინა, რომ მოვილოგინე. ხომ არ გინდა შენი ვაჟის ნახვა?

„ვაჟი... ჩემი ვაჟი!...—იმეორებს თავისთვის სტეპან გრიგორიჩი.—კი, მაგრამ მერე?“—და იგი უეცრად გაქვავდა, ენა დაება, ვერ ახერხებს გამოსავალი მოუძებნოს აღფრთოვანების იმ პაწია ნაპერწკალს, თანდათან რომ ღუვდება და სწვავს, და ტელეფონში რომ არ ჩაეკვნესებინა კბილები ერთმანეთს დააჭირა და გაზეთს დაუწყო ჭმუჭვნა. „ეს რა ამბავია“, ეკითხება იგი საკუთარ თავს.

— გინდა თუ არა?

და სტეპან გრიგორიჩს რაღაც ავი სიხარული ესმის მის ხმაში.

„მას ჩემი ცუდი ყოფა ახარებს. მე მიყვარდა იგი და ვწუხდი უმისობას, ამაზე კი აი... ასეთს მნიშვნელოვანს, სასიხარულოსა და ყველაფრის დამგვირგვინებელზე... როგორ მოხდა, რომ ამაზე სულაც არ გვიფიქრია?...“

— რაო?

ჩახლეჩილის ხმით ეკითხება შოროხოვი.

— გინდა, თუ არა ვაჟის ნახვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუთმენლად და მკვახედ უშეორებს ქალი.

— ჰო...

მორჩილად უპასუხებს ვაჟი და მისამართს იწერს.

შორს იყო წასასვლელი ქალაქს გარედ, ახალ აშენებულ სახლებში.

სტეპან გრიგორიჩი ხან ტრამვაის დათოვლილ ფანჯარას გასცქეროდა, ხანაც, როცა რონოდა გაჩერდებოდა და მგზავრთა ახალი ტალღა კონდუქტორს შემოეხვეოდა გარს, იგი შეუცნობელის ინტერესით ათვალიერებდა სიცივით დამანჭულ სახეებს.

ხანაც კიდევ, თითქოს გამოერკვაო, საკუთარ თავს ეუბნებოდა, ვაჟის სანახავად მივდივარ, ჩემი ახალი ვაჟის სანახავადო. მაგრამ ყველაფერი განცვიფრებით სდუმდა მაში. როცა ნატაშა შობდა ხოლმე, იგი სიხარულსა და ამაყ თვითკმაყოფილებას ჰგრძნობდა, რაც უფრო აახლოებდა მას ნატაშასთან. ახლა კი ლიუბასგან თავის დასამცირებლად მიდიოდა—და არც შეეძლო არ მისულიყო. საიდან წარმოსდგა ეს საშინლად დახლართული და კვლავაც უფრო დასახლართავი დამოკიდებულება? და იგი მოუთმენლად იგონებდა ყოველ წვრილმანს, სრულიად გამოსადეგარს ყოველ წვნიკს, რაც კი მათ შორის მომხდარიყო და ყოველთვის იმ წუთის ჩიხს მიადგებოდა ხოლმე, როცა იგი კარზე დაუკაკუნებლად შევიდა და ლიუბა ნახა შიშველი. რომ დაეკაკუნებია—არაფერიც არ იქნებოდა... ყოველივე ამას საფუძვლად უაზრო შემთხვევა ედო: ეს ქალი მის ცხოვრებაში შეიჭრა, ყველაფერი მისთელ-მოსთელა, დააქცია და ქაოსად აქცია. და იგი წამდაუწუმ იშორებდა რაღაც უაზრო ღიმილს, მის სახეს რომ უნებურად მანჭავდა, და აბნეულად და ბოროტად ხითხითებდა.

28

პირველს ოთახში მთელს კედელს ნოხი ჰფარავდა—შავი და ბუსუსიანი, მაზე დაჯვარედინებული ეკიდა ხმლები, კაუჭა და მუსულმანური წარწერებით მოჩითული, ძველის-ძველი დამბაჩები, გრძელი და მუქადჟანგული.

„ვალოდიასია“...

გაიცლო გულში სტეპან გრიგორიჩმა და გაახსენდა ის ველური მეომრობა, რაც ვალოდიას ამკობდა იმ საღამოს.

მაგრამ მეორე ოთახიდან უკვე ესმოდა ლიუბას დაბალი და ნაზი ხმა, და ის ახალი—ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაც მოხდა: რაღაცნაირი ხმები—უხერხული, მწივანა, ცოცხალი... და სხვა აზრები უეცრად განქარდა. აი იგი ახალი ოთახის ზღურბლზე სდგას. მოუთბუნებელი, ღია ცისფრად შეღებილი კედლები; ფართო ფანჯრებში დათოვლილი ტიალი ველები მოსჩანს, ხოლო ოთახის შუაგულს, ახალნაკეთებ სკამზე, ლითონის აბაზანა ბრჭყვიალებს, და სტეპან გრიგორიჩი ჰხედავს ლიუბას ალმაცერ, მტრულად-მოთვალთვალე ცქერას—ნათელსა და სწრაფს.

— აი შენი ვაჟი...

მხოლოდ ტუჩით გაიღიმა, აბაზანიდან ბავში ამოიყვანა, სხარტად შეჰხვია და მაღლა ასწია.

ამ კაცის წინააღმდეგ, ვინც ასე გაუგებრად შებღალა მ[illegible]ული, თვით იგი კი დაამდაბლა და დააზარალა, ლიუბამ წინასწარ [illegible] ცილოც, ეს ღიმილიც და ეს მოძრაობაც—და ახლა ხეიმით ჰხედავდა მას, რისი ნახვაც სურდა—შოროხოვის აბნევას.

სტეპან გრიგორიჩი კი ამჩნევდა, რომ ქალს ლოყები ძალზე დასწითლებოდა, თითქმის მეტისმეტადაც; რომ თვალებში რაღაც ახალი, ნაცადი აშკარაობა გამოსჭვიოდა, თითქოს მათ ის უცნაური, მჭრქალი საბურველი ჩამოხსნია, წინად რომ ჰფარავდაო; თმა გაეკრიჭა და მუქანგისფერი კულულები, მსხვილი და ოქროვანი, კისერს უჩენდა, ლონიერსა და მისი აგებულების მთელი ჰარმონიის ერთბაშად დამგვირგვინებელს; ღაჟღაჟა ფართო სახესა და ჩაკვრივებულს, თითქოს უფრო გაგანიერებულსა და დასრულებულ ტანს. გამქრალა მისი შეუცნობელი და ახალგაზრდული შვენება. მის წინ ახლა სხვა ლიუბა იდგა—მოწიფულობის დასრულებული სილამაზე.

და ვაჟი მაში ჰხედავდა თავის ცხუნარე ვნებას, თავის ნაზსა და საამო ალერსს; ყოველივე ის საკუთარი, რაც მას მიუძღვნა, ახლა თითქოს შიგნიდან გამოსჭვიოდა და პირისპირ უყენებდა ამ ქალს. და ქალის მტრობის სათავე იმ ახალსა და ცოცხალ ვინმეში მდგომარეობდა, რაც წინად მას არ გააჩნდა, და რაც ახლა ისე მაღლა ეჭირა, თითქოს იმითი სურს ვაჟის შემუსვრაო. ეს ახალი არსი საშინლად იმანჭებოდა, თრთოდა; ხმა მისი ადამიანურს არა ჰგავდა, ეტყობოდა უმძიმდა ნორჩი სიცოცხლე. წითლად აპრწკიალებულს მის ტანს საპნიანი წყალი ჩამოსცვარავდა და ეს წყალი ყვითელს ლინოლეუმზე ისე სდიოდა როგორც მაშინ, როცა უნებურად კარი შეაღო და შიშველი ქალის ტანი დაინახა. და ამ ორი მომენტის მზგავსებაში, როგორც ჩასუნთქვასა და ამოსუნთქვაში, შოროხოვმა თითქოს ერთი ღრმა სუნთქვა იგრძნო, თვითონაც მძიმედ ამოისუნთქ-ჩასუნთქა და ამით ვითომ ერთმანეთს გადააბა აპრილის ისა და თებერვლის ეს დღე. ეს შეგრძნება სიტყვებით როდი იყო გამოსათქმელი და რამდენადაც ეს მისი ახალი შეგრძნება უფრო ცხადი, უფრო გასაგები ხდებოდა, მისი სუნთქვაც, იმდენადვე სწორი, ღრმა და მშვიდი გამოდიოდა.

და შოროხოვის სახეზე ლიუბამ შეამჩნია რაღაც მშვიდი, თითქმის საზეიმო ბედნიერება, და შეკრთა: ეს იერი სწორედ ისეთი იყო, როგორიც მას მოსწონდა—ფართო, ალერსიანი თვალები და ჭკუიანი, მოღიმარი ტუჩი. ქალმა ღრმად ამოიოხრა და ნაღვლიანად გაიფიქრა: ასე რომ არ მომპყრობოდა იგი, ხომ შეიძლებოდა ბედნიერებით მყვარებოდაო... ამასთანავე უეცრად იგრძნო თავისი მუქარის უაზრობაც, ბავშს ტანი შეუმშრალა, ახალნაკეთებ აკვანში ჩააწვინა, და სტეპან გრიგორიჩიც ახლოს მივიდა—ისე, რომ ბავში დაენახა.

ბავში უკბილო პირს აჩენდა, უკვე გამშრალებული ზურგზე იწვა და პაწაწინა ხელ-ფეხის მზგავს რაღაცას ანძრევდა: ჯერ კიდევ გაუმაგრებელნი, ჯერ კიდევ მუშაობისა და სიარულის იარაღად გადაუქცეველნი, ისინი, როგორც მწერთა შემხებნი, თავისუფლად და ხარბად მოძრაობდენ: სტეპან გრიგორიჩს ამ პაწია სიცოცხლის მოძრაობაში განეხორციელებინა საკუთარი თავი, უცქერდა და სტკბებოდა იმ აღტაცებით, რომელიც ლიუბასთან ტელეფონით ლაპარაკის

დროს, ასე სწვავდა თვისი გამოუთქმელობით, და რომელიც ახლა სრულიად გამოირკვა, როგორც სიყვარული ამ ახალდაწყებულ სიცოცხლისადმი.

ბავშისადმი სიყვარული--იგი ლივლივით მატულობდა, როგორც ადიდებული წყალი, და ამ სიყვარულს, როგორც წინად, უფროსი ბავშების დაბადებისას, ვერ ახშობდა ვერც სინაზე ცოლისადმი და ვერც მასთან კავშირის გაძლიერების გრძნობა,—ეს იყო წმინდა, თითქოს გაწურული სიხარული საკუთარი თავის; სიცოცხლის განგრძობისა, საბოლოო გამოხატულება იმისი, რამაც იგი შეიპყრო მაშინ, როცა ეს ქალი შიშველი დაინახა.

„განა ეს შემთხვევითი იყო?—შეეკითხა შოროხოვი თავსა და ახლა სულ ადვილად განთავისუფლდა იმის შემთხვევითობის გრძნობისგან, რაც ლიუბასთან შეემთხვა.—მერე რატომ მინდოდა მაშინ შეუმჩნევლადვე გავსულიყავ ოთახიდან? რატომ აქამდე არ გამოვუტყდი მას, რომ შიშველი ვნახე და მისდამი სიყვარულიც აქედან დამეწყო? განა ამაზე ადრეც არ ვტკბებოდი ხოლმე მისი ტანის მოქნილობითა და ახალგაღვიძებული ქალური შვენებით? მაგრამ მაშინ თავს ვარწმუნებდი ხოლმე რევოლუციის ახალი, ჩვენი შემცვლელი, ტალღა მატკბობს-მეთქი“..

და მან უეცრად მკაფიოდ დაინახა შინაგანი ეიდნუნენი: აი ის ბეცი ფარისეველი და მჩქმალავი, რომელმაც, რათა შოროხოვი ლიუბას დაახლოებოდა, მოიგონა თეორია ლიუბას, როგორც რევოლუციური მეორე თაობის წარმომადგენლის, აღზრდისა, და რომელმაც შემდეგ, რათა იგივე შოროხოვი ლიუბას გაჰყოლოდა, სულერთიან შეაფერადა მისი მოგონებანი ნატაშას შესახებ და ამითვე აიძულა, რათა არარსებული იდეალური საზომით გაეზომა ლიუბასა და მისი ურთიერთობანი.

„და სრულიადაც არა ამიტომ, სრულიადაც არა ამიტომ უნდა გავყოდი მას...“

ჰფიქრობდა სტეპან გრიგორიჩი.

ლიუბას ეგონა, სტეპან გრიგორიჩი დაიბნევაო. იგი დარწმუნებული იყო, შოროხოვი მოინდომებდა ბავშის ნახვას, მის მამობას, ლიუბა კი გულგრილად განუცხადებდა, რომ ბავში ბულავინმა იშვილა, მისი გვარი ექნება და სახელიც მისი დაარქვა—ვლადიმერი. მაგრამ ქალი ხედავდა, რომ, თუმცა სტეპან გრიგორიჩი მოსვლისას დარცხვენილი და დაუჯერებელი იყო, ახლა, როცა ბავშის ნახვით დასტკბა, სრულიად დამშვიდდა და გაბრწყინდა. ქალს ეგონა, ლაპარაკს დაიწყებს და მისი ლაპარაკი დარცხვენილი თხოვნა იქნებაო, მაგრამ შოროხოვი სულ სდუმდა და მისი სიმშვიდის ძალა თანდათან მატულობდა, ამიტომ ქალს თვითონ აღარ შეეძლო ჩუმად ყოფნა და სთქვა ის, რასაც ჰფიქრობდა:

— მე მას ვლადიმერი დავარქვი... —დაიწყო წყნარად.—ლენინის სახელი—დაუმატა და წამოწითლდა, და ამით სრულიად დაუკარგა ძალა შოროხოვის გასანადგურებლად შემუშავებულ გეგმას.

„ალბად მიხვდა, რომ ლენინისა კი არა, ვალოდიას სახელი დავარქვი,—გაიფიქრა ქალმა და უფრო წამოწითლდა.—მერე რად გაჩუმებულა? ტყუილი ხომ არაა, ასე რომ ვთქვი? ჩვენ ხომ ლენინსაც ვგულისხმობდით“...

გულში ამბობდა იგი გასამართლებელ სიტყვებსა და სწითლდებოდა.

„და ყოველივე ეს კი იგივე ეიდნუნენია...—ჰფიქრობდა სტეპან გრიგორიჩი, და დიდი ხანია მისი აზრი ასე სრული, გაბედული და ცინცხალი არ ყოფილა, როგორც ახლა.—ყველაფერი ეიდნუნენია... შინაგანი ეიდნუნენი, რომელიც განგებ მაჩრის ნატაშასთან ჩემს დამოკიდებულებას, როგორც იდეალურ რამეს... მაგრამ აი ოლგა და გორლინი—მათი ამპარტავნული განდგომა სელიმისგან, იმ ქვეყნის მშრომელი ხალხის ცხოვრებისგან და თავის ოჯახურ პაწია სამყაროში მომწყვდევა და ის გარემოებაც, რომ ლენინის სახელს უწოდებენ,—ყოველივე ეს იმის შეუცნობლობაა, რაც არსებობს, ყოველივე მისი მიჩქმალვაა.. აი რატომ გავხდი უძლური ლიუბას სიშიშვლის წინაშე...

ნატაშაზე ნაღვლის გაყინული ფორმა, ის გარემოება, რომ არა სურს იგრძნოს საკუთარს არსებაში სიყვარულის დაუშრეტელი ძალაა,—ყველაფერი ეს ეიდნუნენია, ამპარტავნული, ზერელედ—მართალი, თავდაჯერებული მალულობია, რომელიც უძლიერად იხრის ქედს ყოველივე შეუცნობელისა და სტიქიონურის წინაშე ისე, როგორც სოლოვიოვი თავისი მრისხანების წინაშე... მერე როგორ მიყვარდა წინად ეიდნუნენი... და რა კარგად ვმუშაობდით ხოლმე ერთად! და იგი საჭირო და სასარგებლო იყო ჩემთვის, სანამ არ შემომეპარა და მბრძანებლობა არ დამიწყო. მაგრამ ახლა კი თავის ადგილს მივუჩენ მას და კვლავ ჩემი უფროსობით ვამუშავებ“...

„ალბად ეწყინება, როცა გაიგებს, რომ მისი ვაჟი ბულავინი იქნება...—ოდნავი შიშით გაიფიქრა ლიუბამ და უფრო მეტი გაბედულება ამოიკითხა სტეპან გრიგორიჩის სახეში.—და შეუძლებელიცაა ხომ, იგი რომ ბულავინი იქნეს. განა იგი მისი ვაჟი არაა—შოროხოვი!“.

და თავისთვისაც მოულოდნელად ხმამაღლა წამოიძახა:

— შოროხოვ, ვლადიმერ სტეპანიჩ!—და აკვანზე დაიხარა:—სულიკო ჩემო ციცუნია!

ისე ნაზად და თავდავიწყებით დაუმატა, როგორც ალერსის დროს ეტყოდა ხოლმე სტეპან გრიგორიჩს.

შოროხოვი შეკრთა. მისი ალერსის ნაკადმა ტანში დაუარა, მაგრამ მყისვე მიილულა: ტანმა, რაღაც ახლურად, იუარა ეს ალერსი.

„ვითომ რაო? მე ხომ, ალბად, სრულებით აღარ მესაჭიროება ესა? მაშასადამე, იგი ჩემი უკანასკნელი სიყვარული იყო?—ნათლად და ნაღვლიანად ჰკითხა თავსა და თვითონვე უპასუხა: - თუ გნებავთ, აი იგი - სიბერე!“...

ახალი ასაკი სწორედ ისე უცნაურად უგვანო მოვიდა, როგორც წინანდელი ბოდიოდა ხოლმე. მოვიდა და პირველი გრძნობა, რომელიც თან მოიტანა, იყო განმათავისუფლებელი სისუბუქე, რითაც სხეულმა უკუაგდო ენების გამოუსადეგარი და დამქანცველი ტკბობანი... იგი თითქოს მთის წვერვალზე ადიოდა, და ლიბასადმი სიყვარულის ეს მძიმე და მტანჯველი განცდანი ამ სვლის ორწოხებიანი გზა იყო. და, აჰა, იგი უკვე უმაღლეს წერტილზე იდგა და წინ ახალი მთაგრეხილების შორეულს, თბილ-ოქროსფეროვანსა და ბედნიერ ბურუსებს სჭვრეტდა.

„იქ უკვე ველარ ვიქნები“...—მოიფიქრა მან და პირველად გაგონილ თვისი მოსპობა არა როგორც საშინელი სიტყვა „სიკვდილი“, თვისი მოპირდაპირე ძალა, რომელიც სასტიკად დაამარცხებს მას, არამედ როგორც ის, რაც მაში ხდება, იმასთან განუწყვეტლად, რასაც იგი სიცოცხლეს ეძახდა. და მან უჩვეულო ძლიერებით იგრძნო, რომ ის მთავარი აზრები, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში თან სდევდა, არა მხოლოდ ისინი იყვენ მოქცეულნი მის ცხოვრებაში, არამედ თვითონაც მთლიანადაა მოქცეული ამ ახალი აზრდის ტალღაში, ქვეყანას რომ ედება, და შოროხოვი გაჰქრება, ეს აზრები კი აი იმ შორეულს, მხოლოდ ახლა გამოჩენილ წვერვალებზე დამთავრდება.

ლიბა ოთახში მიმოდის, ბავშს აძინებს და მშობლიურს, გარდუვალ ნანას უმღერის, და ინსტინქტური, მფარველი და ველური ძალა მის სუბუქ მოძრაობასა და ოდნავ ხრინწიანს, თითქოს მოხველო, ნელა მოლულუნე ხმაშია და თავის ბრწყინვალე ახალგაზრდობაში, იგი— ძველის-ძველი და მტაცებელი, ისეთია, ვით ვალოდიას ძველი იარაღი შავს ხალიჩაზე.

და სტეპან გრიგორიჩმა უეცრად თავისი თავი, ლიუბასთან შედარებით, ახალ ადამიანად, ესაა ახლა შობილად იგრძნო, თითქოს ამ წუთს მოევლინა ქვეყანას და სურს იზარდოსო. და ამ დიდი ოთახის სიცალიერესა და უკარებლობაში მან შეამჩნია ლიუბასეული ოჯახური სამყაროს ოდნავ გამოსახული ელემენტები: ჭრელი ნაქარგი ფანჯარაზე, ხორცის ახალი საკეპი კუთხეში, და მოთელილი რბილი ტუფლები მის ლოგინ ქვეშ. და ყოველივე ეს— წინედ აიე საამო—ისე წარმოუდგა, როგორც ძველი მტრის გამოხატულება, როგორც სტიქიონურად განმეორებული საუკუნოებრივი და საზიზღარი ფორმები ცხოვრებისა. მთელს თავის სიცოცხლეში ებრძოდა მათ, ჰგლეჯდა ფარისეველურ ნიღაბებსა და საამკარაოზე გამოჰყავდა, ახლა კი თავის საკუთარ არსებაში აღმოაჩინა იგინი—თურმე მისი შინაგანი ეიდნუნენი ჰფარავდა მათ. არაოდეს ისე მძლავრად და უნაკლოდ არ ყოფილა იგი მათს წინააღმდეგ შეიარაღებული, როგორც ახლა, და მან მწვავედ და ცივად შეხედა ლიუბას—ისე, როგორც მტერს უცქერიან ხოლმე, როცა მისსა და საკუთარ ძალას გაზომავენ.

და, როცა მისი ცივი, მტრული და გაუგებარი ცქერის ძალა იგრძნო, ლიუბა შეკრთა, რისხვის ქროლვამ ტუჩის კუთხეები დაუმანჭა, ცხვირის კეხი დაუნაოჭა, და ამ დამანჭვამ ერთბაშად გაახსენა სტეპან გრიგორიჩს, ლიუბამ რომ ბორისს გაარტყა.

— ეს ჩემია!.. არ მოგცემ, არა...

დაბლა, ყრუდ და მრისხანედ ჩაიქუხა ქალმა, ბავში აკვანში ჩააწვინა და ზედ გადაეფარა.

„ჰო, მან სცემა ბორისს... და ბორისსაც აქედან დაებადა საბავშო კომუნებზე ოცნება. ყოველივე კი იმიტომ მოხდა, რომ დრო არა მქონდა მეფიქრნ, როგორ იზრდებოდენ ჩემი ბავშები. თუმცა მთელი სიცოცხლე ვიბრძოდი“...

და მოაგონდა უტყვი და უდაბური სახე ქვეყნისა, რონოდის ფანჯარაში რომ ჰხედავდა, გააცხენდა ვრცელი თურქისტანი, ურალის ქარხნები, და ყველა

მისმა წინანდელმა დაუმთავრებელმა სტატიებმა და გაუგებარმა [illegible] დასასრული ერთბაშად იმაში ჰპოვა, რომ ნათლად გაიგო ბორისის [illegible] ლობა ლენინის შესახებ, მიხვდა რა სახიფათოა მხოლოდ საკუთარი თავის ჩაკეტა იდეალურს კომუნებში მაშინ, როცა საუკუნოებრივი დი თვალთმაქცურად იერის მცვლელი მტერი აი აგერ არის!... აი ასე იცავს იგი ამ ახალ არსებობის!...

და სტეპან გრიგორიჩი უკვე თავის გვერდით ჰგრძნობდა ბორისს, როგორც მოკავშირესა და სურდა ამ ცალიერს, უგემურ ოთახშიც ის ახალი, ამაღლებული და ბავშური წესი გამეფებულიყო, როგორიც თავის ბინაში ნახა.

სტეპან გრიგორიჩი აკვანთან მივიდა, ლიუბამ თვისი ლონიერი ხელები გადააფარა აკვანს, და შოროხოვმა მკლავებზე შეამჩნია ოქროს ფერი ქინქლი.

— ჰო, არ მოგცემ! არ მოგცემ—მეთქი!—იმეორებდა იგი და შოროხოვს კვლავ ესმოდა მის ხმაში შრისხანე ღრენა.—მე მიმატოვე და ახლა ესეც გინდა წარმართვა?

— ლიუბა, ჩემთვის კი არ მინდა წაგართვა... მხოლოდ მინდა საქმე ისე მოვაგვარო, რომ შენ არ შეგეძლოს მაგისი დამახინჯება...—წყნარად სთქვა მან და იქვე დაუმატა:—და ამაზე კიდეც უნდა მოვილაპარაკოთ...

ქალი უკვირდებოდა გაუგებარს, მაგრამ მისთვის მტრულ სიტყვებსა და სდუმდა. სდუმდა შოროხოვიც. ბავშს ეძინა და მის ანთებიან სახეს ვრცელი, უდაბური ველების დიადი, მაგრამ შეუცნობელი ძალა ეფინებოდა.

და იგინი იდგენ მისი აკვნის აქეთ-იქით მხარეს, ძალამოკრებილნი, ერთმანეთისადმი მტრულად-განწყობილნი და მზადმყოფნი ახალი ბრძოლისათვის.

დასასრული.

ᲛᲘᲮ. ᲩᲘᲫᲝᲕᲐᲜᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲔᲒᲘᲗ

1

ფართო საურმე გზა დაკბილულ სალი კლდეების ზურგზედ გადადის. ცხვირიდან ცხვირამდე ლოდებია გაპობილი. ზედ თეთრი კსალითაა შარა ნაგები. კალთებზე დაკლაკნილ გზას ჰკვეთს ჰაერში მოსრიალე კანათები. შავი ქვის მადანი მოედინება მთიდან ბარისკენ, მაღლობიდან დაბლობისაკენ. ორი გზა ერთმანეთით იკვეთებიან, სჭრიან გეზებს და შორდებიან. ერთი მთას ირგვლივ ეხვევა. არჩევს ხელსახეგ ადგილებს და ქოშინით ადის მწვერვალზე. მთაზე ასვლამდე აკეთებს კიბეებს. იკეცება და თავს ხან ერთი კლდის ძირს მიაბჯენს და ხან მეორეს. ასეთი ხერხით სურს დაიმორჩილოს ცაში აზიდული მთის ზურგი, და მწვერვალზე შესულმა თამამად იდღესასწაულოს თავისი გამარჯვება. იდღესასწაულოს ისე, როგორც ზეიმით აღვსილი მასა ეგებება თავის გამარჯვების წლეგის თავს, რომ გადახდილი ბრძოლებით წელ გამაგრებული განაგრძოს გზა და მტერს უშიშრად შეუტიოს. ასეთია მისი აზრი. ის მთას უფრო ეხამება. ქედს იხრის მის წინაშე და ემორჩილება გარემოს. თავდახრილი აკეთებს ზიგზაგებს და ქანაობს მწვერვალისაკენ მიმავალი.

მეორე ძირიდან მთის ცქერტზეა მიბჯენილი. მან არ იცის მოხვეულები, მიმართულება სწორი აქვს და უყოყმანოთ მისკენ ისწრაფის.

გამიზნული ორიენტაციით მართავს სავლელ მანძილზე უნარს. წინსვლაში მუდამ დანიშნულ ადგილზე სიზუსტით სცემს, არ სცდება ხაზს და მით იმორჩილებს ყოველივეს. არ ერიდება სიძნელეს და მიმართულების სისწორეში დარწმუნებული ასწრაფებს ნაბიჯებს. ეს გზაა ოსტატის, ტეხნიკის ნაშენი; მათემატიკური ანგარიშის შედეგი საზოგადოების საკეთილდღეოთ. ეს მოკლე მანძილია ორ წერტილს შორის ადამიანის მიერ მიგნებული, აღმოჩენილი და გამოყენებული. მასზე გამოულეველივ მისრიალებენ ჯაჭვზე მცოცავი კალათები. მიდიან ერთმანეთის მოშორებით. სავსეს წინ ცარიელი ეგებება. უკანასკნელი მსუბუქად გრძნობს თავს და დამშეულივით მიეშურება ქარხნისაკენ. ტვირთიანი კი დინჯათ მიექანება თავქვე. მიდის შეუჩერებლივ და ბაქანთან მიახლოვებისას იწყებს ჩამუხვლას. იცლება ქვისაგან. ინთავისუფლებს თავს ადამიანისაგან უღელ დადგმული... ყველაფერი ეს ორ კლდის პირში ხდება აზვირთებულ მდინარის გვერდით.

ესტატე „კირკის კაცი“ მთა მადნის მუშაა. მეორე ცვლის რიგის ძველი მნგრეველი და თმა შეთეთრებული. თეთრად მისი თმა მალარიში შესვლამდეა,

ხოლო შემდეგ ადამიანის სახე კარგავს საკუთარ ფერს და მთის ბეჭის საფერით იფერება. შავი ქვის მტვერით იმშვენებს ლოყებს და სადარბაზოთ გამოწყობილი უკეთეს შემთხვევაში თეთრ კბილს თუ აჩენს. სახე შავია, თვალები განსაკუთრებით იხედებიან და მთელი ტანიც მარგანეცია თითქოს მოძრავი. ჭალარა მუშა მიდის სამუშაოზე. გული მიიწევს დანიშნულებისაკენ და ისიც არ რჩება საერთო ძახილს, ძახილს მაღაროებისას, ქარხნებისას და საბჭოთა ლითონისას.

მთაზე ასულმა ესტატემ ღრმად ამოისუნთქა, გული მიუშვირა ცივ ქარს და ალმართზე გამარჯვებულმა ამაყად გადმოხედა მიდამოს. ყვირის მდინარე. მიაქვს და შავი ლავა და გულმოსული ემდურება სარეცხ ქარხნებს, ქარხნებს, რადგანაც წაშალეს მისი სისპეტაკე. დაიმორჩილეს ყვირილა და აზიდვინებენ საკუთარ მწვირეს. აბა როგორ არ უნდა იყვიროს ყვირილამ! სად აქვს მას იმის თავი, რომ ამდენი ქვის მური ზიდოს!... მაგრამ ვინ უჯერის ოდესღაც ანკარა ტანის პატრონს: გულმოსულია და ამიტომ ყვირის.. დახეთ ადამიანების საქციელს!:.. მადლობის მაგიერ მას „ყვირილაც“ კი დაარქვეს. ჩქეფს, ყეფს ყვირილა და ემორჩილება ინდუსტრიას. განაწილებით ჯერჯერობით ეს ერთი ერგო და ალბათ მომავალში ელექტრო-სადგურის ტურბინებშიდაც ააყვირებენ!... ქარხნებს გაცილებული მდინარე ქალაქს დამშვიდებული უვლის გვერდს, ცოტა დავაკებაზე გულს იბრუნებს და მარტო ჯებირებს ეომება.

2

— მიყვარს ეს შავი ქვით სავსე მთები და დაყუდებული ლოდები. მიყვარან რადგანაც მუდამ ამაყად დგანან და მედგრათ მიუშვერიათ ღია მკერდები ბუნებისათვის: ადამიანისათვის, ქარისათვის სიცივისათვის, მზისათვის და თავბრუდამხვევ ჭექა-ქუხილისათვის, შენით წარმოიდგინე, თვით დაუცხრომელ მდინარისათვის. არ მინახავს მე ისინი ქედმოდრეკილნი და დამწუხრებულნი. თუმცა ადამიანმა მათ ზურგზე ბევრი ალიაქოთი ასტეხა, დიდი ოფლი დაღვარა და მაგრათაც შეუნგრია გვერდები... აბა რა მსგავსებაა უწინდელთან შედარებით!... ახლა ამ ციცაბოზე საჰაერო გზა მიდის და უწინ—სათოფეთ ვერ გაბედავდა მიკარებას დაუღლებული ხარი ამ ღრიაკელთან. გორაკებიდან გამოაქვთ შავი ქვის ათასეული ტონები, მარგანეცის ტონები, რომელიც ლითონია: რკინა, ფოლადი, თუჯი, მით იჭედება ახალი მანქანები, იარაღები, კეთდება ტრაქტორები, კომბაინები და ეწყობა გიგანტი მანქანათ-მშენებლობა. ლითონი სოციალიზმის ფუძის ბეტონია, და ამას უმთავრესად აი ამ მთებიდან იღებენ. მიაქვთ და ადნობენ ათასნაირად. აყალიბებენ და იქმნება ახალი მასალა. ჭიათურის მარგანეცი თერთმეტი ათას მუშას ასაზრდოვებს, აძლევს სამუშაოს და იპყრობს ევროპის ბაზარს. ეს ყველა ჩვენ შეექმენით ბუმბერაზ მთებიდან, ამ გორების დაპყრობიდან.

— მაშასადამე მუშებმა დაიმორჩილეს ისინი, მაგრამ მაინც ჯანს რომ არ იტეხენ!.. აი, აგერ სარტყელის შესავალში საკირეს სწვავენ, მოაქვთ ნახშირი და ათასობით ამზადებენ კირს. კირის გარდა მშვენიერ საშენ ქვასაც სტეხენ და აშენებენ მაღაროელებისათვის ახალ ბინებს. ყველა ეს ქვა-კირი ამ კლდეებიდან მზადდება, ეს მთები იძლევა მდიდარ მასალას და ჩვენც ამიტომ ვართ მდიდრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამისათვის მიყვარან სწორეთ ეს მთები, კლდეები და ცოცხალი ბალახი ზეგნები, შავი ქვის ძარღვებით რომ არიან დაქსელილები— შავი ქვით რომ არიან გატენილები!

— მიყვარს აი აქ, ამ კლდის ცხვირზე ჯდომა, მწვანე ქანდარაზე ყოფნა, რადგანაც ფერდობის ამოსვლით დაღლილი სხეული გრძნობს სიმშვიდეს და ისვენებს. გული უბრუნდება ბუდეს და თავაწეული დასჩერებიხარ ძირს, დაბლობს—მთის ორ კალთაზე გაშლილ შავი ქვით, მტვერით გამურულ ჭიათურას; ქალაქს, რომლის კიბეებზე სიარულით ცვდება ლურსმნებით დაჭედილი ბათინკები. ხოლო ქუჩების შიშით ავტომობილს ვერ შემოუბედავს შორაპნიდან.

ესტატეს ზორბა სხეული აიმართა მთის გადასავალში. ცის კიდურებზე ამართულ ზვინივით გამოჩნდა მაღალი ტანი. განიერმა ბეჭებმა დაფარა შუქრუთის მხარე. მაღაროს მუშამ ჩაიმუხლა. კი არ დამჯდარა, ზეზეურად შეისვენა. გამჭრიახი თვალებით დასერა ირგვლივ მყოფი საგნები. მის წინ იხატებოდა მთელი მიდამო, უსწორო გზა აქამდე მომავალი. მგზავრი შორეული მხარიდან, წარსულიდან. მარგანეცის მუშას მრავალი რამ ახსოვს. ბევრი უნახავს და განუცდია. მას მრავალჯერ შეხვდომია შუქრუთიდან თავქვე დაშვებული სირბილი მუშაობის შემდეგ. ეს მაშინ, როცა მზის ამოსვლამდე მაღაროში იყო შესული, წერაქვს სცემდა და გამოსვლისას თავზე მთვარე დაქათქადებდა, გამუდმებულ შრომაში ვერ გებულობდა დაღამებას... კერძო მრეწველი ძალლივით იღრინებოდა მის წინ. წუწნიდა ყოველ ნაბიჯზე. ართმევდა სამუშაო ძალას და წერაქვზე ღონე მილეულს ნაგერას უმადურად მიუგდებდა შაბათ საღამოს... ან კიდევ, ორი კვირა უნდა ედევნა ფოდრაჩიკისათვის გროშების მისაღებათ. რა იყო ძაშინ?!... გაჭივრების მუშაობა იყო და მუშას ვინ უგდებდა ყურს!...

სად იყო ბინა, თავშესაფარი!.. ღია ცა იყო სახლი და კარი, სასტუმრო და საოჯახო. ზოგან გორაკიდან მაღაროს წინ ფარღალალა სახლი პირ შებრუნებული იხედებოდა წაქცევაზე მიმდგარი. შირიფად ნადგამ ფაცხებში შედიოდა ყინვა და სუსხი, სიცხე და სიო. ზამთრის ღამეს აქ ისვენებდა გაოფლიანებული მნგრეველი, მენიჩბე, მებიგე, მრჩეველი, მზიდავი, მწონავი, და მთელი წარმოების მუშები. ეახშმად მათ ქონდათ თითო კვირის გამხმარი მჭადი, პური და უგემური წყალი. ობმოკიდებულ ხახას ასველებდა უმადური მუშა, და ძილს ეძლეოდა, ვაშკაცი სხეული იკაკვება, ცივდება, ეკარგება უნარი და უძლურდება. ეს იყო ხვედრი შავი ქვის მუშის. ვაჟკაცად მოსული ხელით მიყავდა მეზობლებს.

ესტატეს უბინაობის გამო ბევრჯერ უწყევლია თავბედი. უბინაო მუშაობის შემდეგ გარბოდა სამ ვერსზე დუქნებისაკენ... მიდიოდა ღამით, ბნელაში. გზაზე იმტვრეოდა. სხვებიც გვირაბში რჩებოდენ ჩალაზე, ბალახზე ან როკებზე თავმიდებულნი. დაქანცული კაცი ლასლასით მიდიოდა უკუნეთ ღამეში, ნიალვრისაგან მკერდებ დალარულ ღელეებში და იგინებოდა დედას, ცოლს, შვილს და გამჩენს. მეტი არ ქონდა საშვალება. ეცლებოდა ჯანი ხელიდან, ხოლო სამაგიერო კი არსაიდან სჩანდა.

მაღაროდან გამოსულს, მთვარიან ღამით უყვარდა ესტატეს ამ გადმოსავალ წვერზე დადგომა. მაშინ ოდნავ სიმშვიდეს გრძნობდა. უცოლო იყო იმ ხანად

და დაოსებული ნეტარ წუთებზედაც ოცნებობდა. ერთხელ საბერძნეთში ბაკვიატებული აზრი თავს დასტრიალებდა. სოფელ გოგონას სახე არ აძლევდა მოსვენებას და მოჩვენებასავით მაღაროშიაც მიყვებოდა. ყმაწვილი კაცი ცდილობდა გაერღვია ზღუდე, ხელთ ეგდო სათაყვანო წუთები, და გამხდარიყო ბედნიერი, ისე როგორც მას სხვები უძახოდენ. ობოლი ბიჭი ლუკმას დღიურად შოულობდა. ამით იფარებოდა მისი მისწრაფება და მაღაროდან გამოსვლის საშუალებას არ აძლევდა. ვაჟი უყვარდა შავთვალასაც, მაგრამ დრომ ყველაფერი შესცვალა. გაამწარა ახალგაზრდა მნგრეველი და გაშმაგებული, გაბრაზებული უკულმართ ცხოვრებაზე მაღაროდან გამოსვლის შემდეგ აქ ფიქრობდა, ეძლეოდა წუთიერ სიმშვიდეს. ადგენდა მომავალ გეგმებს ულელტეხილის გარდასავალში ისე ტკბილათ, თითქოს საკუთარ კერასთან ზის და თბილი ბუხრისაგან გარინდებული ოცნებობს მომავალზეო.

ბოლოს მიეჩვია ასე დგომას და ჩვეულებადაც გადაექცა. ბევრი სიმწარის წუთები მოუნელებია აქ ჭაღარა შავიქვის მუშას. დღესაც, როცა მისი ცხოვრება სულ შეცვლილია, სჩვევია მთის წვერზე შეჩერება, შესვენება და კმაყოფილი სახით მოგონება მწარე წარსულის.

მზემ დასავლეთისკენ გადაითავდაღმართა. დაეშვა ბაგეზე და თვალების ჭყეტით უცინის მთიან ადგილებს. პერევისის მხარეს გვერდ და გვერდ უმზერს. თებერვლის უკანასკნელ დღეებში სითბო მოჰმატებია და აგრძნობინებს სოფელს მის სიძლიერეს.

თვრამეტი წლის ესტატემ პირველად მაღაროში მღვიმევში დაიწყო მუშაობა. მღვიმევიდან პერევისის რაიონში გადმოინაცვლა და დღეს ოცდა მერვე წელი უსრულდება, რომ „კირკის კაცს“ ეძახიან. ძველ მუშას და ნდობით აღჭურვილს, ამასთან წითელ პარტიზანელსაც უწოდებენ მას. საამისო დამსახურებაც მიუძღვის მუშათა კლასის წინაშე. ის მონაწილეობას იღებდა ჭიათურელ მუშების პირველ გაფიცვაში. ებრძოდა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფირმებს. შეიარაღებული ხვდებოდა მეფის ჟანდარმებს. ბოლოს მენშევიკების ეროვნულ გვარდიას. ამით ის გახდა საყვარელი ამხანაგი, ძვირფასი მებრძოლი და საპატიო მუშა მთელ სექციაში.

არა მარტო თავის წარსულითაა ესტატე დაფასებული, გამოსარჩევი ამხანაგებში. დღესაც, დღეს—როცა ოქტომბრის მეთოთხმეტე წელია და ხუთწლედის მესამე წელი ჩამოდგა მორიგში—თითით საჩვენებელი და სანიმუშოა დამკვრელი წლის ამოცანების შესრულებაში. მებრძოლი მუშაა ესტატე, ამიტომ აირჩიეს ამხანაგმა მაღაროელებმა ის დამკვრელ ბრიგადის მეთაურად და მეორე ჯგუფთან ხელშეკრულების დადებაც მიანდვეს. დავალება მან პირნათლად შეასრულა. მოაწერა ხელი მოპირდაპირესთან და გამართა ბრძოლა გამარჯვებისათვის!..

კლდეკარიდან მონაბერმა ქარმა ააფრიალა ესტატეს შავი ფერის წამოსასხამი. შეუბერტყა ქოლგისებური საწვიმარი ქუდი და ზამთრის უკანასკნელი სუსხი აგრძნობინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ქვის მუშა შებრუნდა. მიმართულება ლიანდაგზე გადმოვიდა №29-30 მაღაროსაკენ გასწია. ლიანდაგი ირგვლივ ეხვევა სოფლის ბოლოს. თვით სოფელი შუქრუთი ზეგანზე არის გაშენებული და ჩრდილო აღმოსავლეთის მხრიდან მარგანეცის მაღაროებით ბოლო აქვს შემოვლებული. სოფლის ერთი მხარე თითქოს საომარი თხრილებით არის შემოხვრელილი. ოღრო-ჩოღროთ დარჩენილი გამონაღები მიწა გორაკებს ქმნის და ომ გამონარეგ ადგილს მოგაგონებთ. ეს კერძო მწარმოებლების ნამუშევარი ადგილია, რომლებიც მადანს უსისტემოდ თხრიდენ. დღეს მით ბევრი ძარღვია მიმალული, გახვეული უბრალო მიწაში და არ მუშავდება.

— ძველი ისპობა და ახალი მკვიდრდება. დღეს სულ სხვაა ვინემ გუშინდელი. თვალის სისწრაფით იცვლება ცხოვრება. მყუდრო ყოფას მიჩვეული ადამიანი ვერ ეგუება ახალ მოძრაობას. მაგრამ ეს ჩვენი რა ბრალია!.. ჩვენ ახლა ვიზრდებით და აღმშენებლობის ტემპები სწყვეტს ყოველივეს. დღეს მაღაროც გამოცვლილია. ყველაფერი გეგმაა და საქმის მოწესრიგება. მუშური გეგმიანობა იგივე სოციალიზმია და ჩვენი ამოცანა. აბა შეხედეთ ჩვენს ნამუშევარს და მათსას. საიდან სად!.. ზღვარი დიდია. ისე როგორც გეგმიან მუშაობასა და უგეგმოს შორის. შენდება ახალი არ ნახული ცხოვრება—სოციალიზმი, ეს კი ჩვენი საკუთრებაა—მუშათა კლასის და სიკვდილამდე ვერავის დაუთმობთ.

ნელა ჩაილაპარაკა მაღაროელმა, თავისთვის. თვალი მოავლო ჰაერში მოსრიალე კანათებს და მომავალზე ფიქრმა გაიტაცა.

ბრგე შეხედულების მუშა მიდის სამუშაოზე, ცვლას უნდა მიუსწროს. შევიდეს მაღაროში და მისცეს თავის ლავს სიგრძე. მიუმატოს მაღაროს სიღრმე და ააკვნესოს მიწის სიღრმეში მომწყვდეული მადნის ქანები. ახალი შრომა იზიდავს მუშას, ამიტომ ესტატემ მაღაროსაკენ მიმავალ გზაზე ფეხს აუჩქარა.

3

შავი ქვის მაღარო № 29—30 სოფლის ბოლოსაა გაკეთებული. მაღაროს პირამდე ბდინარე ყვირილას მარცხენა მხრიდან ღრმა ხევი მოდის: ორის მხრივ გორაკებში მოქცეულს, გვირაბთან მოახლოებისას თავი უფართოვდება; თითქოს განიერი ხახა გაუღია და თხემის ორივე ფრთა ბასეინათ გაუხდია. ამ დაფენების ძირშია მადნის ბუდობი. ძირშიაო—ვამბობთ, რადგან მადნით დატვირთული რონოდები აქ გამოდიან სინათლეზე, თორემ ისე მარგანეცის შტო შორსაა შეპრილი სოფლის ქვეშ და ვინ იცის კიდევ სადამდე გრძელდება... ამ ხაზს მიყვება მეთექვსმეტე წელიწადია გვირაბი და ჯერ ბოლომდე არავის მიუღწევია. მოხუცი „კირკის კაცები“ აქაური მადნის შესახებ ძველ ამბებს მრავლად მოგიყვებიან. დაგისახელებენ ცხრამეტამდე მრეწველ-მტაცებელს, რომელიც ხან აქ და ხან იქ ჩიჩქნიდა მიწის პირს. აღმოაჩენდენ სადმე თუ არა ბუდობს, თხრიდენ, ქექდენ სანამ კარგად არ შერგავდენ ცხვირს მიწაში და მადნით არ გაძღებოდნენ... შემდეგ გვირაბის გაკეთებას ყურს არ უგდებდენ, არ დაბიგამდენ და ჩაქცევის პირზე მისული მაღარო ინგრეოდა. ისილებოდა მიწის პირი. ნასიბში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეტნეოდა ჭრაქებით მომუშავენი და იღუპებოდა ოჯახები! [illegible] კერაზე ცეცხლი. რჩებოდა ულუკმაპუროდ გაღატაკებული გლეხის ოჯახი, გლეხის კერა, რადგანაც მაშინ ჭიათურაში მარგანეცზე მუშა პროლეტარები არ იყვნენ და სამუშაოზე სოფლიდან გამორბოდენ კულაკებისა და მემამულეებისაგან კუდამდე გაფცქვნილი ღარიბი და მოჯამაგირე გლეხები.

მაღაროს წინ პატარა თავისებური ეზოა. ეზო არა გლეხური—წალკოტიანი, ეზო თავადიშვილური—საქეიფო; ეზო—დაკორღნილი და დაკვალული ისე, რომ მეზობლის ქათამი ვერ გადმოფრინდეს. ეზო, რომელსაც ირგვლივ ეკლიანი ღობე აკრავს და შემოჯარჯულ მესერზე მავთული იყოს შემოხლართული. გლეხის ეზო სადაც სახლის აივნის სვეტიდან ჭიშკრამდე მსხვილი მავთულია გაბმული. მავთულზე ყულფით ჯაჭვია დაკიდებული. თავდაკრულობით გაცოფებული ნაგაზი გარბის და მიახრიალებს საურმე ჯაჭვს. არ უშვებს შიგ სულდგმულს. დარაჯობს პატრონს და ყეფს მის საკუთრებაზე. არ ინდობს მტერს, მოყვარეს, შინაურს და გარეგანს, მეზობელს თუ სახლის კაცს, მოყვარეს თუ შორებელს. ყველა ერთია მისთვის. პატრონივით გაძუნწებული ადგია თავზე მიწის დაკვალულ ნაკვეთს და იცავს მთელი შეძლებით. ძაღლი ერთგულია გლეხის ეზოსი, რომელიც განირჩევა წარმოების საშყოფისაგან, მისი ბუდისგან. არა. აქაური ეზო გაშლილია და ინდუსტრიალური, დაქსაქსული რკინისგზის რელსებით და მოფენილი მარგანეცის საზიდი რონოდებით. ეს ადგილი ორი ზხრივ გაშლილია. მესამე და მეოთხე კუთხეები ვიწროვდება და ორ მაღაროს შესავალში იყრიან თავს.

ეზოს ერთ მხარეზე სახელოსნო მუშაობს. ბერავს საბერველი და გუგუნებს ქურა. სცემს ურო, რბილდება რკინა. იწვის ტყიბულის ნახშირი. ბზინავს კუთხეში მიყრილი ანტრაციტი. სარკესავით კრიალებენ ქვის ნატეხები და კბილებ მოლესილი ხვთებიან ადამიანის ხელს. ავარვარებულ ქურაში წითლდება ფოლადი. უსწორდება წვერი წერაქვებს, აკეთებენ მადნის საჭრელ-საზიდ იარაღ-მანქანებს და ემსახურებიან გამოღებას. ტყავის წინსაფარ აფარებული ხელოსნები ქურიდან ახლოს მომხიბლავათ გამოიყურებიან. ცეცხლის მოლაპლაპე ენები აფერადებენ მათი სახის მეტყველებას, აძლიერებენ ოფლნარევ პირისახის შუქოსნობას და შავი ქვის სიმუქესთან შეზავებულად ხატავენ მუშის სახეს, ისე ოსტატურად, რომ ასეთი ფერადი შეზავება კარგ მხატვარსაც შეშურდებოდა.

სახელოსნოს პირდაპირ სასადილოა მუშებისათვის. მოშორებით კიდევ საიარაღო საწყობი. მათ შორის ვიწრო ლიანდაგი მიიმართება. სასადილო გრძელი ფარდულია. სანადიმო სუფრები მწკრივში გაშლილნი სუფთად გამოიყურებიან. ფარდულის ერთ კუთხეში კედელს რამოდენიმე სარკმელი აქვს დატანებული, რომლის იქით სამზარეულოა და ყოველ ცვლისათვის იაფი სადილი მზადდება. იქვე ხელსაბანი და დასასვენებელი ოთახი. მრგვალი მაგიდა დაფარულია ნაირ-ნაირი გაზეთებით. არის წიგნები, დიაგრამები, ლოზუნგები, მოწოდება დამკვრელი ბრიგადების. სადილის შემდეგ ისვენებენ მაღაროს მუშები. სასადილოდან მაღარომდე ოცდა ათი საჟენი თუ იქნება.

გარეთ მზიანი დღეა და მეორე ცვლის მუშებს მოუყრიათ თავი.

გვირაბის ზემოთ გრძელი ბარაკიანი შენობაა რამოდენიმე ფანჯრით. ამ შენობას „კანტორა“ ქვია და მაღაროს მმართველობაა შიგ მოთავსებული. ზმართველი დაწინაურებული მემაღაროე, მებიგე როსტომ უსტიაშვილი თვრამეტი წელიწადი იყო თავების გამმაგრებლად. გამოთხრილ გვირაბს უდგამდა ბოძებს, რომ გადაერჩინა ათეული მუშის სიცოცხლე ცოცხლად დამარხვისაგან, ვეება მთის საშინელი დაწოლისაგან, გაჭყლეტისაგან, მუხის და აკაციის მსხვილი ბიგები წელმოუხრელად უდგებოდენ მძიმე ტვირთს ქვეშ და მით მაგრდებოდა მთელი მაღარო. როსტომსაც მუდამ ერთგულად უყვარდა მუშაობა. მუყაითი იყო ოსტატი. მისი გადაბმული თავები არ იხსენებოდენ, სანამდე ბიგებს მუხლებში ძალა შერჩენოდათ. მებიგემ საკუთარ თავსავით იცოდა იარაღების მოვლა. მუშებში მით სიყვარული დაიმსახურა და ამერიკელი კონცესიონერის წასვლის შემდეგ უფროს მუშად დააწინაურა ტრესტის მმართველმა ინჟენერის ჩვენებით. ათი თაობის შემდეგაც არ შეუწყვეტია შეუნელებელი შრომა უსტიაშვილს და ბოლოს ორგანიზაციამ, საწარმოო თათბირმა მისი მართველობაში დაწინაურებაც მოითხოვა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მებიგის გამოგონება გამოლეგაში წლიურად 60-ათას მანეთამდე ეკონომიას იძლეოდა, მაშასადამე ის სასარგებლო ტეხნიკოსი შეიქნა წარმოებისათვის—საქმის მცოდნე ტეხნიკოსი. თავიდან ალღო აუღო მდგომარეობას. თვითონ უსწავლელი მუშა იყო, მაგრამ ნიჭი და უნარი არ აკლდა.

ბევრჯერ შეუქეზებია ამხანაგები.

— თუ კაცმა ტეხნიკის არაფერი იცი, ბრმა ხარ. რის მაქნისია მებრძოლი თუ იარაღის მოხმარება არ შეგიძლია!.. ტეხნიკა გადამწყვეტია მრეწველობაში, ჩვენც ხომ მრეწველობის სოციალისტური განვითარება გვინდა!.. მაშასადამე, პირველ რიგში ჩვენვე უნდა ვიყოთ ტეხნიკოსები, ტეხნიკის დამპყრობელნი და მაშინ კარგი მაღაროს აგებაც შეგვეძლება. მითხარით, რით გვჯობნიან ამერიკელი სპეციალისტები!... ისინიც ხომ ადამიანები არიან... სანიმუშოდ რომ ყავდა მოყვანილი ფირმას იქაური მუშები, ისინი ჩვენზე მეტს ამუშავებდენ, მეტს ქმნიდენ. მათზე ნაკლები ღონივრები არც ჩვენ ვართ. მაგრამ ისინი ტეხნიკური ცოდნით გვჯობდენ და უკეთესად აკეთებდენ. ამიტომაა საჭირო შესწავლა მაღაროსი, ქარხნის, ბორბლის, ჩარხის, ბურღის, გზის, წერაქვის მოქნევის, ესკავატორის მუშაობის, ორთქმავლის ამოძრავების და მთელი ტეხნიკის. მერე უფრო მეტს გადავამუშავებთ. ბევრს გავრეცხთ და დავტვირთავთ. ავსწევთ პროდუქციის ხარისხს. შევამცირებთ მინიმუმამდე ქვის თვითღირებულებას.

— გამოსავალი ტეხნიკის შესწავლაშია. ამოცანა ისაა, რომ ჩვენ ყველა მუშები, ყველა ხელმძღვანელები თვითონ გავხთეთ სპეციალისტები.

უსტიაშვილმა თავიდან ასეთი ხაზი აიღო, ძირიდან დაიწყო ამაზე მუშაობა. დაინტერესებული მუშა მალე დაეუფლა ტეხნიკას. რის შემდეგ მის სიხარულს საზღვარიც აღარ ქონდა. ბევრჯერ გაკვირვებული რჩებოდა, როცა მისი წინადადება აუმჯობესებდა წარმოებას, იძლეოდა ნაყოფს—ინჟენერებსაც უჭირდათ ასეთის მოხერხება. უნივერსიტეტის ცოდნით აღჭურვილი სპეკები სინჯავდენ მაღაროს იკვლევდენ ქანებს, იძლეოდენ ინსტრუქციებს, აკეთებდენ გზებს, ქმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენ ახალ წამოწყებას, მაგრამ არც ერთ მათგანს ამგვარი გაუბედავობა აზრათ არ მოსდიოდა. როსტომი კი გაუნათლებელი მუშა, თვრამეტი წლის მებიგე, მცირე მცოდნე, უფრო მეტათ გაზეთის მკითხველი, ქმნიდა შესანიშნავ გამოგონებებს. განთავისუფლებული მუშისათვის ყოველივე შესაძლებელი გახდა, ისიც მხოლოდ ერთი პირობით:—დაეუფლე ტექნიკას, შეისწავლე მეცნიერება და იყავი საუკეთესო მცოდნე საქმის, ამით გადიოდა ფონს უსტიაშვილი. მისი პრაქტიკა დიდი იყო და ამ მხრივ იცოდა შინაგანი საიდუმლოებანი ლავების და მოწინავეთ ხდებოდა.

უსტიაშვილი ესტატეს ძველი ამხანაგია. ორთავეს ერთ მაღაროში უმუშავნიათ. საერთო სუფრათ ქონიათ მარგანეცით სავსე ხვრელები და მადნით გატეხილი ჯინიბის ქარავნები.

ესტატე უფრო ხნიერი იყო და შედარებით ახალგაზრდა, მეზობელს არიგებდა ჭკუაზე. უნერგავდა ყრმა მემაღაროეს წარმოების სიყვარულს. აჩვევდა ძუშურ ცხოვრებას. შეაყვარა მაღარო როსტომს და ჩამოაშორა სოფლის მიწაწყალს.

მაღაროში მისელისას უსტიაშვილი ღარიბი გლეხი იყო სოფელში, საღამოთ სახლში ეჩქარებოდა. მაღაროში მუშაობის შემცირებას არაფრად ნაღვლობდა. პირველად იცოდა, გაჭირვების ლუკმა მაინც არ დაეკარგვის. აქვს სახლი და მიწა, ცოლი და უღელი ხარი.

ამიტომ ის არ იყო ნამდვილი მუშა. წარმოების შვილი.

ესტატე უკვე სოფელს ჩამოცილებული, საბოლოოდ შავიქვის მუშაა, დახელოვნებული მნგრეველი, პროლეტარული სულისკვეთებით გაჟღენთილი. ამიტომ ურჩევდა უსტიაშვილს მიეღო წარმოება, დამკვიდრებულიყო ერთ ადგილზე.

ნახევრად მუშა ორ კურდღელს დევდა. სოფელი იყო ძირითადი ნავთსაფუძველი და გლეხური სულით დამძიმებული მუდამ ყანებზე ჯავრობდა. ედავებოდა მეზობლებს საზღვარზე, წელიწადში ორჯერ სასამართლოში მიჰქონდა საჩივარი საზღვარში მოპარვის შესახებ, ბოლოს დავალიანებულს მიწები კულაკმა წაართვა, ვალში მიიზიმა და თვითონ ულუკმოთ დატოვა. მაღაროში მოსვლისას უფრო შეიცვალა მისი ხასიათი, მაგრამ გლეხური მაინც მეტი ერია და ერთი ფეხით სოფელში იდგა, მეორეთი კი მარგანეცით მდიდარ მაღაროს პირზე. უფროს მუშას მიბაძა როსტომმა. გასწყვიტა კავშირი სოფელთან. ახლა ის ნაშუადღევს აღარ გარბოდა ყანაში, ცალი თვალი გაქცევაზე აღარ ეჭირა და ერთი ათად გამუყაითდა, შეიარაღდა მუშური აზრებით.

უსტიაშვილი თავის მასწავლებელ მემაღაროეს ენდობოდა, იცოდა მისი გულის ამბავი და მაღაროში საიმედო სამაგალითო მუშად ყავდა მიჩნეული დაწინაურების შემდეგ.

როსტომი მაღაროს ხელმძღვანელობს—მმართველი ერთი ძლიერი წერტილის. მუშებთან მებრძოლი და საქმიანი ურთიერთობა ანსხვავებდა მას დანარჩენ სპეცებიდან.

ესტატე როსტომთან მამასავით შეზრდილია. მათი ინტერესი წარმოების გაუმჯობესებაა, იციან ჭიათურის შავიქვის წარსული, რომელსაც ამერიკელები, ინგლისელები, გერმანელები და ვინ გინდა, რომ არ ეპატრონებოდა. ახლა თვით მუშები ჩაუდგენ სათავეში წარმოებას. ეს მათ ბევრ რამეს აკისრებდა. დამკვრელები გრძნობენ პასუხისმგებლობას მუშათა კლასის წინაშე და მაღაროებიც აამოქმედეს გაუგონარი ტემპებით. საწარმოო გეგმას მუშებმა ესტატეს მეთაურობით შემხვედრი გეგმა დაუპირდაპირეს. ეს იყო მათი მძლავრი პასუხი კლასიური მტრებისადმი. ესტატემ იცის ზოგიერთი „სპეციების“ ამბებიც. უსტიაშვილი ხედავს ამოცანის სიდიადეს. პირველად ცდილობს გახდეს მცოდნე ტეხნიკოსი, მესაჭე ქარხნისა და მუშური ნებით აემოქმედებია მთელი წარმოება. ყოველ დღე რაზმავდეს ახალ ახალ ენტუზიასტებს, მზიდავებს, მებიგეებს, მწონავებს, მოკავშირე და საიმედო ტეხნიკურ პერსონალს. მტკიცე რაზმები დღითი დღე იზრდებიან და საერთო მოძრაობაში ჩამბული მაღაროთ მთელი თავისი ნაწილებით მოწინავეთა რიგში იჭერს ადგილს, სანიმუშო ხთებოდა სამრეწველო რაიონში. წარმატებები ახალისებს მებრძოლებს და დიადი ტემპებით ქმნიან დიად წარმოებას.

4

ესტატე გვირაბის წინ შეგროვილ ამხანაგებს მიესალმა. ხუმრობით გადაკრეს ერთმანეთს სიტყვები შავ ხალათიანებმა. მუშების ხუმრობა-მასლაათში ხალისი კიდევ იზრდებოდა. სამუშაოზე მიმავლებს ატყვია, რომ მათი ერთფეროვანი ცხოვრება გამოიცვალა. ხუთწლედი მორიგ წლებში სწრაფად ცვლის ძველს და მის ადგილს იჭერს ახალი. კვირის ამბავი სწორზე მოძველებულია და სამი დღე ტემპში ჩამბულთათვის თვეებს უტოლებდა. გამოიცვალა მიდგომა საქმისადმი, მაღაროელები ახლა არა მარტო მუშები არიან; წერაქვს, რომ სცემენ მხოლოდ, ან მარტო რონოდებს რო აგორებენ სასწორისაკენ. არა, ისინი ახალი ქვეყნის მშენებლები არიან. დღეს სხვა მნიშვნელობა ეძლევა ყოველ მოქნევას, ყოველ დატვირთვას; თვითეულ ნაბიჯს თავისი სოციალური ფუნქცია აქვს მიკუთვნებული. თუ დღეის ამოცანა რჩება შეუსრულებელი და „ხვალ“-ს მოელის, ეს ჩამორჩენაა, ღალატი ხუთ წლედის, დეზერტირობა სოციალიზმის წინაშე. თვითეული რონოდა საკუთარი ამოცანით, შედის გვირაბში და თავისი ვალით დამძიებული ბრუნდება დანიშნულ ადგილზე. მსგავსათ ამისა ყველა მუშა, მონაწილე საბჭოთა მშენებლობის ხუთწლედში საკუთარი ამოცანით არის დავალებული. ყველას მიჩენილი აქვს შესაფერისი სამუშაო, ყველა ასრულებს თავის დავალებას ცალცალკე და ჯამში შენდება სოციალიზმი. ამ გრძნობით არიან გამსჭვალულნი № 29-30 მაღაროს მუშები. ამის გარეშე მათთვის, თითქოს არაფერი დარჩენილა და ტემპიანი ხელებით, ფეხებით, წერაქვებით, რონოდებით, ნიჩბებით, ბიგებით, ბურღებით, ცხენებით, ფარნებით და გრძნობებით გროვდებიან გვირაბის წინ, რომ მაღაროთ არ გააცთინონ ერთი წამითაც კი. წუთი წუთია, მაგრამ მასაც აქვს ამოცანა. დღეს ამოცანის გარეშე არ შეიძლება ყოფა. ის ვინც ხელს უშლის ამოცანის გადაწყვეტას მავნებელია, მაჩანჩალა და უკან მზიდავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთ, ის ოთხწლედიდან ფლანგავს დროს, გვაკარგვინებს ენერგიას და მაშასადამე ხელს უშლის ხუთწლედის ოთხწელში განხორციელებას. ამით აფერხებს მესამე გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებას, წინააღმდეგია სოციალისტური ეკონომიკის საფუძვლის დამთავრებისა მოკლე ხანში.

ასეთია შეფასება ყოველი მუშის. ესტატე ამ აზრს ბევრსაც მიუმატებს. ის პირდაპირ შეტევაზედაც გადავიდოდა იმ ხალხის მიმართ, ვინც სდგას და აქტიურად არ მიყვება ბოლშევიკურ მოძრაობას.

— ის ვინც არ გვეხმარება მავნებელია, ხელის შემშლელი და კლასიური მტრის დაკვეთის შემსრულებელი.

ბოხი-ჩახლეჩილი ხმით გაიძახის ესტატე მუდამ და უყვარს მუჯლუგუნები. დაურიდებლად ჩაქოლავს ვინც არ უნდა იყოს, თუ უკან დარჩენა შენიშნა.

ჯერ ორი საათია, ცვლის გამოსვლამდე დროა დარჩენილი. მუშები გვირაბის ინდუსტრიალურ ეზოში შექუჩებულან. ჯგუფ-ჯგუფად დგანან, ბრიგადულად ლაპარაკობენ, მსჯელობენ, ერთობიან, ჯანს იმხნევებენ ძლიერი შეტევისათვის.

ეზოს ერთ ნახევარზე გვირაბის ცოტა მარჯვნივ პატარა ბრეკია, შემაღლებულ ბორცვზე მსხვილი ბოძია დასობილი, დაბლად გადაჭრილ თავზე მოკლე, მრგვალი ფიცარია დაჭედილი. აქ კითხულობენ ტაბელებს, სინჯავენ ჩვეულებრივ, მუშაობის დაწყებისას სიებს და სწყვეტენ საჭირო საკითხებს. ეს ადგილი მალაროელის ტრიბუნაა და საორატორო ადგილი.

სამუშაოდ მოსულ მუშებს შავი წამოსასხამები აცვიათ. განიერ ბოლოიანი ქუდები უფარავთ სახეს. მარგანეცის ფერი თითქოს გარედან მიყვებათ შიგ და მის შემდეგ რაც მოუვათ ის მეტი იქნება, ნორმაზე მეტი საცხები. ფფრინავი კრების ადგილს ტეხნიკოსი უახლოვდება. კობიძე შუატანის ჩაბსკვნილი, ჯუჯა, მკერდ განიერი კაცია, თავს მუდამ იპარსავს. ხნიერი კაცი შაბათს საღამოს ახალგაზრდა ყმაწვილი გეგონებათ: ლოყებ მსუქანი და ხელებ დაფუნთრუშებული.

— ამხანაგებო—ხმა მაღალმა დაძახილმა გამოარკვია ჯგუფები, შეირხა ეზო და წამით ამაღლებული ადგილის ირგვლივ სახელდახელო მიტინგი გამოჩნდა.

— ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ ხუთწლედზე. დღეს მესამე წლის პირველ კვარტალში ვართ. იცით, რომ დიდი ამოცანები გვაქვს შესასრულებელი. პირველმა კვარტალმა უნდა შექმნას პირობები მთელი წლის ბოლშევიკური გეგმების შესრულებისათვის, ამაში ჩვენი ამხანაგები დარწმუნებული არიან. ჩვენ პირობას ვიძლევით გეგმების შესრულებაზე.

ორი დამკვრელი ბრიგადის ნაცვლად ოცდა ორი შევქმენით, დეკემბერში ორი იყო, 22 დღეს, თებერვლის 12 რიცხვშია. გვაქვს შეჯიბრი. ბრძოლა გეგმებისათვის, ბრძოლა გამარჯვებისათვის!.. ჩვენ გვწამს, რომ გეგმებს შევასრულებთ, რადგანაც შესრულება ჩვენზეა დამოკიდებული. პირობები მოცემულია, ხოლო საქმე ჩვენამდე დასული.

— ჩვენამდეა და ჩვენც აქ ვართ!

წამოიძახა კიდიდან ვილაცამ. სიტყვა ყუმბარასავით [illegible] ისე, რომ ყველას ერთი და იგივე წარმოათქმევინა, ის რაც [illegible] და აქ მოსვლამდეც ატარებდენ.

— გეგმის შესრულება, მარტო ციფრის მიღწევას არ ნიშნავს!

— ის არაა სრული გამარჯვება. ჩვენ გვინდა ხარისხი. ჩვენ გვინდა ვარგისიანობის აწევა და მაშასადამე ბრძოლა უნდა გავმართოდ ხარისხისათვის! ქვა უნდა კარგათ გაირჩეს, არ გავაყოლოთ თიხა და არ შევრცხვეთ სოციალიზმის შენობის საშენ აგურის მიტანაში, ჩვენი მიტანილი აგური უნდა კარგი იყოს; მკვრივი, მაგარი, გამძლე და იაფფასიანი, ისეთი, რომ მასზე შეიძლებოდეს მძიმე შენობის დადგმა, სართულების დაშენება.

ეს იყო მებრძოლი მოწოდება საწარმოო კომიტეტის, სიგნალი დამკვრელების. სოციალიზმი ითხოვს ხელების ამოქმედებას. მეცნიერების ახმაურებას, რომ გაიჭედოს მტკიცე საძირკვლები. ყველა ეს მუშები სოციალიზმის ოსტატებია და საკუთარი ზურგით ეზიდებიან აგურებს, ცემენტს, კირს და ქვას შენობის დასამთავრებლად, არ იშურებენ ხელებს, ენერგიას და ძალას.

— ეს აქამდეც იყო საჭირო—უბრალოთ გამოეხმაურა ესტატე,—ჩემი ბრიგადა სიტყვას იძლევა—ხარისხისათვის ბრძოლაში ვასრულებთ გეგმებს, ვამცირებთ თვითღირებულებას და ვაუმჯობესებთ ხარისხს, ვსპობთ წუნს და შეჯიბრებაში ვიწვევთ 27-დე ლავის მნგრეველებს.

ბრიგადის სიტყვა მტკიცეა, ურყევი და თვით ნაკისრი. მუშები საკუთარი შემოქმედებით ქმნიან უდიდეს შრომით აღფრთოვანებას. დიადი საქმის მონაწილენი ხალისით ერთვიან ტემპებს, ტემპებს, რომელიც ელექტრო ნაკადს მოგაგონებთ. ნაკადს, რომელშიაც ჩვენ საუკეთესო შემთხვევაში ჩართული შტეპსელები ვართ. თუ შტეპსელს გამოთიშავთ ნაკადიდან—ის გაელექტროვდება, დაკარგავს ძალოვნებას და მოდუნდება. ასეა ბრიგადაც. ბრიგადის გარეშე მოდუნებულია კაცი, „დამკვრელი“ ახლა საპატიო სახელია და მის გარეშე თვითდინებაზე მიყრდნობილი ადამიანი ვერაა მებრძოლი ხუთწლედისათვის, ვერაა შრომის გმირი და საზოგადოებრივ ბუქსირზე სჭირდება აყვანა, რომ ტემპით დაელექტროვდეს.

— ჩვენ № 21 ლავში მომუშავე კირკის კაცები, ვიწვევთ სოცშეჯიბრში № 48 ლავში მომუშავე კირკის კაცებს შემდეგი პირობით. არსებულ ნორმაზე ამატებული იქნება 40 ფუთი. ვაუმჯობესებთ ქვის ხარისხს და ვსპობთ ფუჭათ დგომას.

აცხადებს 21 ლავში მომუშავე სამხარაძის ბრიგადა.

გაბოეხმაურა ესტატეს ბრიგადას სხვა კირკის კაცები.

იმათმაც მიიღეს ვალდებულება.

— ჩვენ ვიღებთ № 21 ლავის მნგრეველების გამოწვევას და ვემაგრებით წარმოებას ხუთწლედის ბოლომდე.—გასცა პასუხი ბრიგადის ხელმძღვანელმა.

— არა ერთხელ გაგვიფრთხილებია ამხანაგები—დაიწყო ოდნავ შერბილებული ტონით ტეხნიკოსმა კობიძემ, მან თავმჯდომარისგან სიტყვა მოითხოვა სოცშეჯიბრის ხელშეკრულებების დადების შემდეგ და წარმოების ნაკლზე მიუთითა. მებრძოლი სპეციალისტი დარწმუნებულია მუშათა შრომით აღფრთოვა-

ხების ძლიერებაში, ენტუზიაზმის ზრდაში და ამხელს შემაფერხებელ ადგილებს, რომლის წინააღმდეგ საჭიროთ მიაჩნია იერიში, საერთო შეტევა დაბრკოლების მოსასპობად.

— რომ ბრიგადელები საშიშ ადგილებზე მუშაობას თავს არ ანებებენ. თავებში შესული დამკვრელები ანგარიშს არ უწევენ დაუბიგავ ხვრელის სიდიდეს და ისე მუშაობენ. მათ აფრთხილებენ, რომ ლავი გაუმაგრებლად ჩამოინგრევა და დააზარალებთ. ბრიგადის წევრებმა ყურადღება უნდა მიაქციონ თავებს და მებიგეებს მისცენ საშუალება ლავის გამაგრებისა.

— საშიშ ადგილებზე მუშაობა სასტიკად აკრძალულია, ჩვენ ეს წესი უნდა გავატაროთ. დამრღვევები უნდა დაისაჯოს.

არაა საკმარისი მარტო გეგმების შესრულება. სოციალისტური წარმოება მუშათა კლასისაა და ცდილობს მუშების უზრუნველყოფას, საბჭოთა წარმოება უფრთხილდება თავის მუშას, მის წევრს და უქმნის მას ახალ ყოფა-ცხოვრებას.

მაღაროს აქვს ნაკლი, სუსტი მხარეები, მტკივნეული და ვიწრო ადგილები, რაზედაც მუშები ადგენენ საქმიან წინადადებებს—იძლევიან მითითებებს, მართავენ საწარმოო თათბირებს.

ესტატეს განიერი მხარბეჭი და წარმოსადეგი სახე, ისევ გამოჩნდა მუშების თვალწინ.

— ისე არავის ეგონოს, რომ ჩვენში ყველაფერი თავის რიგზეა—დაიწყო მან—თითქოს სოციალიზმი უსისხლოთ შენდებოდეს და მარტო კეთილი განზრახვაა საჭირო, არა. არაა საქმე ასე, ჩვენ მტრები გვებრძვიან, წარმოებაში გვებრძვიან კლასიური მტრის აგენტები. სოფლად თუ კულაკები კოლექტივის წინააღმდეგ ტერორს და ცეცხლს მიმართავენ, აქ მაღაროებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, რკ. გზაზე გვიწყობენ მავნებლობას, აფეთქებას და ინტერვენციას. გაბოროტებული მტრები მუშათა კლასის წინააღმდეგ გველის ხვრელშიაც შეძვრებიან, იქ მოიცდიან და იქიდან ნელ-ნელა გვიწყებენ სისინს. ამას მაღაროს მუშებმა კიდევ მეტი ერთგული და მებრძოლი გეგმებით უნდა უპასუხოთ. დღეს დაყოვნება, ჩამორჩენა და არ გაყოლა სამუშაოზე მავნებლობას უდრის, მე ეს მტკიცეთ მრწამს.

— ჩვენ მაღაროშიდაც არიან ხელის შემშლელები, კუდში მოჩანჩალეები, რომლებსაც წაგლეჯაზე უჭირავთ თვალი, დღეს აქ არიან, ხვალ კიდევ ვინ იცის!.. ხელისშემშლის უბრალო, მაგრამ სანიმუშო მაგალითი გუშინ იყო. გვირაბში გამოზიდვისათვის საჭიროა ლიანდაგი მუდამ იყოს გასუფთავებული. სამწუხაროთ, აგრე როდი ხდება. ვილაცას ბოძი მიუტოვებია გზაზე. მომავალმა ცხენმა წამოკრა ფეხი, ხე ჩავარდა ქარავანში და რონოდები ხაზს ასცდა. შეფერხდა ხუთი წამით გამოზიდვა. ეს ერთმა, ახლა მეორემ გამოუარა მას, მესამემ და მთელი დღე ოხრად წავიდა, ამან შეაჩერა მნგრეველების მუშაობა, რადგანაც კირკა ისე ვერ იმუშავებს, თუ ლაფათქამ პირი არ გამოუწმინდა ნაშალისაგან, მოჭრილი ქვა მაღაროდან ვერ გამოვიდა და მთელი გვირაბი ასე წვალობდა. უყურადღებოთ რჩება ტელეშკებიც, ყველაფერი ეს ხელს უშლის გეგმებს, მაჩვენებელის ზრდას. დღეს, ხვალ, დეკადის ბოლოს, თვის და კვარტალის შედეგებში შავ დაფაზე მოხვთებით, ამით შევაფერხებთ ხუთ წლედს ოთხწელში. ასეთი მავნე-

ბიბლიოთეკა

ბლები, დაუდევრები, უყაირათო ხალხი ჩვენთანაც არიან, ამასაც ... ეგ იერიში უნდა მივიტანოთ.

ლავის მნგერეველის მებრძოლი სიტყვები წვავდათ გულს, მხიარულად შეაღო კარიბჭე და აატოკა ათეული ჯანიერი მემაღაროე. სამაგიეროთ მოწოდების ადგილს ნაცემივით გამოეყო ერთი კაცი, რომელიც სამუშაოდაა გამოწყობილი, მან ქუდი წინ ჩამოიწია და განაპირას დადგა, შორიდან დაუწყო მზერა ამხანაგებს, რომლებიც თითქოს მისთვის გაუგებარ ხმაზე იძლეოდენ წინადადებებს ნაკლის მოსასპობათ. ვაჟი გაყუჩებულია. სქელ ტუჩებს მარჯვეთ იკვნეტავს, თვალს ახამხამებს და ცხვირის ძირებზე ოფლი ერევა. წვეთებათ ჩნდება სისველე სახეზე და სიწითლე იპყრობს კაცს, მელიტონი მიხვდა, რომ ესტატე მასზე ლაპარაკობდა!.. ამბობდა სხვებიც, მაგრამ მისი სახელი არ უხსენებიათ. არ უთქვამთ გვარი, რადგან მისთვის ბიგების დატოვება არ შეუმჩნევიათ. არავის დაუნახავს შაბაშის წინ, ისე მიატოვა გაჩხირული ბოძი და წამოსვლისათვის დაემზადა, მელიტონის ურიგო საქციელისათვის არავის უყურებია, არავინ იცის თუ ის მან ჩაიდინა, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც რცხვენია ამხანაგების. წითლდება და ოფლის ღვართქაფი უვლის ტანზე, შეიძლება ეხლა მისი მოქცევით შეამჩნიონ მას, მერე რა უნდა უთხრას თანამებრძოლებს! სთქვას ის, რომ მან დატოვა განგებ ბოძი, რათა ბრიგადის მუშაობა შეეფერხებია!.. და სახელი გაეტეხა დამკვრელობისთვის!.. ამხილოს თავისი თავი? ის ხომ არაა ბრიგადაში, ჯერ არც მიმაგრებულა წარმოებაზე და ფრინავ ფოსტასავით დადის მაღაროდან მაღაროში... ნუ თუ უნდა გამოტყდეს თავის დანაშაულში მელიტონ ძინძიბაძე და შერცხვეს ამდენ ხალხში?!. ამ მწარე წუთებში ყველაფერი აირია. მელიტონი ვერაფერს ამჩნევდა.

— მართალია ესტატე!

— მართალია! ჩვენც ნოგვივიდა ასე. გამოეხმაურენ მეორე გვირაბიდან. ჭალარა მნგრეველის სიტყვებში მუშები თავიანთ სიტყვებს ხედავდენ. მათ გულის მოძრაობას კითხულობდენ და მოცემულს პრაქტიკული დარტყმით პასუხობდენ. ხმაურზე გარინდებული მელიტონი შეკრთა, მის წინ ჩაიარა ფიქრების ტალღებმა. ეგონა, თითქოს მთელმა გვირაბმა გაიგო მისი უბედურება. არამც თუ მუშებმა, ბიგებმაც, ქვებმა და რონოდებმაც კი გაიგეს მისი სამარცხვინო მოქმედება, ჩამორჩენილობის ამბავი. კაცი უცბათ გამოერკვა, მის წინ მოსწია ხალხი და ამაღლებულ ადგილს მიუახლოვდა. საერთო ყურადღება მიიპყრო მისმა გაფითრებულმა სახემ და აღელვებულმა ქშენამ. წამით სიჩუმემ დაისადგურა გვირაბის პირი. ხევის კალთაზე მხოლოთ მელიტონის მონანიებული სიტყვები ისმოდა და გვირაბში შესასვლელად გამზადებული ცხენების ხმა ღვედებს, რომ აჟღარუნებდენ.

— ვინანიებ ამხანაგებო!. მაპატიეთ აქამდე ჩამორჩენილობა. თავიდან ვერ გავყევი შეჯიბრებას და ასე დავრჩი ამხანაგების კუდში, ბოძი მე დავაგდე და მომატყუილა წუთიერმა გრძნობებმა, მე აქამდე მიყვარდა სირბილი, ჩიტივით მიცემდა გული ყოველ მაღაროში და გასაქცევათ ვემზადებოდი. არ ვფიქრობდი წარმოებაზე, არ დავეძებდი გეგმებს. მე მხოლოდ ფული მინდოდა და სოფლი-

საკენ მქონდა თვალი. ახლა ვგმობ ჩემს წარსულს, თურმე ცუდი მუშა ყოფილვარ სოციალიზმის. ვიძლევი მუშურ პირობას. თავს ვაცხადებ დამკვრელად და ვაღიარებ ჩემს შეცდომებს. მეც მედგრად იქ, სადაც მილიონები მიდიან მასალით დატვირთულები.

ძინძიბაძემ თავისი სიტყვა ათრთოლებული ძგერით დაამთავრა. რამოდენიმეს გაუარა ეროუანტელმა, ზოგი ტანში დაიშალა. ბევრი უფრო გამაგრდა და სამართლიანად ჩასთვალა შეცდომის აღიარება. მოწინავე მუშებმა გამბედაობისათვის მელიტონს მოქცევა მოუწონეს, ამხანაგებმა მუშებმა მიიღეს ამხანაგის მგრძნობიერი სიტყვა და ერთი მშენებელი მიიღეს ფოლადისებურ რიგებში.

— დრო დაინიშნეთ ამხანაგებო.

დრო!.

იყო უკანასკნელი სიტყვები ფრინავი ტრიბუნიდან. შავი ქვის გმირებმა საათებს დახედეს. წერაქვები, ბურღები და სხვა იარაღები გასინჯეს, აჩქარებული ტემპით გაბრუნდენ გვირაბის შესავლისაკენ.

— მაღაროს მებრძოლია და იზრდება დამკვრელი ტემპები ახალი ყოფის შესაქმნელად.

ამას ფიქრობდენ მაღაროს მუშები, როცა დედამიწის გულს ახლად გალესილი წერაქვებით, ნიჩბებით, ჰაერ ბურღებით და ცარიელი რონოდებით შეესიენ, რომ გამოიტანონ მეტი ქვა, მეტი მადანი, რადგან სოციალიზმს სჭირდება ბევრი რკინა, ბევრი ფოლადი და ბევრი ლითონი.

შალვა რადიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული მწერლობის ათი წელი *)

საბჭოთა წესწყობილება საქართველოში თანდათან მტკიცდებოდა, ფართოვდებოდა მისი მოქმედების ასპარეზი. პროლეტარიატის დიქტატურა სოციალისტური მშენებლობის იერიშებით მიდიოდა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ. იწყება გაძლიერებული მშენებლობის ტემპები. შენდება ახალი ქარხანა-ფაბრიკები, ელ-სადგურები და სხვ. მთელი ეს გრანდიოზული საქმიანობა კლასიურ მტრების იმედებს აცლის საფუძველს.

სოციალისტური მშენებლობის ზრდა, წარმატება, მისი პროგრესიულობა მწერალთა ნაწილს აახლოვებს პროლეტარიატის დიქტატურასთან. მწერალთა რიგებში იწყება ძალთა გადაჯგუფება. აქედან მწერლობაში ეგრეთ წოდებული თანამგზავრობა.

თანამგზავრობამ ჩვენს მწერლობაში განვითარების რამდენიმე საფეხური განვლო. გასაბჭოების პირველ წლებში ჩვენი თანამგზავრობა უფრო დეკლარატიული ხასიათის იყო. მაშინ მწერლებისაგან მოითხოვდენ, რათა მათ საჭიროთ და პირდაპირ განეცხადებიათ, რომ ისინი პროლეტარიატის დიქტატურის იდეებს არ ეწინააღმდეგებიან, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკას თანაუგრძნობენ და სხვ. ამ სახის თანამგზავრობა ფართო ხასიათს ატარებდა რევოლიუციის პირველ წლებში. სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფებები თუ პერსონალურად მწერლები აქვეყნებდენ პოლიტიკური ხასიათის დეკლარაციებს, რომელშიაც ისინი გვაცნობდენ თავიანთ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. ასე მაგ. სრულიად საქართველოს მწერალთა პირველ ყრილობაზე მიღებულ რეზოლიუციაში პოლიტიკური მომენტის შესახებ, სხვათა შორის, შემდეგი ეწერა: „...ვინაიდან იმპერიალისტურ ქვეყნების ბატონობის მოსპობისა და მშრომელი კლასის უფლებათა განმტკიცების საქმეში კერძოთ საქართველოს მშრომელი ხალხის აქტიური ნაწილი დიდი ხანია ჩაბმულია თავის საუკეთესო წარმომადგენლების სახით,—ქართული ინტელიგენციაც, როგორც წარსულში, ესე ეხლაც, ვერ დარჩებოდა და ვერც დარჩება გარეშე მაყურებლად ინტერესთა შეჯახების დროს,—და მისი მოვალეობაა გვერდში ამოუდგეს მშრომელ ხალხს იმ ბრძოლაში, რომელმაც გამწვავებული, მაგრამ გადამწყვეტი ხასიათი მიიღო ამ უკანასკნელ დროში. და დღეს, საბჭოთა საქართველოს 5 წლის თავზე, როცა

*) გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 1-2.

ჩვენში ბოლო ეღება ყოველგვარ პოლიტიკურ გაუგებრობას, რომელიც ... სდგება ნორმალურ ცხოვრების მტკიცე კალაპოტში და როცა ... ...

ნწყობილებანი. რომ ყველაფერი ეს გ. ტაბიძემ კარგად მოხაზოს, ამაში მას ხელს უწყობს მისი პოეტური ლოზუნგი, რომლის ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ მწერალი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვეს თანამედროვეობას („პოეტი ეხლა გამდგარი განზე დრო გადასული და მოხუცია. უნდა შეერთო მასიურ ტალღებს, ამიტომ ხდება რევოლიუცია“).

„რევოლიუციონური საქართველო“ მსგავსად „ეპოქისა“, წარმოადგენს ცალკეულ ლექსების მონტაჟს. თვითეულ ამ ლექსში პოეტი გვიხატავს ჩვენი ცხოვრების რომელიმე მომენტს და გადმოგვცემს მის საფუძველზე შექმნილ განწყობილებებს. რიონჰესი, ახალი ქარხანა, კოლმეურნეობა, ტრაქტორი, წითელი არმია, საწარმოო საფინანსო გეგმა, ხუთწლედი და ხსვ. აი, ის თემები, რომელსაც ეხება გ. ტაბიძე „რევოლიუციონურ საქართველოში“.

გ. ტაბიძე გარკვეულათ გრძნობს, რომ დღეს ხელოვნების ფრონტის მომუშავე ახალ ცხოვრებას უნდა უდგეს გვერდში. ის ვინც აქეთკენ არ მიისწრაფის, კლასიური მტრის საქმეს აკეთებს:

მე ვარ პოეტი,
შენ—მხატვარი,
იგი—არტისტი.
ვართ თუ არა ჩვენ
თანამედროვე?
ვგრძნობთ თუ არა ჩვენ,
რომ ეპოქის
კარებთან გვიცდის
ჯერ ბელუხლებელ
ხელოვნებათ
ძლიერი გროვა,
ის მოგვიწოდებს:
განვიცადოთ,
შეეიგრძნოთ
დრო!

მართლაც, რომ უამრავ და უდიდეს მასალას იძლევა ხელოვნებისათვის ახალი, საბჭოთა ცხოვრება. მხოლოდ საჭიროა მისი დანახვა, ორგანიულათ განცდა და გამოსახვა. გ. ტაბიძე თავისი პოეზიით სწორედ აქეთკენ მიისწრაფის, სწორედ ამას ცდილობს.

„რევოლიუციონურ საქართველოდან“ თავი „კოლექტივის სიმღერა“ მთელი რევოლიუციონური ჰიმნია საბჭოთა სოფლის, რომელიც ებმება განზოგადოებულ წარმოებითი ურთიერთობაში:

მხარი მხარს, მხარი მხარს, კოლექტივო, მხარი მხარს!
აბა ჰე, აბა ჰე! აბა მივსცეთ მხარი მხარს!
წავიდეთ, მოვედოთ თავისუფალ მთა და ბარს,
მივიდეთ, მივუდგეთ გაერთიანებულ ჯარს.
ჰარიქა, ჰარიქა! რავეგიდოთ გუონის ტარს,
ჰარიქა, ბობოლა ძველ ლობეებს უკლის გარს,
ჰარიქა, ქალაქო, ველით ტრაქტორების ღვარს,
მხარი მხარს, მხარი მხარს, კოლექტივო, მხარი მხარს!

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დროშებით მოუდგეთ გაერთიანებულ ჯარს.
მეხი მეხს, ქარი ქარს, ჩვენ კი მივსცეთ ხმარი მხარს!

უდიდეს ენტუზიაზმის და რევოლიუციონური განწყობილების შემქმნელია ეს სტრიქონები. პოეტი ახალი ცხოვრების მაჯისცემას კარგათ გრძნობს. საბჭოთა სოფელი, რომელიც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ სახეს ღებულობს გ. ტაბიძის მიერ ესტეტიურ-მხატვრულ ფორმაში ყალიბდება.

პროლეტარულმა რევოლიუციამ არა მარტო ძველი თაობის მნიშვნელოვან წარმომადგენლებში, როგორიც არის გ. ტაბიძე და სხვ. მოახდინა გარდატეხა, არამედ მანვე დიდათ შეუწყო ხელი ახალგაზრდა თანამგზავრ მწერალთა კადრების წამოწევასაც. ამ ახალგაზრდა თანამგზავრ მწერალთა შორის გამოირჩევა ს. ჩიქოვანი. იგი ეკუთვნის იმ მიმართულებას მწერლობისა, რომელთაც წინად უწოდებდენ ფუტურისტებს და შემდეგ „მემარცხენეებს“.

ფუტურისტების („მემარცხენეების“) ჯგუფი ჩვენში პირველად გამოვიდა განსაკუთრებული ლიტერატურული დეკლარაციით 1922 წელს. ამ ჯგუფს ახასიათებდა წვრილ-ბურჟუაზიული ანარქიზმი. მათ ათი წლით დაგვიანებით გადმოიტანეს საქართველოში ფუტურიზმი. ლოლიკური კანონზომიერების თანახმად ეს ჯგუფი უნდა გადაქცეულიყო ან ერთ-ერთ სახეობათ დეკადენტური პოეზიისა (რისი ტენდენციებიც პირველ ხანებში ჰქონდა მას) ანდა საბჭოთა-რევოლიუციონურ ლიტერატურის შექმნისაკენ აეღო კურსი. „მემარცხენეებში“ მოხდა გარკვეული დიფერენციაცია. იგი გაიწმინდა მემარჯვენე ნაწილისაგან. დანარჩენები კი მძიმეთ და ზიგზაგებით, მაგრამ მაინც პროლეტარული რევოლიუციის თანამგზავრობის გზას დაადგენ.

შედარებით ჩამოყალიბებულ და მთლიან ფიგურას, როგორც პოეტი „მემარცხენეებში“ წარმოადგენს ს. ჩიქოვანი. იგი, როგორც პოეტი გაიზარდა საქართველოს ოქტომბრის შემდეგ. მან თავის შემოქმედებაში რამდენიმე საფეხური განვლო.

როგორი იყო ს. ჩიქოვანის შემოქმედების პირველი პერიოდი?—იგი გატაცებული იყო ფუტურისტული „სიტყვათა ქმნადობით“. ამ დროს იგი გვევლინება რუსეთის ფუტურისტების (კრუჩიონიხის და სხვ.) დაგვიანებულ ეპიგონათ. იგი მთელ თავის პოეტურ უნარიანობას ანდომებდა უსარგებლო და უაზრო ზაუმნიკური პოეზიის შექმნას. ამავე ხანებში საგრძნობია ჩიქოვანის პოეზიაში სიმბოლიზმის და ინდივიდუალიზმის გაელენა. ფუტურიზმი, რომელიც დაუპირისპირდა სიმბოლიზმს უმთავრესად მხატვრულ ხერხთა სხვადასხვაობის ნიადაგზე, იდეოლოგიურად მაინც ვერ აღწევს თავს მის (ე. ი. სიმბოლიზმის) გავლენას. ეს მოვლენა მეტად მკვეთრად ს. ჩიქოვანის პოეზიაში იგრძნობოდა პირველ პერიოდში.

ს. ჩიქოვანი თავისი შემოქმედების მეორე პერიოდში უკვე ცდილობს თავი დააღწიოს ძველ განწყობილებებს და თეითმიზნურ ესტეტიკას. ეს ბრძოლა მეტად მძიმეთ და ტკივილებით მიმდინარეობდა. პოეტში მოხდა გარკვეული გადამუშავება და მოახლოვება თანამედროვე ყოფასთან. ამის შემდეგ ს. ჩიქოვანის პოეზია მოექცა თანამგზავრულ კალაპოტში.

დღეს ს. ჩიქოვანის პოეზია თემატიურად მეტად მრავალფეროვანია. იგი ეხება ჩვენი ცხოვრების აღმშენებლობას, ინდუსტრიას, ყოფას და სხვ. მისი ლექსებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ოქტომბრიდან 27-მდე", „ემიგრაციის „მწერლებს", „ჩადრი", „მუშათა კლუბი საფრთხეშია", „სამოქალაქო ომებიდან", „კავკასიიდან ტაგანროგამდე", „მოსკოვი" და პოემა „ბედი რესპუბლიკა".

პოემა „ბედი-რესპუბლიკა" თემატიურად ეხება საქართველოს გასაბჭოების პერიოდს. მასში იშლება მენშევიზმის აგონიის უკანასკნელი წუთები და საბჭოების ხელისუფლების, წითელი დროშის გამარჯვება.

ს. ჩიქოვანი გაბედულათ ცდილობს თავის პოეზიაში დასწყვიტოს ყველა ძაფები, რომელიც მას რამდენიმეთ მაინც აკავშირებს ძველი ქვეყნის განწყობილებებთან. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსი „ემიგრაციის მწერლებს", რომელშიც იგი შემდეგნაირად მიმართავს საქართველოდან გაქცეულ გარეწარებს:

როგორც ბრმა ვერ გრძნობს საგნების მოცვას,
ისე ჩვენ ახრებს თქვენ ვერ აზიდავთ,
თქვენ კვლავ კითხულობთ ნანგრევთა ლოცვანს
გადავარდნილი დღევანდელ გზიდან,
სასაფლაოზე დადგმულ ჯვრებივით.
წარსულზე დაგაქვთ ფიქრნი ფერდებით,
თქვენ ჩამოგენგრათ ქვეყნის ფანჯრები
და ღია სივრცეს ჩაანერდებით.

ს. ჩიქოვანი გაბედულათ აცხადებს, რომ არ შეიძლება მას რაიმე აკავშირებდეს ამ წყალწაღებულ ხალხთან:

მე კი წიგნს დავხევ,
ახრებს დავარჩევ,
დავწვავ საბუჯდათ გამზადილ ლექსებს,
თუ სადმე ვიგრძენ თქვენი სარჩული.

საერთოდ დღეს ს. ჩიქოვანი თავისი პოეზიით პროლეტარული რევოლიუციის მოკავშირეა. ეს გზა მან კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს და გააფართოვოს.

დ. შ ე ნ გ ე ლ ა ი ა მბოლოდ ორგანიზაციულათ არის „მემარცხენეებთან" დაკავშირებული. მისი შემოქმედების ხასიათი და ფორმა სრულიად ვერ ეფარდება ფუტურიზმს, მემარცხენეობას. იგი მთლიანად იმყოფება სიმბოლიზმის ტყვეობაში.

დ. შენგელაიას შემოქმედებითი ზრდა ამ ათი წლის მანძილზე მოხდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ შექმნა მან „სანავარდო", „ცხრათვალი" (მოთხრობათა კრებული), „ბათა ქექია" და სხვ, მას დიდი ბრძოლა სჭირდება იმისათვის, რომ თავი დააღწიოს ძველ მავნე გაელენებს და განწყობილებებს და რომ მოუახლოვდეს თანამედროვეობას. მას ჰქონდა ცდები ახალი ცხოვრეიის მხატვრულ განზოგადოებისა, მაგრამ ცდები უმეტეს შემთხვევაში მარცხით დასრულდა. მწერალმა ვერ შესძლო ორგანიულათ შესვლა ახალი ცხოვრების დამახასიათებელ მოვლენებში. მას ამ ათი წლის მანძილზე ბევრი ჰქონდა იდეური და ფორმალური ხასიათის ჩავარდნები, გადახვევები.

უდავოთ უნდა მივიღოთ ის დებულება, რომ მწერალი ვალდებულია ჰქონდეს მტკიცედ განსაზღვრული და მოსაზრებული დამოკიდებულება ცხოვრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენებთან. კიდევ მეტიც: მხატვრული სიტყვის ავტორის, (რომელიც ოვავის თავს ჩვენ ბანაკში სთვლის) მოვალეობას შეადგენს სერიოზული თვითკრიტიკა და სასტიკი პასუხისმგებლობა იმ შედეგებზე, რომელიც თავისთავად გამომდინარეობს მისი შემოქმედებიდან. ან, სხვაგვარათ, რომ გამოვთქვათ, მწერალი სრული პასუხისმგებელია იმ აზრებისა და განწყობილებების, რომელსაც იგი ამჟღავნებს თავის შემოქმედებაში, იმისაგან დამოუკიდებლათ, შედიოდა თუ არა მის განზრახვაში გამოეთქვა სწორედ ესა თუ ის აზრი და განწყობილება. დ. შენგელაია ხშირად სათანადოთ ვერ ითვალისწინებს ამ მოვლენას.

„ცისფერი ყანწელები" გასაბჭოების პირველ წლებში მშვიდათ განაგრძობენ დაცემულობის პროპაგანდას, თითქოს არაფერი ცვლილება მომხდარიყოს ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც შეინახეს მათ „სიმშვიდე" პროლეტარული რევოლიუციის მიმართ. 1924-25 წლამდე მათ ჰქონდათ განსაკუთრებული ტრადიცია: არა მარტო ლაპარაკი, არამედ რითიმე ჩვენებაც კი, რომ მოხდა პროლეტარული რევოლიუცია, ითვლებოდა დიდ ბოროტმოქმედებათ. თქმა თანამედროვეობაზე ნებადართული იყო მხოლოდ საერთო და აბსტრაქციული სახით, მაგრამ გარეშე პროლეტარული რევოლიუციისა. სამაგიეროთ მათი პოეზია თვითმკვლელობისა და ლოთობის მთელ ფილოსოფიას ანვითარებდა.

დროთა ვითარებაში, თანდათანობით, პროლეტარული რევოლიუციის განმტკიცებასა და გაღრმავებასთან ერთად „ცისფერ ყანწელთა" ორდენშიაც იწყება ერთგვარი გადაჯგუფება, ცდა გარდატეხისა. ყველაზე უფრო დამაჯერებლათ ჯერჯერობით ეს გარდატეხა მოხდა რ. გვეტაძის შემოქმედებაში. რ. გვეტაძის პოეზია პირველ პერიოდში ეს იყო სიმბოლისტურ-დეკადენტურ განწყობილებათა გამომჟღავნება. მის პოეზიაში თემატიურად საპატიო და მთავარი ადგილი ვირებს ჰქონდა დათმობილი. მათ უმღეროდა პოეტი მთელი წლების განმავლობაში.

ძირითადი გარდატეხა რ. გვეტაძეში მოხდა მისთვის უჩვეულო სფეროში. უკანასკნელ ხანებში მან თავისი მუშაობის ცენტრი გადაიტანა პროზაში. აქ შექმნა მან უსათუოდ საინტერესო ნაწარმოები „თეო". იგი თემატიურად შეეხება თავადის ოჯახის დაცემას.

დიდი მემამულე იყო თავადი ყაფლან. მას ეკუთვნოდა ბორჯომის ხეობის ნახევარი. წვეულება ყოველ დღე, ქეიფი ტივებზე. გლეხებს ადამიანებათ არ სთვლიდა ყაფლანი, მხეცურად ეპყრობოდა სოფელს. თავისი ასულის თეოს ნათლობის მეორე დღეს ყაფლანმა ნამდვილი ღრეობა მოაწყო. შექეიფებული თავადი გადის ველად. ნიშანში ამოიღო მოზვერი, ხმალი დაჰკრა კისერზე და „ცხოველი ჯერ კიდევ ფეხზე იდგა, რომ თავი ძირს ეგდო". ღარიბი გლეხი და მოჯამაგირე გიორგი ყაფლანმა გააუბედურა: მოუკლა საიმედო მოზვერი. აღელვებული გიორგი მიიჭრა ყიფლანთან. თავადი მზად აღმოჩნდა. მან თავი წააგდებინა გიორგის: „ტანმა მაინც განაგრძო მოძრაობა, თავი თვალებს კიდევ ახელდა და პირს შაშვის ბარტყივით აღებდა". ამ სურათს ვერ გაუძლო ყაფლანის ცოლმა, დასნეულდა და გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაფლანს მოჯამაგირეთ ჰყავდა აჭარელი მირზა. იგი რევოლუციონერი მუშაობაში ებმება. იგი არალეგარულ მუშაობამ გაიტაცა.

მოხდა პირველი რევოლიუცია 1917 წ. თებერვალში. ეს ამბავი ყაფლანმა ნადირობიდან დაბრუნებისას გაიგო გლეხებისაგან: „—... არაფერი, ბატონო, მგონია მეფე გადაუყენებიათ",— ამბობდენ ისინი.

რუსეთში გაიმარჯვა ოქტომბრის რევოლიუციამ. მენშევიკები გამოეთიშენ პროლეტარულ რევოლიუციას და მოკალათდენ საქართველოში. მოვიდენ გერმანელები. „ხმები დადიოდა ვილჰელმის შვილის საქართველოში გამეფების შესახებ". გერმანელები შესცვალეს ინგლისელებმა. მათი ჯარის ნაწილი იდგა მუშათა სახლში. „ერთ მშვენიერ დღეს ფანჯრებში ნიფხვები გადმოკიდეს". თარეშობდენ სახალხო გვარდიელები. დამფუძნებელ კრებაში იმართებოდა „ჩხუბი მიის შესახებ, თუ ვინ რამდენს და რით სვამდა ღვინოს". რევოლიუციას არავითარი ზიანი არ მოუტანია მემამულეებისათვის. „ტყუილი გამოდგა ყაფლანის ნიში, მისი მყუდრო ცხოვრება ოდნავათაც არ შერყეულა.

მირზა ჭერქვეშ მუშაობდა, დაიჭირეს და გადაასახლეს მენშევიკებმა.

დაეცა 1921 წელს საქართველოში მენშევიკების ბატონობა. ყაფლანი და თეო, რომლებიც ამ ხანებში ქალაქში ცხოვრობდენ გაეშურენ სოფლისაკენ. სახლის კარები დალუქული დახვდათ. ღამე ხის ქვეშ გაათენეს. ძონძებში გახვეული, ჭკუაზე შეშლილი დედაკაცი აჩრდილივით წაადგა მათ თავზე: „— ბატონის სტუმარი ხარ, ხოო... ხომ არ შეხვედრილხარ სადმე ჩემს გიორგას, არა? ბატონს უთხარი, გიორგას დედა იყო, თებროი თქო"... საბჭოთა სოფელმა არ მიიღო ყაფლანი. ისევ ქალაქს მიაშურა. აქ ის და თეო დაბინავდენ ავლაბარში, სადღაც სარდაფში. მათ ცხოვრება მეტად გაუძნელდათ.

მირზა—ყაფლანის ყოფილი მოჯამაგირე აჭარისტანში გაგზავნა პარტიამ საპასუხისმგებლო სამუშაოზე. ერთხელ იგი ტფილისში ხვდება თეოს. მათ შორის იფეთქა სიყვარულის გრძნობამ. ყაფლანი ამის წინააღმდეგია: „თეოს ზვარაკივით დაეკლავ და ჩემს ნამოჯამაგირალს არ გავატან" გაიძახის იგი. დარჩა ყაფლანი გარიყული. დაიწყო მათხოვრობა. შემდეგ ბალდახინის გამყოლის ადგილი იშოვნა. ღამე ბალდახინის ყუთში იძინებდა. მის ბამულში კი მოეწყო კოლექტივი.

ასეთია „თეო"-ს თემატიური გზა. ნაწარმოებს მრავალ დადებით მხარესთან ერთად ახასიათეს მრავალი უარყოფითი მხარეც. მწერალი სუსტად გვიჩვენებს პირველ ნაწილში სოფლად არსებულ სოციალ-კლასიურ ურთიერთობას. ხელ-შესახებათ არ არის მოცემული ძველი ცხოვრების შემცვლელი ფაქტორის შინაგანი სახე და ბუნება. მოთხრობის კომპოზიცია არ არის მჭიდროთ შეკრული და დაწურული. არის მეტად გაჭიანურებული ადგილები. გზადაგზა მოთხრობაში მელოდრამატიული სიტუაციებიც არის შექმნილი.

სახეებით აზროვნება არ ეხერხება რ. გვეტაძეს, რის გამოც მიმართავს ხშირად უფერულ და გულუბრყვილო შედარებებს: „ორთქმავალი, როგორც ლახვარსობილ ვეშაპის თავი, ქშინავდა და ბორგავდა". „მატარებელი ჭოლოკმოხვედრილი ნაგაზივით ისევ აკივლდა და წიფის გვირაბისაკენ გაიქცა" და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვრული ნაწარმოები მაშინ არის „უკვდავი“, როდესაც ნასმენ-გამოყვანილი ტიპები რეალური, ინდივიდუალურია და ამავე დროს განზოგადოებულ სახესაც ატარებენ. ეს უკანასკნელი კი ნიშნავს იმას, რომ მწერალს აუცილებლად უნდა შეეძლოს საზოგადოებრივ მოვლენებში გაარჩიოს შემთხვევითი აუცილებლისაგან, ღრმათ აითვისოს ყველაფერი ტიპიური, რომელთა საფუძველზედაც იქმნება ადამიანთა ხასიათები. რ. გვეტაძემ „თეო“-ში, უმეტეს შემთხვევაში, ეს ვერ შესძლო. ამიტომ არის, რომ მასში ადგილი აქვს აუცილებელთან ერთად შემთხვევითსაც.

„თეო“-ს ჩვეულებრივი ფორმა სასაუბრო-აღწერითია, ფართოდ განვითარებული დიალოგებით, რომელიც ხშირად სცვლის პერსონაჟის ფსიქოლოგიურ დახასიათებასაც.

ს. კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ მ ა გამოაქვეყნა მოთხრობათა კრებული „პროვინციის მთვარე“, აღნიშნულ კრებულიდან ყველაზე უფრო საყურადღებოა მოთხრობა „პროვინციის მთვარე“. რას შეეხება იგი? მოთხრობა შეეხება პატარა პროვინციალური ქალაქის ცხოვრებას, საბჭოთა სინამდვილის ფონზე. მოთხრობაში კარგათ არის მოცემული ძველი ქვეყნის წარმომადგენელთა სახეები. სიმონი— „პროვინციის მთვარის“ მთავარი გმირი ახლა ბურჟუაზიის წარმომადგენელია. იგი საეჭვო გზით არის გამდიდრებული. მას აქვს საკუთარი წარმოება—კონიაკის გამოსახდელი ქარხანა, რომელიც მან საქართველს გასაბჭოებამდე ააგო. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მასში დიდ შიშს იწვევდა. ეშინოდა თავისი მატერიალური მდგომარეობის შერყევის. მაგრამ დახეთ, მას უბედურება არ მოევლინა. იგი განაგრძობს თავის საქმეს. მას დიდი წინაალმდეგობების შემდეგ ცოლათ მიჰყვება ტფილისიდან გამოქცეული მოხუცი ინტელიგენტის ლამაზი ასული—მაგდა. გადის დრო, სიმონის ბედნიერებას ფრთები ეკეცება. ხელისუფლება აგებს კონიაკის დიდ ქარხანას სწორედ სიმონას წარმოების მახლობლად. სიმონა „ბინდ-გადაკრული თვალით ხედავდა მოახლოვებას უძლეველისას, რომელიც მოდიოდა იერიშით და იკავებდა სიმონას მსგავს ერთეულების ადგილს“.

საბოლოოთ სიმონა ყველგან მარცხდება. იგი ყველასაგან განწირული და გარიყული რჩება. მისი მატერიალური კეთილდღეობა ინგრევა.

სიმონა „პროვინციის მთვარე“-ში დასრულებულ და ჩამოყალიბებულ ტიპათ არის წარმოდგენილი. მწერალი ახერხებს ახალი ბურჟუაზიის წარმომადგენლის რელიგიურად გამოხატავს, გვიჩვენებს მის სოციალურ საფუძველს და იდეალებს ჩვენს პირობებში.

იმავე მოთხრობაში მოცემულია ორი ობივატელური ოჯახის ასახვა. ეს არის ტარიელის და ბეკოს ოჯახობა. მათ მაღალი არაფერი აინტერესებთ. ცხოვრობენ მეტად ვიწრო და შემოფარგლული ცხოვრებით. ისინი ირთობენ თავს იმით თუ რა მოხდებაო ერთს, რომ მეორე მოუკვდეს, ან და, სამგლოვიარო განცხადებაში დაწერილი მართა განსვენებულის ბიცოლა თუ დეიდა იყო.

მოთხრობაში მშენებლობა მოცემულია ზოგადი ხაზებით, გარეგნულათ და არა მთელი შემოქმედებითი პროცესით. არის მშენებლობა, მაგრამ არ სჩანს ამშენებლები.

„პროვინციის მთვარე“-ში მომქმედ პირთა განვითარება ხდება ერთ-ერთ საიმე განსაზღვრული ლოგიკით, არა ცხოვრების ულმობელი კანონებით, არამედ შეშთხვევითი მიზეზებით. ზოგჯერ ადამიანები აღებულია, როგორც უცვლელი კატეგორია. ასეთია ბეკო და ტარიელი თავისი ოჯახობით. ცხოვრება მათზე თითქოს არავითარი მიმართულებით არ ახდენს გავლენას.

საერთოდ „პროვინციის მთვარე“ თანამგზავრული ხასიათის ნაწარმოებია. ს. კლდიაშვილს აქვს სხვა ნაწარმოებებიც, რომელიც მან შექმნა ამ ათი წლის მანძილზე, მაგრამ უმეტესობა მათგანი ან უფერული და სუსტია მხატვრულად ან და, იდეოლოგიურად გაუმართლებელია.

ტ. ტ ა ბ ი ძ ი ს პოეზია მეტად დიდი წინააღმდეგობების გზით ვითარდებოდა. მთავარი დამახასიათებელი ნიშნები მისი პოეზიისათვის იყო რეაქციონური განწყობილებების გამომჟღავნება. „ცხენი ანგელოსით“, „თამუნია წერეთელს“, “ილაიალი“, „მეარღნეები და პოეტები“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“ და სხვ. ლექსები დაცემულობისა და დეკადენტობის მთელ „ფილოსოფიას“ ანვითარებდა. ეს ანტირევოლიუციონური და ანტიპროლეტარული განწყობილებები იყო დომინანტი მისი შემოქმედების მთელი რიგი წლების მანძილზე. მას გვერდს უმშვენებდა ქეიფისა და ღვინის კულტი. უკანასკნელ ხანებში ტ. ტაბიძეში არის ცდები რამდენიმეთ მაინც თავი დააღწიოს ძველ განწყობილებებს. მაგრამ ყველაფერი ეს არა ორგანიულ სახეს ატარებს. „რიონ-პორტში“, „გულდაგულში“ და სხვ. უფრო მეტია აბსტრაქტიული სიმბოლისტური გატაცებები, ვიდრე ახალი ცხოვრების კონკრეტიული ათვისება. ხშირად ტ. ტაბიძე ვერ ჩერდება ამ განწყობილებათა საფუძველზე და ისევ ძველ გზას უბრუნდება. ამის შესახებ ლაპარაკობს მისი ლექსი, რომელიც „ქართულ მწერლობაში“ ჰქონდა მას მოთავსებული.

ნ ი კ. მ ი წ ი შ ვ ი ლ მ ა მეტად საინტერესო თეორია წამოაყენა პოეტის გაორების შესახებ. თავისი „გარდაცვალება“-ს წინასიტყვაობაში იგი სწერდა: „პოეზიაში მე მივყვები მხოლოდ საკუთარ გულს და ალბათ ესაა მიზეზი, რომ მე როგორც პოეტი, ჩამოვრჩი დღევანდელ აბობოქრებულ დროს აქტუალობას. როგორც პოეტი, მე, შესაძლებელია, დავრჩე წარსულში, მაგრამ მოქმედების, გამბედაობის და სიცოცხლის ლოგიკამ მე გამათანასწორა თანამედროეობასთან, როგორც ადამიანი. შეიძლება მომავალში ეს ორი პარალელი შეერთდეს, მე არ ვიცი; ვიცი, რომ ამ წინააღმდეგობაში ჩავარდნილია მთელი ჩემი დრო და პოეტისათვის ეს წინააღმდეგობა ხშირად თავდება კატასტროფით“. დამახასიათებელი აღსარებაა: როგორც მოქალაქე ნ. მიწიშვილი საბჭოთა პლათფორმაზე სდგას, ხოლო როგორც პოეტი წარსულისაკენ იცქირება, როგორც მოქალაქე იგი ითვისებს ჩვენი ეპოქის, ჩვენი ცხოვრების პოლიტიკურ-სოციალურ კონცეპციას, ხოლო როგორც პოეტი—ძველ განწყობილებების და შეხედულებების სამყაროშია. ეს არის შემოქმედებითი გაორება. ასეთი გაორება დამახასიათებელია წვრილბურჟუაზიულ მწერლებისათვის, რომლებიც ვერ ბედავენ საკუთარ ნებით გასწყვიტონ კავშირი წარსულთან და ორივე ფეხებით დადგენ ახალ ნიადაგზე. ისინი ცდი-

ლობენ ახალ პოლიტიკურ-სოციალურ კონცეპციაში ძველი იდეები და აზრები გამოხვიონ. სწორედ ასევე ემართება ნ. მიწიშვილსაც.

ნ. მიწიშვილს ჰქონდა ცდები აესახა 1921 წ. თებერვლის შემდეგ დროინდელი ჩვენი ცხოვრება. „თებერვალი“ შეეხება საქართველოს გასაბჭოების პერიოდს. მასში კარგათ არის გადმოცემული ჰროლეტარული რევოლიუციის საფუძველზე შექმნილი განწყობილებები.

ნ. მიწიშვილის მეორე ნაწარმოები "ეპოპეიაა". ავტორის აზრით იგი წარმოადგენს ქრონიკას ჩვენი რევოლიუციის დროიდან, მაგრამ ეს მთლად ასე არ არის. „ეპოპეია“ არ წარმოადგენს ჩვენი ეპოქის გადმოშლას. აქ სათაური არავითარ შემთხვევაში არ არის გამართლებული. არსებითად „ეპოპეია“-ში მასალად ცხოვრების ერთი პატარა კუნჭულია აღებული, რაც გადმოცემულია ობივატელის თვალთახედვით.

ცხრაას ხუთი წელი განსაკუთრებით მიმზიდველი შეიქნა უკანასკნელ ხანებში ჩვენი მწერლებისათვის. ამ ეპოქის შესახებ დასწერეს რომანები და მოთხრობები: ბ. კუპრაშვილმა („ამბაკო სამანაშვილი“), ლ. ქიაჩელმა („სისხლი“, „ტარიელ გოლუა“), პ. საყვარელიძემ („დაფანტული ფურცლები“), ნ. ლორთქიფანიძემ („ლიანდაგიდან ბილიკებზე“), პ. სამსონიძემ („პირველი ქარტეხილი“), ნ. ზომლეთელმა („უგულო ლამეები“) და სხვ.

დ. სულიაშვილიც უმთავრესად ცხრაას ხუთის რევოლიუციის მასალაზე მუშაობს. მისი „ნაღვერდალი“ 1903-5 წ. რევოლიუციონურ მოძრაობის ფონზეა გაშლილი. როგორც სჩანს ამ პერიოდს იცნობს სულიაშვილი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, იგი მაინც არ არის სურათი ჩვენი პირველი რევოლიუციის: მასში არ არის მოცემული ღრმათ 1905 წლის მოძრაობის და რევოლიუციონური ბრძოლის სოციალური შინაარსი. ნაწარმოებში მოცემული ტიპები არ არიან მთლიანი, დასრულებული. მწერალი თითქოს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს მოვლენათა რომანტიულ მხარეს. რომანში ინტრიგის კვანძი სუსტია. მასში არის გაშაბლონებული სიყვარულის ისტორიაც, მაგრამ იგი ფსიქოლოგიურათ არაა გამართლებული და დამაჯერებელი. რევოლიუციონური ტემპი, რევოლიუციონური მოძრაობა „ნაღვერდალში“ მეტად შენელებულათ არის მოცემული. მოქმედების მაგიერ სულიაშვილი იძლევა პრიმიტიულ განცდებს. შედარებით უფრო კარგია მისი პატარა მოთხრობა „ჩიკორი“.

ლ. ქიაჩელმა ეხლახან გამოაქვეყნა რომანი „სისხლი“. იგი შეეხება რევოლიუციონერების მუშაობას და ბრძოლას ცხრაას ხუთის მოძრაობის დამარცხების შემდეგ. „სისხლს“ იდეოლოგიურათ საგრძნობი ნაკლოვანებები აქვს. ავტორს მხედველობიდან ეპარება კლასები, რჩებიან მხოლოდ ცალკეული რევოლიუციონერები— გმირები, რომლებიც თითქოს მარტო ქმნიდენ 1905 წლის რევოლიუციას. „სისხლში“ ქიაჩელმა არსებითად ვერ მოგვცა ვერც ერთი რევოლიუციონერის დადებითი ტიპი. თვით ნიკო, რომელიც რომანში ბოლშევიკათ არის გამოყვანილი რაღაც ავანტიურულ გეგმის მატარებელ ადამიანს უფრო მოგაგონებთ, ვინემ ლენინელს.

ს. შანშიაშვილის მუშაობა პოეზიის დარგში მემარჯვენე თანამგზავრული ხასიათისაა—ძლიერი კულაკური განხრით. დრამატურგიის დარგში მას აქვს ცდები თანამედროვე ცხოვრების ასახვის.

თანამგზავრობის ხაზით მუშაობენ, შემოქმედებითი თანამგზავრობის ტენდენციები გამოამჟღავნეს: ვ. გაფრინდაშვილმა, პ. იაშვილმა, ა. ჭუმბაძემ, ა. ქუთათელმა, ლ. მეტრეველმა, გ. ლეონიძემ, გრ. ცეცხლაძემ, ვ. გორგაძემ და სხვ. მაგრამ მათში ჯერ კიდევ ძლიერია (ზოგში მეტად და ზოგში ნაკლებად) მემარჯვენე, წვრილ-ბურჟუაზიული, დეკადენტური და მეშჩანური განწყობილებები. ხშირად ისინი ვერ ერკვევიან ჩვენი ცხოვრების გზებში.

ნ. ლორთქიფანიძეშაც შეეცადა ამ უკანასკნელ ხანებში თავისი შემოქმედების ჩვეულებრივი გზისათვის „ელალატნა". მან თავის ერთ-ერთ უკანასკნელი მოთხრობისათვის მასალად აიღო ცხრაას ხუთი წლის რევოლიუცია. მოთხრობაში იყო საინტერესო მომენტები, მხატვრულადაც საკმაოდ ძლიერად გაკეთებული, მაგრამ საერთოდ არ შეიძლება ეს ნაწარმოები ჩაითვალოს მისი შემოქმედების ძირითად ხაზად. მისი შემოქმედების მთლიანი ხასიათი ეს არის თავად-აზნაურულ საქართველოს გამოტირება.

თანამგზავრულ ლიტერატურას ახალი ძალებიც ემატება ახალგაზრდობიდან, ამის შესახებ გარკვეულათ ლაპარაკობს უკანასკნელი პერიოდის ლიტერატურული ცხოვრება.

როგორ ისმის დღეს საერთოდ თანამგზავრობის საკითხი? რა ამოცანები სდგა მის წინაშე?

დღეს ძველი სახის თანამგზავრობისათვის ადგილი აღარ არის ჩვენს სინამდვილეში. ის სოციალური ცვლილებები, რომელიც ხდება საბჭოთა კავშირში რეკონსტრუქციის პერიოდში, კლასთა ბრძოლის უკიდურეს გამწვავების პერიოდში იწვევს თანამგზავრობის გარკვეულ გადაფასებას. თანამგზავრობაშიაც მოხდა დიფერენციაცია—ერთი ნაწილი ახალ-ბურჟუაზიულ და კულაკურ ლიტერატურის ბანაკში გადაბარგდა, ხოლო ჯანსაღი და მომქმედი ნაწილი კი უფრო მტკიცედ, ენტუზიაზმით და ორგანიულად დაუკავშირდა სოციალისტურ აღმშენებლობას—გახდა პროლეტარიატის მოკავშირე.

რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის რიგებში რამდენიმე თანამგზავრი მწერლის (ე. ბაგრიცკი, ლუგოვსკოი, მაიაკოვსკი და სხვ.) მიღება ნათლად ამტკიცებს იმ ღრმა პროცესს, რომელსაც ადგილი აქვს თანამგზავრობაში.

რეკონსტრუქციის პერიოდი თანამგზავრ მწერლებს ავალებს ბევრი რამ გადააფასონ და ბევრი რამ უარყონ თავიანთ ძველ შეხედულებებიდან. აგრეთვე რეკონსტრუქციის პერიოდი თანამგზავრებს აძლევს შესაძლებლობას გახდენ პროლეტარიატის მოკავშირეები.

საბჭოთა კავშირში დღეს შექმნილია ძირითადი სოციალ-ეკონომიური საფუძველი იმისათვის, რომ თანამგზავრი მწერლები გახდენ პროლეტარიატის მოკავშირეები. სოციალისტური მშენებლობის წარმატება ქალაქად და სოფლად—აი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის მთავარი საფუძველი, რომელზედაც ხდება თანამგზავრ მწერლების გადმოქცევა პროლეტარიატის მოკავშირედ.

თანამგზავრი მწერალი დღეს პროლეტარულ მწერლებთან ერთად არის ცოცხალი მონაწილე იმ გამწვავებული კლასიური ბრძოლისა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენში. თანამგზავრების წინაშე სდგას ამოცანა, რომ გახდენ პროლეტარიატის მოკავშირე კაპიტალიზმის ძირების ამოგდებაში, კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციაში, პროლეტარიატის ფარული თუ პირდაპირი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში. ის მწერალი, რომელიც ამ გადამწყვეტ და დიდ საქმეში არ არის პროლეტარიატთან, უკვე აღარ შეიძლება ჩაითვალოს თანამგზავრად.

თანამგზავრების გადამუშავების პროცესი მეტად რთულია, ამ მდგომარეობის გაუთვალისწინებლობა და გამარტივება შეუძლებელია.

ჩვენ შეუნელებელი ბრძოლა უნდა ვაწარმოოთ რეაქციონური მწერლების, ბურჟუაზიულ და კულაკურ განწყობილებების წინააღმდეგ მწერლობაში, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია ფრთხილი და სერიოზული დამოკიდებულება იმ მწერლებისადმი, რომლებიც ცდილობენ გახდენ პროლეტარიატის მოკავშირეები. აქ ყოველგვარი წინწასწრება და წინდაუხედავობა მავნებელია.

თანამგზავრ მწერლების შემოქმედების თემაკიტაშიაც ხდება დღეს მნიშვნელოვანი გარდატეხა. თანამგზავრების საყვარელი თემა—„პატარა ადამიანი“ ან „ზედმეტი ადამიანი“—ეხლა უკანა პლანზე მიიწია, დღეს თანამგზავრობის შემოქმედების თემატიკაც სხვაა, ახალია. ის გრანდიოზული პროცესები, რომელიც სოციალისტური აღმშენებლობის მომენტებს გულისხმობს—აი აქეთკენ ცდილობენ დღეს თანამგზავრები მიაპყრან თავიანთი ყურადღება.

მაგრამ თანამგზავრობის არა მარტო თემატიკაში, არამედ შემოქმედების მეთოდის შეცვლაც უნდა მოხდეს. შეუძლებელია მუშაობა რეკონსტრუქციის პერიოდის თემატიკაზე თუ არ იქნა გამონახული ისეთი შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც შესატყვისი იქნება ახალი პერიოდისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ თანამგზავრებს არ აქვთ დიდი მიღწევები. მათ ხშირად არც კი ესმით დიალექტიურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის მნიშვნელობა შემოქმედებისათვის, გულახდილად უნდა აღინიშნოს რომ ამ მიმართულებით პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასაც თითქმის არაფერი გაუკეთებია, რათა, დახმარებოდა თანამგზავრებს, მაშინ როდესაც „თანამგზავრების მხატვრულ მეთოდზე მუშაობა არის პოლიტიკური მუშაობა, ვინაიდან ჩვენ მიერ შემოქმედებითი საკითხების დასმას საფუძვლად უდევს საკითხი მსოფლმხედველობის შესახებ“ (ავერბახი). აუცილებელია შემოქმედებითი დისკუსიაში ჩავაბათ თანამგზავრებიც. აქამდე ამ დისკუსიას პროლეტარული მწერლები თითქმის კარჩაკეტილათ აწარმოებდენ.

საბოლოოთ: თანამგზავრ მწერლებს დღეს ორი გზა, ორი შესაძლებლობა აქვთ: ან უნდა გახდენ პროლეტარული რევოლიუციის სოციალისტური აღმშენებლობის მოკავშირეები, ან და მტრის ბანაკში გადაბარგდენ, საშუალო და ნეიტრალობის გზა არ არსებობს.

ჩვენ გვჯერა, რომ თანამგზავრების საუკეთესო ნაწილი თავისი ყოველდღიური აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ აღმშენებლობაში, მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიური მატერიალიზმის მსოფლმხედველობის დაპყრობით და მის შემოქმედებითი მუშაობაში მოხმარით, მწერლობის ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გადახალისების იარაღათ გახდომისათვის ხელის შეწყობით—შესძლებენ გახდენ პროლეტარიატის მოკავშირეები.

***

პროლეტარული მწერლობის სათავეები ჩვენში უკვე მეცხრამეტე საუკუნის 80-90-იან წლებში იწყება. მაგრამ ეს იყო მხოლოდ თესლი იმ დიდი მოსავლისა, რომელიც შემდეგ მივიღეთ. სრული გაშლა და გაფართოება პროლეტარულმა მწერლობამ შესძლო მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება, რაც მოხდა ოქტომბრის დიდი რევოლიუცია.

ოქტომბრის რევოლიუციამ საქართველოში რამდენიმე წლით დაიგვიანა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მაშინდელი ბოლშევიკურ პრესის ირგვლივ მაინც იყვენ შემოკრებილი პროლეტარული მწერლები — ს. ეული, ნ. ზომლეთელი. ი. ვაკელი და სხვ.

1921 წელს, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში ფართოდ იშლება პროლეტარიატის ლიტერატურული მოძრაობა. ამ წელს ეყრება ჩვენში საფუძველი პროლეტარულ მწერალთა გაერთიანებას—პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას. აქ იყო: ს. ეული, ს. თოდრია, ნ. ზომლეთელი, რ. კალაძე, პ. სამსონიძე, ი. ვაკელი, ი. ლისაშვილი, ს. თალკვაძე და სხვ. ამ დროს პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია თავის რიგებში აერთიანებდა მუშათა კლასის მთელ მხატვრულ-ლიტერატურულ ძალებს, რომლებიც ამ ხანებში თუ უფრო ადრე გამოჩდენ.

რა პროგრამით გამოვიდა პროლეტარული მწერლობის ეს პირველი თაობა?—ამის შესახებ ვკითხულობთ მათ დეკლარაციაში, რომელიც მოთავსებული იყო „ქურა"-ს მეორე ნომერში 1922 წელს: „საქართველოში ჩვენამდისაც არსებობდა სუსტი სულის თქმით პროლეტარული-რევოლიუციონური ლიტერატურა იმდენათ, რამდენადაც არსებობდა პროლეტარიატის რევოლიუციონური მაჯის ცემა პოლიტიკურ და ეკონომიურ ბრძოლაში. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის აღიარების შემდეგ და საბჭოთა წესწყობილების დამკვიდრების დღიდან, ჩვენში—პროლეტარული ლიტერატურა ყალიბდება ორგანიზაციულად და ფრთებს შლის იდეურად ისე, როგორც პროლეტარული სხვა შემოქმედება საბჭოთა სისტემის სხვადასხვა სფეროში. პროლეტარული ლიტერატურა ახალი და მასთან კლასიური ხასიათის მოვლენა არის ჩვენს დროში. ის დაიბადა მუშათა კლასის ბრძოლის პროცესში; მისი ზრდა და შემდეგი განვითარება დამოკიდებულია ყველა იმ ისტორიულ მსვლელობის აუცილებლობაზე, რომელსაც კაცობრიობა გიგანტიური ნაბიჯით მიყავს უმაღლეს საზოგადოებრივ ფორმამდე—კომუნიზმამდე. ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველოში ჯერ კიდევ სუსტია სამრეწველო პროლეტარიატი. იგი თითქმის დღეს იკიდებს ფეხს

და ძლიერდება. რამდენად ეს უკანასკნელი ძლიერდება და ზღვის ფენებს, სახელოსნოების და ამქრობის ადგილს იჭერს ფაბრიკა-ქარხნები [illegible] ტექნიკის მიღწევებით—იმდენად დიდია გავლენა ზემოჩამოთვლილის პროლეტარულ პოეტებზე და მწერლებზე და პროლეტარული ლიტერატურაც ძლიერია. ჩვენ ვცდილობთ, რომ მას არ ჩამოვრჩეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზა, რომლის გარშემოც ისინი იკრიბებოდენ იყო კომკავშირული „ტარ-ტაკი", „მომავალი" და სხვ.)

კომკავშირის პრესის გარშემო იყვენ შემოკრებილი და მის ზრდასთან ერთად იზრდებოდენ: ა. მაშაშვილი, კ. კალაძე, კ. ფეოდოსიშვილი, შ. რადიანი, ვ. ლუარსამიძე, პ. ქიქოძე და სხვ.

ამავე ხანებში, ქუთაისის მშრომელი ახალგაზრდობის მოწინავე ნაწილშიაც პროლეტარული მწერლობის ხაზი იმარჯვებს. ხდება მათი ორგანიზაციული დარაზმვა. ისინი საკუთარ ბეჭდვითი ორგანოსაც („დინამიტი") უშვებენ. „დინამიტი"-ს გარშემო შემოკრებილი იყვენ: კ. ლორთქიფანიძე, ბენ. ბუაჩიძე, დ. რონდელი და სხვ.

პროლეტარული მწერლობის ახალი თაობა სულ სხვაგვარად უდგება ცხოვრების გაგებას. 1924-25 წლებში უკვე საკმარისი ალარ იყო გაზრდილი ახალი მკითხველებისათვის და არც თვით მწერლებისათვის სამოქალაქო ომის მოტივები, საომარი მარშები, განყენებული ლირიკა და სხვ. საჭირო შეიქნა კლასობრივი იდეების ახალ თემებში და ახალ მხატვრულ ფორმებში გადატანა. პროლეტარული მწერლობის პირველმა თაობამ სათანადოთ ვერ გაითვალისწინა ყოველივე ეს, ანგარიში ვერ გაუწია დროს მოთხოვნილებას. ამ ნიადაგზე პროლეტარულ მწერლობაში შეიქნა ერთგვარი კრიზისი, რომელიც არც ისე ხანგრძლივი და დაუძლეველი აღმოჩდა. ამ კრიზისიდან პროლეტარული მწერლობა გამოიყვანა კომკავშირულმა ახალგაზრდობამ, რომელმაც დაარსა პროლემაფი (პროლეტარული მწერლობის ახალი ფრონტი).

პროლემაფის მწერლები ახალი შემოქმედებითი მეთოდით გამოვიდენ. მათ პროლეტარული მწერლობა გადაიყვანეს უფრო საგნობრივ ლირიკაზე, ახალი აღმშენებლობის კონკრეტიულ თემებზე, ყოფა-ცხოვრების დეტალების ასახვაზე და უფრო მრავალ-ფეროვან ფორმალურ ხერხებზე.

პროლემაფმა თავის ალმანახის მოწინავე წერილში—დეკლარაციაში შემდეგი განაცხადა: „...დღემდე არსებულმა პროლეტარულმა მწერლებმა ვერ შესძლეს რევოლიუციონურ თანამიმდევრობის ალღოს შენარჩუნება, გამოუვალად მოექცენ მოპირდაპირე კლასების ფორმალურ სკოლათა უშუალო გავლენის ქვეშ, დაკარგეს ბრძოლის უნარი რევოლიუციის იდეოლოგიურ მონაპოვართა დასაცავად, რევოლიუციის პოეზია გაიგეს, როგორც ბუკის ტრაფარეტი, დიდ მანძილზე დაცდენ მშრომელი მასების მშვიდ საალმშენებლო ცხოვრების შინაარს. რაც მთავარია, მათ ვერ შესძლეს პროლეტარულ სახელმწიფოს ორბიტში მოქცეულ ადამიანის ასახვა. კოსმიურ საკითხებზე გაყინვით, რიტორიულ პლაკატით, ყალბი პათოსით და კაბინეტური ხედვით, პროლეტარული პოეზიის ღირებულება დასცეს. მათი სუსტი შემოქმედება და ორგანიზაციული ძარღვი მასის მოხმარების გარეშე დარჩა. თუმცა რევოლიუციის პირველ დღეებში მიუძღვით დამსახურება. ეს იყო საქმის დაწყება—პლაკატის დანიშნულება. პროლეტარული ინტელიგენციის მიერ ახალ ლიტერატურულ პოზიციების დაკავება გულისხმობს უმთავრესად თანამედროვეობასთან შემოქმედებითი მიმაგრებას. ბრძოლისა და შრომის იდეალიზაციის გარდა ყურადღების ცენტრშია მუშურ-გლეხური ყოფა-ცხოვრების და

ფსიქოლოგიური მომენტების მხატვრული ასახვა. პროლეტარული სახელმწიფოს აღმშენებლობით საფუძველზე, მხოლოდ ჩვენ გარდამავალ საგანზე ქემმარიტი და ძლიერი პროლეტარული ხელოვნება უნდა განვითარდეს. ის იქნება იდეოლოგიური ორგანიზატორი მასები.“ როგორც აქედან ვხედავთ, ამ დეკლარაციაში პროლემაფი ერთის მხრივ საკმაოდ მძაფრად მიუთითებდა იმ უარყოფით მოვლენებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პირველი თაობის პროლეტარულ მწერლებში და ამავე დროს ფართოდ სახავდა თავის სამოქმედო გზებს.

პროლემაფს საკუთარი ძლიერი პრესაც ჰქონდა ალმანახის და გაზეთის სახით.

პროლემაფში შედიოდა: კ. ფეოდოსიშვილი, კ. ლორთქიფანიძე, ე. პოლუმორდვინოვი, კ. კალაძე. შ. რადიანი, ბ. ბუაჩიძე, პ. ქიქოძე, დ. რონდელი და სხვ.

პროლემაფის გავლენა პროლეტარული მწერლობის საერთო განვითარებაზე მეტად დიდი იყო. თვით პირველი თაობის პროლეტარული მწერლობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა შემდეგში თანდათანობით პროლემაფის მიერ დასახული გზებით განაგრძო სვლა. უახლოესი თაობის განვითარებაც პროლემაფის მიერ გაკვალული გზით ხდება.

თავისი განვითარების მანძილზე პროლეტარულ მწერლობაში ადგილი ჰქონდა საგრძნობ მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრებს. პროლეტარულ მწერალთა ნაწილში, თუ ზოგიერთ პროლეტარულ მწეროლის შემოქმედების გარკვეულ პერიოდში ხდებოდა გენერალური ხაზისაგან გადახვევა. ასეთი გადახრები რამდენიმე წლის განმავლობაში ძლიერი სახისა იყო პროლეტარულ მწერლობაში. ამ მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრების სოციალური საფუძველი უნდა ვეძიოთ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის გავლენაში პროლეტარული მწერლების ზოგიერთ მერყევ ფენებზე.

მემარჯვენე-„მემარცხენე“ გადახრებს ატარებდა: კ. კალაძე („ძახილი აღმოსავლეთს“, „ტფილისი“, „რუბაიები“, „მუშების საუბარი“ და სხვ.), ა. მაშაშვილი („გადახრა მთვარისაკენ“, „ლოდინი“, „გემზე“, „ძველი მაზარა“, „სამიკიტნოში“, „დარიალი ავდარი მანდარინა დაიარა“, „ტალა“ და სხვ.), ი. ვაკელი („ლექსი მეგობრებისადმი“, „ბოლნისის გზაზე“, „შადრევანის პირად“, „ზაპესი“, „წერილი ძროხას“ და სხვ.), კ. ლორთქიფანიძე „შავი კაცი“, „ექვსი ლექსი“ და სხვა.), ე. პოლუმორდვინოვი „ლურჯი სუფრა“, „ვერცხლის ჭამარი“ და სხვ.) კ. ბობოხიძე („ბოტანიკურ ბაღში“) და სხვ.

ამ გადახრათა წინააღმდეგ მარქსისტულმა კრიტიკამ და პროლეტარულმა საზოგადოებრიეობამ შეუნელებელი და მტკიცე ბრძოლა აწარმოვა და დღესაც აწარმოებს. პროლეტარულ მწერალთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა შესძლო თავის დაღწევა ამ გადახრათაგან, ზოგიერთმა კი ვერ შესძლო (მაგ. ვაკელმა).

გავეცნოთ ეხლა პროლეტარული ლიტერატურის უფრო დამახასიათებელ წარმომადგენლებს, მათ შემოქმედებას.

ს. ეული პროლეტარული პოეტების პირველი თაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. იგი სამწერლო მუშაობას იწყებს ჯერ კიდევ ოქ-

ტომბრის რევოლიუციამდე. მაგრამ ეს იყო უფრო ცდები, გაუბედავი ნაბიჯები. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვებამ მისცა მას ფართო ასპარეზი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ს. ეულის შემოქმედების ძირითად მოტივს წარმოადგენს წარმოება, ქარხანა-ფაბრიკა და ინდუსტრია. განიცდიდა რა პირველ ხანებში „კუზნიცას" პოეტების დიდ გავლენას, ს. ეული აღნიშნულ წარმოებითი მოვლენებს განყენებულათ იძლეოდა; კონკრეტიული მოვლენები ნაკლებათ იგრძნობოდა მაშინ მის პოეზიაში.

ს. ეულის პოეზიას ყოველთვის ახასიათებდა რევოლიუციონური ენტუზიაზმი, აწეული განწყობილებები. სევდა, უიმედობა, დაცემულობა მის შემოქმედებაში ვერას დროს ვერ პოულობდა ადგილს.

ცნობილია, რომ პირველი თაობის პროლეტარულ მწერლებს შორის თავი ეჩინა ღრმა თემატიურმა კრიზისმა. ეს იყო უმთავრესად 1925-27 წლებში. ეს ბუნებრივი მოვლენა იყო. რევოლიუციის პირველმა გრიგალმა გადაიარა და სოციალისტურ აღმშენებლობის პერიოდში შეუთვისებელი აღმოჩდა ძველი კოსმიზმის და პლანეტარიზმის გაქანება.

ს. ეულსაც ჰქონდა კრიზისის პერიოდი, მაგრამ მან რამდენიმეთ თავი დააღწია მას და ალღო აუღო რევოლიუციის ახალ ეტაპს. აქედან ცდა—ჩვენი ცხოვრების უფრო კონკრეტიულ სახეებში მოცემისა. ამ მხრივ გამოირჩევა მისი „მამა-დელეგატი".

ს. ეულის პოეზიას დადებით თვისებებთან ერთად მრავალი ნაკლიც ახასიათებს. აღვნიშნავთ ზოგიერთ მათგანს: წინათაც და ეხლაც მის ლექსებისათვის ნიშნეულია პრიმიტიული მხატვრული გაფორმება და რიტორიკა. ლექსები ღარიბია მხატვრული სახეებით.

ს. ეულის პოეტური სიტყვა ერთ წერტილზეა გაყინული. არავითარი ახალი ვარიაციები, ახალი დამატებები და არავითარი მრავალფეროვანება არა აქვს მას. რამდენიმე ათეული ერთდაიმავე სიტყვებისა იხმარება ყველა მის ლექსში.

ასეთ მოვლენასაც შეხვდება მკითხველი ს. ეულის ლექსებში: იგი ცდილობს ესა თუ ის სიტყვა იხმაროს აზრის, წინადადების გამოსათქმელად, მაგრამ სიტყვა ამ როლს ვერ ასრულებს და აზრი გაუგებარი, დაუსრულებელი რჩება.

ნ. ზომლეთელის პოეზია შავი რეაქციის პერიოდიდან დაწყებული იყო რევოლუციონური ბრძოლისაკენ მოწოდება, იმედიანი ცქერა მომავლისაკენ.

ევდოშვილის სკოლის პოეტები—დემოკრატიული მწერლების უმრავლესობა ცხრაას ხუთის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მხოლოდ ცრემლებს აფრქვევდენ, მოსთქვამდენ მშრომელი ხალხის მძიმე ცხოვრების, ტანჯული მდგომარეობის შესახებ. ასეთი არ იყო ნ. ზომლეთელი. მან თავის გზას არ ულალატა. პირიქით, ის გრძნობდა, რომ სწორედ სასოწარკვეთილების და დამარცხების დროს იყო საჭირო მეტი გამბრძმედილობა, გამძლეობა და უდრეკობა.

ნ. ზომლეთელი რევოლუციონური აღფრთოვანების პოეტი იყო. მისი ლექსები მშრომელთა გამოფხიზლების და ბრძოლისაკენ მოწოდება იყო. ხშირად მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზიაში ენტუზიაზმი დიდ სიმაღლეს აღწევდა, ეს ენტუზიაზმი ... დროსაც შერჩა.

ზომლეთელის პოეზიის მთავარი მოტივი შრომა, ბრძოლა და რევოლუციაა.

როდესაც ყურადღებით ვეცნობით ზომლეთელის პოეზიის საგნობრივ, იდეურ და ემოციანოლურ მხარეს, ვხედავთ რომ ის კონკრეტიულად მომდინარეობს არა საწარმოვო პროლეტარიატის წრიდან, არამედ გლეხობიდან.

ზომლეთელის ლექსებში სჭარბობს სოფლის სურათები. აქ ის უფრო ძლიერია, ვინემ ქალაქის თემატიკაში. მისი ლექსები სოფელზე მხატვრულად შედარებით გამართული და კონკრეტიულია.

ქალაქის სურათების მოცემა უფრო ნაკლებათ ეხერხება ზომლეთელს. აქ ის ხშირად რიტორიკაში გადადის. იგი ხშირად ქალაქის ცხოვრების, ინდუსტრიის გამომხატველ სახეებსაც კი ვერ ნახულობს.

ამ მოვლენის უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ ზომლეთელი თავისი სოციალური წარმოშობით სოფელთან არის დაკავშირებული, რის გამოც სოფელს ის უფრო განიცდის და ორგანიულად ითვისებს.

ფორმის მხრივ ზომლეთელი მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების და განსაკუთრებით აკაკის გზას მიჰყვება.

ზომლეთელის პოეზიას საკმაო ნაკლოვანებანიც ახლავს: პოეტი ხშირად ერთფეროვანებაში გადადის, ერთი და იმავე მოტივის გადაღერებას უნდება, ლექსებს და პოემებს ერთფეროვანი ფორმალური ხერხებით იძლევა, ზოგჯერ არა ბუნებრივობამდე და პროზაილობამდეც დადის.

ნ. ზომლეთელმა ამ მოკლე ხანში რამდენიმე მოთხრობაც გამოაქვეყნა. მათგან მნიშვნელოვანია „უგულო ღამეები". რას შეეხება ეს მოთხრობა? 1905 წ. რევოლუციას და მის მომდევნო პერიოდს.

1905 წლის რევოლუცია და რეაქციის სისხლიანი ხანა ჩვენს ლიტერატურაში ჯერ კიდევ საკმაოდ მოცემული არაა. ეს მეტად მდიდარი ეპოქა დიდძალ მხატვრულ საღებავებს მოითხოვს, რომ მომავალმა თაობამ გაიცნოს ის იდეები და რევოლუციონური რომანტიკით ანთებული მებრძოლთა სახეები, რომლებიც ამ ხანაში თავგანწირვით მუშაობდენ.

„უგულო ღამეების" მოქმედების ადგილი სოფელია. ზომლეთელს მოთხრობაში გამოყვანილი ჰყავს მაშინდელი სოფლის ცხოვრების დამახასიათებელი ტიპები. აქ არის ღარიბი გლეხი რევოლუციონერი თედო ახალკაციშვილი, გაიძვერა ვაჭარი გაბრიელ მედუქნე, სოფლის მოხელე იორდანე მათრახაძე, მაწანწალა—უსაქმური და ბნელი პიროვნება ივლიანე ყოყოჩაძე და სხვ. ნ. ზომლეთელი ამ მოთხრობაში უსათუოდ ამჟღავნებს იმ საკითხის კარგათ ცოდნას, რის შესახებაც სწერს.

„უგულო ღამეები"-ს დასაწყისს თავებში ფართო ფონზე ვითარდება, კოლიზიებიც დიდ სიერცეზეა გაშლილი. საქართველოს ოქტომბრის პერიოდი, რის შესახებაც მოთხრობის უკანასკნელ თავებშია საუბარი შედარებით სქემატიურად და მკრთალად არის მოცემული.

ნ. ზომლეთელი თავისი შემოქმედებით მჭიდროთ არის დაკავშირებული რევოლიუციის წინადროინდელ დემოკრატიულ მწერლებთან. ეს განსაკუთრებით ნათლად მოსჩანს მის მიერ „უგულო ღამეებში“ მომქმედ პირთა გვარების შერჩევაში. როგორია ნ. ზომლეთელის მოთხრობის მომქმედ პირთა გვარები? ყოყოჩაძე, წვადაგაძე, ახალიწვილი, მათრახაძე და სხვ. ამნაირად „უგულო ღამეების“ მომქმედ პირთა გვარები თავისთავად ლაპარაკობენ იმის შესახებ, თუ რომელი საზოგადოებრივ ფენის წარმომადგენლები არიან ისინი. ასეთი შტამპი დღეს მეტის-მეტად გაცვეთილია. ის თანამედროვე მკითხველის თვალში ვერავითარ მხატვრულ ეფექტს ვერ შექმნის, გავიხსენოთ ამ მხრივ კლასიკოსი მწერლები. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ ნაწარმოების მომქმედ პირთა სახელისა და გვარის შერჩევას. მაგ. დიკენსი სკოლებისა და ბავშთა თავშესაფარის დავთრებში ეძებდა გვარებს, და მათზე ექსპერიმენტებს ახდენდა იმისთვის, რომ შესატყვისი და გაბართლებული გვარი მიეღო. მან თავის ცნობილი ნაწარმოების გმირის კოპერფილდის გვარი მხოლოდ ოთხი სხვადასხვა გვარის შეცვლის შემდეგ მიიღო. ასევე იქცეოდა ბალზაკი, გოგოლი და სხვ. პროლეტარული მწერალიც ამ გზით უნდა მიდიოდეს თავისი ნაწარმოების ყოველი დეტალის დამუშავების დროს.

ნ. ზომლეთელის პროზის სტილიც ვერ არის გამართული და მხატვრულად ძლიერი.

საერთოდ კი ნ. ზომლეთელის შემოქმედება საგრძნობი განძია პროლეტარული მწერლობის განვითარებაში.

ქალაქი, ქარხანა—ფაბრიკა—აი რა იყო ი. ვაკელის შემოქმედების უმთავრესი თემა. მისი ლექსების და პოემების სათაურების ჩამოთვლაც კი ნათელყოფს ზემოთ ნათქვამს: „ქარხნის ჰანგები“, „მთვრალი ქალაქი“, „მაღაროს პრელიუდიები“, „ჭაბუკი მუშა ქარხნის კედელში“, „თუჯის ლანგარი“, „ჩვენ მჭედლები ვართ“, „შუა დღე ქარხანაში“, „ქალაქის სიმძიმე“, „ზაჰესი“, „ლექსი აღმშენებლობაზე“, და სხვ.

ი. ვაკელისათვის ქალაქი შემოქმედებითი ძალაა, მისთვის ქალაქი „ქარიშხლის კომპასია“, „ბრძოლის ასპარეზია“, სიმბოლოა „უშრეტი გრაგანის“. ის ნათლად ხედავს, რომ ქალაქში არის „ზერმიც და წვალებაც“. მაგრამ პოეტი ერთმანეთისაგან განასხვავებს ძველ, ბურჟუაზიულ ქალაქს და ახალს, პროლეტარულ ქალაქს. ბურჟუაზიული ქალაქის დამახასიათებელია მუშათა კლასის ექსპლოატაცია, მისი ბნელ ჯურღმულებში და სარდაფებში მოთავსება. ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური ქალაქი პროლეტარიატისათვის სატუსაღოა. სულ სხვაა ახალი, პროლეტარული ქალაქი. აქ მუშათა კლასი უკვე თავისუფალია, ის ცხოვრების ხელმძღვანელია, მის ექსპლოატაციას აღარ აქვს ადგილი.

ი. ვაკელისათვის ქალაქი საერთო თემაა. ის აგრეთვე ქალაქის დამახასიათებელ კონკრეტიულ მოვლენებსაც ეხება. ასეთი კონკრეტიული მოვლენაა მაგ. ქარხანა, რომელიც მუშას ეხმარება, ხელს უწყობს, შეიცნოს თავისი კლასიური ამოცანები. ქარხანაში გამეფებული შრომის პროცესი მუშათა კლასში ანვითარებს სოლიდარობის გრძნობებს, ინტერნაციონალურ მისწრაფებებს და სხვ.

როდესაც პათეტიურ საზეიმო ლოზუნგებიდან საჭირო გაიმართა სოციალიზიურ და კონკრეტიულ სამუშაოზე გადასვლა, რომლის მიზანია რევოლუციის მონაპოვართა შემდგომი განმტკიცება და სოციალისტური აღმშენებლობა — ყოველივე ამან ზოგიერთ პროლეტარულ პოეტში გამოიწვია განწყობილებების დაცემა, პესიმისტურ განცდებში ჩავარდნა და სხვ. ვაკელიც ასეთი სულიერი განწყობილებების ქვეშ მოექცა. ის მოწყდა თანამედროვე ცხოვრებას, მისთვის გაუგებარი დარჩა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის თანამედროვე გზა...

ხშირია ასეთი შემთხვევები, როდესაც საზოგადოებრივი მოძრაობის სირთულეში გაურკვეველობა, ადამიანში იწვევს მელანქოლიას, რწმენის დაკარგვას დასახული საქმისადმი, გატაცებას წარსულით, ოცნებით და მოგონებით. ასეთ მდგომარეობაში იმყოფება ი. ვაკელი. მის შემოქმედების უკანასკნელ პერიოდს ახასიათებს ნაციონალიზმი, ეროტიკა, სოფლის იდეალიზაცია, უკმაყოფილება და პესიმიზმი. უკანასკნელ ხანებში ის ხშირად ლაპარაკობს „ოხერ-ტიალი გულის“, „ნძაფრავი სევდის“, „უბედური პოეტის“, „მკრთალი ცხოვრების“, „სევდიანი გულის“, „გულის იარის“, „დამწარების“ და სხვა ასეთების შესახებ.

ი. ვაკელი უმთავრესად ლირიკულ ლექსებს სწერს. მაგრამ თვით ვიწრო ხასიათის ლირიკულ ლექსებშიაც პროლეტარული პოეტი ვალდებულია კლასიურ თვალთახედვას ამჟღავნებდეს.

ასე არ არის ი. ვაკელი. იგი გადავარდნილია ელეგიურ ოცნებაში. იგი სწერს „ლექსს მეგობრებისადმი“ ამ ლექსში ამჟღავნებს მელანქოლიის და დაცემულობის განწყობილებას. „აღარ ვიცი წუთი ლხინისა, სულს მირევს სევდა და გულშიაც ტრიალებს დანა... იმღერე რამე. დამიმშვიდე გულის იარა, რომ ერთხელ მაინც დავივიწყო შავი დღეები, დაბადებიდან თან რომ მდევს და არ გაიარა“...

ასეთივე დაცემულ, უკიდურესათ მემარჯვენე განწყობილებას ამჟღავნებს ი. ვაკელი ლექსში: „ბოლნისის გზაზე“ „შადრევანის პირად“ და ნაწილობრივ „ზაჰესში“.

ი. ვაკელის უკანასკნელ ლექსებში ადგილი აქვს ნაციონალური წარსულის იდეალიზაციასაც.

დღეს გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის პერიოდში ვიმყოფებით. გაძლიერდა პროლეტარიატის სოციალისტური შეტევა. კლასიური მტერი სცდილობს პროლეტარიატის იერიშებს კონტრ-იერიშებით უპასუხოს. რუსეთშია წვრილი ბურჟუაზიაც. კლასობრივ ბრძოლის გამწვავების ნიადაგზე ხდება პროლეტარულ მწერლებს შორის იშვიათად მყოფ მერყევ, წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტებზე კლასიური მტრების მიერ გავლენის მოპოება. ასეთ მოვლენას აქვს ადგილი დღეს სწორედ ი. ვაკელის პოეზიაში. უკანასკნელ პერიოდის შემოქმედებით, ი. ვაკელი აღარ შეიძლება ჩაითვალოს პროლეტარულ პოეტათ. მის „ლექსები“-ს წიგნი (სახელგამი 1929 წ.) უმთავრესად მოცემულია წვრილ-ბურჟუაზიული განწყობილებები.

პროლეტარული მწერლობის რიგებში დიდი ხანია რაც მუშაობს ს. თოდრია. მისი მუშაობის სფერო უმთავრესად იუმორია. დემიან ბედნის მხატვრული ხერხებით ეხება იგი ჩვენი ცხოვრების მრავალ მოვლენას. უკანასკნელ

ხანებში ს. თოდრია უმთავრესად თემებს თავის შემოქმედებისათვის ტრადიციულ მასალიდან ღებულობს და მათ საფუძველზე ქმნის ბასრ და მეტად დამაჯერებელ ანტირელიგიურ მხატვრულ სახეებს.

პ. სამსონიძე პროლეტარულ პოეტების პირველ თაობას ეკუთვნის. როგორ ცნობილია, პროლეტარულ პოეტების ამ თაობისათვის რევოლიუცია და ქარხანა ძირითადი თემა იყო. მათ შემოქმედებაში ეს ორი თემა ფარავდა, მაშინ ყველა დანარჩენ თემებს. მაგრამ მათ ლექსებში არ იყო კონკრეტიული რევოლიუცია, კონკრეტიული ქარხანა: ლიტერატურული ტრადიციები, რომელიც შეითვისა პირველი თაობის ზოგიერთმა პროლეტმწერალმა სიმბოლისტური პოეზიისაგან, ხელს უწყობდა პროლეტარულ პოეზიაში აბსტრაქტიულ რომანტიზმს, რევოლიუციის და ქარხნის კოსმიურ-განყენებულ გაშუქებას.

მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციისაკენ მოწოდება, ძველი ქვეყნის დანგრევის სურვილები, რევოლიუციონური ნება, პროლეტარულ-კლასიური პათოსი—აი, პ. სამსონიძის პოეზიის ამ დროის განწყობილება.

დღეს პ. სამსონიძე თავის პოეზიაში უფრო კონკრეტიული, საჭირ-ბოროტო საკითხების შესახებ გვესაუბრება. დღეს ის საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ყოველდღიურობას აქცევს ყურადღებას, ვიდრე კოსმოსს, მზეს, მთვარეს და სხვ.

გარდა პოეზიისა, უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში პ. სამსონიძე პროზის დარგშიაც მუშაობს. მისი „პირველი ქარტეხილი“ მოთხრობაა, რომელიც 1905 წ. რევოლიუციას შეეხება. მოქმედების ადგილი დასავლეთ საქართველოს სოფელია. ავტორს ნაწარმოებში სოფლის და გლეხების ცოცხალი სურათები აქვს მოცემული. რევოლიუციონურად განწყობილი გლეხობა ქალაქიდან ჩამოსული მუშის ხელმძღვანელობით დაპირისპირებული არიან თვითმპყრობელობასთან და გაბატონებულ წოდებასთან.

პ. სამსონიძის უკანასკნელი პერიოდის პოეზიას ახასიათებს მხატვრული სისუსტე და დაუმუშავებლობა. პოეტი ზერელეთ და ხშირად ყალბ განწყობილებათა საფუძველზე აშენებს ლექსებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა „ახალ სიტყვა“-ში, რომელშიაც მრავალ მხატვრულ და იდეოლოგიური ხასიათის ჩავარდნას შეხვდება მკითხველი. აღნიშნული კრებულით სამსონიძე მეტის მეტად რჩება უკან რეკონსტრუქციის პერიოდს.

ალიო მაშაშვილი უდიდესი სისრულით და გარკვეულობით გვიხატავს თანამედროვე ცხოვრებას, ჩვენს ბრძოლას და აღმშენებლობას. მისი შემოქმედების ძირითადი თემაა: „ლენინი“, „ოქტომბერი“, „კომკავშირის მარში“, „25 თებერვალი“, „ლენინელების სიმღერა“, „მშრომელი დედა“, „პროლეტარი ქალი“, „გარდატეხა“, „დამკვრელი ბრიგადები“ და სხვ.

თავისი პოეტური მოღვაწეობის პირველ პერიოდში ალიო მაშაშვილის შემოქმედებას რევოლიუციონური „რომანტიზმი“ ახასიათებდა. მაგრამ „რომანტიზმი“ მაშინ ახასიათებდა არა მარტო მას, არამედ მთელ პროლეტარულ პოეზიას. ამის სათავეები უნდა ვეძიოთ არა პოეტის ინდივიდუალობაში, არამედ მაშინდელ საზოგადოებრივ პირობებში. ა. მაშაშვილი, როგორც თავისი კლასის შვილი, ამ უკანასკნელთან ერთად მიდიოდა ბრძოლაში სოციალისტური ქვეყნისთვის.

იმისდამიხედვით, რამდენადაც ცხოვრება ჩამოყალიბებულ სახეებს, მაშაშვილის ლექსებშიც ჩნდება უკვე ახალი განწყობილებანი, სხვა მოტივები. 1924 წლიდან მის ნაწერებში უკვე მოსჩანს კონკრეტიულობა და ყოველდღიური ცხოვრების მგრძნობელობა.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით უდიდესი საზოგადოებრივი გარდატეხის, ახალი ეპოქის საზღვარზე. ჩვენ ვცელით ძირიან ფესვიანად იმ წარმოების ურთიერთობას, რომელიც ბრავალი საუკუნოების განმავლობაში არსებობდა ადამიანთა შორის. ა. მაშაშვილი ყველა თანამედროვე პოეტზე უფრო გაბედულად სახავს თავის შემოქმედებაში იმ გარდატეხას, მისწრაფებას ძველი ყოფიდან ახლისაკენ, ძველი კულტურიდან ახალი კულტურისაკენ, რომელსაც დღეს აქვს ადგილი ჩვენს ცხოვრებაში.

უკანასკნელ ხანებში ა. მაშაშვილმა რამდენიმე საყურადღებო მხატვრული ფაქტი გამოაქვეყნა. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია „მე და ბარათაშვილი", „ინციდენტი უჯრედის კრებაზე", „აი, ადამიანი" და „დამკვრელი ბრიგადები".

პოემა „მე და ბარათაშვილი"-ს მხატვრული და იდეური კონცეპცია ძირითადში უპირისპირდება წარსულს. აქ იბრძვის ორი ქვეყანა: ძველი და ახალი. პოემის ამოსავალი წერტილი წარსული და თანამედროვე საქართველოს ჭიდილია. ერთმანეთს უპირისპირდება ინდუსტრია და პირველყოფილობა, მერანი და ელექტრონი და სხვ.

„დამკვრელი ბრიგადები" რეკონსტრუქციის პერიოდის განწყობილებებს გამოხატავს. ამ თემაზე ბრავალი ლექსი დაიწერა ჩვენში, მაგრამ მათგანი თითქმის ვერც ერთი ვერ შეედრება ვერც პათოსით და ვერც მხატვრული შესრულებით ა. მაშაშვილის „დამკვრელ ბრიგადებს". ამ ლექსში ჩვენი ცხოვრების რიტმი და იდეური მოძრაობა მეტად კარგათ არის გადმოცემული:

თქვენ დამკვრელი ხართ,
დახვეულ ამღერებთ,
ტემპიც მატულობს ყოველ-დღიურად,
დასცხეთ, დაჭარით მარცვებს, გარღვევებს,
დასცხეთ, დაჭარით კოლექტიურად!
ჰა, გრაგანებენ ყველავ მანქანები,
ჩარხზე დგებიან, გრიგალდებიან,
ტემპს რომ ხვდებიან მძლავრ-გაქანებით
კომკავშირული ბრიგადებია!
თითქოს მანქანაც
დახვეულ დახარის,
ჩარხზე დამდგარი
ბორგავს გმირულად:
დასცხეთ, დაჭარით,
დასცხეთ, დაჭარით
კომკავშირულად!
აზვირთებულა ტალღა შეჯიბრის,
ტემპის გარეშე არ დგას არც ერთი,
დეე, ხუთწლედის გამარჯვებისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიყოთ დამკვრელი და გადამწყვეტი!
მაშ, როგორ გინდათ,
როგორ გავასწროთ
კაპიტალიზმის
ტემპს და ევროპას?
დასცხეთ, დაჰკარით,
როგორც არას დროს
რყევას, გარღვევას,
დაუდეერობას!

აღსანიშნავია, რომ ა. მაშაშვილი არ წარმოადგენს მთლიანი მხატვრული მსოფლმხედველობის პოეტს და ამიტომ აქვს მას მემარჯვენე-„მემარცხენე" გადახრები. ეს გადახრები განსაკუთრებით საგრძნობი იყო 1925-29 წლებში.

ა. მაშაშვილმა ვერ გაითვალისწინა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის პროლეტარული რევოლიუციის საფეხური. მან ვერ გაიგო რომ გამოიცვალა ბრძოლის ფორმა, შინაარსი ბრძოლისა კი კვლავ დარჩა. იპოვნა თავისი ადგილი კლასიურ ბრძოლის ამ ეტაპზე.

„ძველ მაზარაში" ა. მაშაშვილი გარკვეულათ ოპოზიციონურ განწყობილებებს იძლეოდა. ჯარისკაცს ძველ ბრძოლებში ნაწროთობი მაზარა გამოაქვს ბაზარში გასაყიდათ, მაგრამ ბაზარს სულ სხვა რამ აინტერესებს („ვერცხლის ჩხარუნი"). ჯარის-კაცი სასოწარკვეთილებით იმსჭვალება. ის მტრულად შესცქერის ნეპს. იგი იგონებს ძველ ბრძოლებს, რაც მასში სიყვარულს იწვევს. ნეპი ჯარისკაცისათვის (და უნდა ვიგულისხმოთ თვით პოეტისათვისაც) მიუღებელია:

ვბრუნდები სახლში და უბრალო ჯარისკაცივით,
ველი მაზარა კვლავ კედელზე აეტუნება!
რა უყოთ ზოგჯერ ქარიშხალნი თუ ჩადგებიან,
მძიმე ყინვის დროს ზოგჯერ ცეცხლიც გაიყინება:
დარეკავს ყამი—ბრძოლის ხმები აფეთქებიან
და ეს მახარაც სისხლის ფასად გაიყიდება!

ახალი ეკონომიური პოლიტიკა სრულიად არ წარმოადგენს კლასთა ბრძოლის შენელებას, პროლეტარული რევოლიუციის ტემპის შენელებას. კლასთა ბრძოლა ამ დროს კიდევ უფრო გამძაფრებული სახით მიმდინარეობს. შეიცვალა მხოლოდ ამ ბრძოლის ფორმა, შინაარსი კი ისევ დარჩა. ა. მაშაშვილი ყველაფერ ამას სათანადოთ ვერ ითვალისწინებს „ძველ მაზარაში". სწორედ ნეპის პირობებში ესაჭიროება ყოველ მებრძოლს კლასიური ალღოს გამახვილება. მაშაშვილს ამ ლექსში კლასიური ალღო და მგრძნობელობა თითქოს შენელებული აქვს.

საერთოდ, მაშაშვილში ასეთი დამოკიდებულება ახალი ეკონომიური პოლიტიკისადმი შესაძლებელია გამომუშავებულიყო მხოლოდ წვრილ-ბურჟუაზიულ სტიქიის გავლენის საფუძველზე.

ა. მაშაშვილს ჰქონდა სხვა ხასიათის გადახრებიც.

უკანასკნელ ხანებში მაშაშვილმა თავისი მუშაობა მისთვის უჩვეულო სფეროშიაც გადაიტანა. მან დასწერა პიესა „განგაში" თანამედროვე სოფლის ყოფის ფონზე.

კონსტანტინე ლორთქიფანიძის შემოქმედების ძირითადი ხაზი პოეზიაში ლირიკის გზით მიიმართება. როგორც ცნობილია, ლირიკა ისეთი რთული ჟანრია მხატვრული შემოქმედებისა, რომ პროლეტარული პოეტის მიერ განსაზღვრული პირობების შესრულებას ითხოვს. თუ ბურჟუაზიული ლირიკოსის შემოქმედება ვიწრო ავადმყოფური ინდივიდუალიზმის რკალში ვითარდებოდა და არა აქტიური ემოციების მატარებელი იყო, წინააღმდეგ ამისა, პროლეტარული ლირიკა თავისი ძირითადი ხასიათით განსაზოგადოებულ სახეს ატარებს და რევოლიუციონურ ადამიანის ჯანსაღსა და აქტიურ ემოციებს ამეღავნებს.

კ. ლორთქიფანიძისათვის საერთოდ დამახასიათებელია ბრძოლის განწყობილება, რევოლიუციონური ტონი. ის თითქმის ამ მიმართულებით ანვითარებს ყველა თავის ლექს (რასაკვირველია, გამონაკლისიც არის).

კ. ლორთქიფანიძე სოციალისტური საზოგადოების აღმშენებლობის თვალსაზრისით უყურებს ყოველ მოვლენას, ყოველ ფაქტს. პირველი პირობა ამ დიდი მიზნის შესრულებისათვის არის ის, რომ შეიყვარო ცხოვრება, არ გაექცე მას: მებრძოლი ადამიანი სრულიად არ უნდა შეაკრთოს ზოგიერთმა სიძნელემ, დაბრკოლებამ, რომელიც მას შეხვდება წინსვლის გზაზე, ის არ უნდა გადაეშვას ცხოვრების უარყოფის თეორიაში. კ. ლორთქიფანიძესაც, როგორც მებრძოლი კლასის წევრს, თავის კლასთან ერთად შეხვედრია ბრძოლაში, და ცხოვრებაში მრავალი დაბრკოლება, მაგრამ მას ქედი არ მოუხრია მათ წინაშე. „სიცოცხლის გარდა, როგორც ჩანს არ არის კანონი სხვა რამ“ — ამბობს პოეტი ერთ-ერთ ლექში („მონადირის თქმული“).

სიცოცხლის ტრფობა და ამ გზით ბრძოლა აბალი საზოგადოებრივი ურთიერთობისათვის—აი რაც უსათოდ ახასიათებს საერთოდ კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებას.

ნაციონალური საკითხი ქართული ლიტერატურისათვის ყოველთვის დიდი და მტკივნეული საკითხი იყო. პროლეტარული პოეტიც არ სტოვებს ამ საკითხს უყურადღებოთ, მაგრამ ის სულ სხვა გვარად უდგება ამ საკითხს. კ. ლორთქიფანიძის შეხედულებები ამ საკითხში ძირითადათ განსხვავდება მე-19 საუკუნის ჩვენი ნაციონალისტ-მწერლების (ა. ჭავჭავაძე, ვახ. ორბელიანი, გრ. ორბელიანი, ი. ჭავჭავაძე და სხვ.) შეხედულებათაგან. ის წინაპრების იდეალიზაციას კი არ ახდენს, არამედ გარკვეულად პროლეტარულ-კლასიურად უდგება და შემდეგნაირად მიმართავს: „არ არის სივრცე, რომელმაც ჩვენ შეგვაერთოს, არ არის სიტყვა ერთნაირად რომ მოხვდეს გულზე“. კლასიურად მამად-ხანი და ერეკლე ლორთქიფანიძისათვის ერთ სიბრტყეში იმყოფებიან. აქიტომ ამბობს პოეტი „ჩემთვის ერთია ერეკლე და მამად-ხანი“ („წინაპრებს“).

კ. ლორთქიფანიძე ინტერნაციონალური შეხედულებებით გამოდის სამშობლოს და წინაპრების შეფასების დროს. იგი სწერს:

> არ მეშინია უცხოეთშიც ბედის მოღენვის,
> ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლო მიწის სიშორე,
> სადამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის
> მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიმოვი.

ამრიგად კ. ლორთქიფანიძის შემოქმედებას ახასიათებს ფანსაკუთრებულ-ტარულ-კლასიური ხედვა, მაგრამ ეს მთლიანად მთელ მის შემოქმედებაზე არ ვრცელდება. მის ლექსებში არის მემარჯვენე ხასიათის გადახრებიც.

კ. ლორთქიფანიძე პროზის სფეროშიაც მუშაობს. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ის ერთი დიდი პრობლემის გარკვევას:—პირადულ ის და საზოგადოებრივის დამოკიდებულების საკითხს. შეიძლება ითქვას, რომ კ. ლორთქიფანიძის ყველა ნაწარმოებები, რომელიც მას ზროზის სფეროში აქვს სწორედ ამ პრობლემის გარშემო ტრიალებს, ამ თემის ირგვლივ იშლება: „ხავსი“, „პირველი დედა“, „ფოტოგრაფი“ და სხვ.

უკანასკნელ ხანებში კ. ლორთქიფანიძის „პირველმა დედამ“ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. მასში ავტორმა კომკავშირის ცხოვრების ერთი მეტად მტკივნეული საკითხი გააშუქა. რას შეეხება ეს ნაწარმოები? მოთხრობის მთავარ გმირს წარმოადგენს გაიანე. ის ღარიბი გლეხის შვილია. გაიანე 14 წლის იყო, როდესაც გაგზავნეს ქალაქში მოსამსახურეთ. აქ მას მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, 18 წლის გაიანე შედის კომკავშირში, აქედან იწყება მისთვის ახალი ცხოვრება, ის მთლიანად ებმება კომკავშირულ-საზოგადოებრივ მუშაობაში და ამიტომ სრულიად ივიწყებს ოჯახს—ოჯახურ ურთიერთობას: „ხარბად ჩაება გაიანე კომკავშირის მუშაობაში, საზოგადოებრივ არეს გაუართოება თანდათან უნვითარებდა სასტიკ სიძულვილს ისეთ მოვლენათა მიმართ, რომელთაც შეეძლოთ მისი საქმიანობის შენელება შეეიწროება. ერთ-ერთ ასეთ მოვლენად მიაჩნდა ქმარი, ოჯახი და როგორც შველი მონადირეს, ისე ისიც უფრთხოდა მამაკაცებთან დიდი ხნით კავშირს“.

გაიანე მცირე ხნით ხან ერთ კომკავშირელთან ცხოვრობს, ხან მეორესთან და ა. შ. ყველანი გაიანეს შევიწროებას სცდილობენ, მოითხოვენ ჩამოშორდეს ის საზოგადოებრივ საქმიანობას.

როგორც ვხედავთ „პირველი დედა“ თითქმის მთლიანად უარყოფითი მოვლენების ჩვენების გზით ვითარდება.

გაიანეს ცხოვრება და მუშაობა რთულ წინააღმდეგობათა გზით მიმდინარეობს, საზოგადოებრივი მუშაობა და ოჯახური ვალდებულებანი მაში ერთმანეთს ეჯახებიან.

შრავალი საუკუნეების განმავლობაში ოჯახში ქალი წარმოადგენდა „კერძო საკუთრებას“, ოჯახმა ცოლი ქმრის მონად გადააქცია, მხოლოდ ოქტომბრის დიდმა რევოლიუციამ დალეწა ქალის მონობის ბორკილები, ქალიც გამოიყვანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ოჯახის შინაგანი გადახალისების, მისი ახალი საწყისებზე გადაყვანის საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელია. გაიანეს ცხოვრება ამის შესახებ გარკვეულად ლაპარაკობს.

გაიანემ კარგად იცის, რომ ძველი ოჯახი საკანი იყო, რომელშიაც გამომწყვდეული იყო ქალი. ამ მოვლენის ნაშთი ეხლაც არის დარჩენილი.. „ყველამ ვინც კი ისურვა ჩემი ქმრობა, პირველ ყოვლისა საზღვრები დამიდვა და ტყვეობაში განმაცდევნია თავი“-ო—ამბობს გაიანე.

გაიანე გარკვეულად და თავდავიწყებით ებრძვის ოჯახური ურთიერთობის ამ მახინჯ ტრადიციებს. მაგრამ სამწუხაროდ ის აქ მეორე უკიდურესობაში ვარდება: ოჯახს ის სრულიად ივიწყებს, გამორჩა თავისი პირადობა.

თუ ერთი მხრივ სრულიად მართალია გაიანე, როდესაც ლაპარაკობს: „მე მიყვარს საზოგადოებრივი მუშაობა, მე მიტაცებს ის და კიდევაც შეეალეე ძალ-ლონეს, ვინ წამართმევს ამის უფლებას“. მეორეს მხრივ არა ნაკლებ მართალია თოთიაური, როდესაც მიმართავს გაიანეს. „კომკავშირელ ქალში დედა არ უნდა ჩაჰკლას პარტიულობამ. აბორტებით მუცელ გამოგლეჯილი ქალი არ ნიშნავს კარგ კომკავშირელს“.

გაიანე თავგანწირულათ გაიძახის იმის შესახებ, რომ უნდა ვებრძოლოთ ძველი ოჯახური ურთიერთობის ფორმებს („შევებრძოლები და წავართმევ ქმარს ძველ ადათებს, რომლებიც როგორც მტვერი მიტოვებულ თაროზე, ისე სქლად დასდებია და დაუფარავს. უჯრედში დაუსვამ საკითხს, ავალაპარაკებ ამხანაგებს, მოვიხმარ თოთიაურს, ისინი უნდა ჩაერიონ, უნდა გაგვათელიონ გზა, რომ შემდეგმა თაობამ უმტკივნეულოდ შემოადგას ფეხი“), მაგრამ არ გვისახავს იმ გზებს, თუ როგორ შეიძლება ახალი ყოფა-ცხოვრების პირობებში ჯანსაღი ოჯახური დამოკიდებულებების შეთანხმება ჰარმონიულათ საზოგადოებრივ მუშაობასთან. სწორედ ამ ორი მომენტის ერთად გაუთვალისწინებლობის შედეგია უკიდურესი წინააღმდეგობანი, რომელშიაც ის ხშირად ვარდება.

ერთი დიდი ნაკლი, რომელიც ახასიათებს „პირველ დედა“-ს, ეს ის არის, რომ ლორთქიფანიძე მოვლენებს არ იძლევა პერსპექტივაში. ეს კი დღეს აუცილებელია ყოველი ნაწარმოებისათვის.

„ახალი გლეხები“ წარმოადგენს ნარკვევს. მასში მოცემულია ერთ-ერთი კოლმეურნეობის სახე. ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით კ. ლორთქიფანიძე „ახალ გლეხებში“ სოფლად სოციალისტური სექტორის ზრდისა და წარმატების უკვდავ სურათს იძლევა.

კ. კ ა ლ ა ძ ი ს მხატვრული შემოქმედების პირველი პერიოდი—ეს კომკავშირული და რევოლიუციონური თემატიკის ხანაა. ამ პერიოდში ის გვევლინებოდა, როგორც ბრძოლისა და რევოლიუციონური ცეცხლის დამნთები პოეტი. ამ პირველ პერიოდში ის გამსჭვალული იყო სრული პროლეტარულ-კლასიური ხედვით.

მეორე პერიოდში კ. კალაძეში მოხდა მეტად ღრმა მობრუნება, უკეთ რომ ვთქვათ გადახრა.

კ. კალაძის ჩავარდნები, ან როგორც თვითონ ამბობს „წამოჩოქება“, უმთავრესად მიემართებოდა: 1) რევოლიუციონური ტონის შესუსტების და დაღლილობის და 2) ნაციონალიზმისაკენ გადახრის გზით.

პირველი ხასიათის განწყობილებას პოეტი ამჟავნებდა ლექსში „ტფილისი“.

კ. კალაძის „ტფილისი“ შეიქნა პროლეტარულ პოეზიაში გადახრების პაროლი. მაგრამ კ. კალაძე გადახრის მარტო ამ ერთი ფაქტით არ დაკმაყოფილდა, მან ის სხვა ლექსებში კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა. ზოგიერთი რამ, რაც მან გაბედულად ვერ თქვა „ტფილის“-ში, შემდეგი დროის პოეტურ

ფაქტებში პირველ პლანზე დააყენა, შემდეგ ის პირწმინდად მიბრუნდა ნაციონალიზმისაკენ, გადაეშვა ნაციონალიზმის ჭაობში. ამ ნაციონალისტური ცდების აპოგეია მან მოგვცა საკმაოდ მოზრდილ ლექსში „ძახილი აღმოსავლეთს". ამ ლექსში იგი სცდილობს გაესაუბროს ფერეიდანის ქართველებს. მაგრამ ყალაძის ამ საუბარს მეტად ცალმხრივი და ანტიპროლეტარული შინაარსი აქვს. პოეტი ფერეიდანის ქართველებს გასძახის არა როგორც რევოლიუციონერი ბოლშევიკი, არამედ როგორც პატრიოტი და ნაციონალისტი.

ისეთი გამოთქმები და იდეები, საკითხის ისეთი დასმა და გადაჭრა, რომელსაც კ. კალაძე იძლევა „ძახილი აღმოსავლეთს"-ში, სრულიადაც არ არის ჩვენი, პროლეტარულ-კლასიური თვალსაზრისი. ამ ლექსში კალაძეს უკვე დაკარგული აქვს გრძნობის, რევოლიუციონური ტაქტის საზღვარი. აქ წვრილ-ბურჟუაზიული განწყობილებები იყო გადმოცემული. მემარჯვენეობა აქ უსრულეს ფორმაში იყო მოცემული.

ეხლა-ხან კალაძემ გამოაქვეყნა „ლექსების წიგნი".

რა განწყობილებებს ამჟღავნებს ის ამ წიგნში? რას შეეხება მისი თემატიკა?

კ. კალაძე დღეს გარკვეულად გრძნობს ჩვენი ქვეყნის განახლებას და აღდგენას, საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიალიზაციას, ახალი საბჭოთა სოფლის მშენებლობას, კულტურნეობათა განვითარებას, მშრომელ ხალხში ინტერნაციონალიზმის გაძლიერებას და სხვ.

ამ წიგნში მოთავსებულ ლექსებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა, როგორც შინაარსის მხრივ, ისე ფორმალურად „მებრძოლის ლექსი", „ამხანაგი ლენინი", „სოფლად", „მხედრული" და სხვ.

ლექსი „სოფლად" წარმოადგენს სურათს საბჭოთა ახალი სოფლისას, რომელიც კოლექტიურ საფუძველზე შენდება. სოფელზე გამოვლილი პოეტი, სადაც ის ხედავს „ოქროს-ნაირ ყანებს" სადაც „ყველა სახლკარი ეს არი ეხლა ანაგებია"—გრძნობს ახალ ცხოვრებას. სოფლელი ამხანაგები (ღარიბი გლეხები) მას ესაუბრებიან კოლექტიურ გაერთიანების აუცილებლობაზე:

...და დავანგრიეთ
ძველის ძველი ყველა ქოხები...
და ავაშენეთ
სამაგალითოდ ახალი—რომლის
შესახედავათ ეხლა მოხვედით...
ასე შევერთდით ამხანაგებო
ჩვიდმეტი კომლი... აი ერთი აქვს სოფელს შრომა,
ერთია მიწა...
და ეს ცხოვრება
გლეხებს მჭიდრო კავშირმა მისცა...

ასეთია ის ძირითადი განწყობილებები, რომელსაც კ. კალაძე ამჟღავნებს ხსენებულ წიგნში. მაგრამ... „კაზიონური" სიმშვიდე იქნებოდა რომ ამავე დროს „ლექსების წიგნში" არ დაგვენახა ზოგიერთი ოპოზიციონური, არა პროლეტარული განწყობილებები. ასეთ განწყობილებებს უსათუოდ აქვს ადგილი „ლექსების წიგნში" (იხ. „მსჯელობა მომავალ საქმეების გამო", „მუშების საუბარი" და

სხვ.). რის შესახებ ლაპარაკობს ეს მოვლენა? — იმის შესახებ რომ ... ...

ბიბლიოთეკა

რებულია „რომანტიული“ ამბავი. ამგვარად „ორ მზეში“ არსებული ძირითადი პრობლემაა—აღმშენებლობის და ოჯახის.

„რკინის ძმები“ ე. პოლუმორდინოვის უკანასკნელი ნაწარმოებია. მასში ავტორი ლეჩხუმის ბოლშევიკური აჯანყების შესახებ გვესაუბრება. თემა უსათუოდ აქტუალური და საინტერესოა. მაგრამ ნაწარმოებს აქვს რამოდენიმე მნიშვნელოვანი ნაკლი: უპირველეს ყოვლისა, „რკინის ძმები“-ს შინაარს აკლია სოციალ-ეკონომიური ხასიათის მოტივიროვკა. მასში არ სჩანს გარკვევით და დასაბუთებით თუ რისთვის იბრძვის მშრომელი ხალხი, რა სურს მას და სხვ. საქმეს ვერ შველის ზოგიერთი ლოზუნგი.

მასალებიც, რომელიც საფუძვლად უდევს „რკინის ძმებს“ არ არის ე. პოლუმორდინოვის მიერ საფუძვლიანად შესწავლილი. ამიტომ ნაწარმოებს აკლია სპეციფიურობა, დეტალიზაცია და სხვ.

გარდა თანადროული მოთხრობებისა ე. პოლუმორდინოვი ავტორია რამდენიმე ისეთი მხატვრული ფაქტის, რომელშიც ის თითქოს წარსული ცხოვრების იდეალიზაციას იძლევა, ასეთი მოთხრობებია „ვერცხლის ქამარი“ და „ლურჯი სუფრა“. მათში მოცემულია ძველი ტფილისის ყარაჩოღელთა სურათები.

„ლურჯი სუფრა“ ასახვაა ძველი ტფილისის მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრების: აქ არის, სიყვარულის ამბავი, ქეიფი და ღვინის სმა ყანწებით, ზურნა, ცეკვა, ყოჩების ჭიდაობა და სხვ.

ასეთივე განწყობილებებისა და შინარსისაა „ვერცხლის ქამარი“. აქაც ყარაჩოღელები და მათი დარდიმანდული ცხოვრებაა გამლილი.

ეს ორი მოთხრობა ე. პოლუმორდინოვს, როგორც პროლეტარულ მწერალს თითქმის არაფერს მატებს, ისინი შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ფორმალური სრულყოფისათვის მუშაობის ნიმუშებად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „ვერცხლის ქამარი“ და „ლურჯი სუფრა“ პოლუმორდინოვმა დიდი ხნის წინად დასწერა. მათი დაწერის შემდეგ მან მოგვცა „შაშმილარ“, „ორი მზე“, „წარმოდგენა“, „ხანძარი“ „რკინის ძმები“ და სხვა ნაწარმოებნი, რომლებიც იდეოლოგიურად და ფორმალურად გამართლებული არიან.

ხშირად ე. პოლუმორდვინოვის მხატვრულ ფაქტებში გმირების მოქმედებას და მსჯელობას აკლია დასაბუთება. ამიტომ მის მიერ მოცემულ გმირებს ვითვისებთ არა როგორც დასრულებულ ტიპებს, არაფედ როგორც ტიპების სქემებს.

აღსანიშნავია პოლუმორდინოვის პროზაში ეგზოტიკის ძლიერი ნაკადი. გავიხსენოთ მისი „ვერცხლის ქამარი“ „ლურჯი სუფრა“ და სხვ. რას იძლევა პოლუმორდვინოვი ამ ორ მოთხრობაში? წარსული ცხოვრების ნარჩენებს, წარსული ყოფის უკანასკნელ წარმომადგენლებს—ყარაჩოღელებს. რასაკვირველია, ცუდი არ არის რომ პროლეტარული მწერალი წარსული ცხოვრების შესახებ სწერს, მაგრამ თვალსაზრისი, რომლითაც ის უდგება წარსულს, უსათუოდ ბოლშევიკურ-მატერიალისტური უნდა იყოს. ამას კი პოლუმორდვინოვის აღნიშნულ მოთხრობაში ვერ ვხედავთ.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ პოლუმორდვინოვი თანამედროვე ნაციონალური თემის გაშუქებასაც ზოგჯერ ეგზოტიურად იძლევა. ასეთია „ბაბშილარ“.

ხშირად პოლუმორდვინოვს თავის მოთხრობებში ყოველად გაუმართლებელი და ზედმეტ ხარისხის ეროტიკა შეაქვს, მაშინ როდესაც ამას არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვს.

ფრ. ნაროუშვილის შემოქმედების თემა თითქმის ყოველთვის აქტუალური და საჭირბოროტოა, ის არ ეტანება „ისტორიას“, შორეულ წარსულს. მის ლექსებსა და პოემებში მკითხველი ყოველთვის გრძნობს საბჭოთა ქვეყნის ცხოვრებას, მის ყოველდღიურ სახეს.

ფრ. ნაროუშვილის ჰოეზიაში მოცემულია სოფელი თავისი წინააღმდეგობით, კომკავშირი, ორ მისამართიანი ადამიანები, ახალი ცხოვრების მშენებელი და სხვ.

თავისი მუშაობის უკანასკნელ პერიოდში ფრ. ნაროუშვილი უმთავრეს ყურადღებას აქცევს იმას, რომ დაგვიხატოს საბჭოთა სოფლის ყოფაცხოვრება. განსაკუთრებით აღსანიშნავია რომ ფრ. ნაროუშვილი სოფლის შესახებ ლაპარაკობს არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად. მისი ლექსების მთელ სერიაში („ყოფაცხოვრება საბჭოთა სოფელში“) მოცემულია ის კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს საბჭოთა სოფელში, სურათები იმ კოლექტიური შეურნეობის, რომელიც ფართოდ იმარჯვებს საბჭოთა სოფელში და სხვ.

ნაროუშვილის უკანასკნელი დროის ნაწარმოებიდან აღსანიშნავია „ორი მისამართი“. პოემაში ნაჩვენებია მუშური ყოფის ატმოსფერა. შემდეგ კი მოცემულია სოფელი.

პოემის უმთავრესი გმირი არის გიორგი დარაშელიძე: „უბანი იცნობს დიდი ხანია მუშა გიორგი დარაშელიძეს“. ავტორი ირკვევს ამ მუშის ბიოგრაფიას, რომლის დასრულებული ფიგურა ჩვენს წინაშე პოემის დაბოლოვებისას გამოჩნდება. გიორგი დარაშელიძე ცხრამეტი წელია, რაც ქარხანაში მუშაობს. იგი წინეთ ულარიბესი გლეხის ოჯახის შვილი იყო. მის ოჯახს თორმეტი წევრი ჰყავდა, რაც ოჯახს აუტანელ პირობებში აგდებდა, ოჯახის წევრები თან და თან მცირდებოდენ სიკვდილისა თუ ქალების გათხოვების გამო. ვაჟები კი მშობლებმა დაანაწილეს: „ერთი სახლშივე მამას შველიდა, მე მიმაბარა მჭედელს შეგირდათ, მესამე ხაზეინს, მეოთხე დურგალს, მეხუთე პორტში მუშად შევიდა“.

გავიდა წლები, ეს ახალგაზრდები წამოიზარდენ და ხელი შეუწყვეს ოჯახის ფეხზე წამოყენებას. მაგრამ შემდეგ ძმები იყოფიან, რაც ასუსტებს მათ შეძლებას. ისევ გაჭირვებული ცხოვრება, ისევ აუტანელი პირობები. გიორგი დარაშელიძე სტოვებს სოფელს და მიეშურება ქალაქში ინდუსტრიის სამყარიში.

პოემის განვითარების მანძილზე თანდათან მეღავნდება დარაშელიძის რეალური სახე, მისწრაფება და ხასიათი, იგი მოსჩანს როგორც ორი ეპოქის, ორ ქვეყნის, „ორი მისამართის“ მიჯნაზე მდგომი ადამიანი:

ჩემი სამშობლო სახელ ქებული,
არის სადგურის ახლოა მდებარე,
მის უკეთესი არსად მეგულვის,
ან უკეთესი რა მყვარებია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სოფლის ცა არის ჩემი ცა
და ვარსკვლავებიც
ჩემი ვარსკვლავებია...
მე არ მცალია
ქალაქში ვარ და
საჭირო იქნა მოვდამაგირე...

ასე წარმოსდგება პოემის მიხედვით ჩვენს წინაშე გიორგი დარაშელიძე. იგი გაორებული პიროვნებაა, მასში მოთავსებულია მოწინავე მუშის და ბობოლას ფსიქოლოგია.

პოემის მეორე გმირი—გრიგორიევი, ენერგიულ, მებრძოლ ბოლშევიკად არის გამოყვანილი, მაგრამ საერთოდ ის მკრთალად არის ნაჩვენები.

„ორ მისამართში" ჩვენი ცხოვრების აქტუალური და მტკივნეული საკითხები მკვეთრად არის დასმული. ასეთი გაორებული პიროვნებები უსათუოდ ჰყავს ჩვენს ეპოქას, და ნაროუშვილის მიღწევაც იმაშია, რომ ის შეეცადა ამ დიდი საკითხის მხატვრულად გაშუქებას. მაგრამ მან ეს მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო. საერთოდ კი, პოემა სქემატიზმის შთაბეჭდილებას სტოვებს.

როგორც ვხედავთ ნაროუშვილი საგრძნობლად ეხმაურება იმ პრობლემებს, რომელსაც აყენებს რევოლიუციონური სინამდვილე. ეს უსათუოდ დადებითი თვისებაა. მაგრამ ეს მხარე მკრთალდება მისი შემოქმედების სხვა მხარეთა გათვალისწინების შემდგომ:

შიშველი მსჯელობა, ლოზუნგების განყენებულათ გადამღერება დამახასიათებელია ნაროუშვილის პოეზიისათვის.

აგრეთვე ნაროუშვილი თემას, უმეტეს შემთხვევაში, ვერ ფლობს, ის ყოველთვის დიდ და აქტუალურ თემას ეხება. მაგრამ ვერ იყენებს ყველა შესაძლებლობებს, რის გამოც უზარმაზარი შინაარსი სქემამდე დადის.

ნაროუშვილი ყველაფერს აუბრალოებს. ამ მეთოდით მუშაობა დღეს არ არის საკმარისი. რეკონსტრუქტიულ პერიოდში პოეზიაშიაც უფრო რთული მეთოდებით არის საჭირო მუშაობა, ვინემ ამას ნაროუშვილი სჩადის.

ხშირად ნაროუშვილის პოეზიას ახასიათებს ზერელე, „იაფფასიანი" ოპტიმიზმი, რაც ამტკიცებს რომ პოეტს არა აქვს ღრმად შემეცნობილი სინამდვილე.

და დასასრულ: ნაროუშვილი ერთი დიდი საშიშროების წინაშე დგას,—თუ მისი შემოქმედების გლეხური და სოფლური თემატიკა კიდევ უფრო განვითარდა და გაღრმავდა, მაშინ მისგან მივიღებთ დასრულებულ გლეხ-მწერალს. ჩვენი აზრით, ეს ნაროუშვილისათვის უკან დახევა იქნება.

პროლეტარულ მწერალთა რიგებს უკანასკნელ წლებში შეუერთდა გ. ქუჩიშვილი.

როგორც ცნობილია, მთელი რიგი წლების განმავლობაში გ. ქუჩიშვილი დაკავშირებული იყო ე. წ. „დემოკრატიული" ჯგუფის მწერლებთან. წვრილბურჟუაზიული იდეები, რომელიც საერთოდ ამ ჯგუფის მწერლებს ახასიათებდა—გ. ქუჩიშვილის შემოქმედებშიაც მეღავნდებოდა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მან თავი დააღწია ამ გავლენებს და ლენინიზმის დროშის ქვეშ დადგა. დღეს იგი სოციალისტური მშენებლობის ერთგული მომღერალია.

ს. წ ვ ე რ ა ვ ა უმთავრესად ამუშავებს ისეთ თემებს, რომლებიც ახალგაზრდობას, კომკავშირს შეეხება. იგი გვიხატავს ახალგაზრდობას, როგორც საზოგადოებრივ მუშაობაში („მასები“ და სხვ.), ისე ოჯახურ-ყოფითი დამოკიდებულების ნიადაგზე („გულია“ და სხვ.).

პროლეტარული მწერლობა იზრდება და წინ მიდის, როგორც რაოდენობით, ისე განსაკუთრებით ხარისხობრივათ. პროლეტარული მწერლობა მტკიცეთ არის შემდგარი თავისი ისტორიული დანიშნულების—ჰეგემონიის მოპოვების გზაზე. ამ გზაზე პროლეტარულ მწერლობას დიდი წინააღმდეგობები ხვდება, ბევრი სიძნელის გადალახვა უხდება.

დღეს პროლეტარული მწერლობის რიგებში იმყოფებიან არა მარტო ის მწერლები, რომელთა შემოქმედებასაც ჩვენ ზევით გავეცანით, არამედ მრავალი სხვაც. მათგან ზოგიერთი უკვე დიდი ხანია ეწევა სამწერლო მუშაობას, ზოგიც ეხლა ხან გამოვიდა პროლეტარული მწერლობის ფრონტზე.

ს. თ ა ლ ა კ ვ ა ძ ე უმთავრესად 1905 წ. რევოლუციის და მისი მომდევნო პერიოდის შესახებ სწერს. რევოლიუციონური მოძრაობის ეს დიდი პერიოდი დაუშრეტელ მასალას წარმოადგენს მხატვრული მწერლობისათვის. ეს კარგად აქვს გათვალისწინებული სევ. თალაკვაძესაც. მაგრამ აქვე მარხია მისი შემოქმედების სისუსტეც. იმდენად ბევრ ნედლ მასალას უყრის თავს თავის რომანებში, რომ შემდეგ ველარ იკვლევს გზას მათში, ველარ სძლევს მათ. ს. თალაკვაძის რომანებში არის შეპრილი პუბლიცისტიკა და პროვინციალიზმი. მასალის მხატვრული გაფორმება ხშირად სუსტია. მისი უკანასკნელი ნაწერებიდან განსაკუთრებით საყურადღეობა რომანი „1905 წელი“.

ნ. ა ს ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ს შემოქმედების მასალა უმთავრესად რევოლიუციონური წარსულია (იხ. „ნაძალადევის არწივნი“, „წითელი დროშა ფრიალებს“, „ოცდა ხუთი თებერვალი“ და სხვა).

მუშა-მწერლებიდან გარდა ასლამაზაშვილისა, უკვე დიდი ხანი ცნობილი არის გ. ხ ე ჩ უ ა შ ვ ი ლ ი და შ. ნ ა ვ თ ლ უ ღ ე ლ ი.

პ. ჩ ხ ი კ ვ ა ძ ი ს „სართულები“ საწარმოო ფონზე იშლება. რომანში მეტად აქტუალური საკითხებია მოცემული. „სართულები“ შეეხება სოციალისტური აღმშენებლობის ზრდას, მასში დასმულია ოჯახის პრობლემა, მავნებლობის საკითხები და სხვ. რომანის ფონი ფართოა, მაგრამ ჩხიკვაძე ხშირად მხატვრულათ ვერ იმორჩილებს მდიდარ მასალას.

პ. ს ა ყ ვ ა რ ე ლ ი ძ ე „დაფანტულ ფურცლებში“ იძლევა 1905 წლის რევოლიუციის ეპოპეიას. ამ ნაწარმოებში ფართოდ არის მოცემული ბევრი დამახასიათებელი მოვლენა ცხრაას ხუთის დროიდან. აქ წარმოდგენილია მთელი გალერეია დადებით და უარყოფით ტიპებისა, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები და ა. შ. „დაფანტული ფურცლები“ მხატვრულ დოკუმენტს წარმოადგენს ჩვენი განვლილი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპის შესახებ.

ი. ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი—პროლეტარული პოეტების პირველი თაობის ერთ-ერთი წარმომადგენელია. მის პოეზიას ახასიათებს რიტორიკა და აბსტრაქციულობა. ფორმალურად მეტის-მეტად პრიმიტიულია.

კ. ბ ო ბ ო ხ ი ძ ე თავის ლექსებში რევოლიუციონური ბრძოლის, ყოფის და პერსპექტივის საკითხებს ეხება. მაგრამ ხშირად ის მებრძოლ განწყობილებების გვერდით იძლევა შერბილებულ განწყობილებებს (მაგ. „ბოტანიკურ ბაღში“ და სხვ.). ბობოხიძე უმთავრესად ლირიკოსია. ის არ ეტანება დიდ ტილოებს. ბობოხიძე ხშირად თავის ლექსებში ერთფეროვნებაში გადადის, ვერ იძლევა განწყობილებების და მოვლენების მრავალნაირობას.

გ. ბ უ ხ ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი უმთავრესად დრამატურგიის სფეროში მუშაობს. მისი. პიესები უმთავრესად ჩვენი ცხოვრების ყოველდღიურობას ეხმაურება.

მშრომელი ახალგაზრდობის, კომკავშირის წრიდან პროლეტარულ მწერლობაში მოდის ახალ-ახალი ძალები. ამ ახალი ძალებიდან გამოირჩევა ბ. ჩ ხ ე ი ძ ე, გ. კ ა ჭ ა ხ ი ძ ე, ირ. ა ბ ა შ ი ძ ე, მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ა. ჩ ა ჩ ი ბ ა ი ა და სხვა.

ასეთია პროლეტარული მწერლობის საერთო სურათი დღეს.

უკანასკნელ წლებში პროლეტარული მწერლობა უდიდეს მუშაობას აწარმოებს შემოქმედებითი მეთოდის გამომუშავების საქმეში. აქ ჯერ მხოლოდ ცდები და ძიებებია. საერთოდ კი დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდით შეიარაღება გადაუდებელ ამოცანად სდგას პროლეტმწერლობის წინაშე.

აქამდე ჩვენ უმთავრესად ვლაპარაკობდით პროლეტარული მწერლობის მიღწევებზე, მაგრამ „კაზიონური“ გულგრილობა იქნებოდა, რომ არ დაგვენახა, რომ არაფერი გვეთქვა იმ ნაკლოვანებებზე, იმ უარყოფით მოვლენებზე და გადახრებზე, რომელსაც უსათუოდ ადგილი აქვს პროლეტარულ მწერლობაში.

გრანდიოზული სოციალისტური აღმშენებლობა, საზოგადოებრივი გადახალისება, ახალი ყოფის ზრდა, სოც-შეჯიბრი, დამკვრელობა და მრავალი სხვა, ვერ პოულობს სრულ და ღრმა გამოხატულებას პროლეტარულ მწერალთა შემოქმედებაში: პრობლემები და თემები, რომელსაც პროლეტარული მწერლები ამუშავებენ ჯერ კიდევ მეტად ვიწრო და ხშირად არა დამაკმაყოფილებელია.

ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი პარტიის მე-16-ე ყრილობაზე ლაპარაკობდა:

„მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დაინახონ, რომ მასების ფსიქოლოგიაში და მათ დამოკიდებულებაში შრომისადმი მოხდა უდიდესი გარდატეხა, რომელმაც ძირეულათ გადაასხვაფერა ჩვენი ქარხნების და ფაბრიკების სახე... ყველაზე საყურადღებო შეჯიბრში მდგომარეობს იმაში, რომ ის ახდენს ძირ-ფესვიან გარდატეხას ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან ის შრომას იძულებით და მძიმე ტვირთისაგან, როგორითაც ის ითვლებოდა წინათ, ხდის სინდისის საქმეთ, სახელის საქმეთ, ძლევა-მოსილობის და გმირობის საქმეთ.“

დაეხმარა თუ არა პროლეტარული მწერლობა ამ მნიშვნელოვან საქმეს, ამ გრანდიოზულ მოვლენას? სამწუხაროთ სუსტათ, არა დამაკმაყოფილებლად.

ლიტერატურა, მხატვრული მწერლობა დღეს აღარ არის მხოლოდ ლიტერატორების საქმე. პარტია, მუშათა მასები დიდ ყურადღებას აქცევენ მას, დაინტერესებული არიან მისი წინსვლით და გამარჯვებებით. მუშათა მასები უყურადღებოთ არ სტოვებენ იმ ნაკლოვანებათა გამომჟღავნებასაც, რომელსაც ადგი-

ლი აქვს პროლეტარულ მწერლობაში. ამ მხრივ განსაკუთრებულ ალსანიშნავია ილიჩის სახელობის ქარხნის (მოსკოვი) მუშების მიმართვა პროლეტარულ მწერლებისადმი. ამ მიმართვაში ვკითხულობთ: „პროლეტარული მწერალი სწერს მუშათა კლასის ცხოვრებაზე, მის ბრძოლაზე სოციალისტური აღმშენებლობის ფრონტზე, მაგრამ მან ცოტათი იცის მუშა, მისი ყოფა, მისი ცხოვრება, მისი ბრძოლა, იმიტომ, რომ დიდათ არის მისგან დაშორებული, არ მისულა მასთან მჭიდროთ, არ შერწყმია მას, მის ინტერესებს, მოთხოვნილებებს და ხშირად სცხოვრობს თავისი ჩაკეტილი ინდივიდუალისტური ცხოვრებით". აქ უსათუოდ სწორედ არის აღნიშნული პროლეტარულ მწერლებს შორის არსებული ერთ-ერთი დიდი ავადმყოფური მოვლენა.

პროლეტარულ მწერლებს შორის ადგილი აქვს დაშორებას მუშათა საზოგადოებრივობისაგან, წარმოებიდან, პარტიულ მასებიდან. ეს დიდი ნაკლია. პროლეტარული მწერალი თუ პროლეტარულ მასების რიგებში აქტიურათ არ არის ჩაბმული, ორგანიულათ არ არის დაახლოვებული, ისე მას დიდი საფრთხე მოელის: პროლეტარულ მწერალს არ ეყოფა მარტო განყენებული სწავლა, მან ცხოვრებისაგან, თავის კლასისაგანაც ძლიერ ბევრი უნდა ისწავლოს.

სოციალისტური რეკონსტრუქციის ეპოქა გამოიხატება გიგანტიურ ძვრებში, გადახალისებებში, სწრაფად იზრდება მუშათა კლასი, ღარიბი და საშუალო გლეხი ხდება კოლმეურნე, იწყება ყოფის ძირეული გადასხვაფერება, ინასკვება ახალი დამოკიდებულებები ადამიანებში, იცვლება მუშის ფსიქოლოგია (დამკვრელობა, სოც-შეჯიბრი და სხ.). მთელი ამ პროცესების ასახვა პროლეტარული მწერლების მნიშვნელოვანი ამოცანაა. მაგრამ მასი განხორციელება ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს.

სოციალისტური აღმშენებლობის ძლევა-მოსილი წინსვლის მეოხებით ჩვენი ქვეყანა კულტურულ რევოლიუციის ახალ ეტაპში შევიდა. ამ ახალ ეტაპის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს მუშათა მასების აქტიური გამოსვლა ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების და ტეხნიკის ფრონტზე. დღეს ჩვენ ვხვდებით მუშათა და ღარიბ და საშუალო გლეხების კულტურულ მოთხოვნილების უჩვეულო ზრდას, უძლიერეს გრძნობას. რათა მათ უფრო ღრმად დაეუფლონ მეცნიერებას, ტეხნიკას და ხელოვნებას. ყველაფერი ეს კი უშუალოდ გამომდინარეობს მოთხოვნილებებისაგან, რათა ვიბრძოლოთ შრომისადმი ახალ სოციალისტურ დამოკიდებულებისათვის, რაც დღეს მიმდინარეობს სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის გზით.

თანამედროვე პირობებში ლიტერატურული ფრონტი ხდება სოციალისტური აღმშენებლობის და კლასიური ბრძოლის უფრო და უფრო საპასუხისმგებლო ნაწილი.

ამიტომ პროლეტარული მწერლობა უნდა გადახალისდეს, მან უნდა დააკმაყოფილოს მუშა-მკითხველის გაზრდილი მოთხოვნილებები, გახდეს ის მუშათა კლასის ხელში სოციალისტური აღმშენებლობის აქტიური მონაწილე.

საჭიროა ჩატარებულ იქნას დიდი მუშაობა, რათა წამოწეული და აღზრდილი იქნას პროლეტარულ მწერლობაში მუშათა ახალი კადრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ პროფკავშირის ორგანიზაციასთან ერთად გამოაცხადა მუშა-დამკვრელების გაწვევა ლიტერატურაში.

ამ გაწვევის მიზანია, მოკლე დროის განმავლობაში მუშა-დამკვრელთა მასებიდან წამოსწიოს მუშა-მწერლების ახალი კადრები.

დამკვრელ მუშათა აქტივი, რომელიც დაინტერესებული არის მხატვრულ მწერლობით და მუშკორები—აი ის კადრები, რომლებიც უნდა მოვიდენ ამ გაწვევის შედეგათ პროლეტარულ მწერლობაში და გახდენ მისი ძირითადი ბირთვი.

როდესაც ვიწვევთ მუშა-დამკვრელებს მწერლობაში, ჩვენ ამავე დროს უნდა ვიცოდეთ, თუ რა მიზნით ვიწვევთ მათ. მ უ შ ა - დ ა მ კ ვ რ ე ლ ე ბ ი ს გ ა წ ვ ე ვ ა მ წ ე რ ლ ო ბ ა შ ი ხ დ ე ბ ა ი მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ მ ა თ შ ე ქ მ ნ ა ნ ი ს ე თ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ე ბ ი, რ ო მ ლ ე ბ ი ც „მ ო გ ვ ც ე მ ს რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ი ს დ ღ ე ვ ა ნ დ ლ ო ბ ა ს“—როგორც ამას ამბობს რაპპის მოწოდება.

მუშა-დამკვრელთა ლიტერატურაში შემოსვლა შექმნის უდიდეს შესაძლებლობებს, რათა პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაცია გახდეს ნამდვილი პროლეტარული ლიტერატურული ორგანიზაცია თავისი შემადგენლობით. მხოლოდ ამ გზით შეიქმნება პირობები პროლეტარულ მწერალთა რიგების ძირეულ და არსებით გადახალისებისათვის. გაწვევა შეიყვანს პროლეტარულ მწერლობის რიგებში საუკეთესო მოწინავე მუშებს, რომლებიც გამობრძმედილი არიან სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ცეცხლში, რომლებიც შეიტანენ მწერლობაში ორგანიზაციის ახალ ფორმებს და მეთოდებს, ახალ დამოკიდებულებას სამწერლო შრომისადმი და სხვ.

მუშა-დამკვრელების პროლეტარულ ლიტერატურაში გაწვევა არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს ამით წარმოებას უშუალოდ ჩამოშორდება საუკეთესო მომუშავეები და მებრძოლები. არა! აქ საქმე იმაშია, რომ წამოწეული იქნას ისეთი პროლეტარული მწერლები, რომელნიც უშუალოდ თავის ლიტერატურულ მუშაობას დაუკავშირებს პრაქტიკულ საქმიანობას, იმ ბრძოლას, რომელსაც ის აწარმოებს ქარხანა-ფაბრიკაში, წარმოებაში.

მწერლობაში მოსვლის შემდეგ მუშა-დამკვრელმა თავის თავზე უნდა ჩაატაროს უდიდესი მუშაობა, რათა თეორიულად შეიცნოს თავისი გამოცდილება, დაეუფლოს წარსულის უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობას და კრიტიკულად გადაამუშაოს ის. ჩვენ უნდა მივსცეთ შესაძლებლობა დამკვრელ მუშას, მოკლე ხნის განმავლობაში შეისწავლოს და შეითვისოს დიალექტიური მატერიალიზმის საფუძვლები და პროლეტარიატის ლიტერატურული მოძრაობის გამოცდილება.

პროლეტარიატს ესაჭიროება ისეთი ძლიერი ლიტერატურა, რომელიც დაეხმარება მას სოციალისტურ აღმშენებლობაში, მოუწოდებს ბრძოლისაკენ და დაუნდობლად შეებრძოლება მუშათა კლასის მტრებს.

პროლეტარიატის ლიტერატურული მოძრაობა ახალისებს თავის რიგებს, რათა წარმატებით აწარმოოს შემდგომი სოციალისტური იერიშები.

ზოგიერთი პროლეტარული მწერალი თავის შემოქმედებაში ვერ ანხორციელებს პარტიის გენერალურ ხაზს, ზოგიერთ პროლეტარულ მწერლის შემოქმედებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფართო ადგილს, ფართო დასაყრდენს პოულობს წვრილბურჟუაზიული რადიკალიზმი („მემარცხენეობა") და წვრილბურჟუაზიული ლიბერალიზმი (მემარჯვენეობა).

საჭიროა თანამიმდევრობითი და შეუნელებელი ბრძოლის წარმოება მარქსისტულ-ლენინური იარაღის სიწმინდისათვის ყოველგვარ გადახრისაგან, რომელიც ეხლა მემარჯვენე-„მემარცხენე" სახეს ატარებს და რომელიც გამოხატავს კლასიური მტრის გავლენას პროლეტარული მწერლების რიგების მერყევ ფენებზე.

მემარჯვენე საშიშროება უმთავრესი საფრთხეა. ის ყოველთვის თვალხილულათ არ გვევლინება. ხშირად ის დაფარულ, „მცოცავ" ფორმას ღებულობს. მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც უნდა შევსძლოთ ყოველი სახის მემარჯვენეობის გამომჟღავნება და მის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლის წარმოება.

მემარჯვენეობასთან ბრძოლის პროცესში არ შეგვიძლია დავივიწყოთ „მემარცხენე" გადახრა.

ამხ. სტალინის სიტყვა: „უნდა განვაგრძოთ მომავალშიაც შეურიგებელი ბრძოლა ორ ფრონტზე, როგორც მემარცხენეობასთან, რომელიც წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ რადიკალიზმს, ისევე მემარჯვენეობასთან, რომელიც წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ ლიბერალობას"—პროლეტარული მწერლობის სამოქმედო პროგრამა უნდა იყოს.

დღეს პროლეტარული მწერლობის წინაშე ჩვენ მთელი თავისი სიგრძე-სიგანით უნდა დავსვათ, რათა მათ სრულიად, შეითვისონ დიალექტიური მატერიალიზმი, ისწავლონ, როგორ მოიხმარონ ეს მეთოდი თავის შემოქმედებაში, ამის გარეშე შეუძლებელია სოციალურ განზოგადოების უნარიანობა (რაც საკალდებულოა ყოველი პროლეტარული მწერლისათვის), შეუძლებელია პროცესის თავის დინამიურობაში გადმოცემა, შეუძლებელია სწორი პროგნოზის დასმა, მაქსიმალური სისწორით მითითება ეკონომიურ და სოციალ-პოლიტიკურ პროცესების პერსპექტივაზე. ამ პირობათა შესრულებით, თავისი მარქსისტული განათლების დონის აწევით, პარტიის გენერალური ხაზის შესწავლისა და შეთვისების გზით—პროლეტარული მწერლები შესძლებენ დასახული მიზნის—შემოქმედებით გეგემონიის მოპოების შესრულებას.

პროლეტარული მწერლის მუშაობა მთელი თავისი სისრულით უნდა ექვემდებარებოდეს რეკონსტრუქციის პერიოდის, რევოლიუციონური მიზანშეწონილების მოთხოვნილებებს. პროლეტარული მწერალი—პროლეტარული რევოლიუციის აქტიური შემომქმედი მუშაკი უნდა იყოს.

სამართლიანად ამბობდა ამხ. ავერბახი ერთ-ერთ თავის მოხსენებაში.

„პროლეტარული ლიტერატურა სდგას უდიდეს ისტორიულ გამოცდის წინაშე. ეს გამოცდა მდგომარეობს—აუცილებლად დავსძლიოთ ლიტერატურის ცხოვრებისაგან ჩამორჩენა, დავაყენოთ პროლეტარული ლიტერატურა სოციალისტური რევოლიუციის ახალი ეტაპის დამხმარეთ, მხატვრული სიტყვის იარაღათ, აქტიური მონაწილეობა მივიღოთ კაპიტალიზმის ძირების ამოგდების და სოციალიზმის განხორცნელების საქმეში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ასეთია უმთავრეს ხაზებში ის გზა, რომელიც განვლო ქართულმა მწერლობამ ამ ათი წლის მანძილზე.

როგორია თანამედროვე ქართული ლიტერატურის შემდგომი განვითარების გზები?

მოწინავე იდეებით შეიარაღებული, რევოლიუციონური მისწრაფებებით გამსჭვალული, თანამედროვე საზოგადოების ყველაზე პროგრესიულ კლასის ცხოვრების გამომხატველი პროლეტარული მწერლობა—მუშათა კლასის ხელში გადაქცეულია კლასიურ ბრძოლის უძლიერეს იარაღათ და იგი მტკიცეთ მიემართება მხატვრულ-შემოქმედებით ჰეგემონიისაკენ.

ჰეშმარიტი თანამგზავრული მწერლობა თავის ისტორიულ განვითარებაში მტკიცეთ უახლოვდება პროლეტარულ მწერლობას და ხდება მისი მოკავშირე. თანამგზავრობის საუკეთესო—მემარცხენე ნაწილი ორგანიულათ გადადის პროლეტარულ მწერლობის რიგებში.

ბურჟუაზიულ-რეაქციონური მწერლობა თავის კლასთან ერთად კვდება.

გიორგი ლეონიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხოვრება ფიროსმანისა

(წიგნიდან „ცხოვრება ფიროსმანისა“)

წინაპირველი სიტყვა

ფიროსმანიშვილის ბიოგრაფიულ ფაქტების ჩაწერა დავიწყე 1922 წელს. ჩაწერას ვაწარმოებდი დღიურის სახით. 1930 წელს მარტის—აგვისტოს თვეებში ჩემი დღიური ისევ განახლდა კიტა მეგრელიძის და დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით.

ფიროსმანის ცხოვრების დეტალებთან ერთად, როგორც პირველათ, ისე ახლა თან მისი ბიოგრაფიის ფონიც მაინტერესებდა. მასალების შესაკრებათ მე ვინახულე ლეონის ვაჭრები, ქუჩის მხატვრები, მღებარები, საზანდრები, მეთევზეები, დალაქები, მემწვანილეები, ყასბები, მედროგეები, მეჩექმეები, რკინისგზის კონდუქტორები და სხვა—მხატვარის მეგობრები, მცნობები და პატივისმცემლები, მე იქვე ვიწერდი მათს ნაუბარს „საწყალ ნიკალაის“ უბრალო ცხოვრებაზედ და ფაქტებს მათი საკუთარ თავგადასავალიდანაც. მრავალი ახალი და საინტერესო აღმოჩნდა მათთან შეხვედრებში ფიროსმანის ბიოგრაფიის გასარკვევათ.

ამ ნედლ მასალას, რაც სტენოგრაფიული სიწორითაა თითქმის ჩაწერილი და უმეტესად დაუმუშავებელია,—ახლა ვაქვეყნებ მათივე პასუხისმგებლობით.

გიორგი ლეონიძე.

ფიროსმანი და პოეტები

22 აგვისტო 1922 წ.

ნიკო ფიროსმანის სახელი დიდხანს ჰხიბლავდა ქართველ პოეტებს. შეიძლება ისე არავინ ყოფილიყოს დაინტერესებული მისი ბედით, როგორც პოეტები. ამიტომ ხშირათ ყოფილა, როდესაც ფიროსმანის ხსენებას გაუტაცნია ისინი და არ დარჩენილა არც ერთი ფიროსმანისეული სარდაფი, რომელიც არ იყოს აღმოჩენილი სხვადასხვა დროს.

ფიროსმანში ყველაზე მომხიბლავია ის, რომ მას ყველა იგონებს როგორც სიზმარს. შრომით დალღლილი ხალხი, ალკოჰოლით გაბრუებულები დადინჯდებიან, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ნიკალაიზე. მართლაც „ვით ეჟვანნი“ ფიროსმანის ყველა მნახველი ერთად ეღერს, რომ ის იყო უპატიოსნესი ადამიანი, დამოუკიდებელი, ამაყი და ნიჭის ჯადოქარი. ყველა მისი სურათები დახატულია მომენტალურათ—არყის ჭიქების ცვლაში, (როგორც ერთმა მიკიტანმა სთქვა: „არაყზე თუ გინდ გაფრენილ ფრინველს დაგიხატავდაო!)“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „ბახტრიონის“ საგანგებო ნომერის სამზადისში, ფიროსმანზედ, გადავწყვიტე დამეარნა ვაგზლის რაიონი, რომელიც გამოჭედილი იყო ფიროსმანიშვილის სურათებით. ჩემთან ერთად წამოვიდნენ: ტ ი ც ი ა ნ ტ ა ბ ი ძ ე, შ ა ლ ვ ა ა ფ ხ ა ი ძ ე, ს ე რ გ ო კ ლ დ ი ა შ ვ ი ლ ი.

აქ მოყვანილია ოქმის სიტყვრით ის, რაც სთქვეს ფიროსმანის ნაცნობებმა და მეგობრებმა.

მედროგე ოზმანაშვილი

„— ნიკალა ტანმაღალი და ხმელი კაცი იყო. ძალიან ლოთი. სადაც რასმე გააკეთებდა, საღებავის ფულს აიღებდა და იქვე „შესჭამდა“. დადიოდა ჩამოგლეჯილ ტანისამოსში, ჩამოფხატულ ქუდში და გატიალებულ ფეხსაცმელებში, ლაპარაკი უყვარდა. ხუთი წუთი რომ გავიდოდა, თითო არაყი უნდა დაელია, დუქნებში დათვრებოდა და ქუჩებში ეძინა. არეკილი კაცი იყო. მე თითონ მედროგე ვარ და ჩვენში ხშირად დადიოდა. ასე, 50 წლის იქნებოდა, რომ მოკვდა.

ოზმანაშვილის (ძმის) დუქანში ეკიდა სურათები:

1) ქალი კვერცხებით ხელში, 2) დაჭრილი სალდათი, 3) მოწყალების დაჯ, 4) მელა, 5 და 6) კურდღლები, 7) დათვი, 8) ყოჩი, 9) ბავშვი ჯორზე, 10) შოთა რუსთაველი, 11) დედოფალი, 12) ქართველი დედაკაცი ბავშვით, 13) ფური ტაგანით. 14) ძროხა სარძეულით, 15) ვერძი, 16) ლომი ირანისა, 17) ჟირაფი.

ვთხოვე სურათები მოეყიდა, მაგრამ დიდათ იუარა:— მე ნიკალაის სახსოვრათა მაქვს. ფულში ვერ გავცვლიო. *)

გოგიტაშვილის სადალაქო

ფიროსმანის გახარებული მეგობრები შემომეხვივნენ და მესაუბრებიან. გადმომცემენ, რომ ნიკალაი უნდა ყოფილიყო კახეთიდან, მოკვდა სამი-ოთხი წლის წინედ, არ იციან სადა ჰმარხია, რისგან მოკვდა. ღიმილით მეუბნებიან, რომ ღვინო უყვარდა, ქალები ეჯავრებოდა. იყო ზედმიწევნით პატიოსანი და მთხოვენ მალე „ჩავაგდო წიგნში“ მისი ამბავი.— „არც იზარალებ, სულ ჩვენ დავიტაცებთო“. სადალაქოში მოთავსებულია: 1) გიორგი სააკაძე, 2) ანაბაჯი, 3) ბავშვი თეფშით, 4) თამარ მეფე და რუსთაველი, 5. ბოლნისის ღლეობა, 6) შოთა რუსთაველი, 7) გიორგი სააკაძე ებრძვის მტრებს.

სურათის გაყიდვაზე გოგიტაშვილმაც უარი მითხრა, თუმცა მოიფიქრებს, შეიძლება კიდეც გაყიდოს. იქვე ყასაბ მარტიაშვილს უკიდია სურათები „დიდმარხეა საქართველოში“ **), „კინტოს შვილი“, „ქალი ფერადი ბუშტით“. პირველ სურათს ვყიდულობ მე, მეორეებს ვუთმობ არჩილ მიქაძეს.

---

*) ეს კოლექცია შემდეგ დაიღუპა.

**) სურათის უკუგზე მკრალი ფანქრით სწერია: „გლეხთა განთავისუფლება 1864 წ.“ სურათი 1930 წ. გადავეცი ეროვნულ გალერეას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლა ჭიჭინაძე

(სასტუმრო „არარატი", საბჭოთა ქუჩა № 60)

„მე მქონდა ფიროსმანიშვილის 15 სურათი. დამეკარგა. თავად ნიკოს კარგად ვიცნობდი. მოვიდოდა დუქანში, დაჰხატავდა და აქვითებდა ღვინოზე, არაყზედ. მის სურათებს ახლა უფრო გორში იპოვით. მრავალია აგრეთვე ღრმა ღელეში, საბურთალოზე.

„ნიკალა იყო პატიოსანი კაცი. უბინაო, ავადმყოფი, ღარიბი. ბევრჯელ მიჭმევია საწყლისათვის პური. დაგლეჯილი დადიოდა. უყვარდა ლექსები. საიდან იყო, ვერ ვიტყვი. გუშინაც კი მომაგონდა: „ახ, ნეტავი ჩვენი ნიკალა ცოცხალი იყოს, ამ გამონგრეულ კედელს დამიხატავდა და იაფად გამომიყვანდა მეთქი".

ხოხოლაშვილი

(სალხინო „ფშაველის" პატრონი სადგურთან)

უკიდია სურათები:

1) მეწველი ძროხა, 2) ლომი ირანისა (ორივე სურათი შემდეგ დაიღუპა).

ვარდო შავროლაშვილის დუქანში:

1) „კამლაძეების უბანი სოფ. სვირში" (მე შევიძინე), 2) დავით ზურაბიჩ მარკოზაშვილი თავის ამფსონებით".

დაკარგული

31 აგვისტო. 1922 წ.

დანამდვილებით არავინ იცის, სადაურია ფიროსმანიშვილი, ვინ ჰყავს ნათესავები და თვისტომები. მგონია არც ნათესავებმა უნდა იცოდნენ მისი არსებობა. ასეთი „დაკარგვა" ადამიანისა ჩვენს ქვეყანაში პირდაპირ აუხსნელია!

ფიროსმანის ბოლო

4 სექტემბერი 1922 წ.

მეტად მწუხარე ყოფილა ფიროსმანის უკანასკნელი დღეები. თითქმის ნახევრად შიშველი, ჩამოგლეჯილი და უბინაო, ერთი დუქნიდან მეორეში გადადიოდა, ახლა უკვე აშკარათ ემდურიოდა ბედს, დღემდის გაუტეხელი და ამაყი ნიკალა, მხოლოდ ბოლო დღეებში მიხვდა, რომ უსიხარულოდ თავდებოდა მისი ტანჯული სიცოცხლე. ამ ხანებში მას პატრონი აღარაეინ ჰყვანდა. დიმიტრი შავარდნაძე და ლადო გუდიაშვილი აღარ, ანუ ვეღარ ჰხვდებოდნენ. მხატვართა საზოგადოებამ ვერ შესძლო მისი ამოყვანა ქუჩის უფსკრულიდან. ეს გარემოება დღესაც აკვირვებს მხატვარის მეგობრებს მდაბიო წრიდან. მათი სიტყვით სულ მცირე იყო საჭირო, რომ ნიკალას დასასრული მწარე არ ყოფილიყო.

მაგრამ აღარც ნიკალას ჰქონია თურმე ხალისი „საზოგადოებასთან" კავშირის დაჭერისა. საბოლოო მიხეზი „კონტლიქტისა" იყო კარიკატურა უპასუ-

ხისმგებლო მოხალისისა, რომელიც 1917 წ. მოთავსდა გაზეთ „სახალხო ფურ-ცლის“ დამატებაში. კარიკატურაზე წარმოდგენილია ფიროსმანიშვილი—მოხუცი, ფეხშიშველი ხატვის პროცესში (ჟირაფს ხატავს) გვერდით უდგას მკაცრი პროფილით გრიგოლ რობაქიძე (პირველი ქართველი ავტორი ფიროსმანზედ), რომელიც ასე მიჰმართავს მას:

—„ უნდა ისწავლო ძმობილო, შენს ხანში მყოფს კიდევ ბევრის შექმნა შეუძლია... ორფიულის... ერთი ათი-ოცი წლის შემდეგ კარგი მხატვარი გამოხვალ. აი, მაშინ გაგგზავნით „ახალგაზრდათა გამოფენაზე“. ამ კარიკატურამ თურმე საშინლათ გაამწარა გულუბრყვილო, ეჭვიანი ფიროსმანი.

— მაშ მასხარათ მიგდებენ?—ეკითხებოდა თურმე „მწიგნობარ“ მიკიტნებს. ისინიც ერთი ორად ულვივებდენ სიმწარის ცეცხლს. ვერც მათ შეეძლოთ, სხვანაირი განმარტება მიეცათ და უკვირდათ, როოგორ მოხდა, რომ იმავე გაზეთმა ამაზე წინათ სრულიად სერიოზულათ დაბეჭდა მისი პორტრეტი?

უკანასკნელ ხანებში ნიკალას ვერავინ ხვდებოდა. მისი ნაცნობი მიკიტნები მიამბობენ, რომ ბოლო წელიწად-ნახევარში ნიკო გაჭირა, რამდენჯერ მისი პოვნა დაგვჭირდა ველარ ვიპოვეთო!

სიკვდილის წინა კვირეებში—თავის კერას—ვაგზლის რაიონს დაუბრუნდა, მალაკნების ქუჩაზე სადაც ვინმე აბაშიძისგან იშოვნა პატარა სამუშაო. აქ მოუსწრო სიკვდილმა (მის მოხატულ დუქანში, ეხლა კერძო ხალხი სცხოვრობს. კედლებზე კიდევ მოსჩანს ხომალდები თეთრი იალქნებით).

ფიროსმანის უკანასკნელი დღეების მოწმე—მეჩექმე არჩილ მაისურაძე, რომელიც 24 აგვისტოს გავიცანი, მომიყვა მის საშინელ ცხოვრებას.

— ერთად-ერთი პატრონი მე ღა ვიყავი, მაგრამ თავად მე წვრილშვილს და უფეხოს რა შემეძლო? ამას დაუმატეთ ისიც, ნიკალასთანა კაცისთვის დახმარების აღმოჩენა მეტად ძნელი იყო. ამაყი, მოხათრებული, ის არ მიიღებდა არც ფულს, არც შეგზავნილ კერძს. მაგრამ ტკბილი სიტყვით ბოლოს დავიახლოვე და ისიც შემეთვისა, ბევრი რამ ვიცი მის ცხოვრებიდან, მისივე ნათქვამებით, გთხოვთ როდისმე თავისუფალი დღე მოიგდოთ ხელში და ჩემთან მობრძანდეთ, ყველაფერს გიამბობთ.

...— ოთხი წლის წინათ, (1919 წ.) როცა მე ამ სახლების მოურავი ვიყავი (მალაკნის ქ. № 29) ნიკალა აქვე, აბაშიძის დუქანში ჰხატავდა სურათებს. უკანასკნელად, სმისგან ავად გამხდარიყო და თითქმის ნახევარ-გონებაზე მყოფი ბნელ საკუჭნაო-სარდაფში დაწოლილიყო ცივ მიწაზე. ორი-სამი დღის შემდეგ, შემოხვევით ჩაველი შიგ და თითქმის წყვდიადში წავაწყდი. ვიღაც მწარედ კვნესოდა. მე შევკრთი და შევძახე:

— ვინა ხარ?

— მე ვარ! გაისმა კვნესით და ხმაზედ მაშინვე ვიცანი ნიკალაი. მან კი ველარ მიცნო. მხოლოდ ძლივს მოახერხა რამდენიმე სიტყვის თქმა—„ცუდათ გავხდიო, სამი დღეა აქა ვწევარ და ველარ ავდექიო!“

„მე მაშინვე ეტლი მოვიყვანე და რაკი თითონ არ მეცალა, ეტლში ჩაუჯდა განსვენებული ილია ანდრიას-ძე მგალობლიშვილი და წაიყვანა მიხეილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ არამიანცის (არ ვიცი) საავადმყოფოში. ეს კია, საწყალი ლეონ-ხახვარში გათავებულიყო".

შემდეგ არჩილ მაისურაძემ ჩაგვიყვანა პატარა სარდაფში, სადაც ჩვეულებრივ მდგმურები შეშას ან ნახშირს ინახავენ. სარდაფი ერთ-ნახევარ კვადრატის საჟენის მოცულობისა იყო. საფლავივით ბნელი და ნაგავით სავსე. როცა ასანთი გავკარით, საშინელი შმორის სუნი გვეცა. ირგვლივ ეყარა აგურის ნატეხები, მავთულების ნაწყვეტები და ღორღი. აქ, ამ ადგილას, სასიკვდილო აგონიას ებრძოდა დიდი ქართველი ოსტატი, თბილისის გენიალური მხატვარი.

რომელ წელს გარდაიცვალა ფიროსმანი?

არჩილ მაისურაძემ დაბეჯითებით გადმომცა, რომ ეს ამბავი მოხდა 1918 წელს, ზედ აღდგომა ღამეს.

მისი სიტყვით და მრავალთა დამოწმებით, ფიროსმანი დამარხულია უპატრონო მკვდართა შორის კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.[1])

ფიროსმანის დაბადების დათარიღებისათვის

7 ოქტომბერი 1930 წ.

როდის დაიბადა ფიროსმანაშვილი?

მისივე დის, ფეფე ბარამაშვილის ცნობით, ნიკა დაბადებულა 1866—1867 წლებში.[2])

უმრავლესობა მისი ნაცნობებისა და მეგობრებისა თავის წლოვანობასთან „შედარებითი" მეთოდით მიმტკიცებენ, რომ ფიროსმანი 1858—1859 წლებში უნდა დაბადებულიყო (დიმიტრა ალუღიშვილი, ოზმანაშვილი, ბეგო ეგიევი, გოლა ჭიჭინაძე, და სხვები). იმავე თარიღს გვიდასტურებს ფიროსმანის ხელში გაზრდილი მოქ. სოლომონ ხანკალამოვი (მისი ცნობით, 1882 წ. ნიკო 23—24 წლისა იყო).

დაბადების თარიღის საბოლოო დასადგენად მე მივმართე მირზაანის ეკლესიის „მეტრიკულ ამონაწერების დავთარს 1860—1872 წლების"-ას, მაგრამ ამ წლებში ნიკოს დაბადება არსად იხსენიება.[3]) აი ეს ამონაწერები, სადაც დასახელებულია რამდენიმე სხვა ნიკო ფიროსმანაშვილი (მირზაანში მთელი უბანია ფიროსმანაშვილებისა) და არა მხატვარი—შვილი ასლანისა და თეკლესი.

1. ნ ი კ ო ლ ო ზ ფ ი რ ო ს მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი:
   დ. 1860 წ.
   დ ე დ ა: ირინე აბრამის ასული
   მ ა მ ა: დავით ძე ზაქარიასი.

ვერც ყ. მიხეილის და ვერც ყ. არამიანცის საავადმყოფოთა არხივებში ვერ აღმოჩნდა ცნობები ფიროსმანის ავადმყოფობის და მისი საფლავის ადგილმდებარეობის შესახებ.

გ. ლ.

[2]) იხ. გაზ. „ბ ა ხ ტ რ ი ო ნ ი" 1922 წ. № 10. ცნობა ჩაწერა შალვა დადიანმა.

[3]) ამ ონაწერები დავთრიდან გადმომცა მსახ. ვასო ა ლ უ ღ ი შ ვ ი ლ მ ა, რისთვისაც დიდათ ვმადლობ.

გ. ლ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი:
მამა: ზაქარია გრიგოლის ძე.
დედა: ბარბარე გიორგის ასული.
დაიბადა: 1869 წ. აგვისტის 5-ს.

3. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი:
დედა: დიმიტრი ივანეს ძე.
მამა: თამარ გიორგის ქალი.
დაიბადა: 1871 წ. 27 ივნისს.

4. ნიკოლოზ ფიროსმანაშვილი:
დედა: სვიმონ დიმიტრის ძე.
მამა: ატატო ბასილის ქალი.
დაიბადა: 1872 წ. 20 იანვარს.

ამნაირად, მხატვარის ნიკოლოზ ასლანის ძის ფიროსმანაშვილის დაბადება არა სჩანს 1860—1872 წლებში. მაშ რომელი წლით შეიძლება დავთარიღოთ დაბადების წელი?

რაკი ყოვლად შეუძლებელია თარიღი 1872 წლის აქეთ გადმოვწიოთ, ამიტომ სარწმუნო ხდება თარიღი ნავარაუდევი მისი მეგობრებისა და მით უმეტეს მოქ. ხანკალამოვისა, რადგან მან, როგორც ინტელიგენტმა დოკუმენტალურათ იცის თავისი „სასწავლებლის პერიოდი“ და სამსახურის თარიღები. თავის მოგონებაში კი, ნიკოს წლოვანებას თავის თარიღებთან შეფარდებით ანგარიშობს (იხ. მისი მოგონება ვ. ბ—ლის ჩაწერილი. „დროშა“ 1925 წ. № 1) და რადგან „დავთარში“ ფიროსმანის დაბადება 1860—1872 წლებში არა სჩანს, ხოლო შეუძლებელია, 1872 წლის შემდეგ, ან 1857 წ. ადრე, ამიტომ 1857—1859 წლებს უნდა მივაკუთნოთ. დაახლოებით მაროლდება თითონ ფიროსმანის ცნობა, რომელიც 1916 წელს მისცა დიმიტრი შევარდნაძეს: „მე ეხლა 60-ზე მეტისა ვიქნებიო“ (იხ. გაზ. „ბახტრიონი“ № 9). ამნაირათ, 1922 წელს ჩვენ შევცდით, როცა ფეფე ბარამაშვილის ცნობაზე დაყრდნობით, ფიროსმანის დაბადების თარიღად 1860—1868 წლები გამოვაცხადეთ. (ibidem № 10). მაშასადამე, ფიროსმანი სამოც წელს გადაცილებული მომკვდარა.

ძართველ მხატვართა საზოგადოების ოქმებიდან

მაისის 15. 1916 წ.

თავმჯდომარეობდა გიორგი დურმიშხანის ძე ქურული.

1. საკითხი მხატვარის ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების გამოძებნა-შეძენისა; მისი ბინადრობის ადგილის ჩენისა და ცნობების შეკრებისა.

გამგეობა საყურადღებოთ სცნობს ნ. ფიროსმანაშვილის ნახატებს და აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია მათი ადგილის ჩენა, შეძენა. რადგანაც საზოგადოებას ამჟამად ფული არ მოეპოვება, ამიტომ წინადადებით მიმართოს საქ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, შეიძინოს ეს სურათები, როგორც სახალხო ნაწარმოები. მათ ადგილის ჩენა-შეკრეფაში გამგეობა დახმარებას აღმოუჩენს გაიმართოს ნიკო ფიროსმანაშვილის ნახატების კოლექტიური გამოფენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიკრიფოს ცნობები, თუ სად იმყოფება ეხლა ფიროსმანაშვილი. თუ ცოცხალია, მატერიალურად დახმარება აღმოეჩინოს. მიღებულ იქნეს ზომები მისი ცხოვრებიდან ბიოგრაფიული ცნობების შესაკრეფად. ამისი შესრულება დაევალოს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ლადო გუდიაშვილი, იობ გოგოლაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე, მოსე თოიძე და გიორგი ზაზიაშვილი.

ოქმი მაისის 24-ს

თავმჯდომარეობდა გიორგი ყურული.

ა) მოხსენება ფიროსმანაშვილის შესახებ:

ხარჯები ფიროსმანაშვილის მოძებნისა და დახმარების აღმოჩენისათვის გაწეული,—იკისროს საზოგადოებამ.

გამგეობამ საყურადღებო პიროვნებად სცნო ფიროსმანაშვილი, როგორც მხატვარი. ამიტომ საჭიროდ სცნო დამატებითი ცნობების შეკრება, რაც მიენდო მოსე თოიძეს და გიორგი ზაზიაშვილს.

ბ) ფიროსმანაშვილის სურათების შეკრება:

საჭიროა კოლექციისათვის რამდენიმე საუკეთესო სურათის შეძენა. სურათების დათვალიერება მიენდო დიმ. შევარდნაძეს, მოსე თოიძეს და ალ. მრევლიშვილს.

გ) ფიროსმანაშვილის სურათების გამოფენის საკითხი:

გამოფენის გამართვა ჯერჯერობით საჭიროდ არ იქნა ცნობილი.

საზოგადოებას არ შეჰფერის ამითი დაიწყოს გამოფენის საქმე (კურსივი ჩემია. გ. ლ.).

„გრაფი"

23 ოქტომბერი. 1922 წ.

დღეს ველაპარაკე ღვინის ვაჭარ სოზაშვილს. მან სხვათა შორის გადმომცა, რომ თავმოყვარე ფიროსმანს გამკილავი მედუქნეები ირონიით „გრაფს" ეძახდნენ. სწყინდათ, რომ ღარიბი და მშიერი, სხვა ქუჩის მხატვარებივით ლუკმა პურისათვის ფეხქვეშ არ ეგებოდათ და მათ კაპრიზებზედ არ იყო დამოკიდებული. პირიქით, ნიკალაის ყოველთვის ამაყათ ეჭირა თავი პირადი ღირსების შეგნებით. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა მისი დამკვეთელი—მედუქნეები ჩაერეოდნენ მის სამხატვრო საქმეებში, ის მაშინვე სტოვებდა არა მარტო ჰონორარს, სამუშაოს, არამედ თავის სამხატვრო იარაღებსაც და მთელი წლობით აღარ გაეკარებოდა იქაურობას.

აი რას მიამბობს ნიკო სოზაშვილი:

— „1915—1916 წლებში, ნიკოს შეუკვეთე დიდი სურათი რთველის დახატვა. როგორც მუშაობის დაწყებაში გამოჩნდა, ნიკოს რთველი არასოდეს ენახა, რადგან სოფელს ბავშობიდანვე დასცილებოდა. სხვა გზა არ იყო, სურათი ჩემი განმარტებით უნდა დაეხატნა. მე შევატყე, რომ ასეთ პირობებში მუშაობა მეტად ეძნელებოდა, მაგრამ ხათრით უარი ვეღარ მითხრა. მუშაობა დაიყწო.

მე ყოველ წვრილმანს ვუხსნიდი, ის ხატავდა. მაგრამ მე გადავაბარებ. ყველაფრის დატევა მინდოდა ტილოზე, რაც კი რთველის სურათიანობას შეეხებოდა. ამიტომ ყველა წვრილმანში ვერეოდი, ვუხსნიდი, გულუბრყვილოდ ვუწუნებდი ზოგიერთ ნაწილებს და ჩემებურათ დამყავდა მისი ფუნჯი. დიდხანს მითმინა, ბოლოს, როცა ურემში შებმული ხარების ტანადობაც დავუწუნე, აიმღვრა, მრისხანედ მომაძახა „შენ რა გემოვნება გაქვს, ვაჭარი ხარ, დახლში დაჯექით!“ და გაქანდა კარში. ორი კვირა აღარ შემოუხედია...“

მაგრამ მხატვარს უმეტესად კომპრომისებზე წასვლა და შემკვეთელების კონტროლს ქვეშ უხდებოდა მუშაობა. აი დამადასტურებელი ცხობები ილია ზდანევიჩის დღიურიდან, რომელსაც არ იცნობს ქართული საზოგადოება:

...„ლაპარაკში ჩაერია სანდრო (მიკიტანი) და დავა აუტეხა ნიკოს სახისა, ხისა და ირემის გამო. ამტკიცებდა, რომ სურათში საჭიროა მთვარის ჩამატება. ნიკომ განაცხადა, რომ მთვარე საჭირო არ არის“.

...„სანდრო კოჭლაშვილი მუდამ ერევა ნიკოს საქმეებში და თხოულობს ხან ხის, ხან ფოთლების და სხ. ჩამატებას. ძლივს ვარიგებ. როგორც ეტყობა, ნიკო ვერ ახერხებს, რომელიმე სურათი თავისუფლად, სხვის ჩაურევლად დახატოს“.

...„სანდრომ სხვათა შორის სთქვა: ნიკოს უნდოდა დაეხატნა ხე და ზედ. შტოებზე დაეწყო თქვენი ხელები და წიგნები (ამ დროს ფიროსმანი ი. ზდანევიჩის პორტრეტს ხატავდა.) მაგრამ მე მაგიდის დადგმა ვუბრძანე. რაც შეეხება ირემს, საჭიროა ხე, თითქოს ირემი ზედ მიყუდებულა. მე ვუპასუხე,— ნიკომ ისე უნდა ჰხატოს, როგორც თითონ უნდა და მისთვის ბრძანების მიცემა არ შემიძლიან!“

თვით ფიროსმანაშვილიც გულისტკივილით წესჩიოდა ილია ზდანევიჩს:

—„ყველა ჩემს სურათებს მიფუჭებენ. მაგალითად, აი, ეს სურათი—კურდღელია. არა, რაღა უსათუოდ კურდღელი? რისთვის არის საჭირო? მაგრამ დაჟინებით მთხოვს: „ჩემი პატივისცემისათვის დახატეო“. რა ვქნა, ვხატავ, რომ არ დამემდურონენ, ამნაირად ყველა სურათებს მიმახინჯებენო.“

ნ. სოზაშვილი გადმომცემს: „თავმოყვარე ნიკალაი, საერთოდ ამაყი კაცი არ იყო. არასოდეს არ გაგრძნობინებდათ, რომ ის კარგი მხატვარი იყო. საკუთარ თავზე ლაპარაკი არ უყვარდა. სხვა მხატვრებისგან კი ყურები გვქონდა გამოჭედილი. ამას ვინ ჩივის, საწყალმა არც თავისი შრომის დაფასება იცოდა. მოგვიგდებდა სურათს და გვეტყოდა,—რაც გინდათ, მომეცითო!“ ფულს იქვე დახლში სტოვებდა.“

—„მიჯდებოდა ჩემი სარდაფის კუთხეში, მოითხოვდა არაყს, მწვანილს და დიდხანს იჯდა ჩუმათ. ხშირი ყოფილა, დუქანში მყოფ მოქეიფეებს შეუპატიჟნიათ, სუფრის „დალოცვა“ უთხოვნიათ, ჭიქის გაწოდებით. ნიკო ერთს კი ეტყოდა ზრდილობიანათ უარს, მერე თუ ჭირვეულად ჩააცივდებოდენ, უწყენდა. მთელი წლების განმავლობაში, მე ნიკო სხვასთან მჯდომი სუფრაზე არ მინახავს! ეს იცოდა ყველამ და მოკრძალებით ექცეოდნენ“...

როგორც პროფესიონალ ლოთს, ნიკოლას ყოველდღე უნდა. ეხვა. აბიტომ ყოველდღეც უნდა ეხატნა, ემუშავა, რომ ღვინის ფული ეშოვნა. სოზაშვილი ამბობს:—„ჩამოვიდოდა, დუქნის კარებთან დადგებოდა და კიბიდანვე ღიმილით მეტყოდა:—რა გინდა დაგიხატოო!“ დუქანში ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე ერთეული, ან შეზარხოშებული კოლექტივი, ნოსურნე თავის ანაკრეონტულ მომენტის აღბეჭდვისა საშვილიშვილოდ... ან თითონ შედუქნეს დასჭირდებოდა აბრის გამოცვლა, ან ჩანესტიანებული კედლის შელამაზება. ერთი სიტყვით ნიკო საჭირო კაცი იყო.

მაგრამ სხვა მხატვრებივით ფიროსმანი ფულზე არ მუშაობდა. თავის შრომას ის სცვლიდა მხოლოდ პურსა და ღვინოზე ნატურალური წესით. მოკლედ: ერთ ღარიბ სადილზე და ერთ ჩარექა ღვინოში.

—„ისევ ჩვენ თუ ვუყიდდით ხანდახან ჩვენი სვინდისით საცვალს, ხალათშარვალს!“ დასძენს მოქ. სოზაშვილი.

— ღვინო და სასმელი კი გამოულეველი ჰქონდა. არ დაუჭერდიო!“

მაშასადამე, „საწყალი ნიკალაი“ მუშაობის დროს უზრუნველი იყო მარტო სასმელით, რადგან მისი მომხმარებლები მტკიცედ ასრულებდენ ძველ ქართულ ტრადიციას. ასევე იყო ძველად ჩვენში. სამეფო კარის მხატვრებიც უმეტესად ნატურით იღებდნენ თავისს ჯამაგირს.

ШТУЧНЫЙ. ПОДСТАКАНЧИК-о.

12 მარტი. 1930 წ.

— ნიკალაი დღიური კაცი იყო, მუდმივი არ იყო... სმა'ზიც:

—„Штучный.

—„Подстаканчик-о.

მეუბნევა ყოფ. მიკიტანი ალექსა ჭიჭინაძე.

—„ხატვაც ხელდახელ უყვარდა, სმაც! დღეში ორ საათს მუშაობდა. მეტი არ შეეძლო. სიფხიზლით იშვიათად ჰხატავდა. თუ სასმელი ნაკლები ჰქონდა, ნამუშევარიც ნაკლები გამოსდიოდა.

—„ფუნჯით სჭამდა პურს! ღილიდანვე ჩამოივლიდა დუქნებს: თუ ვის ჰქონდა დასახატი. მეც თუ გუნებაზე ვიყავი, ვეტყოდი:

—„აბა, დამიხატე—მცხეთა, ტყე, არაგვი, მინდორი, ვენახი... თუ კამპანიაში ვიყავით, კამპანიას დავახატვინებდით.—„ეს ქათამი, ეს გოჭი, მწვანილი, ეს ფრთიანი ორაგული, ხილი, ღვინო, მეარღნე თავის „ხალთაბანდებით“.

—„დარდი ნუ გაქვს, გენაცვალე, ყველაფერი შიგ იქნება! ოღონდ ერთი მანეთი მომეცი საღებავები ვიყიდო. მოიტანდა საღებავს—კვარტიანით. სამზარეულოში გააწყობდა. წაგლესავდა ფუნჯზე. შემოგვხედავდა—დალევდა. ისევ ფუნჯს წაუსვამდა. კიდევ გადაჰკრავდა. კიდევ ფუნჯს შეატრიალებდა.—

სურათიც მზათ იყო.

—„მისი ნახატის მახანდა 1—2 მანეთი იყო. შევაჭრება არ იცოდა. ან ფული რათ უნდოდა? ცოტა პური, ცოტა სასმელი—ეს იყო საზრდო. ღამით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიეგდებოდა ჩემს სამზარეულოში ცეცხლთან. წაიხურავდა ტომარას ნაგლეჯს, ან ფალასებში ეძინა. მუშაობითაც სამზარეულოში ან დუქნის რომელიმე კუთხეში, ან ჭურჭლის სამრეცხაოში მუშაობდა. თუ არა ციოდა,—აივანზედაც... მუდამ ზარხოში იყო. მხიარული, უნაწყენო. მოუბარი. ამაყი. სახით—შავგვრემა. შავთვალწარბა. მომხო ულვაშება, ეშხიანი... ბოლო ხანებში გარეტებული დადიოდა. ნახევრად გიჟსა ჰგვანდა. კუთხეში ღვინოზე მჯდარი თავისთავს ელაპარაკებოდა. ამ ლექსს ხშირათ იტყოდა:

—„შენ ჩემო ძმაო ნიკალა,
„რათ გინდა წუთისოფელი?
„სახლათ მოგცემ სამოთხესა,
„იქ მოგიყა ყველაფერი,
„საპლიკაცათ გეყოლება—
„მიქელი და გაბრიელი!“

ალექსას უკვირს, თუ რა სუმბუქად დაჰქონდა ფიროსმანს თავისი შემოქმედების ტვირთი და შენიშნავს, რომ ნიკო „ტფილისის მხატვარია“, ტფილისია—მისი მხატვრობის ცენტრი და შემოქმედებითი ყურადღებაც აქეთ ჰქონდა მიქცეული.

ჭინკა

20 მარტი.

საბჭოთა ქუჩაზე მოლვაწეობს მეჩექმე „ჭინკა“—ჩემი ბავშობის ნაცნობი. ეს კუთხე „ფიროსმანის რაიონია“. ბოლო წლებში (1912—1918 წ.) აქა ცხოვრობდა. ჭინკაც სულ აქა ხელოსნობს. შესაძლებელია ნიკალას იცნობდა!

„ჭინკას“ დუქანი გამოუცვლია. წინათ ჩვენს სახლებში სცხოვრობდა. ახლა კი პირდაპირ გადასულა. მივაგენი. პატარა დუქანია. თავჩაღუნული ჭინკა ყვითელ მუზტასა სცემს გამოჭრილ ტყავს. თუმცა 1917 წლიდან აღარ შევხვედრივარ, მაინც მიცნო. გულისტკივილით მომიკითხა. ნახევარ საათში ყველაფერი მიამბო, რაც კი გადაეხედია, რაც შესამჩნევი რამ მოხდარა მის ცხოვრებაში.

ფიროსმანაშვილზე შევეკითხე. ჭინკას ეღიმება. ძველი ჩვეულება არ მოუშლია.—თავს არ იღებს მაღლა.

—„რა ვიცი, მაშინ ვინ აფასებდა? ჩემთან იყო. ჰხატავდა. სვამდა, „პიანიცი“ იყო.

—„მაინც რას მეტყვი, რას მოიგონებ?

—„მას მერე რამდენმა წელმა ჩაიარა? გუშინდელიც არ მახსოვს.

ჭინკას მართლაც უძნელდება მოგონება. მისთვის ძნელია დალაგებული ლაპარაკი და გავლილი ცხოვრების ანალიზი. თუ სიტყვამ მოიტანა, გეტყვის... ისე უხმო კაცია, ან რა უნდა მოაგონდეს? ხვდებოდნენ, სვამდნენ. ცხოვრებაში სხვადასხვა გზა ჰქონდათ. ერთმანეთი არ ეხარბებოდათ. განა ცოტა ჰყოლია ჭინკას ნიკალაის მსგავსი მეგობრები? სადღა ახსოვს?

ჭინკამ გაწყობილი ჩექმა გვერდზე გადასდო, თავი მაღლა აიღო და ელამი თვალი შემომაშტერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—„რა ვქნა, ისე მკითხამ, თითქოს უცხო იყო. „ვახ, ფრანცული ხომ არა ხარ, ჩვენსა არ გაიზარდე?

—„მერე?

—„მერე—შენ კი არ იცნობდი ნიკალას?

—„მე?..

—„არ გახსოვს, თქვენ სახლში დუქანი რო მქონდა, იქ არ „ეგდო“? შენ მაშინ შკოლელი იყავი. აბა შენ თითონ დაგვიწყებია, მე საიდან უნდა მახსოვდეს?“

მე გავშრი... უცბათ გამახსენდა დაფარული თვალი, სადღაც სახსოვარის ღრმა კუნჭული გახათდა.

—„ის? ის?“—უცბათ შევძახე.

—„დიახ, ყმაწვილო, სწორედ ის“...

მხოლოდ წრეულს, 20 მარტს გავიხსენე ცოცხალი ფიროსმანი.

1913—1918 წლებში, მოწაფეობისას, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდი. სახლი, რომელიც ჩვენი ოჯახის საკუთრებას შეადგენდა, გამოდიოდა ქუჩაზე წვრილი დუქნებით: სათუნუქო, სამკერვალო, სანავთე, თონე, საწვრიმალო, სახარაზო. უკანასკნელს ჭინკა განაგებდა.

ჭინკა დღეს შეჭაღარებულია. მაშინ ახალგაზდა, ყორანივით შავი იყო.

მაგონდება: დღე-ღამეები წაბმით თავწახრილი მუშაობს ჭინკა. ჩვეულებრივ მიდის მისი ცხოვრება. ამ შემოდგომას (1914 წ.) კი რაღაც ცვლილება დაეტყო. „სმა“ დაიწყო. ვინმე მხატვარი შემოეწვია. ხშირად ვხედავ ამ მოხნიანებულ კაცს ჩვენს ალაყაფის კარებთან. უფრო კი ჭინკას ქარხანაშია. ბინაც შიგ დაიდო. კუთხეში ხატავს. საღამოთი კი ერთად სვამენ. დაზგასთან მუდამ ღვინის ბოთლი მოსჩანს გარედან, სინათლეზე. ეზოში თავის ქნევით ამბობენ:

— ჩვენი ჭინკა გზიდან გადავარდა!

1914 წ. უცნობი მხატვარი ჩვენსას ტრიალებდა. უკეთ, ჭინკას სახელოსნოში. ხშირად ჭნახავდით მას ავჭალის აუდიტორიასთან მდებარე დუქნებთან, ქვევით, დღ. ჯაფარიძის მოედანთან (რომელ მოწაფეს არ ახსოვს იქ „ანდრიასოვის“ რვეულების ფირმა?). ის იდგა დუქნის წინ საღებავებში ამოგანგლული და მხიარულად ელაპარაკებოდა იმ დუქნის მუდმივ მუშტრებს.

ხსოვნაში ჩამრჩა:

მხატვარი ჰხატავს ჭინკას სახელოსნოში. გარშემო ხალხი ახვევია—მეზობელი მეთონეები, მეწვრიმალე ბიჭები, პატარა მოწაფეები, და თავაყრილი ხეტერეები. გაუთავებელი კამათია ნახატზე. ყველა თავის აზრს გამოსთქვამს მომავალ ნახატზე. მხატვარს საძრაობა აღარ აქვს, მაგრამ ვერავის ჰხედავს, ისეა სურათზე დაგულისგულებული. უცბათ, თითქოს გამოფხიზლებული ხალხს მიუბრუნდება:

— განი, განი!

— ნუ მიშლით, უკან დაიწით!

ერთხანს წრე გაირღვა. მაგრამ ჟრიამული ისევ ახლდება. ზოგი პირდაპირ სურათზე მიიწევს. ერთმა ლაღანდარამ თითიც კი დაადო ზედ, თავისი დებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების დასამტკიცებლათ. მხატვარი გაცეცხლდა. ფუნჯი კუთხეში გაფანტა, სურათი მიატოვა და ლანძღვით ქუჩაში გამოვარდა.

კიდევ მაგონდება:

ჩვენს ქუჩაზე სცხოვრობს ქოსა დალაქი („წვერცამეტა") როსტევან გრიგორიჩი. ზედმეტი სიტყვების მოლაპარაკე, მამაშვილურათ დამრიგებელი მუშტარგამშრალი ენტუზიასტი. კლიენტების გადმოსაბირებლად მან გადასწყვიტა სახელოსნოს გამშვენიერება. დეკორატიულ პლანში თავისი პორტრეტიც შეიტანა და მეთუნუქე სარქისას შუამავლობით ჩვენს უცნობ მხატვარს შეუკვეთა. წვერცამეტამ მალე სურათი ჩაიბარა, მაგრამ მხატვარს შარი მოუდო, არა მგავსო და მისი ჰონორარი „შეიტყაპუნა", რაზედაც სარქისამ საბრალოდ გალახა. შეწუხებული მხატვარი კი ორივეს აშველებდა. ეს უცნობი მხატვარი ჩვენი ეზოდან მალე გადიკარგა. ჭინკას სიტყვით, თურმე ფიროსმანაშვილი ყოფილა!

აღელვებულმა დიდხანს ველარ მოვიცადე ჭინკასთან. მინდა მოგონებები მოვიკრიფო!..

ახლა მე თითონ ვარ დასაკითხი!.

ფიროსმანის სამშობლო

27 მარტი.

სოფელი მირზაანი — ფიროსმანაშვილის სამშობლო, — მოზრდილი და მდიდარი სოფელია ქიზიყში — ათას კომლიანი მოსახლეობით. მდებარეობა საუცხოვო აქვს. გაშენებულია ცივ-გომბორის მთის მაღლობზე. მირზაანსა და ქიზიყის სულ ბოლო სოფელ ოზაან-ცლუკაანს ჰყოფს უზუნდარის ხევი, რომლის იქით ატყდება ნაყოფიერი, მოსავლიანი და საძოვრიანი — შირაქის ველი.

მირზაანი მთელს ქიზიყში განთქმულია ჯანმთელი ჰავით და უხვი წყაროებით, რითაც ერთი ორად მრავლდება ბაღის და მტილეულის მოსავალი. შირაქი — მისი ბეღელია და მისი საქონლის იალაღი. მირზაანში ახლა იფეთქა ნავთის შადრევანმა და აქ ნავთს ჰბურღავენ. მალე მირზაანიც შევა ინდუსტრიალურ ზონაში. ფიროსმანაშვილების გვარს 40—50 კომლი შეადგენს. ამ გვარს მთელი „ფიროსმანაანთ უბანი" უჭირავს. ქართულ სიგელებში ფიროსმანაშვილის გვარი ჯერ კიდევ XVIII ს. პირველ ნახევარში იხსენიება.

ნიკო ფიროსმანს სამშობლო სოფელი მეტად ჰყვარებია. როგორც სჩანს, პირველ ხანებში სოფელთან კავშირი მოუშლელი ჰქონდა. მისი ოჯახის წევრები გვიამბობენ, რომ ნიკო ხშირათ დადიოდა სამშობლო სოფელში და ხან ორი კვირითაც რჩებოდა.

საინტერესოა ფაქტი, რომ სოფლად ყოფნის დროსაც, მას არ ასვენებდა შემოქმედება. — „აქაც, სოფელში ჰხატავდა და დახატულს ნაცნობ-მეგობრებს უფეშქაშებდა. ყიდვით კი არ ჰყიდდა. ერთხელ, ქვემო მაჩხაანში ვიღაცას აბრა დაუხატა. მისი ნახატები მეც მქონდა, განაგრძობს ფიროსმანის და, — ვინახავდი, მაგრამ ერთ დროს წვიმა ჩამოგვივიდა სახლში და დამეღუპა მის წერილებთან

ერთად, რომლებიც ჩემთან იყო მოწერილი. შემდეგ კიდევ ერთხელ გადავაკეთეთ და სრულებით დამეკარგა“.

ნიკოს დისწული პართენა ბარამაშვილი გვიამბობს:

„მახსოვს, რომ ხატავდა მთვარეს, ვარსკვლავებს, ანგელოზებს, წყლის მზიდავ ვირებს, ქორწილს. ერთხელ საღებავები სილნაღიდან ჩამომატანინა და აქ ჰხატავდა. არ ვიცი, სურათი ვის გადასცა, ვისთვის უნდოდა“.

თბილისში სარძევე დუქნის გახსნის შემდეგ ნიკო აღარ გაჰკარებია სოფელს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამ წაიყვანა მირზაანში, ცოლის შესართავად.

ფიროსმანს დროს ტარებაც ჰყვარებია თავის სოფელში:

—„ძალიან უყვარდა ღვინის სმა. აქ (მირზაანში) რომ ჩამოვიდოდა, მომეტებული ხანი ქეიფობდა“-ო—გვიამბობს ფიროსმანის და. საინტერესოა რომ „სმა“ დაუწყია ბევრად ადრე, ვიდრე მოხეტიალე ცხოვრებას დაიწყებდა. მისი მეგობრები შენიშნავენ, რომ „სმა უყვარდა“ ჯერ კიდევ მაშინ, როცა საკუთარი დუქანი ჰქონდაო. სიმონ პობიაშვილი, ნიკოს ნოქარი გადმოგვცემს —„სმა უყვარდა. უფრო არაყს ეტანებოდა. ხამუშ-ხამუშ სვამდა, ყოველ დღე“. ამასვე ადასტურებს დიმიტრი ალულიშვილი—ფიროსმანის კომპანიონი და მხატვარი გიორგი ზაზიაშვილი.

ფიროსმანის კომპანიონი და „ტვინდასეტყვილი ნიკალაი“

28 მარტი.

ფიროსმანის საეაჭრო კომპანიონი ცოცხალი ყოფილა! მაგრამ პოვნა გამიძნელდა. წინეთ თურმე ბაზარში მწვანილით ვაჭრობდა. სად არის ეხლა?

მისი სახელია დიმიტრა. გვარი—ალულიშვილი. მის ნათესავს მსახ. ვასო ალულიშვილს შევეკითხე: ვასომ თავი გაიქნია,—ცოცხალი აღარ უნდა იყოსო. ყოველ შემთხვევაში არაფერი იცის. ჩემთვის კი მეტად საჭიროა დიმიტრას ნახვა. ფიროსმანის ცხოვრების პირველ პერიოდის მენაწილეა, ფიროსმანის ახალგაზდობამ მის თვალშუა გაიარა.

დილიდანვე გამოვდივარ ყასბების რიგში. („მეხბორეების რიგს“ ეძახიან.) მთელი ბაზარიც მოვიარე. ტფილისი მაინც აზიური ქალაქია. კითხვა-კითხვით ვის არ იპოვი? დიმიტრაც მთლად უცნობელი არა ყოფილა.

—„არც ისე დაკარგული ვარ“...

მივაგენ. ჯერ მწვანილის ბაზარი მიმასწავლეს. იქიდამ კი ნამდვილ გზაზე დამაყენეს (ანჩხატის ზემოდ, ვიწრო შესახვევში), ხუთმეტ წუთში დიმიტრას მართლაც მივაგენ. კოლოფისტოლა დუქანია. წინგარდზე ჩარიგებულია წნური კალათებით: წითელი ბოლოკი, ქინძი, ტარხუნა, კართოფილი, შიგნით—საწვრიმალო.

მინდა შევიდე, თითონაც ვერ ეტევა პატარა მუშტრებით. ბავშები ყიდულობენ კაპეიკიან ირისებს და შემდეგ წკეპლის ცხენებზე გამორბიან. დიმიტრამ დამინახა, სახეამღვრეული გარეთ გამოდის და მეკითხება, თუ რა გადასახადი-

ეროვნული

სათვის ვარ მოსული. მისამართი შემშლია. ინვალიდის კვალობაზე: ეს ყველაფერი აქვს გადახდილი და უკანვე 'მედის მოწმობების გამოსატანათ. ეს ჩემი პორთფელის ბრალია. მუდამ საფუძვლიან ეჭვს იწვევს ნიკალას მეგობრებში.

მე დროზე ვაცნობე, ჩემი მიზეზი: მოხუცი ერთწამს დამშვიდდა. ახლა სხვა მღელვარება შეეტყო და სახე აეტკრიცა.

— ეს ხომ ის კაცია, ფიროსმანის დალუპვას რომ აბრალებენ და გზის შეშლას ცხოვრებაში? აი სწორეთ ამან ჰკრა ხელი თურმე „საწყალ ნიკალას“ და სარდაფების კარი უჩვენა.

იქნებ მართალია ყველაფერი და მიტომ მიყურებს თვალდაფეთებული? საკვირველია, რაც არ უნდა შეეკითხო, დიმიტრა მაინც ამტკიცებს, რომ მისი კომპანიონი „ტვინდასეტყვილი“ კაცი იყო და ათას რამეს ჩაგიარაკებს:

—„მსმელი და მხატვარი!—ასეთი ბედოვლათი განა დუქანს გაუძღვება? დალუპა თავისი სარჩო და მეც ზედ წამაკლა!“

ჩვენს ლაპარაკში ბავშვები შემოდიან. დიმიტრაც კაპეიკობით სოვდაგრობს.—„ერთი თვეა მანეთიანი არ მინახავს“—მაგრამ დიმიტრამ იცის კაპეიკის ყადრი:

„რა გატირებს კაპეიკო, პატარა?
„მოითმინე, გაიზრდები თანთანა!“

... „ნიკალაი ქალაქში გავიცანი პირველად, თუმცა ქიზიყიდან მეზობლები ვართ.—დაიწყო დიმიტრამ, შეზომილი საუბარი თავის ჭიჭინობელა სკამზედ.

—„მე, ერთს ოჯახში მზარეულათ ვეყენე. ისიც—ვინმე სომხის ოჯახში ლაქიობდა და მზარეულობდა. გამართული „პოვერი“ ვერ იყო. ხშირათ მოვიდოდა ჩემთან და მკითხამდა რჩევას საჭმელების გაკეთებასა თუ შენელებაზე. იმ ოჯახიდან გამოსვლის შემდეგ—მხატვარ ბაშინჯალიანთან იდგა მოსამსახურეთ, მაგრამ ნიკომ ვერ აიტანა და გამოიქცა. ბატონი თურმე ხატვას უშლიდა და კიდეც გასჯავრებოდა. მერე რკინის გზაში შევიდა, მაგრამ გონებაზე ვერ იყო. სიტყვა და პირი ნიკოს არ სწამდა, მეორე დღეს გადააბრუნებდა. ერთ ადგილზე ვერ ჩერდებოდა.

— „თვითრჯული იყო!

— „ჭკვაშეფრქვეული!

...—„ჯერ შიკრიკათ იყო რკინის გზათა სამმართველოში, მერე საქონლის მატარებლის კონდუქტორათ—განჯის მხარეში. მაგრამ აღარც იქ დადგა! ავათ გახდა და სამსახურს თავი დაანება. იქიდან გამოსვლის დროს დახმარება მიიღო, იშოვნა სათავნო ფული და სარძეო დუქანი გახსნა ვერის თავდაღმართზე (სადაც დღეს მელიქ-იზარიანცის სახლია). ორ წელიწადს ვაჭრობდა. საქმე კარგათ წაუვიდა.

„— ერთ დღეს ჩემთან შემოვიდა და შემეკითხა: „იარმუკაში“ დუქანი მინდა გავხსნა, შენ რას იტყვიო? მე გადმოსვლა ვურჩიე. ლაპარაკი ლაპარაკს შეჰყვა. მეც თვალში მომივიდა და ორივემ შეამხანაგება გადავწყვიტეთ. თქმა იყო და გასრულება.

— „დუქანი გავაღეთ. სარძეო საქონელი უხვათ გვქონდა: კარაქი, ერბო, მაწონი, თაფლი, ყველი (დიდკაცობის მზარეულები სულ ჩვენთან ვაჭრობდენ— ჩვენი მცნობები და მეგობრები იყვნენ). შადინოვმა—კრედიტი გაგვიხსნა. საქმე კარგათ წაგვივიდა. ერთმანეთს უფრო დაუახლოვდით. მე შვილი მოვანათლინე და ოჯახში დავიშინაურე.

მაგრამ მისი ხასიათი მალე გავიგე. ვაჭრობა ეზარებოდა და კიდეც თაკილობდა. ზაფხულში, გაჩაღებული ვაჭრობის დროს მიმატოვებდა, ორი ვირის საპანე მწვანე ბალახს იყიდდა, აიტანდა დუქნის თავზე საკუთარ „ბალახანაში“, გაიშლიდა და გამოეხვევოდა:

— სოფელში რომ ვერ მივდივარ, ეს მიამებაო!

— „დუქანსაც იამებოდა?“

— „მე როგორც თავგზიანი, დახლში ვიდექი. თითონ ის, ან კარებთან იდგა აყუდებული, ან ბალახანაში ჰხატავდა. მოიყვანდა რომელიმე მეზობელს, დააყენებდა და ეტყოდა:

— „მოდი, ისე დაგხატო, შენზე მაიმუნი არავინ იყოსო. ერთხელ, მეც დამხატა. თურმე უჩუმრათ გადამიღო ვაჭრობის დროს. დიდხანს ვინახავდი სახლში ამ სურათს, რაღაც საზარელი შესახედი ვიყავი, შავფერი... ბავშვებს ეშინოდათ, დავწვით..

— „როგორც გულქართლი ვარ, ისეთი ძმობა დაუდე. ისიც ჩემზედ იყო დაგულისგულებული. ჩემი ოჯახის კარები მისთვის ღია იყო. მაშინ კუჭის ავათმყოფობა სჭირდა—კატარი. ექვსი თვე კუჭი ვუზილე (საბრს ვახვევდი პურის გულში ისე ვაყლაპებდი).

„მაგრამ ეხლა ხომ გზას მართალს არის?

ერთ დღეს შეიპეპლა. ისეც მოსწრაფებული იყო, გასაღები გამომართვა,—აღარ მინდიხარო! დამითხოვა... მაგრამ უჩემობა მალე დაეტყო. თაგვებმა აიკლეს. ისევ მომძებნა. ისევ შევამხანაგდით, მალე ასი თუმანი ფული ბანკში შესანახათ შევიტანეთ.

— ნიკალა ისევ ჰხატავდა, ისევ ბალახანაში ნებივრობდა. მე კი ვვაჭრობდი. ვინ იცის, იქნებ იმასაც ტკბილად ეცხოვრა ამ ქვეყანაზედ, რომ ჩვენ შორის ხვანჯიანი ენა არ ჩარეულიყო?

„სოფლათ ხმა გავარდნილიყო,—ნიკალაი გამდიდრებულაო! დასაც გაეგო და ერთ დღეს ქმრიანათ გვეწვია. ჩვენში ასე იციან, თუ კაცმა ცალი ფეხი სიღარიბიდან ამოათრია, დახმარების მაგივრათ, მეორე ფეხიც ამოაღწიოს, ღარიბნათესავები იმ ერთ ამოწეულ ფეხსაც უკანვე ჩაადგმევინებენ. ნიკოსაც სუნი დაჰკრეს და მსუნაგებივით დაეხვიენენ. დაიც და სიძეც დაუოროლდნენ. თურმე ღამეობით ჩურჩნიდენ:

— დიმიტრა მპარავიაო!

— დიმიტრა მჭამელიაო!

— დიმიტრა მუხანათიაო!

— გააგდეო, გაეყარეო!

„თუმრმე მრავალი უსამართლობა გააჩინეს ჩემზედ, ქარიყლაპიეს.

— „შენი ქონების უფალი შენვე უნდა იყოო!“

„უჩემოთ უფრო კარგათ გასძარცავდენ. მოქსოვილი ენა დაატრიალეს. ქარიყლაპიამ ყველა დაიჯერა. სამივემ დაასკვნეს:

— „დიმიტრა გავაგდოთო!

„თურმე ჩემი ნაცვალგარდაც იშოვეს:

— „დახლში მისი სიძე უნდა დამდგარიყო. ის კი იყო ნამდვილი დამაქცეველი!

„ეს არ აკმარეს. მაშინ ქიზიყში დიდი შიმშილობა იყო. ახლა ურჩიეს, ბანკიდან ფული გამოიტანეო, თეთრი ფქვილი ივაჭრე, ქიზიყში კარგ ფასად გავყიდითო. თან სოფელში გაიპატიჟეს დასაქორწილებლათ. ნიკალა დაათათბირეს. ერთი ფურგუნი თეთრი ფქვილი ქიზიყს გაისტუმრა (ვინ იყიდდა თეთრ ფქვილს ქიზიყში?), თან ჩოხა-ხანჯალი იყიდა და ჩაქარქაშებული, შეთოფიარაღებული ქიზიყს წავიდა ცოლის სათხოვად და ბედის გასასინჯათ.—“

„ო—ო—ო—ო! როგორ უქროდა, მაშინ ნიკალაის.—დამ და სიძემ საწადელი აისრულეს. ფქვილი ჩალის ფასათ გაუყიდეს, ფული მიისაკუთრეს და რაც საწყალს ჯიბის ფულათ გადარჩა, ამით თავისი ძველი სახლი შეაკეთებინეს, თუნუქით გადაახურინეს. მერე ორთავემ გამოუცხადეს:

— „შენ გიჟი ხარ, ან ცოლი რათ გინდა, ან ფულიო? აიღეს და გამოაგდეს..

...„როგორც ელდა, ერთ დღეს გამტვრიანებული და გახვითქებული ნიკალა კარზე მომადგა. ჭკვაზე უფრო შეფრქვეულიყო. ხელში ხანჯლის შვილი ეჭირა და სხაპასხუპით გაიძახოდა:

— „გამომაგდეს, გიჟი ხარო! თუ სადმე ჩემ სიძეს მოჰკრა თვალი, შემატყობინე, ამ ხანჯლით უნდა მოვკლაო!

— ...„უცბათ დაიჩოქებდა. ტიროდა, თან იატაკს ჰკოცნიდა. თვალები გადაუტრიალდებოდა და ხელებს მაღლა იშვერდა:

— „მთავარანგელოზი მამევლინა!

— „წმინდა გიორგი გამომეცხადა!

— „ხელში მათრახი უჭირავსო!

— „აგერ, აგერ, ვერა ხედავ, აქა დგაო?“

— „მე შევშინდი. არ ვიცოდი, რა მექნა. ტკბილი სიტყვებით შევესაყვარლე. დაწყნარდა. კოცნა დამიწყო. მერე სრულ გონებაზე მოვიდა. დონეზე დადგა.

... „ისევ მივეშველე. საქონელი დავაწყე და დუქანი ახლათ გავმართე. არ გამოვიდა დიდი ხანი, ავაზაკი სიძე ჩამოვიდა. ნიკალა ხანჯლით გამოუდგა. მეც ბევრი ვუსაყვედურე:—რათ აუშალეთ ბუდე ტყუილათ!“

„მაგრამ ვინ დამიფასა? ერთხელ, როცა სასყიდელზე ვიყავი წასული, ჩემი წილი ბარგი და საქონელი გამოეყარა და სხვისათვის მიებარებინა. თითონ კოჯორში წასულიყო, გავაღებ რასმეო. ზაფხული იყო. თითონ საქმე ვერ დაეწყო რა. ან რა საქმის დამწყობი იყო? ფული საზანდრებში და ამხანაგებში გაენია-

ეებინა. მალე ოხერმოხეტე შეიქნა. ამბავი მომიტანეს, გაჭირებაშიაო! მეწყინა! ხუთი მანეთი ხარჯათ გაუგზავნე.

„შემოდგომა დადგა. ხალხი აგარაკებიდან ჩამოიწმინდა. ნიკალასაც კოჯორში აღარ ედგომილებოდა. ერთ დილას, ვხედავ, გაშიშვლებული ნიკალაი დამდგარა „მეხბორეების რიგის“ ბოლოში და შორიდან მეძახის:

— „ნათლიმამ, მიმიღებ თუ არაო?“

„მე ახლოს მიველ. ალერსიანათ ხელი მოვკიდე: — მოდი, ნიკალაი, მოდი, ნუ გეცხვენიან!

— „მერიდება შენი. ბევრი ოინები მიყვეს. ახლა ყველამ დამტოვა. აკი ისევ შენ დამეხმარე. მადლობელი ვარ..“

— „ნურსად ნუ წახვალ, დადინჯდი. ჩემთან დადექი. დღეში მანეთს მოგცემ. დამიჯერა. თვე დარჩა. მაშინ იყო, რომ მხატვრობის ალი მოედო. ვინც არაყს დაალევინებდა, და ჰხატავდა. მაგრამ უფულობით კარგ საღებავს ვერა ხმარობდა.

— „მე ჩემი პირობა გაუთავე. ყოველდღე მანეთი მქონდა მისთვის გადადებული. ის კი არაყში ჰხარჯავდა. შემდეგში ჩემგან ფულის აღებაც დაირცხვინა. ორჯელ, სამჯერ — კიდევაც იტირა.

— „რათა სტირი?

„შენ მირონი დამიფასე, მე კი ვერა, ეს მატირებსო!“ დიდხანს ველარ იდგომილა ჩემთან. ეხათრებოდა. მერე ვაგზალს შეეჩვია. იქ ნაკლებ იცნობდნენ. ახატვინებდნენ და ასმევდნენ.

„ერთხელ, საქმეზე ჩავიარე ვაგზალში. ქუჩაში დამხვდა ჩამოხეული. შერცხვა და ტელეგრაფის ბოძს ამოეფარა. მიუახლოვდი. თავი დაღუნა და ამოიკვნესა.

— „არ გენანებიო?

— „რა გინდა, ნიკალაი, რა გიჭირს?

— „არაყი!“

— „ერთი მანეთი მივეცი...

— „უყურე, დამ რა მიყო? შენ ცოლშვილიანი, კიდევ მე — „ხმელ კაცს“ მეხმარებიო. რათ მაძლევო?

„მე უთხარი:

— „გაძლევ მისთვის, რომ ჭკვის პატრონი არა ხარ. პურის ფულს რათ აქრობ არაყში?

— „რა ვქნა, თუ არ დავლიე, ვერ დავხატავ!

—

ასე ლაპარაკობს დიმიტრა. თურმე ამდენი ამაგი ჰქონია ნიკალაიზე, მაგრამ სიკეთისათვის სიკეთე როდის ქნილაო? ნაკარგკაცევი ვინ დაუფასა? ამის მერე კიდევ იტყვიან ფიროსმანაშვილის მეგობრები:

— დიმიტრამ დაღუპაო!

— „დიმიტრამ ყელი გამოსჭრაო?!“

— რა ვქნათ, დაუჯეროთ დიმიტრას?..

საუბრის დასრულებისას დიმიტრას ცოლიც შემოვიდა.

— „შენს ნათლიაზე ვლაპარაკობთ! გააფრთხილა ქმარმა.

— „ნიკალაიზე? საწყალი, ღმერთმა შეიწყალოს!

— „რა მშვენიერი ვაჟკაცი იყო?—ჯანიანი. ზღვის ლერწამივით ბრესილი... ქალი არ იქნებოდა ისეთი ლამაზი, როგორც ახალგაზრდობაში მახსოვს. ტუჩის ნაპობი, ტანის მოყვანილობა, ყელყური, სახე—მშვენიერი.. დუქნის გახსნამდე ჩოხა ეცვა. მერე რუსულათ. ჩოხა კიდევ ერთხელ ეცვა, ქიზიყიდან რო დაბრუნდის რა ლამაზი ვაჟკაცი იყო?

— „ეხ, საწყალი! თავი ტყუილად გაიფუჭა! დაუდგომელი კაცი იყო, ცხრაწვენა. *) ყოველთვის არეული მახსოვს. სუფრაზედ ათ წუთს ვერ გაჩერდებოდა. სულ უნდა ჩიტივით ეტრიალა და არაყი ესვა...

— „მართალია, მართალი!—უდასტურებს დიმიტრა.

— „როცა დავპატიჟებდი ოჯახში, მეტყოდა:

„სადა მაქვს თავი ხალხის ჟლავილისაო? წავალ ისევ ჩემს ბალახანაში, იქ მირჩევნიაო!“

... „საშინელი ეპვიანი იყო.—განაგრძობს მანდილოსანი,—თუ სიტყვას კარგათ არ აუხსნიდი, გაგიჟდებოდა. თუ პატივსა სცემდი და დაპატიჟებდი, გეტყოდა: „რათა მპატიჟობ, თუ გულში ეშმაკობა არა გაქვსო?“ მუდამ ვერიდებოდით! გვეშინოდა. ერთ სიტყვას არავის დაუთმობდა. თან ადვილი დამჯერიც იყო ბავშვივით“.

— „მართალია!“ ჩაურთავს დიმიტრაც.

— „მე, როგორც ნათლიდედას, პატივსა მცემდა. განჯაში რომ კონდუხტორათ იყო, ბროწეულებს ჩამომიტანდის ხოლმე.

... „ერთხელ, დამ წაიყვანა სოფელში,—უნდა დაგაქორწილოთო. იქ მოატყუეს და შიშველი გამოისტუმრეს. ერთ ზაფხულ საღამოს დარდიანათ ვიჯექი აივანზე. უცბათ გიჟივით ამოვარდა კიბეზე, გადამეხვია და მაკოცა.

— „მიშველეთ, მიშველეთო!“ მერე დაიწყო ყვირილი...

— „ჩემი წმინდა გიორგი!

— „მთავარ-ანგელოზი დიდთვალება!

— „მათრახით მადგა თავზე, მეძახის:

— „ნუ გეშინიანო!

„მერე დაწყნარდა. მოიბოდიშა:

— „ნათლიდედ, ხომ არ გეწყინა, რომ გაკოცეო?

საწყენათ არ მიიღოო. ახლა თავის თავგადასავალს მომიყვა სოფელში:

— „დას მიტომ წავყე სოფელში, საღვთო უნდა დამეკლა, ჩემი წმინდა გიორგი მელოცნაო. საღვთო თვითონ შეყლაპესო, თავად მშიერი გამომიშვესო“.

„მე ვანუგეშებდი. ის კი ამღვრეული გაიძახოდა:

— „მე ჩემი წმ. გიორგი მწამსო! რომ დავწვები, წმ. გიორგი დამადგება თავზე მათრახით ხელში და მეუბნება:

— „ნიკალაი, ნუ გეშინიანო!“

„მეორე დღეს, თავისთავად ჰხატავს ფუნჯიო“.

„მისი მფარველი კიდევ მთავარ-ანგელოზი იყო. ისიც ხშირად ეცხადებოდა.

* ცხრაწვენა—ცხრაპირა, ერთ სიტყვაზე, დაუდგომელი, გადამთქმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— „ისინი მახატინებენო!“

... „სულ პირველათ დუქანში ჰხატავდა.

— „ნათლიდედ, მოდი, ჩემს ნახატებს უყურეო. მიმიყვანდა. მაშინ სულ შიშველ ქალებს ჰხატავდა. მრცხვენოდის ხოლმე, თვალს ვერ ვუსწორებდი.

— „უყურე, უყურე, რა ნახატებიაო. დახე, რა ვარო!“

„სურათებს ხან ვის აჩუქებდა, ხან ვის. მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევდა.

... „მე და ჩემი ქმარი ნიკოს დაცოლშვილებას ვფიქრობდით. ქალიც აჩენილი გვყვანდა კარგი ოჯახიდან. მაგრამ ნიკომ ქვას შეუშვირა თავი. ერთხელ ყვირილით მომაძახა:

„—თავი სადა მაქვს შვილის ჩხავილისა, ცოლის ლეჩაქისა და კაბისაო? მე ვიცი მარტო:

— „დამისხი!

— „დალიეო!“ ო

— „თითონ ოჯახი არა ჰყვანდა, არც სხვისა მოსწონდა!—იძახის დიმიტრა. ერთხელ, შინ არ ვიყავი, ჩემი ცოლისთვის ეთქვა: „თავი გაანებე დიმიტრას, სხვასთან გღალატობსო!“

— „არ ვიცი, ჩემმა ქმარმა გითხრათ თუ არა, ნიკო ჩემი პატარა ქალის მომნათლავი იყო და ჩემი დის მეჯვარეც. ხანი გზმოვიდა, ჩემი დაი ნინა—შვიდი თვის ჯვარწერილი, მოკვდა. ნიკალას ძალიან ეწყინა, ცუდი ხელი მქონიაო! გაგიჟება უნდა გენახათ, როცა მის ნათლულიც, ჩემი—სამი წლის მარუსა მოგვიკვდა.

— „ორივე მე დაველუპეო!—ტიროდა. ჩვენზე მეტს ის გლოვობდა..

— „წლის წირვაზე რომ გავედით სასაფლაოზე, ნიკალაც მოვიდა ყვავილებით. წამოუჩოქა საფლავს და მოუტირა. ღვდელი წესს ასრულებდა. ნიკალაის ღვდლები ეჯავრებოდა. აქაც ვერ მოითმინა. შემოსილ მოძღვარს ხელი გაჰკრა და გააგდო.

— „ჩემი ნათლული მტრედია, ანგელოზია! ცაში წასულა! ამ ეშმაკს აქ რა უნდაო? უნებურად ყველას გაგვეცინა. თითონ კი ტიროდა. უცბათ ისევ წამოხტა:—„განა მე კი არ მოვკვდები, რა მატირებსო. ბოლომდის ხომ ვერ ვიცოცხლებთო? ადექით ჩქარაო!“ და ყველანი გამოგვრეკა სასაფლაოდან: იმ დღეებში ხან ტიროდა, ხან იცინოდა:

— „ჩეში ტირილ-სიცილისა არ შეგეშინდეთო, უბედური ვარო!“

„ვიცოდით და გვეცოდებოდა. თითონაც გრძნობდა,—შუბლზე ხელს მიიდებდა და იტყოდა —ქართველები კარგი ხალხი ვართ, მაგრამ აქ არ მიყრიაო!“

კიდევ ბევრს ლაპარაკობენ ცოლქმარი.. საუბარი ერთი აზრისა და ტენდენციისაა. დასკვნა ასეთია: „ტვინდასეტყვილი ნიკალა“—კომერციისთვის არ იყო გაჩენილი. ასეთი კაცის მეგობრობით რა სარგებელი უნდა ჰქონოდა დიმიტრას?

და ეხლა თუ კარგი მხატვარი გამომდგარა, (რა უყოთ მერე?)—ღმერთმა შეარგოს! დიმიტრა ამაში არც შეედავება.

რა უნდა ჰქონდეს ცოლქმარს საწინააღმდეგო?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ მესხიშვილთან

30 მარტი

— „სად იყავით მაშინ?. მეუბნევა თავის სარდაფში ღვინის ვაჭარი მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი. და თან ძველს-ძველ ნატაციებს მიკითხავს. გამკვირებია, თუ ნიკო გამოჩინებული მხატვარი ყოფილა, რატომ ყურადღება არ მიაქციეთ, როცა დუქან-დუქან გზას იყო გაკრული მშიერი ძაღლივით. მთელი ტფილის ქალაქი სურათებით გამოქედა, თვალები სადა გქონდათ? ქართული საზოგადოების წესია, ასე არ უყავით ვაჟაფშაველას, ნინოშვილს? „მაგრამ თუ ნიკო დიდი კაცი გამოდგა, ქება და დიდება ისევ ჩვენ.—ჩვენმა პურ-მარილმა გააძლებინა!“

მოქ. მესხიშვილი „მწიგნობარი“ კაცია. 1895 წლიდან ყოველ დღე კითხულობს გაზეთს. იცნობს: ილიას, ყაზბეგს, აკაკის, გორკის, სოკრატს (როგორც თითონ ამბობს).

— „სიკვდილის თანამდები ვარ, ტყუილს ვერ ვიტყვი, ღვინო იყო მისი მახრჩობელა. როგორც ფუტკარმა დილის მანანა აიღოს, ისე უნდა დაევლო ღვინის დუქნები. თითონაც დაუქნელი ღვინოსებრ იყო, ერთ ადგილას ვერა დგებოდა. ხან ჭკვიანად მოგეჩვენებოდა, ხან „ჭკვაგაფლანგულათ“. ჩვენც გვეცოდებოდა და ხელს ვატანდით: „მდიდარი მოძმე საფლავშიაც გამოსადეგია, მისი საკმელი მეც მამედინებაო“—მართლა უთქვამს ღარიბს. მოვიდოდა ნაბახურევი (ახცახით, ღვინოს მოითხოვდა. ნალდზე სვამდა მუდამ. ერთხელ პატარა ვალი გაჭყვა და მესამე დღეს ეს სურათი მომიტანა. („მწოლიარე ქართველი ქალი“— შევიძინე ეროვნული გალერეისთვის გ. ლ.)

„როდისღაც ვუთხარი:—ნიკო, გეყო ამდენი წანწალი, მოდი ჩემთან, მოჯამაგიოედ იმუშავე. თვიურ ჯამაგირს დაგინიშნავ, ოთახს, ტანისამოსს მოგცემ, კვირაში ერთხელ აბანო გექნება. დღეში—ჩარექა ღვინო. გაიჩინე შენთვის ყულაბა და დამშვიდებით იცხოვრე. როცა ჩემი საქმეებიდან მოიცლი, იმხატვრე, არას დაგიშლი.

— გაიცინა: „ბორკილებს ვერ გავიყრიო“!...

რასაც გინდოდა,—დაგიხატავდა. საღებავები ჯიბით დაჰქონდა. სპიჩკის კოლოფზე ლომი ეხატა ხოლმე, გახსოვთ? ერთხელ ასეთ კოლოფიდან ლომი გადმოიხატა. რა სურათიც მიგეცათ მიმზგავსებით დაგიხატავდათ. ბევრი აქვს ასე გადმოხატული წიგნებიდან სხვისი დაკვეთით. სხვათაშორის ჩემი პორტრეტი გაადიდა. (შევიძინე ეროვნულ გალერეისთვის. გ. ლ.) იმ ხანად ზაზიაშვილი *) მესტუმრა. მისი ნამუშევარი დაიწუნა და თითონ წაიღო დასახატად. მომიტანა ტუშით გადიდებული. ფული არ აიღო. ჩარჩოც თითონ ეყიდა. რა მშვენივრება იყო!—არა, სად ნიკალაი, სად ზაზიაშვილი? გიორგი — „სამი გაფრენით მეტია“. ნიკო ხან მხატვარი გეგონება, ხან—„მხატვარი, ველარ მხატვარი“.

— ჰაი, ჰაი, ნიკალაი!“..

---

*) გ ი ო რ გ ი ზ ა ზ ი ა შ ვ ი ლ ი—სახალხო მხატვარი, მღებარი, აბრების მწერალი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ე გ ო

2 აპრილი

გამიგონია, ფიროსმანს ჰყავდა ძმობილი და მეცენატი—„ბ ე გ ო“ გახსოვთ ფიროსმანის სურათზე წარწერა: „კამპანიას გაუმარჯოს, ბ ე გ ო ა მ რ ა ვ ლ ო ს!“ ბეგო თურმე მუხრანის ხიდის სიახლოვეს სცხოვრობს.

ავლაბრის აღმართის ძირში, არეულ ხალხში, ერთს ჩამოგლეჯილს და ფეხშიშველა კაცს მხარზე ხელი დავადე:

— სადა ცხოვრობს ბეგო?

უცნობი შეკრთა. ჩემი დანახვა არ ესიამოვნა, მაგრამ ვეღარ დამალა, რომ თითონ ის—ბეგოს ძმაა. როგორც მერე გავიგე, „ფინისპეკტორად“ მივეღერადგან გაკოტრებული ბეგო სამჯერაც „იჯდა“ ფარული ვაჭრობისათვის, ძმას მეოთხე საფრთხე ჩემგან ეგონა. წამიყვანა და მტკვრის პირას ბეგოს ქოხს მიმაყენა. მე გარეთ ვიცდი, ვრცელი ეზოა. ლოდინი არ დამჭირდა. იმ წუთშივე ფიცრულიდან გადმოხტა შავი კაცი და ჩემს წინ აიყუდა. ასე იციან გადმოვარდნა. ხანძარში·

— „მე გახლავართ ბეგო, რა გნებავთ? (თან ღელავს, ალბად არყის ფარულ ვაჭრობაზე მიუსწარი.)

როცა ბეგომ გაიგო, რომ მხოლოდ „ნიკალაის“ ამბების შეტყობა მინდოდა, თავისუფლად ამოისუნთქა. ბეგო გახარებულია. სულსაც არ დაიშურებს ამ საქმისათვის:

— „ხუთი წელიწადი ერთი პურმარილი გვქონია, როგორ დავივიწყებ...

ერთ იჯრაზე ძნელია ყველაფრის მოგონება. დრო უნდა. ნიკალას სიცოცხლემ ამის თვალებქვეშ გაიარა. როგორ არ ახსოვს? მაშინ ბეგოს ხელში ხაზინა უტრიალებდა, „ფულანდარი კაცი“ იყო და „ქვეყანაში ერთი სახელი მასაცა ჰქონდა.“ „ახლა კაცობიდან ჩამოვარდა“ და ძნელია ლაპარაკი ამ საკვნესებელ გულზე. მაინც ბეგო ხსნის მახსოვრობის უჯრებს და ენად გაიკრიფა.

— „მთელი სიცოცხლე სმაში და ხატვაში გამოაღამა! ჰხატავდა,—სასმელი ეიშოვოო, სვამდა,—კარგათ დავხატოო!“

თურმე ბეგოს ისე არაფერი უკვირდა ფიროსმანისა, როგორც მუშაობის სისწრაფე. პირველ ღირსებად უთვლის.

და მოგიყვებათ—

ერთ გაზაფხულის დილას, ნიკოს მუშამბა ჰქონდა გადაჭიმული და ფუნჯიო ხელში თავისი მეცენატის ბრძანებას მოელოდა, თუ რას დაახტვინებდა. ბეგო ერთ საგონებელში იყო ჩავარდნილი, რა მოეგონებინა. მანამდე ყველა სუბიექტური შესაძლებლობანი ამოეწურათ. აზრისთვის ბეგო გამოდის ქუჩაში და თვალს მოჰკრავს დაჩარდახულ ურემს—თელეთის მღოცავებით. ურემს ვერძი ჰყავს გამობმული. უბია წითელი ხარები. წითელ ხალათა ბიჭი შოლტით ერეკება. ბეგოს დუქნიდან გამოყავს ფიროსმანი, ამ სცენის დახატვას სთხოვს.

— „ნიკო ურემს დააცქერდა, დუქანში შებრუნდა და ფუნჯს ხელი დასტაცა. მერე ერთხელ კიდევ ამოვიდა და როცა შემობრუნდა, [illegible] მოიფხოვა. ფუნჯზე არაყს აშველებდა... მეორე დღეს სურათი ჩამაბარა—ჭკვიდამ შემშალა, ისე იყო დამზგავსებული!“

მეორე—რაც ბეგოსთვის დაუვიწყარი იქნება,—ნიკალას პატიოსნებაა.

— „მისი ხელიდან სიკეთე გამოვიდოდა, სიავე—არა!

— „სუფთა იყო, როგორც პირიდან, ისე ხელიდან.“

— „მის პიჯაკს ჯიბე არ უნდოდა.

ერთხელ, რიყეზედ ერთ მიკიტანს დუქანი გამოუხატა. ფული ხელთ არ მისცეს. დაჰკარგავს ან სხვა გამოართმევსო. იყვე მე მომიტანეს გადასცემად. ნიკალაიმ ზედაც არ დაჰხედა.

— „ერთხელ კიდევ“ „ფრანცუზები“ მოვიდნენ (ალბად ლე-დანტჯუ და ილია ზდანევიჩი. გ. ლ.) ნიკალას სანახავათ. ნიკოს ნახვის მერე მის სურათებს შემევაჭრენ. ნიკოს დასტურით მივყიდე, მაგრამ არც ეს ფული აიღო ჩემგან ნიკალაიმ: „ფული რათ მინდაო?“

ბეგო აღფრთოვანებით იგონებს იმ ხუთ-ექვს წელიწადს, როცა ფიროსმანი მასთან იყო შეკედლებული. დუქანში ბეგოს პატარა ოთახი ჰქონდა. სამზარეულოზე წადგმული (ცარიელ ბოთლების და რაგინდარას საწყობათ). ეს ოთახი ნიკოს აჩუქა დასადგომათ. აქ ცხოვრობდა და მხატვრობდა ფიროსმანი 1905—1910 წლებში. ოთახის მოწყობილობა იყო: პატარა ტახტი, ერთი ძველი ვედრა, ფუნჯები, ბოთლები, კირი, საღებავები... მუდამ ჰხატავდა. ხან თავისთვის, ხან ბეგოსთვის. მართალია, ბეგოსთან იყო, მისი კარის მხატვარი იყო, მაგრამ სხვასთან მუშაობასაც არ უშლიდა. პირიქით, ბეგო ეუბნეოდა ნაცნობებს:—დაახატვინეთ, სარგო მიეცითო! მაგრამ ნიკალა შემოსავალს არ ეძებდა.

ბეგომაც იცოდა მისი ხასიათი და რაც შეეძლო არაფერს აკლებდა. ხშირად, ნამუშევარში ნახმარ ტანისამოსს უყიდდა ხოლმე. აბანოშიც დაჰყვანდა. (პარასკეობით—ვაჭრების დღე) სადილი და სასმელიც ბეგოსთან ჰქონდა. ნიკოც შინაურობდა. როცა ბეგოს დიდი მუშტარი მოაწყდებოდა, ნიკო ხელს წაახმარებდა. ყოველ ახალწელს, შობას, ნათლიღებას, აღდგომას და სხვა „ბედდიერ დღეებში“ ნიკო ბეგოსთან იყო დაპატიჟებული. ახალწელს ნიკო უთუოდა მიულოცავდა „ძალოს“ (ბეგოს მეუღლე), ხუმრობაც ჰყვარებია; „ძალო, ბეგოს გაუფრთხილდი, ქალებს ეარშიყებაო!“

— „ჩემს დუქანს პატარა ბაღი ეკრა საყვავილე ფარდულებით შემკობილი და პატარა გუბეტბით (Пруд). როცა ნიკო ფხიზელი და თავისუფალი იყო, ბაღში გავიდოდა, ყვავილებს უვლიდა, მიწას ჩაჰყურებდა. მერე დიდ კაკლის ქვეშ დაჯდებოდა გამტერებული. უფრო გაზაფხულზე იცოდა ბაღში გამარტოება. მაშინ ღვინოსაც იქ შეუგზავნიდი. მარტოობა უყვარდა. არავის გაიკარებდა. უცხო ხალხს არ ეთვისებოდა· პირზე დაღონება კი არ იცოდა.

— „ნიკალაი,—ეეუბნეოდი,—მარტოობა ძნელია, ოჯახს მოეკიდე!

— „მარტო ვარ დაბადებული, მარტო უნდა მოვკვდეო!

— არ არის კარგი საქმე, ნიკალაი!

— „აბა, ერთი მითხარი, რომელ დიდ მწერალს (?) ჰქონია ბედნიერება, რომ მე მქონდესო? ძველად, სულ გამოკაფულ კლდეებში და ქარაფებში უცხოვრიათ წმინდანებივით. (ერთი „წმიდანი“ მისთვისაც დაუხატია სახსოვრათ: „გიორგი განდეგილი“ ინახება ეროვნულ გალერეაში. დავ. კაკაბაძის კოლექცია.) ნეტავ იცოდე, როგორ ცხოვრობს ჩვენი აკაკი წერეთელიო?

— „მხიარული კაცი იყო, პირსიცილიანი.—„რა მოგვიტანია, რა უნდა წავიღოთო? ერთი მეგობარი დამმარხავს, დარდი არა მაქვსო!“ „ეირის კუდივით მოკლეა წუთისოფელიო!“ თუ ზარხოშად იყო, ჩუმი ღიღინი უყვარდა: „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ და სხ. აიღებდა ჭიქას და იტყოდა:

„გაუმარჯოს პავლესა,
დაისხავს და დალევსა!“

ს ე ფ ი ლ ი.

4 აპრილი

— „ერთი ნახვა ცნობაა, მეორე — ძმობაა! სიცილით მიშვერს ხელს ბეგო. ბეგო მთვრალია.

ჩემთან არის მხატვარი დ ა თ ი კ ო კ ა კ ა ბ ა ძ ე.

ისევ ბეგოს ვრცელ ეზოში შევდივართ მტკვრის პირზე. წყლის სიახლოვეს ოთხს ახალგაზდას სუფრა გაუშლია. თავაზიანად გვთხოვენ სუფრა დაულოცოთ. გამოწვდილ დაკუთხულ ჭიქებს ბეგო ხელებს აწოდებს და მერე გვირიგებს.

— „გთხოვთ შესანდობარი დალიოთ ჩვენი ძმა კაცისა, რომელიც დღეს დაგვიმარხია.“—გვთხოვენ მესუფრეები.

— „მეთევზე შიხის ბიჭის სული ღმერთმა შეიწყალოს! ცხრა ანგელოზი გამოეგებოს. იმ ქვეყნათ მისი სახელი არ მოიშალოს!“ ილოცება ბეგო. ჩვენც რაღაცა წავიდუდუნეთ.

— „გმადლობთ, გმადლობთ! —მოგვაძახეს, როცა ჭიქები დაუბრუნეთ.

დავსხედით ნატივარ ხეზედ. ქურთის ბიჭს, იქვე გოშიას რომ ეთამაშება, ჩუმად ვაძლევ ფულს და ღვინო-მწვანილს ვაბარებ.

— „ჩვენს ალაგას ნიკო რომ ყოფილიყო, ჭიქას არ მიიღებდა, ამაყი იყო!“ ღიმილით გვეუბნება ბეგო.

— „ეხ, ნიკალაი!

— „უფასოდ წავიდა, ეხლა დაფასდა!

„რო მოვკვდარიყო, მე ყარსში ვიყავი. დარდათ ის მიმყვება, ჩემი წილი პატივი ვერ გადამიხდია:—პატარა სუფრა, პატარა შესანდობარი, ზედ სეფილი *)—როგორც ჩვენი წესია. მაშინ საფლავი ვერ ვიპოვე, ეხლა კი... ბეგო დაღონდა... დაფიქრებული მტკვარს აყოლებს თვალს. მერე გაუბრწყინდება თვალები,—იცით, რა გიამბოთ:

— „სწორედ ოცი წლის წინათ, ძმობილი მყვანდა,—კოლა რუსიშვილი. (რუსი იყო) რიყეზედ ლუდხანა ჰქონდა. ეხლა აღარ არის.

პატიოსანი ყმაწვილი იყო და სურათების დიდი მოყვარული. ახალგაზრდობაში სხვასთან იდგა დუქანში მოჯამაგირედ. იქ გაეცნო ნიკალა და მისი

*) ს ე ფ ი ლ ი—სამგლოვიარო მუსიკა. საფლავზედ უკრავენ გ. ლ.

სურათები-თურმე გულში ჩაიდო გავხსნი თუ არა საკუთარ დუქანს, ნიკალაის დავახატვინებო! მართლაც, დუქნის გაღებამდე ნიკალას დაუძახა და სურათებში გაურიგდა. ოთხივე კედელი უნდა გამოეხატა. მეც იქ შევსწარი. ნიკალაიამ მეორე დღესვე დაიწყო მუშაობა და თითო არაყზედ გამოჩარხული სურათები, გამოჰყავდა, გავიდა ორი დღე, ნიკო აღარ გამოჩნდა. კოლა ბიჭს გულთ შემოეყარა. რა ექნა? სურათები დაუმთავრებელი რჩებოდა. დუქნის გახსნაც ამით გვიანდებოდა.

„მესამე დილას ბიჭებმა უთხრეს კოლას:—ნიკალაი დილას ვაგზალთან ვნახეთ, სვამდაო! გახარებული კოლა მაშინვე ეტლში ჩაჯდა და საძებრათ გაექანა. მართლაც, იმ დუქანშივე ენახა სადაც მიასწავლეს და ნიკალაი ფაიტონით მოიყვანა:

„მთვრალმა და ღამე ნათევარ ნიკალაიმ ისევ აიღო ფუნჯი, მაგრამ კოლა ბიჭს რა იმედი ჰქონდა, რომ სურათებს დაუბოლოვებდა? მაშინ—„ხერხი სჯობიაო,"—იფიქრა კოლამ. ლუდხანაში შეიყვანა, აღარ კი გამოუშვა. გარედ დუქანს კლიტე დაადვა და სამი დღე ნიკალაი დამწყვდეული მუშაობდა. ცოტა „საჭმელს, ცოტა სასმელს ფანჯრიდან აწოდებდა, როგორც ტუსაღს. მანამ ყველა კუთხეები არ გამოუხატა, არ გამოუშვა. მერე კი გაანთავისუფლა."

— „ანგელოზი ეჯდა სწორეთ ფუნჯში! აფსუს, ნიკალაი! იმნაირი მხატვარი ჩვენ ქალაქს არცა ჰყოლია, არც ეყოლება!"

ქურთის ბიჭმა ღვინო მოგვიტანა. ბეგოს ეწყინა. მისი აზრით, ჩვენ სტუმრები ვართ, მასპინძლობა მისი ვალია. როგორც იყო, დავიყოლიეთ „ნიკალაიას შესანდობარი" დაეღია. ბეგომ მალე „თამადობაც" იკისრა და წვრილად სმას შეჰყვა პატარა სიტყვებით.

ბეგო იგონებს, როგორ სძულდა ფირუსმანს პოლიციელები.

— „ხშირათ მოხდებოდა, შუაღამისას პოლიცია დაესხმოდა ჩემ დუქანს დასაზვერათ და უპასპორტო ხალხის საძებნელათ. ნიკოსაც ეჭვს დაჰკრავდენ ხოლმე. მძინარეს ააყენებდენ და ვინაობას ჰკითხავდენ. გაიგო თუ არა ნიკალაიმ რევოლიუცია, მისი პირველი სიტყვები იყო:

— „მოვრჩი, ეხლა აღარ იკითხავენ, ეს ვინ არი, აქ რათ არის! იმ დღეებში ბავშვივით გახარებული დადიოდა. მიტინგებს ესწრობოდა და პტყლათ იტყოდა:

— „მოვრჩით განსაცდელსა!"

1905 წელს, („არეულობაში") ზაფხულში ნიკომ გამოსჭრა ქაღალდის ასოები, წითელივე ქაღალდი შემოავლო დიდს „პარუსინის ბრეზენტს" დააკერა დუქნის ფარდას ქუჩაზე:

— „გაუმარჯოს ერთობა ამხანაგობას!
— „ძირს ხელმწიფე, მაღლა მუშა!
— „ძირს ნიკალაი!"

მესამე დღეს, ნაცნობი ბოქაული გ-რი მომადგა და შინაურულათ მირჩია, ჩამომეხსნა, თორმე „სახალინი" აქეთ დამრჩებოდა. მეც იმ დღესვე მოვსპე. ნიკომ ახლა შუშაზე ამოხატა ეს სიტყვები და ჩარჩოში ჩაასმევინა. დიდხანს მქონდა შენახული. ამას წინედ ვეძებდი, სახლში, ვეღარ ვიპოვე...

ეზოში შემოვიდა სქელი კაცი და ბეგოს შორიდან თითი დაუქნია, ბეგოს ვთხოვე არ წასულიყო და უცნობი ჩვენთან მოეწვია. მოვიდა, გაგვეცნო—გრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შა ჯუღელოვი, ყოფილი ყასაბი. ბეგომ ნიკალაის შესანდობარი დასდვინა. ჯუღელოვმა დალოცა „საწყალი ნიკალაი“ და ზედ თავისი ამბებიც მოაბა ფიროსმანზედ.

ნიკალაის თურმე რვა წლიდან იცნობდა. ჯუღელოვი მაშინ ბიჭათ იდგა საყასბოში, ფიროსმანის დუქანის გვერდით. მშვენივრათ ახსოვს მოვაჭრე ფიროსმანი:

— „ვაჭრობის დროს ჰხატავდა, მოცლის დროს ვაჭრობდა!“ ნახატებს მეზობლებს და „ძმაკაცებს“ ურიგებდა. ერთხელ, მისი „ალაც“ დახატა. მაშინ ფიროსმანს „შახათ“ ეჭირა თავი. სუფთად დადიოდა შავს პიჯაკში. სამი წელიწადი ჰქონდა დუქანი, მერე ამხანაგმა ულალატა.

ჯუღელოვი იგონებს იმ დღეებსაც, როცა ნიკალა ბეგოსთან ცხოვრობდა და გულაჩუყებულ ბეგოს უმოწმებს რომ „ძმასავით ინახავდა.“

დათიკომ თან ფოტოგრაფიული აპარატი წამოიღო. ბეგო უნდა გადიღოს. ისიც სიხარულით თანხმდება. წელში გასწორდა, სახე მოილამაზა. ის არის დათიკომ ჩახმახი უნდა ჩამოჰკრას, ბეგო სათხოვარით მიჰმართავს:

— „როცა სურათს ვიღებ, ჩემი ხელსახოციც ზედ უნდა მქონდეს.“ დათიკო თანხმდება. ძმამ მოუტანა ბეგოს ჭრელი ხელსახოცი და ქამარზედ იკეთებს. ოცი წელიწადია, ბეგო გაუყრელად ატარებს ამ ხელსახოცს სასახელო მომენტებში. სურათი გადიღო. ბეგო მთლად კმაყოფილია.

— „ბეგო,—ეკითხება დათიკო,—ნიკოსაც უყვარდა წელში გარჭობილი ხელსახოცი?

— „რასა ბრძანებთ? ხომ ჩვენთან იყო, ჩვენს პურმარილში შესული, მაგრამ განა ბოლომდის თავს გვიყადრებდა ყარაჩოღელებს? თავისი კაცობა არ დაუკარგია. ხელსახოცზედ მოგახსენებთ: ერთხელ, ბაზარში წავიყვანე, ტანისამოსი უნდა გვეყიდნა. დალალი შემოგვხდა, ყარაჩოღლურ ჩოხა-ახლუხს ჰყიდდა. ეშმაკათ ხელი წავატანე, ნიკოსთვის თვალი შემივიდა. ნიკომ ალმაცერათ შემომხედა:

— „არა, ეგ ჩემი საქმე არ არისო! მაშინვე დავჩუმდი...“

ეზოში შემორბიან ბავშვები და ფრიალას ითამაშებენ, ბეგო კი განაგრძობს:

— „ძალიან უყვარდა არღანი.

— „დაუკარ ბიჭო, შენ გენაცვალეო!“ ოთხი საკუთარი არღანი მუშაობდა ჩემს დუქანში...

... „მაშინ იმ ფრანცუზებმა უთხრეს,—გინდა, საფრანგეთში წაგიყვანოთო? ნიკალამ მოახსენა: „ჩემ საქართველოდამ არსად წავალო!“

ბეგოს აზრით, ნიკალასთვის რომ სიღარიბეს არ შეეშალა, უფრო კარგი მხატვარი დადგებოდა. „მაგრამ რა ქნას საწყალმა კაცმა? ყველაფერში სდევნის ცხოვრება. ქათამს უთქვამსო: „რაც არ დაკლეს, მე წამაკლეს, არ დაკლეს და მე დამკლესო.“ ასეა ღარიბი კაცის საქმეც, ყველაფერს უნდა წაეკლას...“

გაზაფხულის წვიმამ დაუშვა. გამოვდივართ. ღამეა. სველი ტრამვაები ლიფლიფებენ და ნიავი ატოკებს თბილისის სინათლეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიბლიოგრაფია

ელ. პოლუმორდვინოვი—„ქვეყანა მიდის“ 1931.

ჩვენს მწერლობაში ისტორიულად ლექსის დიქტატურა იყო. პროზა ყოველთვის უკანა პლანზე იყო. ეს მდგომარეობა თითქმის დღესაც გრძელდება.

პროლეტარულ მწერლობამ შესძლო ნაწილობრივ ვიწრო რკალების გარღვევა. მან ამ უკანასკნელ პერიოდში ფართო ადგილი დაუთმო პროზას. ჩვენ ვფიქრობთ პროლეტარული ბელეტრისტიკის შექმნა აუცილებელია, რადგან დღევანდელი სოციალისტური მშენებლობის მაღალი ტემპები მოითხოვენ დიდ მხატვრულ ტილოებს.

ყოველგვარ დისტანციების გარეშე, პროლეტარულმა პროზამ უნდა შესძლოს სწრაფად დამუშავება იმ თემებისა, რომლებიც დღეს ისტორიულად წინა პლანზეა წამოწეული.

დღეს თვითოეულმა პროლეტარულ მწერალმა თავი უნდა გაინთავისუფლოს იმ თემებზე მუშაობისგან, რომლებიც არ არიან აქტუალური და უკანა პლანზეა დაყენებული. თემათა ასეთ რიგს უსათუოდ უნდა მიეკუთვნოს ზედმეტი ადამიანების პრობლემა.

პროლეტარულმა წწერლების ნაწილმა ჯერ კიდევ ადრე, სწორედ ამ მიმართულებით აიღო ორიენტაცია. ზედმეტ ადამიანების პრობლემა დღეს არ არის აქტუალური. ჩვენს წინაშე მდგარ სოციალური ღირებულების თემებზე გვერდის ახვევა და ზედმეტ ადამიანების საკითხებზე მუშაობა ჩამორჩენილობას ნიშნავს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ელიზბარ პოლუმორდვინოვმა თავისი კალამი პროზაში პირველად მოსინჯა, მაშინვე ზედმეტ ადამიანებზე გადაიტანა თავისი ყურადღების ცენტრი, და „ვერცხლის ქამარში“ წარმოგვიდგინა კინტოების და ყარაჩოღელების მთელი გალერეია. ელ. პოლუმორდვინოვმა ამ მდგომარეობას დღესაც ვერ დააღწია თავი და იგი ისევ ზედმეტ და რევოლიუციის მიერ „გაბითურებულ“ ადამიანთა პრობლემას უბრუნდება. ელ. პოლუმორდვინოვი თავის შემოქმედებაში ვერ იჩენს სათანადო კლასიურ სიმახვილეს. მისი მომქმედი ტიპები ზერელობის შთაბეჭდილებას სტოვებენ. „ხშირად პოლუმორდვინოვის მხატვრულ ფაქტებში გმირების მოქმედებას, ან მსჯელობას აკლია დასაბუთება. ამიტომ მის მიერ მოცემულ გმირებს ვითვისებთ არა როგორც დასრულებულ ტიპებს, არამედ როგორც ტიპების სქმეებს... ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება ე. პოლუმორდვინოვის, როგორც მწერლის, არის ის, რომ ის თავისი ნაწარმოების გმირებს მეტის-მეტად ზერელედ გვიხასიათებს. გმირების დახასიათება ჩვეულებრივად მოცემულია მხოლოდ მათივე საუბრებით“ (შ. რადიანი). ვფიქრობთ, ზემოთ მოყვანილი სტრიქონები კომენტარიებს არ საჭიროებენ. ერთი რამ უდაოა: ელ. პოლუმორდვინოვის შემოქმედება ამ ბოლო დროს ვითარდება სქემატიზმისა და ზერელობის ნიშნის ქვეშ. მისი უკანასკნელი მოთხრობა „ქვეყანა მიდის“ ამის დამადასტურებელია.

აღნიშნულ ნაწარმოებში პოლუმორდვინოვი ერთხელ კიდევ დაუბრუნდა თავის საყვარელ—ზედმეტ ადამიანების თემათიკას! (საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ელ. პოლუმორდვინოვის თემათიკა ძალზე ვიწრო და შემოზღუდულია. კ. მ.).

„ქვეყანა მიდის“-ში ელ. პოლუმორდვინოვმა მოგვცა რევოლიუციის მიერ ნაკაცარად გადაქცეული არტემ ივანიჩის ცხოვრება. არტემ ივანიჩი მუდამ ბუზღუნებს, ჩივის კომუნისტებზე, რადგანაც მას ყველაფერი წაართვეს. ჩამოართვეს თავისი სახელოსნო, ოთახებში მდგურები ჩაუსახლეს. არ იცის რა მოიმოქმედოს.

წარმოიდგინეთ ის დინჯი ეპიური თხრობა, რომელსაც აქ ელ. პოლუმორდვინოვი მიმართავს. ელ. პოლუმორდვინოვს ავიწყდება ერთი რამ, რაც მთავარია ნაწარმოებში, ეს არის დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდის მომარჯვება და კლასიურ პრინციპებზე დგომა. პოლუმორდვი-

ნოვს ერთიც აკლია და მეორეც. იგი მხოლოდ ემპირისტულ მეთოდს მიმართავს. მისი მოთხრობები ხშირად მშრალი ფაქტების გროვა უფროა, ვიდრე დიალექტიური განვითარება მოცემული წინააღმდეგობათა ერთიანობაში. ჩვენ პროლეტარულ ლიტერატურაში სასტიკი წინააღმდეგი ვართ აღწერითი მეთოდის, რადგან ეგ მეთოდი ვერ ხსნის ძირფესვიანად თემის სოციალურ ბუნებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ელ. პოლუმორდვინოვის მოთხრობების სქემატიურობა და ზერელობა მეთოდის უვარგისობაში უნდა ვეძიოთ.

ბრძოლა მეთოდისათვის—ყოველ მწერლისათვის ძირითად ამოცანას უნდა შეადგენდეს. დიალექტიურ-მატერიალისტური მეთოდი—აი რა უნდა იყოს პროლეტარული მწერლის მეთოდი. ელ. პოლუმორდვინოვმა კი ჯერჯერობით ვერ შესძლო დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდის მომარჯვება და იგი მხოლოდ ემპირიზმს, ფსიქოლოგიზმს და უშუალო შთაბეჭდილებას იდეალისტურ სამყაროში გადაყავს.

გარდა ამისა, მოთხრობა „ქვეყანა მიდის“-ში მოცემულია არტემ ივანიჩის ქალიშვილის თამროს რომანტიული განცდები. სანტიმენტალური ფიქრები აწუხებს თამროს—„თამრიკო საწოლზე წევს. მისი ფიქრები გატყორცნილია შორს, განუცდელ გაზაფხულისკენ, იქ, საითაც გაქროლდა ორთქლმავალი. ბურუსი ეხვევა მის თვალებს“.

ელ. პოლუმორდვინოვი ფსიქო-ჩიჩქნის წერტილს აქ არა სვამს და განაგრძობს „დღეს, რომ გაზაფხულის მზე გამოიდა, ახარებენ თამრიკოს, ფანჯარასაც ულებენ, მზის სხივები იჭერება შიგ, შეაქვს სითბო, მაგრამ თამრიკო გაზაფხულს მაინც ვერა გრძნობს. ყრუ ხველებაში გადადის მისი ნაღვლიანი დუმილი“. აქ ავტორის ფიქრი და გრძნობა უფრო ჩანს ვიდრე მოთხრობის გმირის.

საბოლოო ანგარიშში მოთხრობიდან არაფერი არ რჩება, ვერ გაიგებს ადამიანი, თუ რა უნდა სთქვას ავტორმა. ვსთქვათ, რომ თამრო მოკვდა სანტიმენტალურ ფიქრებში, არტემ ივანიჩს არ მოსწონს ეს ხელისუფლება, მერერამდე უნდოდა ამით ეთქვა ელ. პოლუმორდვინოვს, ვანა ცოტა არის ასეთი ნემპანები? მოთხრობაში პოლუმორდვინოვმა ვერ შესძლო კლასობრივი მომენტების დაჭერა, ამბავის დიალექტიურად განვითარება.

თითქმის ასეთივე ნაწარმოებია მეორე მოთხრობა „ფოლადთა შორის“, რომელიც იმავე კრებულშია მოთავსებული.

იმპერიალისტურ ომში მიყავთ ახალგაზრდობა. პოლუმორდვინოვი ამ მომენტის აღწერას ცდილობს, მაგრამ მოქმედების გაშლა ძალზე სუსტია. კერძოთ, მთავარი მომქმედი პირი—დათია ძალზე შკრთალია. საერთოდ მოთხრობა მხატვრულად სუსტია. მოვიყვანოთ სანიმუშოთ ერთი ადგილი მოთხრობიდან: „ერთ დღეს კი მოვიდა ცნობა, რომ ორთავიან არწივს თავი გადაეგდებინესო და რომ უკანასკნელ წუთებს ითვლის ფრთების ფართხალში“. დათია ტყვედ ჩაუვარდა ავსტრიელებს. იგი იქ ბრძოლის ველზე დაუმეგობრდა ერთ ავსტრიელ ჯარისკაცს, რომელსაც დათია საქართველოში დაბრუნების შემდეგ ხვდება. ავსტრიელი მუშათა დელეგაციას ჩამოყვება. მე ვფიქრობ ეს ადგილი ძალზე ტენდენციურადაა გაკეთებული. ელ. პოლუმორდვინოვი სუსტია იქ, სადაც მოქმედება ცდება ვიწრო ბიოლოგიურ რკალებს, სამაგიეროდ პოლუმორდვინოვი ძლიერია სენტიმენტალურ დღიურების მოცემაში. კერძოდ ვის რად აინტერესებს დათიას სენტიმენტალური დღიურები, რომელიც შიშისა და წუწუნის შთაბეჭდილებას უფრო სტოვებს, ვიდრე მებრძოლისას. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ელ. პოლუმორდვინოვის ეს წიგნი უკან დაბეჭეა.

ელ. პოლუმორდვინოვმა უნდა შესძლოს თავის შემოქმედებაში დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდის მომარჯვება, რადგან გარეშე ამისა ყოველად შეუძლებელია პროლეტარული ბელეტრისტიკის შექმნა.

კარლო მელაძე.

რაჟდენ გვეტაძე—„თეო“. სახელგამი. 1930 წ.

რ. გვეტაძე პროლეტარული რევოლიუციის შემდეგი პერიოდის ქართული ლიტერატურის წარმომადგენელია. მართალია, მან მწერლობა ჯერ კიდევ რევოლიუციამდე დაიწყო, მაგრამ ის ლიტერატურული მიმდინარეობა, რომელსაც ის შეკუთვნოდა, მას დეკადენტ წვრილ-ბურჟუაზიულ მწერლათ ხრდიდა. ამიტომ რევოლიუციის შემდეგ გვეტაძეც ვერ ასცდა იდეოლოგიურ მერყეობას, რის გამო მისი შემოქმედების გზა სიმბოლისტური მწერლობიდან საბჭოთა მწერლობამდე თავისებური ზიგზაგებით ხასიათდება. გვეტაძემ სიმბოლისტურ მწერლებს შორის, როგორც შედარებით ყველაზე ახალგაზრდამ, პროლეტარული იდეოლოგიისაკენ გადამუშავებაც

ყველაზე ადრე და ყველაზე გაბედულათ სცადა, განსაკუთრებით მას შემდეგ რაც ბელეტრისტიკაში დაიწყო მუშაობა.

რ. გვეტაძე წარსულში უმთავრესად ცნობილია, როგორც პოეტი--სიმბოლისტი, სიმახინჯის ესთეტიკის აპოლოგეტი, რომელიც რევოლიუციის შემდეგ გარკვეულად დამკვიდრდა, როგორც თანამგზავრი. მართალია, გვეტაძეს ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, რომ თანამგზავრობიდან ნამდვილი მოკავშირე გახდეს, მაგრამ ის, რაც გაკეთებულია მის მიერ, ის რა გზითაც ვითარდება მისი შემოქმედება, გვაძლევს იმედს, რომ იგი მახლობელ წლებში გახდება მოკავშირე.

ისმება კითხვა რა შემოქმედებითი მონაცემებით ჩადგა გვეტაძე თანამგზავრული მწერლების აქტივში? ისეთ ნაწარმოებით, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს საკმაოდ მოზრდილი მოთხრობა „თეო". სწორედ ამ მოთხრობით დაამტკიცა რ. გვეტაძემ თავის შემოქმედებაში მტკიცე გარდატეხა.

მიუხედავათ იმისა, რომ „თეო"-ს თემატიური მასალა სრულიად არ შეიცავს კლასიური ბრძოლის დღევანდელ სურათს, ამ სინამდვილის აქტიურ საკითხებს, მიუხედავათ ამისა, იგი ყურადღებას იპყრობს.

მოთხრობა „თეო"-ს ძირითადი თემაა, ზედმეტი ადამიანის, სოციალურად გადაშენებული წოდების უბადრუკი ყოფის მხილება. ქართული ინტელიგენტური მწერლობისათვის ეს თემა არც ისე ახალია, პირიქით, მრავალი ფეოდალურ-რეაქციონური მწერლის შემოქმედებას სწორედ ეს საკითხები აღელვებს, სწორეთ ამ საკითხებით ამაგრებენ ისინი რესტავრატორულ იდეოლოგიას.

ვინ უნდა იყოს ზედმეტი ადამიანის ლიტერატურის „გმირი" დღეს რეაქციონურ მწერლობაში, თუ არა რევოლიუციამდე ამ ქვეყნის ბატონ-პატრონი კლასის—თავად-აზნაურობის ნარჩენები? ვის შეიძლება დასტიროდეს, ვისთვის იბრძოდეს ფეოდალურ-რეაქციონურ მწერლობის ფრთა—თუ არა ამ გადაცვლილ თაობის—თავად-აზნაურობისათვის? ამითვე აიხსნება სწორედ ამ ჯგუფი მწერლობაში ფეოდალური ... ერე.

რ. გვეტაძის გამარჯვება სწორედ იმაშია, რომ ის ამ გარდასული თაობის არსებობას, მის შავბნელ წარსულს ფარდას ხსნის. მზის სინათლეზე გამოაქვს ამ სისხლისმსმელი, ექსპლოატატორული კლასის შვილების მოქმედება, ამიტომ მოთხრობა „თეო" არა ამ ძველი ქვეყნის „გმირების" იდეალიზაციაა, არამედ მისთვის ნიღაბის ახდა.

ცნობილია, რომ საქართველო ყოველთვის წარმოადგენდა თავად-აზნაურობის სათარეშო მოედანს, ასე იყო წარსულში, ასე იყო ქართული ... —მენშევიკური ... ბის პერიოდშიც.

მთელი ქართველი ხალხის ისტორია მრავალი ათეული წლების განმავლობაში—პროლეტარულ რევოლიუციამდე—ამ სისხლისმსმელ მუქთახორების, ფუქსავატი კლასის დესპოტიზმის ისტორიაა. „თეოს" გმირი ყაფლანი ამ დესპოტიური კლასის უკანასკნელი მაგიკანია.

მოთხრობა არ შეიცავს მარტო თებერვლის რევოლიუციის წინა ხანას, არამედ იგი ძირითადში ეხება მენშევიკური ბატონობის პერიოდსაც, თუ რას წარმოადგენდა მიკიტნური დემოკრატიის სამოთხე. მესამე პერიოდი მოთხრობაში გასაბჭოების პერიოდია, როგორც ორი წინა პერიოდის შემცვლელი, ახალი ეპოქის დასაწყისი.

მიუხედავათ იმისა, რომ „თეო"-ს მრავალი ნაკლი აქვს სიუჟეტური განვითარების, მთლიანობის მხრივ, იგი მაინც საყურადღებოა.

„თეო" გვეტაძისათვის პირველი სერიოზული ნაბიჯია ბელეტრისტიკაში. იგი ჯერ ახალგაზრდაა, და მისი, როგორც საბჭოთა მწერლის მომავალი განვითარებაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ უფრო ღრმათ და სერიოზულად მოკიდებს ხელს თანამედროვე ცხოვრების შესწავლას და თავის მსოფლმხედველობის პროლეტარული იდეოლოგიისაკენ გადაბუშავებას.

ალექსანდრე ხულავა.

სარედაქციო კოლეგია:

ი. ვაშაძე
გ. დევდარიანი
ს. ეული
შ. რადიანი
გალ. ტაბიძე
ტ. ტაბიძე
ს. ჩიქოვანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

პოეზია

		გვ.
1.	შალვა აფხაიძე—15=10	3
2.	ანატოლ გიდაშ—სალამი მსოფლიოს რევოლიუციონურ-მწერლებს	9

პროზა

3.	ალ. ქუთათელი—განთიადის წინ	17
4.	კონსტანტინე ლორთქიფანიძე—ძირს სიმინდის რესპუბლიკა	42
5.	დემნა შენგელაია—ბათა ქექია	53
6.	მიხ. ჯავახიშვილი—არსენა მარაბდელი	76
7.	სევასტი თალაკვაძე—ახალი აზვირთება	101
8.	ი. ლიბედინსკი— გმირის დაბადება	131
9.	მიხ. ჩიქოვანი—დამკვრელი ტემპებით	163

კრიტიკა, პუბლიცისტიკა და მეცნიერება

10.	შალვა რადიანი—ქართული მწერლობის ათი წელი (დასასრული)	177
11.	გიორგი ლეონიძე—ცხოვრება ფიროსმანისა	214

ბიბლიოგრაფია

11.	კარლო მელაძე—ელ. პოლუმორდვინოვი: „ქვეყანა მიდის“	239
13.	ალექსანდრე სულავა—რაჟდენ გვეტაძე: „თეო“	240

ი. ფ 24/65

ფასი 1 მ. 50 კ.

53/102